№33 (712)
18 – 24 აგვისტო
ფასი 1,50 ლარი
www.tbiliselebi.ge



ადარდებს თუ არა მერსი სულხანიშვილს ქართული საზოგადოების შეხედულებები და კიდევ რა არ იცის ხალხმა მის შესახებ
გვ. 74

რატომ არის თეა გობეჯიშვილის თორმეტი წლის ჟინკა ფრიგიდული და ვის გამო უწევდა მას ტრაგედიების გადატანა
გვ. 22

გვ. 14
როდის თანხმდება ავთანდილ ცქვიტინიძეს ცოლი „საველე პირობებზე“ და რას შეეწირა მისი საზაფხულო არდადეგები

ISSN 1987-569X

გვ. 80
რას ვუფუჭებთ ქართველი მშობლები შვილებს და რატომ დაღუპავს ეს ერს, ნიკა წულუკიძის აზრით



გვ. 15
ითვალისწინებს თუ არა ქეთი დევდარიანი „ჩემი ცოლის დაქალების“ მაყურებლის კრიტიკასა და რჩევებს

რა იდეები მოსდის თავში თეფშის რეცხვის დროს ლალი მოროშკინას და რატომ გადაწყვიტა მან ახალგაზრდა პოლიტიკოსებისთვის სპეციალური სკოლის გახსნა
გვ. 83

რა ცდუნებებზე მოუწია უარის თქმა ნატალი მაჩიტიძეს და ვის გამო თქვა უარი ყველაფერზე პოპულარობის ზენიტში ყოფნისას
გვ. 71

გვ. 82
რა გაუგებრობაში აღმოჩნდა რეპერი მასტერი საკუთარი ფსევდონიმის გამო და რატომ აუტყდა პატრულს სიცილი მის დანახვაზე

გვ. 70
რა ეხმარება სოფია სეხნისკვერაძეს იმაში, რომ პატარა გოგოსავით გამოიყურებოდეს და რატომ არის მისთვის სიყვარული არცთუ ისე სასიამოვნო

# გილოცავთ ფერისცვალებას!

# ფრთხილად, სოკო!



## ზაფხული სოკოვანი დაავადებების გარეშე

**უკანასკნელ ათწლეულში მთელს მსოფლიოსა და საქართველოშიც განსაკუთრებით იმატა სოკოვანმა დაავადებებმა. საქართველოში დერმატოლოგს ყოველი მეოთხე პაციენტი სოკოვანი დაავადების გამო აკითხავს.**
**სოკოვანი დაავდებების სიხშირის ასეთი მატება სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული, როგორიცაა გლობალური დათბობა და ტენიანობის მომატება, რის გამოც შესანიშნავი პირობები იქმნება სოკოვანი დაავადებების გავრცელებისათვის.**
**განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული ტერფების მიკოზი, ტერფის ეპიდერმოფიტია, უშუალოდ ტერფის კანის და ფრჩხილების სოკოვანი დაზიანება.**

### რა უწყობს ხელს ტერფის სოკოს განვითარებას?

დასნებოვნება ხდება დაავადებულ ადამიანთან ან მის ნივთებთან (ფეხსაცმელი, წინდები, თეთრეული) კონტაქტით. ტერფის სოკოთი დაავადებული ადამიანის აქერცლილი კანი ხვდება იატაკზე, ფეხის საწმენდ პირსახოცზე, ღრუბელზე და ტერფის მოსავლელ საგნებზე, შემდეგ კი ამ საგნებიდან (თუ მათ დეზინფექცია არ ჩაუტარდა) სხვას გადაედება.
დაავადების ხელშემწყობი ფაქტორებია ოფლიანობა, მიკროტრავმები (მანიკიურის და პედიკიურის გაკეთების, ვიწრო ფეხსაცმლის ტარების დროს), ბრტყელტერფიანობა, ჰიგიენის წესების დაუცველობა, იმუნიტეტის დაქვეითება. გარემო ფაქტორებიდან სოკოვანი დაავადების განვითარებას ხელს უწყობს სიცხე, ტენიანობა, ულტრაიისფერი სხივები და საყოფაცხოვრებო ქიმიური ნივთიერებები.
ტერფის სოკოვანი დაავადება განსაკუთრებით ხშირდება და მწვავდება ზაფხულში, ზამთარში კი განიცდის რემისიას, თუმცა გამომწვევი სოკო კვლავ ბუდობს კანზე და მისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნის დროს კვლავ აქტიურდება.

### როგორ ვლინდება ტერფის სოკო?

ტერფის სოკო ძირითდად იწყება ფეხის თითებშუა ნაოჭების დაზიანებით. საწყისი ფორმის სიმპტომები ნაკლებადაა გამოხატული და შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ კანის აქერცვლით თითებშუა ნაოჭებში. ამას შეიძლება დაერთოს ქავილი, სიმშრალე და სიწითლე. პროცესი თანდათან ვრცელდება დანარჩენ კანსა და ფრჩხილის ფირფიტაზე. დაზიანებული ადგილების კანი სქელია და დაფარულია ქატოსებრი ქერცლით, ზოგჯერ ვითარდება მტკივნეული ნახეთქებიც. ფრჩხილების დაზიანება უმეტესად იწყება თავისუფალი კიდიდან. ფრჩხილის ფირფიტის სიღრმეში წარმოიქმნება მონაცრისფრო-მოთეთრო ლაქა ან ზოლი. ფირფიტა თანდათან ფერს იცვლის, სქელდება, ფხვიერი და მყიფე ხდება, ზედაპირი უსწორმასწორო უხდება.
ზოგჯერ ფრჩხილის ფირფიტა იმდენად სქელდება, რომ მტკივნეულია ფეხსაცმლის ტარებისას. დროთა განმავლობაში შესაძლებელია მოხდეს პროცესის გავრეცელება საღ კანზე ან სოკოვანი დაავადების გართულება ალერგიული და ბაქტერიული ინფექციით.

### როგორ ვუმკურნალოთ ტერფის სოკოვან დაავადებას?

დღესდღეისობით ტერფის სოკოს მკურნალობა არ არის რთული და სრული გამოჯანმრთელებით სრულდება. მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაავადების კლინიკურ ფორმასა და თავად პაციენტზე - როგორ იცავს ჰიგიენას და ექიმის დანიშნულებას.
მკურნალობა ტარდება სისტემური და ადგილობრივი მოქმედების ანტიმიკოზური საშუალებებით. ტერფის მიკოზის შედარებით მსუბუქი ფორმების დროს საკმარისია ადგილობრივად მოქმედი ანტიმიკოზური საშუალებების გამოყენება, როგორიცაა ციკლოდერმის კრემი.




ციკლოდერმის კრემი ხასიათდება ძლიერი ორმაგი ანტიმიკოზური, მოქმედებით ასევე ასეპტიკური და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით, მოქმედებს ყველა ტიპის სოკოზე. ციკლოდერმის კრემი კარგად შეიწოვება კანის ღრმა შრეებში, სწრაფად აქრობს სოკოთი გამოწვეულ გამონაყარს, სიწითლეს, აქერცვლას, ნახეთქებს და ამცირებს ქავილს.
ციკლოდერმი კრემის თხელი ფენის შეზელვა ხდება დაზიანებულ კანზე და მის გარშემო 2-ჯერ დღეში, დილას და საღამოს. სოკოვანი ინფექციის ნიშნების ალაგებიდან მკურნალობა გრძელდება კიდევ 1-2 კვირის განმავლობაში
სოკოვანი ინფექციის რეციდივის პრევენციის მიზნით ტერფის სოკოვანი დაავადების მკურნალობის პარალელურად აუცილებელია დავადების ხელშემწყობი ფაქტორების აღმოფხვრა და სათანადო ჰიგიენური თუ პროფილაქტიკური წესების დაცვა. მიკოზის მკურნალობის პერიოდში მნიშვნელოვანია ყველაფრის დეზინფექცია, რასაც სოკო ეხება. აბაზანა სარეცხი ფხვნილისა და ქლორის ნარევით უნდა დამუშავდეს თეთრეული უნდა გამოიხარშოს და დაუთოვდეს ცხელი უთოთი. მანიკიურის მაკრატელი უნდა ჩაიდოს სპირტში და შემდეგ გადახურდეს გაზქურის ალზე.




აუცილებელია ფეხსაცმელების და წინდების დეზინფექცია. ამისთვის არსებობს მარტივად გამოსაყენებელი საშუალება მიკოტას ფხვნილი, რომელსაც აქვს ასევე სოკოს საწინააღმდეგო მოქმედება. მიკოტას ფხვნილი უნდა ჩაიყაროს სუფთა ფეხსაცმელსა და წინდებში და შეინახოს ერთი ღილით.






### როგორ ავიცილოთ თავიდან ტერფის სოკოვანი დაავადებები?

- მოერიდეთ ფეხშიშველა სიარულს
- არასოდეს ჩაიცვათ სხვისი ფეხსაცმელი
- ატარეთ ისეთი მასალისგან შეკერილი ფეხსაცმელი, რომელიც ფეხს ძლიერ არ გაგიოფლიანებთ
- ფეხსაცმელი არ უნდა იყოს ვიწრო, რომ არ მოხდეს მიკროტრავმების წარმოქმნა კანზე
- თუ დღის განმავლობაში ფეხსაცმელი და წინდები მეტისმეტად გიტენიანდებათ, ფეხსაცმელი კარგად გააშრეთ, წინდები ხშირად იცვალეთ
- ბანაობის დროს, განსაკუთრებით საერთო საშხაპეში და აუზზე აუცილებელი ინდივიდუალური რეზინის ჩუსტების ჩაცმა
- აუზის, პლაჟის ან მსგავსი ადგილების სტუმრობის შემდეგ პირსახოცი საგულდაგულოდ გარეცხეთ და გააუთოეთ (უმჯობესია ორთქლით)
- აუცილებელია ფეხების ყოველდღიურად დაბანა. დაბანის შემდეგ კარგად გაიმშრალეთ ტანი, განსაკუთრებით ტერფები და თითებშუა არეები
- აუზის, საერთო საშხაპის ან აბანოს შემდეგ ფეხები საპნით დაიბანეთ, რომ მათზე მიკრული სოკოს სპორები კარგად ჩამოიბანოთ. კარგად გამშრალებულ ფეხისგულებზე წაისვით სოკოს საწინააღმდეგო და დამატენიანებელი კრემი კორესატინი.




კორესატინის კრემი ხელს უშლის სოკოვანი დაავადების განვითარებას, აქვს დამატენიანებელი და დამარბილებელი მოქმედება. იგი ეფექტურია ტერფის კანის გასქელების, გამოშრობის, აქერცვლის და ნახეთქების სამკურნალოდ, სწრაფად ხსნის კანის წვას და ქავილს. კორესატინის კრემი აბსოლუტურად უსაფრთხოა ყოველდღიური გამოყენებისათვის ყველა ასაკის ადამიანისათვის, მათ შორის ბავშვებში, ორსულებსა და მეძუძურ დედებში.



### კმაყოფილი პაციენტი

ლია რამდენიმე წლის განმავლობაში პერიოდულად უჩიოდა ქავილს და წვას ფეხების თითებშუა არეში, კანის აქერცვლას, ქუსლების გაუხეშებას. ზაფხულობით ქუსლებზე უჩნდებოდა მტკივნეული ნახეთქები, რის გამოც უჭირდა სიარული.
ლიამ დაიწყო ციკლოდერმის კრემის გამოყენება - დღეში ორჯერ ისვამდა ტერფებზე. ამასთანავე ახდენდა ფეხსაცმელებისა და წინდის სათანადო დამუშავებას და იცავდა პირად ჰიგიენას. თითებისა და თითებშორის ნაოჭების ქავილი და წვა მოიხსნა მკურნალობის დაწყებიდან მეორე დღესვე. ვიზუალური ცვლილებები აშკარა გახდა 4 დღეში. ორი კვირის შემდეგ ქუსლები გახდა გლუვი, ნაზი. თითებს შორის ნაოჭებში კანი ასევე იყო სადა და აღარ იქერცლებოდა.
პაციენტმა კვლავ გააგრძელა ციკლოდერმის კრემის გამოყენება სოკოვანი ინფექციის სიმპტომების ალაგებიდან კიდევ 1 კვირის განმავლობაში. ამის შემდეგ ტერფის სოკოს სიმპტომები აღარ გამოვლენილა.



# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ ითხოვს საქართველოს კანონი, პაციენტს ეცნობოს ლეტალური დიაგნოზი, არის თუ არა მზად ჩვენი საზოგადოება ასეთი დიაგნოზის მისაღებად და რატომ ურჩევნიათ ექიმებსა და ოჯახის წევრებს პაციენტის მოტყუება ........ 6

რას ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოს მოკავშირედ აღიარება და რა ტიპის დახმარების გაწევა გაუადვილდება აშშ-ის ადმინისტრაციას ბიუროკრატიული ბარიერების გვერდის ავლით ........ 8

რატომ ინაწილებენ ქართველი კაცები არაქართველ ცოლებთან საშინაო საქმეებს და რატომ არის ქართველი ცოლის ქმართან ურთიერთობის ფორმატი შეურაცხმყოფელი ........ 10

რატომ იდებენ ადამიანები კისერზე ლომისის წმიდა გიორგის ტაძარში არსებულ დიდ ჯაჭვს და როგორ მიდიან იქ დაოჯახების, შვილიერებისა და განკურნების სათხოვნელად ........ 12

სექსუალური ტერორის მსხვერპლი მამაკაცი და ურჩი შვილის მიერ მოყვანილი „ავი ძაღლი“ ........ 16

როგორ რომანს უნდა მოერიდოს ჭკვიანი ქალი და რა შეიძლება, ექცეს მას პრობლემად ........ 20

რა მიზეზით შეწყდა კავშირი ოზურგეთსა და რუსეთში მცხოვრებ ნათესავებს შორის ........ 21

რა აუკრძალა საკუთარ თავს კატეგორიულად ზურაბ აბაშიძემ და სად აღარ აპირებდა დაბრუნებას ის არასოდეს ........ 23

რა სასწაული ხდება ყოველ წელს ფერისცვალების დღესასწაულზე და როგორ თავისუფლდება ადამიანი სხეულში დაბუდებული ვნებებისგან ........ 24

რა შემოთავაზებაზე უთხრა უარი ავთო ვარაზმა ელენე ახვლედიანს ........ 30

თვის რომელი დღეა ენერგეტიკულად ძალიან ძლიერი და რაში გვეხმარება ცოცხის რიტუალი, წითელი ვარდის ფურცლებისა და რკოს ჯიბით ტარება ........ 32

რისთვის შექმნეს ქართველებმა პირველად სამკურნალო მელოდია და რა ძალა გააჩნია მუსიკალურ ბგერებს მცენარეების ნაყოფიერებისთვის ........ 36

რატომ უშლიდა ნადეჟდა ალილუევა სტალინს ბერიასთან ახლო ურთიერთობას ........ 37

ეძიე კაცი ........ 38

სახლის თითოეულ ოთახს თავისი დანიშნულება აქვს ჩვენს ცხოვრებაში ........ 41

როცა ქალს უყვარს... ........ 52

ფლორის სამყაროში ........ 54

ადვოკატი გირჩევთ ........ 54

რა იწვევს ავტომობილის ძრავას ხმაურს ........ 55

ვეტერინარის რჩევები ........ 55

კაცობრიობის გადასარჩენად ........ 56

ნივთმტკიცება – რწყილები ........ 59

მაფიის შვილობილი........60

რა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობს მთავრობაში ცნობილი კანონიერი ქურდის, „ენაბლუს“ შვილიშვილი........64

რატომ გააუპატიურა ფოტოსტუდიის ფოტოგრაფმა ახალგაზრდა გოგონა და როგორ გახსნა ჯგუფური გაუპატიურების საქმე ტაქსის მძღოლმა........65

როგორ გახდა უნგრელი ნაცისტების ფიურერი თბილისელი სომხის შვილიშვილი და რა სადღეგრძელო დაამკვიდრა უნგრეთში მან ........ 72

როგორ ამშობიარა პატრულ-ინსპექტორმა ქალი და რა ბედი ეწია პატრულის მიერ ნაპოვნ მილიონებს ........ 75

რა საოცრება ააშენეს ქართველებმა და რატომ დაანგრიეს ის რუსმა ჯარისკაცებმა ........ 76

რა უნდა ვიცოდეთ გარდატეხის ასაკზე და რატომ იღებენ თანხას დაუკითხავად ამ დროს ბავშვები ........ 81



## ყურადღება!

**ავტორიზებული კოლეჯი**

**„ დ ა ს ტ ა ქ ა რ ი “**

**აცხადებს მიღებას**

დასაქმების პერსპექტივით, ახალი სტანდარტით შემუშავებულ პროგრამებზე:

1. კბილის ტექნიკოსი (ერთწლიანი)
2. ექთნის თანაშემწე (წელიწადნახევარი)

ანონსი:

1. ფარმაცევტის თანაშემწე (ორწლიანი)
2. ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი (ექვსი თვე. შესაძლებელია შეღავათები)

მისამართი: თბილისი, უზნაძის ქ. №78

ტელ: 2-961678; 599 761-000




# „ორივე მტკვარში დაგვახრჩობინა“

## „ჩემი გული, შენი გული...“

მას შემდეგ, **რაც რფ-მ ყირიმი უცერემონიოდ მიიერთა, ჩვენებურ სეპარატისტებსაც შეუქანდათ გული**: აფხაზებს იმის შიშით, **ჩვენც არ მიგვიერთონო,** სამხრეთელ ოსებს იმ იმედით – **იქნებ ახლა მაინცო**. თუმცა **ხანი გამოხდა და ორივენი თავიანთ შიშებთან ერთად არიან.**

მეტიც, **ჩვენებურ სამხრეთელ ოსებს გული ძალუმად სწყდებთ, ისე ესურვილებათ შერწყმა,** მეორე მხრივ, **ჩრდილოელი ოსები უკიჟინებენ, დაეტიეთ, სადაც ხართო.**

ერთი სიტყვით, **ვითარება ფრიად დრამატულია, შესაძლოა, ამიტომაც, მათი გამხნევება აწ უკვე რუსმა პოლიტოლოგებმა ითავეს**. სახელდობრ, **სამხრეთელი ოსები დაამშვიდეს, რომ, რაკი რფ დაჩოქილი მდგომარეობიდან დამდგარში ინაცვლებს**, ამ პირობებში **„იუჟნაია ოსეტიას“ მიერთება არაპროდუქტიული იქნებაო.**




თანაც, ირწმუნებიან, **რფ-სა და „იუჟნაია ოსეტიას“ ურთიერთობა იმდენად მჭიდროა, ზედაც, მაღალ რანგშია აყვანილი**, რომ, ფაქტობრივად, **არაფერს შეცვლის მისი ჩვენს წიაღში მიღებაო** (ანუ ამაზე მეტი სიახლოვე წარმოუდგენელიაო!). მეტიც, თურმე, **„200 წელს ითხოვდა საქართველო რუსეთთან შეერთებას, 20 წლის განმავლობაში ითხოვდა იმავეს ყირიმიცო“** (ანუ ჩვენებურ ოსებს ლოდინის მაქსიმალური ვადა 200 წლამდე გაუზარდეს). და იქვე აცხადებენ, რომ **საქართველოს „ნატოში“ გაწევრიანება იქნება ის წითელი ხაზი, რასაც აფხაზეთისა და „იუჟნაია ოსეტიის“ რფ-დ ქცევა მოჰყვებაო.**

მანამდე კი, თუ გავიხსენებთ **ჩრდილოელთა მტკიცებას, ჩვენს შემადგენლობაში მიუღებლადაც ისეთი მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს**, ამაზე მეტი წარმოუდგენელიაო, ვფიქრობ, ჩვენს **სამხრეთელ ოს სეპარატისტებს ისღა დარჩენიათ, შემოსძახონ: „ჩემი გული, შენი გული, ჯაჭვით არის გადაბმული,“** თუმცა ჩვენც შეგვიძლია ხმის შეშველება: **„ორივე მტკვარში დაგვახრჩობინა, შენც დაისვენებ, მეც**“. –

# სეპარატისტული ოცნებები

## „ხიბლავს, მაგრამ ეშინია“

მართალია, **რფ-ში ყოფნა არ უნდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, რფ-ს ჯარიც უნდათ და ფულებიც** – . ამიტომაც **აფხაზეთის „საგარეო საქმეთა“ „მინისტრის მოადგილე“ ირაკლი ხინთბამ** (ირაკლი მაინც არ ერქვას?!) განაცხადა, რომ, **რაკი თბილისი ევროკავშირთან ასოცირებას ოფიციალურად დასთანხმდა და გული კვლავაც მიუწევთ „ნატოსკენ“,** ჩვენც **გვჭირდება შემხვედრი დოკუმენტი რფ-სთან, როგორც „აფხაზეთის სუვერენიტეტის გარანტიო“.**



სახელდობრ (მომყავს ციტატა): „ძირითადი დებულებები უნდა იყოს: **„ურთიერთკოორდინაციის გაზრდა** თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, **აფხაზეთში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება** და მოდერნიზაცია, რუსეთის, ბელორუსისა და ყაზახეთის **ერთიან საბაჟო სივრცეში აფხაზეთის ჩართვის პირობების შექმნა**, ასევე, **ევრაზიული სივრცის ინტეგრაციულ პროცესებში აფხაზეთის სრულფასოვანი მონაწილეობის შესაძლებლობა**.“ ზედაც, დაამატა, **ჩვენ და რუსეთს საერთო საფრთხეები გვაქვსო** (მგონი, აქ ცოტა მეტი მოუვიდა!).

კერძოდ, ბ-ნი ხინთბა დარწმუნებულია, **„უკრაინის მოვლენებმა შეიძლება უბიძგოს დასავლეთს, სხვა რაიონებში იძიოს შური რუსეთზე** (აი, მესმის თვითშეფასება?!)“.

მართალია, **არ მგონია, ვინმეს ამ ჩვენებურ აფხაზ სეპარატისტებზე შურისძიება ჰქონდეს გუმანში**, თუმცა მათი პოზიცია მაინც გაუგებარია: ერთი მხრივ, **თბილისს იმაში ადანაშაულებენ, რომ აფხაზ ახალგაზრდებს დასავლეთში სწავლის საშუალებას არ აძლევს**, ზოგადად **აფხაზებს კი, სხვადასხვა დასავლურ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების ნებას არ რთავსო** (იზოლაციაში გვახრჩობენო), მეორე მხრივ – **რფ-ს ეაჯებიან, დასავლეთისგან დაგვიცავიო**. ხოლო, რაკი გაუგებარია, შესაძლოა, საქმე ასეც იყოს: **„ხიბლავთ, მაგრამ**, რაკი სუსტი გული აქვთ, ცოტა-ცოტა **ეშინიათ“!** –

# გამოდუმებულები

## ანუ „Боже, больных храни“

**გასულ კვირას პრ. პუტინმა ახალი სამფლობელო მოიარა** და **შავ ზღვაზეც** (როგორც ბ-ნი ნათაძე იტყოდა – ვანკასთვის) **შთამბეჭდავად აიცურ-ჩაიცურა**. ხოლო შემდეგ **იალტაში რფ-ის სახელმწიფო „დუმის“ დეპუტატებსაც შეხვდა.** რაკი **ისიც „დუმაშია**“, შეხვედრას **ვლადიმირ ვოლფის ძეც ესწრებოდა** და საკუთარი ინიციატივებით თვით **რფ-ის მრავლისგამგონე პატიოსანნი გვამნიც კი გააკვირვა.**



სახელდობრ, **ინიციატივათა კორიანტელი დააყენა**: აქეთ – **რფ-ის ამჟამინდელი სამფეროვანი დროშა შეიცვალოს იმპერიულით** (შავ-ყვითელ-თეთრფერიანითო), იქით ნაციონალური ჰიმნი (არადა, საცოდავი ისედაც სსრკ-ს დროინდელია) – Боже, царя храни-თო. ზედაც, **საკაზმად მილიტარისტული იდეები მოაყარა** – დავაშინოთ სხვა ქვეყნები ჩვენი პოტენციალითო (სამხედრო ჰქონდა მხედველობაში) და **იმაშიც გამოტყდა, რომ ყირიმში სცხელა** (დაგცხა, ფისო?!) და რომ **რუსულ სახელმწიფოს პროპაგანდის მინისტრი სჭირდება**. სხვათა შორის, **პატიმრების გათავისუფლება და მათი ლუგანსკსა და დონეცკში საომრად გაშვებაც მოითხოვა.**

რაც ყველაზე მთავარია – **პრ. პუტინს ახალი ტიტული – უზენაესი მმართველისა – შესთავაზა**. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს **დანარჩენმა დუმელებმა ვლადიმირ ვოლფის ძის ინიციატივებს სიცილი დააყარეს**, ხოლო თავად **პრ. პუტინმა შენიშნა, რომ ეს ინიციატივები რფ-ში სიტყვის თავისუფლების არსებობის დასტურია** (მეტი არაა ჩემი მტერი!). შესაძლოა, **ამის დასტურიცაა,** მაგრამ, თუ გაიხსენებ, **რომ ასეთი ინიცატივების ავტორებს ცალი თითი ბირთვულ ღილაკზე უდევთ**, ცოტა **უსიამოვნოდ დაგბურძგლავს**. –


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია,
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია წუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ქლენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com

# „გაუმარჯოს გაგებას“

## ანუ „რას დაგამსგავსეს, ჩემო სავლე, ამ გაფუჭებულმა კაცებმა“?!

**ის ვერ მოგვენელებინა ხეირიანად, როგორ დაიხარჯა** ჩვენს ტყავზე ამოღებული გადასახადებითა და ვალებით ნალოლიავები **ჩვენი ბიუჯეტის ფული ხან კბენა-კბენა მასაჟებში, ხანაც – ქიშმირის პალტოებში (**მკერდით მხატვრის ნამუშევრის შეძენაზე აღარაფერს ვამბობ, **რადგან მკერდით, ანუ პრასით მაინც სულ სხვაა**), რომ **არენაზე „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე მიუზიკლის გადაღების მსურველნი გამოჩნდნენ.**



მეტიც, არათუ გამოჩნდნენ, **პირველი კადრებიც შემოგვთავაზეს, ისეთი მოთქმით სატირალი,** რომ, **რაც** „ვეფხისტყაოსნის“ **გმირებს უტირიათ, ის ცრემლიც კი არ გვეყოფა ნანახის გამოსაგლოვად.**

კაცია და გუნება, მაგრამ **რეჟისორი ფრიად გაანაწყენა მასების აღშფოთებულმა ქილიკმა** (თუმცა ტარიელს რომ შეხედავ სასცენო კოსტიუმში, უმალ მტკვარში მოგინდება თავის დახრჩობა – ).

სახელდობრ, **რეჟისორი** (რომელიც, რატომღაც, პირდაპირ რუსთაველს შეეჭიდა, ნუთუ ასე ღრმად შეიცნო?!) **განმარტავს**: „თუ ვინმეს კოსტიუმი არ მოეწონა, ან თუ რატომ მოხდა მიუზიკლის ჟანრში ამ ნამუშევრის გადაწყვეტა და კიდევ სხვა რამ, **ვიმეორებ, ყველას თავის გაგება აქვს, მაგრამ აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ ჩვენი გაგება გვაქვს** (ჰოდა, გაუმარჯოს გაგებას!)“.

იქვე დაამატა, რომ **კომენტარების 99 პროცენტი ძალიან, აი, ძალიან არაკომპეტენტურია**, ამიტომაც აცხადებს, **არაკომპეტენტურ შენიშვნებს ვერ გავიზიარებო** (როგორც შოთა იტყოდა – **„რა ყვავი ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია“).**

ასეა თუ ისე, პატივცემული რეჟისორი ბრძანებს, რომ, **რაკი „ვეფხისტყაოსანი“ ადამიანების მცირე ჯგუფის გარდა არავის სცოდნია, აი, ამ ვაკუუმის ამოვსება სწადია** (და სასაცილოდ რომ გავიხადოთ თავი?!).

მაგრამ, რადგან **გვიკიჟინებს, საბოლოო პროდუქტს დაელოდეთო,** სხვა რა დაგვრჩენია, ლოდინის გარდა, **თუმცა ტარიელის შემხედვარე, რთულია, არ აღმოგხდეს**: **„რას დაგამსგავსეს, ჩემო სავლე,** ამ გაფუჭებულმა კაცებმა“?! –

# ქიშმირის შალი – ბაღდათიდან

## ანუ „რა დაგავიწყდა, ტრიფონ“?!

როგორც გაირკვა, **ერთი თვეა, რაც ჩვენებური პროკურატურა პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ყოფილი პრეზიდენტის მიერ საბიუჯეტო ფულის ხარჯვაზე ინფორმაციას ითხოვს**, გასულ კვირას **გრიფიც მოიხსნა** (უკანონოდ ჰქონდაო მინიჭებული) და **აწ უკვე დოკუმენტურად შევიტყვეთ, თუ რა**



**კარგი გემოვნება ჰქონია ჩვენს პრეზიდენტს** (და მერე რა, რომ ყოფილს), **რარიგ ნაყვარება კარგი ცხოვრება** (ზედაც, ჯანსაღი – მხოლოდ ველოსიპედების დაქირავებაში 35 000?!), **რა ეგზოტიკური ესთეტიკა ჰქონია** (პათოსით: მკერდით მოხატული მაინც სულ სხვაა) და **რაოდენი ვნება საათებისადმი**, რელაქსის სიყვარულზე ხომ აღარაფერს ვამბობ. –

რაკი **ჩამონათვალი იმაზე გრძელია, ვიდრე მაკარის ქალიშვილ ქეთოს მზითვისა,** მხოლოდ **რამდენიმეზე შევჩერდები**: მასაჟისტი **დოქტორ შტეინი ისე შემოიყვანა და გაიყვანა**, რომ **საქართველოს საზღვრის კვეთის ფაქტი არ დაფიქსირებულა** (იმიტომ რომ „პრეზიდენტი ვარ და ქუდი მხურავს“!); **კოსმეტოლოგიურ პროცედურებში 4 წლის განმავლობაში 673 260 ლარი დახარჯა** (თუმცა ირწმუნება, ბოტოქსს არც გავკარებივარო!); **ტანსაცმლის შესაძენად, სულ რაღაც, 115 171 ლარი** (რა ამის პასუხია და მისი სტილისტის ალი კამალის სასტუმროს მომსახურებასა და სამგზავრო ბილეთებში 75 181 ლარი გადაგვიხდია). კერძოდ, **მხოლოდ დიდ ბრიტანეთში 7 პიჯაკსა და, ზედაც, ქაშმირის სპორტულ პალტოში 49 499 ლარი, ხელით ნაკეთი 2 კოსტუმისთვის კი 7 994 ლარიც დაგვიმატებია.**

ასეა თუ ისე, საერთო ჯამში, ამ ეტაპზე **პროკურატურა 9 მილიონამდე ლარის არამიზნობრივ ხარჯვას ედავება**, თუმცა **თავად ყოფილი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს, ბრალდებას – შეთითხნილად** (თვალად არ მინახავს ქიშმირის პალტოო) და **პუტინის ოცნებად** (თვითონაა ბოტოქსიანიო!).

ჰოდა, რაკი ხარჯი ნაქნარია, ჩემდა თავად დავამატებ:

**„–ტრიფონ, შალი ჩამომიტანე, ქიშმირის. შენი მარგალიტა.“** –

# სიკეთისგან შეღონებულები

## ანუ უმორჭმულო

**რათა პირველი უმაღლესი თანამდებობის პირი** (თვით კონსტიტუციით და არა მხოლოდ ჩვენი შოთას აზრით) **გულმოწყალე, „მორჭმული და გამგებიანი“ იყოს, შეწყალების ფუნქციაც ამ მიზეზით მიენიჭა.** და სავსებით **ბუნებრივია, ამ საქმეს თავს ვერც ჩვენი პრეზიდენტი დააღწევდა**. არც დაუღწევია და სულ **ახლახან, 31 ივლისს, შეწყალების კომისიის ახალ თავმჯდომარესთან ერთად, მორიგი აქტიც განახორციელა** (შეწყალებისა, რასაკვირველია).

თუმცა, **ტრადიციულად, პატიმრებს, ვისაც ეკუთვნოდა, მარიამობაზეც იწყალებდნენ**, **გასულ კვირას** შეწყალების კომისიის თავჯდომარე **ბ-ნმა ქორიძემ გაგვიმხილა,** ასეო, ისეო, თქვენი დიდი ხათრი მაქვს, **მაგრამ შეწყალების იმედი არ გქონდეთო**! მიზეზად კი ის მოიტანა, რომ **31 ივლისს პრეზიდენტმა ისეთი მასშტაბური შეწყალება განახორციელა**, ცოტა **სული უნდა მოვითქვათო.**

სახელდობრ, ერთ დროს თავისუფალი სიტყვის მესაჭემ ბრძანა (მომყავს ციტატა): **„31 ივლისს პრეზიდენტმა შეწყალების აქტი გამოაცხადა. საკმაოდ მასშტაბური შეწყალება იყო**. პრეზიდენტმა 280 ადამიანი შეიწყალა, აქედან 169 მსჯავრდებულმა იმ დღესვე დატოვა საპატიმრო.“ ჰოდა, ამიტომაც დაასკვნა, რომ **„ასეთი შეწყალების აქტის შემდგომ 3-4 კვირაში მორიგი შეწყალება ცოტა არაადეკვატურიც იქნებოდა** (მაშ!!!)“.

ოღონდ მთლად **უნუგეშოდაც არ დაგვუტოვებივართ, რამეთუ დაგვპირდა,** რომ **ეს არ ნიშნავს შეწყალების პროცესის შეჩერებას**, განცხადებები შედის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და **მუხლჩაუხრელადაც ვმუშაობთ ჩაუქებიო**.

ჩვენ არ ვიცით, რატომ **აითვალწუნეს პრეზიდენტმა ან შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ**, ან იქნებ ორივემ ერთადაც **მარიამობისთვის შეწყალების დამთხვევა**, მაგრამ, **თუ ბ-ნი ქორიძის სიტყვებს გავიხვენებთ** („ასეთი, ანუ 31 ივლისის შეწყალების აქტის შემდგომ 3-4 კვირაში მორიგი შეწყალება ცოტა არაადეკვატურიც იქნებოდაო), ვითომ **ბალანსის აღსადგენად**, ანუ **მეტი ადეკვატურობისთვის მარიამობის დღესასწაულზე პატიმრებისთვის სასჯელის დამატებას აპირებენ**?! –

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან
ზარი ფასიანია


**ექიმების, ისევე, როგორც სამედიცინო დაწესებულების დამოკიდებულება პაციენტებისადმი ხშირად ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. როგორც ერთხელ ერთმა ყოფილმა პოლიციელმა შენიშნა, თანამედროვე ექიმების ნაწილი ისეთი ინტონაციით ელაპარაკება პაციენტის ოჯახის წევრებს, როგორც მილიციელები ვესაუბრებოდით დამნაშავეებსო. რა უფლებებით სარგებლობენ საქართველოში პაციენტები, რამდენად არიან დაცულნი, რით სცოდავს მედპერსონალი და რა უნდა იცოდნენ მოქალაქეებმა, რომ მაქსიმალურად ისარგებლონ კანონმდებლობით მინიჭებული საჯანდაცვო უფლებებით, საკითხს საქართველოს ბიოეთიკისა და ჯანდაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოების თავმჯდომარე და მასთან არსებული პაციენტთა უფლებების ცხელი ხაზის (2-103-003) პროექტის ექსპერტი, გივი ჯავაშვილი განგვიმარტავს.**

# რატომ ითხოვს საქართველოს კანონი, პაციენტს ეცნობოს ლეტალური დიაგნოზი, არის თუ არა მზად ჩვენი საზოგადოება ასეთი დიაგნოზის მისაღებად და რატომ ურჩევნიათ ექიმებსა და ოჯახის წევრებს პაციენტის მოტყუება

**– რა ფუნქცია აქვს პაციენტთა უფლებების ცხელ ხაზს და ვის შეუძლია ჰქონდეს თქვენი დახმარების იმედი?**

– პროექტის მიზანია პაციენტის უფლებების დაცვის ხელშეწყობა ჩვენს ქვეყანაში. ის ითვალისწინებს პაციენტთა ინფორმირებას მათი უფლებების შესახებ. თუ მათ შეექმნებათ პრობლემა ან კითხვები გაუჩნდებათ სამედიცინო მომსახურების მიღების შესახებ, შეუძლიათ, მიიღონ რჩევა-კონსულტაცია, შესაძლებელია, დავეხმაროთ მათი უშუალო პრობლემის მოგვარებაში სადაზღვევო კომპანიასა თუ სამედიცინო დაწესებულებასთან; მეტიც, შესაძლოა იურიდიული კონსულტაციის გაწევა, იურიდიული დახმარება და სასამართლოშიც კი ადვოკატის ფუნქციის შესრულება.

**– რა უფლებები აქვს მოქმედი კანონმდებლობით, პაციენტს, რამდენად სრულყოფილია ეს უფლებები და აძლევს თუ არა პაციენტს თავისი ძირითადი უფლების დაცვის საშუალებას?**

– საზოგადოებაში არის აზრი და ჩვენი ცხელი ხაზის მუშაობაც ადასტურებს, რომ ჩვენი მოსახლეობისთვის ყველაზე დიდი პრობლემაა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. ამ თემაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს, იმიტომ რომ, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია ქვეყნის რესურსებსა და წყობაზე. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ყველაზე მეტი თანხა იხარჯება მსოფლიოში ერთი ადამიანის ჯანდაცვაზე, სამედიცინო მომსახურებით უკმაყოფილებაც ყველაზე მაღალია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენს ქვეყანაშიც არის ეს პრობლემა. ამდენად, მომართვების 95 პროცენტამდე ეხება სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის პრობლემას. არის კიდევ პაციენტთა ინდივიდუალური უფლებები, რომლებსაც საზოგადოება არ იცნობს, მაგრამ ისინი ძალიან კარგადაა გაწერილი ჩვენს კანონმდებლობაში. იმდენად კარგად, რომ, როდესაც 2000 წელს მივიღეთ პაციენტთა უფლებების შესახებ კანონი, საქართველო ევროსაბჭოს სივრცეში იყო მერვე ქვეყანა, რომელსაც ასეთი გამართული კანონმდებლობა ჰქონდა.



**ჩვენი ტრადიციაა, რომ პაციენტს არ ვეუბნებით რეალურ სურათს. მეც ასე მასწავლიდნენ თავის დროზე. ჰიპოკრატეს დროიდან მოყოლებულია პრინციპი – არ ავნო, რომელიც გულისხმობს, რომ პაციენტმა არ გაიგოს თავისი დაავადების შესახებ**

**– და როგორ სრულდება ეს კარგი კანონი?**

– როგორც გითხარით, კანონში პაციენტის ინდივიდუალური უფლებები კარგადაა გაწერილი და მოიცავს პაციენტის უფლებას, იცოდეს თავისი დაავადების, მდგომარეობის შესახებ; ასევე, პროგნოზისა და გაწეული მომსახურების შესახებ; თუ რა გვერდითი ეფექტები ახლავს მკურნალობას, არსებობს თუ არა ალტერნატიული მკურნალობა და, ცხადია, ჰქონდეს ინფორმაცია მომსახურების საფასურისა და გადახდის მეთოდების შესახებ. მეორე – პაციენტთან შეთანხმების გარეშე არ შეიძლება მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა, პაციენტი უნდა იყოს მონაწილე და გადაწყვეტილების მიმღები. მოკლედ რომ ვთქვა, ეს არის პაციენტის ინფორმირების, ინფორმირებული თანხმობის გაცხადების, ასევე, პირადი ცხოვრებისა და კონფიდენციალობის უფლება. ანუ ჟურნალისტებს, ფინანსურ ინსტიტუტებსა თუ სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებს ხელაღებით არ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია ცალკეული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ეს ძირითადი პრიცნიპები მკაფიოდაა გაწერილი კანონში, მაგრამ მათი განხორციელება ჭირს, ძირითადად, პაციენტთა არაინფორმირებულობის გამო.

**– ჩემი პირადი შთაბეჭდილებით, ექიმთა უმეტესობას არ მოსწონს, როდესაც ფლობ ინფორმაციას საკუთარი დაავადებისა და მკურნალობის მეთოდების შესახებ, ამას პირად შეურაცხყოფად აღიქვამენ, თითქოს ეს მათ პროფესიულ ღირსებას აკნინებს. ეს მე მხვდებიან ასეთი ექიმები თუ ზოგადი ტენდენციაა?**

– პირადად მეც ექიმი ვარ, თუმცა ამწუთას აქტიური პრაქტიკა არ მაქვს, ცხადია, ექიმს უნდა, რომ იყოს კომპეტენტური და თავისი საქმე კარგად აკეთოს, თუმცა კარგ ექიმს სჭირდება მომზადებული და ინფორმირებული პაციენტი. ეს ზოგავს ექიმის დროს, ძალისხმევას და უფრო კარგი შედეგიც მოაქვს მკურნალობას. ის, რაც თქვენ თქვით, ალბათ, მაინც იმის ბრალია, ჩვენ ბოლომდე ვერ დავადექით იმ გზას, რომ პაციენტი უნდა იყოს ჩვენი დამხმარე გადაწყვეტილების მიღებისა და დანიშნულების შესრულებისას.

**ასეთი შემთხვევაც მოხდა: ქალბატონმა უჩივლა ექიმს, რომელსაც პაციენტის ქმართან ჰქონდა კომუნიკაცია და უმალავდნენ, რომ სჭირდა ავთვისებიანი სიმსივნე. ყველა ინფორმაციას ფლობდა პაციენტის ქმარი. ამჟამად ქალბატონი უჩივის ექიმს**

**– თქვენ ჩამოთვალეთ ინდივიდუალური უფლებები, ამ უფლებების არსებობა იმთავითვე იგულისხმება? დამატებითი ხელშეკრულებაც ხომ ფორმდება ხოლმე პაციენტსა და კლინიკას შორის?**

– ეს არის კანონმდებლობით დადგენილი უფლებები და მიუხედავად იმისა, რაზე აწერს ხელს კლინიკაში პაციენტი, კანონი დგას უფრო მაღლა და თუ იქ რაღაც შეუსაბამობაა, პრობლემა წყდება კანონის სასარგებლოდ. კერძოდ, ის, რომ ექიმს არ აქვს პაციენტის საიდუმლოს გაცხადების უფლება; პაციენტის ნების გარეშე არაფერი არ უნდა გაკეთდეს. თუ ამ უფლებების რეალიზება რაღაც მიზეზების გამო არ შეუძლია პაციენტს, მაშინ ამ უფლებებით სარგებლობს მისი კანონიერი წარმომადგენელი.

**– სამედიცინო პერსონალის არცთუ მცირე ნაწილი ძალიან უპატივცემულოდ ეპყრობა პაციენტებსა და პაციენტის ოჯახის წევრებს. მე ამას პირადადაც შევსწრებივარ, სხვის ნაამბობს არ ვყვები.**

– თუ მოქალაქეები მოგვმართავენ, ვისაც მსგავსი პრობლემა შეექმნა, ჩვენ ამას ჩავიწერთ, გავაანალიზებთ, მივმართავთ შესაბამის დაწესებულებებს და შემდეგ შევისწავლით. ნებისმიერ შემთხვევაში, განსაკუთრებულია ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა. ასეთი შემთხვევების მოსმენისას პირველი რეაქციაა სამედიცინო პერსონალის განკითხვა. ეს ბუნებრივია, მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან დიდი გაფრთხილება უნდა ამ ურთიერთობას.

**– თუ ექიმი თავად არ უფრთხილდება მის ურთიერთობას პაციენტთან, მე რატომ უნდა გავუფრთხილდე?**

– ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა ყველაზე სათუთია. თუ მხოლოდ ნეგატიური ფაქტები მივაწოდეთ საზოგადოებას და, თუ ისე განეწყო, რომ ექიმისა და ჯანდაცვის სისტემის ნდობა არ შეიძლება, კარგი ექიმიც დაიჩაგრება. თუ პაციენტის გვერდით ყველა შემთხვევაში დადგება ადვოკატი და უფლებადამცველი, ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობა იკარგება, ამიტომ, რაც თქვენ ბრძანეთ, უნდა ითქვას გაუმჯობესების სურვილით. მაგრამ, თუ აქედან გამომდინარე, დასკვნა იქნება, რომ ყველა ექიმი არაპროფესიონალი და წამგლეჯია, ამით დაზარალდება ყველა.

**– მაგალითად, ძალიან კონკრეტულ ადამიანს ჰქონდა ავთვისებიანი სიმსივნე საჭმლის გადამამუშავებელ ერთ-ერთ ორგანოზე. გაუკეთდა ოპერაცია, ჩაუტარდა ქიმია და მეცხრამეტე პოლიკლინიკის ონკოლოგთან იკითხა, ხომ არ ეკუთვნოდა პენსია, რაზეც ონკოლოგმა უპასუხა, რომ პენსიას მაშინ დაუნიშნავდნენ, როდესაც 2-დან 6 თვემდე სიცოცხლე დარჩებოდა. ამ დიაგნოზის მქონე ადამიანს არ ეკუთვნის პენსია, მაგრამ ნუთუ ჩვენი ჯანდაცვის სისტემა უკვე ასე ზუსტად ადგენს ავადმყოფის გარდაცვალების თარიღს?**

– შეშლია ექიმს, არსებობს სპეციალური სამედიცინო პროგრამა – განუკურნებელ პაციე-

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით



**ქუჟუნა საველიძე** *(67 წლის, თბილისი).*

**დიაგნოზი:** *წელის მალების ოსტეოქონდროზი, მუხლში სითხე და მარილები (გონართროზი).* სამი წლის წინ საშინელი ტკივილები დამეწყო წელის არეში, რომელიც მთელ ფეხში გადაეცემოდა. აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი. არ დამრჩა ექიმი, რასაც კი ყურს მოვკრავდი, ყველგან დავდიოდი, მაგრამ, ოდნავაც ვერავინ მიშველა. არ მშველიდა არანაირი წამალი თუ გამაყუჩებელი. ვერც ვწვებოდი, ვერც ვდგებოდი, ძილი მენატრებოდა. როდესაც ყველა იმედი გადამეწურა, მაშინ შევიტყვე ქალბატონი მანანა ალექსიშვილისა და მისი კლინიკის შესახებ. მივედი და ჭეშმარიტი სასწაული მოხდა: პირველივე სეანსის შემდეგ ვიგრძენი შვება და ღამით ნორმალურად მეძინა. 15 სეანსის შემდეგ სავსებით განვიკურნე. მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ მანანას და მთელ პერსონალს პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისთვის.

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

# ბუასილი მარტივად იკურნება

**ომარ ვაშაძე** *(52 წლის. მძღოლი. რუსთავი).*

– 10-15 წელია, ბუასილი მაწუხებს. თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ, ბოლო ორი-სამი წელია, მდგომარეობა მკვეთრად გამიუარესდა – დამეწყო ძლიერი ტკივილები, რომელიც 7-8 საათს გრძელდებოდა. აფთიაქში რა სანთელი და მალამოც არსებობს, ყველაფერი გამოვცადე, თუმცა, შედეგი ვერ მივიღე. შემდეგ პროქტოლოგს გავესინჯე და დიდი ზომის ნაპრალი აღმომაჩნდა. გავიკეთე ოპერაცია, მაგრამ, მალე ისევ ტკივილები დამეწყო. აქ ახლობელმა მომიყვანა. რომ მივედი, ტკივილისგან სკამზე ვერ დავჯექი. მკურნალობა დავიწყე. იმ საღამოსვე ვიგრძენი შეღავათი, მეორე დღეს კი ტკივილი თითქმის გაქრა. ასევე, მომიწესრიგდა კუჭის შეკრულობა, შეწყდა სისხლდენა. ნეტავი თავიდანვე აქ მოვსულიყავი. აშენდა ამათი ოჯახი!

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედაშვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**


...ნტთა პალიატიური მკურნალობის შესახებ, რაც გულისხმობს პალიატიურ მზრუნველობას როგორც შინ, ისე სტაციონარში. ამ პროგრამაში პაციენტის ჩართვის კრიტერიუმი, სამწუხაროდ, ასეთია: პაციენტის სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. ამერიკაშია ასეთი მიდგომა და ჩვენთან, ალბათ, იქიდანაა გადმოტანილი. ექიმები ამას არ ეთანხმებიან, ფიქრობენ, რომ სხვაგვარი მიდგომა უნდა იყოს.

**– მესმის, მაგრამ ეთქვა, რომ პენსია არ ეკუთვნოდა, რა საჭირო იყო დაზუსტება, ორ თვეში მოკვდებოდა თუ 6 თვეში?**

– ეს კიდევ სხვაა, კერძოდ, კომუნიკაციის პრობლემა. ჩვენთან მომართვების დიდი ნაწილი სწორედ კომუნიკაციის ნაკლებობის ბრალია. პარალელურად, ვასწავლი სამედიცინო უნივერსიტეტში და პირველ-მეორე კურსზე შემოვიღეთ საგანი, რომლის მიზანიცაა პაციენტთან სწორი კომუნიკაციის დამყარების უნარის განვითარება მომავალ ექიმში. მეექვსე კურსზე უფრო რთული საკითხებია, როგორ უთხრა პაციენტს ფატალური დიაგნოზი. ჩვენი კანონმდებლობა ამას ითვალისწინებს.

**– მაგრამ პრაქტიკაში ნაკლებად იყენებენ. სხვანაირადაა მიჩვეული ჩვენი საზოგადოება და ურჩევნია, არ იცოდეს, რა ელის, თუ ცუდი რამ ელის.**

– დიახ, უმრავლესობა ძველ წესს მისდევს. ოჯახის წევრების ნებას დაჰყვება და ექიმიც და ოჯახის წევრებიც ხშირად ატყუებენ პაციენტს.

**– მენტალურად ვიყავით მომზადებული ამ ჩანაწერისთვის კანონში? ანუ მომზადებულები ფატალური დიაგნოზის გასაგებად?**

– ჩვენი ტრადიციაა, რომ პაციენტს არ ვეუბნებით რეალურ სურათს. მეც ასე მასწავლიდნენ თავის დროზე. ჰიპოკრატეს ცნობილი პრინციპი – „არ ავნო“ – ასე იყო გაგებული – პაციენტმა არ უნდა იცოდეს თავისი დაავადების შესახებ, რაც მოიცავს პაციენტისთვის ისტორიის არ მიცემას, შემოვლითი გზით ინფორმირებას ოჯახის წევრებისა და სამედიცინო დაწესებულების. თუმცა, თუ ჩვენს კულტურულ ტრადიციებს გავყვებით, ჩვენი მსოფლმხედველობით, ადამიანი დღევანდელი დღით კი არ ცხოვრობს, არამედ, ემზადება იმქვეყნიური ცხოვრებისთვის და მისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იცოდეს, რა ელის. ამიტომ არ მგონია, რომ ჩვენს წინაპრებს უმალავდნენ ჯანმრთელობის რეალურ მდგომარეობას. საერთოდ, ტყუილი არ უნდა უთხრა ადამიანს. თუ ადამიანს პატივს სცემ, რატომ მოატყუებ?! ღმერთმა გაშოროთ და კიდევ 100 წელს არ დაგჭირდეთ ექიმისთვის მიმართვა, მაგრამ ისურვებდით, ეთქვათ ფატალური დიაგნოზი?

– **დიახ.**

– თქვენს ახლობელს?

**თუ ექიმს აქვს დასაბუთებული ინფორმაცია, რომ პაციენტს ჰქონდა სუიციდის მცდელობა, დეპრესია, მას შეუძლია, ოღონდ სხვა ექიმებთან შეთანხმებით, მიიღოს გადაწყვეტილება: არ მიაწოდონ ინფორმაცია პაციენტს**

– **მირჩევნია, არ უთხრან.**

– ჩემმა კოლეგებმა ჩაატარეს ასეთი გამოკითხვა და უმრავლესობამ თქვა, მე მინდა, რომ მითხრან, მაგრამ ჩემს ახლობელს არ უნდა უთხრან. ანუ გამოვიდა, რომ გამოკითხულებს სჭირდებოდათ ეს ინფორმაცია, სხვები კი, მათი აზრით, ამას ვერ გადახარშავენ. მას შემდეგ შეიცვალა მიდგომა, რაც საფუძველი ჩაეყარა პაციენტის უფლებებს. მიჩნეულია, რომ, თუკი პაციენტმა სიმართლე არ იცის, ის გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. ძველ დროში თქვენი ყაიდის ადამიანსაც არ ეტყოდნენ არაფერს. ბოლო წლებში კი ასეთი შემთხვევაც მოხდა: ქალბატონმა უჩივლა ექიმს, რომელსაც პაციენტის ქმართან ჰქონდა კომუნიკაცია და მას კი უმალავდნენ, რომ სჭირდა ავთვისებიანი სიმსივნე. ყველა ინფორმაციას ფლობდა პაციენტის ქმარი. ამჟამად ქალბატონი უჩივის ექიმს.

**– და ცალსახად მოუგებს პროცესს ექიმს?**

– სხვათა შორის, კანონმდებლობაში არის გამონაკლისი: თუ ექიმს აქვს დასაბუთებული ინფორმაცია, რომ პაციენტს ჰქონდა სუიციდის მცდელობა, დეპრესია, მას შეუძლია, ოღონდ სხვა ექიმებთან შეთანხმებითა და მათი ერთობლივი დასკვნის საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება: არ მიაწოდონ ინფორმაცია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ, თუ ქმედუნარიანი პაციენტი დაჟინებით მოითხოვს თავისი ავადმყოფობის ისტორიას, რა დასკვნაც უნდა დაწეროს კონსილიუმმა ან ექიმმა, პაციენტმა უნდა მიიღოს ინფორმაცია თავისი ავადმყოფობის შესახებ.

– **თქვენც ბრძანეთ, რომ მომართვების 95 პროცენტი ეხება სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის პრობლემას. წანარჩენი 5 პროცენტი რა დარღვევებს უჩივის სამედიცინო პერსონალის მხრიდან?**

– არაინფორმირებულობა, პაციენტის ღირსების შელახვა, მისადმი დამოკიდებულება, პირადი ცხოვრების კონფიდენციალობის დაცვა, არჩევნის უფლება. როგორც წესი, ინდივიდუალური უფლებები ნაკლებად ხდება მომართვის საგანი, ძირითადად საუბარია სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე – როდესაც პაციენტი ფიქრობს, რომ ეკუთვნის ესა თუ ის სამედიცინო მომსახურება და არ უწევენ ან საერთოდ არ იცის, რომ ასეთი და ასეთი სამედიცინო მომსახურება ეკუთვნის. არის შემთხვევები, როდესაც მეორე მხარე უარს ეუბნება.

**– ჩემი გამოცდილებით, თუმცა პაციენტები უჩივიან ექიმთა მხრიდან მოპყრობას, მაგრამ უფრთხიან ამაზე ხმამაღლა ლაპარაკს. თქვენთან მომართვისას არ ერიდებიან სამედიცინო პერსონალთან ურთიერთობის გაფუჭებას?**

– სწორად შეგინიშნავთ. მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ, ვინ დარეკა ჩვენთან, მაგრამ არ ვიცით, რამდენი რეკავს უკმაყოფილო ყოველი ასი ადამიანიდან. ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ რაოდენობით, ვინც გვიკავშირდება. ანუ ჩვენი სტატისტიკაც არ ასახავს რეალობას, თუმცა შეგვიძლია, ვიმსჯელოთ იმით, თუ რა ხდება მათ შემთხვევაში, ვინც მოგვმართა. მათი დიდი ნაწილი, ვინც მოგვმართავს, შემდეგ უარს ამბობს, დაუპირისპირდეს სამედიცინო პერსონალს ან მიმართოს შემდგომ ინსტანციებს.

**ნინო ხაჩიძე**

**მართალია, ჯერ პროცესი ბოლომდე არ მისულა, მაგრამ აშშ-ის საკანონმდებლო ორგანომ უკვე მიმართა თავის პრეზიდენტს, რომ საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეების სტატუსი მიენიჭოთ და საქმესაც ისეთი პირი უჩანს, ამ ინიციატივას happy end-ი ექნება. რას ნიშნავს აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირეობა და რა ტიპის დახმარებას უნდა ველოდოთ ჩვენი ოკეანისგაღმელი სტრატეგიული პარტნიორისგან, – თემას სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე განგვიმარტავს.**

# რას ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოს მოკავშირედ აღიარება და რა ტიპის დახმარების გაწევა გაუადვილდება აშშ-ის ადმინისტრაციას ბიუროკრატიული ბარიერების გვერდის ავლით

**– რას გულისხმობს აშშ-ის მოკავშირეობა და ამერიკის რა ტიპის დოკუმენტებშია გაწერილი ამ ტიპის თანამშრომლობის დეტალები?**

– თავიდანვე დავაზუსტოთ, რომ ორი განსხვავებული თემაა: ერთია სტრატეგიული პარტნიორობა, რომელიც ორი ქვეყნის კეთილი ნების დემონსტრირებაა. ისინი აღიარებენ ერთმანეთს სტრატეგიულ მოკავშირეებად და ეს არის ორმხრივი ვალდებულება. ამის დეკლარირების შემდეგ, ბუნებრივია, სტრატეგიული პარტნიორობა გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებსაც, იმისდა მიხედვით, რა შესაძლებლობები აქვს ამა თუ იმ ქვეყანას. ასეთი ტიპის ურთიერთობის დეკლარირება ჩვენ უკვე მოვახდინეთ და საქართველო ამერიკისთვის, ისევე, როგორც ამერიკა საქართველოსთვის მიიჩნევა სტრატეგიულ პარტნიორად.

**– 2009 წლის იანვარში გაფორმებულ ქარტიას გულისხმობთ?**

– დიახ. იქ იყო საუბარი ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და ბოლომდე არ არის მისული; დემოკრატიის მხარდაჭერაზე, გარკვეულ სამხედრო თანამშრომლობაზე. ყოველ შემთხვევაში, ეს მაინც იყო პოლიტიკური აქტი, საგარეო პოლიტიკური აქცენტების დემონსტრირება. განსხვავებულია ის ვითარება, რაზეც თქვენ მკითხეთ: ეს არ არის ქართული სახელმწიფოს მხრიდან არანაირი ვალდებულება ან საქართველოს ძალისხმევის შედეგი. ეს არის გარკვეულწილად ამერიკის, როგორც სახელმწიფოს თავისებურება. მას გააჩნია საკმაოდ ძლიერი ფინანსური, სამხედრო-ტექნიკური რესურსი და როდესაც ქვეყანას ანიჭებს გარკვეულ სტატუსს, ეს ნიშნავს, რომ აშშ გამოყოფს თავის გარკვეულ რესურსს იმისთვის, უზრუნველყოს ამ სახელმწიფოს ეკონომიკური ან სამხედრო უსაფრთხოება და დაეხმაროს მას.



**სანამ რუსეთი არ დაიწყებს ფართომასშტაბიან მოქმედებებს უკრაინის წინააღმდეგ, მანამდე არავინ ეცდება საქართველოს ტერიტორიაზე ქვედანაყოფების განთავსებას**

**– გასაგებია, რომ აშშ-ის ნებაა, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანას აღიარებს მოკავშირედ, მაგრამ იმ მეორე მხრიდან თანხმობა არ სჭირდება? თუ იციან, რომ უკვე თანახმანი ვართ?**

– თანხმობა არის შემდგომი პროცესი. მარტივად რომ ვთქვათ, როდესაც ომის საშიშროებაა, აშშ შეიმუშავებს გარკვეულ პოლიტიკას, სტრატეგიას, რომელიც არის ძალიან მოქნილი, მაგრამ ზოგადი და შემდეგ ეს სტრატეგია იღებს კონკრეტულ ფორმებს. მაგალითად, როდესაც აშშ ჯერ კიდევ არ იყო ჩართული გერმანიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში, აშშ-ის საკანონმდებლო ორგანომ პრეზიდენტს მიანიჭა უფლება, ზედმეტი ბიუროკრატიის გარეშე განეხორციელებინა ღონისძიებათა მთელი წყება. მათ შორის, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური დახმარება აღმოეჩინა ქვეყნებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ან შეეძლოთ, შეესრულებინათ ფაშიზმთან ბრძოლაში, იმისდა მიუხედავად, იყვნენ თუ არა ჩართულნი საბრძოლო მოქმედებაში. ანუ, ფაქტობრივად, ხელ-ფეხი გაუხსნა ადმინისტრაციას იმისთვის, რომ, სამხედრო საჭიროებიდან გამომდინარე, ემოქმედა დამოუკიდებლად. იმავე დემოკრატიით განთქმულ რომში, სადაც კონსულიც კი ორი ჰყავდათ, რომლებსაც ერთმანეთის ნებართვის გარეშე არ შეეძლოთ გარკვეული ღონისძიებების გატარება, არსებობდა დიქტატორის ინსტიტუტი. როდესაც ერთ-ერთი ან ორივე კონსული შეარჩევდა პირს, რომელიც 6 თვის განმავლობაში აბსოლუტური ძალაუფლებით აღიჭურვებოდა და სენატს არ ეკითხებოდა ამა თუ იმ ღონისძიებაზე ნებართვას, დაახლოებით ასეთივე მექანიზმია ამ ტიპის კანონპროექტებში ჩადებული: როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ამა თუ იმ სახელმწიფოს ენიჭება სტრატეგიული პარტნიორის სტატუსი, ადმინისტრაცია თავისუფლდება ზედმეტი ბიუროკრატიული, გნებავთ, დემოკრატიული ტვირთისგან, რომ ყველა ნიუანსზე მოახსენოს პარლამენტს და მიიღოს ნებართვა.

**– კონკრეტულად ჩვენს მაგალითზე ვთქვათ, რა ღონისძიებების გატარება შეეძლება აშშ-ის პრეზიდენტს ჩვენ მიმართ მოკავშირის სტატუსის მინიჭების შემდეგ?**

– თუ საქართველოს, უკრაინას ან მოლდოვას დასჭირდება დახმარება, ამერიკის ადმინისტრაციას შეუძლია, დაჩქარებული წესით მიიღოს გარკვეული ფინანსური ან სხვა ღონისძიებათა გეგმა და ამისთვის არ დასჭირდეს სენატის თანხმობა. ამ კანონპროექტში კეთილი ნება იმთავითვეა გამოხატული, ადმინისტრაციას კი აქვს აბსოლუტური თავისუფლება მოქმედებაში. ავიღოთ კონკრეტული მაგალითი: აშშ-ის ადმინისტრაციას ძალიან სჭირდება საქართველო „აისაფის“ მისიაში, მას და პენტაგონს კარგად ესმით ქართველი სამხედროების როლი ამ მისიაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დაძლეული ეგრეთ წოდებული ლიცენზირების ბარიერი. იმისთვის, რომ საქართველომ იარაღი შეისყიდოს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, საკმარისი არ არის მხოლოდ ადმინისტრაციის ნება, ამას სჭირდება ლიცენზირების პროცედურების გავლა და სენატის თანხმობის გარეშე, საქართველო სამხედრო დანიშნულების ჭანჭიკსაც კი ვერ იყიდის ამერიკაში.

**– და ამ ბარიერს ხსნის ეს მოკავშირის სტატუსი.**

– როდესაც ეს კანონპროექტი კანონად იქცევა, ადმინისტრაციას შეუძლია, არა მხოლოდ ახალი ფინანსური რესურსები გამოითხოვოს სენატიდან, არამედ თავისი, პენტაგონის უკვე დამტკიცებული რესურსებიც გამოიყენოს, რომ დაეხმაროს საქართველოს, როგორც მოკავშირეს. აქ მხოლოდ თანხაზე არ არის საუბარი: თანხა და რესურსი, ეს დახმარებები მრავალპლანიანია და მარტო ტანკითა და საბრძოლო თვითმფრინავით ან ფინანსებით არ შემოიფარგლება. აქ საუბარია დაჭრილებისთვის სისხლზე, ტანსაცმელზე…

**– ოღონდ წყალი არ გვინდა.**

– შეიძლება, წყალიც დაგვიჭირდეს. სტანდარტული ღონისძიებები მოიცავს ყოველმხრივ დახმარებას. 2008 წელს მაშინდელი პოლიტიკური ხელძღვანელობის სიბეცის გამო მოხდა, რაც მოხდა, თორემ, ადრე თუ გვიან, წინააღმდეგობაში მაინც მოვიდოდნენ რუსეთი და ევროპა და ახლა გაცილებით მარტივი იქნებოდა ჩვენი მიზნების მიღწევა.

**– სულ იმაზე ვფიქრობ, ახლა რომ 2008 წლის 7 აგვისტომდე მოცემულობა იყოს როგორც ტერიტორიული, ისე პოლიტიკური, რამდენად დიდი შანსები გვექნებოდა: არც ერთი ჩვენი სეპარატისტული ტერიტორია არ იყო აღიარებული, აქეთ – დიდი ლიახვის ხეობასა და ახალგორს, იქით – კოდორის ხეობას ვაკონტროლებდით და იქ ქართველები სახლობდნენ. რას ნიშნავს აშშ-ის ასეთი ჟესტი, რა უთხრა ამით რუსეთს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა?**

– ის, რომ ზესახელმწიფომ გვაღიარა, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო, კარგია სტრატეგიულ ჭრილში, მაგრამ დღეს გვიწევს ბეწვის ხიდზე სიარული, რადგან ჩვენი ნებისმიერი ფრაზა და ქმედება ასაწონ-დასაწონია, რომ დროზე ადრე არ აღმოვჩნდეთ ჩათრეულნი ამა თუ იმ კონფლიქტში.

**– დროზე ადრე, ანუ ნებისმიერ შემთხვევაში აღმოვჩნდებით ჩათრეულნი?**

– რაკი ამერიკამ მიიღო ასეთი კანონპროექტი, ეს არის დემონსტრირება იმისა, რომ ამერიკა შეშფოთებულია რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებით; რუსეთ-„ნატოს“ დაპირისპირება გაშიშვლებულია და ალბათობა იმისა, რომ ეს გადაიზრდება სამხედრო კონფრონტაციაში, ძალიან მაღალია. დაწესებული ეკონომიკური სანქციები მნიშვნელოვანია, მაგრამ შედეგს გამოიღებს გარკვეული დროის შემდეგ. ამიტომ ეს არის ერთი ფაზა, თუმცა არ არის გამორიცხული, ეკონომიკური სანქციების მიუხედავადაც, რუსეთმა დაიწყოს ავანტიურისტული მოქმედება, რომ პუტინმა შეინარჩუნოს ძალაუფლება. ამ სცენარების განხილვა შორს წაგვიყვანს, მთავარია ის, რომ ორივე მხარე – რუსეთიც და ამერიკა-დასავლეთიც – ამ მოვლენებს უყურებს, როგორც ომის ერთ-ერთ ეტაპს და საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვა შტატებში მიმდინარეობს ინტენსიურად. ომებს აქვს მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა გეოგრაფიული, ეკონომიკური და ფინანსური კატეგორიებით აპელირება. ჩვენ იმ გეოგრაფიულ არეალში ვიმყოფებით, რომ ვართ ამ გეგმების შემადგენელი ნაწილი. შესაბამისად, ჩვენგან დამოუკიდებლად შეიძლება, აღმოვჩნდეთ ამ მოვლენებში, მაგრამ გარკვეულწილად დაბალანსებული პოლიტიკით შეგვიძლია, რაც შეიძლება, შორს გადავწიოთ ეს საფრთხე და არ აღმოვჩნდეთ წამგებიან პოზიციაში. ოღონდ, ნებისმიერ ვარიანტში, ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დაპირისპირების დასრულების შემდეგ, ჩვენ აღმოვჩნდებით ძალიან მომგებიან სიტუაციაში: ჯერ ერთი, ვიმყოფებით რა ფრონტის წინა ხაზზე, ასევე, უკრაინასა და მოლდოვას გვერდით ვართ ამ კანონპროექტის შემადგენელი ნაწილი; მეორე – ჩვენ ვართ მნიშვნელოვანი დასავლური უსაფრთხოებისთვის და მესამე – მთავარი საფრთხე, რამაც გამოიწვია ეს დაძაბულობა, არის სეპარატიზმი, რაც ჩვენი მთავარი პრობლემაა, იმიტომ რომ, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის რღვევა მოხდა არა მხოლოდ ოკუპაციის გამო, არამედ სეპარატიზმიც იქნა გამოყენებული. ახლა დასავლეთმა აღიარა, რომ სეპარატიზმი არის უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი

# როგორ გამოიცვალა გიორგი მღებრიშვილმა 4 თანამდებობა 2013 წლის განმავლობაში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი გიორგი მღებრიშვილი 1970 წელსაა დაბადებული თბილისში. უმაღლეს განათლებას თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე დაეუფლა, სადაც 1990-1996 წლებში სწავლობდა. სამუშაო გამოცდილების მიღება 1997 წლიდან დაიწყო, შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტში სტაჟიორად; 1998 წლიდან 2004-მდე კი შსს-ს გამომძიებლად იმუშავა. იმავე წელს ფინანსთა სამინისტროში გადავიდა, სადაც 2007-მდე ფინანსური პოლიციის გამომძიებელი იყო. 2007 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საბაჟო კონტროლის განყოფილების უფროსად დაინიშნა, 2008-ში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის საგადასახადო ინსპექციის საბაჟო ოპერაციების დამუშავების განყოფილების უფროსად გადაიყვანეს, 2008-დან 2010-მდე კი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, რუსთავის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილეც იყო. 2010-2011 წლებში იმავე ფუნქციას ფოთის საგადასახადო ინსპექციაშიც ასრულებდა. 2011 წელს შემოსავლების სამსახურის ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დასავლეთის პორტალის მთავარი სამმართველოს უფროსი გახდა. შემდეგ, 2012 წლამდე შემოსავლების სამსახურის საგადასახადო პრევენციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ იმუშავა, 2012 წელს კი შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ გაამწესეს. 2012 წლის ნოემბრიდან შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსად დანიშნეს, 2013-ში რამდენიმე თვით სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ ამუშავეს, იმავე წელს ორიოდე თვით შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს მთავარი სამმართველოს უფროსადაც მოასწრო მუშაობა, კიდევ ორიოდე თვით ისევ შემოსავლების სამსახურშიც დაბრუნდა – საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მრჩევლად, 2013 წლის დეკემბერში კი ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორად დაინიშნა, ხოლო სულ ახლახან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრად მოგვევლინა.



გიორგი მღებრიშვილმა თავისი პირველი დეკლარაცია 2013 წელს შეავსო, როგორც შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსმა. ოჯახის წევრებად მიუთითა მამა – ანზორ მღებრიშვილი, დედა – მაყვალა ბერიძე, მეუღლე – ნინო გედევანიშვილი და შვილი – ელენე მღებრიშვილი.

ოჯახის უძრავი ქონება შემდეგნაირადაა გადანაწილებული: გიორგი მღებრიშვილის საკუთრებაა მიწის ნაკვეთი წავკისში (900 კვ. მ.), საცხოვრებელი სახლი წაღვერში, ალმაშენებლის ქუჩაზე (1 000 კვ. მ. ფართობის); ანზორ მღებრიშვილს კი ეკუთვნის საცხოვრებელი სახლი თბილსიში, ფოთის ქუჩაზე (100 კვ. მ. ფართობის), მაყვალა ბერიძეს – საცხოვრებელი სახლი წაღვერში, მარიჯანის ქუჩაზე (550 კვ. მ. ფართობის) და მიწის ნაკვეთი წაღვერში, ბორჯომ-ბაკურიანის გზაზე (2 000 კვ. მ. ფართობის), ნინო გედევანიშვილი კი ფლობს საცხოვრებელ სახლს თბილისში, ყაზბეგის ქუჩაზე (120 კვ. მ. ფართობის). იმხანად ავტომანქანა მხოლოდ გიორგი მღებრიშვილს ჰყავდა – „ოპელ ომეგა".

დეკლარაციაში, რატომღაც მითითებული არ არის, სად მსახურობდნენ გიორგი და ანზორ მღებრიშვილები 2012 წლის განმავლობაში, თუმცა აღნიშნულია, რომ ხელფასის სახით, 2012 წელს გიორგი მღებრიშვილმა 39 950 ლარი მიიღო, ანზორ მღებრიშვილმა – 6 000 ლარი.

2014 წელს გიორგი მღებრიშვილმა დეკლარაცია შეავსო, როგორც რწმუნებულ-გუბერნატორმა და ამჯერად ოჯახის წევრებად მხოლოდ მეუღლე და შვილი მიუთითა. მათი უძრავი ქონება შემდეგნაირია: გიორგი მღებრიშვილის საკუთრებაა: მიწის ნაკვეთი წავკისში, მიწის ნაკვეთი წაღვერში, ბინა თბილისში, ფოთის ქუჩაზე, მიწის ნაკვეთი წაღვერ-ბაკურიანის გზაზე (ადრე მაყვალა ბერიძის საკუთრებაში მყოფი) და კიდევ ერთი მიწის ნაკვეთი წაღვერში, ალმაშენებლის ქუჩაზე (90 კვ. მ. ფართობის). ნინო გედევანიშვილს კვლავ აქვს საცხოვრებელი ბინა ყაზბეგის ქუჩაზე. გიორგი მღებრიშვილს კი ამჯერად ავტომანქანა „მერსედესი" ჰყავს (რომელიც 2013 წელს შეუძენია 17 000 ლარად). იმ წელს ცოლ-ქმარს დეკლარაციის შევსების მომენტში ნაღდი ფულიც ჰქონიათ: გიორგი მღებრიშვილს – 20 000 ლარი, ნინო გედევანიშვილს – 7 600 ლარი. ნინო გედევანიშვილს 2013 წელს მუშაობაც დაუწყია – „ლიბერთი ბანკის" ოპერატორად და 2013 წლის განმავლობაში ანაზღაურებად 10 070 ლარიც მიუღია, ხოლო გიორგი მღებრიშვილს, როგორც საბაჟო დეპარტამენტის უფროს მრჩეველს – 41 262 ლარი. თუმცა 2013 წლის განმავლობაში 12 000 აშშ დოლარის ოდენობის იპოთეკური სესხის მომსახურება 4 500 ლარი დასჯდომია.

**ნინო ხაჩიძე**

---

დამანგრეველი. ჩამოგდებული „ბოინგიც" ამის შედეგია, რითაც აღმოჩნდა, რომ ყველაზე უცოდველ სეპარატისტსაც კი შეუძლია დააყენოს მსოფლიო პრობლემის წინაშე. ამიტომ, როდესაც ეს კონფლიქტი დასრულდება, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა ამ კონფლიქტის შემადგენელი ნაწილი სამხედრო მოქმედებები, ამ სივრცეში აღარ იარსებებს არც ერთი სეპარატისტული რეგიონი.

**– იმას ამბობთ, რომ ეს კონფლიქტი ცალსახად ამერიკის, დასავლეთის გამარჯვებით დასრულდება?**

– არ მინდა, პროგნოზი გავაკეთო, მაგრამ, თუ ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალით ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალები ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული იყო მსოფლიოში და მას ჰყავდა საკმაოდ მძლავრი მოკავშირეებიც, გერმანიამ რესურსების გამო და იმიტომაც, რომ მისი პოტენციალი გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე მისი მოკავშირეების, ეს ომი წააგო. მე არ ვიცი, ხვალ რუსეთი მოახერხებს თუ არა ჩინეთის მოკავშირეობას, მაგრამ ამ ეტაპზე რუსეთის სამხედრო მოკავშირეები არიან აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი", ალბათ, დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებიც გახდებიან და სირია. ამ მოკავშირეებით რუსეთის პოტენციალის ერთობლიობა საკმაოდ ჩამორჩება მოწინააღმდეგე ბანაკის პოტენციალს. ამიტომ მგონია, რომ რუსეთის მარცხი გარდაუვალია. საქმე ის არის, როგორი იქნება ეს მარცხი: იმპერიის ჩამოშლა თუ საზავო ხელშეკრულება, რომელშიც რუსეთი თავის კაპიტულაციას ღირსეულად შეხვდება.

**– თუ ჩვენი მონაწილეობით დადებულ საზავო ხელშეკრულებებს გავიხსენებთ, ჩვენ აზრს არავინ გვეკითხებოდა და, როგორც წესი, სხვები ზავდებოდნენ ჩვენი ტერიტორიების ხარჯზე.**

– მაგრამ ეს იმ ტიპის ზავი იქნება, როგორიც იყო ვერსალი, პოტსდამი. აქ საუბარია იმაზე, როდესაც ერთი მხარე არის გამარჯვებული და მეორე მხარე აცხადებს კაპიტულაციას. ამდენად, ეს საზავო ხელშეკრულება არ იქნება იმ ზავების მსგავსი, რაც ჩვენ გვქონია. ასეთი კატაკლიზმების მერე დადებული ხელშეკრულებები 30-50 წლის შემდგომ განსაზღრავს უსაფრთხოების არქიტექტურას. ვფიქრობ, ამ არქიტექტურაში სეპარატიზმს ადგილი არ ექნება. გასაგებია, რომ ჩვენი მთავარი პრობლემაა ტერიტორიული მთლიანობა და ამ მარტივი ლოგიკიდან გამომდინარე, მხარე უკვე არჩეული გვაქვს. ამდენად, წყნარად და დინჯად უნდა დაველოდოთ შედეგებს.

**– თქვით, რომ მოკავშირის სტატუსი გულისხმობს დახმარებების ფართო სპექტრს, შედის ამაში ამერიკის სამხედრო დანაყოფების ფიზიკურად განთავსება საქართველოს ტერიტორიაზე? იმ სცენარის შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთი დაიშლება, ჩრდილოკავკასიელებისგან თავის დაცვა მათ გარეშე წარმოუდგენელი მგონია.**

– თუ რუსეთის დაშლა პროგნოზირებადი იქნება, დაგვეხმარებიან, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები იმ დონეზე არ დარჩეს, რა დონეზეც დღესაა. სამხედრო მოქმედებების თეატრი ამ ეტაპზე შემოსაზღვრულია უკრაინით, იმიტომ რომ, რუსეთს არ აქვს ფიზიკური ძალა, კავკასიაც მოიცვას. სანამ რუსეთი არ დაიწყებს ფართომასშტაბიან მოქმედებებს უკრაინის წინააღმდეგ, მანამდე არავინ ეცდება საქართველოს ტერიტორიაზე ქვედანაყოფების განთავსებას.

**– უკრაინაში უკვე დაწყებულია, ანუ იქ განათავსებს?**

– სანამ დაპირისპირება საბრძოლო მოქმედებების ფაზაში არ გადავა, არც იქ განათავსებენ. ამ ეტაპზე ეს არ არის დაპირისპირება დასავლეთსა და რუსეთს შორის, მაგრამ არ არის გამორიცხული, თუ მსხვერპლი გაიზარდა, ეკონომიკური სანქციები გამკაცრდეს და ფიზიკური დახმარება უკრაინის შეიარაღებული ძალებისთვის გაიზარდოს. მე მაინც ვფიქრობ, რომ სამხედრო ქვედანაყოფებს არ განათავსებენ, სანამ შეუქცევადი არ გახდება პროცესი, რომ რუსეთი დაიწყებს უკრაინის სამხედრო ინტერვენციას. ყველას ინტერესია, რომ საბრძოლო მოქმედებები არ დაიწყოს, რადგან, რაც უნდა ხანმოკლე აღმოჩნდეს ისინი, მსხვერპლი მაინც დიდი იქნება.

**– ნაკლებად მჯერა, რომ პუტინმა ასე მარტივად დათმოს და კაპიტულაცია აღიაროს.**

– მე ვფიქრობ, როდესაც ადამიანს რამდენიმე ათეული მილიარდი აქვს, ის ასეც მოიქცევა. მას არ აქვს ვაჟკაცობა, რომ ჰიტლერივით კაპიტულაციას თვითმკვლელობა ამჯობინოს. კაპიტულაცია იქნება ქვეყნისთვის გადადგმული ნაბიჯი, რომ რუსეთი არ ჩამოიშალოს. მოაწეროს ხელი კაპიტულაციას, გადადგეს და დაელოდოს...

**– რუსეთის ჩამოშლას, რომელიც მის მიერ კაპიტულაციაზე ხელის მოწერის შემდეგ მაინც ჩამოიშლება?!**

– რატომ?! რუსეთს თავისი პოტენციალი არ ამოუწურავს. უბრალოდ არ უმართლებს, იმიტომ რომ, ხშირად მისი პოლიტიკური ლიდერები იქცევიან, როგორც დამპყრობლები. ხშირად ისეთ პოლიტიკურ მეთოდებს იყენებენ საკუთარი მოსახლეობისადმი, როგორიც მონღოლებსაც კი არ გამოუყენებიათ.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი

0 9 0 2 2 0 0 2 0 0

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

**არავისთვისაა დიდი საიდუმლო, რომ თანამედროვე ქართველები, ზოგადად, პასუხისმგებლობის, მაინცდამაინც, გამძაფრებული გრძნობით არ გამოვირჩევით. შესაბამისად, ეს ნაკლი საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ვლინდება და პირად ურთიერთობებშიც. განსაკუთრებით თვალშისაცემია მამაკაცების უპასუხისმგებლობა, რადგან ქალების შემთხვევაში, დედობის ინსტინქტი ბუნებრივად აყალიბებს პასუხიმგებლობის განცდას. მეორე მხრივ, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ისიც ფაქტია, რომ სწორედ ეს პასუხისმგებლიანი ქალბატონები ახერხებენ საკმაოდ უპასუხისმგებლო მამაკაცების აღზრდას (ვაჟიშვილების სახით). რა თავისებურებებით ხასიათდება შვილების აღზრდის ქართული სისტემა, რატომ ირიყება ამ პროცესიდან მამა და რა როლს ასრულებს დედა ვაჟიშვილის ხასიათის ფორმირებაში, ამ არცთუ იოლი თემის დეტალებს საკონსულტაციო ცენტრ „სახლის“ ხელმძღვანელი, ექსპერტი რუსუდან ფხაკაძე განგვიმარტავს.**

# რატომ ინაწილებენ ქართველი კაცები არაქართველ ცოლებთან საშინაო საქმეებს და რატომ არის ქართველი ცოლის ქმართან ურთიერთობის ფორმატი შეურაცხმყოფელი

**– პასუხისმგებლობის სიმწირე აშკარაა. როგორ ხდება, რომ პასუხისმგებლობის მქონე ქალი, რატომღაც, ზრდის საკმაოდ უპასუხისმგებლო მამაკაცს?**

– ძალიან რთული კითხვაა, იმიტომ რომ, თავისთავად, პასუხისმგებლობა მამაკაცებსაც აქვთ, მაგრამ გააჩნია, რაში. მათ ახასიათებთ არჩევითი პასუხიმგებლობა, მაშინ, როდესაც ქალებს, თუ აქვთ პასუხისგმებლობის გრძნობა, ყველაფერში აქვთ: სამსახურში, ოჯახში, მეზობლებისა თუ ნათესავების მიმართ ურთიერთობაში. მამაკაცებს გამოკვეთილად აქვთ პასუხისმგებლობა სამსახურის მიმართ. ამის უკან დგას, რას იტყვის ხალხი, მე რომ კარგი ბიჭი ვარ, ყველამ უნდა დამინახოს და ეს ნიშნავს ნაკლებ პასუხისგმებლობას ურთიერთობებში. ურთიერთობა ძალიან უჭირთ ქართველ მამაკაცებს.

**– გულისხმობთ ურთიერთობებს ქალებთან?**

– დიახ, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში, სასიყვარულო იქნება ეს თუ სექსუალური, პასუხისგმებლობას ძალიან ძნელად იღებენ მამაკაცები, თორემ სამსახურის მიმართ...

**– მეგობრების მიმართ.**

– დიახ, ამ ტიპის ურთიერთობებში მაღალი აქვთ პასუხისგმებლობის გრძნობა, მაგრამ რაც ყველაზე რთულია, ანუ ვიწრო, ინტიმურ ურთიერთობებში ძალიან უჭირთ, იმიტომ რომ, იქ მართლაც ჩანს შენი პიროვნული კოეფიციენტი და პასუხისმგებლობის ხარისხი, იქ ვერსად დაიმალები. იმავეს გამოხატულებაა ბავშვების აღზრდის პროცესში მათი არმონაწილეობა. ახლა თითქოს შეიცვალა მიდგომა და იღებენ მონაწილეობას ბავშვების აღზრდაში, მაგრამ, როგორც კი კონფლიქტური მდგომარეობა იქმნება, როდესაც შვილი განსხვავებულ აზრებსა და შეხედულებებს გამოთქვამს, მამაკაცები თავს აღარ იწუხებენ ამ პასუხისმგებლობით. შეუძლიათ, შეტრიალდნენ და ამ დროს რა უნდა ქნას დედამ? ის, რასაკვირველია, მარტო რჩება ამ პრობლემის წინაშე.



ინტიმურ ურთიერთობებში მამაკაცებს ძალიან უჭირთ, იმიტომ რომ, იქ მართლაც ჩანს შენი პიროვნული კოეფიციენტი და პასუხისმგებლობის ხარისხი, იქ ვერსად დაიმალები. იმავეს გამოხატულებაა ბავშვების აღზრდის პროცესში მათი არმონაწილეობა

**– მე მგონია, რომ, თუ კაცს შეუძლია, მოატყუოს ცოლს ან პარტნიორ ქალს, მას შეუძლია, მოატყუოს ნებისმიერს: თანამშრომელს, მეგობარ, მეზობელს. მამაკაცები ირწმუნებიან, ეს ასე არ არისო. მაშინ როგორ არის?!**

– არა, სწორედ ესაა პრობლემა: მათთვის საქმე სრულიად განსაზღვრულია, არანაირ მოულოდნელობებს არ უკავშირდება, დიდ შინაგან ემოციურ წვასა და ხარჯვას არ მოითხოვს. ზუსტად იცის, ამას გააკეთებს და ასეთ შედეგს მიიღებს. საპირისპირო სქესთან ურთიერთობა კი მოითხოვს პლასტიკურობას, მზაობას, რომ გამოხატო შენი გრძნობები, გააგებინო მეორე ადამიანს. სამსახურში ძალიან თუ არ გამოხატავ, რა ხდება შენს შიგნით, შეიძლება, ძალიან კარგი მუშაკი იყო და ძალიან პასუხისმგებელი პიროვნების შთაბეჭდილებაც დატოვო. აქ კი სულ სხვა პლასტზეა საუბარი – ემოციურ ურთიერთობებში ისინი თავს მეტად დაუცველად და უმწეოდ გრძნობენ, ამიტომ ურჩევნიათ, დატოვონ ბრძოლის ეს ველი, ვიდრე სცადონ, ისწავლონ და არ შეეშინდეთ მარცხის.

**– მაგრამ ეს ხომ დეზერტირობაა?**

– შეიძლება, დავარქვათ დეზერტირობაც, ინფანტილური ურთიერთობების მოდელი თუ დედების გაზრდილი კაცების თავისებურება, რომ ყველა ქალი მაინც დედაა და მათ უნდა იზრუნონ მათზე. ზრუნვა მაინცდამაინც ფულის შემოტანა ხომ არ არის?! ემოციურ პლანში ქართველი მამაკაცები მაინც დედებს ეძებენ, ამდენად, ეს უპასუხისმგებლობაც აქედან მოდის.

**– შვილების მიმართ მამების უპასუხისმგებლობაც ამ მოდელით, ემოციური ურთიერთობების შიშით იხსნება?**

– შვილებთან ურთიერთობაში ხომ დედაა მაინც წამყვანი?! ამიტომ შვილები გადაბარებულები ჰყავთ დედებისთვის და თავიანთ მონაწილეობას საჭიროდ არ თვლიან. ერთი სიტყვით, რაც გამოსდით, იმას აკეთებენ, რაც არ გამოსდით, არც ცდილობენ, რომ ისწავლონ.

**– არის მეორე მხარე, ერთიც მგლისკენო და ამ მამაკაცებს აჩენს და ზრდის ქალი, ესე იგი, ქალის პასუხისმგებლობაცაა, რომ ასეთებად ყალიბდებიან. ქალიც გამოდის დამნაშავე ამაში?**

– არა, ქალი არ გამოდის დამნაშავე. იმ ურთიერთობის შედეგად, რომელიც ქალსა და მამაკაცს შორის არის ჩამოყალიბებული წლების განმავლობაში, ქალი ვერ არის რეალიზებული თავის ინტიმში და ეს ინტიმი არ ნიშნავს, მაინცდმაინც, სექსუალურ ურთიერთობას: ინტიმი არის ემოციური ურთიერთობები. როდესაც ამის დეფიციტია წყვილს შორის, მთელი ეს ემოციები, რომელიც აქვს ქალს, გადააქვს შვილზე და მისდა უნებურად აპარაზიტებს მას, აუვნებელყოფს, რომ მასში ჩამოყალიბდეს ემოციური ზრუნვა სხვა ადამიანის მიმართ. შვილი იზრდება მოდელში, რომ დედა წყვეტს ყველაფერს და როდესაც თქვენ მთლიანად უზრუნველყოფილი ხართ, აღარ იზრუნებთ საკვების მოპოვებაზე. ამიტომ ყოველი ქალი მამაკაცისთვის მაინც არის იმ დედის სიმბოლოს მატარებელი, რომელმაც შეიძლება, შენ მოგიძღვნას ყველაფერი, შენ კი არაფერიც არ მიუძღვნა ემოციურ პლანში. ოჯახური კონფლიქტები და გაუგებრობები აქედან მოდის.

**– ანეკდოტი გამახსენდა: ინგლისელს ჰყავს ცოლი და საყვარელი, მაგრამ უყვარს ცოლი; ფრანგს ჰყავს ცოლი და საყვარელი, მაგრამ უყვარს საყვარელი, ქართველსაც ორივე ჰყავს, მაგრამ უყვარს დედა.**

– ჩვენი სადღეგრძელოები გაიხსენეთ: დედის, სამშობლოსი, მეგობრების. ქალისადმიც დეკლარირებულია დამოკიდებულება, მაგრამ ემოციური, ქმედითი დამოკიდებულება ძალიან სუსტია.

**– დღეგრძელობისას მიმიქცევია ყურადღება: ძირითადი აქცენტი ბედნიერ დედობაზეა. მამაკაცები ნაკლებად უსურვებენ ხოლმე ქალებს, იყავი ბედნიერი, როგორც ქალიო.**

– იმიტომ რომ, ეს უკვე ბოზობის ტოლფასია. გაგახსენებთ ერთ-ერთ ბოლო მკვლელობას, როდესაც ყოფილმა ქმარმა მოკლა ყოფილი ცოლი: საზოგადოება სადღაც მაინც ამართლებს მკვლელს, იმიტომ რომ, ის ქალი თურმე ბოზი ყოფილაო. არადა, კეთროვანი იყო, ბოზი თუ შეურაცხადი, არანაირი უფლება არ აქვს ერთ ადამიანს მეორის გაწირვის, მაგრამ, მენტალობაში ამას რაღაც გამართლებას რომ უძებნიან, ეს ფსიქიკური აღქმის, მენტალობის ძალიან მნიშვნელოვან დაზიანებაზე მიუთითებს.

**– მაგრამ ეს ემოციურად არარეალიზებული ქალი ზრდის შვილ გოგონასაც და ვაჟსაც. გოგონა რატომ გამოდის უფრო ნორმალური პიროვნულად, ვიდრე – ვაჟი?**

– იმიტომ რომ, გოგონას მიმართ ამხელა ემოციებს არ ამჟღავნებს დედა. გოგონა აღიქმება, როგორც დამხმარე, მაინც ჩემნაირია და ჩემი ბედი უნდა გაიზიაროს. ეს არაცნობიერად დევს დედაში. ვაჟი კი არის მამაკაცთან არარეალიზებული ურთიერთობების გადა-

ჟურნალი „თბილისელები“ მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს ისტორიკოს მანანა ხომერიკს, მეუღლის,

**თენგიზ მაღლაკელიძის**

გარდაცვალების გამო.

ტანის საშუალება და ძალიან ღრმა ფსიქოლოგიაში შევალთ, ამის განხილვა რომ დავიწყოთ. ზედაპირზე ჩანს, რომ მამაკაცები უპასუხისმგებლოები არიან ემოციურ ერთიერთობებში და აქვთ ეს პასუხისმგებლობა საქმეში, სინამდვილეში კი ეს არის მათი უუნარობა ინტიმურ ურთიერთობებში და უნარიანობა – საქმეში.

**– თუმცა, თუ ჩვენი ქვეყნის სტატუსსა და რუკას შევხედავთ, არ მგონია, დიდად იცოდნენ და გამოსდიოდეთ საქმიანი ურთიერთობები.**

– დილიდან ღამემდე სამსახურში არიან, საქმეს აკეთებენ, სხვა თემაა, რა ხარისხით და როგორი გონებრივი და ზნეობრივი მონაცემების კრებადობით, ეს სულ სხვა პრობლემაა, მაგრამ 24 საათს სამსახურში რომ არის ადამიანი, ეს თავისთავად მაინც არის პასუხისმგებლობის გამოხატვა. ასე მთლიანადაც ვერ გადავუსვამთ ხაზს.

**– რა ტიპის კულტურებისთვისაა დამახასიათებელი ასეთი ტიპის მამაკაცები?**

– კოლექტივისტური კულტურებისთვის. ინდივიდუალისტური კულტურებისთვის – ნაკლებად, სადაც ბავშვს 16 წლის ასაკიდან დამოუკიდებლად უშვებენ. ჩვენთან კი ბავშვი ყველა ასაკში ბავშვია: 45 წლისაა თუ 60-ს?! ხშირად გავიგონებთ: ჩემი ბიჭი, ჩემი სიამაყე, ჩემი იმედი. ის ყოველთვის შვილია; შვილი კი ხომ ის არის, ვისზეც ზრუნავენ?! ამიტომ, როდესაც ვინმე მოგეახლება ქალის სახით, მანაც ხომ ასევე უნდა იზრუნოს შენზე?! იმიტომ რომ ასეთი მოდელი გაქვს ჩამოყალიბებული.

**– მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რა ასაკში ხარ, მშობლებისთვის მაინც შვილად რჩები, ანუ ეს როლი მაინც გვრჩება მთელი სიცოცხლის განმავლობაში.**

– რასაკვირველია, მაგრამ, როდესაც გოგონა წამოიზრდება, მას უყურებენ, როგორ დამხმარეს, ვაჟი კი ყოველთვის საფუფუნებელი არსებაა.

> **შეიძლება, დავარქვათ დეზერტირობაც, ინფანტილური ურთიერთობების მოდელი თუ დედების გაზრდილი კაცების თავისებურება, რომ ყველა ქალი მაინც დედაა და მათ უნდა იზრუნონ მათზე**

**– მე არ მყავს ვაჟიშვილი, ნეტავ, მეც ასე გავზრდიდი?**

– მე ორივე მყავს და ჩემდაუნებურად ვიჭერ თავს, უბრალოდ ვაკონტროლებ ხოლმე, რადგან მენტალობას ვერც ჩვენ გავემიჯნებით, რაც უნდა დიდი ფსიქოლოგები ვიყოთ.

**– ყოველთვის არარეალიზებულები იყვნენ ჩვენთან ქალები და უპასუხისმგებლო ვაჟებს ზრდიდნენ?**

– გასულ კვირას იყო ცოტნე დადიანის ხსენების დღე, ის ისტორიას შემორჩა, როგორც გმირი, მაგრამ, თუ გმირობაა სხვების ბედის გაზიარება, როდესაც ქვეყნის უსახელო გმირი ქალები, რომლებიც ასევე იზიარებდნენ სხვების ბედს, არ შემორჩენია ისტორიას?! ყოველთვის დასაფასებელი იყო კაცის გამზიარებლობა.

**– ნორმაა, რომ ქალი დარჩეს მკვდარი ქმრის სახელზე, მარადიულ ქვრივად. ანუ ქალისგან თითქოს მოითხოვენ გამზიარებლობას და ეს მისი ბუნებრივი მდგომარეობაა.**

– ხალხიც მოუწოდებს ქალს, რომ მუდმივად იგლოვოს გარდაცვლილი ქმარი. ამ ლოგიკით, თავის დროზე, ბელადებს სიკვდილის შემდეგ ზედ აკლავდნენ საყვარელ მხევლებსა და ცოლებს და ატანდნენ ყველაფერს, რაც ამ ცხოვრებაში უყვარდა. ჩვენთვის ქალს ბუნებრივად შეუძლია, იყოს მარტო, აი, კაცი კი ცოდვაა ცოლის გარეშე, აბა, რას იზამს მარტო?! ყველგან დევს გენდერული უთანასწორობის მომენტები.

**– ერთნაირი ტიპის ფეოდალიზმი გავიარეთ ჩვენც და დასავლეთ ევროპამაც. შესაბამისად, მათაც იგივე დამოკიდებულება ჰქონდათ ქალისადმი, როგორც ჩვენ, მაგრამ მათ დაძლიეს ეს გენდერული უთანასწორობა, ჩვენ – ვერა. როგორ მოახერხეს?**

– ევროპამ ეს მოახერხა ისევ იმით, რომ მაინც იდვივიდუალისტური მიდგომა ჰქონდათ როგორც საკუთარი პერსონისადმი, ისე სხვებისადმი. ჩვენ კი ყოველთვის ვამბობთ, ჩვენ. რას ნიშნავს ეს ჩვენ?! არადა, მე მე ვარ, შენ – შენ, ის – ის. არ უნდა გადაჰყვე არავის, არც შვილს და თუ გადაჰყვები, არ უნდა წამოაძახო მთელი ცხოვრება, შენ შემოგწირე ყველაფერიო, რადგან ეს შენთვის არავის დაუვალებია. ჩვენ კოლექტივისტური მიდგომა გვაქვს: ჩვენ უფრო მაღლა დგას, ვიდრე – მე.

**– როგორ უნდა ვასწავლოთ ემოციურ ურთიერთოებში პასუხისმგებლობა ჩვენს თანამედროვე მამაკაცებს?**

– ჩვეულებრივად, სიყალბის გარეშე უნდა უთხრათ, რომ დღეს არ გინდათ, გააკეთოთ საჭმელი ან მოუაროთ, იმიტომ რომ, თქვენი საქმე გაქვთ, სერიალს უყურებთ ან სხვა რამეს აკეთებთ. უპირობო მზაობა გადასაფოფრად არ არის საჭირო.

**– ოპონენტები გეტყვიან, მაშინ სხვას იპოვის, ვინც უპირობოდ დაურეცხავს და დაულაგებს, ოღონდ იყოს მომვლელი და არა ქალი.**

– ისევ ქალს შეუძლია ამის გამოსწორება. იმ გარემოს შეცვლა, სადაც იზრდება მამაკაცი, რომ ეს დაზიანებული მოდელი არ ჩამოუყალიბდეს, რომელსაც შემდეგ მთელი ცხოვრების განმავლობაში რეალიზებას უკეთებს და თვითონაც იტანჯებიან ამის გამო. არ ესმით, რატომ არის ამდენი კონფლიქტი ინტიმურ სფეროებში, ამიტომ საპასუხოდ, ცოლი საერთოდ აღარ მოჰყავთ, მთლიანად გადაერთვებიან სამსახურზე ან ბერბიჭებად რჩებიან, ან თუ გაეყრებიან ცოლს, აღარ ოჯახდებიან.

**– ისიც ფაქტია, რომ რუს და უკრაინელ ქალებთან ნაკლებ პრობლემურ ოჯახებს ქმნიან.**

– იმიტომ რომ ეგრევე იწვრთნებიან, იქაურ ქალებს შინაგანად აქვთ: ახლა შენ გააკეთე, რადგან გუშინ მე გავაკეთე. ასეთ მიდგომას ბუნებრივად ატარებენ შინაგანად. აქვთ მოთხოვნები და ამ მოთხოვნების ფორმატიც არ არის შეურაცხმყოფელი. ქართველი ქალი, როგორც წესი, შეურაცხმყოფელი ფორმით ავლენს ამ მოთხოვნებს. არადა, ეს ბუნებრივად უნდა იყოს, ისევე, როგორც რძალ-დედამთილს შორის ურთიერთობაშიც. უნდა თქვა, ახლა არ მაქვს სურვილი, რომ გავაკეთო სადილი და არა დაძაბული ტონით – ახლა კეთილი ინებე და შენ გააკეთე. რატომღაც, ურთიერთობებში სულ ნიშნის მოგებისა და უპირატესობების დამტკიცების პოლიგონად ქცევის დაუცხრომელი მოთხოვნებია.

**ნინო ხაჩიძე**

KUZANOV DENT

უპრეცედენტო
ა ქ ც ი ა
„კუზანოვ დენტში“

მხოლოდ
20 აგვისტოდან
8 სექტემბრის
ჩათვლით...



გაიარეთ უფასო კონსულტაცია კლინიკის წამყვან სპეციალისტ ლევან სამხარაძესთან და მიიღეთ მნიშვნელოვანი ფასდაკლება ლითონო-ფაიფურის, ცირკონის კბილებზე, ასევე, „ცერეკზე“.

ჩაწერა წინასწარ.

არ გაუშვათ შანსი ხელიდან, გახადეთ თქვენი ღიმილი უფრო მომხიბვლელი ხელმისაწვდომ ფასად!

*ჯანმრთელი კბილები სილამაზის მთავარი პირობაა!*

ტელეფონი:
233 33 01; 599 988 025
მისამართი:
ასლანიდის №14.

**„...ღმერთს თუ შეუდგებით, სულიერი კურნება უკვე დაწყებულია, ბედნიერების გზაზე უკვე შემდგრები ვართ. აღარ მოხვიდეთ აქ ჯანმრთელობის პრობლემებით, არც სხვაგან მიხვიდეთ, სანთელი არ დაანთოთ იმ ვედრებით: ღმერთო, მე კარგად მამყოფე, ღმერთო, ჩემი ცოლ-შვილი იყოს ჯანმრთელი, საბანკო ანგარიშები იყოს სტაბილური – ნუ ევედრებით ასეთი ვედრებით. ეს ბუნებრივად მოხდება და გამოსწორდება, თუ ჩვენ ღმერთთან სულიერ მამაშვილობას გამოვასწორებთ, ღმერთს სულიერი თვალის ახელას, სულიერ გამოფხიზლებას შევთხოვთ...” – სქემარქიმანდრიტი იოანე (სერაპიონ ჯიშკარიანი).**

# რატომ იდებენ ადამიანები კისერზე ლომისის წმიდა გიორგის ტაძარში არსებულ დიდ ჯაჭვს და როგორ მიდიან იქ დაოჯახების, შვილიერებისა და განკურნების სათხოვნელად

**დავით გაჩეჩილაძე** ***(საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თანამედროვე მწერალი, მხატვარი):*** ლომისის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია ისტორიულად უკავშირდება საქართველოში ჯალალ-ედ-დინის შემოსევას. მტერი „აღაოხრებდეს საქართველოსა, არბევდეს და ტყვე-ჰყოფდეს და სრულად ხოცდეს და არავინ იყო ნუგეშინისმცემელი მათი... გაგრძელდა ესევითარი ჭირი და ზეგარდამომავალი რისხვა ხუთისა წლისა ჟამთა“. მტერმა მაშინ არაგვის ხეობაც დაარბია და 7 000 არაგველი ტყვედ წაასხა. ტყვეებს თან მთიულეთის მთავარი სიწმინდე – გზოვანის წმიდა გიორგის ხატი წაუღიათ. გადმოცემით, ამ ძლიერ ხატს ხვარაზმელთა (ხორასნელთა) მხარე „შეუკრავს“ – დედამიწას ნაყოფი აღარ გამოუღია, ადამიანი და საქონელი გაბერწებულა... ერთი სიტყვით, ქვეყანა დაღუპვის პირას მისულა. თავზარდაცემულ სულთანს მკითხავები უხმია. მათ მოუხსენებიათ: უბედურების მიზეზი გურჯისტანის ხატიაო. საკირეში ჩააგდეთო, მყისვე უბრძანებია სულთანს. ასეც მოქცეულან, მაგრამ უვნებელი ხატი საკირიდან ამოფრენილა და იქვე, მოვლენილი თეთრი ხარის რქაზე დაბრძანებულა. ხარი და ხატი მანამ არ დაძრულან ადგილიდან, სანამ სულთანს ყველა ტყვე არ გაუთავისუფლებია. მაინც დაჰკლებიათ ერთი კოჭლი დედაკაცი, რომელიც ვიღაც ხორასნელს მოახლედ წაუყვანია. ის ქალიც სასწრაფოდ მოუძებნიათ და ხატიანი ხარიც, 7 000 ტყვედყოფილის თანხლებით, საქართველოსკენ დაძრულა. გზად, სადაც კი ხარს შეუსვენია, ხალხს ყველგან ნიში აუგია. შინ დაბრუნებული ხარი, ყველას გასაკვირად, გზოვანის მთაზე კი არ ასულა, ერთ ციცაბო ბილიკს შესდგომია. ქსნისა და არაგვის ხეობათა წყალგამყოფ ქედამდე მიუღწევია და იქ, უსულოდ დაცემულა. ხატიც იქვე დაფრენილა. ამ მთის წვერიდან არაგვამდე ხალხი ჯაჭვად გაბმულა და ტაძარი აუშენებია. რაკი ხარს ლომა ერქვა, სალოცავსაც ლომისას წმიდა გიორგი უწოდეს. ამის შემდგომ ტყვედყოფილები არაგვის ხეობაში გაფანტულან და მადლიერების ნიშნად, წმიდა გიორგის სახელზე საყდრები აუშენებიათ. იქიდან მოყოლებული, უკვე რვა საუკუნეა, სულთმოფენობის შემდგომ ოთხშაბათს, მლოცველებით – ლომისას უნჯი, ანუ, ძირძველი ყმებით ივსება ძველი საყდარი. „ღმერთო, გაუმარჯვე დიდ ლომისას წმიდა გიორგის, ხორეშანით მობრძანებულს, შვიდი ათასი ტყვის მხსნელს, ქსნისა და არაგვის თავდამყუდებელს“, – ილოცებიან მთიულნი. ქსნისა და არაგვის ერისთავებს შორის ხშირად ხდებოდა მტრობა, დაპირისპირება და სწორედ ლომისის მონასტერი იყო ის სალოცავი, სადაც ხდებოდა შერიგება, დაფიცება. ამიტომაც ის არის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ერთიანი საქართველოს სიმბოლო. მნიშვნელოვანია ერთი მომენტიც: ჯალალ-ედ-დინიც კი არ შესულა ქსნის ხეობაში. ქსნის ხეობა არასდროს ყოფილა მტრის მიერ დაპყრობილი. ეს მხოლოდ ახლა ხდება: იქ დღეს დგას რუსეთის საოკუპაციო ჯარი, რომელსაც მიერთებული აქვს ეგრეთ წოდებული ლენინგორის რაიონი. სინამდვილეში, ეს არის ახალგორი, ქსნის ხეობა, ძირძველი ქართული მიწა. ძალიან მნიშვნელოვანი და სიმბოლურია ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ქედის წვერზე, რომელიც ერთგვარი წყალგამყოფი, ცაგამყოფი და ასევე, ზღვარგ-



ამყოფია ბოროტსა და კეთილს შორის, მიმდინარეობს მონასტრული ცხოვრება, მოღვაწეობენ ქართველი ბერები. ლომისის მონასტრის საძმო მთის წვერზე მლოცველი

**როგორც ნამდვილ სალოსებს სჩვევიათ, სქემარქიმანდრიტი იოანე ასეთ რამეს არასდროს იმჩნევს – კუთხეში გადგმება ხოლმე, შეიძლება, ხატზე დაიწყოს, ან ველოსიპედზე დაჯდეს, ანუ რაღაც მოულოდნელი გააკეთოს – თითქოს ის არაფერ შუაშია**

განდეგილები და საქართველოს სულიერი მესაზღვრეები არიან.

**– რა ბედი ეწია წმიდა გიორგის სასწაულმოქმედ ხატს?**

– ლომისის ტაძრის ტრაპეზზე შეწირული ხატებია დასვენებული. არავინ იცის, სად არის ლომისის სასწაულთმოქმედი ხატი. შიშიანობის დროს დეკანოზებს გადაუმალავთ და სანაცვლოდ, მისი მსგავსი ვერცხლის ხატი მოუჭედინებიათ. გადამალული ხატი ველარ უპოვიათ. ასლი ახლა მლეთის ეკლესიაშია დაბრძანებული. ლომისის მონასტრის მუხის კარს რკინა აქვს გადაკრული, რომელზეც თვრამეტსტრიქონიანი ხუცური წარწერა ამოუჭრიათ. ამ წარწერიდან ირკვევა კარის შემჭედი ოსტატების, პურისა და რკინის შემომწირველთა ვინაობა. წარწერა მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. კარს ოთხ მწკრივად რგოლები დაუყვება. ღამის დარაჯი, ეკლესიაში ქურდი რომ არ შეპარულიყო, ამ რგოლებს ფეხზე აყენებდა. თუ კარს ვინმე მიადგებოდა და წვალებას დაუწყებდა, რგოლები ცვიოდა და ხმაური დაძინებულ დარაჯს აღვიძებდა. თუკი მცველი დღისით დატოვებდა ეკლესიას, რგოლებს ისე აწყობდა, რომ უკან დაბრუნებულს შეემჩნია, ვინმე ხომ არ მიჰკარებოდა ტაძრის კარს. ლომისის კარის შესახებ ასეთ ამბავს ჰყვებიან: ერთხელ მთაზე მეფის ჯარს შეუსვენია. მოშიებულ მოლაშქრეებს კერძის მოსახარშად შეშა ვერ უპოვიათ. მეთაურის ბრძანებით, ლომისის კარი ჩამოუხსნიათ, დაუპიათ და იმით დაუნთიათ ცეცხლი. უჭამიათ თუ არა, ყველა დაბრმავებულა. მეთაური ლომისას შევედრებია, თვალის ჩინი დაგვიბრუნე და ტაძარს რკინის კარს შევაბამო. ჯარს თვალი ახელია და სარდალს მადლობის ნიშნად, ეს კარი შეუბამს.

**– ლომისის წმიდა გიორგის სახელთან კიდევ ერთი ტრადიციაა დაკავშირებული – ეკლესიაში ინახება დიდი ზომის ჯაჭვი, რომელსაც ადამიანები მხრებზე იდებენ და ასე უვლიან ეკლესიას გარშემო. რასთან არის დაკავშირებული ეს ტრადიცია?**

– დიახ, ტაძარში ახლაც ინახება საყელურიანი დიდი რკინის ჯაჭვი. ეს საყელური ხარის შესაბმელ ჯაჭვთან არის გაიგივებული. თუმცა, რეალურად, ხარი ამხელა ჯაჭვს ვერ ატარებდა. დაახლოებით 20 კილოს იწონის და ლომისობაზე, როდესაც ბევრი ადამიანი მოდის, ისინი ერთდროულად იდებენ კისერზე. დღემდე ამ ჯაჭვს ბურდულები ფლობენ. ვისაც აღთქმა აქვს დადებული ან აღთქმის დადება უნდა, ანდა რაიმეს ევედრება წმინდანს, ამ ჯაჭვს კისერზე იდებს და ტაძარს სამგზის შემოუვლის ლოცვით. ზოგს ეს წარმართობის გადმონაშთი ჰგონია, მაგრამ ეს ასე არ არის. ეკლესია ამ ტრადიციას არც გმობს და არც ხელს უწყობს. ჯაჭვის კისერზე დადებით, წმიდა გიორგისთვის ყმობის გამოცხადების ტრადიცია საქართველოში სხვაგანაც ყოფილა გავრცელებული, მაგალითად, აწყურში. საინტერესოა, რომ პალესტინაში წმიდა გიორგის ტაძრის მოლოცვისას, თანამედროვე პილიგრიმებს სწორედ ასეთი, საყელურიანი რკინის ჯაჭვი უნახავთ. ხალხური გადმოცემით, ლომისის ჯაჭვი ბარიდან კისრით ამოუტანია ცოდვილ დადიანის ქალს. სხვა ვარიანტით, წმიდა გიორგის სასწაულებრივად უხსნია ერთი ქართველი ტყვე და მასაც მადლობის ნიშნად, ჯაჭვი, რომელიც ტყვეობაში კისერზე ედო, ლომისის მთაზე ამოუტანია. ქალაქ ლოდში წმიდა გიორგის საფლავზე მინახავს ანალოგიური ყელსაბამიანი ჯაჭვი, რომელიც წმიდა გიორგის წამებასთან არის დაკავშირებული. არსებობს

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***
***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

ადგილები, რომელთა მოცლოვა ყოველთვის გვაძლიერებს და გვამზადებს იმისთვის, რომ ჩვენი თხოვნა უფრო კონკრეტული გავხადოთ. ერთ-ერთი ასეთი სწორედ ლომისის წმიდა გიორგის ეკლესიაა. ადრე აქ ყოფილა ლომხარას – ლომისა-მთვარისა წარმართული საკულტო ტაძარი, რომლის ადგილას შემდეგში ქრისტიანული ეკლესია აუგიათ. ლომისის მთავარმოწამეს შესთხოვდნენ ადამიანისა და საქონლის გამრავლებას, უშვილონი – შვილიერებას, დასაოჯახებლები – დაოჯახებას, ვისაც ძუძუში რძე არ ედგა, დეკანოზი-ხევისბერი ტაძრის კედლიდან კირს ჩამოფხვნიდა, წყალში გახსნიდა და მაწოვარ დედაკაცს შეასმევდა. ბავშვსაც თმას პირველად აქ სჭრიდა დეკანოზი. დღემდე ძალიან ბევრი ადამიანი მიდის ჯანმრთელობის პრობლემით და ისინი კურნებას იღებენ.

მახსოვს, პირველად ლომისის მონასტერში 1999 წელს ვიყავი. იმ დროს არანაირი მღვდელმსახურება არ იყო. იქ პირველი წირვა ჩაატარეს მამა თეიმურაზმა და მამა ნეოფიტემ. მე, როგორც სტიქაროსანი, ისე ვმსახურებდი. შეწირვის დროს ერთ-ერთი ხელსისხლიანი, ჯუბაში ჩაცმული ადამიანი ხანჯლით შემოვარდა, ტრაპეზიდან აიღო ჯვარი: ხალხი უნდა დავაწყალობოო და გავიდა გარეთ. ეს იყო საოცარი შოკი, ტრაგედია, რადგან არაფრით არ შეიძლება ქრისტეს ტრაპეზს ერისკაცი შეეხოს. როცა უკან შემობრუნდა, ჯვარი გამოვართვით და დავდეთ ტრაპეზზე. არ გასულა დიდი ხანი, როცა განსაცდელი დაუშვა ღმერთმა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მონასტერში არ უშვებდნენ სასულიერო პირებს და დაპირისპირებაც იყო. ერთ დღესაც მოსკდა მეწყერი, რომელმაც მთლიანად დაიტანა სოფელ მლეთის მარჯვენა მხარე, მსხვერპლიც იყო. მოხდა სასწაული: ეს მეწყერი არ შეეხო ეკლესიას, გარშემო შემოუარა, თითქოს რკალი შემოარტყა და შემდეგ ჩავიდა არაგვამდე. მთლიანი ტერიტორია დაფარა, როგორც ეკლესიამდე, ასევე ეკლესიის შემდეგაც, მაგრამ თავად ეკლესიას არ შეხებია. თუმცა, კარი დაუხურა წარმართული, ხალხური ტრადიციების აღმსრულებლებს, რომლებიც ველარ შევიდნენ მონასტერში. ეს იყო ნიშანი და მთიულეთში ახალგაზრდა თაობამ იმძლავრა, დეკანოზები დათმობაზე წავიდნენ და ამის მერე აღდგა მონასტერში წირვა-ლოცვა. 2007 წლიდან კი იქ მუდმივად ფუნქციონირებს სამონასტრო კომპლექსი. იქ არის რამდენიმე მღვდელ-მონაზონი, ათი ბერი და რამდენიმე მორჩილი. მონასტრის წინამძღვარი, სქემარქიმანდრიტი მამა სერაპიონი (ჯიშკარიანი) უწმიდესმა გამოარჩია და ბერობის უმაღლეს სასულიერო ხარისხში დიდ სქემაში აღიკვეცა, იოანე ეწოდა სახელად. სქემაში აღკვეცა ნიშნავს გაორმაგებულ ღვაწლს. ამის შესახებ ისტორიიდან არაერთი ფაქტი ვიცით. თუნდაც სქემარქიმანდრიტ ვიტალი (სიდორენკოს) ცხოვრებიდან, რომელიც მთელი ღამე უწყვეტად ლოცულობდა, რომ შეეღწია რეიგანის გულში. მას ლოცვაში ჩაეძინა და დილით მოახსენეს: ამერიკამ ჩილეში შეჭრა გადაიფიქრაო. მაშინ უთქვამს: როგორც იქნა, შევაღწიე რეიგანის გულშიო. ცნობილი დოგმაა, რომ სამ სქემონაზვნის ლოცვას შეუძლია, დედამიწა მსოფლიო ომისგან გადაარჩინოს. დღეს, საბედნიეროდ, დედამიწაზე არიან ბერები, რომლებიც თავისი განღმრთობილობით ზეციური მოქალაქეები არიან. ასეთი იყო ბერი გაბრიელი (ურგებაძე). დავით გარეჯშიც უნახავთ მლოცველი ბერი, რომელიც ლოცვის დროს ზემოთ იწეოდა, ცაში: მიწაზე კი არ იდგა, ამაღლებული იყო ღვთის წინაშე. ასეთი მოსაგრე ბერები ხშირად თავიანთი ღვაწლმოსილების, ღმერთშემოსილების დასაფარავად, სალოსობენ. სწორედ ასეთია სქემარქიმანდრიტი იოანე. მან ჩემს ცხოვრებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა, ისევე, როგორც სხვების. თავიდან ცოტა არ მჯეროდა, რომ ეს კაცი შეიძლება, წმიდანი ყოფილიყო და ეჭვის თვალით ვუყურებდი. მაგრამ, როდესაც მონასტერში მივედი, ვიხილე მასთან ნუგეშის მისაღებად ჩასული უამრავი ხალხი, ზოგს მძიმე სნეულება ჰქონდა, ზოგს – თანდაყოლილი და ვუყურებდი, როგორ მუხტავდა ეს ადამიანი მათ კეთილი სიტყვით, განსწავლიდა მათ ქრისტეს მცნებებით, განკურნავდა და აძლიერებდა, ჩემი წარმოდგენები საერთოდ შეიცვალა. არ მეგონა თუ შევხვდებოდი ნამდვილ,



ცოცხალ წმიდანს. მახსოვს, როგორ ჩამავლო ორივე ხელში ხელი და მითხრა: თუ გრძნობ, როგორ შემოდის შენში სითბო, მითხარი, ყველაზე მეტად რა გაწუხებსო. გულისმიერი ლოცვა არ ვიცი, მამაო და მასწავლე-მეთქი. მე რა ვიცი, რა არის გულისმიერი ლოცვა, მოინდომე და თვითონ ისწავლიო. ვიგრძენი, როგორ წამოვიდა ხელებში სითბო, ავიდა მხარში, მხარიდან თავში, გონებაში და ღვთისმშობლის ის ლოცვა, რომელსაც ბაგეებით ვამბობდი, ვიგრძენი, როგორ ჩავიდა ყელში, იქიდან კი გულში.



მარცხენა ხელიდან მაშინვე გავიდა სიცივე და გამითბა. მამაომ მკითხა: როგორ გრძნობ თავს, რამე ხმა გესმისო, – უკვე გრძნობდა ჩემს მდგომარეობას. მეც ვიგრძენი, როგორ გალობდა ჩემს გულში ამ ლოცვას ჩიტების გუნდი, ღვთიური ანგელოზები – გულიდან ისმოდა მათი გალობის ხმა. ეს ჩემთვის იმდენად გასაოცარი და მოულოდნელი იყო, რომ დიდხანს ამის შესახებ არაფერს ვყვებოდი, მით უმეტეს, საჯაროდ პირველად ვყვები. ჩემი თვალით ვნახე, მამაოს, რომელიც მძიმე პაციენტთან იჯდა და ლოცვას უკითხავდა, როგორ გაუშავდა მარჯვენა ხელი, ფერი შეეცვალა – ისინი ხომ ჩვენს ცოდვებს, ტვირთს იღებენ საკუთარ თავზე... როდესაც ეს ყველაფერი ვიხილე, მივედი არქიმანდრიტ იოანესთან და შენდობა ვთხოვე იმის გამო, რომ განვიკითხავდი. მანაც მიმტევებლურად და ღვთისმიერად მომიტევა. ასევე, მოწმე ვარ იმის, როგორ მიიღო მისი დახმარებით განკურნება მძიმე პაციენტმა, სულიერად ავადმყოფმა, შეპყრობილმა. მაგრამ, როგორც ნამდვილ სალოსებს სჩვევიათ, სქემარქიმანდრიტი იოანე ასეთ რამეს არასდროს იმჩნევს, კუთხეში გადგება ხოლმე, ან შეიძლება, ხატვა დაიწყოს, ველოსიპედზე დაჯდეს, ანუ რაღაც მოულოდნელი გააკეთოს – თითქოს ის არაფერ შუაშია.. სქემარქიმანდრიტი იოანე მინახავს ძალიან ბავშვურ, ადამიანურ სიტუაციაში. ის ჩვენი დროის ნამდვილი სალოსია. მან თავისი ბერული ღვაწლი იმით დაიმძიმა, რომ წელიწადში თითქმის 8 თვე მარტომყოფელი, განდგომილებით მცხოვრებია ლომისას მთის წვერზე. თავისი ხელით ააშენა სენაკი, სადაც დიდ დროს ატარებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მამა იოანეს ლოცვა-კურთხევით, თბილისის ზღვაზე არსებობს დედათა მონასტერი, რომლებიც იფარავენ და ზრდიან შვიდ მცირეწლოვან ბავშვს, რომელთა მშობლებს უნდოდათ, აბორტი გაეკეთებინათ ან გაეშველებინათ ისინი და დატოვეს ეკლესიაში. მათზე მზრუნველობა ლომისის წმიდა გიორგის მონასტერმა აიღო. ბავშვები „მამიკონას“ ეძახიან და მათთან ბავშვივით, თანატოლივითაა. იყო ასეთი შემთხვევაც, როდესაც მონასტერს ძვირად ღირებული ავტომობილი „ჯიპი“ შესწირეს. შემომწირველმა მანქანაში წერილი და გასაღები ჩატოვა, რომ თავად ინკოგნიტოდ დარჩენილიყო. არქიმანდრიტმა იოანემ მოძებნა და უთხრა: განა ჩვენ გვჭირდება ასეთი მდიდრული მანქანით სიარული, ეს მონასტერს არ შეშვენისო და უკან გაატანა... მასთან ბევრი ადამიანი მიდის რჩევის, კურნების სათხოვნელად. ერთხელ არავინ მიიღო, თქვა: ძალიან ცუდად ვარო. როცა ვკითხე, რატომ ხართ ცუდად-მეთქი, ასე მიპასუხა: ჩემი ულმერთობისა და ცოდვების გამოო. გამიკვირდა: ასეთი მლოცველი ხართ, როგორ შეიძლება ულმერთო იყოს მონაზონი. როცა ერში ამდენი ულმერთობაა, ეს ჩემი ულმერთობაც არისო – ის არის ადამიანი, რომელიც თავის ტკივილად, მინუსად აღიქვამს ჩვენი საზოგადოების ყველა ზნეს და ამით მიგვაჩნია, რომ მისი ცუდად ყოფნა ჩვენი საზოგადოების მდგომარეობით იყო გამოწვეული... ის საოცრად კეთილი და უბრალო ადამიანია, მუდმივად ვგრძნობ, როგორ ხედავს სულიერი თვალით ჩემს მდგომარეობას, ზოგჯერ სიყალბეს და მაქსიმალურად ვცდილობ, გულწრფელი ვიყო. ფაქტობრივად, ის არის სულიერი მესაზღვრე, რომელიც ლომისის მონასტრიდან იცავს ჩვენს ტერიტორიას და ზღვარს დებს ბოროტსა და კეთილს შორის.

**ნათია უტიაშვილი**

## შოთა ტომარაძის გახსენება

ძნელი წარმოსადგენია, რომ ცრემლიან მონატრებად იქეცი. ეს ის შემთხვევაა, როცა ასაკი არაფერს ნიშნავს... ადამიანები ხომ ამქვეყნად მათი დანიშნულების მიხედვით ფასდებიან, თავისი სიკეთით და იმ სითბოთი, რომელსაც გარშემო მყოფებს სჩუქნიან.

ქვეყანას, სამეგობროს კიდევ ერთი კეთილი, გულღია კაცი დააკლდა.

შენს ახლობლებს ყოველთვის ჰქონდათ შენი დიდი ადამიანობის, გულითადობის, სიქველის იმედი. სხვისი ტკივილი საკუთარივით გტკიოდა და ცდილობდი, ხსნად და იმედად მოვლინებოდი ყველას. ბოლომდე იხარჯებოდი საქმეშიც და ადამიანებთან ურთიერთობებშიც – სხვანაირად, უბრალოდ, არ შეგეძლო...

ძნელია შენზე წარსულ დროში ლაპარაკი.

ძნელი იქნება უშენობა...

**მეგობრები**

**ავთანდილ ცქვიტინიძეს „ცხელი” ზაფხული აქვს – არდადეგებისთვის ჯერ ვერ მოიცალა. ცნობილი დიზაინერი სექტემბერში ახალი მაღაზიის გახსნისთვის ემზადება და დატვირთული რეჟიმით მუშაობს, რასაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ახალი კოლექციების ჩაბარებაც დაემატა. ასეთ რეჟიმზე ავთანდილი არ წუწუნებს, პირიქით, არსადაც არ ჩქარობს – თავისი კანონები აქვს, რომელსაც წარმატებული დიზაინერი მშვიდად და წყნარად მიჰყვება.**

# როდის თანხმდება ავთანდილ ცქვიტინიძეს ცოლი „საველე პირობებზე“ და რას შეეწირა მისი საზაფხულო არდადეგები

**ავთანდილი:** ზაფხული დასვენების დროა, მაგრამ მე ჯერ დასვენებისთვის ვერ მოვიცალე, პირიქით, ძალიან აქტიური პერიოდი მაქვს. ახლა ჩავაბარეთ შემოდგომა-ზამთრის კოლექცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ასევე, გვქონდა გამოფენა მომავალი წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის წარდგენით და ვემზადებით პარიზის შოუ-რუმისთვის, ასევე გაზაფხული-ზაფხულის მოდელების წარსადგენად. ზაფხულში დატვირთული სამუშაო გრაფიკი უკვე რვა წელია, ჩვეულებად მექცა. სექტემბერში კიდევ ერთ მაღაზიას დავამატებთ პეკინის ქუჩაზე, რომელიც 15 სექტემბერს გაიხსნება. ეს იქნება მეორე ხაზის ქსელური მაღაზია, რათა გავახაროთ ჩვენი მომხმარებელი, რომელიც ისარგებლებს დემოკრატიული ფასებით, შეიძენს ყოველდღიურ ტანსაცმელს, ოღონდ ძალიან მოდურს. ამ მაღაზიის გახსნაც ბევრ სამუშაოს მოითხოვს ჩემგან, თუმცა ეს უკვე ჩვეულებრივი რეჟიმია, რომელსაც ველარც კი ვაკონტროლებ.

**– მაღაზიებს უკვე ისეთი სიხშირით ხსნით – წელიწადში ერთი მაღაზია, ეს თქვენი „პროგრამა-მინიმუმია?”**

– ეს არის მესამე მაღაზია. დამატებითი მაღაზიების გახსნა ნიშნავს, რომ ბრენდი წარმატებულია მეორე ხაზშიც და საქართველოში გოგონებმა კარგად აიტაცეს. ისინი გადაჯერებული მასმარკეტის მაღაზიებს ამჯობინებენ ეცვათ „ავთანდილის” ტანსაცმელი, რაც ჩემთვის ძალიან სასიხარულოა. ქუჩაში უკვე ყველგან მხვდება ჩემი მაისურები, ფეხსაცმელები, რისთვისაც მადლობას ვუხდით ქართველ ქალბატონებს.



**შემიძლია, ვიცხოვრო ქოხში და ისეთივე ავთანდილი ვიყო, როგორიც ვიქნებოდი სასახლეში**

**– ბოლო დროს „პირატები” აქტიურად შეესივნენ თქვენს მოდელებს.**

– ამისგან არსად არც ერთი დიზაინერი არ არის დაცული – ყველა ბრენდს აკოპირებენ და ყიდიან. მე ერთ მოდელზე ექვსი თვე ვმუშაობ, ყველამ იცის, რომ ეს მოდელი აღარ მეორდება. საწყენია, როცა ეს მოდელები ხდება პირატების ხელში, როცა ამას უკეთებენ ქართველ დიზაინერს და აფუჭებენ ბაზარს. სასაცილო ისაა, რომ ადამიანებს ეუბნებიან, ეს არის ავთანდილის „კოპიოო”. ჩემი მოდელები იმდენად რთულიაა, მათი წარმოება არ არის იოლი, ამიტომ, პირატებიც ვერ ყიდიან მათ იაფად, შესაძლოა, ამის გამო მომავალშიც აღარც უღირდეთ ამის გაკეთება. თუმცა, ბეიჯი ყოველთვის ბეიჯია და ჩემსა და პირატების მოდელებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა.

**– ბოლო პერიოდში ძალიან აქტუალური გახდა ავთანდილის მეორე ხაზი, რაც კომერციულია?**

– არა, შემოქმედებითი ბლოკი არის პირველი ხაზი, რომელშიც მიდის წვა ბოლომდე, პრეტაპორტე დელუქსი არის ხელმისაწვდომი მხოლოდ ჰაი კლასის საზოგადოებისთვის. ამ კოლექციის გამარტივებული ვარიანტია, უფრო ყოველდღიური და ქეჟვოლი მეორე ხაზში, რაც პირველი ხაზის მოთხოვნისთვისაც ძალიან მისაღებია. მე არასდროს მიმუშავია მასმარკეტზე, ჩვენ მთელი ერთი წელი მივეცით დრო ამ განხრის განვითარებას, ნელ-ნელა გახდა ჩვენი სეგმენტი, რომელსაც სტუდენტები და ოდნავ უფრო დიდები წარმოადგენენ, ამიტომაც ახლა მეორე ხაზის ბრენდი მაქსიმალურად კონცენტრირდება ისეთ გოგონებზე, ვისაც ძალიან უყვარს ჩაცმა და უნდათ, ყოველდღე „ქულ” და „ფეშენ” ტიპები იყვნენ. სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული მეორე ხაზის რებრენდინგირება ამ სეგმენტზე.

**– სხვა ქალებს რატომ „ჩაგრავთ”?**

– ჩვენი ყველაზე კარგი მომხმარებელი ეს სეგმენტია, ეს კომერციულად არის გათვლილი. ძალიან მიხარია და მომწონს, რომ ამ კატეგორიის გოგონებისთვის პრესტიჟულია, როცა ატარებენ „ავთანდილს”. მიყვარს ის კლიენტი, ვისაც შეუძლია „ავთანდილი“ ატაროს სწორად. იმის მიუხედავად, რომ ბრენდი დიდი ხანი არაა, რაც წარმოდგენილია ევროპულ ბაზარზე, მისი შეკვეთები ასტრონომიულად იზრდება. სხვადასხვა სტილისტი გვთავაზობს, წაიღონ ჩვენი ნაწარმი, ჩააცვან ცნობილ ადამიანებს და ძალიან კმაყოფილები არიან. ძალიან მახარებს რომ უკვე დიდი მაღაზიები აკეთებენ ვიტრინებს „ავთანდილის” კოლექციებით სხვა ცნობილ ბრენდებთან ერთად. ამის მიუხედავად, მე ყოველ სეზონზე ვფიქრობ, რომ ვარ პირველკურსელი სტუდენტი და ამას სანამ ცოცხალი ვარ, არ შეველევი. სულ ვეძებ განვითარების გზებს, ვსწავლობ ბევრს როგორც კომერციული განხრით, ასევე პროფესიონალურად, რომ სწორი სვლები მქონდეს. ასევე, მყავს ძალიან კარგი ჯგუფი, რომელიც მხარში მიდგას და ყველაფერში მეხმარება.

**– როგორ შეიცვალა ავთანდილი წლებთან და დიდ წარმატებებთან ერთად?**

**დღემდე ვერ ვჯდები მანქანაზე, მარტოს მანქანის მართვა მეშინია**

– არ მესმის, რატომ უნდა შევიცვალო? რატომ უნდა შემომიტიოს ვარსკვლავურმა სენმა? ბევრს ვმუშაობ, ვხვდები უამრავ ადამიანს და ხშირად ვფიქრობ, რომ ჩემსა და იმ ადამიანებს შორის, არანაირი განსხვავება არაა. მინდა, ვიცხოვრო ბედნიერად, გავცე ის სითბო და ენერგია, რაც გამაჩნია, შესაბამისად, იგივეს ვიღებ საზოგადოებისგან.

**– ეს მაინც ხომ ვიწრო საზოგადოებაა – ქართული ბომონდი, ვისთანაც თქვენ ურთიერთობები გაქვთ.**

– არა, ასე არაა. დადებით და პოზიტიურ ემოციებს ყველგან ვხვდები – აეროპორტში, სუპერმარკეტში, პატრულთან, გამყიდველთან. ვიღაცა ვიღაცის ცოლია, ვიღაც მეგობარი, ნათესავი და ასე, ჩვენ ხომ ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. ვერ ვიტყვი, რომ ცხოვრების განსაკუთრებული სტანდარტები მაქვს, შემიძლია ვიცხოვრო ქოხში და ისეთივე ავთანდილი ვიყო, როგორიც ვიქნებოდი სასახლეში. მიცხოვრია ქოხში, სოფლის სახლში, სადაც დიდი სიამოვნებით დავდიოდი და კარგ დროსაც ვატარებდი. დღესაც, თუ რომელიმე მეგობარი მეპატიჟება სადმე, ასეთ მიტოვებულ და საველე პირობებშიც ვჩერდები. ბედნიერებისთვის სულ არაა სავალდებულო შვიდი ვარსკვლავი... ყაზბეგში ვიყავი დასასვენებლად, ერთ-ერთმა მოსახლემ დაგვპატიჟა თავის სახლში, ჩვეულებრივ გარემოში. ძალიან კარგი დრო გავატარეთ იქ, მე და ჩემმა მეგობრებმა. ამას წინათ სტამბულში ვიყავი, იქიდან გამომდინარე, რომ გზები გადატვირთული იყო საცობებით, სულ მეტროთი ვიარე და ძალიანაც ვისიამოვნე. სამწუხაროდ, ვერ ვახერხებ, თორემ სიამოვნებით ვივლიდი ოზურგეთში, ჩემს საყვარელ გურიაში.

**– გურული „შემოგრჩათ” რამე ევროპული კარიერის ფონზე?**

– უფ, იმდენი გურული რამ მაქვს, იმდენი, მათ შორის – იუმორი. თუ გავფიცხდი, ვხდები ჭეშმარიტი გურული. მე არ ვარ ყველაზე სწრაფი, ჩემი კანონები მაქვს ამ მხრივ – არასდროს არაფერი მეჩქარება ***(იცინის).*** ის, რომ გურული ვარ, ძალიან მშველის. იუმორით ვუყურებ ბევრ რამეს, მათ შორის რთულ სიტუაციებსაც კი, და ვიცი, რომ გამოსავალი ყველა სიტუაციიდან არსებობს. ეს ცხოვრებამაც მასწავლა და გურიამაც.

**– მეუღლეც გთანხმდებათ საველე პირობებზე?**

– კი, ხათუნასაც არ აქვს განდიდების მანია. ვცდილობთ, რომ ანასტასიასაც არ ჰქონდეს იმის კომპლექსი, რომ განსხვავებულ გარემოში იზრდება. არის ნებიერა გოგო, მაგრამ ურთიერთობაში და ყოფით ცხოვრებაში, ამას ვერც თვითონ გრძნობს და ვერც სხვა. ანასტასია უკვე დიდი გოგოა, ჩემი სამსახურის ხშირი სტუმარია და ძალიან კარგად ხატავს. ჩემი აზრით, ის უკვე ფერმწერია და კარგად ერკვევა ქსოვილებსა და დიზაინში. ანასტასია თავის გარდერობსაც თვითონ ირჩევს და მომწონს, რომ ამას კარგად და სწორად აკეთებს. მე ძალიან მინდა, ჩემს საქმეს გაჰყვეს, თუმცა თუ სხვა არჩევანს გააკეთებს, არც ამაში შევუშლი ხელს. მთელი ჩემი თავისუფალი დრო ანასტასიას ეკუთვნის. თუმცა, სამწუხაროდ, მე ვერ ვარ ისეთი განსაკუთრებული მამა, როგორც ჩემი ძმა. ის ნამდვილი ფანატია თავისი შვილის, ფაქტობრივად, ერთი წუთი არ არიან ერთმანეთის გარეშე. დედის, მამის, ბებიის, ბაბუის ფუნქციებიც კი შეთვისებული აქვს. მას რომ ვუყურებ, ვხვდები, რომ მე ასეთი იდეალური მამა არ ვარ.

**– მეორე შვილის გაჩენას არ აპირებთ?**

– კი, აუცილებლად გავაჩენთ მეორე შვილს.

**– არდადეგები სულ არ გქონია?**

– ორ-ორი დღე მოვახერხეთ თბილისიდან გასვლა და ბათუმსა და ურეკში დასვენება. ურეკში, ჩვენს სახლში, სადაც მთელი ჩვენი დიდი ოჯახი შევიკრიბებით ხოლმე, თავს ფანტასტიკურად ვგრძნობ. ამ სახლში ყოველთვის ბევრი სტუმარია, მეგობრები „გრაფიკით” ***(იცინის).*** იქ თავს ყველაზე კაგად ვგრძნობ. თვის ბოლოს,

**(გაგრძელება 35-ე გვერდზე)**

**დამეთანხმებით, ზაფხული შვებულებასთან, დასვენებასა და გართობასთან ასოცირდება. იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს, რომელსაც ზაფხული არ უყვარს. სწორედ ასეთი გამონაკლისია ლალი მოროშკინა. როგორც თავად ამბობს, მისთვის წელიწადის ეს დრო, ყველაზე რთულად გადასატანია და ცუდ მოგონებებთან არის დაკავშირებული. თუმცა, წელს, მას უცხოეთიდან ბევრი სტუმარი ჰყავდა და ქალაქგარეთ გასვლა ხშირად უწევდა, რომ მათთვის გიდობა გაეწია. თუ როგორ იტანს აქტიურ ცოლს მისი ქმარი, რის გამო იდგა ის პაპანაქება სიცხეში პარლამენტის ყოფილი შენობის წინ და რატომ გეგმავს დამწყები პოლიტიკოსებისთვის სპეციალური სკოლის გახსნას, ამაზე თავად მოგიყვებათ.**

# რა იდეები მოსდის თავში თეფშის რეცხვის დროს ლალი მოროშკინას და რატომ გადაწყვიტა მან ახალგაზრდა პოლიტიკოსებისთვის სპეციალური სკოლის გახსნა

**ლალი მოროშკინა**: კატასტროფულად არ მიყვარს ზაფხული. მეტსაც ვიტყვი, ვერ ვიტან წელიწადის ამ დროს და ერთი სული მაქვს, როდის გავა. დასვენება ჩემთვის წარმოუდგენელია ზაფხულის კურორტებზე. თუ არ ჩავთვლით იმ პერიოდს, როცა შვილები პატარები იყვნენ და მათთან ერთად ზღვაზე მივდიოდი, ფაქტობრივად, ამ სეზონზე არ ვისვენებ. შემოდგომა მიყვარს და ზღვაც ამ სეზონზე მიზიდავს. თან, ვერ ვიტან სიცხეს და მიმაჩნია, რომ თუკი რაიმე შეიძლება, ადამიანს ცუდი დაემართოს ჯანმრთელობის თვალსაზრისით, ზაფხულს უკავშირდება. ალბათ, მეც არ ვუყვარვარ ზაფხულს და თუკი რამე ცუდი დამმართნია, ყველაფერი ამ პერიოდს უკავშირდება. ამიტომ, კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ, ზაფხულში დასვენების.

**– ესე იგი, ზაფხული ცუდ ასოციაციებს აღძრავს შენში?**

– დიახ, ასეა და ერთი სული მაქვს, როდის მოვა შემოდგომა. მოკლედ, მე და ზაფხული ერთმანეთს ვერ ვიტანთ ***(იცინის).*** სულ ვცდილობ, ზაფხულში ისეთ ქვეყანაში წავიდე, სადაც ცივა. ამ ზაფხულს, თითქმის ორი თვე ვიყავი საფრანგეთში, სადაც სულ წვიმდა და საჩემო ამინდი იყო. იქ ჩემი ახლობლები, დეიდაშვილები ცხოვრობენ – ორივე და ევროპაშია გათხოვილი. თითქმის ყველა ნათესავი უცხოეთში მყავს და მათთან ჩავდივარ. მათ კი, აგვისტოში აქვთ შვებულება, საქართველოში ჩამოდიან და მათ გამო, მეც აქ მიწევს ყოფნა. ჩემი მეგობრები და ოჯახის წევრები, ვისთანაც დიდ დროს ვატარებ ევროპაში, ყოველ ზაფხულს საქართველოში ჩამოდიან. ამიტომ, ივლისის ბოლო და მთელი აგვისტო ჩემთვის ექსკურსიების დროა. ვერ გეტყვით, წელს მათ გამო რამდენჯერ ვიყავი მცხეთაში და სიღნაღში ***(იცინის).*** მათი გიდი ვარ. თან, ყოველ წელს, ნათესავებს ემატება ორი-სამი მეგობარი. დავატარებთ მათ აქეთ-იქით და მათ გამო ვიტან ამ სიცხეს.

**– გამოდის, რომ ტურიზმს ანვითარებ საქართველოში. ერთი კარგი იდეა გამიჩნდა, ხომ არ დაფიქრდები, ტურისტული ფირმის გახსნაზე?**

– ***(იცინის).*** წელს ორმოცდაათი კაცი მყავდა სტუმრად და ვხუმრობდი კიდეც, ერთი კარგი ტურისტული ფირმა რომ გავხსნა საქართველოში და დავარქვა „ლალი თრეველი," მაგრად იმუშავებს-მეთქი ***(იცინის).*** თუ გავითვალისწინებთ, რომ ნელ-ნელა სამოქალაქო სექტორისკენ მაქვს გეზი აღებული, ჩამოყალიბების პერიოდში ვარ და თან, ვაკეთებ პოლიტიკური პიარის სკოლას, რომელიც ოქტომბრიდან დაიწყებს ფუნქციონირებას, სხვადასხვა ბიზნესებსაც შევითავსებ, რა პრობლემაა? ***(იცინის).***

**– პოლიტიკური პიარის სკოლაზე მინდოდა მეკითხა და დამასწარი. რატომ გადაწყვიტე მისი გახსნა?**

– იმიტომ გადავწყვიტე პოლიტიკური პიარის სკოლის გახსნა, რომ ჩვენ გვაქვს ყველაზე დაბალი პოლიტიკური კულტურა, რაც კი შეიძლება არსებობდეს დედამიწის ზურგზე. მინდა, ვასწავლო ქართველ ახალგაზრდა პოლიტიკოსებს, რა არის რეალური პოლიტიკა და როგორ ხდება რეალური პოლიტიკის კეთება. ეს იქნება ორთვიანი სწავლება საქართველოში საუკეთესო პედაგოგებთან და ერთთვიანი მასტერკლასები ბრიუსელსა და სტრასბურგში.



კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ზაფხულში დასვენების

**– ეს სკოლა, მხოლოდ ახალგაზრდა პოლიტიკოსებისთვის იქნება?**

– სწავლა სიკვდილამდეა და ვისაც სურვილი ექნება ისწავლოს პოლიტიკური პიარის სკოლაში, ამის საშუალება ექნება. ეს მარტო ჩემი გადაწყვეტილება არ ყოფილა, ბრიუსელსა და სტრასბურგში მქონდა შეხვედრები და ევროკავშირის მესვეურებიც დაგვეხმარებიან მე და გიორგი ფოფხაძეს ამ სკოლის ჩამოყალიბებაში. ევროპაში მოისმინო მოწინავე პოლიტიკოსების მასტერკლასები, ვფიქრობ, საკმაოდ კარგია, როგორც მომავალი, ასევე დამწყები პოლიტიკოსისთვის.

**– მოკლედ, დროს არ კარგავ. ზაფხულში ყველა ისვენებს, შენ კი აქტიურად სახავ გეგმებს. საყვარელი მამაკაცი ამას როგორ იტანს?**

> **ზაფხულში, პარლამენტის წინ, ცოლის დგომას ბევრი ქმარი ვერ შეეგუება**

– საშინლად ***(იცინის).*** ჩემს ასეთ აქტიურობას ირაკლი ვერ იტანს. ჩვენ, პირველივე დღიდან შევთანხმდით, რომ ერთმანეთისგან დასამალი და საიდუმლო არაფერი გვექნება. შესაბამისად, ჩემი სოციალური ქსელი მისიცაა. ყველა კომენტარს და მონაწერს კითხულობს და ჩვენთან პოლიტიკური კი არა, ზოგადად არანაირი კულტურა არ არსებობს. იციან და ხედავენ, რომ მე, ლალი მოროშკინას და ირაკლი ჯაფარიძეს საერთო „ფეისბუქი" გვაქვს და ხანდახან ისე უხეშად „გამოხტებიან", ან გადამეტებულ კომპლიმენტს დაწერენ, რომ ამაზე ირაკლის საშინელი რეაქციები აქვს. კომენტარებს და მონაწერებს მომენტალურად შლის და ვისაც „მიწვდა" უშვერი სიტყვებით მოიხსენია. „ფეისბუქი" ერთადერთი პრობლემაა, რაც მე და ირაკლის გვაქვს ***(იცინის).*** ვერ ვხვდები, დაოჯახებულ ადამიანს სასიყვარულო მესიჯი ან გადამეტებული კომპლიმენტი, რატომ უნდა მისწერო, თუ ამას ჩემს წინააღმდეგ, გამიზნულად არ აკეთებ? უადგილო „გულები", „ყვავილები" და კომპლიმენტები „ფეისბუქში" გაღიზიანებასაც იწვევს და მიმაჩნია, რომ მიზანმიმართულია ჩემი და ირაკლის გაღიზიანებისთვის. ამიტომ, ხშირად ვამბობ, ეს კეთილი განწყობის დაფიქსირება კი არა, საბოტაჟია. მოკლედ, როცა ჩემს მიმართ უზომო პატივისცემას გამოხატავენ მამაკაცები „ფეისბუქში", ეს არის მიზანმიმართული პროვოკაცია. არ მგონია საქართველოში, ჯერ ისეთი კაცი დაბადებულიყო, რომელიც „გიჟდება" პოლიტიკურად აქტიურ ცოლზე და არც ჩემი ქმარია გამონაკლისი. იგივე, ზაფხულში, პარლამენტის წინ, ცოლის დგომას ბევრი ვერ შეეგუება. მაგრამ, ეს გადამწყვეტია, ჩემი მოქალაქეობრივი ვალია, ვერ ვეგუები უსამართლობას. ამიტომ, მე ჩემი იეზიდი მეგობრის, იგივე ძმის, აგიტ მირზოევის გვერდით უნდა ვმდგარიყავი. ის ყოველთვის, როგორც დას, ისე მედგა გვერდით და მეც, იეზიდი ძმის და იეზიდი ხალხის გერდით ვიდექი ორმოც გრადუს სიცხეში, რუსთაველზე, პარლამენტის წინ.

**– პოლიტიკურად აქტიური ცოლი, ორი შვილის დედა, როგორ ასწრებ ყოველთვის ფორმაში ყოფნას და საოჯახო საქმეებს?**

– ძალიან კარგად ვასწრებ და ვფიქრობ, რაც ყველაზე კარგად გამომდის ცხოვრებაში, ეს სწორად დროის გადანაწილებაა. ძალიან ცოტა ხანი მძინავს და ამის ხარჯზე, ოჯახურ საქმეებსაც ვასწრებ. იდეა შეიძლება თეფშის გარეცხვის ან სარეცხის გაფენის დროს მომივიდეს და ხშირად ასეც ხდება. მე არ მივეკუთვნები ადამიანთა იმ კატეგორიას, თუ კარგად არ დაისვენა და იკვება, ისე იდეები რომ არ მოსდის თავში. მგონია, სავსე კუჭზე იდეა არ მოდის. რაც შეეხება თავის მოვლას, ეს ჩემთვის ჰიგიენაა. დილის და საღამოს „დუშის" გარდა, მე თავის მოვლის სხვა საშუალებები არ ვიცი – არანაირი სპა, არანაირი პლასტიკური ჩარევა და არანაირი კოსმეტიკური საშუალებები.

**– მაგრამ, ქალისთვის ხომ აუცილებელია კოსმეტიკური პროცედურები და გაპრანჭვა? მით უმეტეს, თუ ის საზოგადოების ყურადღების ცენტრშია?**

– მგონი, კარგადაც გამოვიყურები და გაპრანჭულიც ვარ, მაგრამ არანაირი პლასტიკური პროცედურები ამისთვის არ მჭირდება. ჩემს თავს არ მივცემ უფლებას, მოუწესრიგებელი გავიდე გარეთ და ფორმაში არ ვიყო. თუმცა, ეს ხელოვნური საშუალებებით არ ხდება. ამისთვის, არსებობს ვარჯიში, ზომიერი კვება და მადლობა ღმერთს, გენეტიკაც მშველის.

**ნონა დათეშიძე**

**ფაქტი, რომ სიცილი სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს, ფსიქოლოგების მიერ არის დამტკიცებული. საბედნიეროდ, ცხოვრებაში რთულია იპოვო ადამიანი ან პროფესია, თან კურიოზული შემთხვევები რომ არ ახლდეს. ამჯერად იურიდიული სფეროს წარმომადგენლებზე შევაჩერე არჩევანი. კითხვაზე: გახსენდებათ თუ არა მსგავსი შემთხვევები თქვენი საქმიანობიდან? საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონი ციცინო ცხვედიანის პასუხი იყო: სულ კურიოზებით არ არის სავსე ჩვენი პროფესია?!**

**გთავაზობთ, „მხიარულ ეპიზოდებს ადვოკატთა ცხოვრებიდან", როგორც მას თავად ქალბატონი ციცინო უწოდებს:**

# სექსუალური ტერორის მსხვერპლი მამაკაცი და ურჩი შვილის მიერ მოყვანილი „ავი ძაღლი"

### ქალბატონი გუგული

სამოქალაქო საქმეზე ვიცავდი ერთ მამაკაცს, რომელსაც გუგული ერქვა. მოსამართლე ქალბატონმა შემოგვხედა მე და ჩემს კლიენტს და ხმამაღლა მკითხა:

– ქალბატონო ციცო, ქალბატონი გუგული არ გვესწრება?

– ბატონი გუგული აგერ ბრძანდება, – ხაზი გავუსვი „ბატონს".

მოსამართლე უხერხულობისგან წამოწითლდა.

– ვაიმე, უკაცრავად, ბატონო გუგული!

– არა უშავს, – გაიღიმა ჩემმა კლიენტმა.

ამის შემდეგ მოსამართლემ საქმის მოხსენება დაიწყო.

– იხილება სამოქალაქო საქმე, მოსარჩელეები – პეტრე გ. და პავლე დ; მოპასუხე გუგული ბ. დავის საგანი... აქ მოსამართლემ მოხსენება შეწყვიტა და ჩემს კლიენტს მიმართა: კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, ბატონო გუგული...

– არა უშავს პატივცემულო მოსამართლევ, – ახლა ჩემმა კლიენტმა იგრძნო თავი უხერხულად.

მოსამართლემ განაგრძო სარჩელის კითხვა:

– სასარჩელო მოთხოვნაა... – აქ კიდევ შეწყვიტა საუბარი და ისევ ჩემს კლიენტს მიუბრუნდა:

– ბატონო გუგული, ძალიან გთხოვთ, მაპატიოთ, კიდევ გიხდით ბოდიშს!

– არა უშავს, – უკვე კბილები გააღრჭიალა ბატონმა გუგულიმ და ჩუმად ჩამილაპარაკა:

– არ შეიძლება, უთხრათ, რომ თუ უნდა, ისევ ქალბატონი დამიძახოს, ოღონდ ბოლოს და ბოლოს, განიხილოს საქმე.

### როგორ აცვიათ საიქიოში

უმრავლესობისგან განსხვავებით, არ მიყვარს მუქი ფერები და ზამთარ-ზაფხულ ფერადი ტანსაცმელი მაცვია, რის გამოც გარკვეულ კომპლიმენტებს ვიღებ. ერთხელაც, სასამართლოში ერთმა ადვოკატმა მამაკაცმა კომპლიმენტი მომიძღვნა:

– ქალბატონო ციცო, თქვენ ყოველთვის არაამქვეყნიურად გაცვიათ.

– რა, იმქვეყნად ასე აცვიათ? – გამეცინა ასეთ კომპლიმენტზე.

კოლეგა შეცბა და კარგა ხანს მებოდიშებოდა, საიქიო კი არა, საქართველო მქონდა მხედველობაში.

### კრიმინალი დედოფალი

ჩემი მეუღლე, ზურაბ როსტიაშვილი იცავდა ერთ ბრალდებულ ქალბატონს. მისი თხოვნით, ზურაბმა დაწერა შუამდგომლობა პროკურორის სახელზე და ითხოვა საპროცესო შეთანხმების გაფორმება ამ ქალბატონთან. შუამდგომლობაში, რა თქმა უნდა, ოფისის მისამართიც მიუთითა. ჩვენი ოფისი ქეთევან წამებულის გამზირზე მდებარეობს, ამ ქალბატონსაც ქეთევანი ერქვა.

როგორც შემდეგ გაირკვა, პროკურატურის კანცელარიის თანამშრომელს ბრალდებულის გვარი და ოფისის მისამართი არევია და საინფორმაციო ბაზაში ჩაუწერია, რომ ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი ითხოვს საპროცესო შეთანხმებას ბრალდებულ ქეთევან წამებულთან.

### ავი ძაღლი

ვიცავდი ახალგაზრდა ქალს (პირობითად ეკას), რომელსაც საბინაო დავა ჰქონდა მამამთილთან. ქმარი სახლიდან იყო წასული და ეკა შვილებთან ერთად დედამთილ-მამამთილთან ცხოვრობდა პრივატიზებულ ბინაში – მორიგების მიზნით, შევხვდი ქმარსა და მამამთილს. მამამთილი საყვედურობდა შვილს, რომ მის გამო აღმოჩნდა ასეთ დღეში. მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:



სტუმარმა რომ აკოცა შენს ძაღლს, ხომ მოეწყო იურიდიულზე. სამი წელია, ვეტერინარულზე ვიჭრები, კაცი არა ხარ? მაკოცნინე მაგ ძროხაზე, იქნებ მეც მეშველოს რამეო

– ქალბატონო ციცო, ასეთი დაუჯერებელი იყო ყოველთვის. ბავშვობიდან იმას აკეთებდა, რაც უნდოდა, მოიყვანა ავი ძაღლი, დააბა ეზოში და თვითონ წავიდა. ეს ძაღლი კი ისეთი ავია, ჩვენ ვერ ვეკარებით და ვერ ვუშვებთ.

მე ძალიან მიყვარს ძაღლები და მაშინვე დავინტერესდი:

– რატომ არის ასეთი ავი? რა ჯიშია?

კაცი შეფიქრიანებული მომაჩერდა და უცბად სიცილი აუტყდა:

– ეკაზე გელაპარაკებით, ქალბატონო ციცო.

### შენი ძროხისთვის მაკოცნინე

წლების წინ, მაშინ აბიტურიენტი ვიყავი და ასევე, აბიტურიენტ მეგობარ გოგონებთან ერთად, ახალ წელს სტუმრად ჩავედი ტყიბულში. მასპინძლებს ეზოიანი სახლი ჰქონდათ და დიდი, ბომბორა ნაგაზიც ჰყავდათ. ძალიან მიყვარს ცხოველები და ძაღლს მოფერება დავუწყე. წამოსვლისას კი შუბლზეც ვაკოცე, რაზეც იქ მყოფ სტუმარ ვაჟებს სიცილი აუტყდათ. იმ წელს იურიდიულ ფაკულტეტზე მოვეწყვე. ჩემს ტყიბულელ მასპინძელს, თენგოს, თავისი ძმაკაცებისთვის უთქვამს, ახალ წელს სამი სტუმარი გოგო რომ მყავდა, ერთ-ერთი იურიდიულზე მოეწყოო. ამ დროს მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტში იყო იურიდიული ფაკულტეტი და იქ ჩაბარება საოცნებო ტოლფასი იყო. ბიჭები დაინტერესებულან, რომელია ის გოგოო. თენგო დაფიქრებულა და მკვეთრად განსხვავებული სხვა ნიშანი რომ ვერ მოუფიქრებია, უთქვამს, ძაღლს რომ აკოცა, ის გოგო მოეწყო იურიდიულზეო.

რამდენიმე დღის შემდეგ თენგოსთან მიდის ერთი ძმაკაცი და ეკითხება, ძროხა ხომ არ გყავთო. თენგომ დაუდასტურა, გვყავსო.

– ე, ბიჭო, მაკოცნინე შენს ძროხაზე, რა იქნება, – სთხოვა ძმაკაცმა.

– რა ვქნა? – დაიბნა თენგო.

– რა და იმ შენმა სტუმარმა რომ აკოცა შენს ძაღლს, ხომ მოეწყო იურიდიულზე. სამი წელია, ვეტერინარულზე ვაბარებ, კაცი არა ხარ? მაკოცნინე მაგ ძროხაზე, იქნებ მეც მეშველოს რამეო, – შეეხვეწა ძმაკაცი.

### ვის რა აქვს

(ეს ამბავი მეგობარმა ადვოკატმა, დალიდა თათეშვილმა მიამბო)

რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი რაიონის ადვოკატურაში ვმუშაობდი. რაიონში ცხოვრობდა ერთი საკმაოდ ცნობილი ოჯახი. ცოლიც და ქმარიც მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ და მათ მთელი რაიონი პატივს სცემდა. მაგრამ, საკმაოდ სოლიდურ ასაკში, ქმარი ვილაც ქალბატონს გადაეკიდა და ოჯახი დაინგრა. სასამართლოში ჰქონდათ დავა სახლის გაყოფაზე. ცოლის ინტერესებს მე ვიცავდი, ქმრის ადვოკატი კი გახლდათ ეროვნებით სომეხი, ხანშიშესული მამაკაცი, რომელმაც ქართული საკმაოდ კარგად იცოდა და პროცესზეც აქცენტით, მაგრამ ქართულად გამოდიოდა. ეს ადვოკატიც (ვუწოდოთ ვართანი) ჩვენივე რაიონიდან იყო და ორივე ცოლ-ქმარს კარგად იცნობდა. დაიწყო სასამართლო პროცესი. ჩემი კლიენტი ქალბატონი ძალიან ნერვიულობდა, ეთაკილებოდა, ასეთ დღეში რომ იყო და სიტყვებს ერთმანეთს ძლივს აბამდა.

– ქალბატონო, რას ნერვიულობთ, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თქვენც და თქვენს ქმარსაც შიგა გაქვთ, – უთხრა ვართანმა.

– რას მიბედავთ? – გადაირია ინტელიგენტი ქალბატონი.

– რას ამბობთ, ბატონო ვართან? – ერთდროულად შევიცხადეთ მე და მოსამართლემ.

– რას ვამბობ და სიმართლეს. მაშ, ორივეს შიგ არ აქვთ? – შეურაცხყოფილი იერით შეგვეპასუხა ვართანი.

– რა აქვთ შიგ, კაცო! – თავი ვერ შეიკავა მოსამართლემ.

– რა აქვთ და წილები, ამ სახლში ორივეს აქვთ წილები, სხვა რა უნდა ჰქონდეთ? – მოგვიბრუნდა გაოცებული ვართანი.

### სექსუალური ტერორის მსხვერპლი

სააპელაციო სასამართლოში ვმონაწილეობდი ერთ სამოქალაქო საქმეში, მამობის დადგენის თაობაზე. ვიცავდი ძალიან ემოციურ მამაკაცს. დავარიგე, რომ ემოციებს არ აჰყოლოდა და მშვიდად დაეჭირა თავი. ისიც შემპირდა, რომ ასეც მოიქცეოდა. დაიწყო სხდომა და სიტყვა მისცეს ჩემს კლიენტს (კლიენტი პირობითად ერქვა, ჩვენი დიდი ხნის ნაცნობი გახლდათ). ისიც ადგა და განაცხადა:

– ბატონო მოსამართლენო, მე გახლავართ, სექსუალური ტერორის მსხვერპლი?

– ვინ ბრძანდებით? – ყურებს არ დაუჯერეს მოსამართლეებმა.

– სექსუალური ტერორის მსხვერპლი ამ ქა-

**(გაგრძელება 73-ე გვერდზე)**

**მართალია ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" დიდი ხნის წინ არის გადაღებული, მაგრამ დღემდე არ კარგავს თავის ხიბლს და მაყურებელიც სიამოვნებით ადევნებს თვალს. შტირლიცი, უამრავი ქალბატონის სასურველი და იდეალური მამაკაცი გახდა. მართალია, ფილმზე ბევრი დაწერილა და ხშირადაც გამოჩენილა ტელესივრცეში, მაგრამ, ბევრი უცნობი ფაქტია, რაც საინტერესო და შეიძლება, წარმოუდგენელიც კი იყოს, განსაკუთრებით ქართველებისთვის. მაგალითად ის, რომ ფილმში რამდენიმე სცენა საქართველოშია გადაღებული. არც ის ამბავი იცის ვინმემ, რომ ფილმის მთავარი როლის შემსრულებლად, თავდაპირველად, ქართველი მსახიობი, არჩილ გომიაშვილი მოიაზრებოდა. ამ და სხვა უცნობი ფაქტების შესახებ, კინომცოდნე, ქეთი ჯანელიძე გვესაუბრა.**

# რომელი ქართველი მსახიობი მოიაზრებოდა შტირლიცის როლზე და როგორ აღმოჩნდა „გაზაფხულის 17 გაელვების" შემოქმედებითი ჯგუფი ბორჯომ-ბაკურიანის მთებში, კადრში კი - მანქანა ქართული ნომრით

**ქეთი ჯანელიძე**: შტირლიცის ისტორია 1970 წელს დაიწყო, როდესაც გამოვიდა რომანი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება", სადაც ვლადიმეროვ-შტირლიცის პერსონაჟი მთავარ გმირად მოევლინა მკითხველს. ამას წინ უძღოდა იულიან სემიონოვის რამდენიმე რომანი საბჭოთა მზვერავებზე, მაგალითად, „მაიორი ვიხრი," „ესპანური ვარიანტი," „პაროლი საჭირო არაა," სადაც შტირლიცის პერსონაჟი უკვე არსებობდა. ეს უკანასკნელი ეკრანიზებულიც კი იყო ამავე სახელწოდებით და ფილმს ბევრი მაყურებელი ჰყავდა. არც ერთ სხვა საბჭოთა კინოგმირს არ ჰქონია მსგავსი წარმატება და პოპულარობა როგორც შტირლიცს. ეს გამოგონილი პერსონაჟი განსაკუთრებით დიდი სიყვარულით სარგებლობდა მანდილოსნებს შორის.

**– ვინ იყო შტირლიცის რეალური პროტოტიპი?**

– დღემდე არ ცხრება კამათი იმის შესახ-



ებ, თუ ვინ იყო შტირლიცის რეალური პროტოტიპი. აღსანიშნავია, რომ 60-იანი წლების ბოლოს იულიან სემიონოვს დაევალა დაეწერა პატრიოტული ნაწარმოები საბჭოთა მზვერავზე. სიუჟეტის მაქსიმალური რეალისტურობისათვის, თვით იური ანდროპოვის დავალებით, მწერალს უფლება მიეცა, ემუშავა საიდუმლო არქივებში დაცულ მასალებზე. სემიონოვი მოგვიანებით ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ ფაქტების უმეტესობა აღებულია რეალური საქმეებიდან და გაერთიანებულია ერთ ლიტერატურულ ბიოგრაფიად. თუმცა, არის მოსაზრება, რომ მთავარი პროტოტიპი იყო გერმანელი აგენტი ვილი ლემანი, გაუფტშტურმფიურერი, საკმაოდ წარმატებული კარიერაში – აგენტური ნომრით ა-201, საიდუმლო მეტსახელით „ბრაიტენბახი." შტირლიცისაგან განსხვავებით, მის ცხოვრებაში მრავლად იყო ვნებიანი თავგადასავალი.

ფილმის გამოსვლის შემდეგ, ცნობილმა საბჭოთა შპიონმა, კიმ ფილბიმ განაცხადა, რომ ტიხონოვის გმირი, ასეთი კონცენტრირირებული და დაძაბული, რეალურ ცხოვრებაში შპიონად ერთ დღესაც კი ვერ გაატანდაო. კრიტიკოსები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ სერიალში შექმნილი ფაშისტური გერმანიის სახეც არ იყო დამაჯერებელი და სტალინური პერიოდის საბჭოთა კავშირს უფრო წააგავსო, – „ასეთი მესამე რეიხი არ არსებობდა."

**– ამბობენ, რომ ფილმის რამდენიმე ეპიზოდი საქართველოშია გადაღებული. თუმცა, ფაქტის დადასტურებას თავს არიდებენ. თქვენთვის თუ არის ამის შესახებ ცნობილი? თუ შეესაბამება ეს ყველაფერი სიმართლეს?**

– ეს მართალია და მოგახსენებთ ამის შესახებ. ფილმს რამდენიმე ქვეყანაში იღებდნენ. საქართველოში დაიგეგმა ჩამოსვლა, რათა გადაეღოთ ბორჯომ-ბაკურიანის მთებში ეპიზოდი, სადაც პასტორი შლაგი გადადის ალპებში. სცენარის მიხედვით, შტირლიცი და შლაგი ალპებამდე „მერსედესით" მივიდნენ. ეს „მერსედესი" კი გადაღებებისთვის გამოუსადეგარი გახდა. საქართველოში, მართალია მსგავსი მოდელი არ აღმოჩნდა, თუმცა შეირჩა ფორდის ავტომობილი. თუ კარგად დააკვირდებით, კადრში ნომრებიც კია გაპარული - ГРУ. რაც შეეხება გადამღები ჯგუფის წევრებს, ეგრეთწოდებულ „ცეკას", სასტუმროში ცხოვრობდნენ და საკმაოდ განებივრებული იყვნენ ქართული სტუმართმოყვარეობით. განსაკუთრებული დეტალები, თუ როგორ მიმდინარეობდა გადაღება, არსად აღწერილი არაა.



ფილმის გამოსვლის შემდეგ, ცნობილმა საბჭოთა შპიონმა კიმ ფილბიმ განაცხადა, რომ ტიხონოვის გმირი, ასეთი კონცენტრირირებული და დაძაბული, რეალურ ცხოვრებაში შპიონად ერთ დღესაც კი ვერ გაატანდაო

**– არჩილ გომიაშვილი მართლა მოიაზრებოდა შტირლიცის როლზე?**

– როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში რეჟისორი ტატიანა ლიოზნოვა ყვება, მას რომანი ჰქონდა მსახიობ არჩილ გომიაშვილთან. უნდოდა, მთავარ როლზე მისი დამტკიცება, თუმცა მთავრობამ არ მისცა უფლება, საბჭოთა მზვერავის როლი ქართველ მსახიობს ეთამაშა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სხვა როლზე მსახიობები რეჟისორმა პირდაპირ დაამტკიცა, შტირლიცის როლზე ბევრი კანდიდატის სინჯების გადაღება მოუწიათ. ერთ-ერთ ვარიანტად ინოკენტი სმოკტუნოვსკისაც განიხილავდნენ. სწორედ ეს უარი გახდა მიზეზი ლიოზნოვას და გომიაშვილის რომანის დასასრულისა. ამას დაემთხვა ისიც, რომ იმ პერიოდში გომიაშვილი ოსტაპ ბენდერის როლზეც დაამტკიცეს.

არჩილ გომიაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში წერდა, რომ შტირლიცის როლი იულიან სემიონოვმა ჩემთვის დაწერა და ტატიანა (ტატიანა ლიოზნოვა-რეჟისორი), იულიანი და მე ხშირად განვიხილავდით სცენარს. შემდეგ ტიხონოვი „ცეკაში" წავიდა და განაცხადა, რუსი მზვერავის როლი ქართველმა რატომ უნდა ითამაშოსო. აქ ტატიანა შეშინდა, ვერ დაიცვა თავისი პოზიცია და დათანხმდა ამ გადაწყვეტილებას. მე გაბრაზებულმა დავტოვე ყველაფერი და მერე დიდხანს მეხვეწებოდნენ მიულერის როლი მაინც შეასრულეო...

არავინ იცის, ვინ არის მართალი ამ ისტორიაში. შესაძლოა, გომიაშვილი-ლიოზნოვას რომანიც იმიტომ დაიწყო, რომ შტირლიცის როლი მოეპოვებინა არჩილს, ეს არავინ იცის. ფაქტი კი ერთია, რომ შტირლიცი ზეპოპულარული კინოგმირი გახდა.

**– დიდი მადლობა ასეთი საინტერესო ფაქტებისთვის. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენზეც გკითხოთ. მაროკოში იყავით კინოფესტივალის ჟიურის წევრი. ამის შესახებ რას გვეტყვით?**

– Festival Souss International du Court Metrage-Ait Maloul/Morocco, ამ ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ღონისძიებაა, სადაც თავს იყრიან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების კინოს ცნობილი წარმომადგენლები. ამ მიწვევას წინ უძღოდა საქართველოში ერთობლივი ქართულ-ქურთული ფილმის, „თორენის" წარმოება (რეჟისორი – ნავზად შეხანი, სცენარის ავტორი – ჯასო ოსმანოვი, აღმასრულებელი პროდიუსერი – ქეთევან ჯანელიძე). სწორედ ნავზად შეხანის იდეა იყო წარგვედგინა ქართული კინო ახლო აღმოსავლეთის კინომწარმოებლებისთვის. ნავზადი იყო ამ ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მაროკოს კულტურის სამინისტროს, მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალის დირექციის სურვილი იყო, მოგვეწყო ქართული ანიმაციური კინოს პრეზენტაცია. პროგრამაში შედიოდა ქართული ანიმაციის სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა ფილმები, სულ 15 ფილმი. ფესტივალზე საქართველო მნიშვნელოვანი სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული. გადმოგვეცა ფესტივალის პრიზი მოწონებისა და შემდგომი თანამშრომლობის სურვილის ნიშნად.

გარდა ზემოხსენებული პროექტისა, მე მიწვეული ვიყავი, როგორც ფესტივალის ჟიურის წევრი. ჩემთან ერთად ასევე, სპეციალურ სტუმრად იყო მიწვეული ქალბატონი ხათუნა ხუნდაძე ფილმით „48 საათი თამარის ცხოვრებიდან." ფესტივალზე კიდევ ორი ქართული ფილმი იყო წარმოდგენილი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტების - ზურა დემეტრაშვილის „Grossroads" და ლევან სიხარულიძის „As if here was the sea." ეს პროექტი დააფინანსა ჩვენმა კულტურის სამინისტრომ. ეს იყო ძალიან საინტერესო და შემოქმედ-



ებითად დატვირთული შეხვედრები. აღსანიშნავია, რომ მაროკოში ახლა იწყება კინოხელოვნების განვითარება და მათი მხრიდან დიდია ინტერესი, დაიწყოს საქართველოსთან მჭიდრო კულტურული ურთიერთობები კინოს სფეროში, დაიგეგმოს შემდგომი თანამშრომლობა, ერთობლივი წარმოება, გაცვლითი მასტერკლასები, დაიდოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოსა და მაროკოს სახელოვნებო უნივერსიტეტებთან.

**მარიკა ხიდურელი**

**მომღერალი ნინა წკრიალაშვილი ყოველთვის გამოირჩევა თავგადასავლებითა და მრავალფეროვანი ისტორიებით. მის შესახებ ყოველთვის ყველაფერი აინტერესებთ. ამჟამად ოჯახთან ერთად ბათუმში ისვენებს და სექტემბრიდან მსმენელს საინტერესო სიახლესაც ჰპირდება. რა ხდება მის პირად ცხოვრებაში და საერთოდ, რა ასწავლა მას ცხოვრებამ, ამას უკვე ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# ვისთან ერთად მოიწყო ნინამ ნამდვილი დასვენება და რა შემთხვევაში ცხოვრობს ის სხვისი ცხოვრებით

**ნინა**: უკვე რამდენიმე დღეა, აჭარაში ვართ დასასვენებლად – ჩემი შვილი, დედა, დისშვილი და მე. ოჯახურად ვისვენებთ, რაც ძალიან მომენატრა. სულ სახლში ვარ, ჯერ პლაჟზეც კი არ ჩავსულვარ. შუადღესაც მძინავს, საღამოსაც მძინავს, მოკლედ სანატორიუმში ვარ, რა. ბათუმში რა ხდება, მართლა არ ვიცი, რადგან ჯერჯერობით მართლა არსად დავდივარ. სულიერად და ფიზიკურად ვისვენებ, რაც ძალიან მომწონს. მიმაჩნია, რომ ადამიანმა ზამთარში და ზაფხულში თითო კვირა ასე პასიურად აუცილებლად უნდა დაისვენოს. ვისვენებ და თან, სექტემბრისთვის ვემზადები, სიმღერების ტექსტებს ვსწავლობ.

**– ცოტა ხნის წინ, საფრანგეთშიც იყავი და კარგი დროც გაატარე.**

– საფრანგეთში ყოფნას დასვენებად არ მივიჩნევ, რადგან ასეთი გასვლა წელიწადში სამჯერ მართლა მჭირდება აზრზე მოსასვლელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ენერგია მეცლება. სულ იმას ვამბობ, რომ ჩემი ყველაზე დიდი დასჯა ის იქნება, თუ ქვეყნიდან გასვლას ველარ მოვახერხებ-მეთქი. ეს ისე მშველის, რესტარტივითაა ჩემთვის. სიმართლე გითხრა, მნიშვნელობა არ აქვს, სად წავალ. თუმცა, განსაკუთრებით საფრანგეთში ყოფნა მიყვარს. ფრანგული ენაც კარგად ვიცი და სხვანაირადაც კარგად ვგრძნობ იქ თავს.



ვგიჟდები სიყვარულზე

**– განსაკუთრებით მაშინ, ალბათ, თუ მეგობრებთან ერთად ხარ.**

– ისე მიყვარს საფრანგეთი, მარტოც ძალიან კარგად გავერთობი იქ. ამ ბოლო დროს, მგონი, ცოტა გავგიჟდი, საკუთარ თავთან ყველაზე კარგად ვერთობი.

**– თუმცა, შენთან ერთად დასასვენებლად წასვლა ძალიან ბევრს უნდა, რადგან ძალიან კომფორტული ადამიანი ხარ.**

– მართლა, ასეა. ჩემს მეგობრებს ცალ-ცალკე რომ ეკითხებიან, ვისთან ერთად გინდა დასასვენებლად წასვლაო, ყველა ამბობს, ნინასთანო. მართლა კომფორტული ვარ და ვცდილობ, ვინც გვერდით მყავს, არასდროს დისკომფორტი არ შევუქმნა. ამასობაში კი, ჩემი თავი მავიწყდება. ალბათ, ამიტომაც არის ბოლო დროს, მარტო რომ მომწონს დასასვენებლად წასვლა.

**– ნინა, რაც შეეხება სამსახურს, ამჟამად სად მუშაობ?**

– ამჟამად არ ვმუშაობ, სექტემბერს ველოდები. იმედია, რამე გამოჩნდება. დიდხანს უსაქმურად ყოფნა არ მიყვარს. ბოლო 10 წელი სულ ვმუშაობ და უსაქმურობას გადაჩვეული ვარ. თან, როცა თავისუფალი ვარ მეტ სისულელეს ვაკეთებ. ამიტომ, მირჩევნია, დაკავებული ვიყო. ვნახოთ, რაღაცეებს ველოდები, მგონი, გამოვა.

**– ყოველთვის ისეთი ხარ, როგორიც რეალურად ცხოვრებაში და არასდროს თამაშობ. ამ ყველაფერს კი, შენი მსმენელი და გულშემატკივარი აფასებს.**

– ეს კარგია და ვფიქრობ, ცხოვრებაში თუ კი რამისთვის მინიმალური დოზით მიმიღწევია, ჩემი ხასიათის დამსახურებაა. ძალიან მაგრად მეზარება თამაში, რადგან ვფიქრობ, რაღაც ეტაპზე, მაინც გაიშიფრები. ამიტომ, ამ იმედგაცრუებას, თამაშს, დაღლას და მოჩვენებითობას, ყოველთვის ჯობია, ისეთი იყო, როგორიც ხარ.

**– როცა სხვა თამაშობს, ყოველთვის ხვდები ამას?**

– ამ ბოლო დროს ვისწავლე ჭკუა და უკვე ბევრ რამეს ვხვდები. ადრე ყველა კარგი და კეთილი მეგონა. მერე, რამდენჯერმე არასასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი და უკვე ვცდილობ, ადამიანებს ურთიერთობის დროს ბოლომდე აღარ ვენდო. ანუ, ნელ-ნელა ჭკუა ვისწავლე. დისტანციით ვარ ყველასთან და თუ დროს გაუძლო, მერე შემიძლია, ვუწოდო მას მეგობარი. რაც დროს გადის, სიმართლე გითხრა, მეგობრები მაკლდება. გვერდზე რომ მიიხედავ, გრჩება მხოლოდ რამდენიმე ადამიანი, რომელმაც დაიმსახურა, რომ ერქვას შენი მეგობარი.

**– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– ჩემს პირად ცხოვრებაში ისეთი მართლა არც არაფერი ხდება. როგორც ყოველთვის, ვიღაცეები არიან, მაგრამ არავინ ისეთი, რომ ღირდეს ურთიერთობის დაწყება. გადაფასების პროცესში ვარ. ჭკუა ვისწავლე-მეთქი, ხომ გეუბნები. არ ვარ შეყვარებული და თუ ვიქნები, ძალიან გამიხარდება, რადგან ვგიჟდები სიყვარულზე.

**– როგორი ხარ შეყვარებული?**

– იდიოტი ვარ ჩვეულებრივი. მავიწყდება საკუთარი თავი და აბსოლუტურად მეორე ადამიანის ცხოვრებით ვცხოვრობ. ეს არ მომწონს, მაღიზიანებს. ამასთან ერთად, ნაკლებად შრომისუნარიანი ვხდები. ამჟამად ბევრი რამის გაკეთება მოვასწარი. მეტყობა, რომ შეყვარებული არ ვარ.

> **ისე მიყვარს საფრანგეთი, მარტოც ძალიან კარგად გავერთობი იქ. ამ ბოლო დროს, მგონი, ცოტა გავგიჟდი, საკუთარ თავთან ყველაზე კარგად ვერთობი**

**– ანუ, როცა თვალთახედვიდან გაქრები, უნდა მივხვდეთ, რომ შეყვარებული ხარ?**

– კი, ასეა. სინამდვილეში, ჩემი თავი მაშინ უფრო მომწონს, როცა შეყვარებული არ ვარ. რა ვქნა, ერთიმეორეს ვერ ვუთავსებ.

**– ადვილად იღებ გადაწყვეტილებას?**

– გადაწყვეტილებებს ადვილად ვიღებ, გამომდინარე აქედან, ბევრი შეცდომაც დამიშვია როგორც საქმეში, ასევე პირად ცხოვრებაში. ჩემს პირად ცხოვრებას თუ გადავხედავ, ვხვდები, რომ არასდროს ტვინით არ მიმიღია გადაწყვეტილება, მერე კი ძალიან მტკივა გული. ალბათ, ტვინით უნდა გადაწყვიტო ყველაფერი. ვინც ასე მოიქცა, ყველა კმაყოფილია, მაგრამ მე არ შემიძლია. თუ მიყვარს, გიჟივით უნდა მიყვარდეს. თუ ეს გრძნობა განელდება, იმ ადამიანთან ყოფნა უკვე აღარ შემიძლია. ანუ, ყველაფერი ნამდვილი და ლაღი მიყვარს. სინამდვილეში, რომელი რჩება მოგებული, ვერ გეტყვი, არ ვიცი. ალბათ, ისე მოვკვდები, ამის პასუხს მაინც ვერ ვიპოვი.

**– სექტემბრისთვის ვემზადებიო და ახალ რეპერტუარზე ხომ არ არის საუბარი?**

– ძალიან კარგი სიახლე მაქვს. ზაზა შენგელიამ მომცა „ბრავო ბენდი” და ერთად ვამზადებთ პროგრამას, რომლითაც ხშირად წარვდგები მაყურებლის წინაშე. იმდენი ხანია, არსად არაფერი ხდება, რომ მომღერლებს ჩვენი პროფესია დაგვავიწყდა. ზაზას დიდი სიამოვნებით დავთანხმდი და დიდი მადლობა მას ამისთვის. ფანტასტიკურ მუსიკოსებთან ერთად მიწევს მუშაობა. იმედი მაქვს, მსმენელს მოეწონება, რადგან ძალიან საინტერესო პროგრამა გამოდის.

**– ბოლო დროს, კიდევ ერთ უჩვეულო ამპლუაში გნახა მაყურებელმა. გამოჩნდი სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები.” მინდა გითხრა, რომ ძალიან კარგად გაითავისე დოდოშკას როლი.**

– რაც ეს სერიალი დაიწყო, პირველი სეზონიდან ყველა სერია მაქვს ნანახი. სამად სამი სერიალი მიყვარს მთელს სამყაროში: „ჩემი ცოლის დაქალები,” „სექსი დიდ ქალაქში” და „სასოწარკვეთილი დიასახლისები.” ერთხელაც დამირეკეს და ქასთინგზე დამიბარეს. საქმეზე ვიყავი და დაგვიანებით მივედი. მეგონა, ხმას ვერ ამოვიღებდი, ორი სიტყვა მათქმევინეს და გიორგი ლიფონავამ მითხრა: წადი, გამოიცვალეო. ფაქტის წინაშე დამაყენეს. დედას გეფიცები, ისე ვნერვიულობდი, ორ სიტყვას ვერ ვაბამდი. მაგრამ, ისეთი სიტუაცია შემიქმნეს, ზუსტად 15 წუთში, ორ დუბლში ჩავწერეთ.

**– როგორ მოგწონს დოდოშკა?**

– დოდოშკა ძალიან სასაცილო, ჩვეულებრივი გამოშტერებული და უტვინო გოგოა, რომელსაც ჰგონია, რომ მის ზევით არაფერი და არავინ არის. თავდაჯერებული იდიოტია. გადაღებების დროს ძალიან ვხალისობ, ისეთი სასაცილო ფრაზები აქვს ჩემს პერსონაჟს. „ახვარკა” ხომ მაშინვე აიტაცა მაყურებელმა. „იმპოზანტურიც,” – ცოტნეს რომ ეუბნება. „ქართველი კაცები სამართლიანად ეჭვიანები, მაგრამ ბრუტალურებიო,” – ესეც ძალიან ბევრს ჰქონდა ამოჩერებული. ვგიჟდები სერიალის სცენარისტზე. ქეთი დევდარიანი ნამდვილი გენიოსია. გიორგი ლიფონავა არაჩვეულებრივი რეჟისორია და საერთოდ, მთელი შემოქმედებითი ჯგუფი ისეთი მაგრები არიან, რომ ერთი დიდი კაიფია მათთან მუშაობა. სულ რომ აღარ გამოჩნდეს ჩემი გმირი სერიალში, ძალიან კარგ მოგონებად დამრჩება ამ ადამიანებთან გატარებული თითოეული დღე.

**მარიკა ხიდურელი**




# თანამედროვე ანტიჰისტამინური პრეპარატი

- ✓ **ლორდესტინი** სწრაფად და ეფექტურად ხსნის ალერგიული რინიტისა და ჭინჭრის ციების სიმპტომებს (ცემინება, "ცხვირის დაცობა", ხველება, თვალების ქავილი, ცრემლდენა, კანზე გამონაყარი და ქავილი);
- ✓ **ლორდესტინს** აქვს სწრაფი ეფექტი - მიღებიდან 30 წთ-ში, რომელიც გრძელდება 24სთ-ის განმავლობაში;
- ✓ **ლორდესტინი** მიიღება 12 წლის ასაკიდან 1 ტაბლეტი დღეში ერთხელ კვებისგან დამოუკიდებლად;
- ✓ **ლორდესტინი** არ იწვევს ძილიანობასა და მოდუნებას (არ ახდენს გავლენას ავტოტრანსპორტის მართვის უნარზე);
- ✓ **ლორდესტინის** მიღება შესაძლებელია სხვა მედიკამენტებთან ერთად და არ ურთიერთქმედებს ალკოჰოლთან.

*გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს*

სსს „გედეონ რიხტერი"
წარმომადგენლობა საქართველოში:
თბილისი, კანდელაკის №8. ტელ/ფაქსი: 2377-100; 2371-100




# სტოპდიარი სწრაფად, ეფექტურად და უსაფრთხოდ გაგათავისუფლებთ ფაღარათისგან!

- ანტიბაქტერიული მოქმედების ფართო სპექტრი
- ადგილობრივი ნაწლავური ანტისეპტიკი, რომელიც გავლენას არ ახდენს ნაწლავის ნორმალურ მიკროფლორაზე
- ანტიმიკრობული ეფექტი მკურნალობის პირველივე საათებიდან
- მიღება 2 თვის ასაკიდან




*გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს*

სსს „გედეონ რიხტერი"
წარმომადგენლობა საქართველოში:
თბილისი, კანდელაკის №8. ტელ/ფაქსი: 2377-100; 2371-100



# როგორ რომანს უნდა მოერიდოს ჭკვიანი ქალი და რა შეიძლება, ექცეს მას პრობლემად

**საინტერესო იქნება, ვიცოდეთ, ზოგადად, რამდენ პროცენტ შემთხვევაში სრულდება სამსახურებრივი რომანი ბედნიერი ფინალით. თუმცა, ფსიქოლოგები არ გვირჩევენ სერიოზულ ურთიერთობას სამსახურში. ამას უამრავი ნეგატიური მოვლენა ახლავს და სერიოზულ პრობლემებამდეც მივყავართ. საქმე რთულად არის მაშინაც კი, როცა პარტნიორებიდან ორივე ან ერთ-ერთი თავისუფალია. რატომ უნდა იყოს ქალი ფრთხილად თანამშრომლებთან და რა პრობლემები შეიძლება შეექმნას მას, რომელიც მომავალში ცხოვრებას ძალიან გაურთულებს.**

**ლიკა** *(31 წლის)*: სხვათა შორის, დედაჩემი მეუბნებოდა, სამსახურში რომანი არ უნდა გააბას ჭკვიანმა ქალმა, საშიშიც არის და არასაიმედოცო. მე მეღიმებოდა ამაზე. იმიტომ კი არა, რომ თავიდანვე ჩაფიქრებული მქონდა რომანი სამსახურში, უბრალოდ, არ მჯეროდა სტერეოტიპული მოსაზრებების – ცხოვრება როგორ შეიძლება, პროგნოზირებადი იყოს. პირიქით, სპონტანურად თუ მოხდება ყველაფერი, უფრო საინტერესო იქნება-მეთქი. მაგრამ ცხოვრება მართლა სხვანაირი ყოფილა. ვერ ვიტანდი, წინასწარ რომ გეგმავდნენ რაღაცეებს ჩემი მეგობრები. დავცინოდი მათ.

**– რის დაგეგმვას გულისხმობთ?**

– სიყვარულის, სერიოზული ურთიერთობის... თურმე, ეს ყველაფერი უნდა დაგეგმო. თანაც, აუცილებლად, თუ გინდა, რომ ბედნიერი იყო. რაღაც მომენტში, ძალიან სულელი გამოვდექი. ასეა, როცა ადამიანებს შენით მანიპულირების საშუალებას მისცემ. თუნდაც გიყვარდეს ის, ამას ნაკლებად აქვს მნიშვნელობა. ზოგადად, თუ მშვიდი ცხოვრება გინდა, როცა ნერვები არაფერზე გეშლება და სტაბილურად არის ყველაფერი, უნდა დაივიწყო მძაფრი ვნებები და სულ მცირე – დედას დაუჯერო. ოღონდ, ნუ გაგეცინებათ ამაზე. დიდი გოგო თვითონ უნდა აზროვნებდეს ისე, რომ შარში არ გაეხვიოს. მით უმეტეს, რომ საქმროც მყავდა, საკმაოდ ნორმალური კაცი და მგონი, მართლა ვუყვარდი. რამ ვერ დამაკმაყოფილა, მართლა ვერ ვხვდები. იქნებ, მართლა ბედისწერა იყო ყველაფერი, რაც მოხდა. თითქოს ხავსს ვეჭიდები და არ მინდა, თავი დავიდანაშაულო. ქორწილზე ვლაპარაკობდი უკვე, რომ უცებ ჩვენს ოფისში ახალი თანამშრომელი მოვიდა – „ის". დავინახე თუ არა, მაშინვე მომეწონა – ძალიან მომეწონა. რაღაც ვიგრძენი, რაღაც ისეთი, რამაც მთელ სხეულში ცხელ ტალღებად დამიარა. შეიძლება, ეს ემართებათ კაცებსაც ძალიან ლამაზი და სექსუალური ქალის დანახვისას. ახლოს გავიცანი და გონება საერთოდ ველარ დავიმორჩილე... მრცხვენია, ამას რომ ვამბობ, მაგრამ იმ დღიდან საერთოდ აღარ მახსენდებოდა ჩემი საქმრო. ვიტანჯებოდი კიდეც მასთან შეხვედრისას. ვიტანჯებოდი ჩემი თანამშრომლის ყურებისას. მაშინ დარწმუნებული ვიყავი – ანუ, იმ მომენტისთვის, რომ ეს იყო სიყვარული, თანაც, ისეთი, მანამდე განცდილი რომ არ მქონდა.

**– მხოლოდ მისმა გარეგნობამ მოახდინა თქვენზე ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება?**

– ვაიმე, არ ვიცი. როგორც ახლა ვაანალიზებ, კი. იმიტომ, რომ მის შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი ვიცოდი. ეს უკვე შეცდომა იყო, თანაც, ძალიან სერიოზული. ჯერ რომ იცი კაცის შესახებ რაღაც, როგორი რთულია, ენდო. რომ არაფერი იცი,

> **რაღაცამ სხეულში ცხელ ტალღებად დამიარა. ეს ემართებათ, ალბათ, კაცებსაც სექსუალური ქალის დანახვისას**

ხომ მაშინ საერთოდ კატასტროფა ყოფილა – სრული კრახი და თავიდანვე განწირული ურთიერთობა. მოკლედ, მისი ყველაფერი ჭკუიდან მშლიდა: სიმაღლე, მუქი ფერის, მბზინავი თმა, გამოხედვა, მონაცრისფრომოლურჯო თვალები. მეეჭვება, რომელიმე ქალი გულგრილი დარჩენილიყო ამ მამაკაცის მიმართ. ამიტომ, როგორც კი ყურადღება მომაქცია, არც მიფიქრია წინააღმდეგობის გაწევა. ეგრევე აღმოვჩნდი მასთან ერთად საწოლში, თანაც ისე გაუფრთხილებლად, რომ ამის შესახებ ლამის მთელმა სამსახურმა გაიგო. ჩემი მეგობრები შოკში იყვნენ. გაოცებული მეკითხებოდნენ, რას აკეთებ, სრულ ჭკუაზე ხარო? ერთმა ისიც მითხრა, თავს იღუპავ, ტიპი ჩვეულებრივი კოლექციონერია, შენ კი სერიოზულ ურთიერთობაზე ამბობ უარს მის გამო, მომავალს კარგავ. კარგ ადამიანს კრავ ხელსო. აშკარად სიმართლეს მეუბნებოდნენ, მაგრამ იმის მაგივრად, რომ რაღაც ნაწილი მაინც შემესმინა, ყველას ვეჩხუბე. ბოლმიანი ადამიანები ხართ და გშურთ ჩემი-მეთქი. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი რეაქცია ექნებოდათ მათ ამ ჩემს დაუმსახურებელ აგრესიაზე. თავიდან ვფიქრობდი, უფრო სწორად, ცოტათი მაინც ვცდილობდი, შემენარჩუნებინა სახე – ანუ, ეს რომანი არ მისულიყო ჩემი საქმროს ყურამდე.

**– რატომ? არ გინდოდათ მისი დაკარგვა, რადგან ხვდებოდით, რომ ახალ ურთიერთობას მომავალი არ ჰქონდა?**

– არა. ამდენი ნამდვილად არ გამითვლია. უბრალოდ, არ მინდოდა, გული მეტკინა მისთვის. თორემ, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს იყო ჩემი ბედისწერაც და ჭეშმარიტი სიყვარულიც. ანუ, მე თავიდანვე ძალიან სერიოზულად მქონდა ყველაფერი.

**– ის გაძლევდათ ამის საფუძველს?**

– სამწუხაროდ, ამაზე არ დავფიქრებულვარ. მთლიანად გრძნობას ვყავდი შეპყრობილი. თურმე, ამას ძალიან გვიან მივხვდი, ქალმა კაცის შესახებ ყველაფერი უნდა იცოდეს.

**– ყველაფერში რას გულისხმობთ?**

– ყველაფერში ვგულისხმობ ყველაფერს: მის ხასიათს, წარსულს, სამსახურის მიმართ დამოკიდებულებას, მეგობრების წრეს, ფინანსებს, ჩვევებსა და სისუსტეებს. იმ დროსაც კი არ ხარ დაცული, როცა იცი ასეთი დეტალები. მხოლოდ გრძნობით და ვიზუალით მოხდენილი ეფექტით, თავს ვიტყუებთ და იმედგაცრუებული ვრჩებით. სამი თვე ვიყავი ტკბილ ბურანში. დავკარგე ლამის ყველა, ვინც რამეს მეტყოდა ჩემი ახალი შეუყვარებულის შესახებ და შეეცდებოდა, თვალები აეხილა ჩემთვის, ეგრევე ვიშორებდი თავიდან და ვერიდებოდი. საქმრომაც გაიგო, რაც ხდებოდა. ისიც ბევრს ეცადა, როგორმე აზრზე მივეყვანე, ხან მეჩხუბა, ხან მეხვეწა... მესმის მისი, თავმოყვარეობა აწუხებდა... რცხვენოდა, ასე უცერემონიოდ რომ მივატოვე ლამის ქორწილის წინ.

**– მხოლოდ თავმოყვარეობის გამო ცდილობდა თქვენს შენარჩუნებას?**

– ალბათ, სიყვარულიც ჰქონდა. მაგრამ, ვფიქრობ, კაცისთვის ასეთ დროს თავმოყვარეობა გაცილებით მნიშვნელოვანია. პრინციპში, ჩემთვისაც მნიშვნელოვანი იქნებოდა. რომ




**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**☎: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

# რა მიზეზით შეწყდა კავშირი ოზურგეთსა და რუსეთში მცხოვრებ ნათესავებს შორის

*ედუარდ ზურაბის ძე ფიოდოროვი ეძებს: დაახლოებით 47-49 წლის ნუგზარ ზურაბის ძე ჭონიშვილს და დაახლოებით 44-45 წლის გოჩა ზურაბის ზე ჭონიშვილს.*

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ნახევარძმებს – დაახლოებით 1965-1967 წელს დაბადებულ ნუგზარ ზურაბის ძე ჭონიშვილს და დაახლოებით 1969-1970 წელს დაბადებულ გოჩა ზურაბის ძე ჭონიშვილს. კავშირი 1987 წელს შეიწყდა და მათი მოძებნა და შეხვედრა, ძალიან მინდა. იმედი მაქვს, დამეხმარებით. ამჟამად მე რუსეთში ვცხოვრობ და ნახევარძმების პოვნა დამოუკიდებლად ვერ მოვახერხე. მაქვს ნუგზარის ფოტო, სამწუხაროდ, იმდროინდელი, სხვა სურათები არ გამაჩნია. ბოლოს ჩემი ქართველი ნათესავები მახარაძეში (დღევანდელ ოზურგეთში) ცხოვრობდნენ. არაა გამორიცხული, ახლაც იქ ცხოვრობდნენ.



**– გვიამბეთ თქვენი ისტორია – რატომ დაკარგეთ ნახევარძმებმა ერთმანეთი?**

– მამაჩემი იყო ზურაბ ევსენის ძე ჭონიშვილი (1933-1975). გოჩა და ნუგზარი ჩემი ნახევარძმები არიან. მე ისინი ბოლოს 1987 წელს ვნახე, როდესაც ათი დღით ვიყავი სტუმრად ჩასული ქალაქ მახარაძეში (ამჟამად, თუ არ ვცდები, ოზურგეთი ეწოდება). სწორედ იმ დროიდან მე ჩემი ნათესავები არ მინახავს და მათ შესახებ არაფერი ვიცი. სამწუხაროდ, დამოუკიდებლად მე ისინი ვერ ვიპოვე. ამიტომ, დახმარებისთვის თქვენ მოგმართეთ. ასევე, ჩემი განაცხადი განვათავსე სამძებრო საიტზე. იმედი მაქვს, რომ გოჩას და ნუგზარს ვიპოვი. მართალია, მე მათგან შორს ვცხოვრობ და კავშირი წლებია, არ გვქონია, მაგრამ მე ისინი მუდამ მახსოვს. მინდა, დაკარგული კავშირი კვლავ აღვადგინოთ. თავად მე, სხვა გვარზე ვარ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე, გოჩა და ნუგზარი ერთი მამის შვილები არ ვართ.

**– 1987 წლის შემდეგ დიდი დროა გასული. როგორ ფიქრობთ, ისინი კვლავ ოზურგეთში ცხოვრობენ?**



– არ ვიცი, მაგრამ, რომც გადასულიყვნენ სადმე, იმედს ვიტოვებ, კვლავ საქართველოს ტერიტორიაზე იქნებიან თუ არა, მაშინ მათი უახლოესი ნათესავები მაინც ხომ დარჩებოდნენ იქ. მე მაქვს მხოლოდ და მხოლოდ ნუგზარის ფოტო, მაგრამ ვიმედოვნებ, ვინმე მაინც გამოგეხმაურებათ ჩემს ისტორიასთან დაკავშირებით.

**– როგორ ფიქრობთ, ისინი თუ გეძებდნენ ამდენი ხნის განმავლობაში?**

– დაზუსტებით არ ვიცი, მაგრამ, ასე მგონია, რომ ჩვენ, სამივეს ერთმანეთის პოვნა გაგვიხარდებოდა. პოვნის შემთხვევაში, არ ვიცი, როგორ მოვახერხებთ, მაგრამ, თუ კი ერთობლივი სურვილი იქნება, ერთმანეთი აუცილებლად უნდა ვნახოთ. ჩემი მეგობრები და ოჯახის წევრები ძალიან მგულშემატკივრობენ გოჩასა და ნუგზართან დაკავშირებით. ყველა იმის მოლოდინშია, ვიპოვით თუ არა ერთმანეთს.

**– პოვნის შემთხვევაში, რას აპირებთ?**

– უპირველესად, ალბათ, ტელეფონით დაველაპარაკები და გავიგებ მათი ცხოვრების შესახებ ყველაფერს. ვუამბობ ჩემ შესახებაც. მერე კი, არ ვიცი, ვნახავთ, როგორ აეწყობა ჩვენი ურთიერთობა. ფაქტი ისაა, რომ მე ისინი არც ერთი დღე არ დამვიწყებია. მათი პოვნისთვის ყველა ცნობილ ხერხს მივმართე, მინდა, ამან გაამართლოს.

**– დედათქვენმა თუ იცის ნახევარძმებს რომ ეძებთ?**

– ეს ამბავი ყველამ იცის და ყველას აინტერესებს, თუ რით დასრულდება ჩვენი ისტორია, მათ შორის დედასაც. დედმამიშვილზე კარგი ამქვეყნად არაფერია და ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს. შეიძლება, გყავდეს ათასი მეგობარი, მაგრამ ამ ათასს, ერთი საიმედო, მოსიყვარულე დედმამიშვილი, ჩემს შემთხვევაში კი – ნახევარძმა ჯობია.

**თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

წარმოვიდგინო, საყვარელმა მამაკაცმა ქორწილის წინ მიმატოვოს, გავგიჟდები. თუმცა, თითქმის ასეც მოხდა. მეც მიმატოვეს და ახლა უფრო მესმის ჩემი საქმროსი. მტკივა მისი ტკივილი გულწრფელად, მაგრამ ვშიშობ, გვიანი არ იყოს. სამი თვის განმავლობაში ჩემმა შეყვარებულმა ოქროს კოშკები ამიშენა. ყველაფერს აკეთებდა ჩემი სიამოვნებისთვის. მეც ნელ-ნელა ვრწმუნდებოდი, რომ ბედნიერი „ჰეფი-ენდი" მიახლოვდებოდა. სამსახურში, რა თქმა უნდა, ყველამ ყველაფერი იცოდა. ჩურჩულებდნენ კიდეც ჩვენს ზურგს უკან, რასაც მე ყურადღებას არ ვაქცევდი და სანანებელი გამიხდა. ცოტა მეტი ყურადღება რომ გამომეჩინა, მის სიყვარულში ისეთი დარწმუნებული არ ვიქნებოდი. უნებლიეთ, ძალიან სერიოზულად მოვიტყუე თავი. გეგმებიც დავაწყვე მე სულელმა – როგორ გავყვებოდი ცოლად, როგორ გავუჩენდი მასავით ლამაზ შვილებს...

## მითხრა, თავს იღუპავ. ტიპი ჩვეულებრივი კოლექციონერია, შენ კი სერიოზულ ურთიერთობაზე ამბობ უარსო

**– თქვენმა საქმრომ არ სცადა თქვენს ახალ შეყვარებულთან შეხვედრა და საუბარი?**

– კი. სცადა, მაგრამ, როგორც გავიგე, მეგობრებმა გააჩერეს. უთქვამთ, იმ ქუჩის ქალისთვის არ ღირს ციხეში ჩაჯდეო. მე მეწყინა, ჩემზე ასე რომ თქვეს, თუმცა, ვაღიარებ, რომ ამისი სრული უფლება ჰქონდათ. ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად, ჩემმა რაინდმა გვერდზე გამიხმო და მითხრა, ორივესთვის უკეთესი იქნება, თუ შენ სხვა სამსახურს მოძებნი. აქ ყველა ჩვენზე ლაპარაკობს. უკვე დავიღალე. უფრო თავისუფალი ვიქნები ურთიერთობაში, თუ ამათ ზურგს უკან ჭორაობა არ დამძაბავსო. გამაბრიყვა, დამაჯერა და მეც დავიწყე სხვა სამსახურის ძებნა. ვიპოვე, შედარებით დაბალი ანაზღაურებით, მაგრამ ამას აღარ დავეძებდი. პირიქით, მიხაროდა, რომ საყვარელ ადამიანს ვასიამოვნე. ახლა უკვე შემირთავს ცოლად-მეთქი, ვფიქრობდი. მაგრამ... ზუსტად ერთ კვირაში, ჩემს ადგილზე მოიყვანა გოგო, რომელიც მისი საცოლე იყო და ცოლადაც შეირთო. ოფიციალური ნიშნობა ჰქონდათ. განადგურებული ვარ და ცხოვრება აღარ მიხარია. გამანადგურა ასეთმა უნამუსობამ. ვილაც იტყვის, რომ ღირსი ვარ, რაც დამემართა და შეიძლება, ასეც არის. მაგრამ, ახლა უკვე ძალიან გვიანია.

**დალი მიქელაძე**

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**უკვე ორი წელია, გავთხოვდი და ვატყობ, ჩვენ ვერასოდეს გავუგებთ ერთმანეთს. გრძნობა, რომელიც ქმრის მიმართ მაქვს, ამას არ ეყოფა. ვერ ვიტან მისი ხასიათის რაღაც ნიუანსებს, ჩვევებს და ახირებებს. არ ვიცი, უნდა მივცე დრო მასაც და საკუთარ თავსაც თუ ახლავე დავამთავრო ეს ურთიერთობა. თქვენ რას მირჩევთ?**

**გამოხმაურება:** წარმოიდგინეთ ცხოვრება მის გარეშე და კიდევ ერთხელ გადააფასეთ ფასეულობები. გაითვალისწინეთ, შესაძლებელია თუ არა ამ ცუდის გამოსწორება და საბოლოო გადაწყვეტილებაც ამის მიხედვით მიიღეთ. სასურველია, თუ მეუღლესაც დაელაპარაკებით ყველა იმ საკითხზე, რომელიც გაწუხებთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როზაქიძე**

**თეა გოგბეჯიშვილის სახლში მისულს, მისი პატარა ძაღლი, პირველი გეგებება. ის ამ ოჯახის ნამდვილი წევრია და თავს საკმაოდ კომფორტულად და მშვიდად გრძნობს საყვარელი ადამიანების გარემოცვაში. როგორც თეამ გვითხრა, მას ცხოველების გამო ბევრი ტრაგედიის გადატანა მოუხდა და აღარ აპირებდა მათ სახლში მიყვანას. თუმცა, პატარა, ჩინური ტიტველი ჯიშის ჭინკამ, ისე შეაყვარა თავი, რომ მის გარეშე ცხოვრება ველარც წარმოუდგენია.**

# რატომ არის თეა გოგბეჯიშვილის თორმეტი წლის ჭინკა ფრიგიდული და ვის გამო უწევდა მას ტრაგედიების გადატანა

**თეა გოგბეჯიშვილი**: ცხოველებიდან, ყველაზე მეტად ძაღლი მიყვარს და მახსოვს, მთელი ბავშვობა ვოცნებობდი, დედას ვეხვეწებოდი, მიყიდე-მეთქი. ალბათ, ყველა დედა წინააღმდეგია, სახლში ბავშვთან ერთად, ძაღლიც იზრდებოდეს. თუმცა, მე სამჯერ, ხან ბავშვური ხრიკით და ხან ტყუილით, მოვახერხე და ჩუმჩუმად შემოვაპარე ისინი სახლში. ზოგადად, ძალიან მიყვარს, პატარა ჯიშის ძაღლები, მათთან მეტად სათუთი დამოკიდებულებმა მაქვს და მგონია, უფრო მეტად სჭირდებათ ჩემი მზრუნველობა. შვიდი წლის ვიქნებოდი, მამას რომ გავურიგდი და დედის თანხმობის გარეშე, „იაპონკას" ჯიშის ძაღლი, სახელად „პუსკა", სახლში მოვიყვანეთ. ის ჩემი პირველი ძაღლი იყო. ხუთი წელი ცხოვრობდა ჩვენთან და ახლაც არ ვიცი, სად წავიდა. ვფიქრობ, ჩუმად გააჩუქეს. სახლში რომ მივედი და არ დამხვდა, ძალიან ვინერვიულე. წიწილებიც მყავდა სახლში, ბებიამ თბილისობის დღესასწაულზე მიყიდა. უსაყვარელესები იყვნენ, მაგრამ რთული მოსავლელი – ოთხი დამეხოცა. მხოლოდ ერთი დამრჩა, „წიპულიას" ვეძახდი და იმას ვუვლიდი. ერთ დღეს, ეზოში ჩავიყვანე სასეირნოდ. გავიხედე, გამოვარდა კატა, ეცა და მიახრჩო. იმის მერე, მიუხედავად, ცხოველებისადმი ჩემი დიდი სიყვარულისა, კატები არ მიყვარს. დღესაც მახსოვს, რა საშინელი განცდა მქონდა, როგორ ვინერვიულე და ვიდარდე „წიპულიას" დაკარგვა. მთელი დღეები ვტიროდი. სასაფლაოც კი გავუკეთე და ხშირად დავდიოდი ჩემი გამოზრდილი წიწილის საფლავზე. ზაფხულობით კი, მამას მივყავდით რაჭაში და არ დამავიწყდება, მთელი დღე შემეძლო, საქონელთან ერთად მინდორში ვყოფილიყავი. ძროხის მოწველაც კი ვისწავლე *(იცინის)*. ვგიჟდებოდი პატარა ხბოებზე, ჩემი ხელით ვაჭმევდი. ერთ დღესაც, ასე ვაჭმევდი და თითი შევაყოლე ბალახს. ძალიან მეტკინა, ხორცი ამძვრა თითზე, მაგრამ ამას ჩემი მათდამი დამოკიდებულება არ შეუცვლია – დღემდე მიყვარს. თბილისში კი, მყავდა, უჯიშოზე უჯიშო, მეორე ძაღლიც.



**სასაფლაოც გავუკეთე ჩემს „წიპულიას" და ხშირად დავდიოდი ჩემი გამოზრდილი წიწილის საფლავზე**

**– ეს უჯიშოზე უჯიშო ძაღლი, როგორ მოხვდა შენთან? იყიდე თუ ვინმემ გაჩუქა?**

– პატარა ხომ ყველა და ყველაფერი ლამაზია, ჰოდა, ეს ძაღლიც, პატარა ისეთი ლამაზი იყო, უნდა გენახათ. ჩემმა თაყვანისმცემელმა მაჩუქა, როგორც პუდელი. ეტყობა, გაბრაზებული იყო ჩემზე და შური იძია *(იცინის)*. დღითი დღე ვატყობდი, რომ არც თმა ეზრდებოდა და არც ყურები. მოკლედ, საბოლოო ჯამში, პატარა, დაგრეხილი ძაღლი შემრჩა, რომელსაც ერქვა „პაკო". მაწანწალა იყო, გაიპარებოდა სახლიდან და შეიძლებოდა, ერთი კვირა არ მოსულიყო. ისიც ტრაგიკულად დავკარგე. მაწანწალა, ქუჩის ძაღლებმა დაგლიჯეს და ველარ შევძელით მისი გადარჩენა. ეს ჩემი მესამე ტრაგედია იყო და ვფიქრობდი, აღარ ვიყოლიებ ცხოველს სახლში-მეთქი.

**– თუმცა, დღეს საყვარელი, პატარა ძაღლი ცხოვრობს შენს სახლში და თუ არ ვცდები, უკვე დიდი ხანია. საიდან მოხვდა ის შენთან?**

– ნიტაზე ორსულად ვიყავი. ჩემს მეგობართან მივედი სტუმრად და დავინახე ეს ძაღლი – ჩინური, ტიტველი ქოჩორას ჯიშის. მაშინვე შემიყვარდა. ვიფიქრე, ახლა ეს რომ არ წავიყვანო გადავირევი-მეთქი. ახალი დაბადებული იყო, ორი თვის და საოცარი შესახედი – ტიტველი და ქოჩორა. შეიძლება სხვა ადამიანებს, მსგავსი ჯიშის ძაღლები არ უყვართ მისი შესახედაობის გამო, მაგრამ მე ვგიჟდები ჩემს ჭინკაზე.

**– სახელი „ჭინკა" შენ დაარქვი?**

– არა, დაბადებიდან ჭინკა ერქვა. პასპორტიც ჰქონდა და იქ ეწერა: „ერთი ციდა ჭინკა ფრიდა". ამხელა სახელს ხომ ვერ დავუძახებდი? ამიტომ, შევამოკლე. ჭინკას, ყველაზე მეტად, ქარის ეშინია და არ დამავიწყდება, ახალი წლის დღეები იდგა, ქარიც იყო და ქუჩაში ასაფეთქებლებს აფეთქებდნენ. ჭინკა სასეირნოდ ჩაიყვანეს, ამ აფეთქების და ქარის ხმამ დააფრთხო, გაიქცა და დაიკარგა. ბევრი უძებნიათ, რომ ვერ ნახეს, მე სტუდიაში ვიყავი და დამირეკეს. გამოვვარდი გიჟივით, თან ბნელდებოდა, ქარი იყო და ძალიან ციოდა. ჭინკას კი სიბნელისაც ეშინია, ქარისაც და თან, ბეწვიც არ აქვს, გაიყინებოდა. ეს რომ წარმოვიდგინე, სულ გადავედი ჭკუიდან. მაშინ, ქავთარაძეზე ვცხოვრობდი. კორპუს-კორპუს დავრბოდი და ვყვიროდი: „ჭინკააა, ჭინკააა!". კორპუსებიდან ხალხი გადმოდგა, ეს გოგო ხომ არ გაგიჟდა, ამ ღამით რომ დარბის ქუჩაში და ჭინკებს უხმობსო. მოკლედ, ვერ ვიპოვეთ ჭინკა. დავურეკე ჩემს მეგობარს, ვინც მაჩუქა და ვკითხე, რა გავაკეთო-მეთქი. დამამშვიდა, ნუ გეშინია, ნუ ნერვიულობ, ჭინკა არსად გაიყინება. ამ ჯიშის ძაღლები, სადაც ღია კარს ნახავენ, იქ ძვრებიანო. ეს დამამშვიდებდა? გავაგრძელე ნერვიულობა და წარმოვიდგინე, რომ სცივა, მე მელოდება, საცოდავად კანკალებს გაყინილი ქუჩაში და... გავიხედე, ღამის პირველ საათზე, კარზე კაკუნია. ახალგაზრდა ბიჭი მოვიდა და გვითხრა, სტუმრებს ვაცილებდი, კარი რომ გავაღე, ძაღლი შემოვარდა, საწოლის ქვეშ შევარდა და ვერაფრით გამოგვყავს იქიდან. იღრინება და, რომ გავიკითხეთ, ვის ჰყავს უბანში ასეთი ძაღლიო, თქვენთან მოგვასწავლესო. გავყევი, იმ ბიჭს და მართლაც, ჭინკა აღმოჩნდა საწოლის ქვეშ.

**– წარმომიდგენია, რომ დაგინახა, რა დღეში ჩავარდა.**

– რომ დამინახა, გამოვარდა საწოლის ქვემოდან, გახარებული მომახტა, მლოკა და მლოკა. ვერ გეტყვით, რა ემოცია გვქონდა, ხან ვტიროდით და ხან ვიცინოდით *(იცინის)*.

**– რამდენი წელია, რაც ჭინკა შენს გვერდითაა?**

– უკვე მეთორმეტე წელი დაიწყო, რაც ჭინკა და მე ერთად ვცხოვრობთ. ჯერ ჭინკა შემოვიდა სახლში და მერე შემეძინა ნიტა. ჭინკამ ნიტაზე იეჭვიანა და წლები არ აღიარებდა მას, როგორც ოჯახის წევრს. ყველას, ვინც სტუმრად მოდის, სიხარულით ხვდება და ნიტას გამო, არასდროს გამოუხატავს მსგავსი რამ.

**– ნიკას, შენს მეუღლეს, როგორ ხვდება? მასზე არ ეჭვიანობს?**

– მე და ნიკა, საღამოს, რომ „ჩავსხდებით" ტელევიზორის საყურებლად, ჭინკა მორბის და შუაში „ეკვეტება" *(იცინის)*. თუ ქარია, გამორბის თავისი ოთახიდან და ჩვენს საძინებელში შემორბის. ნიკა რომ აძლევდეს უფლებას, საწოლშიც ჩაგვიწვებოდა *(იცინის)*. ახლა დიდია და გვიჯერებს. ერთი წლის რომ იყო, ძალიან ცელქობდა, ყველაფერი დაჭამა – არ დაგვიტოვა, ჩუსტი, „ბასანოშკი", ჩექმა, რომ აღარაფერი ვთქვათ, ხის ავეჯზე. ყველაფერი მაღლა გვეწყო, რომ არ მისწვდომოდა და არ დაეგლიჯა და დაეღრღნა. ბოლოს, გადავაჩვიეთ. დღეს, ჭკვიანი გოგოა და არაფერს აფუჭებს. თუმცა, მარტო ყოფნა არ უყვარს და მაშინ ცოტას ცელქობს. ჭინკა სახლის ძაღლია, არ უყვარს გარეთ, ქუჩაში სეირნობა. როგორც კი გარეთ გამყავს, დისკომფორტს განიცდის. სახლში კი მყუდროდ გრძნობს თავს, აქ მისი გარემოა. ჩასაცმელებიც ვუყიდე, მაგრამ არ უყვარს ჩაცმა. ჟილეტიც მოვუქსოვე, მაგრამ ჩაცმა არ სიამოვნებს და ამიტომ, არ ვაცმევ. არც ბანტს ვუკეთებ თმაზე, არ მოსწონს. ძალიან მსუნაგია და საზამთროდან დაწყებული, მზესუმზირით დამთავრებული ყველაფერის ჭამა უყვარს, მაგრამ მარტო თავის საჭმელს ვაჭმევ. იშვიათად, დანამატის სახით, ცოტა ხილით ვანებივრებ *(იცინის)*.

**– დასასვენებლად რომ მიდიხარ, ჭინკაც თან დაგყავს?**

– ორჯერ წავიყვანე დასასვენებლად და მივხვდი, ძალიან შეწუხდა უცხო ხალხის გარემოცვაში. ძალიან მშიშარაა ჭინკა და სხვაგან, დასასვენებლად ყოფნას, სახლში დარჩენა ურჩევნია, თავისი ტერიტორია უყვარს.

**– ამბობენ, ცხოველები, დროთა განმავლობაში, თავის პატრონებს ემსგავსებიანო. შენ თუ ამჩნევ რაიმე მსგავსებას?**

– კი, ეს სიმართლეა, ცხოველები თავის პატრონებს, ნამდვილად ემსგავსებიან და ჭინკაც მე მგავს. ყველაფერში ზომიერია, ზუსტად იცის, რომელ ადამიანთან გამოხატოს სიხარული, ვის მოერიდოს. ძალიან მოსიყვარულე და ერთგულია. ასევე, ყურადღებიანია. როცა ცუდ ხასიათზე, ან დაღლილი ვარ და ვერ ამიყოლიებს თამაშში, ზუსტად იგივე ხასიათით მომიჯდება გვერდით და არ შემაწუხებს. ჭინკა, ჩემსავით გრძნობს ადამიანის განწყობას და შესაბამისად რეაგირებს. გარეგნობითაც, მგონი, მგავს.

**– გარეგნობის მსგავსებაში რას გულისხმობ?**

– რაც თმა შევიჭერი, ჭინკა და მე ერთმანეთს დავემსგავსეთ *(იცინის)*.

**– ჭინკა „გოგონაა," ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელიც ეყოლება, არა?**

– ბევრი თაყვანისმცემელი კი ჰყავდა, მაგრამ, თავად არ მოინდომა მათთან რომანების გაბმა. ერთი სახლშიც კი აკითხავდა, მაგრამ არც გაიცნო და არც ახლოს მიიკარა. რომ მივხვდით, ჭინკა უკვე დიდია და საჭირო იყო მისთვის „კავალერი", ჩავებით ამ საქმეში. ხუთჯერ შევახვედრეთ „სასიძოს", მაგრამ არაფრის დიდებით, არ ისურვა გათხოვება – დარჩა შინაბერა. რომ მიმყავდა „სასიძოსთან", დედაჩემმა იფიქრა, ახლა ეს შეჯვარდება, მერე თეა მის ლეკვებს ვერ შეელევა, მათაც სახლში დაიტოვებსო, და, მოკლედ, წინააღმდეგი იყო ჭინკას გათხოვების. ერთხელ უშედეგოდ დასრულდა მისი „გათხოვების" ამბავი, მეორედაც ასე, მესამედაც და შევწუხდი. სახლში პრეტენზია რომ გამოვთქვი, ეს რა ფრიგიდული ძაღლია-მეთქი, დედაჩემმა მითხრა: ხომ გეუბნებოდი, ჩვენი ჭინკა ეგეთი არ არისო *(იცინის)*. ასე გაამართლა დედამ, ჭინკას ფრიგიდულობა და დღემდე, ასე, შინაბერად დაგვრჩა ჩვენი ქოჩორა გოგო სახლში.

**ნონა დათეშიძე**

**ქართველი დიპლომატი, პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის რედაქტორი ზურაბ აბაშიძე, მიუხედავად იმისა, რომ მასთან ინტერვიუს ჩაწერა იოლი საქმე არ არის, შეხვედრაზე მაინც დაგვთანხმდა. ძალიან თბილი და კარგი მოსაუბრეა. ჩვენთან თავისი ცხოვრების ყველა იმ მნიშვნელოვან პერიოდზე ისაუბრა, რამაც შეიძლება, მკითხველი დააინტერესოს.**

# რა აუკრძალა საკუთარ თავს კატეგორიულად ზურაბ აბაშიძემ და სად აღარ აპირებდა დაბრუნებას ის არასოდეს

**– ბატონო ზურაბ, ის, რომ მამა ასეთი განთქმული პოეტი იყო, ყველგან პატივს სცემდნენ, საინტერესო კავშირები ჰქონდა, ჰყავდა უამრავი ნაცნობ-მეგობარი, რას ნიშნავდა ეს თქვენთვის, როდის გააცნობიერეთ, რომ ეს პიროვნება სწორედ მამათქვენი იყო და თუ გქონიათ სურვილი თქვენც დაგეწერათ ლექსი?**

– ამას ყოველთვის ვხედავდი და ვგრძნობდი, რადგან ჩვენს სახლში, ისეთი ხალხი იყრიდა თავს, რომ არ დამენახა, არ შეიძლებოდა. ჩვენთან მინახავს გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი... გალაკტიონი მაინცდამაინც არ იყო ის პიროვნება, ხშირად რომ იჯდა სუფრასთან, მას თავის ცხოვრების სტილი ჰქონდა, მაგრამ კარგად მახსოვს სიმონ ჩიქოვანი, გოგლა ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია. კონსტანტინემ დაბადების დღეზე ისეთი მწევარი მაჩუქა, ახლაც თვალწინ მიდგას. რაც შეეხება ლექსების წერას, პოეტობის ნიჭი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ აღმომაჩნდა. ლექსი რომ დავწერე, ალბათ მერვე კლასში ვიქნებოდი. ვაჩვენე მამას, მაგრამ არ ვუთხარი, რომ ჩემია. ვუთხარი, ჩემმა კლასელმა დაწერა და შენი აზრი გვაინტერესებს-მეთქი. საერთოდ, რბილი ხასიათის კაცი იყო, მისი ხმამაღლი საუბარი არც მახსოვს და მაშინ საკმაოდ მკაცრად მითხრა: იმ შენს ამხანაგს უთხარი, უნიჭოა და თავი დაანებოს ლექსების წერასო. ისე მითხრა, რომ გულში ჩამრჩა, ვფიქრობდი, ასე მკვახედ რატომ მომახალა-მეთქი. წლები რომ გავიდა, მერე მივხვდი, რა ჰქონდა მხედველობაში. გავშიფრე. მიხვდა, რომ ჩემი იყო და იფიქრა, ჯობია, აქედანვე ავაღებინო ხელი მწერლობაზე, ვიდრე მერე იწვალოს და ამისთანა უნიჭო ლექსები წეროსო. მას მერე აღარც მიცდია ლექსების წერა, ასე რომ ძალიან დამეხმარა მისი მკაცრი ტონი. გამორჩეულად რაღაცის ნიჭი მაინცდამაინც არ მქონია, უფრო სურვილები მქონდა. სკოლაში მეგობრები დამცინოდნენ კიდეც, ყველა ქვეყნის დედაქალაქი ვიცოდი, ვინ პრეზიდენტი იყო, ვინ პრემიერ-მინისტრი... ძალიან მაინტერესებდა გეოგრაფია, მოგზაურობები, ვკითხულობდი სათავგადასავლო ჟანრის წიგნებს. მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირი დახურული სივრცე იყო და სულ მქონდა ეს განცდა: ნეტა, მე თუ ვნახავ რა ხდება იქით-მეთქი. ზოგი ლიტერატურა უცხოეთიდან ითარგმნებოდა. ინგლისურს მაშინაც ყველა სწავლობდა, სკოლაში კარგად გვასწავლიდნენ...

**– და ერთ დღესაც, გადაწყვიტეთ, წასულიყავით მოსკოვში უცხო ენათა ინსტიტუტში ჩასაბარებლად...**

– დიახ, გადავწყვიტე, მოსკოვში უცხო ენების შესასწავლად წავსულიყავი, ესპანურ ენას სწორედ მოსკოვში დავეუფლე. რომ ვიხსენებ, მიკვირს კიდეც ჩემი თავის, – 17 წლის ვიყავი, სრულიად ბავშვი. დედა, მამა ყველა გამომყვნენ. ჩავედით, ორი პატარა კომუნალური ოთახი ვიქირავეთ. მოსკოვში ბევრი იყო ასეთი ბინა მაშინ და ამ გრძელ, ვიწრო დერეფნებში ცხოვრობდა ათობით ოჯახი. არ ვიყავი მოხერხებული, მაგრამ ისე მაინტერესებდა ეს ყველაფერი და ისე ხალისიანად ვიყავი, რომ არ გამჭირვებია იქ ცხოვრება. ეს დიდი ქალაქი, ახალი მეგობრები, რუსის გოგოები... ყველაფერი საინტერესო იყო, 17-18 წლის ბიჭს გოგოებით მქონდა თავი გამოტენილი. სხვათა შორის, ძალიან მომთხოვნი სწავლება იყო. ლექციები დილის რვა საათიდან გვეწყებოდა და წარმოიდგინეთ, ზამთარში რა ძნელია – ჯერ რომ კარგად არ იყო გათენებული, შვიდის ნახევარზე გავდიოდი სახლიდან, გამოუძინებელი, ცალ-ცალი ფეხსაცმლით.

**– რა გიჭირდათ, რა გილხინდათ?**

– მაშინ, მართლა პრივილეგიურ მდგომარეობაში ვიყავი. ამიტომ, მაინცდამაინც არაფერი მიჭირდა. სტიპენდიასაც მიხდიდნენ, 35 მანეთს. ოჯახიდანაც მიგზავნიდნენ და მყოფნიდა. ამიტომ ის, სტუდენტობის წლები, კარგად მახსოვს. 70-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად დინამიკური პერიოდი იყო ეკონომიკური თვალსაზრისით, რაღაც ჯერ კიდევ ვითარდებოდა. პროდუქტების დიდი არჩევანი იყო საბჭოთა სტანდარტებით, რა თქმა უნდა, მერე და მერე თანდათან რთული გახდა, იქ ცხოვრება. ჩემს თვალწინ ხდებოდა დახლების დაცარიელება, რაც საბჭოთა ეკონომიკის სირთულეების ანარეკლი გახლდათ. ყოველწლიურად უკან და უკან მიდიოდა, ეს მოსაწყენი რიგებიც იზრდებოდა, თუმცა ახალგაზრდა კაცისთვის დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა რას ვჭამდით – რასაც ვჭამდით, ვჭამდით.



„ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს და ყველა უბედური ოჯახი განსხვავებულია"

**მამაჩემი, ფაქტობრივად, ამ ამბავს გადაჰყვა, ვერ გადაიტანა**

**– მოსკოვში ყოფნისას პოლიტიკურ მოვლენებსაც ადევნებდით თვალ-ყურს, ალბათ. რამდენად გაინტერესებდათ ეს სფერო, მაშინ თუ ფიქრობდით, რომ მომავალში რუსეთში საქმიანი ვიზიტებით ჩახვიდოდით და თბილისიდან პოლიტიკური განცხადებების გაკეთება მოგიწევდათ?**

– მაშინ პოლიტიკა ყველაზე ნაკლებად მაინტერესებდა. ჩემი ცხოვრებით და სწავლით ვიყავი გართული. მახსოვს, ერთხელ გამოვედი სახლიდან, ჩემს მეგობართან ერთად სადღაც მივდიოდი, შვიდი ნოემბრის აღსანიშნავად. მიზეზი გვქონდა, უქმე დღე იყო, სწავლა არ იყო და კარგ ხასიათზე ვიყავით. ებრაელი მეზობლები გვყავდა, ინტელიგენტი ხალხი, დიდი ამბით მოვულოცე შვიდი ნოემბერი და იმ კაცმა გაკვირვებულმა შემომხედა: „ს კაკიმ პრაზნიკომ, ზურაბ?.." ისეთი სახით მკითხა, დავიბენი, ვერ მივხვდი, რატომ გაუკვირდა. მერე, დრო გავიდა და მივხვდი. ახლა რომ ვიხსენებ, სულ უფრო მეცინება ჩემს თავზე. მივხვდი, რამხელა ტრაგიზმი იყო ეს მისი მხრიდან, უბედურებაგამოვლილი ოჯახი იყო, და ასეთი რამ არაერთმა ოჯახმა გადაიტანა. მე კი ასე სახეგაბრწყინებულმა რომ მივულოცე ბოლშევიკური, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დღე, გაოცდა, რატომ ვხვდებოდი ასეთი აღფრთოვანებული ამ დღეს.

**– იყო თუ არა მამათქვენის გავლენის დამსახურება ის, რომ თქვენ მოსკოვში წახვედით სასწავლებლად?**

– იყო, როგორ არ იყო. მამაჩემი ცნობილი კაცი იყო, ავტორიტეტი ჰქონდა და ეს მეხმარებოდა ყველაფერში. ხომ არ დავმალავ?!. მაგრამ, სულ მქონდა იმის მოთხოვნილება, ვყოფილიყავი მე და არა ირაკლი აბაშიძის შვილი. ყველა ადამიანშია ჩადებული თავისი მეობის, იდენტურობის დამტკიცების სურვილი. აი, ასეთი დიდი პიროვნებების შვილები დაჩაგრულები არიან იმის გამო, რომ სულ ვიღაცის შვილები არიან. სტალინის შვილიშვილი ნობელის პრემიის ლაურეატიც რომ გამხდარიყო, ის მაინც სტალინის შვილიშვილი იქნებოდა. მამაჩემი ნამდვილად არ იყო სტალინის დონის პიროვნება, მაგრამ მე, როგორც მის შვილს, ქვეცნობიერად გული სულ მიმიწევდა იმისკენ, ჩემი ადგილი დამემკვიდრებინა ამ საზოგადოებაში. ყოველ შემთხვევაში, როცა ინდოეთში, ბომბეიში გამაგზავნეს გენერალურ საკონსულოში სამუშაოდ, იქ უკვე ირაკლი აბაშიძის შვილი აღარ ვიყავი.

**– თქვენს ოჯახზეც ვისაუბროთ – რა გზა გამოიარა ოჯახმა თქვენამდე და მერეც?**

– რეპრესიებმა ყველაზე გადაიარა. შეიძლება, ასე კონკრეტულად, რეპრესირებული არავინ იყო ჩვენი ოჯახიდან, მაგრამ მამაჩემის ახლობლები, მეგობრები, მთელი იმ თაობის მწერლები, პოეტები – პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი... ყველამ იწვნია იმ წლების სიმწარე. ეს კი ის ხალხია, ვის წრეშიც ტრიალებდა მამა. მის თვალწინ მოხდა ტრაგედია, მწერალთა სახლში პაოლო იაშვილმა თავი რომ მოიკლა. იმ მომენტში მამა იქ იყო. მერე დაკითხვებზე იბარებდნენ. ტოლსტოი ხომ იცით როგორ იწყებს „ანა კარენინას": „ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს და ყველა უბედური ოჯახი განსხვავებულია". ბედნიერი ბავშვობა, ოჯახი მქონდა, მაგრამ პირადად, 90-იანი წლების დასაწყისი მახსოვს მართლაც როგორც კოშმარი. ყველაზე მძიმე წლები იყო ქვეყნისთვის. იმ სამოქალაქო ომის დროს გარდაიცვალა მამაჩემი, ფაქტობრივად, ამ ამბავს გადაჰყვა, ვერ გადაიტანა. ამიტომ, ეს ჩემთვის უმძიმესი წლებია.

**– ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, როგორ გაგრძელდა თქვენი ცხოვრება, თუ ხვდებოდით გზადაგზა ბარიერებს?**

– ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ჩამოვედი. ხუთი წელი ვიმუშავე საგარეო საქმეთა სამინისტროში. მაშინ საგარეო საქმეთა სამინისტრო იყო სუფთა ფორმალობა. სულ 15 კაცი მუშაობდა, სტუმრების დახვედრა-გაცილება იყო მთავარი საქმე, მაგრამ მაინც რაღაც გამოცდილება მივიღე. მერე ინდოეთში წავედი, ჩამოვედი და ისევ აქ ვიმუშავე ოთხი წელი. მერე ესპანეთში წავედი. 1993 წელს ელჩი ვიყავი ბრიუსელში, რუსეთშიც ვიყავი, მერე აქ ხელისუფლება შეიცვალა, აღარ დავჭირდი მათ. წავედი და ჩემს გზას ვეწიე, საჯარო სამსახურს თავი დავანებე.

**(გაგრძელება 31-ე გვერდზე)**

**მართლმადიდებელი ეკლესია 19 აგვისტოს ფერისცვალების დღესასწაულს აღნიშნავს. დღემდე ამ დღეს თაბორის მთაზე სასწაული აღესრულება, რაც კიდევ ერთხელ აღუძრავს ადამიანებს ფერისცვალების, უფალში განღმრთობის სურვილს. როგორი უნდა იყოს ადამიანის ლოცვა, როგორ უნდა შეხვდეს ის ფერისცვალების დღესასწაულს, როგორ უნდა ესწრაფოდეს ფერისცვალებისკენ, განღმრთობისკენ, ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რა სასწაული ხდება ყოველ წელს ფერისცვალების დღესასწაულზე და როგორ თავისუფლდება ადამიანი სხეულში დაბუდებული ვნებებისგან

– ფერისცვალებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ღვთისმეტყველებისთვის. კერძოდ კი, ისეთი საკითხებისთვის, როგორიც არის ღვთის გამოცხადება, განღმრთობა, ღვთის ხილვისა და შეცნობის შესაძლებლობა. ქრისტიანთა რწმენის მიხედვით, იესო ქრისტე იყო სრული ღმერთი და სრული კაცი. იესო ნაზარეველი, რომელსაც ხედავდნენ, უსმენდნენ და ხელით ეხებოდნენ, არ იყო უბრალოდ ადამიანი, არამედ იესო ქრისტეს პიროვნებაში იყო შერწყმული სრული ღვთაებრიობა. თუმცა, მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების დროს, მისი ღმრთეება უმეტესწილად დაფარული იყო. იმ უამრავი ხალხისთვის, ვინც იესო იხილა და მოუსმინა, ის უბრალოდ, ადამიანი იყო – იესო ნაზარეველი, იოსებისა და მარიამის შვილი. აღდგომამდე და სულთმოფენობამდე მისი მოწაფეებიც ვერ აცნობიერებდნენ, ვინ იყო მათი მასწავლებელი. როგორც იცით, ძველი აღთქმის მიხედვით, შეუძლებელი იყო ღმერთის ხილვა, მაგრამ უკვე ახალ აღთქმაში მოციქულები ამბობდნენ: ჩვენ ვიხილეთ ღვთის ღმერთი. რადგან უფალი დედამიწაზე ადამიანის სახით, განკაცებული მოვიდა, ამიტომ შესაძლებელი გახდა მისი ხილვა. მაცხოვრის ადამიანური ბუნება ფარავდა მის ღვთაებრივ ბუნებას, იმ დიდებას, რომლის ხილვა ადამიანს არ ძალუძს. იესო ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება რწმენის თვალით იხილვებოდა და იხილვება. ურწმუნოთათვის კი მაცხოვარი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანია. მეორედ მოსვლის დროს კი, უკვე ყველასთვის ხილული და განცხადებული გახდება იესო ქრისტეს ღვთაებრიობა და მოვა ის დიდებით. თუმცა, მინდა, აქვე აღვნიშნო, რომ მეორედ მოსვლამდე, ანუ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც უფალი დედამიწაზე ადამიანებთან ერთად ცხოვრობდა, მან საკუთარი ღვთაებრიობა, საღვთო დიდება განუცხადა მოწაფეებს. ეს კი სწორედ ფერისცვალების დროს, თაბორის მთაზე მოხდა. აი, რას ამბობს იოანე ოქროპირი ფერისცვალების შესახებ: „გადაწყვიტა უფალმა, ეჩვენებინა მათთვის ამქვეყნად სახე იმ დიდებისა, რომლითაც შემდგომში უნდა მოსულიყო იმ ზომით, რა ზომითაც მათ ამის ხილვა შეეძლოთ“. ანუ, იესო ქრისტე, ღმერთი ამქვეყნად ადამინებს ეცხადება იმ ზომით, როგორც ადამიანი გაუძლებდა მის სიდიადეს და დარჩებოდა ცოცხალი. თაბორის მთაზე მომხდარი უფლის ფერისცვალება იესო ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ამ ამბის შესახებ სამი სახარება მოგვითხრობს, ხოლო აღმოსავლეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ფერისცვალება თორმეტ უდიდეს დღესასწაულს შორის შეიყვანა. ფერისცვალება არის ხატი იმ ჟამისა, როდესაც ადამიანს აქ, სხეულში მყოფს მიეცემა სასუფეველი, მაგრამ ეს ჯერ არ არის ზეციური იერუსალიმი, სასუფევლის საბოლოოდ დადგომა. ანუ, ზეციური იერუსალიმი გარდაიქმნება თაბორის მთად, რომლიდანაც უნდა ჩამოხვიდეთ, დაუბრუნდეთ ამ სოფელს, განაგრძოთ ცხოვრება, ატაროთ თქვენი ჯვარი, ახვიდეთ გოლგოთაზე და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება შესვლა სასუფეველში. შესაბამისად, ეკლესიის მთელი ისტორია არის სწორედ ზეციური იერუსალიმის თაბორად გადაქცევა. ფერისცვალების შემდეგ, ეკლესია, რომელიც არის სასუფეველი ღვთისა, ეჯახება ამ სოფელს, შემოდის ჯვარი, გოლგოთა და ჩნდება პირველი მოწამე, მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. ეკლესია კი ჩამოდის თაბორის მთიდან და შეუდგება გოლგოთის ძნელ და მძიმე გზას, რომლის შემდეგაც დგება სასუფეველი ცათა.



ჭეშმარიტ რელიგიურ გზას მხოლოდ ის ადამიანი ადგება, ვინც საკუთარი ცხოვრების გზაზე რეალურად შეხვდა ღმერთს, ვისაც შეეწია მისი ყოვლისშემძლე ძალა

**– ადამიანის ცნობიერებაში განუწყვეტლივ მიმდინარეობს ბრძოლა ძველსა და ახალ კაცს შორის. შესაბამისად, ეს ორი ადამიანი აკეთებს არჩევანს: ისინი ან ქრისტეს ირჩევენ, ან ანტიქისტეს.**

– გადაწყვეტილების მიღება ჩვენზეა დამოკიდებული: ან სულის ცხოვნება უნდა ავირჩიოთ, ან წარწყმედა. სულში დაბუდებული ვნებებისგან ვერ გვიხსნის ვერც ვარდისფერი სათვალე და ვერც „სიბრძნე“ სირაქლემასი – გარდაუვალი საფრთხის მოახლოებისას, თავს ქვიშაში რომ რგავს. მხოლოდ საკუთარი თავისადმი, საკუთარი ძალებისადმი გაბედული და პატიოსანი მზერის მიპყრობა და საშინელი სულიერი სილატაკის შეგრძნება დაგვანახვებს, ჭეშმარიტ ხსნასა და ჭეშმარიტ მაცხოვარს – ქრისტეს, რომელზეც დამოკიდებულია ჩვენი საუკუნო ცხოვრების სიკეთე. სწორი ქრისტიანული ცხოვრების შედეგად ადამიანები ყოველთვის იცვლებიან. როგორც ღირსი სერაფიმ საროველი ამბობს, მათ, ვინც განიწმიდებიან ვნებებისგან და თავმდაბლობას მოიპოვებენ, „სული წმიდას მოიგეს“. დღეს ადამიანები ძალიან არიან დასნეულებულები და სამწუხაროდ, ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. უცნაური სიბრმავე, რაც ჩვენშია, ეს არის საკუთარი სნეულების ვერდანახვა. არადა ყველაზე საშიში სწორედ ეს არის, იმიტომ რომ, ადამიანი თუ ამჩნევს თავის სნეულებას, მკურნლობს. მაშინ, როდესაც ადამიანი ვერ ხედავს თავის სნეულებას, არ მკურნალობს და შესაბამისად, ის უკვე მძიმე დაავადებად გადაიქცევა. მაგრამ, თუ ადამიანი სწორად იცხოვრებს, შეუდგება ქრისტიანულ ცხოვრებას, ის აუცილებლად შეიცვლება, განიკურნება და მას მხოლოდ ეკლესიური ცხოვრება დაეხმარება. რელიგია ენით გამოუთქმელი განცდებისა მთელს სპექტრს მოცავს. ეკლესია ადამიანისთვის ცოცხალ ღმერთთან შეხვედრის ადგილია, ცოცხალ ღმერთთან ურთიერთობა და ზიარებაა. მღვდელი პავლე ფლორენსკი წერდა: „რელიგიის საიდუმლებანი არ არის ის, რისი გამჟღავნებაც არ შეიძლება, ისინი არც შეთქმულთა პირიბითი პაროლებია. ეს არის ენით გამოუთქმელი, ენით აღუწერელი განცდები, რომელთა სიტყვიერად გამოხატვა შეუძლებელია“. ჭეშმარიტ რელიგიურ გზას მხოლოდ ის ადამიანი ადგება, ვინც საკუთარი ცხოვრების გზაზე რეალურად შეხვდა ღმერთს, ვისაც შეეწია მისი ყოვლისშემძლე ძალა. ისევე როგორც გონებით ვერ შეიცნობ სილამაზეს, აზრის რელიგიური განცდების მწველი ცეცხლის მხოლოდ ფერმკრთალი გამოხატულებაა და მისი შეცნობაც ძალიან რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი.

**– ამაში თუ ეხმარება ადამიანს ლოცვა?**

– ლოცვა ადამიანის საუბარია ღმერთთან. ვისაც ახსოვს, იცნობს, უყვარს ღმერთი, ის აუცილებლად მიმართავს მას და ეს მიმართვა სწორედ ლოცვაა. მაგრამ ღრმად მცდარია ლოცვაზე ის შეხედულება, რომელიც დღეს ძალიან გავრცელებულია, განსაკუთრებით ახალგაზრდებში: „თუ მომინდება ლოცვა, ვილოცებ“, „თუ ხალისი არ მაქვს – თავი არ უნდა ვაიძულო, ლოცვაში ძალდატანება არ უნდა იყოს“.. – ასეთი შეხედულება ლოცვის შინაარსის სრული გაუგებრობა. ქრისტიანმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩაინერგოს გულში, რომ მან აუცილებლად უნდა ილოცოს, მიუხედავად იმისა, აქვს ამის სურვილი თუ არა. თუკი გაქვს კეთილი სურვილი ლოცვისა, ღვთის წყალობით, რომლისგანაც არის ყოველგვარი კეთილი, ნუ გაუშვებთ შემთხვევას, ილოცეთ მთელი გულითა და სულით. თუკი არ გაქვს კეთილი სურვილი და დადგა დრო ლოცვისა, უნდა აიძულო თავი, გაამხნევო შენი ულიმღამო სული იმით, რომ ლოცვა მით უფრო ფასეულია ღმრთის თვალში, რაც უფრო ძნელად გეძლევა ის. ღმერთი არანაირ ლოცვას არ თაკილობს, თუკი ადამიანი გულწრფელად ლოცულობს. მაგრამ როდესაც ადამიანი ლოცულობს, ის უნდა ჩაუღრმავდეს თავის თავს, სულს და ლოცვის სიტყვებს. როდესაც ადამიანი ლოცულობს, კითხულობს ენით და მისი ფიქრები სხვაგან არის, წმიდა იოანე ოქროპირი ასეთ „მლოცველზე“ წერს: „შენი სხეული ეკლესიის შიგნით არის, ხოლო სული – ძალიან შორს მისგან. ბაგეები ლოცვას წარმოთქვამენ, გონება კი შემოსავალს ითვლის, მინდვრებს, სამფლობელოებს, მეგობრებს დასტრიალებს. შენ თავად არ გესმის შენი ლოცვები, როგორ გინდა, რომ ღმერთს გაანდო ისინი?“ ასეთი არ უნდა იყოს ქრისტიანის ლოცვა. როდესაც ის ღმერთს ევედრება, აუცილებლად უნდა ჩაუფიქრდეს იმ ლოცვების სიტყვებს, რომელსაც კითხულობს. თავისი გონება მთლიანად ლოცვის შინაარსს უნდა მიაპყროს. თუმცა, ძნელია ამ დროს გაუმკლავდნენ გარედან მოძალებულ, მოსაბეზრებელ ფიქრებს და სახეებს. ეს ჩვენი პირადი გონებადაფანტულობითაც ხდება და ბოროტი, სატანისეული ძალის უშუალო ზემოქმედებითაც. ღირსი მელეტი აღმსარებელი ამბობს: „ლოცვას არა იმდენად მასწავლებელი, რამდენადაც გულმოდგინება, მონდომება და განსაკუთრებული სიბეჯითე სჭირდება. და მაშინ თავად ღმერთი იქნება მისი მასწავლებელი“. ვინც გულმოდგინედ მეცადინეობს იესოს ლოცვაში და უკვე გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია, იმან ხშირად უნდა იკითხოს წმიდა მამათა დარიგებები ლოცვის შესახებ, განსაკუთრებით კი, „იესოს ლოცვის.” წმიდა მამები იესოს სახელის მოხმობას უწოდებენ „იარაღს“, რომელზე უმტკიცესიც არაფერია ცასა და დედამიწაზე. იესოს ლოცვის ხმით წარმოთქმა შეგვეწევა ხორციელ გულისთქმებთან და მრისხანებასთან ბრძოლაში. როდესაც სისხლი დუღილს იწყებს, გული კარგავს სიმშვიდეს და სიმყუდროვეს, ხოლო გონება მერყეობს და უძლურდება, თითქოს ოცნებათა სიმრავლით არის შეპყრობილი და გათანგული. ეშმაკნი, რომელთაც ჩვენი ხორციელი თვალი ვერ ხედავს, მაგრამ სული კარგად ცნობს, იესოს სახელის გაგონებაზე კრთებიან და იბნევიან, მათ ძრწოლა იპყრობთ და სასწრაფოდ განეშორებიან ადამიანს.

**ნათია უტიაშვილი**

## „დიდება უფალს, შვილო ჩემო, იმეორე: „დიდება უფალს!“

**ბერი პაისი „რჩეული ჭურჭელი“**

1990 წელს ბატონ ს-ს აღმოაჩნდა ავადმყოფობა, რომელიც ნელ-ნელა მძიმდებოდა და 1991 წელს იგი უკვე ადგილობრივ საავადმყოფოში დაწვა. ექიმმა დასვა დიაგნოზი – კიბოს უკანასკნელი სტადია. მან უთხრა ავადმყოფის სიმამრს, რომ მდგომარეობა მეტად რთული იყო და ოპერაციას საბერძნეთში ვერ გაუკეთებდნენ. ამიტომ, ურჩია, ავადმყოფი ინგლისში წაეყვანათ. ექიმის ვარაუდით, ავადმყოფს დაახლოებით ოცდაათი დღის სიცოცხლე თუ დარჩენოდა. ინგლისში იგი ორი კვირის შემდეგ ჩაიყვანეს. ამ დროისათვის მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. 1991 წლის თებერვალი იყო. ავადმყოფის მეუღლემ, რომელიც მის გვერდით დასახლდა, ასეთი სიზმარი ნახა: ვითომც მამამისი წმიდა მთაზე, ბერ პაისთან წავიდა. მან გამოღვიძებისთანავე დედას დაურეკა სახლში და ესაუბრა. მან დედამისისგან შეიტყო, რომ მამამისი მართლაც წასულიყო ბერ პაისთან წმიდა მთაზე. ქალს გაუხარდა და იმედი ჩაესახა.

ორ დღეში წმიდა მთიდან დაბრუნებულმა მამამ თავის ქალიშვილს უამბო, თუ რა რჩევა მისცა მას ბერმა:

– ექიმებმა გააკეთონ ყველაფერი, რაც კი მათ ძალუძთ, ჩვენ კი ვილოცებთ და ღმერთი აღასრულებს იმას, რაც ადამიანებისთვის შეუძლებელია. გადაეცი, რომ ყოველდღე ცოტ-ცოტა თაფლი მიიღოს, რადგან ეს ძალიან უხდება კიბოს ამნაირ სახეობას (ბერს ასეთი ჩვევა ჰქონდა – რაიმე ბუნებრივი საშუალება შეეთავაზებინა. ამით იგი ცდილობდა, დაეფარა მისი პიროვნებით ნებისმიერი ღვთიური მადლის მოქმედება).

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და რამდენიმე თვის შემდეგ ავადმყოფი საბერძნეთში დაბრუნდა. გავიდა ერთი წელი და ავადმყოფობა კვლავ გამწვავდა. ავადმყოფმა და მისმა სიმამრმა გადაწყვიტეს, მამა პაისთან გამგზავრებულიყვნენ. მამა პაისიმ ისინი სიყვარულით მიიღო. ავადმყოფმა ბერს სთხოვა:

– ღერონდა, მე არ მანაღვლებს ჩემი სხეული, გთხოვთ, ლოცვით შემეწიოთ, რათა ჩემი სული გაძლიერდეს.

ბერმა მიუგო:

– შენ დიდხანს იცოცხლებ, რადგან ოჯახი და შვილები გყავს.

ავადმყოფი კვლავ ინგლისში გაემგზავრა. ექიმებმა გასინჯეს ავადმყოფი და დაასკვნეს, რომ აღარც ქიმიოთერაპიას და აღარც ოპერაციას აზრი აღარ ჰქონდა – მდგომარეობა უიმედო იყო. თუმცა, ზოგიერთებმა თქვეს, რომ იყო ორი ამერიკელი სპეციალისტი: ერთი – სანლუისში, მეორე კი – ინდიანოპოლისში. ავადმყოფმა დაურეკა სიმამრს და სთხოვა, რჩევისთვის ბერ პაისს შეხმიანებოდა. ბერმა დადებითი პასუხი გასცა, ოღონდ, კითხვაზე, თუ რომელ ქალაქში გამგზავრებულიყო, ბერმა მიუგო:

– საიდან უნდა ვიცოდე ეს? ილოცეთ!

ამის შემდეგ, როდესაც საუბარი განაგრძეს, მოულოდნელად ფეხზე წამოდგა და იკითხა:

– რომელი ქალაქი დაასახელეთ პირველად?

– ინდიანოპოლისი, ღერონდა!

– სწორედ იქ გაემგზავროს!

ამის შემდეგ ინგლისელმა სპეციალისტებმა დაადასტურეს, რომ ამ დარგის ყველაზე ძლიერი ექიმი სწორედ ინდიანოპოლისში მოღვაწეობდა.

ინდიანოპოლისში გასინჯვის შემდეგ ექიმმა დაადასტურა პაციენტის უკიდურესად მძიმე მდგომარეობა და ოპერაციის გაკეთება შესთავაზა. ავადმყოფი დათანხმდა რთულ ოპერაციაზე, რადგან ბერმა პაისმა ურჩია, ყველაფერი გაეკეთებინათ, რასაც ექიმები მიიჩნევდნენ საჭიროდ, ხოლო თვითონ ილოცებდა და დანარჩენს უფალს მიანდობდნენ.

ოპერაცია ცამეტ საათს გაგრძელდა და როდესაც ექიმი საოპერაციოდან გამოვიდა, თქვა: „ეს მეორე შემთხვევაა მსოფლიოში, როცა ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი გადარჩა და სრულიად გამოჯანმრთელდა“.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ბერი პაისის ლოცვებით ეს კაცი სრულიად ჯანმრთელია და ნორმალურადაც მუშაობს, მაგრამ, ვერ ივიწყებს ბერის სიყვარულს. როდესაც იგი გამოჯანმრთელებული ეწვია მას წმიდა მთაზე, ბერმა დიდი სიხარულითა და სიყვარულით მიიღო, ხოლო, მის კითხვაზე:

– ღერონდა, ახლა, როდესაც გამოვჯანმრთელდი, რა კანონს მომცემ შესასრულებლად, რა ვაკეთო?

– დიდება უფალს, შვილო ჩემო, იმეორე: „დიდება უფალს!“ – უპასუხა ბერმა.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: როგორ შეესაბამება მცნება – „არა კაც ჰკლა!“ – მამულის დასაცავად ომში მებრძოლების საქციელს?**

**პასუხი:** როგორც ათანასე ალექსანდრიელი წერს: „ამ ცხოვრებაში ქმედება ორადაა გაყოფილი. უჯერია კაცის კვლა, მაგრამ, ბრძოლაში მოწინააღმდეგეთა ამოწყვეტა კანონიერია და ქების ღირსია. ამიტომ, ბრძოლაში მამაცობით გამორჩეული პატივის ღირსია და მათ სახელზე მათი სიმართლის მქადაგებელი ძეგლები აღემართება“.

**კითხვა: შეუძლია თუ არა ადამიანს ეკლესიის დაუკითხავად, იტვირთოს ბერის ღვაწლი და მეუდაბნოედ განმარტოვდეს?**

**პასუხი:** ბერული ღვაწლის ერთ-ერთი საფუძველი იერარქიისადმი მორჩილებაა. ყოველგვარი თვითნებობა ეკლესიაში უდიდეს ცოდვად ითვლება და ადამიანი მწვალებლობამდე მიჰყავს.

**კითხვა: რა უმთავრესი მოვალეობა გვაკისრია გარდაცვლილი ახლობლების მიმართ?**

**პასუხი:** გარდაცვლილი ახლობლების მიმართ თქვენი უმთავრესი მოვალეობაა ლოცვა მათი სულის საცხონებლად, მათ სახელზე მოწყალების გაღება შეჭირვებულთათვის და მათი მოხსენიება ეკლესიაში უსისხლო მსხვერპლშეწირვის დროს.

**კითხვა: რომელი სახელით უნდა მოვიხსენიოთ ლოცვებში ადამიანი – ნათლობის, საერო თუ მოფერებითი?**

**პასუხი:** ადამიანები ლოცვებში უნდა მოიხსენიოთ ნათლობის სახელით.

**კითხვა: ყოველთვის სარწმუნოა თუ არა სინდისის ხმა?**

**პასუხი:** უსათუოდ უნდა უსმინოთ სინდისის ხმას. ამ ხმით ხშირად ჩვენი მფარველი ანგელოზი მოგვმართავს.



# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## „რამეთუ მზაკვარი ზრახვები განაშორებენ უფალს“

ბერი პაისი ბუნებრივად ხაზს უსვამდა, რომ სულიერ ცხოვრებაში უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ღვთისმოსავ ზრახვას. სახასიათოდ ამბობდა, რომ ერთი ღვთისმოსავი ზრახვა ტოლფასია ერთი აგრიპნიისა (ღამისთევით ლოცვა) წმიდა მთაზე. და გვიამბო შემდეგი შემთხვევა:

ერთხელ ჩემს სანახავად მოვიდა მავანი და იგი ეკლესიაში შევუშვი, სანამ არქონდარიკიდან სხვა სტუმარი წავიდოდა. როდესაც მას დავუძახე, სტადსიდიაზე დაავიწყდა სიგარეტების ყუთი, რაც მე ვერ შევნიშნე. ამასობაში მოვიდა სხვაც, რომელსაც ვთხოვე ეკლესიაში შესვლა და მცირე ხნით მოცდა. მან დაინახა სიგარეტები და, როდესაც დავუძახე, მითხრა:

– ნუთუ ეწევით, ღერონდა?

– არა, – ვუპასუხე, – ამას რატომ მეკითხები?

– იმიტომ, რომ იქ, ეკლესიაში სიგარეტები დევინახე.

– კურთხეულო, ისინი დაავიწყდა ვიღაცას იმათგან, ვინც შენზე უწინ მოვიდა, მე კი ყურადღება არ მივაქციე.

ამგვარად, შევხვდი მას და გავისტუმრე. შემდეგ მოვიდა ერთი ბიჭი, რომელიც პირველად იყო ჩემთან. დააკაკუნა რკინის ნაჭერზე, მე გამოვედი და მაშინვე ვკითხე, რა უნდოდა. მომიგო:

– მსურს ბერი პაისის ნახვა. აქ არის იგი?

მაშინ ვუთხარი:

– არა, კარეაში წავიდა სიგარეტების საყიდლად.

ბიჭუნამ გულუბრყვილოდ თქვა:

– კარგი, მამაო, არა აქვს მნიშვნელობა. მე აქ დაველოდები, ბერს, სანამ იგი დაბრუნდება.

და ბერმა განაგრძო:

– ხედავთ ზრახვაში სხვაობას? ერთმა ეკლესიაში სიგარეტები იპოვა და არ შეიწყნარა კეთილი ზრახვა, არამედ, მაშინვე დაეთანხმა ბოროტ ზრახვასა და ეჭვს და, პირიქით, ბიჭმა, თუმცა კი ვუთხარი მას, რომ სიგარეტის საყიდლად წაველი, არ შეიწყნარა ავი ზრახვა, არამედ წრფელი გულით თქვა: „დაველოდები ბერს“ და არ იკითხა: „ეწევა თუ არა ბერი, რად უნდა სიგარეტები?“

## ჭეშმარიტად ის არის ადამიანი, ვინც შეიცნო თავი თვისი

ერთი ძმა უამბობდა მამა პიმენს: ,მე ისე მაშფოთებენ გულისთქმები, რომ საშუალებას არ მაძლევენ, ჩავუფიქრდე საკუთარ ცოდვებს; მაიძულებენ, ჩემი მოძმის ნაკლი შევამჩნიო მხოლოდ.“ მამა პიმენმა უამბო მას მამა დიოსკორეს შესახებ შემდეგი: იგი სენაკში დასტიროდა საკუთარ თავს. როდესაც სხვა სენაკში მცხოვრები მისი მორჩილი მიდიოდა მასთან და წააწყდებოდა მტირალს, ეკითხებოდა: „მამაო, რაზე ტირი?“ ის კი პასუხობდა: „შვილო ჩემო, მე ვტირი ჩემი ცოდვების გამო“. მორჩილი ეუბნებოდა მას: „შენ არ გაქვს ცოდვები, მამაო!“ ხოლო მამა პასუხობდა: „მერწმუნე, შვილო ჩემო! რომ შემეძლოს საკუთარი ცოდვების დანახვა, ოთხი ადამიანიც კი არ იქნებოდა საკმარისი, რათა ჩემთან ერთად გამოეტირათ ისინი, – ამასთანავე, მამა პიმენმა დაამატა: – ჭეშმარიტად ის არის ადამიანი, ვინც შეიცნო თავი თვისი.“

**მომზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# ყველაზე ხანგრძლივი დისკვალიფიკაციები მსოფლიო ფეხბურთში

*ლუის სუარესს ოფიციალურად დაუმტკიცდა 4-თვიანი დისკვალიფიკაცია და „ბარსელონას” ახალწვეული მოედანზე გასვლას ოქტომბერში შეძლებს. სუარესის დისკვალიფიკაციამ საბაბი მოგვცა, გავიხსენოთ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების ყველაზე გრძელვადიანი დისკალიფიკაციები.*

## ვინი ჯონსი - 6 თვე

წარსულში ცნობილი უელსელი ფეხბურთელი და ამჟამად წარმატებული ჰოლივუდელი მსახიობი, ვინი ჯონსი ერთ-ერთი ყველაზე ხისტი ფეხბურთელის სახელით იყო ცნობილი. ის არ ერიდებოდა ტრავმების მიყენებას მეტოქეეებისთვის. მისი უხეშობა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებსაც აქვთ გამოცდილი საკუთარ თავზე, 1995 წელს უელსთან გასვლითი მატჩის დროს. ჯონსი მაშინ მოედნიდან მიხეილ ყაველაშვილთან შეჯახების გამო გააძევეს. 1992 წელს ჯონსის ველურობა 6-თვიანი დისკვალიფიკაციად შეფასდა.

## კოლო ტურე - 6 თვე

კოტდივუარელმა კოლო ტურემ მეუღლის ტაბლეტები დალია და ამის გამო დოპინგ-ტესტზე ჩავარდა. ფეხბურთელმა ვერ მოახერხა თავისი სიმართლის დამტკიცება და 6 თვე ფეხბურთის გარეშე გაატარა.

## ადრიან მუტუ - 6 და 7 თვე

2004 და 2010 წლებში რუმინელი ვარსკვლავი ადრიან მუტუ ორ ერთნაირ სკანდალში გაეხვია. ფეხბურთელი კოკაინის მოხმარებაში ამხილეს და შესაბამისად, 7 და 6-თვიანი დისკვალიფიკაციით „დააჯილდოვეს”. კოკაინურ სკანდალში გახვეულმა მუტუმ ბოლო დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ, როგორც ჩანს, ჭკუა ისწავლა და მეტჯერ აღარ ჩავარდნილა ტესტზე. თუმცა, მისი საფეხბურთო ვარსკვლავი იმ დროისთვის უკვე აღარ კაშკაშებდა.




## რიო ფერდინანდი - 8 თვე

2003 წლის დეკემბერში ინგლისელი რიო ფერდინანდი დოპინგ-ტესტზე ჩავარდა. უფრო სწორად, მან უარი განაცხადა ტესტის ჩაბარებაზე, რამაც ეჭვი გააჩინა, რომ რიო აკრძალულ პრეპარატებს მოიხმარდა. საბოლოოდ, ის დამნაშავედ ცნეს და 8 თვით ფეხბურთის გარეშე დატოვეს. დისკვალიფიკაციის გამო, ფერდინანდი ინგლისის ნაკრების მიღმა დარჩა და ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე ვერ ითამაშა.

## მარკ ბოსნიჩი - 9 თვე

2003 წელს „მანჩესტერ იუნაიტედის” ავსტრალიელი მეკარე მარკ ბოსნიჩი კოკაინის გამო ჩავარდა. ფეხბურთელი ირწმუნებოდა, რომ მას ღამის კლუბში სასმელში გაურიეს ნარკოტიკული საშუალება. თუმცა, არავინ დაუჯერა და 9 თვით მოკვეთეს ფეხბურთიდან. დისკვალიფიკაციის შემდეგ დაბრუნებულმა ბოსნიჩმა ძველი კონდიციების აღდგენა ვერ მოახერხა და მისი სახელი მალევე გაქრა საფეხბურთო რუკიდან.




## ერიკ კანტონა - 9 თვე

„მანჩესტერ იუნაიტედის” კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელმაც 9-თვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. 1995 წელს კანტონას მავანი ქომაგის რეპლიკები არ მოეწონა ტრიბუნიდან, მიუვარდა და კუნფუს ილეთით დარტყმა მიაყენა. კანტონას საქმე სასამართლოში ჰქონდა და შედეგად, 9 თვით მოკვეთეს ფეხბურთიდან. ამის მიუხედავად ერიკ კანტონა დღემდე ითვლება „მანჩესტერ იუნაიტედის” ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად.

## დიეგო მარადონა - 15 და 15 თვე

საერთო ჯამში ლეგენდარული დიეგო მარადონა 30 თვე იყო მოკვეთილი ფეხბურთიდან. 1991 წელს მარადონას კოკაინის მოხმარება დაბრალდა და 15-თვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, ხოლო 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პერიოდში, მარადონას აკრძალული პრეპარატი – ეფედრინი აღმოუჩინეს შარდში. მაშინაც 15-თვიანი დისკვალიფიკაციით „დააჯილდოვეს”. აღსანიშნავია, რომ მარადონამ ორივე დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ მოახერხა დაბრუნება საფეხბურთო მოედანზე და საბოლოოდ, პროფესიული კარიერა 1997 წელს „ბოკა ხუნიორსში” დაასრულა.

# „ნასას“ მარსის ათვისებაში „მფრინავი თეფში“ დაეხმარება

ამერიკულმა კოსმოსურმა სააგენტომ („ნასა“) გამოაქვეყნა ზებგერითი სიჩქარის შემანელებელი გასაბერი მოწყობილობის პირველი საცდელი გაშვების ვიდეო. აპარატმა, რომელიც ჟურნალისტებმა „მფრინავ თეფშად“ მონათლეს, უნდა უზრუნველყოს ხომალდის ეფექტური დამუხრუჭება მარსის გაუხშოებული ატმოსფეროს პირობებში. ექსპერიმენტი ჰავაიზე ჩატარდა. შემდეგი ცდა მომავალი წლის ივნისისთვის დაიგეგმა.

„თეფში“ სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება. ეს არის: ორი – თავად შემნელებელი, ანუ გასაბერი აეროდინამიკური ფარები და დღეს დამკვიდრებული პარაშუტი. მისი ამოცანაა შეანელოს კოსმოსური აპარატის სიჩქარე ბგერით სიჩქარემდე. შემდეგ მოქმედებაში ერთვება პარაშუტი, რომელიც თანდათან ანელებს დაშვებას.

ტესტური გაშვებისას „მფრინავი თეფში“ ჰელიუმის საჰაერო ბურთმა 36,5 კილომეტრის სიმაღლეზე აიტანა. შემდეგ, დედამიწიდან მიღებული ბრძანებით, ჩაირთო რაკეტის ძრავა და აპარატი 55 კილომეტრ სიმაღლეზე ავიდა, სადაც დედამიწის ატმოსფეროს სიმკვრივე მარსისას უახლოვდება. ამ დროს ინჟინრებმა აპარატს ზებგერითზე 3,5-ჯერ მეტი სიჩქარე მიანიჭეს და დაიწყო გასაბერი „მუხრუჭის“ მოქმედება... „ნასამ“ ექსპერიმენტის შედეგები წარმატებულად ჩათვალა.

ვარაუდობენ, რომ ახალი სისტემა მნიშვნელოვნად გაზრდის სასარგებლო ტვირთის მასას და მის დაცულობას. დაშვებაც უფრო რბილი და უსაფრთხო იქნება.

# მუჰამედ ალის ხელთათმანები

ლეგენდარული მოკრივის მუჰამედ ალის ხელთათმანები კლივლენდში გამართულ აუქციონზე 388 375 დოლარად გაიყიდა. ამ ხელთათმანებით ალიმ თავისი კარიერის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრძოლა გამართა, 1971 წელს „საუკუნის ბრძოლად” შერაცხილი შეხვედრა არანაკლებ ლეგენდარულ ჯო ფრეზერთან. იმ დროისთვის ორი დაუმარცხებელი ჩემპიონის შეხვედრა მსაჯების გადაწყვეტილებით ჯო ფრეზერმა მოიგო და ეს იყო პირველი მარცხი მუჰამედ ალის კარიერაში. ხელთათმანების მყიდველის ვინაობა უცნობია, მან ანონიმად დარჩენა ისურვა.

# მარადონას ახალი გერლფრენდი

დიეგო მარადონას ახალი გერლფრენდი ჰყავს. 35 წლის მოდელი პამელა ანჟესი მარადონას დიდი ხნის თაყვანისმცემელი და კლუბ „სან-ლორენსოს” ქომაგია. დიეგო და პამელა ამჟამად დუბაიში ისვენებენ ერთად. პამელა „ინსტაგრამის” აქტიური მომხმარებელი აღმოჩნდა და პიკანტური ფოტოების ატვირთვას არ ერიდება თავისუფალ დროს. ეს მაშინ, როცა დიეგო არც იქ ივიწყებს ფეხბურთს და არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას იმის გამო აკრიტიკებს, რომ ნაკრების მთავარ მწვრთნელად მის კანდიდატურას არ განიხილავენ.



# შიშველი კრიშტიანუ რონალდუ მსოფლიოს ქუჩებში

პორტუგალიის ნაკრების და „რეალ” მადრიდის ვარსკვლავი თავდამსხმელი კრიშტიანუ რონალდუ არა მარტო საუცხოო გოლეადორი, არამედ საუკეთესო მოდელიორიც გახლავთ. არცთუ დიდი ხნის წინ, მან საკუთარი ტანსაცმლის ხაზის წარმოება დაიწყო და ბრენდს სახელად „CR-7“ უწოდა. კრიშტიანუ თავად უწევს რეკლამირებას საკუთარ ბრენდს და სულ ახლახან მისი სარეკლამო ფოტოებით მსოფლიო მეგაპოლისების სარეკლამო სტენდები აჭრელდა. ლონდონის, პარიზის, მილანის, ლისაბონის, მადრიდის, ნიუ-იორკისა და ბერლინის ცნობილ შენობა-ნაგებობათა ფასადებს შიშველი კრიშტიანუს ფოტოები ამშვენებს. საცურაო ტრუსებში გადაღებული ფოტოების ავტორი ცნობილი ფოტოგრაფი ჯონ რანკინია.

# ბალოტელი და ბოლტი „პუმას” ახალ რეკლამაში

სპორტული ტანსაცმლის და ფეხსაცმლის მწარმოებელი გერმანული კომპანია „პუმა” ახალი სარეკლამო რგოლით წარსდგა მომხმარებლის წინაშე. სარეკლამო რგოლში მთავარ როლებს იტალიელი მარიო ბალოტელი და იამაიკელი სპრინტერი, უსაინ ბოლტი ასრულებენ. სცენარის თანახმად, ბალოტელი და ბოლტი ჯაკუზიში ერთობიან ლამაზმანებთან ერთად და პარალელურად კი, მათი სპორტული მიღწევების ვიდეორეტროსპექტივა მიდის.

**გვერდი მოამზადა
უშანგი რუხაძემ**

# მილიარდერის უცნაურობები

***მილიარდერი უორენ ბაფეტი, რომელიც არცისე დიდი ხნის წინ მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ადამიანად დასახელდა (2011 წელს „ფორბსის“ ცნობით, 50 მილიარდი დოლარის მფლობელი) საერთოდ არ შეესაბამება ჩვენს წარმოდგენებს ტიპურ მილიარდერზე. არ ვაპირებთ, შევჩერდეთ მის წარმატებებზე, რომლებსაც ამ დიდმა ბიზნესმენმა და ინვესტორმა მიაღწია. უბრალოდ, მოგითხრობთ მის ცხოვრებაში გასართობ და საინტერესო ფაქტებზე.***

* უორენ ბაფეტი საოცრად უბრალო ადამიანია: ის არაპრესტიჟულ რაიონში, ომახაში, ფერნჰემ სთრითზე, პატარა სახლში ცხოვრობს, რომელიც 1957 წელს იყიდა.



* ინვესტორის კომპანია დაარსების დღიდან უსახურ, ნაცრისფერ შენობაშია განლაგებული. ბაფეტის უახლოესი კომპანიონი და მარჯვენა ხელი თითქმის მისი თანატოლია – 85 წლის.

* მილიარდერი ძველი მანქანით დადის. ბოლო მანქანა მხოლოდ ქალიშვილის დაჟინებული თხოვნით გამოცვალა, ისიც იმ პირობით, რომ ძვირიანს არ შესთავაზებდა. შვილმაც ჩამოფასებული მანქანა შეურჩია – სეტყვით დაზიანებული.

* ბაფეტის კაბინეტში დღემდე არ არის კომპიუტერი. ყველა გადაწყვეტილებას ის იმ ანგარიშის ანალიზით აკეთებს, რომელსაც მისი მდივანი დაბეჭდილი სახით წარუდგენს. ამასთან – საკუთარი ინტუიციითა და მფლობელებთან ურთიერთობის საფუძველზე და არ ეყრდნობა ბირჟის მონაცემებს.

*ყველაზე მეტად უორენს „კოლა“ და ჰამბურგერი უყვარს. სხვათა შორის, ამ კომბინაციას სულაც არ შეუშლია ხელი მისთვის, ჯანმრთელი იყოს 83 წლის ასაკში.

* უორენ ბაფეტს მეორე ცოლი პირველმა ცოლმა შეურჩია, როცა მიხვდა, რომ ქმარს მასთან ცხოვრება აღარ უნდოდა. თუმცა, მრავალი წლის თანაცხოვრების მიუხედავად, უორენს მეორე ცოლთან არ უქორწნინია მანამდე, სანამ პირველი მეუღლე არ გარდაეცვალა.

* ბაფეტი ცნობილი ფილანტროპია და მილიონობით დოლარს სწირავს ქველმოქმედებას.

* ბაფეტის ახლო მეგობარია ბილ გეიტსი. ის რეგულარულად მართავს მასთან ბრიჯის სეანსს (ერთადერთი ბანქოს თამაში, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სირთულით ჭადრაკთან გაათანაბრა და სპორტის სახეობად მიიჩნია).

**უორენ ბაფეტის ყველაზე ცნობილი გამონათქვამები:**

„სინამდვილეში მდიდრული კოსტიუმები მაცვია, უბრალოდ, ჩემს ტანზე ჩანს იაფფასიანად“.

„20 წელია საჭირო რეპუტაციის შესაქმნელად და მხოლოდ 5 წუთი – მის დასანგრევად“.

# მხოლოდ ფაქტები

* ფრანგი ექიმი – რენე ლაზნეკი ზედმეტად აზიზი იყო, ამიტომაც სტეტოსკოპი გამოიგონა.

* მაღალი კლასის რესტორნებში, კაფეებსა და სასადილოებში არ გამოიყენება ეგრეთ წოდებული დღის განათება, რადგან კერძები ასეთ შუქზე არაბუნებრივად ჩანს და სტუმრებს მადას უკარგავს.

* გერმანულ ენასა და ინგლისურ სალაპარაკო ენაში უფრო მეტი საერთოა, ვიდრე ლიტერატურულში.

* 2012 წელს კომპანია „კოკა-კოლამ“ კონტრაქტი გაწყვიტა ბრაზილიელ ფეხბურთელთან, რონალდინიოსთან, რომელსაც სარეკლამო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული 2011-დან 2014 წლამდე. ფეხბურთელი პუბლიკასთან „პეპსის“ ქილით ხელში გამოვიდა.

* ცნობილი რუსული სარაფანა ადრე მამაკაცების სამოსი იყო.

* იოანე-პავლე მეორემ ორმოცჯერ იმოგზაურა ყველა კონტინენტზე, ანტარქტიდის გარდა.

* მინამბერების გარეშე წარმოუდგენელია ქიმიური გამოკვლევები და... ახალი წლის ნაძვის ხე.

* კარდინალს იმიტომ აცვია წითელი მანტია, რომ ის მზად არის, გაიღოს თავისი სისხლი ეკლესიის დასაცავად.

* გაერთიანებული ევროპის ჰიმნის ერთ-ერთ ვარიანტად წარდგენილია ოდნავ სახეშეცვლილი „მარსელოზა“. ფრანგული ვარიანტიდან ამოღებულია სხვა ქვეყნებისადმი მიმართული აგრესიული სიტყვები.

* ჰოლანდიური გულდენი სანკტ-პეტერბურგის მეტროში შეიძლება ჟეტონის მაგივრად გამოიყენოთ.

* ცნობილი მეცნიერი ტორიჩელი ხელმოკლეობის გამო ძვირად ღირებული ცდების ჩატარებას თვითონ ვერ ახერხებდა და მეცნიერის ხელმძღვანელობით, ამას მისი მოსწავლე გრაფი ვივიანი ასრულებდა.

* მსოფლიოში ბენზინზე ყოველდღიური მოთხოვნა 4,5 მილიარდი ლიტრია.

* მოსახლეობას ყველაზე მეტად ატომური ომის შიში აქვს, 49 პროცენტს – კლიმატური კატასტროფის, გარემოს დაბინძურების – 36 პროცენტს, ბირთვულ რეაქტორზე აფეთქების – 35 პროცენტს, ადამიანების კლონირების – 28 პროცენტს, ბაქტერიების გენური ლაბორატორიიდან „გაქცევის“ – 26 პროცენტს, ტყეების გაქრობის – 20 პროცენტს, ნავთობის გამოლევის – 7 პროცენტს, უინფორმაციობის – 5 პროცენტს, მეტეორიტების ცვენის – 3 პროცენტს, უცხოპლანეტელების – 1 პროცენტს.

# 10 ფაქტი ჰოლივუდზე

1. ჰოლივუდის ნიშანი 1923 წელს შეიქმნა, მაგრამ არა როგორც „მსოფლიოს ოცნებების ფაბრიკის“ სიმბოლო, უბრალოდ, ეს იყო ლოს-ანჯელესის ახალი საცხოვრებელი კვარტლის რეკლამა. წარწერა უფრო გრძელი იყო: HOLLYWOODLAND. ფიქრობდნენ, რომ წელიწადნახევარს გაძლებდა, თუმცა, კინოინდუსტრიის სწრაფი განვითარების გამო, გადაწყვიტეს, დაეტოვებინათ.

2. ბრიტანელმა მსახიობმა პეგ ენტუისლმა, იმის გამო, რომ ჰოლივუდში წარმატებას ვერ მიაღწია, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა – ასო „H“-დან გადახტა.

3. მეორე მსოფლიო ომის დროს „ოსკარის“ ქანდაკება თაბაშირისგან დაამზადეს.

4. დროთა განმავლობაში HOLLYWOOD-ის ასოებმა „ცვენა“ დაიწყო. 1978 წელს ჟურნალ „ფლეიბოის“ დამაარსებელმა ჰიუ ჰეფნერმა ორგანიზება გაუკეთა აუქციონს, რომელიც 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამერიკელმა როკ-მუსიკოსმა ელის კუპერმა დაასპონსორა ასო „O“-ს აღდგენა. ჯინ ოტრიმ და პოლ უილიამსმა კი – „L“ და „W“ დააფინანსეს.

5. „დიდების ხეივანში“ პირველ ვარსკვლავს, რომელიც ჯოან ვუდვარდს მიეძღვნა, 1960 წლის 9 თებერვალს ჩაეყარა საფუძველი.

6. „ვარსკვლავები“ ენიჭებათ კინოინდუსტრიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ხმის ჩაწერაში, თეატრში, ტელევიზიასა და რადიოში მიღწეული წარმატებებისთვის.

7. ჯინ ოტრი ხელოვნების ერთადერთი მოღვაწეა, რომელსაც ვარსკვლავზე 5 ემბლემა აქვს.

8. 2001 წლის ნოემბერში ჰოლივუდის გულში გაიხსნა „კოდაკის თეატრი“, რომელიც 3 000 მაყურებელს იტევს. ეს თეატრი ამერიკული კინოხელოვნების აკადემიის პრემიის – „ოსკარის“ გადაცემის მუდმივი ადგილი გახდა

9. ჰოლივუდში კინოს აჩვენებენ ყველგან – დიდ ეკრანებზე, კედლებზე, პლაკატებზე, სასაფლაოებზეც. აქ არის „ვარსკვლავური სასაფლაო“ HOLLYWOOD. ახალ ფილმებს კინოფორუმ Cinespia-ს ჩარჩოებში აჩვენებენ ჰოლივუდის ლეგენდის, რუდოლფო ვალენტინოს მავზოლეუმის კედლებზე.

10. ტერმინი „ჰოლივუდის ღიმილი“ მოიფიქრა ფრანგმა სტომატოლოგმა ჩარლზ პინკუსმა გასული საუკუნის 30-იან წლებში. ჰოლივუდელ მსახიობებს მოელვარე, ჩაწიკწიკებული თეთრი კბილებით რომ მოეწონებინათ თავი სწორედ მან გამოიგონა ტექნოლოგია HOLLYWOOD LIMINATES – კერამიკული მთლიანი გვირგვინი, რომელიც მსახიობის კბილებზე სპეციალური ადგეზიური, ანუ, წებოვანი ფხვნილის საშუალებით მაგრდებოდა.

**გვერდი მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**



## მოქმედებს თუ არა ქალის სქესობრივ ფუნქციაზე ნიკოტინი

ბოლო დროს ძალიან მომრავლდნენ მწეველი ქალები, ქალის ორგანიზმი კი მეტად მგრძნობიარეა ნიკოტინით მწვავე ქრონიკული მოწამვლის მიმართ.

ორსულობის პერიოდში, სხვა მავნე ნივთიერებებთან ერთად, ნიკოტინი შხამავს არა მხოლოდ დედას, არამედ ნაყოფსაც. ამიტომაც, ცხრა თვის განმავლობაში და ძუძუს წოვებისას თამბაქოს მოწევა ძალიან სახიფათოა, რადგან, პლაცენტა გზას ვერ ულობავს ნიკოტინსა და მხუთავ გაზს, რომლებიც დედის სისხლძარღვთა სისტემიდან ნაყოფზე გადადის და ამის გამო ბავშვიც პასიური მწეველი ხდება.

მწეველ ქალებს გაცილებით ხშირად სწყდებათ მუცელი, ვიდრე არამწეველებს. ასევე, ხშირად, მათი ბავშვები ზომაზე ნაკლები წონის იბადებიან, რაც იმით აიხსნება, რომ მწეველი ქალის პლანცეტა მცირე ზომისაა და ნაყოფი ნორმალურად ვერ ვითარდება.

თუ მეძუძურობის პერიოდში დედა თამბაქოზე უარს ვერ ამბობს, ნიკოტინის ნაწილი რძეში გადადის, რასაც ჩვილის ქრონიკული მოწამვლა მოსდევს, რადგან დედის რძეში მცირდება C ვიტამინი.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, მწეველი ქალების შვილები 7 წლის ასაკამდე ჩამორჩებიან როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი განვითარებით. ბავშვთა სიკვდილიანობის ყველაზე დიდი პროცენტიც ასეთ ბავშვებზე მოდის.

ნიკოტინი მოქმედებს ქალის სქესობრივ ფუნქციაზეც, რასაც დროთა განმავლობაში ის ფრიგიდულობამდე მიჰყავს.

მწეველი ქალები ადრე ბერდებიან, სახის კანი უშრებათ, უნაოჭდებათ და ცუდი ფერი აქვთ. ყოველივე ზემოთქმულს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ პირიდან ცუდი სუნიც ამოსდით, საბოლოოდ დავრწმუნდებით, რა დიდ მომხიბვლელობას კარგავს ქალი იმით, რომ ვერაფრით ამბობს უარს თამბაქოს მოწევაზე.

## რა კავშირი აქვს არასწორ კვებას რევმატიზმის განვითარებასთან და რატომ უნდა ჭამოთ საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე ერთი ჯგუფის პროდუქტები

სწორი კვება გულისხმობს პროდუქტების სწორ ურთიერთშეთავსებასაც. ამიტომ, თუ გსურთ, ჯანმრთელობა და შრომისუნარიანობა დიდხანს შეინარჩუნოთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები:

გახსოვდეთ, რომ არ შეიძლება პურეულის და პროტეინის შემცველი პროდუქტების, მაგალითად, რძის, ყველის, ხორცის, კვერცხის, თევზის ერთად ჭამა. პროტეინები გადამუშავდება მაღალი სიმჟავის კუჭის წვენით, რომელშიც პურეული ნაწარმი დუღილს იწყებს. ამ პროდუქტების ერთმანეთში არევა კი საჭმლის მომნელებელი პროცესის დისბალანსს იწვევს. არ შეიძლება, შეათავსოთ ერთმანეთთან, მაგალითად, თევზი და ყველი, ქათმის ხორცი და კარტოფილი, მაკარონი და ბიფშტექსი.

საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე მხოლოდ ერთი ჯგუფის პროდუქტები უნდა ჭამოთ, მაგალითად, ცომეული ან ტკბილეული.

პროტეინების ზედმეტი რაოდენობა ორგანიზმში შარდოვანას მომატებულ გამომუშავებას იწვევს, რომლის მიზეზითაც ვითარდება რევმატიზმი და პოდაგრა. შეგიძლიათ, ჭამოთ ხორცი ან თევზი, ხორცი ან ნიგოზი, კვერცხი ან შებოლილი ხორცი, კვერცხი მაიონეზით. არ შეიძლება ომლეტისა და ყველის, ომლეტისა და შებოლილი ხორცის ერთად ჭამა.

ერთ ჯერზე მიიღეთ მხოლოდ ერთი სახის პურეული ნაწარმი. ყველასთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ნაკლებად მოძრაობს, ზედმეტად კალორიული საკვების მიღება მავნე და საშიშია, ამიტომ, ერთ ჭამაზე ერთი სახის პურეულ ან სახამებლის შემცველ საკვებს დასჯერდით: მიირთვით პური ან მაკარონი, კარტოფილი ან ბრინჯი.

არ შეიძლება პურეული პროდუქტებისა და მჟავე ხილის შეთავსება. ასეთ ხილს ორგანიზმი მაღალმჟავიანი კუჭის წვენით ამუშავებს. ამიტომ, არ არის რეკომენდებული, მიირთვათ ვაშლის, ჭერმის, მარწყვის ან სხვა ხილის ღვეზელი.

რაც შეეხება ნესვს, მისი შეთავსება არ შეიძლება არც ერთ საკვებთან. ამიტომ, ის ცალკე უნდა მიირთვათ. განსაკუთრებით მოერიდეთ მასთან ერთად სხვა ხილისა და ტკბილეულის მიღებას.

მაწონი, რძე, იოგურტი და ნაღები, ნესვის მსგავსად, ცუდად ეგუება სხვა პროდუქტებს, ამიტომ, ისინიც ცალკე უნდა მიირთვათ.

რძე და რძის ნაწარმი პროტეინშემცველი პროდუქტებია, რომლებიც ცუდად უთავსდება პურეულს და პროტეინის შემცველ სხვა პროდუქტებს. ამიტომ, ნუ მიირთმევთ ერთად კარტოფილსა და რძეს, ბრინჯსა და რძეს, თევზსა და რძეს.

გირჩევთ, უპირატესობა მიანიჭოთ მცენარეულ ცხიმს. ის შეიცავს ცხიმოვან მჟავებს, რომლებიც ხელს უშლის ქოლესტერინის წარმოქმნას და კარგად ესადაგება როგორც პურეულ, ასევე პროტეინშემცველ ნებისმიერ პროდუქტს.

## პომიდორი, ისპანახი და სტაფილო სიცოცხლეს ახანგრძლივებს

სიცოცხლის ხანგრძლივობას საგრძნობლად ამცირებს მოწევა, ალკოჰოლი, უზომო სმა-ჭამა, უმოძრაობა და ასე შემდეგ.

თუ ჯანმრთელი ცხოვრების წესს დაიცავთ, დიდხანს იცოცხლებთ და თან დაავადებებსაც აარიდებთ თავს. ამიტომ, გაითვალისწინეთ ქვემოთ ჩამოთვლილი რჩევები:

* მეტი იმოძრავეთ. სიარული დიაბეტისა და გულის დაავადებების რისკის შესამცირებლად მარტივი საშუალებაა;

* მოერიდეთ სტრესს და არ იწუწუნოთ ხშირად;

* კარგად გამოიძინეთ. მოუსმინეთ თქვენს სხეულს და დასაძინებლად მაშინ დაწექით, როცა ამის საჭიროებას იგრძნობთ. უძილობის თავიდან ასაცილებლად დაწოლამდე რამდენიმე ხნით ადრე, თაფლიანი წყალი მიირთვით და წყნარ, მშვიდ მუსიკას მოუსმინეთ. კარგია დაძინებამდე სუფთა ჰაერზე გასეირნებაც;

* ხშირად გაიღიმეთ და ხშირად იხუმრეთ საკუთარ თავზე – იუმორი სიცოცხლეს ახანგრძლივებს;

* იკვებეთ სწორად. ყოველთვის მიირთვით მშვიდ გარემოში. საუზმეს ნუ გამოტოვებთ – ის კონცენტრაციის ერთადერთი მასტიმულირებელი საშუალებაა. ჭამეთ სალათები, თევზი. მოხარშული ან შემწვარი პროდუქტი აუცილებლად უმ პროდუქტს შეუხამეთ, მაგალითად, 100 გრამი ხორცი და 200 გრამი ქორფა სალათა. შაქარი თაფლით შეცვალეთ – ენერგიის ეს შესანიშნავი წყარო ვიტამინებისა და მინერალების საბადოა. ნუ შეჭამთ ძალიან ცივ ან ძალიან ცხელ კერძს, რადგან ეს მავნებელია კუჭისა და კბილებისთვის;

* მხოლოდ მაშინ ჭამეთ, როცა შიმშილს იგრძნობთ. ჭამამდე ნახევარი საათით ადრე დალიეთ 1 ჭიქა წყალი. თუ კუჭში დისკომფორტს გრძნობთ, არაფერი ჭამოთ. უმჯობესია, მინერალური წყალი დალიოთ. კვირაში ერთ დღეს კი მხოლოდ წყალი სვით – ეს ორგანიზმის გაწმენდაში დაგეხმარებათ;

* უპირატესობა მიანიჭეთ იმ პროდუქტებს, რომლებიც ამცირებს კიბოს რისკს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, დაბლა სწევს ქოლესტერინის დონეს და ებრძვის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. ასეთებია: პომიდორი, ისპანახი, ბროკოლი, სტაფილო, ნიორი, ვაშლი, ყურძენი, ქლიავი, მოცვი და ასე შემდეგ.

## პანკრეატიტის მკურნალობისას სვით მინერალური წყალი

ალკოჰოლური სასმელების დიდი რაოდენობით მოხმარება და გარემოს მავნე ფაქტორების ზემოქმედება პანკრეატიტის დაავადების განვითარებას უწყობს ხელს. ყოველდღიურად ორასი გრამი ალკოჰოლის ან ორი ლიტრი ლუდის დალევა კუჭქვეშა ჯირკვლის ჰისტოლოგიურ ცვლილებებს იწვევს. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს გენეტიკურ ფაქტორსაც.

მწვავე პანკრეატიტი მწვავე ანთებითი პროცესია, რომელიც ჯირკვლის ქსოვილის თვითმონელებითაა განპირობებული. ის ვლი-

ნდება ჯირკვლის და ირგვლივ მდებარე ქსოვილის შეშუპებით, მძიმე ფორმის დროს კი პარენქიმის ნეკროზით, სისხლჩაქცევებითა და პერიპანკრეასული ქსოვილის ნეკროზით.

მწვავე პანკრეატიტს მკვეთრი, უეცარი ტკივილი ახასიათებს, რასაც ღებინებაც ახლავს თან. ტკივილი შეიძლება იყოს შეტევითი ან მუდმივი ხასიათის. ამ დროს, არ არის გამორიცხული, გამოვლინდეს სიყვითლე და ციანოზი.

პანკრეასი საჭმლის მომნელებელი სისტემის ჯირკვალია, რომელიც პანკრეასის წვენს გამოიმუშავებს და, იმავდროულად, ენდოკრინულ ფუნქციასაც ასრულებს. კუჭქვეშა ჯირკვლის პარენქიმის დიდი ნაწილი საკვების მონელებისთვის აუცილებელ ფერმენტებს გამოიმუშავებს.

პანკრეატიტი კუჭქვეშა ჯირკვლის ანთებად-დისტროფიული დაავადებაა. ის პანკრეასის სადინარების გამავლობის დარღვევით, პარენქიმის სკლეროზით, ჯირკვლისა და ენდოკრინული ფუნქციის დარღვევით ხასიათდება.

ქრონიკული პანკრეატიტი ანთებითი დაავადებაა. ის სხვადასხვა სახის ფუნქციური უკმარისობით ვლინდება და შემდეგ ხანგრძლივად პროგრესირებს. ახასიათებს მარცხენა ფერდქვეშ ტკივილი. ეს ტკივილი ხშირ შემთხვევაში ბეჭებისკენ გადაეცემა, რაც ხშირ შემთხვევაში ჭარბი რაოდენობით ცხიმიანი საკვების, ზედმეტი დოზით ალკოჰოლის მიღების დროს ვლინდება ან მშიერ კუჭზე საჭმლის მიღებიდან რამდენიმე საათში იჩენს თავს.

პანკრეატიტის მკურნალობა და პროფილაქტიკისთვის კარგია „ნაბეღლავის“, „ბორჯომის“ ან სხვა მინერალური წყლების სმა. აუცილებელია, ასევე, სწორი რეჟიმის დაცვა, კვების მოწესრიგება, ალკოჰოლისგან თავის შეკავება.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: საშიშია თუ არა წითელი ხალების გაჩენა?**

**პასუხი:** წითელი ხალები არის მცირე ზომის ჰემანგიომა – სისხლძარღვოვანი წარმოშობის კეთილთვისებიანი სიმსივნე, ზოგჯერ ისინი თავისით ქრება და ჯანმრთელობისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ თუკი წითელი ხალები მრავლდება რაოდენობრივად, იცვლის ფორმას, იზრდება, მაშინ იკვლევენ კუჭ-ნაწლავთა ტრაქტს – ღვიძლისა და პანკრეასის ფუნქციას, თირკმელების მდგომარეობას.

**კითხვა: 6 წლის ბავშვი ნორმალურად მეტყველებდა და ახლა უჭირს. შიშის გარდა რა შეიძლება იყოს მიზეზი?**

**პასუხი:** ენაბორძიკობა თუ თანდაყოლილი არ არის, უმეტესად ფსიქონერვულ ფაქტორებს (ძლიერ შიშს, ემოციას, სტრესს, გადაღლილობას) უკავშირდება, თუმცა გამორიცხული არ არის ამის მიზეზი იყოს თავის ტვინის სისხლმომარაგების დარღვევა, ტვინში სისხლის ჩაქცევა, ენცეფალიტი თუ მენინგიტი, ეპილეფსია და სხვა. მიზეზის დასადგენად პირველ რიგში ნევროპათოლოგს უნდა მიმართოთ.

**კითხვა: ფრჩხილები მემტვრევა ძალიან, ბოლომდე რომ დავიჭრა მაინც ტყდება შუაზე. ვერანაირად ვერ ვახერხებ მათ გაზრდას. გთხოვთ მითხრათ ვის მივმართო დასახმარებლად?**

**პასუხი:** პირველ რიგში ჩაიტარეთ სისხლის საერთო ანალიზი, არ არის გამორიცხული ანემია, შესასწავლია ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციაც. დარღვევის შემთხვევაში უნდა მიმართოთ შესაბამისი პროფილის ექიმს, პარალელურად კი გირჩევთ ზღვის მარილის აბაზანებს - 1 თვე; დღეგამოშვებით ჩაისხის ზეთის და ზეთოვანი ვიტამინი A-ს შეზელვას ფრჩხილებში - 1 თვე; ასევე, დალიეთ აევიტი (1 აბი 2-ჯერ დღეში, 1 თვე), ან მერცი სპეც დრაჟე (60 ცალი) 1-დრაჟე 2-ჯერ დღე.

**კითხვა: 2 თვის წინ გავიშრე რძე, ახლა შევამოწმე და მცირედი რძის გამონადენი მაქვს მარჯვენა ძუძუდან. მანამდე ვმკურნალობდი ფარისებრ ჯირკვალზე. ტეესაში მაქვს 2.31. ეს გამონადენი შეიძლება ამ ჰორმონის ხარჯზე იყოს? და საერთოდ რამდენად ნორმალურია ტეესაში - 2.31? ეხო მაქვს გადაღებული და ჩანს ძალიან პატარა (კალმის წვერის ოდენა) წერტილი. ანუ კვანძი, გართულებები არ მაქვს.**

**პასუხი:** განსაზღვრეთ სისხლში პროლაქტინის დონე, მიმართეთ ენდოკრინოლოგს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

## იმკურნალეთ წყლის აბაზანებით

წყლით მკურნალობა ავადმყოფობასთან ბრძოლის უძველესი მეთოდია. გრილი აბაზანა არა მარტო ებრძვის მთელი დღის განმავლობაში დაგროვილ სტრესს, არამედ, ზოგიერთი დაავადებისგან თავის დაღწევაშიც გვეხმარება.

გავრცელებული მოსაზრება, თითქოს ნებისმიერი აბაზანა ამშვიდებს ნერვებს, არასწორია. ეფექტი აქვს მხოლოდ ინდიფერენტულ 35-გრადუსიან, თბილ 39-გრადუსიან და ცხელ 40 გრადუსზე მეტი ტემპერატურის აბაზანებს. აბაზანები ადამიანის ორგანიზმზე მატონიზებულ ზემოქმედებას ახდენს, რის გამოც ძილის წინ მის მიღებას ნამდვილად არ გირჩევთ.

სწრაფად გახდომის მსურველებზე ეფექტურად და დადებითად მოქმედებს სპეციალური კონტრასტული აბაზანები. მათი საშუალებით ადამიანი დღეში 200-დან 400 გრამამდე გრამს იკლებს. აბაზანა ჭამიდან ორი საათის შემდეგ უნდა მიიღოთ და მისი ხანგრძლივობა ნახევარ საათს არ უნდა აღემატებოდეს.

გულ-სისხლძარღვთა მძიმე დაავადების, თირკმლისა და ღვიძლის მწვავე ანთებითი პროცესებისა და თრომბოფლებიტის დროს, წყლის აბაზანების მიღება არ არის რეკომენდებული.



მარილის აბაზანა ხსნის კუნთებისა და სახსრების ტკივილს, ამცირებს ტრავმების ნეგატიურ შედეგებს, დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის ფუნქციონირებაზე. მას მიკრომასაჟის თვისებაც აქვს. ის ააქტიურებს წვრილ კაპილარებში სისხლის მიმოქცევას. წყალში გახსნილი მარილის ნაწილაკები კანიდან შეიწოვება და ქმნის ეგრეთ წოდებულ მარილოვან საფარს, რომელიც მოქმედებას პროცედურის შემდეგაც განაგრძობს.

მარილის აბაზანა ასე უნდა მოამზადოთ: 5 სადილის კოვზი სუფრის ან ზღვის მარილი გახსენით ცხელ წყალში და შემდეგ, სასურველ ტემპერატურამდე გააზავეთ ცივ წყალში.

წიწვოვანი მცენარეების ექსტრაქტის აბაზანა ამშვიდებს ნერვებს, ადუნებს კუნთებს, ხსნის სისხლძარღვთა სპაზმებს და საგრძნობლად აუმჯობესებს ორგანიზმის მდგომარეობას, მით უმეტეს – კლიმაქსურ პერიოდში.

ასევე, კარგია თიხის აბაზანებიც. თიხის ფხვნილს ორგანიზმიდან ტოქსიკური წიდები გამოაქვს. ის შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ, თითქმის ყველა მინერალსა და მიკროელემენტს, რომლებიც ორგანიზმს აახალგაზრდავებს და აკაჟებს. 35 გრადუსამდე გაცხელებულ წყალში ჩაყარეთ 10 სადილის კოვზი თიხის ფხვნილი და კარგად ურიეთ, შემდეგ ჩაწექით და ინებივრეთ.

სასუნთქი გზების ინფექციებსა და სტრესებთან ბრძოლაში დაგეხმარებათ სამკურნალო მცენარეების აბაზანები. მცენარეთა ნაკრების აბაზანები ხსნის რადიკულიტითა და ართრიტით გამოწვეულ ტკივილს, ამშვიდებს კანს, გაღიზიანებულ ლორწოვან გარსს და უძილობასთან ბრძოლაშიც ადვილად დაგეხმარებათ.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# რა შემოთავაზებაზე უთხრა უარი ავთო ვარაზმა ელენე ახვლედიანს

ავთო ვარაზი დაიბადა 1926 წელს, თბილისში. ავთოს მამა, ვასილ სოფრომის ძე ვარაზი (ვარაზიშვილი), პათფიზიოლოგი, ბიოქიმიკოსი, დოქტორი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი, ბიოლოგიური ქიმიის კათედრის გამგე იყო. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე და ცნობილი პათფიზიოლოგის, დოქტორ კრინბერგის საყვარელი მოწაფე იყო, რომელმაც სთხოვა, რევოლუციის შემდეგ გერმანიაში გაჰყოლოდა ერთობლივი მუშაობისათვის, მაგრამ მან სამშობლოში დაბრუნება არჩია... აი, რას წერს 1938 წელს გერმანული



ჟურნალი: „ექსპერიმენტალურ მედიცინაში გამოქვეყნებული შრომების საფუძველზე, ნობელის პრემიის კომიტეტმა იგი შესაძლო კანდიდატად ცნო. შვედეთიდან გამოგზავნილი ბარათი იტყობინებოდა: „დიდად პატივცემულო ვასილ ვარაზიშვილო! ჩვენ, კაროლინის სამეფო ინსტიტუტის დავალებით, გვაქვს პატივი, 1939 წელს მოგიწვიოთ ნობელის პრემიის მოსაპოვებლად ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში. გთხოვთ, საატესტაციო დოკუმენტები გამოგზავნოთ მისამართზე: კაროლინის სამეფო ინსტიტუტის ნობელის კომიტეტი, სტოკჰოლმი”. წერილს ხელს აწერს შვედეთის სამეფო აკადემიის ნობელის პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე გუნარ პოლმგრენი. ვასილ ვარაზიშვილმა მრავალთათვის საოცნებო შანსი არაფრად ჩააგდო, არც წერილზე გაუცია პასუხი და არც უცნობი დამფასებლისთვის გადაუხდია მადლობა. მეცნიერს პრემიის იგნორირებისათვის ორი საბაბი ჰქონდა: ერთი ის, რომ იგი ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო და სასიკვდილო იარაღის წარმოებით მოპოვებულ ფულს ვერ აიღებდა და, მეორეც ის, რომ ნობელის პრემია სისხლიან საბჭოთა რეჟიმს ესაჭიროებოდა გაუგონარ დანაშაულებათა შესანიღბავად.



დედა, ელისაბედ გასპარიანი-ვარაზისა, თურქეთიდან ემიგრირებულ მშობლებთან ერთად შეიფარა ვასილის მამის, სოფრომის ოჯახმა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ელისაბედი ხატვის მასწავლებელი იყო. უმაღლესი განათლება თბილისის უნივერსიტეტში მიიღო – ბიოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, თუმცა, სპეციალობით არ უმუშავია და მთელი თავისი დრო შვილების აღზრდას მოახმარა. ავთოს ძმებსაც – ვახტანგსა და ლევანსაც გამოჰყვათ ხელოვნების ნიჭი, მაგრამ მათ მედიცინის დარგში მოღვაწეობა არჩიეს...



...ავთანდილ ვარაზმა ადრე დაიწყო ხატვა. ხელოვნებათმცოდნე რენე შმერლინგმა ბუკინისტურ მაღაზიაში მიაქცია ყურადღება უცნობ ჭაბუკს, რომელიც გატაცებით ფურცლავდა ძველ წიგნებს და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში მიიყვანა. 1943-1948 წლებში ავთო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლობდა, 1948 წელს კი ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი გახდა, თუმცა, თავს არ ანებებს ხატვას – ხშირად ესწრება ხატვის გაკვეთილებს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში.

ახალგაზრდა მხატვარმა სერგო ქობულაძის ყურადღება მიიპყრო...

ავთო ვარაზის ფერმწერად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა მხატვარ ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვთან მეგობრობამ და მისგან მიღებულმა გაკვეთილებმა. სწორედ ა. ბაჟბეუქ-მელიქოვმა შექმნა ვარაზის მშვენიერი პორტრეტი, რომელიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული. ამავე პერიოდში დაუახლოვდა ავთანდილ ვარაზი ლადო გუდიაშვილს და მისი სახელოსნოს ხშირი სტუმარი გახდა. მას ძალიან იზიდავდა დავით კაკაბაძის შემოქმედებაც.

თავად, ძირითადად, პორტრეტისა და ნატურმორტის ჟანრში მუშაობდა...

1966-67 წლებში საქართველოს ისტორიის მუზეუმში ავთო ვარაზმა მაღალმხატვრულად, ორიგინალურად გააფორმა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთების ექსპოზიცია. აგრეთვე, მხატვრულად გააფორმა კინოფილმი „ფიროსმანი”, სადაც ფიროსმანის როლი თვითონვე შეასრულა.

ავთო ვარაზი ჯერ მხატვრად მიიწვიეს, მერე კი ნიკალას როლიც მისცეს. „ფიროსმანზე” გატაცებით მუშაობდა. ფილმმა დიდი წარმატება მოიპოვა... როცა „ფიროსმანი” ბრიტანეთში ფესტივალზე წარადგინეს, ყველა წავიდა, ავთო კი არ გაუშვეს – იქ დარჩებაო...

1971 წელს ავთო ვარაზმა გადაწყვიტა, თავისი პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო, რაშიც ხელს უმართავდა ქალბატონი ელენე ახვლედიანი – საექსპოზიციო დარბაზად მან საკუთარი ბინასახელოსნო შესთავაზა. გამოფენის საორგანიზაციო მხარე თითქმის დასრულებული იყო, რომ, ყველასათვის მოულოდნელად, ავთომ უარი თქვა გამოფენაზე...

მხატვარი 51 წლის ასაკში გარდაიცვალა. 1977 წელს შედგა მისი ნამუშევრების პირველი პრესონალური გამოფენა.

თემო ჯაფარიძე

„...ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როცა ის გავიცანი, მგონი, 18 წლისა. 11 წლით უფროსი იყო ჩემზე. ორივე ვერის უბანში ვცხოვრობდით და უნებლიეთ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. გაცნობისთანავე დავინახე მისი დახვეწილობა, სახისა და თვალების მთრთოლვარე ღიაობა. მისი გამომეტყველებითი სულგახსნილობა თავისებურად მაცდურიც იყო – ბევრი ხეპრე მოტყუებულა და, მისი რთული, წინააღმდეგობრივი სიჩვილის გამო, საწყალ, უსუსურ კაცად ჩაუთვლია. ასეთებს ავთო მოხერხებულად აჩვენებდა ხოლმე თავისი სულის ძალას და ამას აკეთებდა იუმორით... ეს მორიდებული, უაღრესად თავაზიანი, მ თ რ თ ო ლ ვ ა რ ე ხმით მოლაპარაკე კაცი ისეთ უტიფრობასა და თავხედურად თამამ საქციელს ჩაიდენდა, რომ ყველას უკვირდა, როგორ თავსდებოდა მის ხასიათში პარადოქსულად კონტრასული თვისებები...



...ავთომ რთული გზა გაიარა ხელოვნებაში. თავისი ინდივიდუალური მხატვრული ხელწერა გვიან აღმოაჩინა, თუ არ ვცდები, 34-35 წლისამ. თვითნასწავლი მხატვარი იყო, მაგრამ, ჯერ კიდევ ახალგაზრდული წლებიდან, მრავალმხრიდან შეისწავლა ხელოვნება და არქიტექტურა... კულტურულ ოჯახურ ინტიმურ გარემოს ქმნიდა ავთოს დედა: იგი ხატავდა, გატაცებული იყო მუსიკით... ერთხელ ავთომ სიამაყით მაჩვენა დედის ნახატები. მუსიკა უყვარდა მამასაც – ცნობილ მეცნიერს, ბიოქიმიკოს ვასილ ვარაზიშვილს. შემდგომ, სიმწიფის ასაკში, ავთო აგროვებდა ძველ გრამფირფიტებს. მის ოთახში რამდენიმე გრამოფონი იდგა. ძველი გრამფირფიტები და ბუკინისტური წიგნები ავთოს დიდი გატაცება იყო. მხატვრული რეპროდუქციების ალბომების უნიკალური კოლექცია ჰქონდა... მამა უაღრესად თბილი ადამიანი იყო, საბჭოთა აკადემიკოსებივით არ იბღინძებოდა. არადა, ჰქონდა საამაყო: ოცდაათიან წლებში შვედეთიდან მიიღო ოფიციალური წერილი, რომ იგი ნობელის პრემიის კანდიდატთა შორის იყო დასახელებული... თავის გაუბრალოება ავთოსაც გამოჰყვა ხასიათში. მასზე გაცილებით უმცროს ადამიანებთან მეგობრობდა. ამასთან, ურთიერთობა ჰქონდა უფროს, გამოცდილ ადამიანებთანაც. 1948 წელს ავთო ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი გახდა. ჩუბინაშვილი დიდ იმედებს ამყარებდა მასზე. მაგრამ, ავთომ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი იმუშავა დისერტაციაზე, ფერწერის კარიერა აირჩია. 50-იანი წლების დასასრულს ავთომ შეიმუშავა ლურჯი ტონალობის ფერწერა და სწორედ ამ მანერით შეასრულა თავისი საუკეთესო პორტრეტები და ნატურმორტები. საზოგადოებაში შეიქმნა აზრი, რომ ავთოს ლურჯი ფერწერა პიკასოს ლურჯი პერიოდიდან გამომდინარეობდა. შეიძლება, ავთომ მართლაც განიცადა პიკასოს, სეზანის, კუბიზმისა და პოპ-არტის გავლენა,





მაგრამ, ჩემი აზრით, მას აღმოაჩნდა მასშტაბური პიროვნული საწყისი და სხვადასხვა გავლენისგან შეძლო დამოუკიდებელი სტილის ჩამოყალიბება... ავთოს სხვადასხვა წრის ადამიანებთან ჰქონდა ურთიერთობა. ღვინის სიყვარულის გამო, ძალიან პოპულარულიც გახდა. ღვინო მისთვის სიმარტოვის, მოწყენილობის ზეიმი იყო – საბჭოთა ყოფიერებაში მეოცნებე ადამიანებისთვის ღვინო მყუდრო თავშესაფარი იყო. ავთოს სახელოსნოში (პატარა ოთახში) დადიოდნენ უიღბლო ლოთები, ხელოვნების მოყვარულები, ხელმოცარული ხელოვანები, ავთოს მხატვრობის გულშემატკივრები, არასაბჭოური გეზის მქონე მხატვრები – ახალგაზრდებიც და ასაკოვნებიც. პარალელურად, ავთოს ურთიერთობა ჰქონდა ელიტარულ საზოგადოებასთან – მწერლებთან, რეჟისორებთან, მეცნიერებთან. მისი ფასი საბჭოურად მოწყობილმა ოფიციალურმა პირებმაც იცოდნენ... ერთხელ ამ ევროპულ უბნებში ბევრი ვიარეთ – სახელოსნოსთვის გამოსადეგ მანსარდს ვეძებდით. ხელმომჭირნედ ვცხოვრობდი. ავთო სახელოსნოზე ოცნებობდა. სახლები და ვიწრო ქუჩები, რომლებიც მას მოსწონდა, რაღაცით ჰგავდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც თავის პორტრეტებში გამოსახა... ავთომ მაინც იპოვა თავისი ადამიანები, თავისი საგნები, სახლები და ქუჩები, თავისი სინამდვილე..."

**ზურაბ სეხნიაშვილი**

„ხომ გახსოვთ ავთო ვარაზი? ფიროსმანის როლი რომ ითამაშა გიორგი შენგელაიას ცნობილ ფილმში და სიცოცხლეშივე რომ იქცა ლეგენდად. 80-იან წლებში, ხელოვნების სკოლაში რომ დავდიოდი, პედაგოგები ათას ტყუილ-მართალს გვიყვებოდნენ ავთოზე, ვარაზის გაკეთებული კი მხოლოდ არქეოლოგიური გამოფენა მენახა ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმში და, როცა მხატვრის სახლის მესამე სართულზე ვარაზის სამი კომპოზიცია გამოფინეს, თავი მართლა უბედნიერესი ადამიანი მეგონა... ავთო საოცარი კაცი გახლდათ. ავთოს ძმისშვილთან, ვასიკოსთან ვმეგობრობდი. პეროვსკაიაზე ვცხოვრობდი მაშინ, ჩემს პირდაპირ ავთო ცხოვრობდა. ერთი პატარა ოთახი ჰქონდა. ბინა დიდი იყო, იქ მათი ოჯახი ცხოვრობდა, ავთოს კი ის ერთი ოთახი ჰქონდა – იქ ეძინა, იქვე მუშაობდა... ჩვენზე გაცილებით უფროსი იყო, მაგრამ, ისეთი კაცი იყო, მეგობრობა დიდთანაც შეეძლო და პატარასთანაც. თითქოს, ერთი შეხედვით, რბილი, მაგრამ, შინაგანად, ძალიან მდგრადი კაცი იყო; შეეძლო, ზრდილობიანად გასცლოდა იმ სიტუაციას, რომელიც მიუღებელი იყო მისთვის... ავთოსთან





ვმეგობრობდი იმიტომ, რომ მეც ვხატავდი და, ბუნებრივია, მინდოდა, ავთოსგან რაღაცეები მესწავლა. თანაც, მაშინ იმ ასაკში ვიყავი, მომწონდა ცხოვრების ის ბოჰემური წესი, რითაც ავთო და მისი მეგობრები ცხოვრობდნენ – ვსვამდით, ვლოთობდით, მაგრამ, თან ბევრსაც ვმუშაობდით. ავთო ფანტასტიკურ კომპოზიციებს აკეთებდა, მაშინ ამას „პოპ-არტს" ვეძახდით. ეს ნამდვილად არაა პოპ-არტი, ეს სხვა რამეა, თუმცა, რა არის, ზუსტად, არც კი ვიცი. უფრო ადრე, დავით კაკაბაძე ქმნიდა შუშის კომპოზიციებს, უორჰოლზე ადრეც კი. ერთხელაც, ავთო ვარაზი დილას პახმელიაზე ადგა, დახედა თავის შარვალს, გაიხადა, დაასხა წებო, დააწება ფიცარზე და ასე შექმნა „ხარის თავი", რომელიც დღეს გუგენჰაიმის მუზეუმში კიდია და შედევრადაა აღიარებული. მერე, რამდენჯერმე გააკეთა კიდევ ეგეთი „ხარის თავები", მაგრამ, მაშინ უკვე იცოდა, რასაც აკეთებდა. ის, პირველი, სხვა იყო. ერთხელაც, რაღაც ნაგავი მოაგროვა ავთომ, დააწება მუყაოზე, სიგარეტის კოლოფი, „ბიჩოკები", ასანთის ღერები და დაარქვა „ჟიტანი". ეს ნამუშევარი ძალიან მომეწონა. მაინც მიმაჩნია, რომ სწორედ ამ ნამუშევარმა მომცა ბიძგი. ნელ-ნელა მეც დავიწყე ამის კეთება. არადა, იმ პერიოდში, ძირითადად ვხატავდი..."

**ეკა პატარაია**

# რა აუკრძალა საკუთარ თავს კატეგორიულად ზურაბ აბაშიძემ და სად აღარ დაბრუნდება ის არასოდეს

(23-ე გვერდიდან)

მაშინ ჩავთვალე, რომ ჩემი დიპლომატიური კარიერა დამთავრდა. არ იყო ეს ჩემთვის იოლი, საკმაოდ მძიმედ გადავიტანე, მაგრამ ნელ-ნელა შევეგუე, გავხდი დამოუკიდებელი ექსპერტი. ჩემი თავი ამოვქაჩე ჭაობიდან.

**– მიზანსწრაფული და მებრძოლი ადამიანი ხართ?**

– მიუხედავად იმისა, რომ იმ საქმეს, რაც მე კარგად ვიცოდი, ვეღარ ვაკეთებდი, არ გავბოროტებულვარ, არ მიფიქრია, რომ მეტი მეკუთვნის და რატომ არ ვარ ისევ ელჩი... არ ხარ, არ ხარ, რას იზამ, უნდა შეეგუო რაღაცეებს და ყურები არ უნდა ჩამოყარო. თუ გაინძრევი, რაღაც გამოჩნდება და გამოჩნდა კიდეც. მოსკოვიდან რომ დავბრუნდი, როცა გამათავისუფლეს, აქ ჯერ ჩემთვის რაღაცეებს ვწერდი, სტატიებს ვაქვეყნებდი. მერე დამოუკიდებელი ექსპერტი დავირქვი. იქ, სადღაც ინსტიტუტში მიმიწვიეს და ლექციების წაკითხვა მთხოვეს... ასე, ნელნელა ჩემი ამპლუა მოვნახე. ისე შევეჩვიე დამოუკიდებლობას, როცა მინდოდა, ვდგებოდი, როცა მინდოდა, ვწვებოდი, რასაც მინდოდა, იმას ვამბობდი, რომ აღარც კი მიფიქრია საჯარო სამსახურში დაბრუნდებაზე. პირიქით, ჩემს თავს მივეცი პირობა, რომ შემომთავაზონ, არასადროს დავბრუნდები-მეთქი. ეს იყო ჩემი პრინციპული გადაწყვეტილება.

**– ინდოეთზეც მინდა გკითხოთ. როგორც მახსოვს, თქვენ იყავით პირველი ქართველი, ვინც ქეთევან წამებულის ნეშთი აღმოაჩინა. ძალიან საინტერესოა. მოგვიყევით ამის შესახებ და იქ გატარებულ პერიოდზე...**

– ინდოეთში საბჭოთა დიპლომატები ცხოვრობდნენ ძალიან სპარტანულ პირობებში. მე და ჩემი ცოლი ვიყავით მარტო, გვქონდა ორი ძალიან პატარა ოთახი პატარა სამზარეულოთი, ასე თუ ისე იქაურ პირობებს, კლიმატს სწრაფად შევეგუეთ. თუმცა, თავიდან, რომ ჩავედით, ჩემთვისაც და მისთვისაც იყო კულტურული შოკი, ქუჩაში რომ გამოვედით და ამდენი მათხოვარი, ხეიბარი ადამიანი დავინახეთ. თან, იყო საშინელი ანტისანიტარია... ხელფასი 400 დოლარი მქონდა, აქედან 10 დოლარს ვუხდიდი მძღოლს. ინდოეთი ის ქვეყანა იყო, სადაც საბჭოთა დიპლომატისთვის თავისუფლად შეიძლებოდა წასვლა-წამოსვლა. არ იყო ადგილობრივი მთვარობისგან შეზღუდვები. ამიტომ, ბევრს დავდიოდით მანქანით და ბევრი რამ ვნახეთ. სწორედ მაშინ აღმოვაჩინე და გადავიღე ის ადგილი – დაგრასას მონასტერი, სადაც ქეთევან წამებულის ნეშთია დამარხული. ეს ფაქტი ცნობილი იყო ჩვენს ლიტერატურაში, რომ ინდოეთის შტატ გოაში, არის ადგილი, სადაც ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილებია დამარხული. ჩავედი გოაში, იქაურ არქივებში ვიპოვე, მივაკვლიე მასალებს, მივედი და გადავიღე ეს მონასტერი. მერე ბევრმა გააგრძელა ეს კვლევა, რეზო თაბუკაშვილი ჩავიდა, ვაჟა ლორთქიფანიძე და სხვები.

**– ალბათ, ძნელად წარმოსადგენია ირაკლი აბაშიძის შვილი სხვანაირი გამოსულიყო, მაგრამ მაინც მინდა გკითხოთ, ქუჩა თუ გიზიდავდათ, თუ აცდენილხართ რაიმე ხიფათს?**

– არ მომწონს და კატეგორიულად მიუღებელია ჩემთვის ქუჩის რომანტიზაცია. არანაირი სიკეთე არ მახსოვს ქუჩიდან. ქუჩაში შემოვიდა ყველა უბედურება – ნარკომანია, ერთმანეთის დაუნდობლობა, სუსტის დაჩაგვრა. ქუჩამ გარყვნა თაობები, უამრავი ადამიანი გადაიყოლა ამ ფსევდო რაღაც გამოგონილმა კულტურამ. სტილი იყო ასეთი. ყველა ცდილობდა ძველბიჭობას. არასდროს არ მხიბლავდა ეს. ყველანაირი მეგობარი მყავდა, ზოგი მოძველბიჭო, ზოგი მართლა ძველი ბიჭი – თბილისი პატარაა და ყველა ხელისგულზე ჩანდა, ვინ ვინ იყო. ცოტა რაღაც-რაღაცეებში, ალბათ, მეც ვიყავი გარეული, მაგრამ ნარკომანობის სურვილი არასდროს მქონია. დანები მედო ჯიბეში რომ ვთქვა, არც ასეთი ყოფილა. ჩხუბსა და დავიდარაბაში, გარჩევებში კი ნამდვილად გავრეულვარ, მაგრამ არ იყო ჩემი სტიქია ქუჩური ცხოვრება.

**– რომ არ ყოფილიყავით ის, ვინც დღეს ხართ, მაშინ ვინ იქნებოდით, რა გზას აირჩევდით?**

– სიამოვნებით ვიქნებოდი კარგი ჯაზმენი. მაშინ იყო სულელური მეთოდი მუსიკის სწავლების. რატომღაც, ვინც ჩემ გარშემო იყო, ყველა მუსიკაზე დადიოდა და მეც წლების განმავლობაში დამატარებდნენ მუსიკის მასწავლებელთან. ეს იყო ჩემთვის რაღაც კოშმარი. სულ მინდოდა რაღაც სასიამოვნო მუსიკა, კომპოზიცია დამეკრა. ვეუბნებოდი არ მინდა ეს გამები, არ მინდა, გამოვიდე პიანისტი. მინდა, უბრალოდ, კარგად ვუკრავდე ფორტეპიანოზე-მეთქი. თბილისი იყო უნიკალური ქალაქი იმ თვალსაზრისით, რომ ჯაზი აკრძალული იყო, მაგრამ რაღაც არხებით, მაინც შემოდიოდა უცხოეთიდან, რადიოებს ვუსმენდით, ნელ-ნელა ფირფიტებიც შემოვიდა. ახალგაზრდობაც ფანტასტიკურად იყო გათვითცნობიერებული ჯაზის სფეროში. მგონი, დასავლეთის ქვეყნებში არ იცოდნენ იმდენი ჯაზის შესახებ, როგორც თბილისში. მოსკოვში რომ ჩავედი და ჯაზზე რომ ვლაპარაკობდი, პირდაღებულები მიყურებდნენ ჩემი ამხანაგები. არ იცოდნენ ამდენი. ძალიან მინდოდა, ჯაზი დამეკრა, მაგრამ არ გამოვიდა.

**ეკა პატარაია**

**წელიწადის განმავლობაში არსებობს დღეები, როცა ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა, საკუთარი ბედი შეცვალოს. ამ დღეებს, უძველესი დროიდან ჩვენი წინაპრებიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ჩვენი დღევანდელი რუბრიკის სტუმარი, ეზოთერიკოს-პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ნანი ამბობს, რომ ამ დღეებს ადამიანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და მათი ჩვენს სასიკეთოდ გამოყენებაც საკმაოდ მარტივია. მისივე თქმით, თუ ელემენტარულ წესებს დაიცავთ, რომ იტყვიან, თქვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.**

# თვის რომელი დღეა ენერგეტიკულად ძალიან ძლიერი და რაში გვეხმარება ცოცხის რიტუალი, წითელი ვარდის ფურცლებისა და რკოს ჯიბით ტარება

**ნანი**: ზოგი ცდილობს, არ დაემორჩილოს ბედის კანონებს, რომელიც ზეცაში დაბადების მომენტში იწერება და თავად „გამოჩარხოს" საკუთარი ბედი დედამიწაზე. ბევრი გაუაზრებლად იქცევა ასე და აგზავნის კონკრეტული ადამიანისკენ უარყოფით ენერგიას მზერით, შელოცვით, ათასგვარი ხერხით და არც კი იცის, რა დანაშაულს სჩადის. თავად მე, ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე. ბებიაჩემი და მისი დები ძალიან განათლებული, ასე ვთქვათ, ყოვლისმცოდნე ქალები იყვნენ. მათთან ხშირად მოდიოდნენ მეზობლები, ნათესავები თუ უბრალოდ, ნაცნობები ჭკუის საკითხავად. ისინი ხალხურ მედიცინაში, პარაფსიქოლოგიაში, ეზოთერიკასა თუ ასტროლოგიურ საკითხებში კარგად ერკვეოდნენ. რომ წამოვიზარდე, ხშირად მეუბნებოდნენ, ჯიბით ან ჩანთით, წითელი ვარდის ფურცლები, რკო ან წაბლი ატარე, ეს ავი თვალისგან დაგიცავს და ბედნიერებას მოგიტანსო. უფრო სწორად, ვარდის ფურცელი სიყვარულში მოგიტანს ბედნიერებას, რკო და წაბლი კი – კარიერაშიო. მაშინ მათი ნათქვამი სასაცილოდ არ მყოფნიდა. თუმცა, ჩანთით მართლაც დამქონდა პატარა ტომსიკაში ჩაწყობილი, ვარდის ყვავილები და რკო.



**– თუ არ გჯეროდათ, მსგავსი რამეების, მაშინ რატომ დაგქონდათ ჩანთით ვარდის ფურცლები და რკო?**

– მართალია, არ მჯეროდა, მაგრამ ქვეცნობიერად, მაინც მწამდა ალბათ, ან, ბებიებს ხათრს არ ვუტეხდი, ვერ გეტყვით. სხვათა შორის, მართლა ბედნიერი ვიყავი, ყველა ჯანმრთელად მყავდა, ჩაცმა მე არ მაკლდა, სმა-ჭამა და გავლა-გამოვლა. სკოლა რომ დავამთავრე, იმ წელსვე უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბარე. იქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე, ჩემი თანაკურსელი იყო. გამოსაშვები გამოცდები ჩავაბარეთ თუ არა, გავიპარეთ და შევქმენით ოჯახი. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ბავშვის შეძენის შემდეგ, ჩემი მეუღლე შეიცვალა, უხეში გახდა ჩემს მიმართ. ყურადღებას არ გვაქცევდა, მე და ბავშვს. თავბედს ვიწყევლიდი, მაგრამ არ მინდოდა, ჩემი ოჯახის წევრებისთვის რაიმე მეგრძნობინებინა, გულში ვინახავდი დარდს და ერთ დღესაც ძალიან ცუდად გავხდი. დედასთან გადავედი დროებით საცხოვრებლად, რომ მემკურნალა და მაშინ მოვუყევი ყველაფერი ჩემებს. კინაღამ გადაირივნენ. ბებიაჩემი ისე განერვიულდა, წნევამ აუწია და სასწრაფო დახმარების გამოძახება მოგვიხდა. მახსოვს, ექიმი რომ წავიდა და თავი უკეთ იგრძნო, მის გვერდით ვიყავი და მითხრა: არ ინერვიულო, შვილო, ისეთ რამეს გასწავლი და დაგარიგებ, ბედნიერებას კვლავ დაიბრუნებო. დაჯდა და ამიხსნა, რომ ჩვენს შორის სიყვარული კი არა, უბრალოდ, მოხიბვლა და მოწონება იყო. ანუ, ჩვენ შევცდით, კარგად არ ვიცნობდით ერთმანეთს, როცა ოჯახი შევქმენით. გამოსავალი კი, სწორედ ბებიამ მირჩია.

**– და რა იყო ეს?**

– ახლავე მოგახსენებთ. თურმე, ამ შემთხვევაში, ყველაზე კარგია 31 აგვისტოს ჩატარებული პატარა რიტუალი. მოკლედ, სწორედ ამ დღეს დაველოდეთ და დილით ბებიამ ჩემს ოთახში გამჭვირვალე ბროლის ვაზით წყალი შემოიტანა. მასში ჩაყარა ხასხასა, წითელი ვარდის ფურცლები, შაქარი, ვაშლის ნაჭრები და კიდევ ერთი კვერცხი ჩადო. როგორც შემდეგ ამიხსნეს, ვაშლი და კვერცხი – მარადიულობის, შაქარი – ოჯახში სიამტკბილობის, ვარდის ფურცლები – სიყვარულის და ბედნიერების სიმბოლოაო. ამით სავსე ბროლის ვაზა ჩემს ოთახში ერთი კვირა, ანუ შვიდი დღე უნდა მდგარიყო. ყოველ დილით ამ წყალში უნდა ჩამეყო ხელები, თვალები დამეხუჭა და მეფიქრა საკუთარ, სასურველ მომავალზე. შემდეგ, ამომელო ხელები წყლიდან და სახეზე მომესვა. ასეც მოვიქეცი. ადრიანად ვდგებოდი და გულით მჯეროდა, რომ ყველაფერი გამოვიდოდა – გავაგრძელებდი მეუღლესთან და შვილთან ერთად წყნარად და სიყვარულით ცხოვრებას. ოჯახურ თანაცხოვრებაში ჰარმონიას მივაღწევდი. არ დამავიწყდება, ზუსტად ერთი კვირის თავზე, დილით ბებია შემოვიდა ჩემს საძინებელში და მითხრა: შვილო, ახლა ამ ვაზიდან წყალი სამი დღე დილა-საღამოს ამოიღე ჭიქით, ისე რომ, არაფერი ამოჰყვეს და სახე დაიბანეო. ესეც შევასრულე. შემდეგ ეს წყალი და კვერცხი, ბებიაჩემმა გამდინარე წყალს შეუშვირა. ვაზაში ჩაწყობილი ვარდის ფურცლები კი პატარა ტომსიკაში ჩაყარა და ჩანთაში ჩამიდო. ვაშლის ნაჭრები უზმოზე შემაჭამა. ვერ წარმოიდგენთ ამ დღის შემდეგ, როგორ შეიცვალა ჩემი ცხოვრება. ზუსტად ერთ თვეში, მოვიდა ჩემი ქმარი და პატიება მთხოვა. დღესაც კი უბედნიერესი ქალი ვარ. წარმოიდგინეთ, ამ უბრალო და მარტივმა რიტუალმა ჩემი ცხოვრება სასიკეთოდ შეცვალა და ოჯახური იდილია დღემდე შემინარჩუნა. ასე რომ, თუ მსგავსი პრობლემები გაქვთ მეუღლესთან, შეგიძლიათ, ამისთვის ბებიაჩემის წესი გამოიყენოთ.

**– თუ გოგონა გასათხოვარია, მაგრამ თაყვანისმცემლები არ ჰყავს და სიყვარულში ბედს უჩივის, ეს მარტივი რიტუალი დაეხმარება სასურველი მეორე ნახევრის პოვნაში?**

– ეს რიტუალი, მხოლოდ დანგრევის პირას მისულ ოჯახებს ეხმარება, მაგრამ თუ სასურველი მეორე ნახევრის პოვნა გსურთ, მაშინ ძალიან კარგია, გასათხოვარმა გოგონამ შემოდგომის პირველ კვირა დღეს, ცოცხის რიტუალი ჩაატაროს. ეს მის ბედზე სასიკეთო გავლენას მოახდენს. ეს დღე, ენერგეტიკულად ძალიან ძლიერია. დიდია ალბათობა, ადამიანმა სასურველი ბედი დაიბედო. გასათხოვარმა გოგონამ უნდა აიღოს ცოცხი დილის 8 საათზე, გარეცხოს გამდინარე წყალში. ამ დროს საჭმელი არ უნდა გქონდეთ ნაჭამი და ცოცხიც ახალი უნდა იყოს. მასზე ჩამოჰკიდეთ პატარა ზარი, საქორწინო ბეჭედი და წითელი კოჭის ძაფი დაახვიეთ. ღამით ეს ცოცხი თქვენი საწოლის ქვეშ დადეთ, დილით კი გამოიღეთ და სახლის გამოგვა შემოსასვლელი კარიდან დაიწყეთ. თან, გონებაში იმეორეთ, ისეთივე სპეტაკი და სუფთა იყოს ჩემი მომავალი სიყვარული, როგორიც ეს იატაკიაო. მოგვილი ნაგავი სახლის მარჯვენა კუთხეში დააგროვეთ, შემდეგ ქაღალდში გაახვიეთ და ისე გაიტანეთ გარეთ. ცოცხს მოხსენით საქორწინო ბეჭედი და ზარი, გაახვიეთ თეთრ ქაღალდში და ზემოდან ის წითელი ძაფი შემოახვიეთ, რომელიც დაგვის პროცესში ცოცხზე იყო, ეს ცოცხი საწოლის ქვეშ შეინახეთ მანამდე, სანამ სასურველი ადამიანი არ გამოჩნდება თქვენს ცხოვრებაში. ხოლო, როცა, საბედო პირველად დააპირებს თქვენთან, ბინაში მოსვლას, სახლი ისევ ამ ცოცხით გამოგავეთ. დამიჯერეთ, ეს რიტუალი ძალიან მოქმედებს და ამართლებს. ბევრ ჩემს ნაცნობ გოგონას აპოვნინა სასურველი საბედო და ბედნიერი ოჯახებიც შექმნეს. ასე რომ, ჩვენს ბედში შეგვიძლია, თავადვე შევიტანოთ ცვლილებები და ამაში სხვა ვერ დაგვეხმარება.

**ვაშლი და კვერცხი – მარადიულობის, შაქარი – ოჯახში სიამტკბილობის, ვარდის ფურცლები კი, სიყვარულისა და ბედნიერების სიმბოლოა**

**– ბევრი მიიჩნევს, რომ ცვლილებების უმრავლესობა პირად ცხოვრებაში, მტკივნეულ მოვლენებთან არის დაკავშირებული და თავს არიდებს რადიკალურ მოქმედებებს მის შესაცვლელად, თუნდაც მსგავსი მარტივი რიტუალების შესრულებით.**

– ეს თავად ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული. დაძალებით არაფერი გამოვა. არადა, როგორც გითხარით, საქმე გაცილებით მარტივადაა. მაგალითად, ინტერიერის შეცვლითაც კი შეგიძლიათ, შეცვალოთ ყველაფერი თქვენ გარშემო. თუ დამიჯერებთ, ყველა დეტალს უნდა მიაქციოთ ყურადღება და სანამ პრობლემა თავს იჩენს, მანამდე დაიწყოთ მოქმედება. მე გასწავლით ასევე, მარტივ ხერხს, როგორ შეგიძლიათ, იმ მამაკაცის ყურადღება მიიპყროთ, რომელიც მოგწონთ. მოკლედ, თუ გსურთ, სასურველი მამაკაცის ყურადღება მიიქციოთ და თავი შეაყვაროთ, ყოველდღე უნდა წაიკითხოთ ლოცვა, ანთებული წითელი სანთლის წინ. ეს უნდა მოხდეს ზუსტად დილის ექვს საათზე. თან, უნდა დააკვირდეთ სანთლის ალს. თუ სანთელი მშვიდად იწვის, კარგის მომასწავებელია, თუ ტკაცუნს იწყებს და ნაპერწკლებს ყრის, შელოცვის კითხვა უნდა შეწყვიტოთ. ხშირად მსმენია, გოგონები ათასგვარ სისაძაგლეს სჩადიან, მჩხიბავების დახმარებით და ამაზე ძალიან ვბრაზობ. ერთ რჩევას მივცემ მათ, ბრმად შეყვარებულ გოგონებს: ხელოვნურად ნუ ჩაერევით სხვის ბედში, რადგან ცხოვრებაში უბრალოდ არაფერი ხდება. ისიც საკითხავია, როდემდე გასტანს ხელოვნური ჩარევის შედეგად გამოწვეული სიყვარული.

**– გამიგია, შეყვარებულთა ცხოვრებაში თმა უდიდეს როლს თამაშობსო. ამაზე რას იტყვით?**

– დიახ, მართალია. გრძელი თმა ქალებში მეტ მგრძნობელობას ავითარებს, უფრო მიმზიდველს და სექსუალურს ხდის საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისთვის. გრძელი თმის წყალობით, შეგიძლიათ, ისე მოხიბლოთ მამაკაცი, რომ მისი სიუხეშე, აგრესია და სიხისტეც კი, შეასუსტოთ. ასე რომ, გრძელი თმა ნამდვილად დიდ როლს თამაშობს ქალისა და მამაკაცის სასიყვარულო ურთიერთობაში. ეს ფაქტია. სხვათა შორის, გრძელი თმის წყალობით, ადამიანს შეუძლია, საზოგადოებაში ადვილად დაიმკვიდროს ადგილი და ჰარმონიული ურთიერთობაც კი დაამყაროს კოლეგებსა და გარშემო მყოფებთან. ასე რომ, თუ გსურთ, სასურველი მამაკაცის გული მოიგოთ, მაშინ მოერიდეთ თმის მოკლედ შეჭრას და ეცადეთ, ამით ბედნიერება და კეთილდღეობა დაიბევოთ.

**ნონა დათეშიძე**

## გაიქეცით ერთად!

ზაფხული იდეალური დროა ძველი რომანტიკის დასაბრუნებლად. შეგიძლიათ, მეუღლე სულ სხვა თვალით დაინახოთ; ცოტა ხნით აღარ იფიქროთ ყოველდღიურ პრობლემებზე და გაექცეთ რუტინას. შვებულების დღეების ერთად გატარებას ბევრი ხიბლი და პლუსი აქვს: ერთბაშად აღმოაჩენთ, რომ ბედნიერები ხართ, რადგან გყავთ ერთმანეთი. წინასწარ შვებულების დაგეგმვა წარმატებული დასვენების მთავარი პირობაა. მთავარი იდეა ურთიერთობაში სიახლის შეტანა უნდა იყოს. „წავალ, დავისვენებ!" – ასე მარტივი არ არის. უნდა შეარჩიოთ ისეთი ადგილი, გარემო და დასვენების სტილი, რომელიც ორივესთვის მისაღები იქნება. ნუ გაიმეორებთ იმ ტიპურ შეცდომებს, რომლებსაც ასეთ დროს უშვებენ ხოლმე. გასაგებია, რომ ერთფეროვნებისა და დაღლილობისგან გაქცევა გინდათ, მაგრამ, ამ ყველაფერს ერთად უნდა გაექცეთ. უპირველესად, ნუ დაელოდებით იმას, რომ მეუღლე ამ რამდენიმე დღეში ისე შეიცვლება უკეთესობისკენ, რომ გაგაოცებთ. პარიზშიც რომ წახვიდეთ, თუ მისთვის უცხოა ვახშამი სანთლების შუქზე, ვარდის ფურცლების თანხლებით, არ გააკეთებს ამას და ნურც მოსთხოვთ. თუ ქმარს უყვარს მაღაზიებში სიარული, მაშინ, თამამად შეარჩიეთ ისეთი ადგილი დასვენებისთვის, სადაც „წაიშოპინგებთ" კიდეც. ექსკურსიები და სამოგზაურო ტურებიც ერთმანეთისთვის ანგარიშის გაწევით უნდა დაგეგმოთ. მთავარია, არ ჩავარდეთ უკიდურესობებში და ორივემ მართლაც სიამოვნება მიიღოთ დასვენებისგან.

## ნუ აქცევ კონფლიქტს პრობლემად!

ყველაზე შეყვარებულ ადამიანებს შორისაც კი წარმოიშობა ხოლმე კონფლიქტები და ეს ნორმალურია. მთავარია, ტრაგედიად და პრობლემად არ აქციოთ. კონფლიქტს, უმეტეს შემთხვევაში, გაუგებრობები იწვევს – როცა ადამიანებს რაღაც საკითხებში ერთმანეთის არ ესმით. არასდროს დაგეზაროთ, ესაუბროთ პარტნიორს.  ყველა ფსიქოლოგი დაგიდასტურებთ, რომ კონსტრუქციული, მშვიდი საუბრით ყველა პრობლემის მოგვარება შეიძლება, მით უმეტეს, როცა პარტნიორებს შორის სიყვარულია. დიახ, მამაკაცი და ქალი ხშირად ლაპარაკობს სხვადასხვა ენაზე, რადგან ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ერთ და იმავე სიტუაციაშიც, შესაბამისად, განსხვავებულად იქცევიან. ზოგჯერ მამაკაცის საქციელი არაადეკვატურადაც შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ, ამან არ უნდა გაგაღიზიანოთ. ალბათ, გაგიჭირდებათ სიმშვიდის შენარჩუნება და მაინც,  ძალიან უნდა შეეცადოთ. ურთიერთობის სადავეები ნამდვილად თქვენს ხელშია. უმთავრესია პატივისცემის გამოხატვა მეორე ნახევრის მიმართ. თუ მის საქციელში რამე ძალიან არ მოგწონთ, შეგიძლიათ, კონსტრუქციულად აუხსნათ. მისი დამცირება, დაცივნა და, მით უმეტეს – გალანძღვა, ძალიან დიდი ნეგატივია, რომელსაც უნდა მოერიდოთ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთმანეთის პატივისცემას არ დაკარგავთ, სიყვარულს შეინარჩუნებთ. კიდევ, უნდა ისწავლოთ ერთმანეთით აღფრთოვანება თუნდაც უმნიშვნელო წვრილმანების გამო... და, გახსოვდეთ: უნაკლო არავინ არის და შეცდომებსაც ყველა უშვებს. კონფლიქტი სერიოზულ სახეს მაშინ მიიღებს, როცა მის გადაკეთებას შეეცდებით, თანაც, უხეში ფორმებით...

## კომუნიკაციის თავისებურებები

ქალებს გვაოცებს და ვერ ვიგებთ, რატომ არ უყვართ მამაკაცებს ჩვენთან გულითადი საუბარი, რატომ გვიზიარებენ თავიანთ აზრებსა და გეგმებს იშვიათად. ზოგს მაინც, სიტყვები ძალით უნდა „ამოაძრო" პირიდან. ემოციებსაც რომ თითქმის არ გამოხატავენ, ესეც ხომ ფაქტია. მაგრამ, ნუ იფიქრებთ,  რომ თქვენი მეორე ნახევარი პატივს არ გცემთ ან არ უყვარხართ; უბრალოდ, მამაკაცები იმის აუცილებლობას ვერ ხედავენ, რაც ქალებისთვის მნიშვნელოვანია. თუ მამაკაცი მაინც „იხსნება" და იწყებს საუბარს პრობლემაზე, რომელიც მას აინტერესებს, უნდა იცოდეთ, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენგან ელოდება ამ პრობლემის გადაჭრის გზებსა და თანადგომას. მამაკაცებს უყვართ კონკრეტიკა და ამასთან შეგუება მოგიწევთ, თუმცა, ნამდვილად გამაღიზიანებელია. ნებისმიერი პრობლემის მიმართ კაცებს საკუთარი, ორიგინალური და განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. ისინი მათ განიხილავენ, როგორც უსიამოვნებას, რომელიც კი უნდა მოგვარდეს, მაგრამ, არ ჩქარობენ. ასეთ დროს ქალის ამოცანაა, მხოლოდ გაამხნევოს, არ შეეკამათოს და არ გაკიცხოს უმოქმედობისთვის. უბრალოდ, მოისმინეთ და თავი დაუქნიეთ. არ გაბრაზდეთ, თუკი ხვდებით, რომ მას თქვენი აზრი საერთოდ არ აინტერესებს. აქტიურ ჩარევას არ გირჩევთ, თუ ის თავად არ გთხოვთ ამას და მაშინაც შეეცადეთ, არ მოახვიოთ თქვენი აზრი, თორემ, არ გაუჭირდება, თუკი შედეგი სასურველი არ იქნება, ყველაფერი თქვენ  დაგაბრალოთ...

## ის, რაც გვჭირდება...

ის ნელა გიახლოვდებათ, მხრებზე ხელს გხვევთ და ნაზად გკოცნით... სიტყვებს მნიშვნელობა უკვე აღარც აქვს, ისედაც გასაგებია, რასაც გეტყვით: „მიყვარხარ, ჩემო კარგო... ჩემო გოგონა"... რომც არაფერი თქვას, მთავარი მისი საქციელი და მზერაა – ასეთ დროს შეუძლებელია, მაქსიმალურად არ გამოავლინოთ ქალური სისუსტე – არ მიეყრდნოთ მას მხარზე და ჯარისკაცივით წელგამართული დარჩეთ, თითქოსდა საბრძოლველად განწყობილი... ყველა ქალს სჭირდება გვერდით მამაკაცური ძალის შეგრძნება და ის მას ბუნებრივად მიიღებს, მაგრამ, აქვთ კი მამაკაცებს უნარი, იყვნენ მცველები და დასაყრდნობები ქალური სისუსტისა?! ვიყოთ გულახდილები და ვაღიაროთ, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც გვიოცნებია სიტუაციაზე, როცა შეგვიძლია, ვიყოთ ძალიან სუსტები და ბოლომდე მივენდოთ მამაკაცის ძლიერ მხარს. რაც დრო გადის, სულ უფრო რთულდება ამ თითქმის ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, სულ უფრო ძნელდება საერთო ენის გამონახვა ერთ დროს ძალიან საყვარელ ადამიანთან. კიდევ უფრო ძნელია, გამოიჩინო სისუსტე, რადგან, იცი, რომ ამ სისუსტეს ვერ გაიგებენ, ან, თუ გაიგებენ, უპასუხოდ დარჩება. მამაკაცებიც ხშირად ვერ ბედავენ აქტიურობას – ისინი ჩრდილში დგებიან და ელოდებიან, როდის დავუძახებთ. საერთო ენის გამონახვა და კომუნიკაცია – აი, ეს არის ის, რაც დღეს ჭეშმარიტად გვჭირდება...

## შთააგონე და მიიღე!..

ძლიერი სქესის ნებისმიერ წარმომადგენელს აქვს ქვეცნობიერში სურვილი, ჩაიდინოს საგმირო (ან რაიმე განსაკუთრებული) საქმე იმ ერთადერთი არსებისათვის, რომელიც უყვარს და ამას მეტწილად საკუთარი პრესტიჟის ასამაღლებლად გააკეთებს, რომ დაუმტკიცოს ქალს, როგორი ძლიერი, ყოვლისშემძლე და საიმედოა. მაგრამ, ქალბატონების უმრავლესობა უკვე შეეჩვია თავისი პრობლემების საკუთარი ძალებით მოგვარებას და, ამიტომ, იშვიათად აუწუწუნდება კაცს და სთხოვს დახმარებას. მამაკაცებს კი თხოვნის გარეშე არ უყვართ თავის გამოჩენა – მათ შთაგონება სჭირდებათ... ქალმა აუცილებლად უნდა დაუტოვოს კაცს მოტივაცია და შანსი, რომ იმოქმედოს პარტნიორის სასიკეთოდ. თუმცა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ ადვილად, მით უფრო, თუ დამოუკიდებელი ბრძანდებით. აუცილებლად გაგიჭირდებათ ლოდინი – როდის გამოიჩენს თქვენი რჩეული კეთილ ნებასა და ინიციატივას, საკუთარ მხრებზე იტვირთოს თქვენი პრობლემები; გამოიჩინოს მზრუნველობა, ყურადღება, სითბო. კაცი უნდა გიყვარდეს ისეთი, როგორიც ის არის, თუმცა, თავად სრულყოფილებას ითხოვს თქვენგან. ისინი ასეთები არიან – საკუთარ თვალში დირეს ვერ ხედავენ... მაგრამ, ამას ყურადღება არ მიაქციოთ, ისე შეეცადეთ მის შთაგონებას – შეიძლება, მიიღოთ ის, რაც გსურთ!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# კეფირი – პლუსები და მინუსები

კეფირი განსაკუთრებული პროდუქტია და, თვით დიეტოლოგთა უმრავლესობის აზრით, რძემჟავა პროდუქტებს შორის ყველაზე სასარგებლო, მაგრამ, საკმაოდ ჭირვეულიც, რადგან მისი „შეწყვილება“ დიეტის დროს არცთუ ბევრ სხვა პროდუქტთან შეიძლება.

კეფირი შესანიშნავად წმენდს ღვიძლს, თირკმელებს, კუჭ-ნაწლავს; გამოაქვს ორგანიზმიდან წიდები და ტოქსინები, ხელს უშლის მავნე ბაქტერიების გავრცელებას და, მსუბუქი შარდმდენი ეფექტის წყალობით, გამოდევნის ნატრიუმის მარილებს.



ბევრი დიეტოლოგი მიიჩნევს, რომ კეფირის დიეტა (ოღონდ, უშაქროდ) ერთ-ერთი ყველაზე გამართლებული და სწორი დიეტაა როგორც გახდომის, ისე ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და გაძლიერების თვალსაზრისით, მაგრამ, კეფირმა ზიანი რომ არ მიაყენოს თქვენს ორგანიზმს, უნდა გაითვალისწინოთ ამ პროდუქტის რამდენიმე თავისებურება.

პირველ ყოვლისა, უნდა იცოდეთ, რომ კეფირის დიეტა ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ დიეტად ითვლება და მისი დაცვა ეკრძალებათ მათ, ვისაც აწუხებს გასტრიტი, დიაბეტი, ღვიძლისა და თირკმელების დაავადებები; ასევე, ეკრძალებათ ორსულებსა და მეძუძურ დედებს.

გარდა ამისა, მხოლოდ კეფირით კვებისას, მასში შემავალი უამრავი ვიტამინისა და მიკროელემენტის მიუხედავად, თქვენ ვერ უზრუნველყოფთ ორგანიზმს დაბალანსებული კვებით; ასევე, ვერ მიიღებთ რთულ ნახშირწყლებს, საკმარისი რაოდენობის ცილებსა და ცხიმებს. ამიტომ, კეფირის მონოდიეტა (როცა მხოლოდ და მხოლოდ კეფირს მიირთმევთ) შეიძლება გაგრძელდეს მაქსიმუმ სამი დღე, შემდეგ კი აუცილებელია სხვა პროდუქტების დამატებაც.

კეფირის დღიური ნორმაა 1-დან 2 ლიტრამდე, მაგრამ, აუცილებელია საათობრივი რეჟიმის დაცვა. ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა: ამ დიეტის დაცვის დროს უნდა გამოიყენოთ 1-1,5 პროცენტი ცხიმიანობის მქონე კეფირი, რომელსაც ძალიან ხანმოკლე შენახვის ვადა უნდა ჰქონდეს.

ამ დიეტის პარალელურად, კარგი იქნება, თუ ყოველ საღამოს, დაძინებამდე 2-3 საათით ადრე, გაიკეთებთ კეფირის ნიღბებს სახეზე, ყელზე, დეკოლტეზე და მთელ სხეულზეც კი: 1 ჩაის ჭიქა კეფირი, 1 ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი, 10-10 წვეთი A, D და E ვიტამინები (ზეთოვანი), 2 ჩაის კოვზი გვირილის ნაყენი, 1 კვერცხის გული (უმი), 3 ჩაის კოვზი მჭადის ფქვილი ან დაფქული „ჰერკულესი“ კარგად აურიეთ ერთმანეთში, წაისვით სახეზე, ყელზე, დეკოლტეზე (ან მთელ სხეულზე) და გაიჩერეთ 20-25 წუთი. შემდეგ ჩამოიბანეთ ნელთბილი წყლით და შემშრალებისთანავე გადაისვით მკვებავი კრემი.

**გთავაზობთ კეფირის დიეტას:**

დიეტის დროს მხოლოდ კეფირის ჭამა საკმაოდ მოსაწყენი ხდება. ამის გამო, შეიძლება, შეწყვიტოთ დიეტა და ყველაფერი წყალში ჩაგეყაროთ. ეს რომ არ მოხდეს, კეფირის შვიდდღიანი დიეტა შემდეგნაირად „გაახალისეთ“:

**პირველი და მეორე დღე:** 5 ჭიქა უცხიმო კეფირი მიირთვით 2,5-3-საათიანი შუალედებით – დილის 9 საათიდან 19 საათამდე. შუალედებში – მხოლოდ ჩვეულებრივი სასმელი წყალი, გვირილის ან მწვანე ჩაი (უშაქროდ), დღის განმავლობაში 2-2,5 ლიტრი.

**მესამე დღე:** 1 ლიტრი კეფირი და 4-5 ცალი კივი. გნებავთ, კივი ცალკე მიირთვით და კეფირი დააყოლეთ; გნებავთ, კეფირში ჩაყარეთ გათლილი და დაჭრილი კივი, დააბლენდერეთ და ისე დალიეთ.

ცნობისთვის, კივი ძალიან დაბალკალორიული ხილია და, გარდა იმისა, რომ C ვიტამინისა და იოდის ნამდვილი საბადოა, იწვევს ხანგრძლივი დანაყრების შეგრძნებას. სითხე – იგივე.

**მეოთხე დღე:** კეფირი და ბანანი. კეფირი – 1-1,5 ლიტრი, ბანანის დღიური ნორმა კი დამოკიდებულია თქვენს წონაზე – ყოველ 30 კილოგრამზე 1 ცალი საშუალო ზომის ბანანი.

ბანანის რაციონში ჩართვას დიეტოლოგები ურჩევენ მათ, ვინც კეფირის დიეტის დროს ძლიერ შიმშილს განიცდის. სითხე – იგივე.

**მეხუთე დღე:** წიწიბურა და კეფირი (1 ლიტრი კეფირი და 5 სადილის კოვზი წიწიბურა). წიწიბურა კარგად გარეცხეთ და მთელი ღამით ჩაალბეთ მდუღარე წყალში. დილით დარჩენილი წყალი გადაწურეთ და უკვე დამბალი და გაფუებული წიწიბურა კეფირში შეურიეთ. გადაანაწილეთ 5-6 თანაბარ ულუფად. სითხე – იგივე.

**მეექვსე დღე:** 1,5 ლიტრი კეფირი და განუსაზღვრელი რაოდენობით კენკრა და ხილი (თქვენი სურვილით შეარჩიეთ). გნებავთ, ცალ-ცალკე მიირთვით, გნებავთ, დააბლენდერეთ. სითხე – იგივე.

**მეშვიდე დღე:** 0,5 კილოგრამი ხაჭო და 1-1,5 ლიტრი კეფირი გადაანაწილეთ 5-5 თანაბარ ულუფად, შეურიეთ ერთმანეთს და ისე მიირთვით. ხაჭოს დამატება განსაკუთრებით აუცილებელია მათთვის, ვინც დიდ ფიზიკურ ან გონებრივ ენერგიას ხარჯავს და ვინც ცილების ნაკლებობას განიცდის. სითხე – იგივე.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ამას წინათ რუსეთის რომელიღაც არხზე იყო თმის ნიღბის რეკლამა და დიქტორი ერთი საათი ამტკიცებდა, რომ ეს ნიღაბი წარმოქმნის თმის ახალ ბოლქვებს, რის შედეგადაც იზრდება თმის სიხშირე და ხარისხი. შეესაბამება თუ არა ეს ინფორმაცია სიმართლეს?**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, ეს არის სიცრუე. თმის ახალი ბოლქვების წარმოქმნა შესაძლებელია მხოლოდ თმის გადანერგვის შედეგად. თმის სიხშირე განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ თმის ფოლიკულების რაოდენობით, რაც გენეტიკაზეა დამოკიდებული.

**კითხვა: ვარ 33 წლის. თითქმის ორი წელია, რაც გამომეკვეთა ვენები ხელებზე – მტევნებზეც და მაჯების ზემოთაც (იდაყვამდე). მძიმე ფიზიკური სამუშაო არ მაქვს, არც ჯანმრთელობის მხრივ მაწუხებს რამე. ექიმთან მისვლას ვერა და ვერ ვახერხებ. რისი ბრალი უნდა იყოს ეს და როგორ მოვიქცე? ნუთუ ეს სიბერის ნიშანია?**

**პასუხი:** ეს სიბერის ნიშანი არ არის. ხშირ შემთხვევაში, ხელებზე ვენების მკვეთრად დამჩნევა დამოკიდებულია მათ ანატომიურ განლაგებაზე: ზოგს ვენები სიღრმეში აქვს განლაგებული, ზოგს – ზედაპირზე, კანთან ახლოს. თუ თქვენ ვინმე გირჩევთ, რომ ხელებზე ვენების გასაქრობად უნდა გამოიყენოთ ესა თუ ის კრემი, აბაზანები ან ხალხური რეცეპტების დამზადებული საშუალებები, იცოდეთ, რომ არც ერთი მათგანი შედეგს არ მოგცემთ. ერთადერთი მეთოდია სკლეროთერაპია, რომლის მეშვეობითაც ხდება სისხლძარღვების კედლების „შეწებება“, რის შედეგადაც ვენა გამოდის სისხლის მიმოქცევის სისტემიდან და თანდათანობით ქრება.

**კითხვა: სხვადასხვა დიეტის რაციონში აქტიურად არის შეტანილი ფორთოხალი და ანანასი. მაინტერესებს, ნებისმიერი რაოდენობით შეიძლება თუ არა ამ ხილის მიღება (მაგალითად, მაშინაც, როცა კონკრეტულ დიეტას არ ვიცავ), ანუ, ხომ არ აქვს რომელიმე მათგანს რაიმე უკუჩვენება?**

**პასუხი:** საერთოდ, გადაჭარბებული რაოდენობით არც ერთი პროდუქტის (თვით ყველაზე სასარგებლოსიც კი) ჭამა არ შეიძლება. რაც შეეხება ფორთოხალს, ფორთოხლის



წვენი 84 პროცენტით ამცირებს კბილის მინანქრის სიმტკიცეს და ზრდის კარიესის წარმოქმნის რისკს. კბილებისთვის ზიანი მოაქვს, ასევე, ანანასს, ჟოლოსა და იმ ხილის წვენებს, რომლებშიც მაღალია მჟავიანობის შემცველობა. ამიტომ, მათი წვენი უნდა გააზავოთ წყალში და დაატკბოთ 1 კოვზი თაფლით.

მოამზადა
თამრიკო ზამთარაძე

# ინტიმური საუბრები

**ბაბუას არავის დავაჩაგვრინებ**

ჩემი მშობლები ძალიან რომ მიყვარს, ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ, რაც ამერიკიდან ჩამოვედი, გაოცებული ვარ მათი საქციელით. სანამ ამერიკაში წავიდოდი, ჩვენ და ბაბუა ერთად ვცხოვრობდით. ერთი წლის მერე რომ დავბრუნდი, ჩემი მშობლები ბაბუასეულ ბინაში დამხვდნენ. ბაბუასთვის კი ცალკე ბინა უქირავებიათ და იქ გადაუყვანიათ. მიუხედავად იმისა, რომ ბაბუა ჯერ კიდევ მხნედ არის და არც ძალიან მოხუცია (74 წლისაა), მაინც აწუხებს რაღაც-რაღაცები და მისი მარტოდ დატოვება არ შეიძლება. მართალია, დედა და მამა კვირაში ორჯერ აკითხავენ და საჭმელიც მიაქვთ, მაგრამ, დანარჩენი დღეები სულ მარტოა და ძალიან დარდობს, რომ შვილები ასე მოექცნენ. შვილები-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მამას ჰყავს ძმა, რომელიც თვეში ერთხელ ტელეფონით თუ მოიკითხავს მოხუც მამას და სულ ეს არის. ბებია ცოცხალი რომ ყოფილიყო, შვილები ამდენს ვერ გაბედავდნენ, რადგან ის ძალიან მაგარი ქალი იყო – ორივეს მოსვამდა თავის ადგილზე. ბაბუა კი ძალიან რბილი ხასიათის, დამთმობი კაცია და ამიტომ დაემართა ასე.

სინამდვილეში რა მოხდა, მე არ მეუბნებიან, მაგრამ, ყური მოვკარი, მამაჩემს და ბიძაჩემს ბინისა და რაღაც ნივთების (თუ ფულის) გამო მოსვლიათ ერთმანეთთანაც და მამასთანაც, უსიამოვნება. ამიტომაც აღმოჩნდა ბაბუა ნაქირავებ ბინაში (როგორც გავიგე, თვითონ მოუთხოვია ასე). მე სამივეს ვამტყუნებ – მამასაც, ბიძასაც და დედაჩემსაც და ჩემი მშობლების შეცდომა ცოტათი მაინც რომ გამომესწორებინა და ორივე გამომეფხიზლებინა (თვითონაც ხომ უნდა დაბერდნენ?!), ჩავილაგე ჩემი ნივთები და ბაბუასთან გადავედი საცხოვრებლად. პატარა ბიჭი აღარ ვარ, უკვე 16 წლის გავხდი და მეც მაქვს ჩემი მოსაზრებები, პოზიციები. ვგიჟდები ბაბუაჩემზე და არავის მივცემ უფლებას, გული ატკინოს.



**ბაჩო, 16 წლის.**

**ჩემი დის დედამთილი ყველაფერს მე მაბრალებს**

ჩემი და სიყვარულით გათხოვდა, მაგრამ დედამთილმა ძალიან ცუდად მიიღო – თავისი შვილის შესაფერისად არ ჩათვალა თავიდანვე და დღესაც ასეა, აგერ უკვე ცხრა წელია. ოთოს, ჩემს სიძესაც ახლაც ისევე უყვარს თავისი ცოლი, როგორც თავიდან, არაჩვეულებრივი ქმარი და მამაა. სხვათა შორის, დედასაც თან ჰყვება, თუმცა, ვერა და ვერ მოერია მის აგრესიებს ეთუნას (ჩემი დის) მიმართ. რამდენჯერ ცალკე დაელაპარაკა, აუხსნა, ეჩხუბა კიდეც ამის გამო, მაგრამ, ვერაფერს გახდა. რომ ამოიჩემა იმ ქალმა ჩემი და თავიდანვე – მორჩა. საწყალი ჩემი და სულ თვალებში უყურებს ლალის (დედამთილს), მის უკითხავად არაფერს აკეთებს, ის კი მაინც ყველაფრით უკმაყოფილოა. სულ იმას ცდილობს, რამე საწყენი უთხრას, რომ წყობიდან გამოიყვანოს; რამე წამოაცდენინოს, რომ მერე შვილს მიუტანოს ენა, შენმა ცოლმა ეს მაკადრაო და ამაზე სკანდალი ააგოს. კიდევ კარგი, ოთომ ორივეს ხასიათი იცის და არ ჰყვება დედამისის ენას, მაგრამ ეთუნას ნერვები აღარ უვარგა – რაც გათხოვდა, სულ დაძაბულ რეჟიმში ცხოვრობს. ჯერ სრულიად ახალგაზრდა გოგოს ხან გული აწუხებს და ხან წნევა. იმის თქმასაც ვერ უბედავს ქმარს, რომ ცალკე გადავიდნენ. მაგრამ, ეს ყველაფერი „ჟურნალი" აღმოჩნდა იმასთან შედარებით, რასაც ამას წინათ, პირადად მე შევესწარი. ეთოსთან ვიყავი და ისე მოხდა, საღამომდე იქ შემოვრჩი, რაც, როგორც ჩანს, მის დედამთილს არ ესიამოვნა – პრაქტიკულად, მთელი დღე „გაუცდა". ჩემი თანდასწრებით ველარ გაბედა რძლის დაშხამვა, არადა, მოაწვა ეს შხამი და, ხომ უნდა გადმოეფრქვია. ჯერ დაიწყო იმით, რომ ჩემკენ მოუშვა „ნამიოკები": როგორ ჰგავხართ ერთმანეთს დები გარეგნობითაც და ხასიათითაც. ნეტავი, საქმეშიც ერთნაირები თუ ხართო. ეს რომ მითხრა, სიტყვა „საქმეში" იმდენი გესლი ჩააქსოვა და სახეზეც ისეთი ირონია გამოხატა, მაშინვე ავფეთქდი – რას ერჩით ჩემს დას, რა დაგიშავათ, ასე რომ ვერ იტანთ; რით ვერ შეეგუეთ ამდენი წელი ან რით არის თქვენს შვილზე ნაკლები, ის მაინც გაგვაგებინეთ-მეთქი. როგორც ჩანს, ჩემგან შეპასუხებას არ მოელოდა, რადგან, სხვა დროსაც უსვრია შხამიანი ისრები, მაგრამ პასუხი არ გამიცია. ახლა კი სულ პატარა წინააღმდეგობას რომ გადააწყდა, ცოტა არ იყოს, შეცბა. მაგრამ, უცბად მოეგო გონს, მივარდა ჩემს უმცროს დისშვილს, რომელიც 5 წლისაა, დაავლო ხელი, ასე პროწიალ-პროწიალით გაიყვანა ოთახიდან და თან დამოძღვრა: წამო, ბებო, ამათ საზოგადოებაში უზრდელობის მეტს არაფერს ისწავლი და რაც ნაკლებ დროს გაატარებ დედაშენთან და დეიდაშენთან, შენთვის იქნება უკეთესიო. ბავშვი არ მიჰყვებოდა და ტირილი დაიწყო – ხელი გამიშვი, დედასთან მინდაო. ამ თავხედმა ქალმა კი მაინც გაიყვანა ბავშვი და უთხრა: რა გინდა დედაშენთან, არ გირჩევნია, ჩემთან იყო? თუ იმათთან არ გახვალ, სათამაშოებს გიყიდიო. ეთუნამ ტირილი დაიწყო და გამომიტყდა, უკვე დიდი ხანია, ცდილობს, ბავშვებს ჩემი თავი შეაძულოს და მათი თანდასწრებით სულ დამცინის, მამცირებსო. ამაზე სულ გადავირიე – მერე შენი შვილები რას ეუბნებიან-მეთქი. უფროსი უკვე რვა წლისაა, ხვდება რაღაცეებს და პროტესტსაც გამოხატავს – მიცავს ბებიამისისგან, უკრძალავს ჩემზე ცუდის თქმას. ამიტომ, იმასაც ერჩის – დედაშენივით უზრდელი, თავხედი და უსაქმური ხარო, ეუბნება. მაგრამ ბევრს მაინც ველარ ბედავს მისი თანდასწრებით. ახლა უმცროსის „დამუშავებაზეა" გადასული. ის ჯერ პატარაა და ხან სათამაშოებით ცდილობს, მოქრთამოს, ხან ტკბილეულით და ზოგჯერ გამოსდის კიდეცო.

ოთომ თუ იცის ეს ყველაფერი-მეთქი. ეთუნამ ტირილით მითხრა, რომ ჩემმა ქმარმა მხოლოდ ის იცის, რასაც თვითონ შესწრებია. დანარჩენს კი არ ვეუბნები და არც ის იცის, ბავშვებს რომ აძულებს ჩემს თავს – არ მინდა, ზედმეტად ავუშალო ნერვები, ისედაც ძალიან დაღლილი და დაძაბული სამსახური აქვს და სახლში სანერვიულოს ხომ არ დავახვედრებო.

ის იყო, ვუთხარი, ჯობია, ერთხელ ინერვიულოს და წერტილი დაისვას შენს მარადიულ ტანჯვას და ბავშვების სულის მოწამვლას-მეთქი, რომ უცებ ოთახში ოთო შემოვიდა. როგორც ჩანს, გაიგონა ჩვენი საუბარი, თან, ცოლის ნამტირალევი თვალები რომ დაინახა, ყველაფერს მიხვდა და ეთუნას უთხრა: ამ საღამოსთვის ჩაალაგე ჩვენი ნივთები, ხვალიდან ცალკე გადავალთ საცხოვრებლად, მხოლოდ ასე თუ ვასწავლი ჭკუას დედაჩემსო. მე მაშინვე მივხვდი, ოთოს იმან გადააწყვეტინა ამ ნაბიჯის გადადგმა, დედამისმა თავის აგრესიებში ბავშვების ჩართვაც რომ მოინდომა.

ეთუნა და ოთო მართლაც გადავიდნენ შვილებიანად ცალკე და ქალბატონი ლალი გაოგნებული დატოვეს. შვილმა მხოლოდ ის უთხრა, სანამ გონს არ მოხვალ, მანამდე თვალით ვერ ნახავ შვილიშვილებსო.

უკვე რამდენიმე თვეა, ჩემი და ბედნიერია. ოთო კვირაში ერთხელ აკითხავს დედამისს, ფულს უტოვებს, პროდუქტები მიაქვს და ათ წუთზე მეტხანს არ რჩება მასთან – უნდა, რომ ამით ჭკუა ასწავლოს.

ახლახან გავიგე, რომ თურმე ლალი მე მაბრალებს ყველაფერს. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მიხარია კიდეც – ბოლოს და ბოლოს, გაიგო, რომ ჩემი და უპატრონო არ არის.

**ნატუკა, 31 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

(მე-14 გვერდიდან)

## როდის თანხმდება ავთანდილ ცქვიტინიძეს ცოლი „საველე პირობებზე" და რას შეეწირა მისი საზაფხულო არდადეგები

ვგეგმავთ ათდღიან დასვენებას იტალიის საკურორტო ზონაში. როგორც ყოველთვის, ჩემი უცვლელი პარტნიორები იქნებიან ხათუნა და ანასტასია. ჩემი სტიქიაა ზღვა, თუმცა მთასა და ტყეზეც ვგიჟდები. პასიური დამსვენებელი ვარ, ზღვაზე ან ჩილიმს ვეწევი, ან ზღვას ვუყურებ. მიყვარს კარგი რესტორნებიც და ცოტა ექსტრემიც – შემიძლია დავჯდე სკუტერზე და ბოლო სიჩქარით გავიდე უსასრულობაში. ამით დიდ ადრენალინს ვიღებ. როცა მაქვს საშუალება, ამას ხშირად ვაკეთებ. ზოგადად, არ ვარ ესქტრემალური ადამიანი, მანქანაზეც კი ვერ ვჯდები. დამოუკიდებლად მანქანით სიარული დღემდე მეშინია. მირჩევნია, მძღოლის როლი ოჯახის წევრებმა შეითავსონ.

**– იტალიის საკურორტო ზონაში შესაძლოა, პოტენციურ კლიენტებსაც წააწყდეთ?**

– არა, არა, როდესაც ვისვენებ, ვისვენებ ბოლომდე და ამ საქმით არ ვარ დაკავებული. არც მაინტერესებს, ვის რა აცვია, შეიძლება, გამეპაროს თვალი და ჩემთვის ჩამეღიმოს, თუ ჩემს წინ მოკელუცე ევროპელი არაადეკვატურად არის ჩაცმული. თუმცა, ყოველთვის ვცდილობ, მათთვის ბოლომდე შეუმჩნეველი დავრჩე.

**თამუნა ნიჟარაძე**

**მეცნიერული გაშიფვრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მუსიკალური ტექსტი ხშირად მაგიურ სიტყვებსა და მელოდიას შეიცავს, რომელიც ქვეცნობიერად მოქმედებს ჩვენს ფსიქიკაზე. მუსიკაში ჩადებულმა ძალამ, შესაძლოა, ადამიანის ზომბირებაც კი გამოიწვიოს – მუსიკალური ომი არანაკლებ საშიშია რადიაციულ და ქიმიურ ომებზე. როგორც მეცნიერი, უნივერსიტეტის ბიოორგანული კათედრის გამგე, პროფესორი, ბატონი რამაზ გახოკიძე ამბობს, მუსიკის მეშვეობით, შეიძლება, ისეთი სიბრძნეც გამოიხატოს, რომელიც ვერც ქიმიით, ფიზიკით და მხატვრობით გადმოიცემა. მისივე თქმით, ქართველებმა ერთ-ერთმა პირველებმა შექმნეს სამკურნალო მუსიკა. ბატონი რამაზი, ქიმიური კვლევის და უამრავი გამოგონების პარალელურად, კომპოზიტორიც გახლავთ. ის სამოცზე მეტი მუსიკალური ნაწარმოების ავტორია.**

# რისთვის შექმნეს ქართველებმა პირველად სამკურნალო მელოდია და რა ძალა გააჩნია მუსიკალურ ბგერებს მცენარეების ნაყოფიერებისთვის

**რამაზ გახოკიძე**: გენიალურმა აინშტაინმა თქვა: „მეცნიერულ აზროვნებაში მუდამ არის პოეზიის ელემენტი, ხოლო ნამდვილი მეცნიერება და მუსიკა აზროვნების ერთგვაროვან პროცესს მოითხოვს". მე მუსიკოსი ვარ მაშინაც, როცა ლაბორატორიაში, ქიმიურ კოლბებში მოქცეულ ნახშირწყლებს ჩავკირკიტებ და როცა სახლში, მშვიდ გარემოში, ფორტეპიანოსთან ახალ მელოდიას ვქმნი. ადამიანი, ყველაფერს ხელოვანის თვალით უნდა უყურებდეს. თუ სულით ხელოვანი არ ხარ, ცხოვრება გაგიჭირდება და მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნი. ჩემს გონებაში ურთულესი მოლეკულები, ფორმულები და მუსიკალური ბგერები, ყოველთვის ერთმანეთს ენაცვლება.

**– ესე იგი, მუსიკიდან იღებთ იმ იმპულსებს, რაც კვლევის დროს, ახალ მიღწევებში გეხმარებათ?**

– დიახ, სწორედ მუსიკიდან ვიღებ იმ იმპულსებს, რაც ასე მეხმარება უფაქიზესი, ორგანული ნაერთების „ლამაზი" რეაქციების კვლევისას. ბევრი ადამიანისთვის კი, ის იყო გასაკვირი, მუსიკალური ჟღერადობა რომ მივანიჭე უფაქიზეს, ორგანულ ნაერთს – ცილას და ასე შევქმენი „სიცოცხლის ფუგა". უფრო რომ დავაკონკრეტო, ერთ-ერთი ცილის ფრაგმენტის თითოეულ ამინომჟავას მივუსადაგე შესაბამისი ბგერა და მოხდა საოცრება – მივიღე ფუგა. აღმოჩნდა, რომ ყოველ ცოცხალ ორგანიზმს თავისი შესაბამისი – მხოლოდ საკუთარი, განუმეორებელი მელოდია აქვს, რომელიც თავად მასშია ჩადებული. თუმცა, შესაძლოა, უმცირესმა ცვლილებებმაც კი, ამ მელოდიის დისონანსი გამოიწვიოს. სიცოცხლის მატერიალური საფუძველი ცილაა. ყოველი ცოცხალი ორგანიზმის ცილა სპეციფიკურია და ერთმანეთისგან განსხვავდება, რაც მათ სახესხვაობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებას განაპირობებს. თუმცა, ცილა ცოცხალი არსების მხოლოდ სამშენებლო მასალა როდია, სტრუქტურული მრავალფეროვნების გამო, ის ბევრ სასიცოცხლო ფუნქციასაც ასრულებს. მათ მიეკუთვნება ბევრი ჰორმონი და ფერმენტი, რომლებიც აჩქარებენ ნივთიერებათა ცვლის პროცესებს ორგანიზმში. ცილებია ტოქსინებიც – ნივთიერებები, რომლებიც ორგანიზმს წამლავს. მაგალითად, ულამაზესი პეპლის სხეულში შემავალი ცილა ერთი და იგივე ამინომჟავებისგანაა აწყობილი. განსხვავება ამინომჟავური ვარიაციების თანმიმდევრობაშია. ცილის შემადგენელი რომელიმე ამინომჟავის ადგილის მონაცვლეობა ან სხვა ამინომჟავით შეცვლა, იწვევს ცილის ფუნქციის ცვლილებას და შესაბამისად, ორგანიზმის მძიმე დაავადებებს. ცილების ქიმიურ ფორმულას, ხშირად ტექსტში ასოების ან სიტყვების თანმიმდევრობას ადარებენ. მაგრამ, ეს არ არის პირდაპირი ანალოგია, რადგან სიტყვის ჟღერადობას პირობითი ხასიათი აქვს. ცილების სპეციფიკურობა, უფრო შეიძლება მუსიკას შევადაროთ, რაც მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ბგერათა შეხამებით მიიღება და უსაზღვროთ მრავალფეროვანია. ბუნებაში ბევრი ბგერაა, მაგრამ ყველა როდი ქმნის მუსიკას. ასევე, ბუნებაში არსებული ყველა ამინომჟავა, როდი გამოდგება ცილის „საშენ მასალად". განსაზღვრული სისტემით ხდება როგორც ამინომჟავათა, ისე მუსიკალურ ბგერათა გადარჩევა და ჩამოყალიბება. მელოდია არ არის ბგერების შემთხვევითი თანახმიანობა. ასევეა, ცილაც. ის ამინომჟავათა შემთხვევითი ნაკრები როდია. მუსიკალური ნაწარმოები, ცილის მსგავსად, აგებულია მისი შემადგენელი ნაწილების განსაზღვრული თანაფარდობით, ანუ აქვს განსაზღვრული ფორმა. მუსიკალური ფორმის შემადგენელი ელემენტები წარმოქმნიან მელოდიას – მუსიკის საფუძველს. ამ ანალოგის საფუძველზე, როგორც უკვე მოგახსენეთ, ცილის მოლეკულის ჯაჭვში შემავალ თითოეულ ამინომჟავას განსაზღვრული მუსიკალური ბგერა შევუსაბამე და ერთ-ერთი ჰორმონის პირველადი სტრუქტურის შესატყვისი მელოდიის ჰარმონიზაციით, მივიღე მუსიკალური ნაწარმოები ფუგის სტილში.



ქართველებმა ერთ-ერთმა პირველებმა შექმნეს სამკურნალო მუსიკა

## ულამაზესი პეპლის სხეულში შემავალი ცილა ერთი და იგივე ამინომჟავებისგანაა აწყობილი

**– ცნობილია, რომ მუსიკა ყველა ბიოლოგიურ ობიექტზე ზემოქმედებს და მას უდიდესი ძალა აქვს. მაგალითად, მცენარეები, წყალი, მწერები – სხვადასხვა მელოდიაზე სხვადასხვა რეაქციით რეგირებენ. ამაზე რას იტყვით?**

– ახლა უკვე გასაკვირი არ არის ეს ფაქტი, რადგან, უამრავი მსგავსი კვლევა ჩატარდა და ფაქტია, მუსიკა ყველა ბიოლოგიურ ობიექტზე ზემოქმედებს. მაგალითად, შეიქმნა მედიცინის განსაკუთრებული დარგი – მუსიკოთერაპია, რომლის მეშვეობითაც, უამრავი ადამიანი განიკურნა სხვადასხვა დაავადებისგან. რაც შეეხება მცენარეებს, ისინი სხვადასხვაგვარად რეაგირებენ კლასიკურ ან როკ-მუსიკაზე, მაგრამ, უყვართ ბახის მუსიკა და მის მოსმენაზე მშვიდდებიან. კონკრეტულად, ამ დიდი, გენიალური გერმანელი კომპოზიტორის ღვთაებრივი მელოდიები, მცენარეთა ზრდის სტიმულაციას იწვევს.

**– ეს როგორ ხდება?**

– ბახის მუსიკის მოსმენისას, მცენარეში ძლიერდება ფოტოსინთეზი და ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობა, რამდენჯერმე იზრდება ვიტამინების შემცველობა, რის შედეგადაც, იზრდება მოსავლის რაოდენობა და ხარისხი.

**– ამბობენ, რომ პირველი სამკურნალო მუსიკა, საქართველოში შეიქმნა. ასევე, მეცნიერული კვლევის შედეგად, დადგენილია, რომ ადამიანში, კოდის სახითაა მუსიკა ჩადებული. ბევრი მეცნიერი ამტკიცებს, რომ, ეს მუსიკალური კოდი, ჩვენს, ქართვლების გენეტიკაში, გაძლიერებულია. ამის შესახებ რას გვეტყვით?**

– დიახ, ქართველებმა, ერთ-ერთმა პირველებმა შექმნეს სამკურნალო მუსიკა, რიტუალური სიმღერები ინფექციური სნეულებებით – „ბატონებით" დაავადებული ბავშვებისთვის. მასში უდიდესი, მაგიური განკურნების ძალა იყო ჩადებული და უამრავი ბავშვი განიკურნა კიდეც. ყველაფერი ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მუსიკა დაბადებისთანავეა ჩადებული ცოცხალ არსებაში და ორგანიზმის, როგორც ერთი მთელის, მოდულაციას ახდენს. საკმარისია, უმცირესი ცვლილება გენეტიკური კოდის პარტიტურაში, რომ გენი პათოგენური გახდეს. ეს თავის მხრივ, გამოიწვევს ერთი ამინომჟავას შეცვლას მეორეთი, რის გამოც ნორმალური ცილა ანუ მელოდია, ავადდება და ჩნდება დისონანსი ორგანიზმში. ჩემი აზრით, თუ მუსიკა ბიოლოგიურ სისტემათა ორგანიზაციის საერთო პრინციპია, მაშინ ის შეიძლება, ორგანიზმის მდგომარეობის ადრეული დიაგნოსტიკის ინსტრუმენტიც კი გახდეს და ეს სენსაცია არ არის. ისე კი, მეცნიერული კონცეფციის ლოგიკა მუსიკალურ ნაწარმოებთა მსგავს შეგრძნებას იწვევს. აინშტაინის აზრით, სივრცისა და დროის სტრუქტურა, რომელიც მის ფიზიკურ თეორიებში იყო წარმოდგენილი, დასაბამს მოცარტის მუსიკიდან იღებს.

**ნონა დათეშიძე**

# რატომ უშლიდა ნადეჟდა ალილუევა სტალინს ბერიასთან ახლო ურთიერთობას

სისულელეა იმის ხელაღებით მტკიცება, რომ ლავრენტი ბერია სტალინის სავარძელს უმიზნებდა და საამისოდ ყოველ ღონეს ხმარობდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ გამორიცხული იყო 30-იანი წლების დასაწყისში და ახალბედა ბერია დიდი ბელადის მიმართ აბსოლუტური ლოიალურობით გამოირჩეოდა. ამაზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი დოკუმენტი თუ იმ ადამიანთა მოგონებები, ვისაც უშუალო, საქმიანი შეხება ჰქონდათ მათთან. ყველა ერთხმად აღნიშნავდა სტალინის მიმართ ბერიას განსაკუთრებულ მორჩილებასა და მონიწებას. „ეს მლიქვნელი კობას საკუთარ ნებას იმით ახვევს, რომ არაფერში ეწინააღმდეგება, უსიტყვოდ უსრულებს ყველაფერს და ეპირფერება", – ეუბნებოდა ზინაიდა ორჯონიკიძე ნადეჟდა ალილუევას და სტალინის ახალგაზრდა მეუღლეს ბერიასადმი ზიზღს უფრო ულვივებდა. ნადეჟდა სერგეევნა განსაკუთრებით თბილი ადამიანი გახლდათ. მისი დამოკიდებულება ხალხისადმი, მით უმეტეს, მისი მეუღლის ახლობლებისადმი, განსაკუთრებით კეთილგანწყობილი იყო. თუმცა, ეს არ ეხებოდა ბერიას. მისდამი ის განსაკუთრებულ სიძულვილსა და აგრესიას იჩენდა. ბერია, რა თქმა უნდა, შესანიშნავად ხვდებოდა ყველაფერს, თუმცა თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი ხდებოდა და ყოველთვის მორჩილად ყლაპავდა ახალგაზრდა ქალის შეურაცხყოფას. იოსებ, – არაერთხელ უთქვამს ნადეჟდა სერგეევნას მეუღლისთვის, – მასთან სიახლოვე კარგს არაფერს მოგიტანს, ლაფში გაისვრები, შერცხვები. თუმცა, სტალინი ყოველთვის თავისაზე იდგა და არაფრად აგდებდა მეუღლის ყოვლად უარგუმენტო საუბრებს: შენ ის ფიზიკურად გძულს და თუ რატომ? – ვერ მეუბნები. მე კი, ის კავკასიური პოლიტიკისთვის მჭირდება და მასზე უკეთეს შემსრულებელს ვერსად ვიპოვიო, – პასუხობდა სტალინი და დასძენდა: „ნადია, შენ მათი (იგულისხმებიან ორჯონიკიძეები და მათდამი ლოიალური ამიერკავკასიური დაჯგუფებები) რუპორი ხარ და რის თქმასაც თავად ვერ მიბედავენ პირში, შენი მეშვეობით მითვლიან. მე საქმიანი, პრინციპული და ჭკვიანი კაცი მჭირდება იქ (კავკასიაში) და ბერია სრულიად მისადაგება ამ როლს. მათ კი ძველი ბოლშევიკობა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად მიიკერეს და ბერიას მხოლოდ იმიტომ მიიჩნევენ არასასიამოვნოდ, რომ ძველი ბოლშევიკი არაა. ეს ხომ დემაგოგიაა და ნუთუ შენ ფიქრობ, რომ მე მას დავიჯერებ?"

ერთი სიტყვით, ასეთ მტრულ გარემოცვაში ბერია მხოლოდ და მხოლოდ სტალინის უდიდესი მხარდაჭერით ინარჩუნებდა მაღალ თანამდებობას. 1931 წლის 12 ნოემბერს, სტალინის უშუალო ჩარევით, ლავრენტი ბერია საქართველოს „ცეკას" პირველ და ამიერკავკასიის მეორე მდივნად დაინიშნა. ასეთ დაწინაურებას, როგორც ეტყობა, არავინ ელოდა და, როგორც ყოველთვის, ამასაც ანტიბერიული კამპანია მოჰყვა, რასაც, ამჯერადაც კულისებიდან სერგო ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა.

13 ნოემბერს გაიფიცა, როგორც საქართველოს, ასევე ამიერკავკასიის მთელი პარტიული აქტივი და კაბინეტებში არავინ შედიოდა იმ მოტივით, რომ ბერიასთან არ სურდათ მუშაობა. ორჯონიკიძემ, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ დარეკა კრემლში და თითქმის ერთსაათიან საუბარში ძალიან მუქ ფერებში დაუხატა თბილისში შექმნილი კრიზისული ვითარება, რაზეც დიდ ბელადს მოკლედ უთქვამს: "შენ იმდენად სუსტი ხელმძღვანელი ჩანხარ, რამდენადაც კარგი ბოლშევიკი იყავი და ნუ გგონია, წარსული დამსახურებები ყოველთვის გიშველის. მიტინგების დრო წარსულს ჩაბარდა და ასეთი დემარშებით ფონს ველარ გახვალთ. ვიცი, შენები აჯანყდნენ. პასუხისმგებლობაც შენზეა და თუკი მიტინგების გარდა, სხვაგვარი მუშაობა არ შეგიძლია, შემცვლელს მალე ვიპოვით!" ამ სიტყვებით სტალინმა ყურმილი დაკიდა, ხოლო სერგომ უკუეფექტი მიიღო და იძულებული გახდა, დემარშისტები კაბინეტებში შეერეკა. ბერია ამ დროს კახეთში მიემგზავრებოდა მანქანით, რათა რეგიონის რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელის რანგში გაცნობოდა: – „სერგო კვლავ ფაქტით დავაკავეთ", – უთხრა სტალინმა კიროვს, რომელიც ორჯონიკიძესთან სატელეფონო საუბარსაც დაესწრო, – „მათ ვერ შეიგნეს, რომ არაცენტრალიზებული მმართველობა დამღუპველია ჩვენი უზარმაზარი ქვეყნისთვის და ფიქრობენ, ზოგიერთ საკითხს, ჩემთან შეუთანხმებლად, დამოუკიდებლად გადაწყვეტენ". რა თქმა უნდა, სტალინი მართალი იყო და ეს მისი სიმართლე შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა. თუმცა, მანამდე ბერიას კავკასიაში უმკაცრესი წინააღმდეგობების გადალახვა მოუწია. ბერია ბრმად ერთგული არასდროს ყოფილა და მისი ეს თვისება, რა თქმა უნდა, პირად ამბიციებზე იყო დამყარებული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბერიას ამბიციები საკმაოდ მყარ ფუნდამენტს ეყრდნობოდა და ამ კაცს მათი განხორციელების დიდი პოტენციალი გააჩნდა. თუმცა, რა თქმა უნდა, სისულელეა იმის მტკიცება, რომ მაშინ ბერია სტალინობაზე ოცნებობდა. ძველ ბოლშევიკებს, განსაკუთრებით კი ტროცკისტან სხვადასხვა დროს დაახლოებულ ადამიანებს, გარდა იმისა, რომ ისინი უდრეკი ხასიათით გამოირჩეოდნენ, ინტრიგის წარმოების განსაკუთრებული უნარი და გამოცდილება გააჩნდათ. ბოლშევიკთა ქართული ფრთა ამ ამბავში პირველობას არავის უთმობდა. სამართლიანობა მოითხოვს და უნდა აღინიშნოს, რომ სტალინის გამარჯვებას პოლიტბიუროში სწორედ ამ ფრთის სიძლიერემ შეუწყო ხელი. მაგრამ, ეს მოგვიანებით, ერთგვარ სენადაც კი იქცა და რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, სტალინს დაუპირისპირდა. ალბათ, სწორედ ასეთმა ამბიციურობამ გააბედინა პაპულია ორჯონიკიძეს ეთქვა: სტალინი ჩვენთვის უბრალო გორელია და თუ მოვინდომეთ, მოვხსნითო.

**ასეთ დაწინაურებას, როგორც ეტყობა, არავინ ელოდა და, როგორც ყოველთვის, ამასაც ანტიბერიული კამპანია მოჰყვა, რასაც, ამჯერადაც კულისებიდან სერგო ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა**

როგორც ჩანს, ეს ფრაზა განგაშის სიგნალად იქცა და თავისი კავკასიური პოლიტიკის ფორსირება გადაწყვიტა. 14 ნოემბერს, კახური ვოიაჟიდან დაბრუნებული ბერია პირველი შევიდა თავის ახალ კაბინეტში და აქაოდა, აქ არაფერი მომხდარაო, მთელი პარტიული აქტივის კრება გამოიძახა. ბერია, რა თქმა უნდა, არა მარტო საქმის კურსში იყო, არამედ ერთგვარად მართავდა კიდეც თავის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას. ამ მომენტს კი, თავის სასარგებლოდ და ოპოზიციის საზიანოდ იყენებდა. კრებამ საკმაოდ მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა, ბერია ძირითადად ახალ თანამშრომლებს ეცნობოდა და შინაურულად ესაუბრებოდა. ამის გამო, თავიდან შექმნილი დაძაბული ატმოსფერო თანდათან განიმუხტა და ზოგიერთმა „ამხანაგმა" „ცეკას" ახალ პირველ მდივანთან გახუმრება, გალაზღანდარებაც კი სცადა. თუმცა, მათ ეს „ფამილარობა" ბუმერანგივით დაუბრუნდათ – სულ რამდენიმე წლის მერე უკლებლივ ყველას (კრებას 56 ფუნქციონერი ესწრებოდა) სიცოცხლის ფასად დაუჯდა. სხდომის ბოლოს სიტყვა კვლავ ბერიამ აიღო და დაახლოებით ასე ჩამოაყალიბა თავისი სამოქმედო პროგრამა: „ამხანაგ სტალინის უშუალო ძალისხმევით, რუსეთის ყოფილი იმპერიის ხალხები ჩაგვრისგან გათავისუფლდნენ და ერთიანი თავისუფალი ქვეყანა შექმნეს, რომელსაც უამრავი მტერი გამოუჩნდა. ზოგიერთმა მათგანმა ჩვენს რიგებშიც კი შემოაღწია".



ერთი სიტყვით, ბერია თავის გამოსვლაში ერთის მხრივ მტრებთან აქტიური ბრძოლისკენ მოუწოდებს ხალხს, მეორე მხრივ კი, უზომოდ აქებს და ადიდებს სტალინს. მეორე დღესვე, ყველა მოწინავე ცენტრალურმა გაზეთმა დაბეჭდა ბერიას სიტყვა. ზუსტად ერთ კვირაში კი მრავალტირაჟიანი ბროშურა დაისტამბა, რომელიც საბჭოთა კავშირის ყველა ენაზე ითარგმნა და მთელ ქვეყანაში გავრცელდა. სხვათა შორის, მავანნი სწორედ ამ პერიოდს მოიხსენიებენ სტალინის კულტის დაბადების თარიღად და მის (კულტის) შემქმნელად ბერიას ასახელებენ, რაც, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეესაბამება.

„მისმა მლიქვნელობამ და ისტორიის ფალსიფიკაციამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა," – ამბობდა აღშფოთებული ფილიპე მახარაძე ვიწრო წრეში ბერიაზე და დასძენდა, – „სტალინისგან ის ახალ გმირს, ახალი მითოლოგიური გმირის კულტს ამკვიდრებს. უნდა დაგვაჯეროს, რომ ის ახალი ამირანია. მის დამსახურებას, რა თქმა უნდა, ვერსად გაექცევი, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია და ასეთად მას, ჩვენ ვერასოდეს მივიღებთ".

სტალინის მიმართ ძველ ბოლშევიკთა ასეთი მედიდური დამოკიდებულება ძალიან კარგად იყო ცნობილი დიდი ბელადისთვის და სწორედ ამის გამო უწოდებდა მათ „დახავსებულებს". ლავრენტი ბერია კი „ახალი ტალღის" თვალსაჩინო წარმომადგენლად მიაჩნდა და სწორედ ამიტომ, ანდო ახალი კავკასიური პოლიტიკის სადავეები. სულ რაღაც სამი კვირის განმავლობაში, ლავრენტი ბერიამ სტალინთან შეთანხმებით, მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, პარტიული აპარატი განაახლა და რაიკომების პირველ პირებად 40-მდე ყოფილი „ჩეკისტი" დანიშნა. დაიწყო პარტიული კადრების წმენდა და ეგრეთ წოდებულმა სპეცკადრებმა უკვე თვით პარტიულ აპარატშიც შეაღწიეს. მამია ორახელაშვილმა ვიწრო წრეში ამ პროცესს „პოლიტიზაცია" უწოდა, ბერიას – „წითელი პოლიცმაისტერი", ხოლო სტალინს – „წითელი იმპერატორი", რაც „ჩეკას" ყურებს არ გამოჰპარვია და მისი საუბრის სრული ტექსტი ჯერ ბერიას აახლეს, შემდეგ კი – სტალინს. ორახელაშვილსაც ისევე, როგორც სხვებს, ძალიან ძვირად დაუჯდა ასეთი კომენტარები – საკუთარი სიცოცხლით აგო პასუხი ამაზე.

როგორც არაერთხელ აღვნიშნე ჩემს ადრეულ ნაწერებში, „ჩეკა" და „გეპეუ" სტალინის

**(გაგრძელება 50-ე გვერდზე)**

# ეძიე კაცი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №31-32(711)

– მაცადეთ, დავამთავრო სათქმელი, ნუ იცით ხოლმე სიტყვაში ჩახტომა, – გაბრაზდა რუსა.

– ჰო, მერე? – მართლა დაინტერესდა მია.

– მერე ის, რომ თან ჰყვება ცოლს: არაფერზე ხელს არ ანძრევინებს, ყველაფერში ეხმარება, სადილსაც კი თვითონ აკეთებს; თან, დილა-შუადღე-საღამოს სიყვარულს უხსნის, მაგრამ ამ სულელ გოგოს ახლა ამაზე დაეწყო „იზმენები“.

– რატომ? – გაუკვირდა ლიკას, – ასეთ ქმარზე არ ოცნებობდა?

– იმიტომ, რომ მთლად ნორმალური არ არის. იცით, რა მითხრა? ჩემი ქმარი ხან გერმანულად მიხსნის სიყვარულს, ხან ფრანგულად და ხან ინგლისურად, მე კი ქართულად სიყვარულის ახსნა მენატრებაო. ანუ, აშკარად პირველი ქმარი ენატრება და დღესაც ის უყვარს, ყველაფრის მიუხედავად.

– ქართულად, ანუ, ცხრასართულიანი გინების თანხლებით? – ირონია ვერ დაფარა სალომემ, – აი, ეს ვართ ქართველი ქალები, პატივისცემას ვერ ვირგებთ და, ამიტომაც, ყველაფერი ახია ჩვენზე.

– საერთოდ, როცა ქალი ან კაცი ქმრით ან ცოლით უკმაყოფილოა, ეძრება მას და სხვა პარტნიორს ეძებს – იმედი აქვს, რომ უკეთესს იპოვის; მისი აზრით, მას ყველაზე უარესი არგუნა განგებამ და, შესაბამისად, მას, ვინც ჰყავს, ყველა დანარჩენი სჯობია, მაგრამ, როცა მეორედ და მესამედ ცდის ბედს და ყოველ ახალ ჯერზე უარესი ვარიანტი შერჩება ხელში, ეწყება სინანული და ენატრება ის, ვისაც ერთ დროს თავქუდმოგლეჯილი გაექცა, – თქვა ლიკამ და მერე ჩუმად დაამატა: – ამას საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე გეუბნებით...

– მაგას მე „შეჩვეული ჭირის სინდრომს“ დავარქმევდი, – მიამ საათს დახედა და წამოდგა, – აღარ დავიშალოთ? ხვალ ძალიან ადრე ვარ ასადგომი.

– ჰო, დავიშალოთ, – თქვა ლიკამ და გოგოები წამოიშალნენ, – ისე, ძალიან აგრესიული საღამო კი გამოგვივიდა, მაგრამ, რა ვქნათ, ერთმანეთთანაც აღარ მოვიოხოთ გული?!

– ცოტა ბიჭების მერიდება, მართლა ზედმეტები მოგვივიდა, – თავით სამზარეულოსკენ ანიშნა სალომემ, სადაც თემო და ივიკო ისხდნენ.

– არა უშავს, გადაიტანენ როგორმე, – დააწყნარა მირანდამ, – უკვე აღარც კი ეხსომებათ.

– ჰოდა, ეს სულაც არ არის კარგი, – მრავალმნიშვნელოვნად თქვა ელისომ, – მათ მიმართ გამოთქმული კრიტიკული აზრები ასე მალე არ უნდა დაავიწყდეთ, თორემ, გამოსწორებასაც არ ეცდებიან.

– კარგი, ახლა, ისევ თავიდან არ დაიწყო! – გადაირია სალომე, – მაგათ კი არა, მე ამომივიდა ყელში ამ თემაზე ლაპარაკიც და სხვისი მოსმენაც. თანაც, სად გინახავს 35 წლის ასაკში გამოსწორებული კაცი!

– კი ბატონო, გავჩუმდები, მაგრამ, იმაში ხომ მაინც დამეთანხმები, რომ ეს მარადიული და ამოუწურავი თემაა?

– დიახ, როგორც ყველა დანარჩენი. ამიტომ, ჯობია, ბევრი რამ დაგრჩეს უთქმელი, ვიდრე ყველაფერი თქვა და მომავალი „სხოდკისთვის“ აღარაფერი შემოგინახო, – ფილოსოფიურად დაასკვნა ნათიამ და კარი გააღო.

ბიჭებთან დამშვიდობება არავის გახსენებია.

***

გოგოები რომ წავიდნენ, ქეთამ და მირანდამ სამზარეულოში მიაკითხეს ქმრებს და მობოდიშება იმით გამოხატეს, რომ მოეხვივნენ და შეაქეს:

– რაც არ უნდა თქვან, ჩვენისთანა ქმრები არავის ჰყავს.

– რა ვიცი, ლამის მიას გადააჭარბეთ კაცების ლანძღვა-გინებაში, – ნაწყენი ხმით უთხრა თემომ ქეთას, – ჩვენი დასაცავი და საქებარი ერთი სიტყვაც არ დაგცდენიათ.

– იცით, ბიჭებო, რაშია საქმე? – თქვა მირანდამ შემრიგებლური ტონით, – მთელი ჩვენი სადაქალოდან, პრაქტიკულად, მარტო ჩვენ ორს გაგვიმართლა ქმრებში და, როცა ამდენი ქალი მოთქმა-წუწუნით ემდურის ბედს, მით უფრო, რომ რეალური არგუმენტებიც აქვთ, ცოტა უხერხული იქნებოდა, მე და ქეთას თქვენით გვეტრაბახა, ეს უფრო ნიშნის მოგებას დაემსგავსებოდა და არ იქნებოდა ლამაზი.

– ჰო, მგონი, მართალი ხარ, – უთხრა კმაყოფილებისგან გაბადრულმა ივიკომ და წამოდგა, – წავიდეთ, და ეს ხალხიც დავასვენოთ, – მერე ცოლს შუბლზე აკოცა, ხელკავი გამოსდო და კარისკენ წაიყვანა.

– მართლა გაგიმართლათ, ხომ იცი; ასეთი ბიჭების ცოლობას ბარემაც ბევრი ქალი ინატრებდა, მაგრამ, არა, ბატონო, თქვენ ორნი გამოდექით ბედის რჩეულები, – გაეხუმრა თემო გოგოებს და სტუმრები კარამდე მიაცილა.

– ახლა, ძალიანაც ნუ აგივარდებათ თავში, თორემ, მაგისთვისაც გვაქვს ალვირი, ხომ იცი, – თითი დაუქნია ქეთამ.

– სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ვიცით, – ამოიხვნეშა ივიკომ და თემოს თანაგრძნობით გახედა.

***

ორ კვირაში ქორწინების ათი წლისთავი ჰქონდათ. პირველ წლებში ამ დღეს მხოლოდ თვითონ აღნიშნავდნენ – მეგობრებისა და ახლობლების გარეშე მიდიოდნენ ხოლმე ეგზოტიკურ ან ძალიან მაღალი დონის რესტორანში და თავს უფლებას აძლევდნენ, წელიწადში ერთხელ მაინც, ცოტა მეტი დაეხარჯათ, ცოტა უკეთეს გარემოში განეცადათ მარტო ყოფნის სიამოვნება. გულწრფელად ესაუბრათ, კიდევ ერთხელ აეხსნათ ერთმანეთისთვის სიყვარული, თინეიჯერი შეყვარებულებივით ჩახუტებულებს ეცეკვათ, ცოტა მეტი დაელიათ და მერე, სიყვარულითა და შამპანურით მთვრალებს, ჯერ ღამის თბილისის ქუჩებში გაესეირნათ, შემდეგ კი წინასწარ ერთი ღამის დაქირავებულ სასტუმროს ნომერში ასულიყვნენ ან ჩუმად შეპარულიყვნენ თავიანთ პატარა, ლამაზ ბუდეში და კიდევ ერთი დაუვიწყარი ღამე გაეტარებინათ. ერთი სიტყვით, ეს მხოლოდ მათი იყო შვიდი თუ რვა წლის განმავლობაში და არ არსებობდა მიზეზი, რომ ეს ტრადიცია დაერღვიათ. მაგრამ, როგორც იტყვიან, არაფერია ამქვეყნად მუდმივი და მათ რომანტიკას ნელ-ნელა ბზარი გაუჩნდა, მერე კი რღვევა დაიწყო არა მხოლოდ რომანტიკამ, არამედ ცოლქმრულმა ურთიერთობამ.

ნათიას დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია იმ ღამის გასახსენებლად, როცა ეს პირველად მოხდა: ვნების მორევში თავით გადაშვებული ქალი უცბად გამოაფხიზლა ქმრის გაცოფებულმა შენიშვნამ:

– ასეთი აღვირახსნილი თუ იყავი, არ ვიცოდი. პროფესიონალი ბოზი მყოლია ცოლად და არ ვიცოდი. იქნებ ხარ კიდეც, ჰა?! მეორედ აღარ გაბედო იცოდე, თორემ, ძაღლივით გაგაგდებ ჩემი სახლიდან!



ნათია გაოგნებული დარჩა. არაფერი განსაკუთრებული არ უქნია, თანაც ეს ყველაფერი რეზოს მანამდე სულაც არ აღიზიანებდა, პირიქით, აღფრთოვანებულიც კი იყო. იმ ღამის შემდეგ ყოველი ურთიერთობა აღშფოთებული საყვედურებით მთავრდებოდა და ეს მანამდე გაგრძელდა, სანამ ნათია უემოციო, ურეაქციო ხის თოჯინად არ იქცა. ისე დააკომპლექსა ქმრის შენიშვნამ, რომ კოცნისაც კი ეშინოდა, მაგრამ, ამაზეც თანახმა იყო, ოღონდ კი რეზოს არ სწყენოდა და არ გაბრაზებულიყო. თუმცა, ასეთმა რობოტად ქცევამ ყველაფერი უარესობისკენ შეცვალა: მათი სექსი თვეში ერთხელ მოვალეობის მოხდას დაემსგავსა, ყოველგვარი გრძნობისა და ვნების გარეშე. ნათია ამასაც მოითმენდა, ოღონდ ქმარი არ დაეკარგა, მაგრამ რეზომ ასეთ მორჩილებასაც მოუდო შარი – შენ რა ქალი ხარ, ხის ნაჭერივით დევხარ ლოგინში, კაცს ყველანაირ სურვილს დაუკარგავო.

ასეთ დროს ნათია სიკვდილს ნატრობდა. ბავშვი რომ არა, შეიძლება, მართლა ჩაედინა რაიმე სისულელე, მაგრამ, შვილი აკავებდა; შვილი და, კიდევ, სიყვარული – მაინც უყვარდა ქმარი, რომელმაც, საბოლოოდ, დაპროგრამებულ რობოტად აქცია და ახლა აღარ მოსწონდა, უფრო სწორად, ნერვებს უშლიდა და ვეღარ იტანდა და არც ფარავდა ამას. ფარავდა კი არა, აშკარად დაიწყო ნაირ-ნაირი ქალების გამოცვლა და, როდესაც ერთხელ გაბედა ნათიამ და საყვედურის მაგვარი წამოსცდა, რეზომ უცერემონიოდ მიახალა:

– ძალიან შევცდი შენში. გარდა იმისა, რომ საინტერესო ქალი არა ხარ, შენ არ გაქვს არანაირი უნარი, გააოცო მამაკაცი, რომ აღარაფერი ვთქვა შენს ფრიგიდულობაზე. ამიტომაც ვცდილობ, სითბო სხვა ქალებთან ვიპოვო. შენდამი ყველანაირი ინტერესი დავკარგე, აღარ მიზიდავ, მაინც ჩემი შვილის დედა ხარ და სახლიდან ვერ გაგაგდებ. თუ განყობს ასეთი ურთიერთობა, იცხოვრე ჩემს სახლში, მაგრამ, პრეტენზიები აღარ გამაგონო.

– ადრე სულ სხვა სიტყვებს მეუბნებოდი... – ნათიამ ძლივს შეიკავა თავი, ხმამაღლა არ ატირებულიყო.

– დაივიწყე, რასაც ადრე გეუბნებოდი! – უყვირა რეზომ, – და, ძალიან გთხოვ, ცრემლების ღვრა და თავის შეცოდება არ დაიწყო, ხომ იცი, ვერ ვიტან! შენ რა ქალი ხარ ან რაზე უნდა გქონდეს პრეტენზია, როცა იმის სურვილიც არასდროს გაგჩენია, რომ რამით გაგეკვირვებინე, რომ რამე ახალი აღმომეჩინა შენში. ქალი ბოლომდე ამოუცნობი უნდა იყოსო... ამოუცნობი კი არა, ამოსაცნობიც არაფერია შენში, ერთი რიგითი დიასახლისი ხარ, რომელიც მხოლოდ სახლს ალაგებს და სადილს აკეთებს, მეტი არაფერი; ცეკვა შენ არ იცი და სიმღერა, რომ საზოგადოებაში მაინც გამოიჩინო რამით თავი. თუ სადმე წაგიყვანე, ზიხარ მუდოსავით, სოფლის პატარძალივით და ხმას არ იღებ. ახლა რომ ვფიქრობ, აზრზე ვერ მოვდივარ, რა მომეწონა შენში!..

ნათიას ძალიან აეწვა რაღაც შიგნით. ქმარმა ლამის უპატიებელ თუ მომაკვდინებელ ნაკლად ჩაუთვალა ყველა ის თვისება, რაც ადრე ასე მოსწონდა – სისადავე, მორიდებული ხასიათი, სიმორცხვე... სულ იმას ეუბნებოდა, ვერ ვიტან ტინგიცა და ზედმეტად აქტიურ ქალებს, ყველგან ყირაზე რომ გადადიანო.

არაფერი უპასუხა, ისე გავიდა ოთახიდან, მაგრამ მეორე დილით ჩვეულებრივად დაახვედრა გაწყობილი საუზმე და გაუთოებული პერანგი. რეზო ცოტა უხერხულად გრძნობდა თავს, წინა საღამოს ასე დაუნდობლად რომ გადაუარა და შეეცოდა კიდეც, მაგრამ ბოდიშის მოხდა არც უფიქრია, მხოლოდ მოსინჯა, გამებუტა თუ არაო და ჰკითხა, ბავშვს შენ გამოიყვან დღეს სკოლიდან თუ მე მივაკითხოო.

– შენ თუ მოახერხებ, კარგი იქნება. მე რაღაც საქმე მაქვს დღეს და, შეიძლება, ვერ მოვასწრო.

რეზომ შვებით ამოისუნთქა – ნათია ჩვეულებრივად მშვიდად დაელაპარაკა, ესე იგი, არ გაებუტა. პრინციპში, არც ამის გამო მოიკლავდა თავს, მაგრამ მაინც ასე ერჩივნა. არც კი დაინტერესებულა, ასეთი რა საქმე ჰქონდა, რომ სკოლიდან ბავშვს ვერ წამოიყვანდა

ორ კვირაში ქორწინების ათი წელი უსრულდებოდათ. ნათიამ არ იცოდა, რა ერქვა ამ თარიღს – შუშის იუბილე, ბროლის იუბილე თუ რაღაც სხვა, მაგრამ, ერთი რამ ნამდვილად იცოდა – ერთად აღარასდროს წავიდოდნენ ამ დღის აღსანიშნავად.

„ყველაფერი დამთავრდა, – ფიქრობდა ტკივილითა და სევდით გულდამძიმებული, – თანაც, ძალიან სწრაფად და სტანდარტულად. მისთვის აღარაფერს წარმოვადგენ, მე კი მაინც მიყვარს. რომ გამეყაროს, ვერ ვიცოცხლებ"... – მერე უცბად შეეცვალა განწყობა და მტკიცედ გადაწყვიტა:

– რომ მოვკვდე, უნდა რამე მოვიფიქრო და უნდა დავიბრუნო, მაგრამ, როგორ?

დილით მაღაზიაში რომ ჩავიდა პურის საყიდლად, მეზობელი გოგო შეხვდა, რომელიც რეზოსთან მუშაობდა.

– ჩვენს კორპორაციულ საღამოზე ხომ მოდიხართ? – ჰკითხა მეზობელმა დანახვისთანავე.

– როდის არის? – ისე ჰკითხა ნათიამ, თითქოს იცოდა და თარიღი დაავიწყდა.

– ორ კვირაში, ამ თვის ბოლო შაბათს. წამოდით, რა, კარგი რაღაცეები გვაქვს მოფიქრებული. კარაოკეც იქნება, ცეკვებიც, სხვა რამეებიც. ყველა ცოლითა და ქმრით მოვა და ძალიან კარგად უნდა გავერთოთ.

– ალბათ, მივალ, დიდი მადლობა.

სახლისკენ მიმავალს თითქოს გონება გაუნათდა – უკვე იცოდა, რით უნდა გაეოცებინა ქმარი და, თუ ვერ დაიბრუნებდა, აზრს მაინც შააცვლევინებდა მასზე. ახლა მთავარი იყო, ისე მოეხერხებინა, რომ რეზოს იმ კორპორაციულ წვეულებაზე წაეყვანა. თუ ამას ვერ შეძლებდა, ისე არაფერი გამოუვიდოდა. ამიტომ, გადაწყვიტა, განსაკუთრებით თბილად და ყურადღებით მოჰქცეოდა, რომ უარი ვეღარ ეთქვა. სახლში მისვლისთანავე მოძებნა თავისი ბიძაშვილის ტელეფონის ნომერი, რომელსაც ცეკვების სტუდია ჰქონდა გახსნილი და იმავე საღამოს შეუთანხმდა შეხვედრაზე.

– ხომ მშვიდობაა? – გაუკვირდა მაკას, რადგან ნათია კარგა ხანი იყო, არ შეხმიანებია.

– მშვიდობაა, ნუ გეშინია. უბრალოდ, რაღაც საქმე მაქვს შენთან. ხუთისთვის შემოგივლი.

მაკა ძალიან გაოცდა, როცა ნათიამ რამდენიმე ცეკვის შესწავლა სთხოვა.

– ორ კვირაში ამდენს ვერ მოვასწრებთ, არაფერი გამოგვივა.

– კონკურსზე გასვლას კი არ ვაპირებ, წვეულებაზე მინდა ვიცეკვო...

– რამ გაგაგიჟა? – გაეცინა მაკას.

– არ გავგიჟებულვარ, ასეა საჭირო. ყველაფერი რომ ჩაივლის, მერე მოგიყვები. მე მგონი, არ გამიჭირდება – რამდენიმე წელი მატარა დედაჩემმა ჯერ ქართულ ცეკვებზე, მერე სამეჯლისოზე. მართალია, ასი წელია, ხელი არ გამიშლია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ძალიან არ გაგაწვალებ.

– ანუ, სამეჯლისოც გინდა?

– მოკლედ, სასწრაფოდ უნდა მასწავლო რომელიმე ვალსი, ტანგო, „როკენროლი" და რამე ორი ქართული ცეკვა.

– შენ მე გადამრევ, – გაეცინა მაკას, – ხუთი ცეკვა ორ კვირაში როგორ უნდა მოვასწროთ?

– ყოველდღე ვივლი და მოვასწრებთ. თან, ხარისხი დიდად არ მაინტერესებს. შეცდომები თუ მომივა, ვერავინ გაიგებს. რამდენიც საჭირო იქნება, გადავიხდი. ამიყვან?

– შენ ხომ არ გაგიჟებულხარ, გოგო! ჩემს სტუდიაში ჩემს ბიძაშვილს ფული გადავახდევინო? სულ გააფრინე?

– კარგი, ბოდიშს გიხდი, – მორიდებით უთხრა ნათიამ, – მაგრამ კიდევ ორი თხოვნა მაქვს შენთან. შემეძლო, ჩემი დაქალებიდან რომელიმესთვის მეთხოვა, მაგრამ, რატომღაც, არ მინდა.

– გისმენ, – მაკამ გუმანით იგრძნო, რომ ნათიას ახლა ძალიან უჭირდა, – რაშიც გინდა, გამომიყენე.

– პირველი – დღესვე მომიძებნე სიმღერის მასწავლებელი, რომელიც ორ-სამ სიმღერას მასწავლის ორ კვირაში და, მეორე – ამ ორი კვირის განმავლობაში, როცა შენ გეცლება, წვეულებისთვის კაბისა და ფეხსაცმლის საყიდლად გამომყევი.

მაკა ძალიან დააფიქრა ნათიას თხოვნამ, თვალებში შეხედა და საკმაოდ შეშინებულმა ჰკითხა:

– საყვარელი გაიჩინე?

– რა სისულელეებს ბოდავ! – აღშფოთდა ნათია.

– აბა, რაში დაგჭირდა ეს კლოუნადა? რამე პროექტში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტე?

– მერე მოგიყვები, როცა ყველაფერი ჩაივლის. დანარჩენ რამეებშიც დამეხმარები?

– სხვა რა გზა მაქვს. სიმღერებს ჩემი დაქალი გასწავლის, ახლავე დავურეკავ. რომელი სიმღერები გინდა?

– ორი-სამი სიმღერა, რომლებსაც უფრო ხშირად მღერიან კარაოკეებზე.

– ქართული თუ უცხოური?

– ორივე, თითო-თითო მაინც.

– მე მგონი, სიმღერის მასწავლებელთან



კი არა, ფსიქიატრთან ხარ მისაყვანი, – ამოიოხრა მაკამ და დაქალის ნომერი აკრიფა.

– შეიძლება, ეგეც მალე დამჭირდეს, – ჩაილაპარაკა ნათიამ და თვალებზე ცრემლი მოადგა.

მაკა მიხვდა, რომ ნათიას რაღაც ძალიან უჭირდა, მაგრამ, ზედმეტი შეკითხვებით აღარ გაალიზიანა და თავის დაქალს შეხვედრის დრო დაუთქვა.

ნათიამ სამსახურიდან ორკვირიანი უხელფასო შვებულება აიღო, დედას სთხოვა, ბავშვი ეს ორი კვირა შენთან იყოს, საქმეები მაქვსო და მთელ დღეებს რეპეტიციებზე ატარებდა: დილით სიმღერაზე მიდიოდა, საღამოს – ცეკვაზე. რეზო დილიდან ღამემდე სამსახურში იყო, ხანდახან ღამითაც არ მოდიოდა სახლში, ამიტომ ნათიას საშუალება ჰქონდა, სარკის წინ შინაც ევარჯიშა ცეკვაშიც და სიმღერაშიც, ოღონდ კარ-ფანჯარას კარგად ჩაკეტავდა ხოლმე, ხმა რომ არ გასულიყო და ცნობისმოყვარე მეზობლები არ გაგიჟებულიყვნენ. აშკარად არა უშავს რა გამოსდიოდა ერთიც და მეორეც; მართალია, მოყვარულის დონეზე, მაგრამ, მაინც კარგად.

წვეულებამდე რამდენიმე დღით ადრე მაკამ დაურეკა და მაღაზიებში გაყოლა შესთავაზა:

– დღეს მთელი დღე მცალია. ფული რამდენი გაქვს? ამას იმიტომ გეკითხები, თანხიდან გამომდინარე უნდა შევარჩიო მაღაზია.

– შვიდას ლარამდე მაქვს, ოღონდ, აქსესუარებიც უნდა ვიყიდო. მეყოფა?

– ვიმყოფინებთ. თუ დაგაკლდება, მე დაგიმატებ ან ჩემი გარდერობიდან შეგირჩევ რამეს. ერთ საათში შენს სადარბაზოსთან ვიქნები მანქანით.

ბუტიკებში სიარულს თითქმის ნახევარი დღე მოანდომეს, მაგრამ ყველაფერი საუკეთესო და ლამაზი იყიდეს.

– ახლა ის მოვიფიქროთ, როგორი ვარცხნილობა მოგიხდებათ შენც და შენს ახალ ტანსაცმელსაც, – დაფიქრებით თქვა მაკამ, როცა „პოდიუმი“ დაასრულეს, – მე მგონი, 40-50-იანი წლების რეტრო კარგად წავა. თანახმა ხარ? ოღონდ თმა წითლად ან ქერად უნდა შეიღებო.

– არა, წითელი ნამეტანია, ქერა მირჩევნია, უფრო ადვილად შევეგუები.

– წითელმა რა დაგიშავა? თან, ძალიან მოდაშია.

– ვიცი, მომწონს კიდეც, მაგრამ, ჩემი არ არის, არ მინდა.

– კარგი, ბატონო, როგორც შენ იტყვი. როდის არის ღონისძიება?

– შაბათ საღამოს.

– ესე იგი, შაბათ დილას უნდა წავიდეთ სალონში.

– ოღონდ, იცოდე, რეზომ არაფერი იცის და რამე არ წამოგცდეს, – შეშინებული ხმით შეეხვეწა ნათია.

– კარგი, – გაუკვირდა მაკას და მხრები აიჩეჩა, – მაგრამ იცოდე, კვირას ყველაფერს მომიყვები, რა თამაშში ჩამითრიე – ხომ ასე შემპირდი?

– ყველაფერს, თანაც დაწვრილებით, – დაეთანხმა ნათია და ახალშეძენილი ნივთები კარადაში შეინახა.

***

რეზო კი ამჩნევდა ცოლს უცნაურ ფორიაქს, მაგრამ, არაფერს ეკითხებოდა, რადგან, ძალიან დაძაბული იყო – არ ეგონა, ასე თუ გაუჭირდებოდა საბოლოო ფრაზის თქმა. არადა, უკვე გადაწყვიტა სახლიდან წასვლა. მართალია, ოფიციალურად გაყრა ასე სწრაფად არ მოხერხდებოდა, მაგრამ ნათიასგან წასვლა უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი და აქამდეც გააკეთებდა ამას, რომ არა ეს სულელური კორპორაციული წვეულება (ქორწინების ათი წლისთავი არც გახსენებია).

– ჩვენი ამერიკელი პარტნიორებიც იქნებიან და ყველანი ცოლებით და ქმრებით უნდა მოხვიდეთ! – უბრძანა თანამშრომლებს დირექტორმა.

ქალებს გაუხარდათ, კაცები კი აბუზღუნდნენ.

– რა აუცილებელია ცოლების წამოყვანა, აქ მაინც ამოგვასუნთქეთ, – გახუმრება სცადა რეზომ.

– განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება! – ნახევრად ხუმრობით თქვა დირექტორმა და წამოდგა, – მე შაბათამდე არ ვიქნები, სტუმრებს უნდა გავყვე-გამოვყვე. აბა, თქვენ იცით, კარგად მოემზადეთ, არ შევრცხვეთ!

– საკმაოდ მკაცრი და დაუნდობელი განაჩენია, მაგრამ, რას იზამ, უნდა დავემორჩილოთ, – სიცილით უთხრა რეზოს თავისმა თანაშემწემ, ლადომ, – ჩემი ცოლი სიხარულისგან გაგიჟდება.

– ჩემიც... – ჩაილაპარაკა რეზომ, – თან ყველა სიკეთესთან ერთად ახალი კაბის ყიდვაც მომიწევს.

– მერე, უყიდე, რა გაწუწუნებს, ძალიან გიჭირს? – რატომღაც „უიაზვა“ ლადომ.

რეზოს გაუკვირდა თანამშრომლის ასეთი ტონი და წარბის აწევით შეხედა, მაგრამ აღარაფერი უთხრა და ისე გამოვიდა ოთახიდან, არ დამშვიდობებია.

***

ნათია მთელი ორი კვირა აწყობდა გეგმებს, როგორ ჩამოეგდო ლაპარაკი წვეულებაზე და როგორ დაეთანხმებინა ქმარი, რომ ისიც წაეყვანა, მაგრამ, ჩალიჩი აღარ დასჭირდა – ხუთშაბათ საღამოს სამსახურიდან დაბრუნებულმა რეზომ უთხრა, შაბათს სამსახური კორპორაციულ საღამოს აწყობს რესტორანში და შენც უნდა წამოხვიდეო. ნათია კინაღამ შეხტა სიხარულისგან, მაგრამ, შეეცადა, მღელვარება არ შეემჩნია.

– კარგი, როგორც შენ გინდა, – მშვიდად უპასუხა ქმარს, მაგრამ გული ისე უცემდა, ლამის ბუდიდან ამოვარდნოდა.

– რამე ნორმალური კაბა გაქვს? – ჰკითხა რეზომ და ხალათში გახვეული ცოლი თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა.

– რაღაცას მოვძებნი, – ნათიამ თვალი აარიდა რეზოს, რომ არ „გაყიდულიყო“.

– მოვძებნი არ ვიცი, ფულს მოგცემ და რამე წესიერი იყიდე. ჩვენი ამერიკელი პარტნიორებიც იქნებიან ცოლებით და...

– გასაგებია, ვიყიდი, – მორჩილად უპასუხა ნათიამ, მერე ცოტა ხანს პაუზა გააკეთა და ქმარს ყოველგვარი შესავლის გარეშე დაუსვა კითხვა: – „შენ წვეულებიდან სახლში დაბრუნდები თუ იქიდანვე წახვალ იმ ქალთან?

„ყველაფერი იცოდა და არ იმჩნევდა, არც მე მაგრძნობინებდა... ისე, ძალიან მაგარია, ამას მოთმენა და გაძლება არ უნდა?“ – გაიფიქრა შეცბუნებულმა რეზომ, ხმამაღლა კი უთხრა:

– რადგან უკვე გცოდნია, რამის დამალვას აზრი არ აქვს. ჰო, იმ საღამოსვე ვაპირებდი წასვლას, მაგრამ, ალბათ, არ გამოვა ასე. ჯერ ერთი, ჩემი ნივთები ხომ უნდა წავიღო, თანაც... – რეზოს უნდოდა, ეთქვა, თანაც, თანამშრომლებისა და უცხოელი პარტნიორების თვალწინ ხომ არ დაგემშვიდობები სამუდამოდო, მაგრამ, ვეღარ უთხრა და გაჩუმდა.

– რა – „თანაც“? – დაინტერესდა ნათია.

– რა და ასეა თუ ისე, შაბათს ჩვენი ქორწინების ათი წლისთავია, – უცებ გაახსენდა რეზოს და დარცხვენით დაამატა: – მაინცდამაინც ამ დღეს ხომ არ წავალ.

– გმადლობთ, ასე რომ მიფრთხილდები, – მწარედ გაეღიმა ნათიას და თემა შეცვალა, – შენ რომელი კოსტიუმი გაგიმზადო?

– შავი შარვალ-კოსტიუმი და თეთრი პერანგი, ჰალსტუხს მე თვითონ შევარჩევ. ხვალ გამიმზადე, საჩქარო არ არის.

– კარგი, – ისევ მშვიდად უპასუხა ნათიამ და ტელევიზორი ჩართო.

პარასკევს რეზო ცოტა ხნით მივიდა სამსახურში, შინ მალე დაბრუნდა და მთელი დღე ნათიასთან ერთად გაატარა. თვითონაც უკვირდა, მაგრამ ცოლთან საუბრის სურვილი გაუჩნდა და, შეიძლება ითქვას, ენა არ გაუჩერებია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ისე ცხოვრობდნენ ერთ ჭერქვეშ, როგორც კარგი მეზობლები – ჩხუბებისა და აყალმაყალების გარეშე, მაგრამ, ოფიციალურად; ახლა კი, თითქოს მოზეზრდა ეს უკვე საკმაოდ გაგრილებული (თუ უფრო მეტი არა) ურთიერთობა და ქადაგად იქცა, თან ყველაფერზე უცნაურად აჟიტირებული ლაპარაკობდა.

„ღელავს და იმიტომ იქცევა ასე“, – გაიფიქრა ნათიამ და გადაწყვიტა, თვითონაც აჰყოლოდა: ჯერ თანამშრომლებზე ჰკითხა რაღაცეები, მერე – ამერიკელ პარტნიორსა და მის ცოლზე.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# სახლის თითოეულ ოთახს თავისი დანიშნულება აქვს ჩვენს ცხოვრებაში

*ფერი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელსაც შეუძლია, დადებითი განწყობის შექმნა. ასევე, სახლის თითოეულ ოთახს თავისი დანიშნულება აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ჰკითხეთ საკუთარ თავს, როგორი განწყობის შექმნა გსურთ და შემდეგ შეარჩიეთ სწორი ფერი. ნუ იჩქარებთ გლობალური ცვლილებების განხორციელებას, აჯობებს, დაიწყოთ პატარა, მაგრამ მიზანმიმართული ცვლილებებითა და სიახლეებით. თუ ახლა იწყებთ სახლის რემონტს გაითვალისწინეთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები, ხოლო, თუ უკვე მოწყობილ ბინაში ცხოვრობთ და ინტერიერის შეცვლის სურვილი გაგიჩნდებათ, დაიწყეთ დეკორის ელემენტებით: შეიძინეთ ახალი დეკორატიული ბალიში, ახალი ბრა ან ჭაღი და თქვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდებით მიზანს.*

**მწვანე** – ხის ფერია, რომელიც ასოცირდება გაზაფხულთან და ზრდა-განვითარებასთან. ის განასახიერებს მშვიდობას, კურნავს სტრესისგან, ამცირებს სულიერ ტკივილსა და შფოთვას. მწვანე უხდება საძინებელს და, საერთოდ, იმ ოთახს, სადაც ადამიანი ისვენებს. ღია მწვანე ფერი იდეალურია საბავშვო ოთახისთვის. თუ მთლიანი ოთახის შეღებვა არ გსურთ, მწვანედ, მაშინ, ამ ფერის ელემენტები შეიტანეთ ინტერიერში.

**წითელი** – ცხოვრებისეული ენერგიის განმასახიერებელი, მკვეთრი და გამომწვევი ფერია; განაგებს სიძლიერესა და ვნებას. წარმატებით გამოიყენება საწინააღმდეგო სქესის მოსაზიდად. ის ათბობს განწყობას და იქცევს ყურადღებას. გონებაში ეს ფერი, ასევე, ასოცირდება ცეცხლთან, სიცხესა და სიმდიდრესთან. თუმცა, შეიძლება, სიმორცხვეზე ან კონფლიქტურობაზეც მეტყველებდეს. დაუშვებელია წითელი ფერის გამოყენება საბავშვო ოთახის მოწყობისას. თუ გსურთ, გქონდეთ მხურვალე და ვნებიანი პირადი ცხოვრება, გაამრავალფეროვნეთ საძინებელი წითელი ფერით. თუმცა, მთლიანად ნუ შეღებავთ, რადგან, შეიძლება, უძილობის მსხვერპლი გახდეთ. უმჯობესია, საძინებელი ჩალისფრად შეღებოთ და დეკორის წითელი ელემენტებით მორთოთ. ამ ფერთან არაჰარმონიულია შავი და ცისფერი – წყლის სიმბოლოს ფერები.

**სტაფილოსფერი** – წარმატებით მოიცავს წითელი ფერის სიძლიერესა და ყვითელი ფერის კეთილგანწყობას. მოაქვს წარმატება, სიკეთე და კეთილგანწყობა. საბავშვო ზონაში პოზიტიური ენერგიის შემატება სწორედ სტაფილოსფრის საშუალებით შეგიძლიათ. მას „განსწავლულობის ფერს“ უწოდებენ, ვინაიდან ასტიმულირებს გონებრივ აქტივობას, ფანტაზიის უნარსა და წარმოსახვას. სასურველია, მისი გამოყენება ოფისებში, სასტუმრო და საკლასო ოთახებში. ის ხელს უწყობს გონებას, დიდი რაოდენობით აღიქვას და დაიმახსოვროს ინფორმაცია.

**თეთრი** – განასახიერებს ადამიანის წმინდა, უბიწო ზრახვებს. სახლში არ უნდა დომინირებდეს მხოლოდ თეთრი. „ფენ-შუის“ მიხედვით, ის საკმაოდ ცივ ფერად არის მიჩნეული. გაამდიდრეთ თეთრი კედლები სხვა ფერების საშუალებით და გაიფერადეთ ცხოვრება.

**ცისფერი და ლურჯი** – ცისფერი ცისა და ოკეანის, სიმშვიდის ფერია. მას ძლიერი, დამამშვიდებელი ზეგავლენა აქვს და აღძრავს სამყაროს შეცნობის სურვილს. ლურჯი ფერი ამძაფრებს ინტუიციასა და ადამიანის სულიერ მისწრაფებებს. თუ სახლში მედიტაციისთვის ცალკე ოთახი გაქვთ, მას ყველაზე მეტად ცისფერი ან ლურჯი კედლები შეეფერება. ეს ორივე ფერი ასევე იდეალურია აბაზანისთვის.

**ყვითელი** – მზის, აყვავებისა და წარმატების სიმბოლოა და განასახიერებს პოზიტივს. მზის ენერგია სიცოცხლის დასაბამს აძლევს ყველაფერ მშვენიერს ჩვენს სამყაროში: მცენარეებს, ცხოველებს, ადამიანს. ყვითელი აცოცხლებს ყველაზე ულიმღამო დაწესებულებებს, ასევე განაპირობებს ადამიანში კეთილგანწყობასა და სიცოცხლის ხალისს. ეს ფერი აქტიურად გამოიყენება წარმატების მისაღწევად. შეიტანეთ ის თქვენს ბინაში სულიერი სიმშვიდის, სითბოს, კარგი განწყობისა და პოზიტიური აზროვნების მოსაზიდად. ყვითელი ფერი იდეალურია სასტუმრო ოთახის გასაფორმებლად. შეგიძლიათ, ღია ლიმონისფრად შეღებოთ მთლიანად ოთახი ან ყვითელი ფერის ელემენტებით გაამდიდროთ ინტერიერი როგორც სასტუმრო ოთახში, ასევე, სამზარეულოში. თუმცა, ის ნეგატიურია აბაზანისთვის. ყვითელი, ასევე, სტიმულაციას უწევს გონებრივ შესაძლებლობებს. ამ ფერის ტანსაცმელი ან აქსესუარები რეკომენდებულია მორიდებული ადამიანებისთვის.

**ოქროსფერი** – პატივისცემის და შენდობის ნიშანია. ამ ფერის სამოსს ჩინეთში მხოლოდ იმპერატორები ატარებდნენ, ასევე, მათი ნათესავები და საიმპერატორო კართან დაახლოებული პირები. ამ ფერის თბილ ანარეკლს შეუძლია ადამიანის ცუდი განწყობის შეცვლა. მას მოაქვს ოპტიმიზმი და აძლიერებს საკუთარი ღირსების შეგრძნებას, აღვივებს ადამიანში ყველა დადებით თვისებას. ოქროსფერი ფულის ფერია, წითელთან შეხამებაში კი, ის სიმდიდრისა და ბარაქის სიმბოლოა. ინტერიერში ოქროსფერი ყველაზე ხშირად სწორედ მატერიალური კეთილდღეობის მისაღწევად გამოიყენება.

**ნაცრისფერი** იდეალურია მოსაცდელი ოთახისთვის და შემოსასვლელისთვის.

**ყავისფერი** სტაბილურობის ფერია, უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და დაცულობის შეგრძნებას. კარგია ჯანსაღი ურთიერთობებისთვის. იდეალურია სასადილო ოთახის, სამზარეულოსა და საძინებლისთვის.

„ფენ-შუის“ მიმდევრები **იასამნისფერს** ჯადოსნურს უწოდებენ. ის ძალაუფლებასა და სიმდიდრეს განასახიერებს. მჭიდრო კავშირშია ადამიანის სულიერ მხარესთან, აღვივებს ფანტაზიის უნარს, აერთიანებს ენერგიულობასა და სიმშვიდეს. არ შეეფერება ისეთ ოთახებს, სადაც ადამიანი ისვენებს (გონებით და სხეულით). ამიტომ, ეს ფერი ყველაზე კარგად გამოავლენს თავს სიმდიდრის ზონაში, ბარაქისა და შემოსავლის გააქტიურებისთვის. თუ ზედმეტად მეოცნებე ნატურა ხართ, მოერიდეთ ამ ფერს.

# შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: **ჩემი შვილი დაიბადა 2005 წლის 19 ოქტომბერს, 21 საათსა და 50 წუთზე. რა არის მისი კარმული მისია, რომელ სფეროში ელის წარმატება და რომელი უცხო ქვეყნებია მისთვის სასურველი?**

პასუხი: უპირველესად, მისი კოსმიური მისიაა ის, რომ წარმოაჩინოს ხასიათში დადებითი თვისებები; კერძოდ, უნდა იყოს აქტიური, ინიციატივიანი, შრომისმოყვარე; უნდა შეძლოს ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებების წარმოჩენა, დაეყრდნოს უშიშარ, მებრძოლ სულისკვეთებას. ამავდროულად, სადაც შევა უნდა შეიტანოს სიმშვიდე და იდილია, და არა აგრესია და დეპრესია. უნდა იყოს მშვიდობის მტრედი. ურთიერთობაში გამოიყენოს დიპლომატია, კომუნიკაბელურობა, კეთილშობილება, დაეყრდნოს ცოდნის ბაზას, სამართლიანობას. ამ თვისებების გამოვლენით თქვენი შვილი დაადგება სწორ ევოლუციურ გზას, მიაღწევს წარმატებებს ცხოვრებაში და კოსმიურ მისიასაც შეასრულებს. რაც შეეხება წარმატების მომტან პროფესიებს, მისთვის ასეთებია: სამხედრო სტრუქტურები, სპორტის ფართო სპექტრი, მანქანათმშენებლობა, მანქანების ბიზნესი ან დიზაინი, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, საკონსტრუქტორო, საგამომგონებლო საქმე, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, სახანძრო, სამაშველო საქმიანობა, სამართალდამცავი ორგანოები, სადაზღვევო ორგანიზაციები, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ქორეოგრაფია, სამოდელო სფერო, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა ან ბიზნესი, იურისპრუდენცია, სადალაქო ინდუსტრია, საკონდიტრო სფერო, სოციოლოგიის ფართო სპექტრი, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, გაზის ინდუსტრია ან ბიზნესი. უცხოეთის ქვეყნებოდან, მისთვის კარგია: ინგლისი, დანია; ამერიკის შეერთებული შტატებიდან – ალასკის მხარე; კორეა, ავსტრალია, ვენესუელა, შვედეთი, ყაზახეთი, ვიეტნამის აღმოსავლეთი ნაწილი, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი, იტალია – ჩრდილო ნაწილის გამოკლებით (უფრო მისაღებია სამხრეთი ნაწილი); ასევე, ბირმა, არგენტინა, ეგვიპტე, ტიბეტი, სან-მარინო, ესპანეთის კატალონიის მხარე, მონაკო, ლატვია, გვატემალა, ჰავაის კუნძულები, ავსტრია.

## ორშაბათი 18 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული სამყარო" **09.30** ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **14.00** "სამოთხის ვაშლები" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.30** "ჩემი წიგნი" **22.00** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ტრ.) **23.00** მხ/ფ "**ბერძენი მაგნატი**" **00.50** მხ/ფ "**უილბლონი**".

**08.00** სერ. "**შურისმაძიებელი**" **09.00** ღამის შოუ **10.00** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა. **11.20** სერ. "**სილა**" **13.00** კულინარიული დუელი **14.45** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45**სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.45, 19.03** სერ. "**ბამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **1** სერ. (გ/ჩ) **23.00** სერ. "**20 წუთი**" **20** სერ. **00.00** მხ/ფ "**კაშკაშა ვარსკვლავი**" **02.10** მხ/ფ "**გაქცევის გეგმა**".

**07.00** სერ. "**არ დამივიწყო**" **08.00** ქ.მხ/ფ. **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ. **14.00** ქ.სერ. "**მეზობლები**" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**კარადაი**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** კომედის კონცერტი **00.00** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **00.30** უკანასკნელი გმირი **01.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** მხ/ფ "**ძნელი დასაწყისი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ერთი წვეთი **08.40, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ფიროს-მანი**" **13.35** კონცერტი -ანს. "**ბასიანი**" **15.05** ტელეზღაპარი **15.20** სპექტაკლი - "**წუთისოფელი ასეა**" **16.50** დ/ფ " პროფესია კინორეჟი-სორი - სოსო ჩხაიძე" **18.10** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**სანამ წვიმა გადივლიდეს**" **20.40** ძილი ნებისა **21.25** პატერიკი **21.30** ღვთის სახლი **21.45** დ/ფ "წმინდა ანტონის სავანე" **22.25** დ/ფ "ღირსი მამა ალექსი შუშანია" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "შურიმშინე" **00.35** განთიადის სიუჟეტი **01.00** მხ/ფ "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **02.15** ირაო.

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.10** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვ-ილისგან (ანეკდოტების ნაკრები) გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.05, 11.05 სერიალი** "**სიყვარული და ღირსება**" **12.30** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.05, 14.05 სერიალი** "**ასი**" **15.40, 16.03, 17.03 სერიალი** "**1001 ღამე**" **18.40, 19.03, 20.07 სერიალი** "**ქუზეი და გუნეი**" **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15 სერიალი** "**დიდებული საუკუნე**". **სერიალი** "**მომავლის გაელვება**" **1.20** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში"(გამ.) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

## სამშაბათი 19 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.30** ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **14.00** "გურმანია" **14.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.30** "ჩემი წიგნი" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის პლეიოფი (პ/რეპ) **00.30** მხ/ფ "**იქ**" **სადაც მდინარე მიედინება**".

**08.00** სერ. "**შურისმაძიებელი**" **09.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **10.00** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.25** ქრონიკა **11.20** სერ. "**სილა**" **13.00** კულინარიული დუელი **14.45** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.40** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.45, 19.03** სერ. "**ბამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **2** სერ. (გ/ჩ) **23.00** სერ. "**20 წუთი**" **00.00** მხ/ფ "**შავი წიგნი**" **02.35** მხ/ფ "**კაშკაშა ვარსკვლავი**".

**07.00** სერ."**არ დამივიწყო**" **08.00** მხ/ფ. **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ. **14.00** ქ.სერ. "**მეზობლები**" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**კარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" (გ/ჩ) **23.00** სოციალური ცელი **23.30** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **00.30** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** ქვიშით ნაამბობი **07.30** სპექტაკლი - "**წუთისოფელი ასეა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ერთი წვეთი **08.40, 14.40, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "წმინდა ანტონის სავანე" **10.55** ფერისცვალება (რ. ძნელაძე) **11.05** დ/ფ "შურიმშინე" **11.35** პატერიკი **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ "**სანამ წვიმა გადივლიდეს**" **13.30** კონცერტი -დები გოგოჭურები **14.40** დეკორატიული ფლორა **15.05, 18.10** პატრიარქის ქადაგება **15.25** ხილთა ქება **15.40** დ/ფ "აკაკი მოგზაურობა რაჭა -ლეჩხუმში" **16.20** მხ/ფ "**ქეთო და კოტე**" **18.25** "დიდ ხარ შენ,უფალო" მოციქულები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ./ფ."**ღვინის ქურდები**" **19.50** ღია აუდიტორია **20.30** ფერისცვალება (პატრ. ჯგ.) **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** "ჩვენი ამბავი" **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** საუფლონი "ნათელი თაბორისა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი - ე. კავლელიშვილი "ზარზმის ფერისცვალების ხატი" . გვანცელაძე **23.35** მგზავრები წუთისოფლისა **00.35** განთიადის სიუჟეტი **00.50** მხ/ფ "**აბეზარა**" **02.15** ირაო.

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (ანეკდოტების ნაკრები) გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.05, 11.05 სერიალი** "**სიყვა-რული და ღირსება**" **12.30** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.05, 14.05 სერიალი** "**ასი**" **15.40, 16.03, 17.03 სერიალი** "**1001 ღამე**" **18.40, 19.05, 20.07 სერიალი** "**ქუზეი და გუნეი**" **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15 სერიალი** "**დიდებული საუკუნე**" (I სეზონი) **0.30 სერიალი** "**მომავლის გაელვება**" **1.20** გადაცემა "ID"(გამ) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

გაგრძელება 47-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**18–24 აგვისტო**

*დარბაზი 1*

14.15, 17.20, 20.10 - **„კუ ნინძები”** 3D; ხანგრძლივობა: 1 სთ. 30 წთ;

22.30 - **„ვიდეო დიდებისთვის”**; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 35 წთ.*

*დარბაზი 3*

14.00 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 45 წთ;*

16.45 - **„მაიმუნების პლანეტა: რევოლუცია”** 3D; *ხანგრძლივობა: 2 სთ. 10 წთ;*

19.45, 22.30 - **„ჰერკულესი”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 40 წთ.*

*დარბაზი 4*

14.15, 17.15, 20.00 - **„ვიდეო დიდებისთვის”**; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 35 წთ.*

22.30 - **„გალაქტიკის მცველები”** 3D; *ხანგრძლივობა: 2 სთ.*

*დარბაზი 5*

14.30, 17.30, 20.00 - **„გალაქტიკის მცველები”** 3D; *ხანგრძლივობა: 2 სთ.*

22.30 - **„კუ ნინძები”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 30 წთ.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

14.30, 17.30, 20.00, 22.30 - **„კუ ნინძები”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 30 წთ.*

*დარბაზი 2*

14.15 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 45 წთ;*

16.30, 22.30 - **„მაიმუნების პლანეტა: რევოლუცია”** 3D; *ხანგრძლივობა: 2 სთ. 10 წთ.*

19.30 - **„ნაბიჯით წინ”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 45 წთ.*

*დარბაზი 3*

14.30, 22.30 - **„კუ ნინძები”** 3 (ინგლისურად); *ხანგრძლივობა: 1 სთ. 30 წთ.*

17.30 - **„ნაბიჯით წინ”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 45 წთ.*

20.00 - **„ჰერკულესი”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 40 წთ.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი ბზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# საუზმე ჭარხლითა და კარტოფილით





**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ცალი მოზრდილი კარტოფილი, 3-4 ცალი საშუალო ზომის ჭარხალი, 1 ცალი ნაკლებმარილიანი თევზის ფილე (ქაშაყი უკეთესია), 1 მოზრდილი თავი ხახვი, 2 ცალი კვერცხი, ზეთი, 180 გრამი ცხიმიანი ყველი, 2 ჩაის კოვზი მდოგვი.

**მომზადების წესი:** კარტოფილი მოხარშეთ ან აირღუმელში გამოაცხვეთ. ასევე, მოიქეცით ჭარხლის შემთხვევაში. მოხარშეთ კვერცხი მაგრად. კარტოფილი გააცივეთ და დაჭერით რგოლებად, დაახლოებით 0,5-1 სანტიმეტრის სისქეზე. კარტოფილი გნებავთ გაფცქვენით, გნებავთ კანიანად დატოვეთ. გამომცხვარს კანი ძალიან უხდება. თევზს გააცალეთ კანი და დააქუცმაცეთ. მოაყარეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ხახვი და გააჩერეთ რამდენიმე წუთი. შეგიძლიათ, სულ ცოტა ზეთი ან ძმარი მოასხათ. გემოვნების საქმეა. რგოლებად დაჭრილი კარტოფილი შებრაწეთ ზეთში ორივე მხრიდან. ჭარხალი გახეხეთ. მოხარშული კვერცხი გაყავით, გული  ცალკე, ცილა – ცალკე. გახეხეთ ცალ-ცალკე. ყველი წვრილად დაფხვენით და შეურიეთ ცილა, მდოგვი და ასრისეთ კარგად. უყავით ძალიან ცოტა მარილი. ეს მასა მოასხით ჭარხალს და აურიეთ კარგად. კარტოფილის რგოლები დააწყვეთ ლანგარზე და თითოეულს ზემოდან თითო ჩაის კოვზი ხახვიანი ქაშაყი დაადეთ. მორთეთ გახეხილი კვერცხის ცილით. სუფრასთან მიიტანეთ ჭარხალთან ერთად. შეგიძლიათ, გამოიყენოთ მდნარი ყველიც.

# მაკარონი უჩვეულო სოუსით



* ხილით სავსე ლარნაკში ჩადეთ ლიმონი. ის ხილს დიდხანს შეუნარჩუნებს სიქორფეს.

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 შეკვრა ნებისმიერი მაკარონი, 150 გრამი ბეკონი, 1 თავი წითელი ხახვი, 2 კბილი ნიორი, 300 მილილიტრი ნაღები, 100 გრამი რბილი ყველი, ცოტა თეთრი, ნახევრად მშრალი ღვინო, მარილი, შავი პილპილი, ზეითუნის ზეთი, ცოტა კარაქი.

**მომზადების წესი:** ყველი დაჭერით კუბიკებად. ბეკონი ნაკლებად ცხიმიანი შეარჩიეთ და ისიც კუბიკებად დაჭერით. ხახვი და ნიორი ძალიან წვრილად დაჭერით. წითელი ხახვი იმით არის უკეთესი, რომ უფრო არომატულია.

მაკარონი მოხარშეთ ჩვეულებრივად და გადაწურეთ. ბეკონი მოშუშეთ ხახვთან და ნიორთან ერთად ცოტა კარაქში. ტაფას ჯერ ცოტა ზეთი მოუსვით და კარაქი ისე გაადნეთ, რომ არ გაშავდეს. დაასხით ცოტა ღვინო, უყავით მარილი და პილპილი გემოვნებით და შეურიეთ ნაღები. ბოლოს ჩაუმატეთ გახეხილი ყველი და კარგად აურიეთ. ყველი რომ გადნება, სოუსი მზად არის.

მაკარონი მოათავსეთ ჯამში და ბლომად მოასხით სოუსი. ძალიან ორიგინალური გემო აქვს, მოგეწონებათ.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# სწრაფი ღვეზელი









**საჭირო ინგრედიენტები:** ერთი მთლიანი „ბატონი“ (პური), 200 გრამი ნებისმიერი ძეხვი, 2 ცალი პომიდორი, რამდენიმე ცალი ზეთის ხილი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, ცოტა მაგარი ყველი, 300-400 გრამი მაიონეზი.

**მომზადების წესი:** დიდ ლანგარზე წვრილად დააქუცმაცეთ პური, ძალიან წვრილად დაჭერით ძეხვი და მოაყარეთ. შეგიძლიათ, გამოიყენოთ სადილიდან დარჩენილი ხორციც. მოასხით მაიონეზი და კარგად აურიეთ. აიღეთ გამოსაცხობი ფორმა. მოათავსეთ შიგ მიღებული მასა. ზემოდან დაალაგეთ, რასაც კი მაცივარში აღმოაჩენთ: დაჭრილი პომიდორი, სოკო, ბულგარული წიწაკა, ზეთისხილი, მოაყარეთ დაფხვნილი ყველი და გამოაცხვეთ 180 გრადუს ტემპერატურაზე 10 წუთის განმავლობაში. პიცა-ღვეზელი მზად არის.

# გუფთა რძის სოუსში







**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ფარში (ქათმის ან ღორის, შერეულიც შეიძლება), 1 თავი ხახვი, 2 კბილი ნიორი, 3 ნაჭერი თეთრი ფუნთუშა-პური, 1 ჭიქა რძე, 2 სადილის კოვზი ფქვილი, 30 გრამი კარაქი, 3 სადილის კოვზი ზეთი, მარილი, სუნელები (თუკი გიყვართ), პილპილი, შერეული მწვანილი.

**მომზადების წესი:** ფარშს ჩაუმატეთ ფუნთუშა, ძალიან წვრილად დაჭრილი ან ხორცსაკეპში გატარებული ნიორი და ხახვი. ასევე ცოტა მარილი, პილპილი და სუნელი. 1 სადილის კოვზი ფქვილი მოაყარეთ ტაფას, ჩაუმატეთ კარაქი და ზეთი. ნელ-ნელა, მორევით დაასხით რძე, კარგად გახსენით და ხარშეთ დაბალ ცეცხლზე 10 წუთის განმავლობაში. უყავით მარილი გემოვნებით. ფარშისგან გააკეთეთ პატარა გუფთები, ჩააწყვეთ ამ სოუსში და შუშეთ 30-35 წუთის განმავლობაში. მოაყარეთ ძალიან წვრილად დაჭრილი მწვანილი.

# ჰოლანდიური ყველის სალათა ქეთი ფარესაშვილისგან





*შეძლებისდაგვარად, ვცდილობ, ჯანსაღი საკვებით მოვამზადო კერძები, რადგან ეს ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. ჰოლანდიური ყველის სალათა კი ის კერძია, რომელიც ძალიან ადვილად მზადდება, მსუბუქი და საკმაოდ გემრიელია.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი ჰოლანდიური ყველი, 5 ცალი მოხარშული კვერცხი, 2 ცალი მოხარშული კარტოფილი, 200 გრამი დაკონსერვებული სოკო, 3 ცალი კიტრი, 200 გრამი მაიონეზი, 1 ქილა მოხარშული სიმინდი, მარილი და შავი პილპილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ყველი მსხვილად გახეხეთ, კარტოფილი, კვერცხი და კიტრი დაჭერით კუბიკებად. სოკო ოდნავ წამოადუღეთ, ისე რომ, არ ჩაგეხარშოთ. სიმინდი გადაწურეთ. ყველაფერი ერთად აურიეთ, მოაყარეთ შავი პილპილი, დაასხით მაიონეზი და მიირთვით.

## ხორცის სალათა სატაცურითა და მანგოთი



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი მოხარშული ან დაკონსერვებული სატაცური, 200 გრამი მანგო, 4-5 ცალი სალათის ფოთოლი, 150 გრამი მოხარშული ლორი, 150 გრამი მოხარშული ქათმის ხორცი, 2 ცალი მოხარშული კვერცხი, 1 კბილი ნიორი, 1 სადილის კოვზი ცხარე მდოგვი, 3 სადილის კოვზი ბალზამიკო, 5 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 სადილის კოვზი წვრილად დაჭრილი ქონდარი, მწიკვი შაქარი, მარილი და დაღერღილი წიწაკა კი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** სატაცური სასურველ ზომებად დაჭერით. სასალათეში მოათავსეთ სალათის ფოთლები. ლორი და ქათმის ხორცი საშუალო ზომაზე დაჭერით. მსხვილად დაჭერით მანგო, კვერცხი კი ოთხად გაჭერით. ნიორი დანაყეთ, შეურიეთ მდოგვსა და ბალზამიკოს, დაასხით 2-3 სადილის კოვზი წყალი და ზეთი და ბლენდერით ათქვიფეთ. დაუმატეთ წიწაკა, მარილი, ქონდარი და შაქარი. სალათის ყველა ინგრედიენტი მოათავსეთ სასალათეში და მოასხით სოუსი.



## ოხრახუშის წვნიანი შებოლილი კალმახით

**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი კარტოფილი, 1 თავი ხახვი, 1 სადილის კოვზი კარაქი, 700 მილილიტრი ბოსტნეულის ბულიონი, 200 მილილიტრი სქელი ნაღები, 3 კონა ოხრახუში, 150 გრამი შებოლილი კალმახი, ლიმონის წვენი, ჯავზი, მარილი და პილპილი გემოვნებით.



**მომზადების წესი:** კარტოფილი გაფცქვენით და დაჭერით. ხახვი წვრილად დაჭერით და მოშუშეთ კარაქში, დაუმატეთ კარტოფილი და 2 წუთის განმავლობაში შუშეთ. დაასხით ბულიონი და ნაღები და საშუალო ტემპერატურაზე 15-20 წუთი ხარშეთ თავდახურული. ამასობაში გარეცხეთ ოხრახუში, მოაშორეთ უხეში ღეროები, დაასხით მდუღარე და 1-2 წუთი გააჩერეთ. შემდეგ გადაწურეთ და ცივი წყალი გადაავლეთ. მწვანილი წვრილად დაჭერით. ოხრახუში და მოხარშული ბოსტნეული ბლენდერით დააქუცმაცეთ, დაუმატეთ მარილი, პილპილი, ჯავზი და ლიმონის წვენი. მიიყვანეთ ადუღებამდე და ჩაანწყვეთ შიგ თევზის ნაჭრები.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# მარტივი და სასარგებლო



## სარკე-გვირილა

ეს უფრო სამშვენისია, ვიდრე სარკე, მაგრამ ძალიან მოგეწონებათ. ცოტა უნდა მოინდომოთ და კარგად დააკვირდეთ სურათებს. დაგჭირდებათ ბევრი პლასტმასის (სასურველია გამჭვირვალე) პატარა კოვზი (ერთჯერადი), მომცრო, მრგვალი სარკე, მაკრატელი, ფანქარი, წებო, მუყაოს ნაჭერი (ძველი ყუთიც გამოდგება), გააჩნია, რა ზომის სარკე-სამშვენისი გინდათ. მუყაოს შუაგულში დააწებეთ სარკე, გარშემო კი რამდენიმე წრე შემოხაზეთ და ბოლო წრეზე შემოჭერით. კოვზებს მაკრატლით მოაჭერით ტარები და მუყაოზე ისე დააწებეთ, როგორც სურათზეა ნაჩვენები. კოვზების ბოლო წრე მუყაოს ნაპირს სანახევროდ უნდა სცილდებოდეს.

ბოლო ეტაპია კოვზების შეღებვა. ნებისმიერი ფერის საღებავი გამოგადგებათ, გააჩნია, თქვენს ინტერიერს რა ფერის სარკე-სამშვენისი მოუხდება.

## დეკორი საწოლის თავზე

ძალიან ლამაზი და ორიგინალური დეკორია. დაგჭირდებათ გაზეთი, ფუნჯი და წებო. გაზეთი დაახვიეთ დიაგონალზე, წვრილ მილაკებად, როგორც სურათზეა ნაჩვენები. საკმაო რაოდენობით რომ დააგროვებთ, მერე ლოკოკინასავით დაგრაგნეთ. რამდენიმე გრაგნილი ისე შეაწებეთ ერთმანეთს, რომ ყვავილები გამოვიდეს. და მიაწებეთ კედელზე, საწოლის თავთან. ლამაზი და ეფექტური დეკორია, თან, ადვილად გაართმევთ საქმეს თავს.



* ლიმონი მხოლოდ ჯანმრთელობისა და სილამაზისთვის კი არ არის სასარგებლო, არამედ საოჯახო საქმიანობაშიც შეუცვლელია. გაურიეთ ლიმონის წვენში მარილი და ეს ნარევი დაადეთ ტანსაცმელზე მოხვედრილ ფლომასტერის ლაქას. გაწმინდეთ, შემდეგ ჩვეულებრივ გარეცხეთ. ლაქები გაქრება!

42-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 20 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **09.30** ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **12.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **14.00** "სამოთხის ვაშლები" **15.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **18.30** "ჩემი წიგნი" **19.55** **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი: **ჩეხეთი – საქართველო** (პ/რეპ.) შესვენებისას: "მოამბე" **22.00** "ქართული დოკუმენ-ტალისტიკა" **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის პლეიოფი (პ/რეპ) **00.40** მხ/ფ **"ქალაქი"**.

**08.00** სერ. **"შურისმაძიებელი"** **09.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **10.00** სერ.**"ბედის ანაბარა"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა. **11.20** სერ.**"სილა"** **13.00** კულინარიული დუელი **14.45** სერ.**"სიყვარული ცა და მიწა"** **17.40** სერ.**"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ.**"ბამბის ველი"** **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **3** სერ. (გ/ჩ) **23.00** სერ. **"20 წუთი"** **00.00** მხ/ფ **"კოდური სახელი ჯერონიმო"** **01.55** მხ/ფ **"საბედისწერო მოგზაურობა"** (ტიტ.).

**07.00** სერ.**"არ დამივიწყო"** **08.00** ქ.მხ/ფ. **10.00** სერ.**"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ. **14.00** ქ.სერ.**"მეზობლები"** **16.00** სერ.**"ეზე-ლი"** **18.45** სერ.**"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ.**"კარადაი"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** (გ/ჩ) **23.00** სერ.**"ჟამი ყვავილობისა"** **23.30** გააცინე და მოიგე **00.00** კიმონო **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ. (ტიტ.) .

**06.10** საგალობელი **06.15** ქვიშით ნაამბობი **06.25** მხ/ფ **"აბეზარა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ფერის-ცვალება (პატრ. ჯგ.) **08.40, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" **10.05** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** საუფლონი "ნათელი თაბორისა" **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ფ.**"ღვინის ქურდები"** **13.25** ქვიშით ნაამბობი **13.30** კონცერტი - ელისო ვირსალაძე **14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** ტელეზღაპარი **15.20** მხ/ფ **"ზოლიანი დოლი"** **16.50** კვირიაკე **18.10** "დიდ ხარ შენ,უფალო" მოციქულები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ **"წკიპურტები"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "გურჯის გული" **00.35** განთიადის სიუჟეტი **01.00** მხ/ფ **"ხარება და გოგია"** I ნაწ. **02.15** ირაო.

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.15, 1.20** გადაცემა "უცნობი ისტორიები" გ/ჩ **8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (ანეკდოტების ნაკრები) გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.05, 11.05** **სერიალი "სიყ-ვარული და ღირსება"** **12.30** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.05, 14.05** **სერიალი "ასი"** **15.40, 16.05, 17.05** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.05, 20.07** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **0.30** **სერიალი "მომავლის გაელვება"** **2.20** მონიტორის ჟურნალის-ტური გამოძიება"(გამ).

## ხუთშაბათი 21 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **09.30** ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **14.00** "გურმანია" **14.30** მხ/ფ **"გაყინული"** **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **18.30** "ჩემი წიგნი" **21.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **22.00** "არენა" (პ/ტრ) **23.00** მხ/ფ **"გააღეთ" პოლიციაა!"** **00.45** მხ/ფ **"სამეფო ოჯახი"**.

**08.00** სერ. **"შურისმაძიებელი"** **09.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **10.00** სერ.**"ბედის ანაბარა"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.05** ქრონიკა. **11.20** სერ. **"სილა"** **13.00** კულინარიული დუელი **14.45** სერ.**"სიყვარული ცა და მიწა"** **17.40** სერ.**"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ.**"ბამბის ველი"** **21.00** სერ.**"შავი ვარდი"** **22.00** სერ.**"შუა ქალაქში"** **4** სერ. (გ/ჩ) **23.00** სერ. **"20 წუთი"** **00.00** მხ/ფ **"შურისძიება"** **02.15** მხ/ფ **"კოდური სახელი ჯერონიმო"**.

**07.00** სერ.**"არ დამივიწყო"** **08.00** მხ/ფ. **10.00** სერ.**"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ. **14.00** ქ.სერ. **"მეზობლები"** **16.00** სერ.**"ეზელი"** **18.45** სერ.**"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ.**"კა-რადაი"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** (გ/ჩ) **23.00** სერ.**"ჟამი ყვავილობისა"** **23.30** ფორტ ბოიარდი (ქართ.) **00.00** მხ/ფ. **02.00** კურიერის დაიჯესტი **02.30** მხ/ფ. (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** მხ/ფ **"ხარება და გოგია"** I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "მსოფლიო საგანძური" **08.40, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ჩვენი ფონდი - მეუფე ანანია -ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"წკიპურტები"** **13.15** ივერიის ეკლესია **13.30** კონცერტი - სასულე მუსიკის ფესტივალი **15.05** ტელეზღაპარი **15.25** ირაო **16.10** მხ/ფ **"ლესი"** **18.10** "დიდ ხარ შენ,უფალო" მოციქულები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.15** მოკ./ფ. **"პიესა ოთხი ხელისთვის"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დ/ფ "ბრინჯაოში გამოძერწილი საქართველოს მატიანე"- ზ. წერეთელი (პრემიერა) **22.25** "დრო და ტრადიციები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "რაინდები" გ. კარტოზია **00.35** განთიადის სიუჟეტი **01.00** მხ/ფ **"ხარება და გოგია"** II ნაწ. **02.15** ირაო.

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.10** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (ანეკდოტების ნაკრები) გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.05, 11.05** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30** TV **11** მაესტროზე (იუმორ-ისტული გადაცემა) **13.05, 14.05** **სერიალი "ასი"** **15.40, 16.05, 17.05** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.05, 20.05** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** (I სეზონი) **0.30** **სერიალი "მომავლის გაელვება"** **1.20** გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

## პარასკევი 22 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "წინა-სწარმეტყველი ფანტასტები" **09.30** ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"სიყვარუ-ლის საიდუმლოებები"** **14.00** "შემოძახილი" **14.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** (**ბ**) **18.30** "ჩემი წიგნი" **22.00** მხ/ფ **"გააღეთ" პოლიციაა!-2"** **23.50** "უცნობი მუსიკა" **01.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო".

**08.00** სერ. **"შურისმაძიებელი"** **09.00** ღამის შოუ **10.00** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.05** ქრონიკა. **11.20** სერ. **"სილა"** **13.00** კულინარიული დუელი (გ/ჩ) **14.45** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.40** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ.**"ბამბის ველი"** **21.00** სერ.**"შავი ვარდი"** **22.00** სერ.**"შუა ქალაქში"** **5** სერ. (გ/ჩ) **23.00** სერ. **"20 წუთი"** **00.00** მხ/ფ **"ბრონქსის ისტორია"** **02.15** მხ/ფ **"შურისძიება"**.

**07.00** სერ.**"არ დამივიწყო"** **08.00** მხ/ფ. **10.00** სერ.**"მათ-რობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კური-ერი **12.30** ქ.მხ/ფ. **14.00** ქ.სერ. **"მეზობლები"** **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"კარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქა-ლები"** (გ/ჩ) **23.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **23.30** ბრავო

**00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.40** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" II ნაწ. **07.50** "ჩვენი ამბავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** შემეცნებით-დოკუმენტური ფილმი "მსოფლიო საგანძური" **08.40, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" **10.05** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** "დრო და ტრადიციები" **10.05** ღვთის სახლი **12.10** პორტრეტები **13.05** მოკ./ფ. "**პიესა ოთხი ხელისთვის**" **13.30** კონცერტი - მანანა დოიჯაშვილი **15.05** ტელეზღაპარი **15.25** მხ/ფ "**ბერნარდა ალბას სახლი**" **16.55** კვირიაკე **18.10** "დიდ ხარ შენ,უფალო" მოციქულები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ლომა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "რაინდები" ბალავაძე **00.35** განთიადის სიუჟეტი **00.55** მხ/ფ "**განძი**".

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **8.40, 22.00, 1.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (ანეკდოტების ნაკრები) გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.05, 14.05 სერიალი "ასი"** **15.40, 16.05, 17.05 სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.05, 20.05 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ვ **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** (I სეზონი) **0.30** ბრძოლა წესების გარეშე **1.20** გადაცემა "უცნობი ისტორიები"(გამ.) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

## შაბათი 23 აგვისტო

**08.00** ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **09.00** მხ/ფ "**მამიკოები**" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **13.30** "სპექტაკლის დრო" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **16.30** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.55** **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი: "**ზესტაფონი**" – "**დინამო**" (პ/რ) **22.00** "წითელი ზონა" **23.00** მხ/ფ "**ექსპრეს-ინფორმაცია**" **00.50** მხ/ფ "**სიყვარული მანძილზე**".

**07.30** ან/ფ "სპანჯბობი" **08.00** მხ/ფ "**ჯაშუში ბავშვები - 4**" **10.15** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** ვაკანსია **12.00** სერ. "**მერლინი**" **13.00** კულინარიული დუელი **14.30** ორი ვარსკვლავი **16.30** იდენტიფიკაცია **17.40** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.45, 19.03** სერ. "**ზამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **6** სერ. **23.00** შალვა რამიშვილის შოუ **00.00** მხ/ფ "**რემბო - 3**" (ს.სტალონე) **01.40** მხ/ფ "**ბრონქსის ისტორია**".

**08.30** კურიერის დაიჯესტი **09.00** ქ.მხ/ფ. **10.00** კომედი შოუ (**3** თვის წინანდელი) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ. **14.00** იღბლიანი ბორბალი **15.30** ქ.მხ/ფ. **17.00** ქ.სერ. "**მეზობლები**" **18.45** "ექიმები" **19.45** "ვინ დაამარცხებს ვასოს" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" (გ/ჩ) **23.00** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **23.30** რა სად როდის (ბოლო სეზონის გ/ჩ) **01.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.30, 03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.40** დ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.30** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი -ინგა მილორავა - დიმიტრი ყიფიანი **09.05** "განთიადი" **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართ. მულტფილმი **10.50** კვირიაკე **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** მხ/ფ "**ლომა**" **13.30** სღვთისმეტყველო საუბრები **14.05** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - "**გერი**" **18.10** საქართველო არის ესე **18.35** ქვიშით ნაამბობი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** "ჩვენი ამბავი" **22.35** კვირიაკეს სიუჟეტი **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ "**ელ სიდი**" I ნაწ.

**7.00, 0.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.20, 0.15** დჭფ "სწრაფი ზოლი" **9.30, 2.15** იუმორისტული შოუ -"**4X4/10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00, 13.05, 16.00 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"**(გამ.) **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50, 1.15** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში" **15.30** NX სპიკერი **18.30** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **19.00 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**(I სეზონი) **1.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები).

## კვირა 24 აგვისტო

**08.00** ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **09.00** მხ/ფ "**გაქცეულები**" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **13.30** ქართ. მხ/ფ "**ლაქა**" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.55 კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი: **საქართველო – უნგრეთი** (პ/რ) შესვენებაზე: "მოამბე" **21.50** კონცერტი: "**შვიდკაცა**" – **15** წელი სცენაზე **23.40** მხ/ფ "**შეყვარებული შექსპირი**" (გ.პელტროუ) **01.40** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები".

**07.30** ან/ფ "სპანჯბობი" . **08.30** მხ/ფ "**ნამდვილი მამაკაცი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** ბასტი ბუბუ (გ/ჩ) **12.00** სერ. "**მერლინი**" **13.00** EMERGENCY — სასწრაფო დახმარება **14.30** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **17.30** სერ. "**სიყვარულის სეზონი**" **7** სერ. **20.30** იუმორინა (გ/ჩ) **22.00, 23.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **7-8** სერ. **00.00** მხ/ფ "**ამანათები წარსულიდან**" **02.00** მხ/ფ "**რემბო 3**".

**08.30** კურიერის დაიჯესტი **09.00** ქ.მხ/ფ. **10.30** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.30** ვინ დაამარცხებს ვასოს **14.00** სოციალური ცელი (**19** აგვ.) **14.15** სიცილის ზონა **15.30** ექიმები **16** აგვ. **16.30** ქ.მხ/ფ. **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" (გ/ჩ) **23.00** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **23.30** უკანასკნელი გმირი **00.00, 02.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.40** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** გამოყენებითი ხელოვნება **08.45** ქვიშით ნაამბობი **09.05** "განთიადი" **10.35** ისტორიის დღიური **10.40** სიახლენი **10.10** ივერიის ეკლესია **11.25** ქართული ალბომი **11.50** თეთრიდან თეთრამდე **12.10** მხ/ფ "**არდადეგებზე**" **13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** სღვთისმეტყველო საუბრები **18.30** "ჩვენი ამბავი" **18.40** დროის ჩანაწერები **19.25** მხ/ფ "**არასერიოზული კაცი**" **21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.35** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მადლმოსილი ოჯახი - კარბელაშვილები **00.30** პორტრეტები **01.30** მხ/ფ "**ელ სიდი**" II ნაწ.

**7.00, 0.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.20, 0.15** დჭფ "სწრაფი ზოლი" **9.20, 2.15** იუმორისტული შოუ - "**4X4/10.00, 1.40** გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00, 13.05, 16.00 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"**(გამ.) **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50, 1.15** გადაცემა "ID" **15.30** NX სპიკერი **18.40 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**(I სეზონი) **2.00** ახალი ამბები.

### ვერძი

პროფესიონალურ ასპარეზზე სწორი გათვლები და სვლები გააკეთეთ. იყავით მეტად კომუნიკაბელური და ორგანიზებული. კარგია უცხოეთში გამგზავრება. საქმიანი პარტნიორები და ნათესავები ყველაფერში გვერდით დაგიდგებიან, სასიყვარულო ურთიერთობა კი სერიოზულ ფაზაში შევა.

### კურო

თუ ზუსტად დაისახავთ მიზანს, მიაღწევთ. საჭიროების შემთხვევაში, შეცვალეთ სამოქმედო ტაქტიკა. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და თავდაჯერებულობა. არ გირჩევთ საცხოვრებლის შეცვლას. სასიყვარულო პარტნიორთან სიტუაცია გამოსწორდება, რაც ცხოვრებაში მეტ სტიმულს მოგცემთ.

### ტყუპები

პროფესიონალურ სფეროში იყავით მეტად კომუნიკაბელური. მიღებული ინფორმაცია ლოგიკურად გადააფასეთ. ხშირად დაეკითხეთ რჩევები და კონსულტაციები გამოცდილ ადამიანებს. მოგზაურობა სასიამოვნო მოგონებებს დაგიტოვებთ, მეგობრობა კი, შესაძლოა, დიდ სიყვარულში გადაიზარდოს.

### კირჩხიბი

მიუხედავად დროის უქონლობისა, არ თქვათ უარი დამატებითი ცოდნის მიღებაზე – ასე გაიუმჯობესებთ მატერიალურ მდგომარეობას და უფრო წარმატებული გახდებით. ახლობლებთან კონტაქტი და ქალაქგარეთ გასვლები დაგეხმარებათ ენერგიის აღდგენაში. პირად ურთიერთობებში კი იყავით მეტად დამთმობი. მოერიდეთ ნერვიულობას.

### ლომი

თქვენი ენერგია კლებას იწყებს. ბევრ დროს წაგართმევთ კონტაქტები, მოგზაურობები, ახლობლების დახმარება და მათზე ზრუნვა. არ არის გამორიცხული, გავლენიანი ადამიანებისგან დახმარება მიიღოთ. მოერიდეთ ფარულ ქმედებებსა და პირად ცხოვრებაში ცვლილებებს.

### ქალწული

შესაძლოა, ახალმა სასიყვარულო რომანმა მთლიანად შეცვალოს თქვენი ცხოვრების სტილი. ეცადეთ, არ ინერვიულოთ და ემოციურად არ მიუდგეთ მოვლენებს. კარგია შორეული მოგზაურობა. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და დაიცავით ცხოვრების ჯანსაღი წესი.

### სასწორი

საქმიან ურთიერთობებში იყავით მეტად სანდო და ერთგული. სასიყვარულო პარტნიორი დაგეხმარებათ ცხოვრებისეული პრობლემების გადალახვაში. ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად შეიმუშავეთ სტრატეგიის ახალი ფორმები და იდეები. კარგია დასასვენებლად გამგზავრება.

### მორიელი

გაზრდილი ფანტაზიის უნარი დაგეხმარებათ საზოგადოებაში სასურველი პოზიციის დაკავებაში. დაფიქრდით სამომავლო გეგმებზე და დეტალებში გათვალეთ ყოველი ნაბიჯი. არ არის გამორიცხული, სასიყვარულო პარტნიორთან პრობლემები შეგექმნათ, ამიტომ, იყავით მეტად დამთმობი.

### მშვილდოსანი

გამბედავი, პრაქტიკული და შეუპოვარი იქნებით. სწორად შეარჩიეთ საქმიანი პარტნიორები. ნუ იზარმაცებთ და ყველაფერი გამოგივათ. კარგია აქტიური დასვენება. ამ პერიოდში დაწყებული სასიყვარულო რომანი დიდხანს ვერ გასტანს.

### თხის რქა

კარგია მოგზაურობა და კონტაქტები. გამოცდილ ადამიანებთან ურთიერთობით შეძლებთ მატერიალურ სფეროში საჭირო ინფორმაციის მოპოვებას. საიდუმლოებები ოჯახური კონფლიქტის მიზეზი გახდება, მეტყველება კი სასიყვარულო კავშირს შეარყევს.

### მერწყული

ჩანაფიქრების განხორციელებისას გააკონტროლეთ ემოციები. მოერიდეთ შეცდომების დაშვებას. იყავით მეტად პრაქტიკული. მოგზაურობისას ბევრ საინტერესო ადამიანს გაიცნობთ. ნუ ეცდებით, თავგადასავლების ძიებით არსებულ სასიყვარულო კავშირს მიაყენოთ ზიანი.

### თევზები

ენერგიული და საქმიანი იქნებით. თავდაჯერებულობა და პროფესიონალიზმი ლიდერის პოზიციას გაგიმყარებთ. აქტიურობით შეძლებთ ბევრი საქმის მოგვარებას. ნუ გაექცევით საჭირბოროტო საქმეებზე კამათს ოჯახის წევრებთან ან საყვარელ ადამიანთან.

**ახალმთვარეობა – 25 აგვისტო, 14 სთ: 30 წთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ცვლილებების, მონანიებისა და პატიების დღეა. მოერიდეთ თმის შეჭრას. იყავით მეტად კეთილშობილი და დამთმობი. კარგია იმიჯის შეცვლა, ქველმოქმედება, საზოგადოებრივი საქმიანობა, უცხოელებთან კონტაქტი. ატარეთ ნარინჯისფერი, ნაცრისფერი, კრემისფერი, ცისფერი ან იასამნისფერი სამოსი; ქვებიდან კი ტოპაზი, საფირონი, იაგუნდი, სარდიონი ან ნეფრიტი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია მშენებლობა, საბანკო ოპერაციები. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია ინტიმური კავშირები. მოერიდეთ ფანტაზიებს და იყავით მეტად რეალისტი. ატარეთ ვერცხლისფერი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი, ცისფერი, იასამნისფერი ან ჩალისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, ამაზონიტი, აკვამარინი ან ჟადეიტი. ყურადღება მაიქციეთ სიზმრებს. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია სამეცნიერო კვლევა, საბანკო ოპერაციები, მშენებლობა. სუსტდება ბრონქები, ფილტვები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

### ოთხშაბათი

კარგია ხელშეკრულებების დადება, მოლაპარაკებები, შემოქმედებითი მუშაობა, ვაჭრობა. მოერიდეთ ძვირფასი ნივთების ყიდვასა და მსხვილ კაპიტალდაბანდებას. ატარეთ თეთრი, ვერცხლისფერი, ცისფერი, იისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ზურმუხტი, ოპალი, ცირკონი, აქატი ან ამეთვისტო. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, სახლის მშენებლობა, ადგილსამყოფლის შეცვლა. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის.***

### ხუთშაბათი

ნაკლები ილაპარაკეთ და მეტი საქმე აკეთეთ. ატარეთ თეთრი, ვერცხლისფერი, ცისფერი, იისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, მარგალიტი, მალაქიტი, რუხი ტოპაზი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ადგილსამყოფლის შეცვლა, სახლის მშენებლობა, სესხის აღება. კარგია ვაჭრობა, ნათესაური ურთიერთობები. სუსტდება კუჭი, მკერდი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

აკონტროლეთ ხასიათში ეჭვიანობა და სარკაზმი. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, ახლობლებსა და შემოქმედებით მუშაობას. დაეყრდენით ინტუიციას. მაღალია ფინანსური შეცდომების დაშვების ალბათობა, ამიტომ, იყავით ფრთხილად. ატარეთ თეთრი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ცისფერი, მწვანე ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი ზურმუხტი, მარჯანი, ჰელიოტროპი, ოპალი ან ლაბრადორი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სახლის მშენებლობა, სესხის აღება. კარგია შოპინგი, ვაჭრობა, სასამართლო პროცესების დაწყება. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.***

### შაბათი

იყავით ორგანიზებული, შრომისუნარიანი, ყურადღებიანი. არ ვარგა ფინანსური ოპერაციები, ადგილსამყოფლის შეცვლა, სასიყვარულო კავშირები. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ოქროსფერი, ჩალისფერი, ლურჯი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ კამათს, კონფლიქტებსა და ილუზიებს. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს. კარგია სწავლა და დასვენება. ატარეთ ყვითელი, ოქროსფერი, ჩალისფერი, ლურჯი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, გიშერი, მთის ბროლი ან სარდიონი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა ადგილსამყოფლის შეცვლა, სასიყვარულო კონტაქტები, ვაჭრობა. კარგია გართობა, შემოქმედებითი მუშაობა. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ბადალაშვილი
გვარის ფუძეა **ბადალი**, რომელიც არაბული სიტყვაა და ტოლფასს ნიშნავს. **ბადალი** ფეოდალურ საქართველოში სხვის ნაცვლად ბეგარის მომხდელს ნიშნავდა, კერძოდ, „ძეგლისდება" მეფეთ-მეფის გიორგის მიერ, მეთოთხმეტე საუკუნეში, ითვალისწინებდა შეუძლოდ მყოფი ხევისბერის მაგივრად ლაშქარში მისი ძმის ან სხვა ახლობლის წასვლას. ეს ინსტიტუტი ჩამოყალიბდა და განვითარდა მეთვრამეტე საუკუნეში, ცვალებადი შემადგენლობის მუდმივი მორიგი ჯარის შემოღებასთან დაკავშირებით. მორიგი ლაშქრის განაჩენი, 1774 წელს, **ბადლობის** ნებას აძლევდა სოფლის მღვდელს – „აღებ-მიცემის კაცს"; ასევე, გუთნისდედას, მეწისქვილეს და ზოგიერთი სხვა ხელობის მუშაკს.

გვარი **ბადალაშვილი** სოფელ კოდაში გაჩენილი გვარია. ამ სოფელში, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გვერდით, გაჩნდა სომხურ-გრიგორიანული ეკლესია და მისი წინამძღოლი – ტერტერა. სწორედ ამ წლებიდან გაჩნდა მარჯანიშვილიდან – მარჯანოვი, მინაშვილიდან – მინაროვი, სალათაშვილიდან – სალათოვი და ასე შემდეგ. გვარი **ბადალოვი**, რომელიც **ბადალაშვილიდანაა** გაჩენილ-გადაკეთებული, გვხვდება 1886 წლიდან.

**ბადალაშვილი** ქართველებიდან გაჩენილი გვარია. სომხები და რუსები კი დაინტერესებულები იყვნენ ქართული გვარების გადაკეთებით. ასე გაფორმდა 1863 წელს ბევრი გვარი და ეს პროცესი 1919 წლამდე გაგრძელდა.

ასე რომ, **ბადალაშვილებიც, ბადალოვებიც** და **ბადალიანებიც** ქართველები არიან.

საქართველოში 514 **ბადალაშვილი** ცხოვრობს. თბილისში – 242, თეთრიწყაროში – 145, რუსთავში – 53. არიან სხვაგანაც.

519 **ბადალიანი**: თბილისში – 269, მარნეულში – 81, ნინოწმინდაში – 77. არიან სხვაგანაც.

901 **ბადალოვი**: თბილისში – 299, მარნეულში – 208, ბოლნისში – 141. არიან სხვაგანაც.

### ელისაშვილი
გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ელისა.** გვხვდება, ასევე, სახელი **ელისე**, რომელიც ძველი ბერძნული სიტყვისაგანაა ნაწარმოები და ღვთისგან ხსნილს ნიშნავს.




1708 წელს მამუკა აბელაძისა და დათუნა კოსაძის მიერ არდაშელ ზუბულიძისადმი გაცემული დახსნილობის წიგნში მოხსენიებულია ელიოზ **ელისაშვილი.**

1721 წელს მოხსენიებულია ხოსროვანიშვილის ყმა, დათუა **ელისაშვილი.**

საქართველოში 706 **ელისაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 278, გურჯაანში – 73, ბორჯომში – 44. არიან სხვაგანაც.

### თოროზაშვილი-თოროზოვი
გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **თოროზა.**

არუთინა **თოროზაშვილი** შვილებთან ერთად მოიხსენიება 1843 წელს, დიდ თონეთში.

1843 წელს, პატარა თონეთის აღწერაში, მოიხსენიება ვახტანგ დემურაშვილი, იგივე **თოროზაშვილი.**

მოგვიანებით, **თოროზაშვილები** რუსული გაფორმებით, **თოროზოვებად** ჩაეწერიათ.

საქართველოში 86 **თოროზაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 18, გორში – 10, ბოლნისში – 8. არიან სხვაგანაც.

57 **თოროზოვი.**

### გიგოლაშვილი
გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გიგოლა**, რომელიც ქართული წარმოშობისაა – ის გიორგის ან **გრიგოლის** შემოკლებული ფორმაა.

1721 წელს საბარათაშვილოში მოიხსენიება როსტომა **გიგოლაშვილი.** მეთვრამეტე საუკუნეში, ყმების აღრიცხვის სიაში მოიხსენიება ვინმე **გიგოლაშვილი.**

საქართველოში 1 329 **გიგოლაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 324, ადიგენში – 214, გორში – 200. არიან სხვაგანაც.

### ხანდამაშვილი
გვარის ფუძეა სიტყვა **ხანი**, რომელიც თურქულ და მონღოლურ ენებზე სახელმწიფო მთავარს ნიშნავდა.

**ხანდამაშვილები** იყვნენ აზნაურები. ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ ჩონჩხურსა და თაგუთში. იყვნენ, ასევე, უყმო **ხანდამაშვილებიც.**

1721 წლის აღწერით, ალავერნა **ხანდამაშვილს**, ყაფლანიშვილების მემამულეს, სოფელ თაგეთში ყმები ჰყავდა.

საქართველოში 42 **ხანდამაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 23, თეთრი წყაროში – 13, გურჯაანში – 6.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

---

(37-ე გვერდიდან)

# რატომ უშლიდა ნადეჟდა ალილუევა სტალინს ბერიასთან ახლო ურთიერთობას

შვილობილები და მისი „სისუსტე" გახლდათ. ის სწორედ ამ სისტემიდან გამოსულ ადამიანებს ენდობოდა ყველაზე მეტად. ამ პრინციპს კი ასე ხსნიდა: „დისციპლინა, გონიერება და პასუხისმგებლობის გრძნობა – აი, რა ახასიათებთ „ჩეკისტებს". ახალი ქვეყნის შენება კი, ამ თვისებების გარეშე, წარმოუდგენელია. ისინი (ჩეკისტები) კომუნიზმის „პრარაბები" არიან და მათ მიერ აშენებულ სამყაროში უნდა იცხოვრონ თაობებმა". როგორც ყველა ნორმალური მმართველი, სტალინიც, რა თქმა უნდა, კომპლექსურად აზროვნებდა და ათეული წლებით წინ იყურებოდა. მან ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეშივე იწინასწარმეტყველა მთელი რიგი პოლიტიკური კატაკლიზმები და მოუხედავად უდიდესი წინააღმდეგობისა, ამას მაინც მომზადებული დახვდა. ნებისმიერ მოქმედებას, ნებისმიერ პოლიტიკურ-ეკონომიკურ თუ სამხედრო ნაბიჯს, სტალინი ქვეყნის მომავალს, მის სიძლიერეს, ხოლო საბოლოო ჯამში, მომავალი თაობების ბედნიერებას უკავშირებდა. სტალინმა მშვენივრად იცოდა, რომ გლობალურ გარდაქმნებს ათწლეულები, საუკუნეები სჭირდებოდა, მაგრამ მან სულ რაღაც 20 წელიწადში უზარმაზარი სიძლიერისა და მოცულობის სახელმწიფო შექმნა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ „სუპერსახელმწიფოს" ცენტრი კავკასია იყო.

„იქ კავკასიაში, – ამბობდა სტალინი, – უდიდესი ინტელექტუალური რესურსებია დამალული და ჩვენ მათი, რაც შეიძლება, მალე აღმოჩენა და ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენება უნდა შევძლოთ". როდესაც სტალინის კავკასიურ ინტელექტზე საუბრობდა, უპირველესად, სამი რევოლუციის გამოცდილებით ხელმძღვანელობდა და მშვენივრად უწყოდა, რა როლი შეასრულეს კავკასიელებმა (მათ შორის 80 პროცენტი ქართველები იყვნენ) „რუსული" რევოლუციების საქმეში. მას სურდა, ეს რევოლუციურ-ინტელექტუალური პოტენციალი ახალი ქვეყნის მშენებლობისთვის გამოეყენებინა, ხოლო „ახალ მშენებლობებს" ახალი კავკასიური პოლიტიკა ედო საფუძვლად და მისი მართვა სწორედ ბერიას მიანდო.

რაც არ უნდა თქვას მავანმა და მავანმა, რა საბაბიც არ უნდა მოიტანოს ბერიას განსაქიქებლად (მით უმეტეს, რომ მისი მრისხანე საცეცები მეც უსასტიკესად შემეხო და ეს ლამის სიცოცხლის ფასი დამიჯდა), სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ ბერიამ, როგორც არავინ, იმდენი სასარგებლო რამ გაუკეთა თავის სამშობლოს, რაც სხვა ბევრმა სანიმუშო ქართველმა ერთად აღებულმა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბერიას ლანძღვა სტალინის ლანძღვაცაა, რადგან 20 წლის განმავლობაში ეს ორი პიროვნება მსოფლიო პოლიტიკაში უმძლავრეს ტანდემს წარმოადგენდა და სწორედ მათ ნებაზე იყო დამოკიდებული ნახევარი მსოფლიოს ბედი.

„ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები, რომ აღარაფერი ვთქვათ ნახევრადველურ მთიელ ტომებზე, ამ რეგიონს თავდაყირა ამოაბრუნებენ და შემდგომ მისი პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება სამმაგად გაგვიჭირდება. იქ (კავკასიაში) ისეთი პიროვნებაა საჭირო, ვინც ყველასთან გამონახავს საერთო ენას და მათ ვნებებს დაარეგულირებს", – სტალინს ამგვარად წარმოედგინა კავკასიის მომავალი მმართველი და საერთოდ, მომავალი კავკასიური პოლიტიკა. ანუ, მან მშვენივრად იცოდა, რომ კავკასიელთა ვნებებს მოთოკვა ესაჭიროებოდა. თუმცა, მას ეს ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე სურდა და სწორედ ამიტომ უსვამდა ხაზს მათთან (კავკასიელებთან) „საერთო ენის გამონახვის" აუცილებლობას. სტალინმა, რა თქმა უნდა, იცოდა თავისი „კადრების" შესაძლებლობები და ბერია არა მარტო მისდამი ლოიალურობის გამო დაანინაურა, არამედ მასში დაინახა კავკასიის მომავალი მმართველი, სწორედაც საერთო ენის გამონახვის ხელოვნების ცოდნის გამო. ბერიამ თითქმის ყველა კავკასიური ენა კარგად იცოდა, ნამუშევარი იყო აზერბაიჯანში, საკმაოდ მჭიდრო კავშირები ჰქონდა მთელ კავკასიაში და მისი უახლოესი გარემოცვა კავკასიელებისგან შედგებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სხვა საშუალებების გარდა, ბერიას პირადი ურთიერთობების დონეზეც მტკიცე პოზიცია ჰქონდა ამიერკავკასიაში. თუმცა, ის არასდროს მიეკუთვნებოდა ძველ ბოლშევიკთა ელიტას. სწორედ მისმა სიახლემ განაპირობა მისი აღზევება.

1931 წლის მიწურულს, კავკასიაში ორი ურთიერთდაპირისპირებული ძალა დაეჯახა ერთმანეთს. პირველს, ძველ ბოლშევიკთა „ლეგენდარული" პლეადა (ეს სიტყვა ქართველ ბოლშევიკთა მიმართ ლენინმა იხმარა) შეადგენდა და მას სათავეში „რკინის სერგო" (ორჯონიკიძე) მართავდა, მეორეს კი – ყველასთვის უცნობი, ახალგაზრდა ბერია, რომელსაც ზურგს თავად სტალინი უმაგრებდა.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**

# გახდებით თუ არა მილიონერი?

*ვის არ უნდა, ჰქონდეს ბევრი ფული, მაგრამ, პრობლემა ისაა, შეგვწევს თუ არა უნარი, ვიშოვოთ მილიონი...*

**1. რომელი მეთოდია უკეთესი ფულის შოვნისთვის?**
ა) ბევრი შრომა, კარგად ინფორმირება, ცოტა რისკი – 6 ქულა;
ბ) მემკვიდრეობის მიღება – 0 ქულა;
გ) აკეთო ის საქმე, რომელიც კარგად იცი და ნელ-ნელა აიწყო კარიერა – 3 ქულა.



**2. უოლტ დისნეის რომელი პერსონაჟი გამხიარულებთ ყველაზე მეტად?**
ა) დონალდ დაკი – 3 ქულა;
ბ) გუსტავ ჰანსი – 0 ქულა;
გ) მიკი მაუსი – 6 ქულა.

**3. თქვენი აზრით, მილიონერისთვის რა თანხაა ყოველწლიური საბრუნავი ფული?**
ა) ნახევარი მილიონი მაინც – 3 ქულა;
ბ) ალბათ, 2-3 მილიონი – 0 ქულა;
გ) მინიმუმ 5-10 მილიონი – 6 ქულა.

**4. რომელ მოსაზრებას ეთანხმებით:**
ა) რაც მეტია ფული, მით მეტია სიამოვნება – 6 ქულა;
ბ) ფული ძალაუფლებაა – 3 ქულა;
გ) ფული ბადებს შურს – 0 ქულა.

**5. გითამაშიათ თუ არა ბიზნესთამაშები, მაგალითად, „მონოპოლია“?**
ა) არა – 3 ქულა;
ბ) დიახ, დიდი აზარტით – 0 ქულა;
გ) სულ მე ვარ მაგ თამაშების ინიციატორი – 6 ქულა.

**6. რა გრძნობა დაგეუფლებათ, ერთ დღეს ქალაქის მაღალ საზოგადოებაში რომ აღმოჩნდეთ?**
ა) უზომოდ გამიხარდება – 0 ქულა;
ბ) ნეგატიურად ვუყურებ – 6 ქულა;
გ) სულ ვცდილობ, ასეთ საზოგადოებაში აღმოვჩნდე – 3 ქულა.

**7. თქვენი აზრით, შეიძლება, რომ ადამიანმა დიდი თანხა მოიგოს, მაგალითად, დოლში ან ავტორბოლებზე?**
ა) ძალიან დიდი რისკია – 0 ქულა;
ბ) ეს სფერო კარგად უნდა იცოდე – 3 ქულა;
გ) უნდა გაგიმართლოს – 6 ქულა.

**8. რომელი პროფესიის ადამიანს აქვს მეტი შანსი, იშოვოს ბევრი ფული?**
ა) ხელოვან ადამიანს – 0 ქულა;
ბ) სპორტსმენს, ექიმს, ადვოკატს – 3 ქულა;
გ) ბიზნესმენს – 6 ქულა.

**9. რა აზრის ხართ ახლო მეგობრები ერთობლივ ბიზნესზე?**
ა) კარგი აზრია – 0 ქულა;
ბ) ეჭვით ვუყურებ – 3 ქულა;
გ) არ გამოვა ასეთი ბიზნესი – 6 ქულა.

**10. მილიონერი თუ გახდებით, ეს თქვენთვის პოზიტივი იქნებოდა?**
ა) დიახ, ეს დიდი სიამოვნება და უზარმაზარი შესაძლებლობებია – 3 ქულა;
ბ) ალბათ, არა – 6 ქულა;
გ) მე მილიონერი ვერ გავხდები – 0 ქულა.

**11. სად არის ფულის დაბანდება მომგებიანი?**
ა) უძრავ ქონებაში, ხელოვნების ნიმუშებში – 3 ქულა;
ბ) აქციებში, ფასიან ქაღალდებში – 6 ქულა;
გ) არ ვიცი. ვინმეს უნდა ვკითხო – 0 ქულა.

**12. ბევრი ფული რომ გქონდეთ, შეეცდებით მის მუდმივად გაზრდას?**
ა) არა. მეყოფა – 0 ქულა;
ბ) რა თქმა უნდა – 6 ქულა;
გ) დიახ, შევეცდები – 3 ქულა.

### ნახეთ შედეგები

*0-23 ქულა: თქვენ ფულს მხოლოდ მაშინ იშოვით, თუ წარმატებულად იქორწინებთ მილიონერზე ან ვინმე გაჩუქებთ; სხვა შანსი არ გაქვთ.*

*24-48 ქულა: სიმდიდრის მოპოვება თქვენთვის მუხლჩაუხრელ შრომასთან არის დაკავშირებული. გაურბიხართ რისკსა და ფინანსურ მაქინაციებს, ამიტომ, ცხოვრება მეტნაკლებად უზრუნველყოფილი გექნებათ.*

*49-72 ქულა: ძალიან დიდი შანსი გაქვთ, ოდესმე მილიონერი გახდეთ. კომერციის ნიჭი და კარგი ალღო ამაში მხოლოდ დაგეხმარებათ. ცოტა რისკი არ გყოფნით და, შეიძლება, არც საწყისი კაპიტალი, თუმცა, ამ დაბრკოლებებს წარმატებით დაძლევთ.*

## საოცარი მუზარადი

შუა საუკუნეების ევროპა მუდმივად ომობდა, ამიტომ მაშინ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საომარ აქსესუარებს – შუბებს, ხმლებს, მუზარადებსა და აბჯრებს. ყველაზე ლამაზი და ძვირფასი საომარი აქსესუარები ჰქონდათ მეფეებსა და წარჩინებულ რაინდებს. მსოფლიოში მუზარად-შედევრად ითვლება საფრანგეთის მეფის, კარლ მეცხრის სახელგანთქმული მუზარადი. რომელიც სრულიად განსხვავებული და ფანტასტიკურია. დღეს ის ლუვრში ინახება.

კარლ მეცხრე სამეფო ტახტზე 9 წლის ავიდა – მისი უფროსი ძმის, ფრანცისკის გარდაცვალების შემდეგ. სამეფოს, ფაქტობრივად, დედამისი, ეკატერინე მედიჩი მართავდა. 13 წლის მეფე სრულწლოვნად გამოაცხადეს, მაგრამ მაინც ბავშვი იყო. სახელმწიფო საქმეების არაფერი ესმოდა და არც აინტერესებდა; ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს, მაგრამ საომარი აქსესუარები ძალიან მოსწონდა.

მუზარადი მისთვის კარის მჭედელმა პერ რედონმა დაამზადა საოცარ შუბთან და მოღუნულ ხმალთან ერთად.

მუზარადი რკინისგანაა გამოჭედილი და შემდეგ მთლიანად მოოქრული. მასზე შესრულებულია გრავიურები და სიუჟეტები სხვადასხვა ციხესიმაგრის ალებისა. ასევე, საუცხოო ორნამენტები, ხილი და ფონტენბლოს პეიზაჟები. მუზარადის ფორმა ანტიკური მხედართმთავრების სტილშია. ასეთი ფორმის მუზარადი ეხურათ ალექსანდრე მაკედონელსა და იულიუს კეისარს. მუზარადს თავისი ფუნქცია ერთხელაც არ შეუსრულებია – კარლ მეცხრეს ის არასდროს დაუხურავს ბრძოლაში, რადგან, არც ერთ ბრძოლაში არ მიუღია მონაწილეობა, საკმაოდ ახალგაზრდა გარდაიცვალა – 23 წლის ასაკში. მუზარადი დღეს უძვირფასეს რელიკვიად ითვლება...

## საპონი თმისთვის

თხელი, საპნის მაგვარი სითხე სპეციალურად თმის დასაბანად, ანუ – შამპუნი, პირველად ინდოეთში გამოიგონეს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე საკმაოდ ბევრი საუკუნის წინათ. მეცხრამეტე საუკუნეში ამ სითხით ძალიან დაინტერესდნენ ინგლისელი კოლონიზატორები და მათ „თმის საპნის“ საკუთარი ვარიანტი შექმნეს, თუმცა, სახელწოდება ინდური შეუნარჩუნეს. მაგრამ თავიანთ შამპუნს ყიდდნენ ფხვნილის სახით, რბილ, უბრალო პაკეტებში, რომ ეკონომიური ყოფილიყო.



ამ ფხვნილის შესახებ შეიტყვეს ჰანც შვარცკოპფის ბერლინის აფთიაქების მეპატრონეებმა... მალე მათ თავიანთი ფხვნილის წარმოება დაიწყეს, პაკეტებზე ქალის შავი თავი დაახატეს და თავიანთი გვარი დააწერეს. მალე შვარცკოპფმა მიატოვა სააფთიაქო ქსელი და შამპუნების წარმოების ფაბრიკა გახსნა. მისი სიკვდილის შემდეგ კი საქმე მისმა ცოლმა და შვილებმა წარმატებით განაგრძეს. 1927 წელს სწორედ მათ გამოუშვეს პირველი თხევადი შამპუნი ფლაკონით. გავიდა სამი წელი და ფრანგულმა ფაბრიკამ „ლორეალმაც“ გამოუშვა თხევადი შამპუნი საკუთარი რეცეპტითა და შეფუთვით, მერე კი ჩაატარა მარკეტინგული კვლევა, რომელმაც გაარკვია, რომ ფრანგების 30 პროცენტი თავს საერთოდ არ იბანდა. 1931 წელს შამპუნით ამერიკელებიც დაინტერესდნენ – ეს იყო ჯონ ბრეკი. ჯერ მან, მერე კი მისმა შვილმა, თავბრუდამხვევი სარეკლამო კამპანია წამოიწყეს. მათი ძირითადი ლოზუნგი იყო: „თუ თავს შამპუნით დაიბანთ, თმა ბავშვის თმასავით რბილი და ნაზი გაგიხდებათ“.

*P. S. არსებობს ერთი წერილი, ნაპოლეონის მიერ ჟოზეფინასადმი მიწერილი, სადაც იმპერატორი მეუღლეს სთხოვდა, შამპუნით არ დაებანა თავი – შენი თმის ბუნებრივი სურნელი მომენატრაო. ნაპოლეონის და, პოლინა, ძმისგან განსხვავებით, ძალიან სუფთა იყო და ყოველდღე გულდასმით ბანაობდა...*

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# როცა ქალს უყვარს...

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №27-32(711)**

თიკომ მობილურს დახედა: „როგორ ეძინა ჩემს სიხარულს?“ – მესიჯი კოტესგან იყო და ქალს მაშინვე მოეშხამა გუნება. „უყურე ამას, როგორი ნაძირალაა? გუშინ უცერემონიოდ გამომისტუმრა, ფაქტობრივად, სახლიდან გამომაგდო და ახლა მწერს, ჩემო



სიხარულოო... დეგენერატი! თუ ჰგონია, ამას ასე ადვილად ვაპატიებ, ძალიან ცდება. ძვირად დავუსვამ გუშინდელ საქციელს. მოვიფიქრებ, როგორ უნდა დავსაჯო, უფრო სწორად, ჯარიმის რაოდენობას განვსაზღვრავ. მანქანა ხომ არ გამოვაცვლევინო?!“ – თიკომ თვალები მოჭუტა, ხელები შიშველ მუხლისთავებს შემოხვია და ლოყით დაეყრდნო... „ჰო, ზუსტად ლენუკასნაირ მანქანას ვაყიდვინებ... რატომაც არა?! უკეთესსაც ვიმსახურებ, პრინციპში... რა გააკეთა, გუშინ როგორ მომექცა... კიდევ კარგი, რომ ჩემი ქმარი არ არის... ეგრევე ვუღალატებდი. ლენუკა სულელია, მაგას რომ შესციცინებს... ერთი უნდა ვურჩიო, ვინმე გაიჩინოს... კოტეზე ახია, რომ ცოლი ღალატობდეს... საზიზღარი. დარწმუნებული ვარ, მომენტი რომ ჩაუვარდეს, კიდევ ერთ ქალზე არაფრის დიდებით არ იტყვის უარს“, – ამის გაფიქრებაზე თიკო უფრო მეტად გაიბუსხა და მომდევნო გზავნილი ამრეზილმა წაიკითხა: „არ გამიბრაზდე, ჩემო ლამაზო... ზოგჯერ ცოლსაც უნდა მივხედო... სულ ტორტის ნაჭერიც მოსაბეზრებელია და წამიცდა ჭადისკენაც ხელი... უნდა შემირიგდე... დღეს საღამოს ჩვენს კაფეში გელოდები... უარს არ მივიღებ“... თიკომ მაშინვე წაშალა მესიჯი და პირველად ინატრა, თვითონ კი არა, ვილაც სხვა ქალი ყოფილიყო კოტეს საყვარელი, რომ ეს გზავნილი ლენუკასთვის ეჩვენებინა, მერე კი გრანდიოზული სკანდალით დამტკბარიყო... კოტეს მიმართ ურთიერთობის დასაწყისში რაღაც გრძნობა ჰქონდა, რომელსაც მხოლოდ ძალიან ოპტიმისტი თუ დაარქმევდა სიყვარულს. თუმცა, როგორც კაცი, მოსწონდა და მისმა სოციალურ-მატერიალურმა მდგომარეობამაც შეიტანა მოკრძალებული წვლილი... თიკო შურიანი არ იყო, მაგრამ კარგი ცხოვრება მასაც უნდოდა. კოტემ თვითონ იაქტიურა და თიკოსაც ძალიან აღარ გამოუდვია თავი... მართალია, თავიდან ლენუკას მიმართ მორიდების გრძნობა ჰქონდა და ცოტა სინდისიც აწუხებდა, მაგრამ მერე თავი დაიმშვიდა – ბოლოს და ბოლოს, ეს კოტე ისეა ატეხილი, საყვარლის გარეშე მაინც არ გაჩერდება და რაღა სხვასთან წავიდეს მისი ფულები... მე ზედმეტსაც არ მოვინდომებ და დავზოგავო... ამან საშუალება მისცა, გულდამშვიდებით გაეგრძელებინა ლენუკასთან მეგობრობაც და კოტესთანაც გაება რომანი... საყვარელი ძალიან არ აწუხებდა და ძუნწიც არ იყო. თუმცა, შეჯანჯღარება ზოგჯერ მაინც სჭირდებოდა... მაგალითად, ახლა თიკოს უნდა ეგრძნობინებინა, რომ შეურაცხყოფილი იყო და კაცს ეს ადვილად არ ჩაუვლიდა... ამიტომ, გზავნილები წაშალა და უპასუხოდ დატოვა. მერე ყავა დალია. გახალისებულმა იმით, რომ მალე ახალი მანქანა ეყოლებოდა, ლენუკას დაურეკა.

– რას შვრები, ისევ აგარაკზე ხარ?

– ჰო... კოტე წავიდა და აღარ ვიცი, რა გავაკეთო... ხომ არ ამოხვალ?!

– შენ რა, მანდ დიდხანს აპირებ დარჩენას? თბილისში არ ჩამოდიხარ?

– რა ვიცი, აბა? სახლშიც საქმე არ მაქვს. კარგი ამინდია. ცოტას გავირუჯები. ეს სოლარიუმი დიდად არ მიყვარს. კანს მიშრობს. ბუნებრივ სხივებს მაინც სხვა ეშხი აქვს. ამოდი, რა... არ მითხრა, რომ არ შეგიძლია და შენს საყვარელს უნდა შეხვდე, – სიცილი დაიწყო ლენუკამ.

– გატყობ, კარგ გუნებაზე ხარ...

– ჰო, გოგო... ჩემს ქმარს ზოგჯერ აქვს ხოლმე ასეთი „გამონათებები“, თორემ ისე მაგასთან ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა, დილით მაინც მოახერხა და მომიშალა ნერვები.

– რაო? – დაინტერესდა თიკო და გაელიმა.

– ჯანდაბა მაგას! ამ ბოლო დროს ფულზე ლაპარაკს როგორც კი ვიწყებ, ცოფდება და დორბლებს ყრის?

– ჰო? რა ვიცი, გუშინ იმ დოლარებს რომ ხარჯავდი, დადორბლილის არაფერი ეტყობოდა?! – ირონიულად ჩაიკისკისა თიკომ.

– კარგი რა, ეს რა იყო... კაპიკები. ფულის მეტი რა აქვს მაგ საზიზღარს, მაგრამ ჩვენთვის ძნელად იმეტებს.

– ჩვენთვის?! – ჩაეკითხა თიკო.

– ჰო. რა დაგემართა? ჩემს თავს და სანდრიკას ვგულისხმობდი. ბავშვს ლონდონში უნდა სასწავლებლად გადასვლა და უარს ეუბნება. წარმოგიდგენია? ან თავიდანვე რა უნდოდა ჩემს შვილს ირლანდიაში, იმ ველურებში.

– კარგი ახლა, ლენუკა... ირლანდიელებზე მაგას როგორ ამბობ. აბა, ის გერჩივნა, აქ დაეტოვებინა?!

– აქ რატომ უნდა დაეტოვებინა? რა სჭირს სანდრიკოს სამაგისო. შტერი კი არ არის. რა მოხდება, ლონდონში რომ გადაიყვანოს... მაგრამ ძუნწია, ეგ საზიზღარი.

– ტყუილად წუწუნებ და ბობოქრობ. ხომ ზუსტად იცი, რომ შენსას მაინც გაიტან, – უგულისყუროდ უთხრა თიკომ და მობილურს დახედა. კოტე ურეკავდა... მეორე ბარათზე...

– ვიცი, მაგრამ რის ფასად დამიჯდება? დამაწყვეტს ნერვებს.

– კარგი, კარგი... კიდევ ვილაც მირეკავს და მერე გადმოგირეკავ...

– გასაგებია. მალე შემეხმიანე, ნუ გადაჰყვები მაგ შენს რაინდს. ისე, თუ გინდა, ჩემთან ამოდით ორივე, – დაპატიჟა ლენუკამ, თან გავიცნობ კიდეც.

– გაგიჟდი? ჯერ ასეთი ურთიერთობა არ გვაქვს, – მორჩა, წავედი!

თიკომ ცოტა ხანს კიდევ აცალა და კოტემ რომ კიდევ რამდენჯერმე დარეკა, უხალისოდ გასცა პასუხი.

– რა გინდა? მეძინა და გამაღვიძე.

– რა დროს ძილია, ორი საათი დაიწყო.

– შენი საქმე არ არის, ორ საათამდე ვიძინებ თუ სამამდე... – უხეშად მიუგო თიკომ და მიახვედრა, გაბრაზებული ვარო. მაგრამ კოტემ არ შეიმჩნია.

– მესიჯებზე რატომ არ მიპასუხე?

– იმიტომ. შენ თვითონ ვერ ხვდები?

– თიკუნ, ნუ „იბერები“ ბეღურასავით, შენ შემოგევლე. საკუთარ ცოლთან გიღალატე, საყვარელთან ხომ არა?! – ახითხითდა კოტე. თიკო გაცხარდა.

– შენ სულ „განაგლდი“, ხომ იცი?! იმის მაგივრად, რომ გუშინდელი საქციელისთვის ბოდიში მომიხადო, აქეთ „მელადავები“. ახლა გაგითიშავ და აღარ დამირეკო, იცოდე.

– მოიცა, ნუ „ვარდები“. მე შენ დაგპირდი, ცოლს გავშორდები-მეთქი?

– ვაიმე, ვინ გითხრა, რომ მინდა, ცოლს გაეყარო... მაგრამ, გუშინ, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან არაკორექტულად მოიქეცი. შეურაცხყოფილი და დამცირებული ვარ. შენ კი ბოდიშიც არ მოგიხდია.

– ბოდიში და შევრიგდით. ერთ საათში ჩვენს კაფეში გელოდები.

– არა, – ჯიუტად გაიმეორა თიკომ.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

– რას ნიშნავს, არა! არ გშია?

– არ შეგხვდები...

– თიკო, ახლა ნერვები არ მომიშალო... გეუბნები, შემხვდი-მეთქი, თორემ სახლში მოგადგები.

– ვერა. ჩემთან ვერ მოხვალ... იმიტომ რომ, შეიძლება, შენი ცოლი მოვიდეს. წელან მელაპარაკა.

– აუ, გინდა, გამაგიჟო? – აყვირდა კოტე, – პირი გაქვთ შეკრული ჩემ წინააღმდეგ თუ რაშია საქმე?

– ნუ ყვირი. მართლა შენი ცოლი ხომ არ გგონივარ?! არ მოგწონვარ და შეგიძლია, ლენუკასთან განაგრძო გუშინდელი ღამე, არ არის პრობლემა, – ცრემლნარევი ხმით ჩასძახა თიკომ.

კოტემ ამოიოხრა.

– თიკუნია, გეხვეწები, შემირიგდი... რა გავაკეთო, რომ დანაშაული გამოვისყიდო?

– არაფერი. შენი არაფერი მჭირდება, საერთოდ.

– გეყოფა ახლა. ხომ იცი, შენ გარეშე გამიჭირდება. ისედაც მძიმე ცხოვრება მაქვს. ჯორივით ვმუშაობ... ვწვალობ და რად გინდა?! ყველას რაღაც უნდა... ყველა რაღაცას მთხოვს... მე არავის ვუნდივარ. მარტო მე – ყველაფრის გარეშე!

– საწყალო... ლამის შემეცოდე... არაფერს გთხოვ და არაფერი მინდა შენგან. მეტი რა ვქნა?!

– ახლავე მოვალ შენთან და ისე დავილაპარაკოთ. მითხარი, რა წამოვიღო, რა გაგიხარდება?

– არაფერი გამიხარდება. მომეშვი! – თიკომ ამოისლუკუნა, ტელეფონი გათიშა და კმაყოფილმა გაიღიმა. შეეძლო, მშვიდად ყოფილიყო. ახლა უკვე ზუსტად იცოდა, რომ კოტეს მანქანის ყიდვაზე დაითანხმებდა.

***

სანდრო გაშტერებული შესცქეროდა დიანას. თვალიც არ დაუხამხამებია... გარშემო ვერავის და ველარაფერს ხედავდა. თითქოს სმენაც დაეხშო და მხოლოდ დიანას ხმა ესმოდა.

ლინამ წვენი მოსვა და ტომასს გაუღიმა.

– შენი მეგობარი, მგონი, სერიოზულად არის შეყვარებული ჩემს ნათესავზე... ნახე, როგორ მისჩერებია.

– ჰო. ძალიან სერიოზულად არის საქმე. მშობლებსაც კი დაურეკა სახლში.

– რაო, დიანა შემიყვარდაო? – აკისკისდა ლინა, – ვაიმე, რა საინტერესოა!

ტომასმა თავი გააქნია.

– არა. უნდა, რომ ლონდონში გადავიდეს სასწავლებლად, დიანასთან უფრო ახლოს რომ იყოს.

– ოჰო, ეგ აღარ ხუმრობს... – ლინამ ეშმაკურად გაიცინა, – შენზე რას მეტყვი? შენც ასე სერიოზულად ფიქრობ ჩემზე?

ტომასი კითხვის ასე დასმას არ ელოდა და დაიბნა. ერთბაშად ვერაფერი უპასუხა. ლინა არ მოეშვა.

– მითხარი, მართლა მინდა, ვიცოდე.

– რატომ, შენ ხომ არ მოგწონვარ უკვე სერიოზულად? – კითხვა შეუბრუნა და ამით შეეცადა თავის დაძვრენას ბიჭი.

– რა ვიცი... ჯერ გაკვირდები... დიანამ მითხრა, არ უნდა დაუშვა, რომ ბიჭი მაშინვე შეგიყვარდეს და მოგეწონოსო. დრო უნდა გავიდეს, რომ ემოცია დაცხრეს... ერთმანეთი გამოსცადოთო.



– აჰა, ესე იგი, მე და ალექსანდრე დაკვირვების ობიექტები ვართ? ლაბორატორიის თაგვებივით... ვაუ, არასოდეს მიგრძნია თავი გამოსაცდელ ვირთხად. ახლა ვფიქრობ, ეს უნდა მეწყინოს თუ გამიხარდეს... თუ ასეა, მაშინ ერთმანეთი ხშირად უნდა ვნახოთ.

– რატომ? – თვალები მოჭუტა ლინამ.

– რას ჰქვია, რატომ? უკეთ რომ დამაკვირდეთ, თანაც დღის ნებისმიერ მონაკვეთში. პრინციპში, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

– ძალიან ეშმაკი ბრძანდებით, მისტერ ტომას, მაგრამ ეს ამბავი ასე მარტივად არ გამოვა.

– გააჩნია, მონდომებას და პირადად მე, ენთუზიაზმით ვარ სავსე.

– ჰა, ჰა... არა, არა... რა გვეჩქარება... თანაც, რამდენიმე დღით ჩემს მშობლებთან მივემგზავრებით მე და დიანა.

– შორს მიემგზავრებით?

– არც ისე... დიანას ირლანდიური კოშკი უნდა ვაჩვენო. ძალიან აინტერესებს.

– მართალია? აი, მე ირლანდიელი ვარ – სანახევროდ ნამდვილად ვარ და ჯერ ირლანდიური კოშკი არ მინახავს. შენნაირ გიდთან ერთად, სიამოვნებით დავათვალიერებდი.

– არ გამოვა... – სიცილით გადააქნია ლინამ თავი, – ყოველ შემთხვევაში, ჯერ...

– ეს „ჯერ“ მომწონს... თანაც ძალიან... მაშინ, დღეს გავერთოთ.

– რომ არ ვიცით, ამათ რა გეგმები აქვთ?

– ოჰ, რა გეგმები უნდა ჰქონდეთ?! სხედან და შეჰყურებენ ერთმანეთს. ჩვენ წავიდეთ სადმე – მარტო მე და შენ.

– სად?

– ჩავსხდეთ მანქანაში და იქ მოვიფიქროთ ერთად. თანახმა ხარ?

ლინამ ცოტა ხანს იფიქრა, მერე თავი დაუქნია. ბარიდან ხელჩაკიდებულები გავიდნენ. დიანამ დაინახა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ჩუმად იჯდა და ბიჭს უყურებდა. სანდრო თითქოს ღრმა ბურანიდან გამოერკვა.

– იცი, როცა შენ გვერდით ვარ, მეჩვენება, რომ დრო ჩერდება და კიდევ ის, რომ იმ დღეს, პაბში შემთხვევით არ შევხვედრივართ ერთმანეთს.

დეა ოდნავ შეკრთა. რაც სანდროსთვის შეუმჩნეველი დარჩა.

– რატომ გგონია ასე. იმიტომ ხომ არა, რომ შემთხვევითობის არ გჯერა.

– არა... უკვე ყველაფრის მჯერა, რაც შენთან არის დაკავშირებული, – ამოიოხრა სანდრომ.

დიანამ გამაფრთხილებლად დაუქნია თითი.

– სულ ოთხჯერ შევხვდით ერთმანეთს და ძალიან წინ ხომ არ უსწრებ მოვლენებს. არ მომწონს უპასუხისმგებლო და ზერელე ადამიანები.

– მე არც უპასუხისმგებლო ვარ და მგონი, არც ზერელე. თუმცა, ახლა საერთოდ ველარაფერზე ვფიქრობ... მარტო ის ვიცი, რომ სულ მინდა, ასე ვიჯდე და გიყურო.

– ან ძალიან რომანტიკული ხარ, ან... – დიანამ წინადადება აღარ დაასრულა.

– ან სულელი, ხომ? ვიცი, ჩემი საქციელით სულელს უფრო ვგავარ, მაგრამ რა ვქნა, თუ საკუთარ თავს ველარ ვაკონტროლებ და არც მაქვს ამის სურვილი. დიანა, მითხარი, რომ ცოტათი მაინც მოგწონვარ.

გოგოს გაეღიმა ბიჭის გულწრფელ, გულუბრყვილო შეკითხვაზე.

– სულ ცოტათი მომწონხარ. ყოველ შემთხვევაში, სხვებს არ ჰგავხარ. მაგრამ, როგორ წარმოგიდგენია ჩვენი ურთიერთობა? მე მალე ლონდონში დავბრუნდები. შენც დაასრულებ სწავლას და შენს სამშობლოში გაემგზავრები. ღირს კი, საერთოდ, მოწონება-არმოწონებაზე საუბარი და ჩვენი ხანმოკლე ნაცნობობის, რომელიც მაინც შემთხვევით მოხდა, გასერიოზულება?! დღეს ხომ არ დავემშვიდობოთ ერთმანეთს?!

დიანამ ეს თქვა და სანდროს ისე შეხედა, რომ ბიჭს ეგონა, ცა ჩამოექცა თავზე... ფეხქვეშ მიწა გამოაცალეს და ჭაობისფერ ნისლში ჩაიკარგა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


## მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: ბინაში მაქვს პლუმბაგო, რომელიც ძალიან სწრაფად გაიზარდა და ფორმა დაკარგა, ხომ არ დაზიანდება მცენარე, კარკასზე რომ შემოვახვიო?**

**პასუხი:** ეს მცენარე ნამდვილად სწრაფად მზარდია და ოთახში დიდი სივრცე სჭირდება, რათა თავი ვიწროდ არ იგრძნოს. მავთულის კარკასზე ან ბადეზე მიმაგრებით პლუმბაგოს სასურველ ფორმას მიაღებინებთ. მას ყვავილები მხოლოდ პირველი წლის ტოტებზე ამოსდის, ამიტომ, გაზაფხულზე გასხალით და კარკასზე მხოლოდ გახევებული ტოტები დაუტოვეთ, რათა ახალი საყვავილე ღეროები განუვითარდეს.

**კითხვა: გამძლე მცენარეა თუ არა იზოლეპისი?**

**პასუხი:** ძლიერი, კომპაქტური იზოლეპისის გაზრდას კაშკაშა სინათლე სჭირდება. მცენარე სიგრილეში უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე სიცხეში. დადგით ჰაერიან ადგილას და მოარიდეთ სიცხეს. კარგია მინიმალისტური ინტერიერი. თუ ამ პირობებს გაითვალისწინებთ, იზოლეპისი გამძლე გახდება.

**კითხვა: როგორი პირობები უნდა შევუქმნა პელარგონიუმს, რათა კარგად გაიხაროს?**

**პასუხი:** მთელი წლის განმავლობაში ამ მცენარისთვის აუცილებელია კარგი განათება. ზაფხულობით მცენარე შუადღის მზეს მოარიდეთ. დროდადრო სიმშრალეს იტანს, მაგრამ ზაფხულობით ეცადეთ, ტენი არ მოაკლოთ. ნათელ და თბილ ბინაში ზამთრობითაც გააგრძელეთ მორწყვა. გაზაფხულზე კი გადარგეთ. იდეალურია ოთახის ტემპერატურა. თუ ზამთრობით სინათლე მოაკლდა, სიგრილეში გადადგით, თორემ ფორმას დაკარგავს.

**კითხვა: ბინაში მაქვს რეო, რომლის ფოთლებსაც წვეროები გაუხმა. რისი ბრალია და როგორ გამოვაჯანმრთელო მცენარე?**

**პასუხი:** ამ მცენარეს აუცილებლად სჭირდება ტენი. ალბათ, ტენის ნაკლებობის გამო გაუხმა წვეროები. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, რეოს მით მეტი ტენი სჭირდება, მაგრამ, გაითვალისწინეთ, რომ წყალი ზედმეტი არ მოგივიდეთ, თორემ, ამის გამო შეიძლება, ფესვები და ღერო დაულპეს. ტენის მოსამატებლად შეგიძლიათ დადგათ სხვა მცენარეებთან ერთად ან სველკენჭებიან ლანგარზე. გაზაფხულზე და ზაფხულში, ზრდის დროს, რეგულარულად მორწყეთ.

**კითხვა: როგორი პირობები მოსწონს ჰოვეას?**

**პასუხი:** ამ მცენარეს უყვარს სინათლე, თუმცა, ნაკლებად ნათელ გარემოსაც აიტანს. ზამთრობით ფანჯარასთან დადგით. ამ დროს მინიმალური ტემპერატურა 13-14 გრადუსი უნდა იყოს. საერთოდ, მოსწონს ოთახის ტემპერატურა, 18-24 გრადუსი. ჰოვეას სინათლე, წყალი და ცოტაოდენი ყურადღება სჭირდება. ფოთლები სველი ნაჭრით ან ღრუბლით გაუწმინდეთ. დადგით სამხრეთის ფანჯარასთან, სასტუმრო ოთახში.

**კითხვა: პრეტენზიული მცენარეა თუ არა ასპიდისტრა?**

**პასუხი:** ასპიდისტრა ჭირვეული მცენარე არ არის, მას მინიმალური მოვლაც აკმაყოფილებს. ჩრდილს იტანს, მაგრამ, სინათლეში უკეთ იზრდება, ოღონდ, მზის გულზე ნუ დადგამთ. იტანს ნულს ზემოთ ტემპერატურას, თუმცა ოთახში 18-24 გრადუსი ურჩევნია. მიწა ნესტიანი უნდა ჰქონდეს, ამიტომ, ზაფხულში, აქტიური ზრდის პერიოდში, რეგულარულად მორწყეთ. თუ მორწყვა ზედმეტი მოუვიდა, ფოთლებზე ყავისფერი ლაქები გაუჩნდება.

**კითხვა: როგორ სინათლეზე და ტემპერატურაზე ვამყოფო ბილბერგია?**

**პასუხი:** ბილბერგია დადგით ისეთ ადგილას, რომ დღეში რამდენიმე საათის განმავლობაში მზის შუქი ხვდებოდეს. იტანს 4 გრადუსსაც, თუმცა, სულ რომ იყვავილოს, ოთახის ტემპერატურა 18-24 გრადუსი უნდა იყოს. მცენარისთვის ყველაზე სასურველი ადგილია ნათელი სასტუმრო ოთახი.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
**ირაკლი გაბრიჭიძე**

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> **ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ განმიმარტოთ შესაძლებელია თუ არა სისხლის სამართლის პროცესში, წინასწარი გამოძიებისას მოხდეს გაცდენილი თუ გაშვებული ვადის აღდგენა?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადა, თუ ეს არ იწვევს ბრალდებულის უფლებებისა და გარანტიების არამართლზომიერ შეზღუდვას. გაცდენილი ვადის აღდგენის შუამდგომლობა სასამართლოში წერილობით უნდა იქნეს შეტანილი საპატიო მიზეზის აღმოფხვრიდან 1 კვირის განმავლობაში. სასამართლო ამ საკითხს იხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, 10 დღეში. ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის მტკიცების ტვირთი ეკისრება ვადის გამცდენ პირს. ამასთან სასამართლოს გადაწყვეტილება გაცდენილი ვადის აღდგენის შუამდგომლობის თაობაზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**კითხვა: გთხოვთ მაცნობოთ რას გულისხმობს სისხლის სამართალწარმოებაში საპროცესო ვადის დაცვა?**

**პასუხი:** ვადის დაცვა გულისხმობს, რომ საჩივარი, შუამდგომლობა ან სხვა დოკუმენტი ვადის ამოწურვამდე უნდა ჩაბარდეს მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს. საჩივარი, შუამდგომლობა ან სხვა დოკუმენტი შეიძლება ნებისმიერი საშუალებით ჩაბარდეს მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ვადა, გარდა დაკავებისა და პატიმრობის ვადებისა, გაცდენილად არ ჩაითვლება, თუ ის გაცდენილია დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) გამო.

**კითხვა: გთხოვთ განმიმარტოთ ეკისრებათ თუ არა ბრალდებულსა და მსჯავრდებულს საპროცესო ხარჯების ანაზღაურება და თუ ეკისრებათ რა სახის და რა ფარგლებში ანაზღაურებენ ისინი საპროცესო ხარჯებს?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ მსჯავრდებულს ეკისრება მისი ან მისი ადვოკატის მიერ დაზარალებულის, მოწმის, თარჯიმნისა და ექსპერტის მოწვევის, წარდგენილი ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის, მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების, ბრალდების მხარისგან მიღებული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯების ანაზღაურება. სასამართლოს უფლება აქვს, გადახდისუუნარობის შემთხვევაში მსჯავრდებული მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს საპროცესო ხარჯების გადახდისაგან.

**კითხვა: გთხოვთ მაცნობოთ, ბრალდებულის გარდაცვალების შემთხვევაში უკვე გაწეული და ბრალდებულისათვის გადასახდელი საპროცესო ხარჯების გადახდის ვალდებულება გადადის თუ არა ბრალდებულის მემკვიდრეებზე?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ გარდაცვლილი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მემკვიდრეები თავისუფლდებიან საპროცესო ხარჯების გადახდისაგან.

# რა იწვევს ავტომობილის ძრავას ხმაურს

*ავტომობილის ძრავადან მომდინარე ხმაური ყველაზე ცუდის მომასწავებელია. თუმცა, არის ხმაური, რომლის შესახებაც თითქოს ყველა მძღოლმა და ხელოსანმა ყველაფერი იცის, მაგრამ, როგორც გაირკვა, „კლაპანების“ წკრიალი ძრავას სარქველების ხმა სულაც არ ყოფილა.*

**მევლუდ მელაძე**: ამ ბოლო დროს ნავთობკომპანიები გააქტიურდნენ საწვავის ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებით. შემოვიდა ისეთი საწვავი, რომელიც ძრავასაც უვლის, თან ეკონომიურია, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ შედარებით ძვირი ღირს. ბაზარზე გაჩნდა „ჯი ფორსი,“ „ეკო,“ „ნანო“ და სხვა ტიპის ახალი საწვავი. ზოგიერთი უკვე გაიტესტა, ზოგიერთიც ამჟამად გადის ტესტირებას პროფესიონალი მრბოლელებისა და საავტომობილო ფედერაციის ექსპერტების მიერ. ამიტომ, ამაზე მოგვიანებით ვრცლად ვისაუბრებთ. სტაჟიანია მძღოლი თუ არა, ყველამ იცის, რომ ცუდი ხარისხის საწვავის ჩასხმის შემდეგ, გაზის მიცემის ან აღმართზე ასვლისას, ძრავას სექტორიდან წკარუნის ხმა ისმის, თან, ერთხელ კი არა, მიჯრით. მიზეზიც თითქოს ყველა მძღოლმა იცის – ცუდი ბენზინი ჩაასხა და „კლაპანების“ ხმაა. სინამდვილეში ეს სარქველების, ანუ „კლაპანების“ ბრალია, საიდანაც ჰაერი შედის და რომლის გაღება-დაკეტვის შემთხვევაში, გამონაბოლქვის გამოდევნა ხდება, ანუ დაუკეტაობის ბრალი სულაც არ არის.

*ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
**მიხაილ შუმახერი**

**– არის ისეთი ავტომობილებიც, დაბალი ხარისხის ბენზინი რომ სჭირდება?**

– დიახ. მაგალითად, ამერიკული მოდელები დაბალ ოქტანობაზე მუშაობენ, მაგრამ, თუ იქაც კი, 92-ოქტანობის საწვავზე ნაკლებს ჩაასხამ, იმასაც აუცილებლად ექნება წკრიალის ხმა. მილიონი რაღაც ხდება საწვავის მოცულობის გასაზრდელად: მასში ურევენ ნავთს ან სხვა მინარევებს, რაც, მართალია, იწვის, მაგრამ ბენზინს ოქტანობას აკლებს. თუ ავტომობილის მოფრთხილება გვინდა, ასეთ ქიმიურ ექსპერიმენტებს თავი უნდა დავანებოთ და დავუბრუნდეთ მთავარს – იმ ფაქტს, რომ ხმა სულაც არ მოდის „კლაპანებიდან“. ვთქვათ, მართლა სარქველების ხმაა. დაფიქრდით, როგორ შეიძლება, სარქვლის მოძრაობა შეჩერდეს და შემდეგ ხმაურით დაიკეტოს – მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება წკრიალი. ასეთი რამ, თუ ოდნავ მაინც ერკვევით ავტომობილის მექანიკაში, მიხვდებით, რომ შეუძლებელია. მარტივად რომ აგიხსნათ, ასეთი რაღაც ხდება: მოჭიმული ზამბარა ექაჩება სარქველს დასაკეტად. იმ მომენტში კი, როცა უნდა გაიღოს, სპეციალური მოწყობილობა ზამბარას აძალებს გარეთ გამოსვლას. თუ მართლა რამე გამოიწვევს სარქვლის შენელებას, ის ზამბარას უნდა მოერიოს, რათა ღია მდგომარეობაში დარჩეს. მაგრამ, „კლაპანსა“ და მიმწოლს შორის მანძილი რომ იყოს – ელემენტარული ღრიჭო, მისი დამჭერი ძალიან მარტივად ამოვარდება. ანუ, ეს მოწყობილობა წკრიალის დროსაც იდეალურად მუშაობს. რეალურად, ეს არის დეტონაციის ხმა, ანუ, რა ხდება: ძრავაში მოხვედრილი დაბალი ხარისხის ბენზინი სრულად დაწვას ვერ ახერხებს. როდესაც სანთლიდან მიიღებს ნაპერწკალს, ის ერთი აფეთქებით, სრულად ვერ იწვება და ზედ დარჩენილი საწვავის პატარ-პატარა დაჯგუფებები ერთმანეთის მიმდევრობით ფეთქდება, სალონში კი წკრიალის ხმა ისმის. დაახლოებით, რომ წარმოიდგინოთ, შედარებისთვის გეტყვით: ბომბი რომ ტყვიების საწყობში ჩავარდეს, რა მოხდება?! – ჯერ იქნება ერთი დიდი აფეთქება, მერე კი ტყვიები სულ სათითაოდ დასკდება, აფეთქდება. ზუსტად იგივე ხდება ავტომობილში. ერთმა დიდმა აფეთქებამ მოქმედებაში მოიყვანა დგუში, ხოლო დაუწვავი საწვავი მერე თანდათან ფეთქდება.

**– ოქტანობა რა შუაშია?**

– სწორედ ამიტომ ვერ ახერხებს მთლიანად დაწვას, დაბალი ოქტანობის გამო. ავტომობილს, რომელიც დაბალოქტანიან საწვავზე მუშაობს, სპეციალური, დიდი წვის კამერა აქვს, რომ აალებამ მთელი საწვავი დაწვას. მაღალი ოქტანობის ავტომობილს კი, ამისთვის ძალიან პატარა სივრცე აქვს და ამის ხარჯზე ძალიან დიდი რაოდენობით ჰაერს ტენის – მაღალია შეკუმშულობა, რომ მაღალი წნევა მიიღოს და საწვავი მთლიანად დაიწვას.

**– და დეტონაცია რაიმე პრობლემას იწვევს?**



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**
** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

– რა თქმა უნდა. ერთჯერადად არა, მაგრამ რამდენიმე ხანში ის აუცილებლად გამოიწვევს ძრავას მუშაობის შეფერხებას, ეგრეთ წოდებული „პორშინის“ გაბზარვას.

**– სარქველებს რაიმე ხმა აქვს?**

– მხოლოდ მაშინ, თუ ზემოთ ნახსენები „კლაპანის“ დამწოლი მექანიზმის ღრიჭო (ხელოსნები „ზაზორს“ უწოდებენ) მეტი, ან ნაკლებია. ანდა, იმ შემთხვევაში, თუ – ის მექანიზმი, რომელიც „კლაპანს“ აწვება, გაცვდება. თანამედროვე ავტომობილებში ეს დაშორება უკვე ზეთის წნევით რეგულირდება, რასაც ჰიდროკომპენსატორები ჰქვია. თუ ეს მოწყობილობა მწყობრიდან გამოდის და ზეთი ველარ არეგულირებს ამ სისტემის მუშაობას, ამ შემთხვევაში, რჩება დიდი მანძილი და დარტყმას აკეთებს ისე, რომ სარქვლიდან ხმა ისმის. თუმცა, ეს „საყოველთაო წკრიალთან“ და ოქტანობასთან, არაფერ შუაშია.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა**: **რა გართულებას იწვევს ზაფხულის სიცხე ძაღლის ორგანიზმში?**

**პასუხი**: ზაფხულში ხშირია კონიუქტივიტები, რაც განპირობებულია მტვრის მოხვედრით თვალის ლორწოვან გარსზე. ძაღლს ამ დროს თვალი დახუჭული აქვს, აღენიშნება ცრემლდენა და ქუთუთოების შესიება. ზაფხულში ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს ჭრილობების მოვლას იქნება ეს ოპერაციული თუ შემთხვევითი. სიცხეში ადვილად ვითარდება ჭრილობის ინფექციები. ასევე, საშიშია პარაზიტული ბუზები, რომლებიც ჭრილობაში დებენ კვერცხებს.

**კითხვა**: **სახლში ორი ლეკვი მყავს – ძუ და ხვადი, და-ძმანი. მართალია, ჯერ 2 თვისაც არ არიან, მაგრამ მაინტერესებს, ცხოველებში შესაძლებელია თუ არა დედ-მამიშვილების შეჯვარება, თუ სტერილიზაცია უნდა გაუკეთდეს ხვადს? ეს იმიტომ მაინტერესებს, რომ მათ გაჩუქებას არ ვაპირებ და მინდა, აგარაკზე ორივე ძაღლი მყავდეს.**

**პასუხი**: საკმაოდ საინტერესო და აქტუალური შეკითხვაა, რომელსაც ბევრი რატომღაც ყურადღებას არ აქცევს და ჰგონიათ, მათი შეჯვარება ჩვეულებრივი მომენტია. სქესობრივი მომწიფების შემდეგ, არაკასტრირებული ცხოველები აუცილებლად შეჯვარდებიან, თუნდაც ერთი და იმავე წყვილის შთამომავლები იყვნენ. ამ შემთხვევაში, თავს რამდენიმე პრობლემა იჩენს. მაგალითად, არასასურველი ლეკვები, ასევე, ახლო ნათესავთა შეჯვარების შედეგად, დიდია მემკვიდრეობითი დაავადებების გამოჟღავნების ალბათობა. ასე რომ, თუ სახლში ორივე ცხოველის დატოვებას აპირებთ, 6 თვის ასაკამდე აუცილებელია, იზრუნოთ მის სტერილიზაციაზე.

**კითხვა**: **მაინტერესებს, სტაფი ადამიანისთვის უსაფრთხო ჯიშია თუ მაინც საშიშია, როგორც ამას ხშირად ამბობენ?**

**პასუხი**: რა თქმა უნდა, საშიშია თუ ადამიანზე გაიწია. თუმცა, როგორც წესი, სტაფი უმიზეზოდ არ უნდა ესხმოდეს თავს. თუ გაწვრთნიან და დაცვას შეაჩვევენ, მაშინ უკვე დიდი სიფრთხილეა საჭირო. თუ ვინმე მისი პატარა ზომით მოტყუვდება, ძალიან შეცდება. მათ სისხლში აქვთ საქმის ბოლომდე მიყვანა. სეირნობა უყვარს, და ამიტომ, თუ ენერგია არ დაახარჯვინეთ, მაშინ სახლში აუცილებლად დაგხვდებათ რაიმე ნივთი გაფუჭებული. მოზღვავებულ ენერგიას ის ნამდვილად იქ დახარჯავს, სადაც არ არის საჭირო.

**კითხვა**: **ძაღლი გვინდა და არჩევანი პეკინესის ჯიშზე შევაჩერეთ. რადგან სახლში ბავშვი გვყავს, მაინტერესებს ბავშვებისთვის საშიშია მისი ოჯახში ყოლა?**

**პასუხი**: პეკინესი ოჯახისთვის საშიში ძაღლი არ არის. ის ძალიან ერთგული და მოსიყვარულეა. როგორიც პატრონს უნდა ისეთი ხდება. თუ გინდათ გეთამაშებათ, ხოლო თუ შეგატყოთ, რომ დაიღალეთ იმწუთშივე ხვდება და მოგერიდებათ. არიან ძაღლები, რომლებიც ძალიან ენერგიულები არიან და პატრონიც ასეთივე სპორტული უნდათ. პეკინესი კი ზედმეტად შემაწუხებელი არ არის. ბავშვთან თუ შეზრდილია და ოჯახში ისე არ არის გაფოფინებული, როგორც დედისერთა შვილები, ვერავის რომ ვერ იტანენ ირგვლივ, არ ეჭვიანობს. პეკინესს თუ სწორად გაზრდით, ის შეიძლება, ბავშვისთვის მშვენიერი ძიძაც გამოდგეს და სიკვდილამდე დაიცვას. ბავშვს რომ ვინმე მიეკაროს, ან თავად უთხრათ რამე უხეშად, შეიძლება, შემოგიღრინოთ კიდეც.



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი**

**ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
**ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# კაცობრიობის გადასარჩენად

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №29-32(711)**

***

ვარვარა ანტონოვნასთან ბოლო შეხვედრით უკმაყოფილო დავრჩი, ამიტომ, როცა საღამოს მიხაილი და ნასტია მოვიდნენ, ოდნავ უხალისოდ დავხვდი. ანასტასიამ მაგიდა სწრაფად გააწყო და, როცა ოდნავ შევნაყრდით, მიხაილმა მკითხა:

– აბა, ალექსანდრ, ახალი არის რამე?

– მოსაყოლი ბევრი არაფერია, – ჩავიქნიე ხელი და თვალი ანაზდეულად ნასტინკასკენ გამექცა, რომელიც ჩანგლით ბარდის მარცვალს „დასდევდა“ თეფშზე, – ვარვარა ანტონოვნა, ანუ კაბანის საყვარელი, არცთუ ისე გულახდილია, როცა საქმე ვლად რიმსკისა და ეგორ კაზაკოვს ეხება. მისი თანაკლასელი რომა აკონიკოვი კი, რომელსაც მშვიდ-



ობის გამზირზე აქვს ბინა, კომუნის თავკაცი ყოფილა და ქალაქგარეთ რომელიღაც სახლში ცხოვრობს. ის უფრო „დაზვერვის“ თანამშრომელი, ანუ შეიძლება ასეც ვუწოდოთ – „სახალხო ტაძრის“ უშიშროების გენერალი“ აღმოჩნდა. მარტივად რომ ვთქვა, მის ბინაში მიყვანის ერთადერთ მიზანს ჩემი პერსონის „დათვალიერება“ წარმოადგენდა და არა ვლად რიმსკისთან ჩემი წარდგენა.

ასე რომ, ყველაფერი უფრო გართულდა და რიმსკისთან ასე უბრალოდ მიახლოება თითქმის შეუძლებელია. არ ვიცი, ეს ინფორმაცია რამეში წაგვადგება თუ არა, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ვარვარას თანაკლასელი რიმსკის მარჯვენა ხელი მგონია. ჩემი ვარაუდით, მას ძალიან არ უყვარს, უფრო მეტიც, სიძულვილით არის განმსჭვალული იმ ავადსახსენებელი კაბანისადმი, რომელიც, ასევე ჩემი ვარაუდით, არ არის წითელკარველთა სასურველი წევრი. მისი ოდნავ ეშინიათ კიდეც, ერიდებიან. სწორედ აქ არის დამარხული ძაღლის თავი – კაბანი სასტიკი წინააღმდეგია, რომ ვარვარა ანტონოვნა შეკრებებს დაესწროს. სავარაუდოდ, „სახალხო ტაძრის“ სათავეში მოხდა ის რაღაც, რამაც ეგორ კაზაკოვი აიძულა, ვარვარა „წითელი კარვისთვის“ ჩამოეშორებინა. ესე იგი, ის თავის ჭკუაზე დადის და არად დაგიდევს ვლად რიმსკის აზრს. თანაც, ვერაფერს უხერხებენ, რადგან იცის ის, რისი ცოდნაც იმის უნარს აძლევს, მისი ეშინოდეთ კიდეც... და კიდევ ერთი... მისი მხოლოდ ვარვარას როდი ეშინია... მგონი, ამავე გრძნობას იზიარებენ „სახალხო ტაძრის“ ელიტჯგუფშიც. მე კი შაბათს, დილის ათ საათზე საყოველთაო შეკრებაზე მივდივარ... თუმცა ვფიქრობ, მალე მოვახერხებ და ვლად რიმსკის დახურულ თათბირზეც შევაღწევ, რომელზეც ალბათ „აქტივი“ იკრიბება და იმაზე მსჯელობენ, როგორ განავრცონ თავიანთი რელიგიური მოძღვრება ჩვეულებრივ მოქალაქეებზე.

მონოლოგს მოვრჩი და მიხაილსა და ნასტიას გადავხედე. მეგონა, ისინიც ჩემსავით იმედგაცრუებულები დარჩებოდნენ... მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, მათ ერთმანეთს ღიმილით გადახედეს.

– არ გეჩვენება, რომ პირველი შეხვედრისთვის ბევრიც მოახერხე? – ნასტია ფეხზე წამოდგა, – ყავა მოგიდუღოთ?

– არა, ჩაი მირჩევნია, – ვუპასუხე მისი მსუბუქი ქათინაურით ნასიამოვნებმა.

– მე კონიაკს დავლევ, – მიხაილი ბართან მივიდა, – მოკლედ, შენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია დაემთხვა იმას, რაც ჩვენთვის არის ცნობილი. კერძოდ, ეგორ კაზაკოვის ამოუცნობი ფიგურა, რომელიც ალკოჰოლის მიღებაზე უარს არ ამბობს და ამას აშკარად აკეთებს მაშინ, როცა ვლად რიმსკის მრევლისთვის ალკოჰოლიანი სასმელი მიზანშეწონილი არ არის. ჩნდება კითხვა: რატომ ეგუება „სახალხო ტაძრის“ წინამძღოლი ისეთი არაორდინარული ადამიანის მის გვერდით ყოფნას, როგორც კაბანი გახლავთ. აი, ეს უნდა შავიტყოთ... ეჭვი მაქვს, ძალიან სასარგებლო ინფორმაცია იქნება და მას საჩვენოდ კარგად გამოვიყენებთ.

– ახლა რა გეგმები გაქვს? – მკითხა ნასტიამ, რომელიც ჭიქებით ხელში შემოვიდა სამზარეულოდან, ერთი მე დამიდგა, ხოლო მეორე თვითონ მოსვა და დივანზე ჩამოჯდა.

– უპირველესად, უნდა დავუახლოვდე ვარვარა ანტონოვნას, – ანაზდეულად ნასტიას გავხედე, მან მზერა ამარიდა და ფანჯარაში გაიხედა, – მისგან უნდა გავიგო, რას მალავს ასე საგულდაგულოდ და ამ საიდუმლოს ამოხსნის შემდეგ, შევეცადო, ვლად რიმსკის ნდობა მოვიპოვო.

– იქნებ სჯობდეს, ჯერ რიგითი წევრი გახდეს და ვარვარასგან კი არა, რომელსაც წითელკარაველებთან მიახლოებაც კი ეკრძალება, არამედ თვით აქტიური წევრებისგან მიუდგეს რიმსკის? – რატომღაც მიხაილს მიმართა ნასტიამ ისე, რომ ფანჯრისთვის თვალი არ მოუცილებია.

– ვგონებ, პირველი გეგმა ჯობია, – მიხაილმა კონიაკი მოსვა, – მგონია, ასე უფრო მალე მივიღებთ შედეგს.

– თუ ასეა, ვარვარას გული უნდა მოვიგო... ამიტომ, ასეთ ეტაპზე ჯობია, საზოგადოებაში ნასტიასთან ერთად აღარ გამოჩნდე, – წარმოვთქვი და შევამჩნიე, როგორ შეირხა ანასტასია.

– მეც ასე მგონია. ნასტენკას ამ ბინაში აღარ შეხვდები... ჯობია, ინფორმაციის გასაცვლელად სამსახურში მიაკითხო ხოლმე. მაშ ასე... ახლა დავიშალოთ! – მიხაილი წამოდგა, გასვლისას მომიტრიალდა, ხელი ჩამომართვა და ღიმილით მითხრა: – ხვალ დაგირეკავ, შაბათამდე ცოტა გართობა არ გაწყენდა.

ნასტია გაბუტულივით მიჰყვა მიხაილს უკან.

***

მიხაილ კირსანოვი დაპირებისამებრ მეორე დღეს საღამოსთვის დამიკავშირდა და შეხვედრა ბოლშაია პოლიანკას ქუჩაზე დამითქვა. როცა მივაკითხე, თავისი ვერცხლისფერი „ტოიოტას“ „ჯიპი“ ავტოსადგომზე გააჩერა და ჩემს მანქანაში გადმოჯდა. ახლა ჩემს მეგობრებს გაგაცნობ. დაქოქე და, საცობს რომ თავი ავარიდოთ, პარალელურ ქუჩაზე უნდა მოვხვდეთ, – მითხრა ჩაჯდომისთანავე.

– მიხაილ, გარდა იმისა, რომ „დევნის ჯგუფის“ წევრი ხარ, რა პროფესია გაქვს? ვკითხე, როცა ორდინკაზე გავედით.

– ექიმი-თერაპევტი ვარ, – მიხაილმა ისე გაიღიმა, თითქოს რაღაცას იბრალებდა, – არცთუ ურიგო... მაგრამ კვირაში ორჯერ მივდივარ კლინიკაში. თვეში სულ რაღაც, 54 საათს ვმუშაობ. ანაზღაურება ცუდი არ მაქვს... ამას თუ დავამატებთ „ფესიქიურითიდან“ მიღებულ ჰონორარს... მარტოხელა კაცის კვალობაზე კრეზივით მდიდარი ვარ, ძმობილო.

მიხაილმა ოთხსართულიან შენობასთან გამაჩერებინა მანქანა და შესასვლელი კარისკენ გამიძღვა. თვალი ფირნიშისკენ გამექცა. პატარა დაფაზე მხოლოდ ერთი, რუსულენოვანი წარწერა ბრწყინავდა ნარინჯისფრად – „რუსსკაია მისლ“.

– დაიმახსოვრე, შენ ჩემი დეიდაშვილი ხარ და სულ ახლახან ჩამოხვედი ლონდონიდან, – გადმომიჩურჩულა მიხაილ კირსანოვმა და მოზრდილი სახელური ჭრაჭუნით ჩამოსწია.

– გასაგებია! – მეც ხმადაბლა გადავულაპარაკე და ნათელ ფოიეში აღმოვჩნდი, რომელიც მწვანედ, შინდისფრად და იისფრად შეეღებათ. თვალში მეორე სართულიდან ჩამოშვებული გრძელი, უცნაური დიზაინის ჭაღი მომხვდა და მუნდირიანი კარისკაცი, რომელიც დიდი პატივისცემით მიესალმა მიხაილს, მე კი ცერად ამათვალიერა. მივხვდი, რომ იქ ყველას არ უშვებდნენ.

– ეს ჩემი დეიდაშვილია, – გადაულაპარაკა ღიმილით კირსანოვმა და გრძელ დერეფანს გავუყევით, რომლის აქეთ-იქითაც რამდენიმე კარი იყო ჩამწკრივებული. დერეფნის ბოლოში ოქროსფერ ტიხრებში მოზაიკურად ჩასმული ფერადმინიანი კარის ოქროსფერივე სახელური ჩამოსწია და, ჩემდა გასაკვირად, დიდ დარბაზში აღმოვჩნდით, რომლის მსგავსი მანამდე არაფერი მენახა. პირველი, რაც თვალში მომხვდა, კედლებზე მიჭედებული სხვადასხვა ფორმისა და ზომის გადაჯვარედინებული ხმლები და ძველებური დამბაჩები იყო... მწვანემაუდისგადასაფარებლიანი მაგიდები დარბაზის ნახევარს იკავებდა. მეორე ნახევარზე კი ამაღლებული ფიცარნაგი დაეგოთ, რომელსაც ოქროსფერი

თოკები ყოფდა დანარჩენი სივრცისგან. მაგიდებთან თეთრი როიალი იდგა და სკამებზე საქსოფონს, ტრომბონსა და ტრემპეტსაც მოვკარი თვალი. დარბაზს კედლებზე მიმაგრებული ძველებური სტილის უამრავი ბრა ანათებდა და ეს ლოკალური განათება გარემოს სიმყუდროვეს მატებდა.

მაგიდებთან აქა-იქ ისხდნენ მამაკაცები, უფრო მეტი ასაკოვანი იყო. ისინი დიდი კათხებით ლუდს შეექცეოდნენ და ჩვენს დანახვაზე, როგორც არისტოკრატულ სალონებში სჩვეოდათ ძველად, ფეხზე წამოიშალნენ. მიხაილმა, როგორც მისი დეიდაშვილი, ისე წარმადგინა და სათითაოდ ხელის ჩამორთმევისა და გაცნობის შემდეგ, მაგიდასთან დავსხედით. ჩვენს მერე კიდევ ორნი მოვიდნენ, მათაც სწორედ ისევე შეხვდნენ. ბოლოს მაგიდებთან დავიკავეთ ადგილები. ერთ-ერთმა სოლიდურმა მამაკაცმა, რომელსაც თმა შუაზე გადაეყო და რაღაცით რუსეთის უკანასკნელ იმპერატორს ჩამოჰგავდა, დიტერ ფორტესსა და მის ნაწარმოებებზე ჩამოაგდო საუბარი, რომელიც გერმანულენოვან მოსახლეობაში ყველაზე პოპულარული მწერალი ყოფილა. ამან ლიტერატურულ თემაზე დისკუსია გამოიწვია.

– ეს მსოფლიო ლიტერატურის კარგი მცოდნე და კრიტიკოსი ვიქტორ შჩერბიცკია, – გადმომიჩურჩულა მიხაილმა.

ლიტერატურისა და კრიტიკოსის ხსენებაზე ისეთი სახე გამიხდა, როგორც იმ კაცს, სუფრაზე შემწვარი გოჭის მაგივრად, ბოლოკს ან პირშუშხას რომ მიართმევენ.

– მას თავისუფლად შეუძლია ისაუბროს როგორც რუსი მწერლების შემოქმედებაზე, ასევე ავსტრალიური და კუბური სალიტერატურო ტრადიციების შესახებაც.

კიდევ ერთხელ დამწყდა გული იმ უაზროდ გატარებული საათების გამო, რომლებიც ქუჩაში ბიჭბუჭურ გარჩევებსა და საკუთარი თავის „დამკვიდრებას" მოვანდომე, რადგან შემეძლო, ეს დრო განათლებისთვის გამომეყენებინა. არა... მთლად უწიგნური როდი ვიყავი... დედაჩემის დიდი ძალისხმევით მე-19 საუკუნის რუსული ლიტერატურისა და ფრანგული მწერლობის გამოჩენილი ნაწარმოებები მქონდა წაკითხული, თუ არ ჩავთვლით იმ სათავგადასავლო რომანებს, რომლებსაც მაშინ ახალგაზრდების უმრავლესობა კითხულობდა. ყველაზე საყვარელი ნაწარმოები, ჰექტორ მალოს „უსახლკაროც" კი გამახსენდა, რომელმაც მაშინ წარუშლელი შთაბეჭდილება დამიტოვა. მაგრამ სად – ამათი ცოდნა და სად – ჩემი ერთი-ორი წიგნი. თუმცა, თავი ვაიძულე, მართალია, სიტყვის უთქმელად, მაგრამ მაინც ღირსეულად დამეჭირა თავი და ყური მაინც მეგდო მათი სალიტერატურო პაექრობისთვის. საუბარი თანამედროვე მწერლებზე ჩამოვარდა. ამ თემაზე განსაკუთრებით აქტიურობდა ხანში შესული მელოტი მამაკაცი, რომელიც მიხაილმა ვლადიმირ ობლინსკიდ გამაცნო. ის აღშფოთებით იქნევდა ხელებს და ახალგაზრდა მწერლებზე ილაშქრებდა, რომელთა ნაწარმოებებში ვერაფრით იპოვიდი რუსულ სულს. თურმე ის, ანუ რუსული სული, თავის ხელით ამოუძრიათ ლიტერატურისთვის ევროპეულობის გზაზე შემდგარ „ჩხაპნიებს". განსაკუთრებით სალიტერატურო ჟურნალები გათათხა, რომლებიც ავხორცი ქალების ფამილარული თავგადასავლებით რყვნიან საზოგადოებას. მათი ვაირომანების ფურცლებზე მამაკაცებს მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლი აკისრიათ და ამ ფურიების, ანუ, როგორც პატივცემულმა ხანდაზმულმა კრიტიკოსმა ბრძანა, თანამედროვე ამორძალების დაკმაყოფილებაც არ ძალუძთ. „და სად არის აქ სიყვარული?!" – ასეთი ორაზროვანი შეკითხვით დაასრულა ორატორმა თავისი სიტყვა.

ლიტერატურული პაექრობა მომდევნო გამომსვლელმა გააგრძელა. ის დაეთანხმა წინამორბედს და აღნიშნა, რომ თანამედროვე რუსული მწერლობა – ეს ქიმერაა, რომელსაც არწივის თავი, ლომის ტანი და გველის კუდი აქვს და რომელიც ბოლომდე არც ერთია, არც მეორე და არ მესამე... არამედ რაღაც ნაზავი, მიქსი, სიმახინჯე – ის ფესვებმოჭრილი ხე, რომელსაც ტოტებიც ჩამოაცალეს და ფოთლებიც; ასე რომ, ის ხე კი არა, უკვე მორია – მკვდარი და მისგან ტივი თუ შეიკვრება, რომლითაც რუსული თანამედროვე მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის ოკეანეში შორს ვერ გაცურავს.

– ეს ჩვენი კლუბის თავმჯდომარეა, კონსტანტინ ნარიშკინი, რომელიც ამაყობს თავისი გვარ-წარმომავლობით და მონარქიის აღდგენაზე ოცნებობს, – გადმომიჩურჩულა კვლავ მიხაილმა. მან შემატყო, რომ მთელი ეს ლიტერატურული მიმოხილვა ჩემში მხოლოდ მთქნარების რეფლექსს იწვევდა, რომელსაც იქ შეკრებილი ზეპური საზოგადოების ხათრით ძლივს ვიკავებდი.

– და რადგან საზოგადოების მსოფლმხედველობა შობს ლიტერატურას, ის სწორედ ისეთივე ღარიბი და მწირია, როგორც მისი მშობელი... მწერლობა საზოგადოების სარკეა, – აგრძელებდა ნარიშკინი, – და ამ სარკეში დღეს ჩვენ ვხედავთ არა ტოლსტოის, დოსტოევსკის, ტურგენევის ტრადიციების გაგრძელებას, არამედ უსახურ და ცუდად შეკრულ ტივს, რომლითაც წყნარ დონსაც ვერ გადაცურავ!

„კიდევ ერთხელ რომ ახსენონ სიტყვა „ლიტერატურა", ალბათ, ჩამეძინება": – გავიფიქრე და, ცოტა არ იყოს, გამწყრალმა გადავხედე მიხაილ კირსანოვს, რომელმაც დროსტარება აღმითქვა წინა საღამოს, ახლა კი გაჯგიმული იჯდა და ყველა გამომსვლელს გულისყურით უსმენდა, – ალბათ, მშვიდად ცდის ჩემს მეფურ მოთმინებას... თანაც, ეს ლიტერატურული პაექრობა ლუდის სმის თანხლებით, უკვე ყელში ამომივიდა!"

მაგრამ უარესი წინ მელოდა, რადგან ახლა საუბარი რუსულ სალიტერატურო ენას შეეხო.

ახალგაზრდა, რომელიც რატომღაც ოდნავ მოსულელოდ მომეჩვენა თავიდან, გადაჭარბებული გულუბრყვილობის გამო, ჩემს გასაკვირად, ისეთი რუსულით ალაპარაკდა, რომელიც ტოლსტოის თუ არა, გორკის მაინც შეშურდებოდა. თანამედროვე სალიტერატურო რუსული ბაბილონის გოდოლის დაშლის მერე გაჩენილ მრავალენოვან ადამიანთა მეტყველებას დაემსგავსა; რომ ის აივსო სარეველა სიტყვებით, ბარბარიზმებით და მდაბიური ჟარგონით; რომ ნამდვილი რუსული, ახალი რუსების „დაბადებასთან" ერთად, უკანუკან წავიდა.

– არც ასე ცუდად უნდა იყოს საქმე, თუ გავიხსენებთ, რომ დიდი იმპერატრიცას კარზე რუსულად მეტყველება ცუდ ტონად ითვლებოდა და სამეფო ელიტა ფრანგულად ურთიერთობდა ერთმანეთთან, – გადავულაპარაკე მიხაილს. ჩემი რეპლიკის პირველი ფრაზა ორატორის პაუზას დაემთხვა... მან თხრობა შეწყვიტა და სამწუხაროდ, ჩემი სიტყვები მთელმა იქ დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა.

ორატორმა ჩაახველა და სკამს რატომღაც გამოუპასუხებლად დაუბრუნდა. მცირე ხნით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც მიხაილმა დაარღვია:

– დუმას ზოგიერთი დეპუტატის მეტყველება, რბილად რომ ვთქვათ, ტრაქტორისტმექანიზატორისას ჰგავს. თუმცა, გლეხები უფრო დახვეწილი რუსულით საუბრობენ, ვიდრე ეს პიშკოვები, პეშკოვები და ძმანი მათნი, რომელთაც, საუბედუროდ, ქვეყნის მართვის სადავეები უპყრიათ...

გულში მადლიერი დავრჩი მიხაილ კირსანოვის, რადგან ამ ფრაზას თანხმობის გამოძახილები მოჰყვა და ჩემი რეპლიკა მიავიწყდათ. თუმცა, სულ ტყუილად ვიფიქრე ასე. დაახლოებით კიდევ ერთ საათს ვიჯექი და ვისმენდი ცისფერსისხლიანი რუსების დახვეწილ რუსულს... ბოლოს, როცა ყველა დაილალა და ლუდის სმით გაითანგა, დარბაზში ვიოლინო აწრიპინდა. ის-ის იყო, ლუდის კათხა კვლავ პირთან მივიტანე, რომ ჩვენს მაგიდას კარგად ჩაცმული ახალგაზრდა მიუახლოვდა, შეიძლება? – თავისუფალ სკამზე მიანიშნა და, როცა თანხმობა მიიღო, ნელა ჩამოჯდა და თან თვალი არ მოუშორებია ჩემთვის.

– ჩემო ბატონო, – მომმართა მოწიწებული სიტყვებით, მაგრამ, როცა შევხედე, მის თვალებში შეფარული ბრაზი და ოდნავი ირონია ამოვიკითხე, – დიდი ხანია, გაკვირდებით...

– ნუთუ?! – იმავე ტონითა და გამომეტყველებით მივუგე და თვალი თვალში გავუყარე.

– დიახ. და იცით, რას მივხვდი? თქვენ აქ ისე გრძნობთ თავს, როგორც ირმებში გარეული, უხედნი ცხენი.

– ვერ არის წარმატებული შედარება, – ბრაზი კბილებით დავიჭირე და თითები მაგიდაზე ავაკაკუნე.

– რა თქმა უნდა, „უხედნს" რომ ვამბობ, თქვენი გარეგნული მხარე არ მაქვს მხედველობაში, არამედ – აზრის უხედნობა, – განაგრძო კვლავ.

– სერგეი! – მხარზე ხელი ჩამოსდო მიხაილ კირსანოვმა, როცა ჩემს გაფითრებულ სახეს შეხედა.

– არა. განაგრძოს, ნუ შეაჩერებ! მსურს გავიგო, კიდევ რა აზრი „მოუმწიფდა" თავში, – ხმადაბლა გამოვეცერი და მხოლოდ მერე გავაცნობიერე, რომ მთელი დარბაზი ჩვენ მოგვჩერებოდა.

– მინდა, კიდევ ერთი რამ გითხრათ, – უტიფრად განაგრძო ქერა, ცისფერთვალება ახალგაზრდამ, რომელსაც ბამბასავით უფერული კანი ჰქონდა, – ის ფაქტი, რომ ლონდონში დაიბადეთ და ყოველდღე ბიგ-ბენს



ხედავდით, უფლებას არ გაძლევთ, გამოთქვათ არაფრისმთქმელი რეპლიკა ისეთ თემაზე, რომლისაც არაფერი გაგეგებათ...

– მაშ, ახლა მე მომისმინე, – შენობით მიმართვაზე გადავედი,– შეიძლება, ლიტერატურასა და პოეზიაში ბევრი რამ არ ვიცოდე, სამაგიეროდ, კარგად ვიცი, შენისთანა თავხედს ჭკუა როგორ უნდა ვასწავლო! – ბრაზი ისე მომედო, როგორც გამომშრალ შეშას ცეცხლის ალი და ვიგრძენი, მრისხანების კანკალი მეწყებოდა.

– ალექსანდრ, – ახლა მე ჩამაფრინდა მკლავში მიხაილი, – აქ ცემა-ტყეპა არ შეიძლება.

– ნუ ღელავ, მიხაილ, – როგორღაც შევძელი და თავი ხელში ავიყვანე, – ამ ლაწირაკის ცემა რა საკადრისია, აქ შეკრებილი საზოგადოების მიმართ ჩემი პატივისცემა რომ არა, ამ თავხედს ყურებს დავუგრძელებდი!

გაცოფებული ახალგაზრდა, რომელსაც მიხაილმა ორი წუთის წინ სერგეი უწოდა, ისე წამოიჭრა ფეხზე, რომ სკამი ინერციით უკან გადავარდა.

– მე სერგეი შერემეტიევი ვარ, კეთილშობილი გვარის წარმომადგენელი და თქვენ ჩემი შეურაცხყოფისთვის დუელში გიწვევთ!

„მე კი გუგული ერისთავის შვილიშვილი ვარ და ბოლოს მოგიღებ!“ – გავიფიქრე და საბაბის მიუხედავად, დუელის ხსენებაზე პირზე ღიმი მომადგა.

– ადექით, თუ შეიძლება, ჩემ მიმართ ასეთ უპატივცემულობას არავის შევარჩენ... ჭკუა უნდა გასწავლოთ! – არ ცხრებოდა ახალგაზრდა.

– და ამას როგორ მოახერხებ?! – ირონიული სახე გამიხდა და მეც ფეხზე წამოვდექი, – იმ ძველისძველი დამბაჩით გინდა შემერკინო?! გაფრთხილებ: ათიდან ათ შემთხვევაში მიზანში ვარტყამ... არ მინდა, „ბავშვების მჭამელის“ სახელი გამივარდეს.

– სამწუხაროდ, ჩვენი კანონმდებლობა სისხლიან ორთაბრძოლებს კრძალავს. მაგრამ, შანსს არ გავუშვებ, დაშნით სხეულზე ჩემი ინიციალები არ ამოგიტვიფროთ, რათა „სამახსოვროდ“ დაგრჩეთ!

სიტყვიერი პოლემიკა უაზროდ ჩავთვალე და მიხაილს გადავხედე. მან მხრები აიჩეჩა და კედელზე ჩამოკიდებული, გადაჯვარედინებული დაშნებისკენ მიმითითა.

– როგორც გენებოს! – ვუთხარი და გამეღიმა, რადგან თავი 21-ე საუკუნის რუსეთში კი არა, ლუი მეთოთხმეტის დროინდელ საფრანგეთში მეგონა. აი, როგორ გამომადგა ფარიკაობის გაკვეთილები, რომლებიც საფრანგეთში ყოფნისას გავიარე, თუმცა თავიდან ერთგვარი ურწმუნო ირონია მქონდა – რალა დროს ფარიკაობაა-მეთქი. მაგრამ ინსტრუქტორმა დამარწმუნა, რომ სპორტის ეს სახეობა ყურადღების კონცენტრაციისთვის შეუცვლელი იყო.

მე და სერგეი შერემეტიევს თავზე ცხაურიანი ჩაფხუტები ჩამოგვაცვეს, სამკერდეები მოგვამაგრეს და, როცა ჩემმა მოწინააღმდეგემ ხელი მაღლა ასწია და დაშნა ჩემკენ მომართა, დარბაზს მოვავლე თვალი. ყველანი ამაღლებული ფიცარნაგის ირგვლივ შემოკრებილიყვნენ და სახეზე კმაყოფილი მოლოდინით სავსე ღიმილი დასთამაშებდათ.

სერგეი შერემეტიევი ორი ნაბიჯით მომიახლოვდა, მაჯები აიკაპიწა და ცალი ფეხი იატაკზე უკან გააცურა. წუთიც და დაშნა პირდაპირ მკერდთან მომიტანა, მაგრამ მე კარგად მოვიგერიე პირველი დარტყმა და მოწინააღმდეგის დაშნა ჩემზე ასრიალდა. სერგეი არ თმობდა და კვლავ ახალი იერიშით მომიახლოვდა. მე დაშნის წვერის მოძრაობით მოვიგერიე. კარგად მახსოვდა ჩემი მწვრთნელის სიტყვები: კარგი მოფარიკავე ჯერ მოწინააღმდეგის სიმარჯვეს მოსინჯავს, თავს სუსტად მოაჩვენებს და მერე მიაყენებს დარტყმას, როცა ის ყველაზე ნაკლებად ელისო. თუმცა, გავიფიქრე, რომ საკმარისი იყო თავდაცვა – ერთი დარტყმა და ჩემი დაშნის წვერი მის მკერდს შეეხო. ერთი! – წამოიძახეს ჩვენ ირგვლივ შემოკრებილმა სეირის მაყურებლებმა

– ხმალს კარგად ფლობს! – ხმამაღლა წამოიძახა კონსტანტინ ნარიშკინმა და ამ რეპლიკას სერგეის ხელახალი, მოულოდნელი შეტევა მოჰყვა. დროზე მოვიგერიე, მაგრამ მკლავზე გამკაწრა, პერანგი გამეხა და კანი ამეწვა... ეს საკმარისი იყო, რომ თამაშიდან ნამდვილ ფარიკაობაზე გადავსულიყავი. საბედნიეროდ, ჩემმა მასწავლებელმა ძალა არ დაიშურა, რომ ჩემთვის ფარიკაობის მრავალი კომბინაცია ესწავლებინა. შეტევა აღარ დავაცადე, დაშნა ავათამაშე და იერიში იერიშზე მივიტანე. სერგეი დაიბნა და შეცდომა შეცდომაზე დაუშვა. ჩემი დაშნა გულმკერდის არეში კიდევ ორჯერ დავატაკე. ორი! სამი! – გაისმა კვლავ დარბაზში. სერგეი უკან იხევდა. ბოლოს, კედელს მიეყუდა და ანგარიშმიუცემლად იგერიებდა ჩემს შეტევებს. ხმალი ელვისებურად და ზუსტად მოვიქნიე და სერგეიმ მარჯვენა ხელი ყელზე მიიდო.

– ოთხი! – წამოიყვირეს დარბაზში.

– ახლა კი ხოჭოსავით მიგარჭობ კედელზე და გეცოდინება, ვის რა უნდა უთხრა! – წამოვიძახე და ხელახალი დარტყმის განსახორციელებლად უკან დავიხიე.

– საკმარისია, ბატონებო! – წამოიძახა კვლავ ნარიშკინმა და ამაღლებულ ფიცარნაგზე, რომელიც, ალბათ, სახელდახელოდ ასეთი ორთაბრძოლებისთვის დაეგოთ, ამოვიდა, დუელი დამთავრებულია, სტუმარმა გაიმარჯვა!

სერგეიმ თეთრი ჩაფხუტი მოიხსნა და გაწბილებული სახით სასწრაფოდ დატოვა დარბაზი ისე, რომ ხელის ჩამორთმევა არც უფიქრია.

– ყოჩაღ! – მხარზე დამიტყაპუნა ხელი მიხაილმა და დარბაზს მიუბრუნდა: – ხომ გითხარით, ის ჩემი დეიდაშვილია და რაინდული ორთაბრძოლების ნიჭი სისხლში აქვს.

– დიდი ხანია, ჩვენს კლუბში ასეთი სანახაობა არ გამართულა, – გადმომილაპარაკა მიხაილმა, როცა შენობა დავტოვეთ.

– ასე ერთობი ხოლმე, მიხაილ?! – ვკითხე ოდნავი წყრომით.

– დიახ. თუმცა, ახლა მინდოდა, შენთვის ორი რუსეთი გამეცნო.

– ოჰო? ერთის გაცნობა პერანგის გაფუჭების ფასად დამიჯდა; იმედია, მეორე შემთხვევაში უფრო გამიმართლებს.

– იმედია, – გაეღიმა კირსანოვს, – თუმცა რა იცი, მთელი ღამე წინ გვაქვს.

– საით? – ვკითხე, როცა მანქანა ადგილიდან დავძარი.

– ტვერსკაიაზე! – მითხრა მოკლედ და ნახევარ საათში ნათელ, ფართოშუშებიან შენობასთან გამაჩერებინა, – ამ შენობის სარდაფში კარგი ბარია... ნახავ.

– ცოტა „ახალგაზრდები“ ხომ არ ვართ ბარებისა და დისკოთეკებისთვის? – ვკითხე გაოცებით.

– მაგაზე არ იდარდო, ჩემო მეგობარო!.. არ დაგავიწყდეს, ეს მოსკოვია... მოსკოვში კი არ ბერდები.

მიხაილი კარისკენ გაემართა და მეც მივყევი. გზაში კვლავ გააგრძელა:

– იცი, როცა კარგი გართობა მინდა, აქ მოვიდვარ ხოლმე. სოლიდურ რესტორნებში გაბღენძილი სახით ჯდომას, ასეთ ხმაურიან ბარებში ყოფნას ვამჯობინებ.

– ყოჩაღ, ბებერი ბიჭი ხარ! – წარმოვთქვი თუ არა ბოლო სიტყვა, ნახევრად ბნელ, როკით გაბრუებული ადამიანებით სავსე დარბაზში შევაბიჯეთ. მაღალ, ცალფეხა სკამებზე გვერდიგვერდ მოვკალათდით და, როცა ბარმენმა შეკვეთილი ვისკი ხელის პლასტიკური მოძრაობით განიერ ჭიქებში ჩამოგვისხა, მიხაილს მივუბრუნდი:

– ცოტა არ იყოს, უცნაური კლუბი გაქვთ, მიხაილ!

– რას გულისხმობ? – შევატყვე, გულწრფელად გაუკვირდა.

– თავი მეჩვიდმეტე საუკუნის ევროპაში მეგონა, თუმცა შენს თანაკლუბელებში ანტიევროპული განწყობა იგრძნობოდა. მაგარი ნაზავია, ვერაფერს იტყვი – ფრანგული დუელი, ინგლისური კლუბური გარემო, გერმანული ლუდი და ველიკორუსული შოვინიზმი...

– ეჰ! – ხელი ჩაიქნია მიხაილმა, – ვერაფერსაც ვერ მიხვდი – შენ ახლახან რუს პატრიოტთა შორის იყავი.

– ახლა სად ვარ?! – ვკითხე და ვისკი მოვწრუპე.

– ახლა – ობივატელებში, გამდიდრებულ ბურჟუათა შთამომავლებში, ეგრეთ წოდებულ, ოქროს ახალგაზრდობას შორის, – მიხაილმა სევდიანად მოავლო თვალი ახალი ყაიდის ნარკოტიკებით აბორგებულ ბრჭყვიალა საზოგადოებას და მე მივხვდი, მას ძალიან სტკიოდა გული იმის გამო, რომ თუნდაც პეტრე პირველის დროს არ მოევლინა ქვეყნიერებას. ამიტომ, აღარაფერი მითქვამს, ნახევრად შემოვატრიალე სკამი და დარბაზი მოვათვალიერე. სლავი კეკლუცები მომხიბვლელად იქნევდნენ თეძოებს...

– რატომღაც მგონია, რომ მე და შენ ამაღამ კარგად გავერთობით, – გადავულაპარაკე მიხაილს, – ჩვენ ხომ გადაცმული არისტოკრატები ვართ პლებეებს შორის.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ნივთმტკიცება – რწყილები

## დევიდ ბრუსარი

სერჟანტ როლანდსს ლამის ლუკმა გაეჩხირა ყელში. იმ დღეს ძლივს მოახერხა ჰამბურგერი ეყიდა, მაგრამ ვინ აცალა, ბოლომდე შეეჭამა.

– როკ პლენეში მკვლელობაა, – ამცნო მორიგემ, – პატარა, დასახლებული რაიონია მდიდრებისთვის, თავისი პარკით და კოტეჯებით. ტერიტორია შემოღობილია. ჭიშკართან დარაჯის ქოხია. სწორედ დარაჯმა გაიგონა გასროლის ხმა და პოლიციაც მან გამოიძახა... ფანჯრიდან უსვრიათ. მსხვერპლი სავარძელში იჯდა და ასევე ნახეს ჩვენმა ბიჭებმა. ექსპერტი უკვე გზაშია... წადი, გელოდებიან.

– დიასახლისია მოკლული?

– არა. გუვერნანტი. სახლში მის გარდა, არავინ ყოფილა. გეყოფა შეკითხვები, დანარჩენს იქ გაარკვევ.

სერჟანტმა ამოიოხრა და მანქანა შემოაბრუნა.

ერთსართულიანი მდიდრული კოტეჯის პარმაღზე ორი ადამიანი იდგა. ერთი – პოლიციელი, მეორე – უნიფორმაში ჩაცმული შუახნის მამაკაცი – ალბათ, დარაჯი.

– ლარს ჯონსონი ვარ, – გაეცნო ინსპექტორს.

– იცნობდით გარდაცვლილს?

– ო, დიახ. როგორ არა. საწყალი, ძალიან ლამაზი კი იყო. მგონი, სწორედ ამან დალუპა. მის ჯინა ნოლანი გუვერნანტი იყო მისის კორდინგტონთან. მისტერ კორდინგტონი გულგრილი არ იყო მის მიმართ და ქალბატონმა ერთი კვირის წინ სამსახურიდან დაითხოვა. ვფიქრობ, მისი მხრიდან ეს არ იყო გონივრული ნაბიჯი, რადგან, თუ მისტერ კორდინგტონს მართლაც მოსწონდა მის ჯინა და ვიცი, რომ მოსწონდა – ჩემი ცოლიც დაგიდასტურებთ ამას – ის ისედაც მოახერხებდა საყვარელთან შეხვედრას.

„რამდენს ლაპარაკობს“, – გაიფიქრა ინსპექტორმა, თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ დარაჯის ჩვენება, გარკვეულწილად, ფასდაუდებელიც კი იყო.

– ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ მის ნოლანი ქალბატონმა მოკლა ეჭვიანობის ნიადაგზე? – ჩაეკითხა ინსპექტორი.

– ღმერთმა დამიფაროს, ასე ხელაღებით დავაბრალო მას მკვლელობა. ვფიქრობდი, რომელიმე ბრაკონიერმა შემთხვევით ხომ არ მოკლა-მეთქი. რამდენიმე კვირაა, ჩვენს პარკში ირემი გამოჩნდა...

ინსპექტორმა როლანდსმა მთელი ოთახი დაათვალიერა და გახვრეტილი ფანჯრის მინასთან მივიდა. ტყვია გარედან მისი გავლით მოხვდა მის ჯინას კეფაში, მარჯვენა ყურის უკან... ინსპექტორმა თავი გადაიქნია.

– სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ დამიზნებით არის ნასროლი. გარეთ უნდა დავათვალიერო პერიმეტრი.

მისის კორდინგტონი მკვლელობაზე მეტად იმ ფაქტმა აღაშფოთა, რომ ჯინა მის სახლში აღმოჩნდა.

– რა ჯანდაბას აკეთებდა აქ? მე ხომ გავაგდე ეგ ნაგავი და სახლთან მოახლოებაც კი ავუკრძალე, – მისის კორდინგტონი აშკარად ძალიან საშიში ქალი ჩანდა, მაგრამ ინსპექტორმა გამოცდილებით იცოდა, რომ ამ ტიპის ქალები იშვიათად ჩადიან მკვლელობას. თანაც, წინასწარ დაგეგმვით და ცივი გონებით. თუმცა, ალიბის გადამოწმება მაინც საჭირო იყო.

– სად იყავით დღეს საღამოს?

– ქალაქში, ჩემს ფირმაში. პარტნიორს, რობერტ პეინს ვხვდებოდი. ჩვენ სადაზღვევო კომპანია გვაქვს. ჩემი ნაძირალა ქმარიც ჩემთან აზღვევდა იმ ავტომობილებს, რომლებსაც ყიდდა. გაბედა და იმ ქუჩის ქალის გამო განქორწინება მომთხოვა. არ ვიცი, ვინ მოკლა და არც მაინტერესებს, მაგრამ ნამდვილად არ მწყინს. ის მიიღო, რაც დაიმსახურა.

ინსპექტორმა დიასახლისის დაკითხვა დაამთავრა და თანაშემწეს მიუბრუნდა.

– სტივ, ქალაქში მივდივართ. რობერტ პეინი უნდა დავკითხო. რატომ იქექებით? კი, მაგრამ, რა დაგემართა?

– ბუჩქები, – შეჰყვირა დარაჯმა, – ბუჩქები რომ დაათვალიერეთ, რწყილებმა დაგკბინეს!



მეც ასე დამემართა. ხომ გითხარით, ამ მიდამოებში ირმები გამოჩნდნენ-მეთქი. სასწრაფოდ შხაპი მიიღეთ და ტანსაცმელი გამოიცვალეთ. სპეციალური საცხიც წაისვით, თორემ ასე ადვილად ეგ არ გაგივლით...

რობერტ პეინი ლამის შოკში ჩააგდო ცნობამ ჯინას მოკვლის შესახებ... ატირებას აღარაფერი უკლდა.

– შეუძლებელია... წარმოუდგენელია... მე მიყვარდა ჯინა... ძალიან მიყვარდა, უფრო სწორად, გვიყვარდა ერთმანეთი და დაქორწინებასაც ვაპირებდით. სწორედ ამის სათქმელად მოვიდა ჯინა და მთხოვა, როგორმე მთელი საღამო ჯენისი ოფისში დამეკავებინა.

– ანუ, ადასტურებთ, რომ ჯენისი თქვენთან იყო მთელი საღამო?

– დიახ. მოვიგონე, რომ დოკუმენტები იყო გადასარჩევი. გამიჭირდა მისი სახლიდან გამოტყუება რვიდან ათ საათამდე.

– რატომ? – დაინტერესდა ინსპექტორი.

– საქმე ისაა, რომ ამ დროს ტელევიზორში სერიალ „კლაუსტროფობიას“ უჩვენებდნენ და ჯენისი შეშლილია ამ სერიალზე. გაღიზიანდა კიდეც, რომ მის ნახვაში ხელი შევუშალე.

– ესე იგი, მის ნოლანი იქ მისტერ კორდინგტონს ელოდებოდა.

– დიახ. პოლი თავს აბეზრებდა. ყველანაირად ცდილობდა, ლოგინში შეეთრია. ჯინამ გადაწყვიტა, პირდაპირ ეთქვა, რომ ჩემზე აპირებდა გათხოვებას. თან, რაღაც პირადი ნივთებიც ჰქონდა წამოსაღები... ღმერთო, რა უსამართლობაა. ვის უნდა მოეკლა ჩემი ჯინა...

– სწორედ ამის გარკვევას ვაპირებთ, – ამოიოხრა ინსპექტორმა, – მისის კორდინგტონი მკვლელი აშკარად ვერ იქნება. ვნახოთ, რას გვეტყვის მისი ქმარი...

მისტერ კორდინგტონი თავის ოფისში დაუხვდათ. პოლიციელებს გაოცებული გამომეტყველებით მიეგება.

– რა ხდება, ოფიცრებო?

– თქვენი გუვერნანტი თქვენივე ბინაში მოკლული ვიპოვეთ. გვაინტერესებს, რას აკეთებდით რვიდან ათ საათამდე.

– კინოში ვიყავი, – დაუფიქრებლად წამოიძახა მისტერ კორდინგტონმა, – ძალიან დაღლილი ვიყავი და სახლში წასვლა არ მინდოდა... ალბათ, უკვე იცით, რომ ცოლთან იდეალური ურთიერთობა არა მაქვს.

– დიახ... – ინსპექტორმა ეჭვით შეხედა შესამჩნევად წამოწითლებულ კაცს, – შეიძლება, რაღაც გკითხოთ, მისტერ კორდინგტონ?

– დიახ, რა თქმა უნდა.

– კინოს ბილეთი, ალბათ, არ შეგინახავთ.

– სამწუხაროდ, არა.

– უცნაურად მოგეჩვენებათ ჩემი შეკითხვა, მაგრამ ასე გამწარებით რატომ იფხანთ ტანს.

კორდინგტონი შეცბა. შეკითხვა მართლაც მოულოდნელი და შოკისმომგვრელი აღმოჩნდა მისთვის და ენის ბორძიკით ამოიბლუკუნა... – ე... ისა... ალერგია მაქვს...

– ალერგია? მე კი მგონია, რომ თქვენ ბუჩქებში რწყილებმა დაგკბინეს, როგორც ჩემი თანაშემწე.

– რა? ბუჩქებში რა მინდოდა?! – იყვირა კორდინგტონმა.

– გეტყვით. თქვენ იქ მსხვერპლს ჩაუსაფრდით და მოკალით კიდეც თქვენი გუვერნანტი, ერთ-ერთი იმ სანადირო თოფიდან, რომელიც მრავლად ვნახეთ თქვენს სახლში.

– სისულელეა. რატომ უნდა მომეკლა ჯინა. მე ის მიყვარდა...

– თქვენ არ იცოდით, რომ სავარძელში ჯინა იჯდა. გეგონათ, ცოლი უყურებდა საყვარელ ტელესერიალს. ხომ იცოდით, რომ მისის კორდინგტონი გიჟდებოდა „კლაუსტროფობიაზე“. განქორწინებაზე უარი გითხრათ, დაგემუქრათ, რომ ყველაფრის გარეშე დაგტოვებდათ... ჰოდა, თქვენც მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტეთ... არაფრის თქმა არ არის საჭირო – რწყილის ნაკბენები საუკეთესო სამხილია თქვენ შემთხვევაში.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

**ქვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

# მაფიის შვილობილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №28-32(711)

მაიორი ტახტიდან წამოდგა. სიგარეტი გააბოლა. ოთახში გაიარ-გამოიარა და გაიფიქრა: „დავუშვათ, პესკასელია ფანტომი. მან ყველაფერი იდეალურად დაგეგმა და ჩემი თავიდან მოშორება ვითომდა უბედური შემთხვევის მეშვეობით გადაწყვიტა, მე კი უბრალოდ, შემთხვევამ გადამარჩინა. მან სახლში შემიტყუა, დამათრო, თავი მთვრალად მომაჩვენა და თავადვე, ან სანდო პიროვნების მეშვეობით, სარკე დამიდო. ამ ყველაფერში პესკასელის პლუსი ის არის, რომ მან, ჯერ კიდევ ჩვენი გაცნობის დღეს, ანუ ათი დღის წინ მითხრა, სახლში უნდა დაგპატიჟოო. მაშინ კი, ნესტორისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოვადგენდი და არც ჩემი თავიდან მოშორება უნდა სდომოდა. მას ასეთი სურვილი პირველად ტარკილის გვამის აღმოჩენის შემდეგ უნდა გასჩენოდა. გუშინ კი, ეს უკვე მისთვის სასიცოცხლო რამ გახდა. მაგრამ, ოჯახში მიპატიჟება?.. მას რომ თუნდაც ტარკილის გვამის აღმოჩენის მერე დავეპატიჟებინე თავის ოჯახში, მეტი ეჭვის საფუძველი მექნებოდა, მას კი – მეტი დრო იმის მოსაფიქრებლად, თუ როგორ მოვეშორებინე თავიდან. თუმცა, გამორიცხული არც ის არის, რომ სარკის მეთოდი მას, ზოგადად, განსაკუთრებული შემთხვევისთვის ჰქონდა მომზადებული და წუხელ ჩემ წინააღმდეგ გამოიყენა. მაგრამ, მასე რომ არ იყოს და პატიოსან კაცს, თანაც ჩემს კოლეგას, ვწამებდე ცილს, მაშინ?.. რამე ეფექტური უნდა მოვიფიქრო ფანტომის გამოსააშკარავებლად. არც ჩემი ვარაუდების უყურადღებოდ დატოვება შეიძლება და არც მთელი ბრალდების აგება მხოლოდ ამ ვერსიაზე. თანაც, ამ ყველაფერს რუზბენ ჩოჩიანის გაქცევაც დაემატა და ღმერთმა უწყის, რა მოხდება".

მერაბმა სიგარეტი ჩააქრო. კვლავ ტახტზე წამოწვა და თამარზე ფიქრში ჩაეძინა.

– მერაბ, შვილო, გაიღვიძე. ცხრა საათი სრულდება და შენი წასვლის დროა, – ჩაესმა ძილში მაიორს, თვალები გაახილა და მასპინძელს მოკრა თვალი, რომელიც ტახტთან იდგა.

– ჩამძინებია, ძია ასთამურ, – თქვა მაიორმა და წამოდგა.

– ივახშმე და წავიდეთ.

– არა, არა, ნამდვილად არ მშია, ძია ასთამურ.

– კარგი, შვილო მოწესრიგდი და წავიდეთ.

მერაბი და ასთამური რომ სახლიდან გავიდნენ, საღამოს ათი საათი იყო დაწყებული. სადგურზე, მატარებლის მოსვლამდე ნახევარი საათით ადრე მივიდნენ. ათი წუთი საუბარში გაატარეს. გოლიათმა მერაბს გაუღიმა და უთხრა:

– ჯერ მაინც ადრეა. რაღაც საქმე მაქვს. ცოტა ხნით გავალ და მალე დავბრუნდები.

ასთამური სადგურის შენობისკენ გაემართა. მერაბმა კი სიგარეტი გააბოლა და ამ დროს უკნიდან მოესმა:

– ისე მიემგზავრები, რომ ჩემთან გამომშვიდობება არც გიფიქრია?

მაიორი შეტრიალდა და თამარი შერჩა ხელში, რომელიც გაბუტული სახით უყურებდა მას.

– თამარ, შენ? – თქვა მერაბმა.

– ჩემი მოსვლა ხომ არ გეწყინა?

– რას ამბობ, თამარ! პირიქით.

– შენ გეგონა, გამეპარებოდი? – შემრიგებლურად თქვა თამარმა და მერაბს გაუღიმა, – რა მოხდა, ასე მოულოდნელად რატომ მიემგზავრები?

– მინისტრმა დამიბარა სასწრაფოდ.

– მოხდა რამე?

– არ ვიცი. არაფერი უთქვამთ.

– სამწუხაროა. ზეგ ჩემი დაბადების დღეა და ძალიან მინდოდა, მოსულიყავი.

– ვიცი და საგანგებოდაც მოვემზადე. მაგრამ...

– მაგრამ მიემგზავრები.

– მივემგზავრები, მაგრამ... – მერაბს გაეღიმა. ჯიბიდან პატარა ხვეული ამოაცურა. თამარს მისცა, – მაგრამ... ეს შენ, ჩემგან საჩუქრად.

– ეს რა არის?

– სახლში რომ მიხვალ, გახსენი და ნახავ.

– მადლობელი ვარ, – თქვა თამარმა და საჩუქარი ხელჩანთაში ჩადო.

მერაბმა აქეთ-იქით გაიხედა. შემდეგ თამარის მარცხენა ხელი, ხელისგულებში ნაზად მოიქცია და უთხრა:

– მე შენ მიყვარხარ, თამარ!

თამარი დიდი ხანი ელოდა ამ სიტყვებს და ძალიან ესიამოვნა. თუმცა, არაფერი უთქვამს, მხოლოდ გაუღიმა მერაბს. მარცხენა ხელი ნაზად გამოაცურა მერაბის ხელის გულებიდან და ასთამურს გახედა, რომელიც დინჯად მოაბიჯებდა ლამაზი წყვილისკენ. ეჭვს არ იწვევდა, რომ სადგურზე ქალ-ვაჟის შეხვედრა გოლიათი მეტყევის მოწყობილი იყო.

– ძალიან შეგეჩვიე და სამწუხაროა, რომ მიემგზავრები. მაგრამ, რა გაეწყობა. იმედია, მალე დაბრუნდები. აბა, შენ იცი, მალე დაბრუნდი, – უთხრა ასთამურმა მერაბს, გადაეხვია და გვერდზე გაიწია, რომ თამარისთვის მიეცა დამშვიდობების საშუალება.

ქალ-ვაჟი ძალიან მოკრძალებულად დაემშვიდობა ერთმანეთს. თამარს მთელი არსებით უნდოდა ჩახუტებოდა მერაბს, მაგრამ ხალხის მოერიდა. მან ხელი გაუწოდა გამრეკელს და უთხრა:

– არ გემშვიდობები, მერაბ. მალე გელოდები.

მერაბი ჯერ ხელზე ეამბორა თამარს, შემდეგ მხრებზე დაადო ხელები, შუბლზე აკოცა და უთხრა:

– მალე ჩამოვალ. ნახვამდის!

– მატარებელი დაიძრა. მერაბი კიბეს შეახტა. მარჯვენა ხელი სახელურს ჩასჭიდა. მარცხენა კი ბაქანზე მდგომ თამარს და ასთამურს დაუქნია, ბოლოს კი ვაგონში შევიდა.

დილის რვა საათზე, მერაბი უკვე ტაქსიში იჯდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ კი დედას ესიყვარულებოდა.

– ჩამოხვედი, შვილო? დედა გენაცვალოს, როგორ გამახარე, ჩემო ვაჟკაცო. ახლავე გაჭმევ, – მიეფერა გახარებული დედა შვილს და სუფრის გაშლა დააპირა. მაგრამ მერაბმა არ დაანება.

– არ მშია, დედი. თან დროც არ მაქვს. გავრბივარ. შენ ფორმა გამიმზადე, მე კი შხაპს მივიღებ.

– სად გეჩქარება, შვილო.

– მინისტრთან ვარ დაბარებული.

– ხომ მშვიდობაა, მერაბ?

– ნუ ღელავ, დედი, მშვიდობაა, – მიუგო მაიორმა დედას და სააბაზანოში შევიდა.

დილის ათის ნახევარზე მილიციის მაიორის ფორმაში გამოწყობილმა მერაბ გამრეკელმა შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტის ზღურბლს გადააბიჯა და გენერალს გამოეჯგიმა:

– ამხანაგო გენერალო! მაიორი მერაბ გამრეკელი თქვენი ბრძანებისამებრ გამოცხადდა.

– დილა მშვიდობისა, მერაბ. დაჯექი, – გენერალმა ხელი ჩამოართვა გამრეკელს და უთხრა:

– როგორ ხარ. ჭრილობა ხომ არ გაწუხებს?

– კარგად ვარ, ამხანაგო გენერალო და არც ჭრილობა მაწუხებს, – უპასუხა მერაბმა მინისტრს.

– ჩემმა აფხაზმა კოლეგამ ძალიან შეგაქო. მკვლელობის გამოძიებაში დახმარებიხარ და ისიც კი მთხოვა, ჩვენთან სამუშაოდ მოავლინეთო. რას იტყვი, იმუშავებ აფხაზეთში?

– მე ბრძანებას ვემორჩილები, ამხანაგო



გენერალო და სადაც გამიშვებთ, იქ ვიმუშავებ.

– არა, ჩემო კარგო. შენ აქ უფრო საჭირო ხარ. მით უმეტეს ახლა, – უთხრა მინისტრმა მერაბს და ეშმაკურად გაეღიმა, – თუმცა, შენი ახალი თანამდებობიდან გამომდინარე, აფხაზეთშიც ხშირად მოგიწევს ჩასვლა. ისევე, როგორც საქართველოს სხვა რაიონებში.

– ბოდიშს გიხდით, ამხანაგო გენერალო, მაგრამ ვერ მივხვდი, რას გულისხმობთ.

– ახლავე აგიხსნი. ასე სასწრაფოდ იმიტომ გამოგიძახე გაგრიდან, რომ ახალი თანამდებობა ჩაგაბარო, – თქვა გენერალმა და პაუზა გააკეთა, – ცოტა შორიდან დავიწყებ. სამი დღის წინ, მოსკოვში ვიყავი და საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის სხდომას დავესწარი. მოხსენებით ჩვენი საკავშირო მინისტრი გამოვიდა და ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ მდგომარეობაზე ილაპარაკა. როგორც გაირკვა, საბჭოთა კავშირში, თურმე, მოიმატა სამი ან მეტი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობამ. ჯგუფურმა, ანუ, როგორც ახლა მოდაშია, ორგანიზებულმა დანაშაულმა – ძირითადად, ყაჩაღობამ და ბანდიტიზმმა. ეს კი ქვეყნის საფუძვლებს არყევს და პირდაპირ კავშირშია იდეოლოგიასთან. აქედან გამოდის, რომ ჩვენ, სამართალდამცავი სტრუქტურები, ვერ ვახერხებთ პატიოსანი საბჭოთა მშრომელების დაცვას და ქვეყანაში ბოროტმოქმედები თარეშობენ. ასეთი რამის დაშვება კი, არავითარ შემთხვევაში, არ შეიძლება. ამიტომ, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო მითითებით, საკავშირო დონეზე გადაწყდა, შეიქმნას ახალი სტრუქტურა, რომელიც ეფექტურად შეებრძოლება ორგანიზებულ დანაშაულს. მას ასევე ერქმევა – „ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი განყოფილება". ასეთი განყოფილებები შეიქმნება ყველა საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში. კოორდინაციას კი მათ საკავშირო სამინისტროს ანალოგიური განყოფილება გაუწევს. ამ საქმეს პირადად საკავშირო მინისტრი კურირებს და ყოველმხრივ დახმარებასაც გვპირდება. აი, ეს განყოფილება უნდა ჩაგაბარო შენ. უფრო სწორად კი, შენ უნდა შექმნა საქართველოში ეს სტრუქტურა და ეფექტურად აამუშავო. ამისთვის ჩამოგიყვანე ასე სასწრაფოდ გაგრიდან და შენი პასუხი მაინტერესებს.

– კაბინეტური მუშაობის არანაირი გამოცდილება არ მაქვს და ჩემი სფერო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაა, – მიუგო მერაბმა მინისტრს. პაუზა გააკეთა და დაამატა, – შევძლებ კი ასეთი საპასუხისმგებლო საქმის გაძღოლას?

– ძალიან კარგადაც შესძლებ. ჭკუა არ გაკლია და გამოცდილება. თანაც, ყოველმხრივ დახმარებას გაგიწევ. ჩემი ღრმა რწმენით, შენზე უკეთ არავინ იცის, თუ როგორ უნდა ებრძოლო ბანდიტებს. ამ შენს ცოდნას ორგანიზებული ხასიათი უნდა მისცე და სხვებსაც ასწავლო. ერთი სიტყვით, ორკვირიან ვადას გაძლევ. ამ დროის განმავლობაში, შენი განყოფილების საშტატო-სტრუქტურული და ზოგადი სამუშაო გეგმა უნდა წარმომიდგინო. კონკრეტიკას კი, შეხვედრის დროს განვიხილავთ. გასაგებია?



– გასაგებია, ამხანაგო გენერალო.

– შეკითხვები ხომ არ გაქვს?

– ერთი შეკითხვა მაქვს. მაგრამ უშუალოდ ამ თემას არ ეხება.

– გისმენ, მკითხე.

– შინაგანი ციხიდან გაქცეულ რუზგენ ჩოჩიანზე ახალი ხომ არაფერია?

– ჯერჯერობით ახალი არაფერია. სამძებრო წუთით არ ჩერდება, მაგრამ ვერც იმ გასტონ მურღულიას მიაგნეს და ვერც რუზგენ ჩოჩიანს, – თქვა გენერალმა. პაუზა გააკეთა და დაამატა, – წარმოგიდგენია, რამხელა სირცხვილი ვჭამეთ? განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედი გაგვექცა, თანაც შინაგანი ციხიდან. ასეთი რამ, ადრე არასდროს მომხდარა და რაც უფრო მალე დავიჭერთ მას, მით უფრო სწრაფად ჩამოვირეცხავთ ამ სამარცხვინო ლაქას.

გამრეკელი უკვე წასვლას აპირებდა, მაგრამ კაბინეტში მინისტრის თანაშემწე შემოვიდა და მერაბი შეეყოვნდა. თანაშემწემ გენერალს თხელი საქაღალდე დაუდო და უკან გაბრუნდა. მინისტრმა საქაღალდე გადაშალა, წაიკითხა და გაღიზიანებულმა თქვა:

– ჩოჩიანი არ გვეყოფოდა? ახლა მას ბუთბაც დაემატა.

– რას გულისხმობთ, ამხანაგო გენერალო? – მორიდებით ჰკითხა მერაბმა მინისტრს.

– აი, სპეცშეტყობინება მომივიდა მოსკოვიდან, – მინისტრმა საქაღალდეს დაადო ხელი, – აქ წერია, რომ გუშინ, მოსკოვის მახლობლად მდებარე მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიიდან გაიქცა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი დაურ ვიქტორის ძე ბუთბა და გვაფრთხილებენ, შესაძლებელია, საქართველოში გამოჩნდესო და დახმარებას გვთხოვენ მის დაპატიმრებაში. ჩოჩიანის არ იყოს, ამ ბუთბას დაპატიმრებაშიც ხომ გაქვს მონაწილეობა მიღებული?

– დიახ. ის ჩვენ ოთხი წლის წინ ავიყვანეთ პლეხანოვზე, – მიუგო მერაბმა მინისტრს. მას კი გაეცინა და გამრეკელს უთხრა:

– რა გამოდის ახლა, შენ იჭერ ამ საშიშ დამნაშავეებს, ისინი კი ციხიდან გარბიან. მდა... ბუთბალა გვაკლდა. კიდევ რამე შეკითხვა ხომ არ გაქვს ჩემთან?

– არა, ამხანაგო გენერალო, – მიუგო გამრეკელმა მინისტრს და ფეხზე წამოდგა. ფეხზე წამოდგა გენერალიც. მერაბს ხელი ჩამოართვა და უთხრა:

– მაშინ თავისუფალი ხარ. წარმატებებს გისურვებ. ორი კვირის მერე კი შენს დაწვრილებით პატაკს ველოდები. რომ გახვალ, ჩემი თანაშემწე გიჩვენებს შენს ახალ სამუშაო ოთახს. აბა, დროებით!

მერაბ გამრეკელისთვის აბსოლუტურად მოულოდნელი იყო მინისტრის შეთავაზება და ძველი სამუშაო ერჩივნა. მაგრამ, გენერლის ბრძანებას დაემორჩილა და ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებას შეუდგა. მან ჯერ თავში გაიაზრა ყველაფერი. შემდეგ ეს ნააზრევი ქაღალდზე გადაიტანა, დახვეწა, შესაბამისი ფორმა და შინაარსი მისცა და ამგვარად წარუდგინა მინისტრს.

დროთა განმავლობაში მერაბ გამრეკელის განყოფილება მოწინავე გახდა სამინისტროში და მძიმე დანაშაულთან ბრძოლის მძლავრ და ეფექტურ იარაღად გადაიქცა. აბა, რას წარმოიდგენდა მაშინ ოცდარვა წლის ახალგაზრდა მაიორი, რომ გენერლის წინასწარმეტყველება აბსოლუტურად ზუსტად აუხდებოდა.

ორი კვირის შემდეგ მერაბი შინაგან საქმეთა მინისტრს ეახლა და ახალი განყოფილების სტრუქტურისა და ფუნქციონირების დამუშავებული სქემა წარუდგინა. გენერალი დეტალურად გაეცნო მაიორის ნააზრევს და გამრეკელს უთხრა:

– რაც ამ ქაღალდზე წერია, მესამედს მაინც თუ შეასრულებ, ჩათვალე, რომ წარმატება გარანტირებული გაქვს. კარიერული წინსვლისთვის ყველა გზა გაგეხსნება და არცთუ ისე შორეულ მომავალში, ჩემს სავარძელს დაიკავებ.

მერაბს არაფერი უთქვამს. მხოლოდ გაეღიმა და თავისი ნააზრევის დეტალურ, ცოცხალ განხილვას შეუდგა. გენერალი თითქმის სამი საათის განმავლობაში უსმენდა მერაბს. ერთხელაც არ შეუწყვეტინებია მისთვის სიტყვა და ბოლოს უთხრა:

– სამუშაო ოთახები გაქვთ. შენი დანიშვნის ბრძანებას ბეჭდავენ და როგორც კი შემომივა, ხელს მოვაწერ. წადი ახლა, თანამშრომლები შეკრიბე და ყველაფერი გააცანი. ერთ კვირაში კი უკვე სრული დატვირთვით უნდა შეუდგე მუშაობას და ორ-სამ თვეში

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**
აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.
დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.
**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**



პირველ შედეგებს ველოდები.

კაბინეტში მინისტრის თანაშემწე შემოვიდა, გენერალს თაბახის ფურცლებზე დაბეჭდილი, მერაბ გამრეკელის ახალ თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანება შემოუტანა და გავიდა. მინისტრმა მერაბს ბრძანება წაუკითხა. ხელი მოაწერა, მაიორს მაგრად ჩამოართვა ხელი და უთხრა:

– გილოცავ, მერაბ! ამ წუთიდან შენ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების უფროსი ხარ და წარმატებებს გისურვებ მუშაობაში.

– გმადლობთ, ამხანაგო გენერალო! – მიუგო მერაბმა მინისტრს.

გენერალმა მაიორი ფანჯარასთან მიიყვანა. ეზოში გადაახედა.

– იმ ახალთახალ, შავი ფერის „გაზ-21, ვოლგას“ ხომ ხედავ?

– დიახ, ამხანაგო გენერალო.

– ჩვენმა მოსკოველმა ხელმძღვანელობამ თავისი პირობა შეასრულა და ახალი სტრუქტურის მოწყობაში ყოველმხრივ გვეხმარება. ეს „ვოლგა“ დღეიდან შენს განკარგულებაშია. აი, გასაღები. შეგიძლია, ახლავე გამოსცადო. სხვა აღჭურვილობასაც მალე მიიღებ.

– გმადლობთ, ამხანაგო გენერალო, – გამრეკელმა მანქანის გასაღები გამოართვა მინისტრს და უთხრა:

– ამხანაგო გენერალო, სამი საათისთვის განყოფილების სრულ შემადგენლობას შევკრებ და ჩვენი მუშაობის შესახებ დაველაპარაკები. თან, ჩემს მოადგილეს, კოტე სოხაძეს წარვუდგენ. კოტე უკვე ყველაფრის საქმის კურსშია და ჩვენი განყოფილების შექმნაში მეხმარებოდა.

– ძალიან კარგი. მშვენიერი კანდიდატურაა. კოტე პატიოსანი, პროფესიონალი კადრია და არაერთი ჩახლართული საქმე აქვს გამოძიებული. ვიწონებ შენს არჩევანს.

– ამხანაგო გენერალო, თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს.

– გისმენ, მერაბ!

– მაქსიმუმ ერთი კვირა მჭირდება, რომ საქართველოს ყველა რაიონი დავიარო და ჩვენს ახალ განყოფილებასთან დაქვემდებარებული სტრუქტურები პირადად დავაკომპლექტო. თბილისში კოტეს დავტოვებ და რომ დავბრუნდები, უკვე სრული დატვირთვით ავმუშავდებით. ხვალიდან დავიწყებ.

– კი, ბატონო, გინდა, ერთ კვირაზე მეტი იყოს. „ვოლგა“ გყავს, უფლებამოსილება გაქვს და რა დროც სჭირდება ამ საქმეს, იმდენი დღით წადი. მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

– არა, ერთი კვირა მეყოფა. თქვენგან კი ის მინდა, რომ ყველა რაიონის მილიციის უფროსს პირადად დაურეკოთ და უთხრათ, ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებაში ხელს ნუ შემიშლიან. გამორიცხული არაა, რომ სხვა განყოფილებებმა საუკეთესო კადრების მოცემაზე უარი თქვან და კონფლიქტი რომ არ წარმოიშვას, თქვენი ჩარევა ჯობია.

– კი, ბატონო. ახლავე დავუკავშირდები ყველა მილიციის უფროსს პირადად და გავაფრთხილებ, რომ ხელი არ შეგიშალონ. კიდევ რამე ხომ არ გჭირდება?

– არა. მეტი არაფერი. თუ თქვენ არ გჭირდებით, მაშინ წავალ.

– თავისუფალი ხარ. წარმატებებს გისურვებ და თუკი რამე დაგჭირდება, არ მოგერიდოს და მოდი.

– გმადლობთ, ამხანაგო გენერალო. ნახვამდის, – მერაბი შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტიდან გამოვიდა და თავისი ახალი სამუშაო ადგილისკენ გაემართა, რომელიც სამინისტროს შენობის მეოთხე სართულზე მდებარეობდა.

მაიორმა მერაბ გამრეკელმა ძალიან მალე და ეფექტურად აამოქმედა ახალი სტრუქტურა და პირველ წარმატებას ბევრად ადრე მიაღწია, ვიდრე ამას მინისტრი ელოდებოდა მისგან. სულ რაღაც თვე-ნახევარში, გამრეკელის ხელქვეითებმა საქართველოს ორ რაიონში ორი მსხვილი ბანდიტური დაჯგუფება გამოააშკარავეს და გაანეიტრალეს. რამდენიმე ოპერაცია დამამთავრებელ ეტაპზე იყო მიყვანილი და მათ დასრულებას დღე-დღეზე ვარაუდობდნენ. ასეთი წარმატება კი მაიორ გამრეკელის პირადმა ძალისხმევამ განაპირობა – იმან, რომ მან ახალ თანამდებობაზე დანიშვნის პირველივე საათებიდან, უშუალო, პირადი კონტაქტი დაამყარა აბსოლუტურად ყველა ხელქვეითთან და დაწვრილებით აუხსნა ახალი სტრუქტურის მუშაობის თითოეული ნიუანსი.

პირველ ოთხ დღეში მერაბმა თითქმის მთელი საქართველო შემოიარა და თავისი განყოფილების სტრუქტურები დაალაგა. ბოლოსთვის კი აფხაზეთი დაიტოვა და სამი დღე იქ გაატარა. მერაბმა ეს შეგნებულად გააკეთა, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ აფხაზეთში ყველაზე მეტი სამუშაო იყო და მეტ დროს მოითხოვდა. მეორე მხრივ კი, იმიტომ, რომ თამარი ენახა და მისთვის ცოლობა ეთხოვა.

სამეგრელოში რომ დაასრულა მუშაობა, მერაბმა გეზი სოხუმისკენ აიღო. აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი უკვე ელოდა მერაბის ვიზიტს და სამინისტროს მისაღებში პირადად დახვდა. თავის კაბინეტში აიყვანა და უთხრა:

– გილოცავთ, მაიორო, ახალ თანამდებობას. დიდ და ძალიან საჭირო საქმეს მოჰკიდეთ ხელი და ჩვენ, ჩვენი მხრივ, ყველანაირ დახმარებას გაგიწევთ. ჯერ ერთი თვეც არ გასულა ჩვენი ბოლო შეხვედრიდან და უკვე ახალი, საპასუხისმგებლო მისიით გვეწვიეთ. მინისტრმა, ზოგადად, უკვე ჩამაყენა საქმის კურსში, მაგრამ ყველა ნიუანსს, ალბათ, თქვენგან მოვისმენ.

მერაბმა თავშეკავებულად მოისმინა მინისტრის სიტყვა და მიუგო:

– გმადლობთ, ამხანაგო გენერალო. თქვენი ნებართვით, ხვალ დილით თქვენდამი დაქვემდებარებული მილიციის ყველა უფროსს ერთად მინდა გავესაუბრო.

– კი, ბატონო. დილის ცხრა საათი გაწყობთ, – ჰკითხა მერაბს აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა.

– დიახ. კარგი დროა.

– ჩემს მდივანს ახლავე დავავალებ, რომ ყველა საჭირო პირს დაურეკოს და ხვალ, დილის ცხრა საათზე, სამინისტროში დაიბაროს. თქვენ კი დაღლილი იქნებით. ერთად ვისადილოთ. შემდეგ კი მოისვენეთ. „ინტურისტში“ თქვენთვის ნომერია დაჯავშნილი.

– გმადლობთ, ამხანაგო გენერალო. ბოდიშს გიხდით, მაგრამ გაგრაში მელოდებიან და ძალიან მეჩქარება. იქ ვრჩები ამაღამ, – მაიორი წამოდგა. მინისტრს ხელი ჩამოართვა, – დილის ცხრა საათზე გეახლებით. ნახვამდის.

მინისტრს არ ეპიტნავა გამრეკელის უარი, მაგრამ გაუღიმა და უთხრა:

– რა გაეწყობა. ნახვამდის, მაიორო. ხვალ დილით გელოდებით.

მერაბი ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა სამინისტროდან. „ვოლგაში“ ჩაჯდა და გაგრისკენ აიღო გეზი. მაიორს ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა ასთამურს და თამარს. სულ რაღაც სამი კვირის წინ დაშორდა მათ და ეს დრო საუკუნედ მოეჩვენა. იმ ადგილს რომ ჩაუარა, სადაც შუა გზაზე დადებული სარკე აღმოაჩინა, ფანტომი გაახსენდა. ფანტომმა კი პესკასელი გაახსენა და გაიფიქრა: „მიფრთხილდი, წარუმატებელო სასიძოვ! თუ მართლა შენ ხარ ფანტომი და ამდენი უბედურება შენს კისერზეა, ისეთ დღეში ჩაგაგდებ, სიკვდილი მოგენატრება“. მერაბს თავისივე ფიქრების შერცხვა და საკუთარ თავს უთხრა: „სირცხვილი შენ, მაიორო გამრეკელო. პესკასელზე ეჭვიანობ თამარის გამო? ან ახალი თანამდებობა ხომ არ აგივარდა თავში? დამშვიდდი და ღირსეულად მოიქეცი!“ მერაბს გაეცინა. სისწრაფე დააგდო და გზა განაგრძო.

სამი საათი სრულდებოდა, მერაბი რომ ასთამურის კარ-მიდამოს მიადგა. „ვოლგა“ ქუჩაში გააჩერა. ეზოში შევიდა და დაიძახა:

– ძია ასთამურ!

სახლის კარი სწრაფად გაიღო. ზღურბლზე გოლიათი მეტყევე გამოჩნდა და მერაბი რომ დაინახა, სახე გაებადრა. ეს რა ბედნიერი დღე გამითენდაო, – დაიძახა და შვილობილს შეეგება. სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს გადაეხვია. ასთამურმა მხარზე ხელი მოხვია მერაბს, სახლში აიყვანა და უთხრა:

– ჯერ გულბათი მესტუმრა თავისი ცოლ-

შვილით, ახლა კი – შენ. უბედნიერესი დღე გამითენდა ნამდვილად.

გულბათი და მერაბი ძმებივით გადაეხვივნენ ერთმანეთს. შემდეგ, მარგიანმა მერაბს თავისი მეუღლე, ლონდა გააცნო და უთხრა:

– ტყუპებსაც გაგაცნობ, როცა გაიღვიძებენ. დილიდან აქ ვართ და იმდენი იცელქეს, დაიღალნენ და ჩაეძინათ.

ლონდამ სუფრა განაახლა და ჭურჭელი გამოცვალა. ასთამურმა ღვინის დასხმა დააპირა, მაგრამ მერაბმა გააჩერა:

– მანქანით ვარ, ძია ასთამურ და ნასვამი ვერ მივუჯდები საჭეს.

– შენ რა, ამაღამ აქ არ რჩები? – ჰკითხა მასპინძელმა.

– დღესაც და ხვალაც. ღვინოც ღამით დავლიოთ, მაგრამ ბევრს ვერ დავლევ. ხვალ დილით სოხუმში უნდა ვიყო. ამ საღამოს კი, თამარს მინდა მივაკითხო სამსახურში, – უთხრა მერაბმა მასპინძელს.

– კარგი, შვილო, მასე იყოს, – თქვა ასთამურმა და ჯერ გულბათს ჩამოუსხა, რომელიც საკმაოდ შექეიფიანებული იყო, შემდეგ კი თავადაც შეივსო სასმისი. ჭიქა ასწია და თქვა:

– ჩემს მერაბს გაუმარჯოს! სიცოცხლე და ბედნიერება არ მოგაკლოს ღმერთმა, შვილო!

ასთამურმა დალია. გულბათმაც ადღეგრძელა მერაბი, ჭიქა გამოსცალა და მაიორს უთხრა:

– ასე მტერი დაგეცალოს, ჩემო მერაბ.

– შენთან ერთად, ჩემო გულბათ, – მიუგო მერაბმა და მხარზე ხელი მოუთათუნა გულბათს, – ერთი თხოვნა მაქვს შენთან და ნუ მიწყენ.

– გისმენ, მერაბ. შენგან რა უნდა მეწყინოს.

მერაბმა ლონდას გახედა და თქვა:

– ლონდა ჩემი დაა, შენ კი – ძმა. ხვალ დილით ფორმაში უნდა იყო. რვაზე გამოგივლი და სოხუმში წავიდეთ. ამიტომ, მეტს ნუღარ დალევ და მომისმინე.

გულბათმა ჩამოსასხმელად გამზადებული ღვინის დოქი მაგიდაზე დადგა და მერაბს მიუგო:

– გისმენ, ძმაო. რით შემიძლია გემსახურო?

– ხვალ, დილის ცხრა საათზე სოხუმში, მინისტრის კაბინეტში თათბირს ვატარებ და შენც უნდა დაესწრო.

– თათბირს მინისტრთან? რა ხდება? – გაოცდა გულბათი.

– რა ხდება და, ხვალ შენ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების, გაგრის ქვედანაყოფის უფროსად დაინიშნები. ამიტომ, კარგ ფორმაში უნდა იყო და კარგად გამოიძინო, – გაუღიმა მერაბმა მარგიანს და თქვა:

– ჩვენს სისტემაში ახალი სტრუქტურა შეიქმნა. საქართველოში ამ განყოფილებას მე ვუდგავარ სათავეში და ქვედანაყოფებს ვაყალიბებ. აფხაზეთიღა დამრჩა და ხვალ აქაც უნდა დავნიშნო ხალხი. გაგრას შენ გაუძღვები, – გააკეთა პაუზა გამრეკელმა – ახლა გვეყოფა ამაზე ლაპარაკი. დანარჩენს ხვალ დილით, მანქანაში აგიხსნი. სადილს რომ მორჩნენ, ლონდამ სუფრა აალაგა. ამასობაში ბუდუმ და სერგიმაც გაიღვიძეს და მერაბი კარგა ხანს ეთამაშა მათ. საღამოს შვიდ საათზე კი მერაბმა „ვოლგით“ წაიყვანა მარგიანების ოჯახი სახლში.

– ნახვამდის, ძია ასთამურ. აწი ხშირად მოვალთ თქვენთან, – უთხრა ლონდამ გოლიათს, გადაკოცნა და ბავშვები მანქანაში ჩასხა.

გულბათიც გამოემშვიდობა ნათლიას და „ვოლგაში“, წინა სავარძელზე მოკალათდა. მერაბი კი გოლიათს მხარზე მიეფერა და სანამ წავიდოდა, უთხრა:

– არ მოიწყინო, ძია ასთამურ, შუაღამეს არ გადავაცილებ.

მერაბმა რომ მარგიანები სახლში მიიყვანა, „ვოლგა“ შემოატრიალა და გაგრის მთავარი საავადმყოფოსკენ აიღო გეზი.

– მერაბ! ჩემო ძვირფასო, როგორ ხარ? – წამოიძახა მაიორის დანახვით გახარებულმა თამარმა და გადაეხვია.

– ძალიან მომენატრე, თამარ. ერთი სული მქონდა, როდის გნახავდი, – გაუღიმა მერაბმა საყვარელ ქალს და შუბლზე მიეფერა.

სანამ თამარი ცვლას აბარებდა, მერაბმა მთავარი ექიმი და საავადმყოფოს სხვა, ნაცნობი მედპერსონალი მოინახულა.

– როგორ ხარ, გმირო, ჭრილობა ხომ არ გაწუხებს? – ჰკითხა მერაბს მთავარმა ექიმმა.

– არა, ექიმო, გამოვჯანმრთელდი და ჭრილობაც შემიხორცდა, – უპასუხა მერაბმა.

– აბა, ერთი წელსზემოთ გაშიშვლდი, უნდა გაგსინჯო, – უთხრა მერაბს მთავარმა ექიმმა.

მერაბმა პერანგი გაიხადა და ექიმმა რომ გასინჯა, უთხრა:

– კარგად შეხორცებულა. ქორწილამდე კი სტამბოლის კაჟივით იქნები. ქორწილი არ გამომაპარო, იცოდე!

– უკვე დაპატიჟებული ხართ, ექიმო.

– დიდი ხნით ჩამოხვედი?

– ზეგ დილით უნდა გავემგზავრო.

– კეთილი, – თქვა მთავარმა ექიმმა. მერაბი დერეფნამდე გააცილა და მაიორის მომლოდინე თამარს მიუბრუნდა:

– შეგიძლია, ხვალ სამსახურში არ მოხვიდე. ცვლაში კლარა გამოვა. შენ კი დაისვენე, თამარ.

– გმადლობთ, ექიმო. ნახვამდის, – გაუღიმა თამარმა მთავარ ექიმს და მერაბთან ერთად საავადმყოფოდან გამოვიდა.

– კოლონადას კაფეში ხომ არ წავიდეთ? – შესთავაზა თამარმა მერაბს.

– სადაც შენ იტყვი, – დაეთანხმა მერაბი და ქუჩის კუთხეში მდგომი „ვოლგისკენ“ გაემართა.

– გზა დაგავიწყდა, მერაბ? – გაეცინა თამარს.

მერაბმა მანქანის კარი გაუღო თამარს და უთხრა:

– გთხოვთ, დაბრძანდეთ. მანქანით მივდივართ.

– „ვოლგა“ იყიდე? – ჰკითხა თამარმა მერაბს, როდესაც წინა სავარძელზე მოკალათდა.



– სამსახურში გამომიყვეს.

– გამოგიყვეს? ესე იგი, გემსახურება?

– მემსახურება, – გაუღიმა მერაბმა თამარს და მანქანა ადგილიდან დაძრა, – მაგრამ მძღოლზე უარი ვთქვი და თვითონ ვმართავ. ასე მირჩევნია.

– შენ რა, დაგაწინაურეს?

– დამაწინაურეს.

– კარგი რა, მერაბ, ნუ მაწვალებ. მითხარი, სად დაგაწინაურეს?

– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი მერაბ გამრეკელი თქვენს განკარგულებაშია, ქალბატონო თამარ, – ნახევრად ხუმრობით, საზეიმოდ განაცხადა მერაბმა და გაეცინა.

– ეგ რას ნიშნავს. რა განყოფილებაა?

– რას ნიშნავს და ისეთი ბოროტმოქმედები უნდა დავიჭიროთ და ვამხილოთ, რომლებიც ჩვეულებრივ ქურდზე, ყაჩაღსა და ბანდიტზე უფრო საშიშნი და ძნელად მოსახელთებელნი არიან.

– ალბათ, ძალიან საშიშია, ხომ?

– მილიციელობა საშიში პროფესიაა, – გაუღიმა მერაბმა თამარს, – მილიციელის ცოლობა კი – მოსაბეზრებელი და უფრო მეტად საშიში. ქმარს უნდა ელოდო, ღამეები ათიო, – გაიმეორა მერაბმა თამარის სიტყვები, რომელიც მან გაგრის მთავარ ქუჩაზე სეირნობისას უთხრა მაიორს და ისევ გააგრძელა, – ერთ მშვენიერ დღეს კი, ეს ქმარი სულაც, შეიძლება, ვიღაც ბოროტმოქმედმა მოგიკლას...

– ღმერთმა დაგიფაროს, მერაბ! – წამოიძახა თამარმა და მაიორს შეშინებული მზერა ესროლა.

მერაბს გაეცინა თამარის რეაქციაზე. „ვოლგის“ სვლა შეანელა და თამარს უთხრა:

– აი, მოვედით. წამოდი, გადავიდეთ.

– არ მინდა კაფეში. მოდი, სოჩაში გავისეირნოთ მანქანით.

– დედა გააფთრხილე?

– გავაფრთხილე.

მერაბმა საათს დახედა და თამარს უთხრა:

– ცხრის ნახევარია. სამ საათში უნდა ჩავეტიოთ. ძია ასთამურს შევპირდი, შუა ღამეს არ გადავაცილებ-მეთქი. ხვალ დილის ცხრა საათზე კი სოხუმში თათბირი უნდა ჩავატარო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# რა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობს მთავრობაში ცნობილი კანონიერი ქურდის, „ენაბლუს“ შვილიშვილი



***უხუცესი ქართველი კანონიერი ქურდი ვახტანგ ფერაძე, მეტსახელად „ზაიკა“ (ენაბლუ), ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა იყო საბჭოთა კავშირის შავ სამყაროში და კოლეგებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ზაიკა (ენაბლუ), სინამდვილეში, ბრწყინვალე ორატორი იყო და რამდენიმე ქურდულ პროფესიასაც ერთნაირად მაღალ დონეზე ფლობდა. მას შეეძლო, ეჯიბგირა, გაეხსნა ყველაზე რთული საკეტები და გაექურდა ბინა. ყველაფერ ამას კი ვახტანგ ფერაძე მახვილოგნივრულად აკეთებდა და მისი ძებნით გამწარებულ ოპერებშიაც კი სიმპათიებს იწვევდა...***

### „ენაბლუ“

ვახტანგ ფერაძე 1896 წელს თბილისში იყო დაბადებული და ადრე დაობლდა. მას ბებია ზრდიდა, რომელიც, ასევე, ადრე გარდაიცვალა და თერთმეტი წლის ბავშვს მეურვედ ბიძა (დედის ძმა) დაუნიშნეს. პატარა ვახუნას მეურვე ლოთი, მოთამაშე და მექალთანე იყო. სწორედ მან იქონია ბავშვზე უარყოფითი გავლენა და თორმეტი წლის ვახტანგ ფერაძემ ქუჩურ ცხოვრებას მიჰყო ხელი. მასზე ბევრად უფროსმა ბიჭებმა ვახოს მოპარვა და კარტის თამაში ასწავლეს. ერთხელ ვახუნამ ჩვიდმეტი წლის სოლოლაკელ ალიმასთან შვიდი მანეთი წააგო. ალიმამ ჯიბის საათს დახედა და წაგებულს უთხრა:

– თუ ერთ საათში ფულს არ ჩამაბარებ, შერცხვები და ქუჩაში თავს ვერ გამოჰყოფ.

– არ შევრცხვები, – მტკიცედ მიუგო ვახო ფერაძემ და ერევნის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე დაეშვა.

პატარა ვახომ პოლიცმაისტერი აბესალოვი შენიშნა. ის დინჯად მიაბიჯებდა პუშკინის სკვერისკენ. ჯიბეში კი უზარმაზარი საფულე ედო. აბესალოვი შიშის ზარს სცემდა ქურდებსა და ყველა ჯურის ბოროტმოქმედს. მისი სახელის გაგონებაზეც კი ძრწოდნენ ისინი. პატარა ვახუნამ კი წინ გააურბინა, ქვას ფეხი წამოსდო და ძირს დავარდა. პოლიცმაისტერი ბავშვისკენ დაიხარა და მისი წამოყენება სცადა, თუმცა, ის არ იძროდა. სანამ აბესალოვი ბავშვს „ასულიერებდა“, ვახომ ჯიბიდან საფულე ამოაცალა და იმდენი მოახერხა, რომ ახლომდებარე შადრევანში მოისროლა. პოლიცმაისტერმა ბავშვი სკამზე დასვა და ჰკითხა:

– როგორ ხარ?

– მშშია... – ენა დაიბა ბავშვმა.

აბესალოვმა ჯიბეები მოიჩხრიკა, მაგრამ საფულე ვერ იპოვა. შემდეგ ხელი ჩაიქნია. ახლომდებარე საფუნთუშედან ბავშვს უზარმაზარი ქიშმიშიანი ფუნთუშა გამოუტანა, მიაწოდა და უთხრა:

– ჭამე და სახლში წადი. გაგაცილო?

– მმადლობ, ძძია. უკკეთ ვარ. არ მმინდა, – მიუგო ვახომ.

აბესალოვი პუშკინის სკვერს გაუყვა, თან საფულეს ეძებდა. ვახომ კი საფულე შადრევნიდან ამოიღო, ვიწრო ქუჩებით სოლოლაკში დაბრუნდა და ალიმას შვიდი მანეთი ჩააბარა. დანარჩენი ორმოცი მანეთი კი ძმაბიჭებთან ერთად დახარჯა და ჯიბგირობის ისტორია რომ მოუყვა მათ, „ენაბლუ“ უწოდეს...

### პატარა კურიერი

წლების შემდეგ ვახო ფერაძე და ანტონ აბესალოვი ციხეში შეხვდნენ ერთმანეთს და საფულის ისტორია გაიხსენეს. ვახო ქურდობისთვის იხდიდა სასჯელს, აბესალოვი კი ახალმა, კომუნისტურმა მთავრობამ დააპატიმრა და მას პოლიცმაისტერობა გაუხსენეს. აბესალოვი სასტიკად დევნიდა არალეგალ კომუნისტებს ცარიზმის დროს და სწორედ ამის გამო დაიჭირეს. პატარა ვახო კი, პირიქით, ბავშვობიდანვე ეხმარებოდა იატაკქვეშელებს და კრიმინალური საქმიანობის პარალელურად, არალეგალთა კურიერის ფუნქციებს ითავსებდა. ვახტანგ ფერაძეს არაერთხელ გადაუტანია რევოლუციური პროკლამაციები ერთი ადგილიდან მეორეზე. ღამით კი აკრძალულ ფურცლებს ქალაქში აკრავდა. პატარა კურიერმა მალე მოიპოვა იატაკქვეშელი რევოლუციონერების ნდობა და მოგვიანებით, მას უფრო საპასუხისმგებლო დავალებებსაც კი აძლევდნენ. 1912 წელს, 16 წლის ვახომ თბილისის რკინიგზის სადგურიდან ავლაბარში 40 ცალი შაშხანა და 6 ყუთი ტყვია-წამალი მიიტანა დროგით. დროგზე შეშა ელაგა და სწორედ შეშის ქვეშ იყო შენიღბული შაშხანები და ტყვია-წამალი. 1913 წელს კი, იატაკქვეშელთა დავალებით, ვახო ფერაძე პოდპოლკოვნიკ ვიქტორ ხომიჩის ბინაში შეძვრა, რუსთაველის (მაშინდელი გოლოვინის) გამზირზე და ერთ-ერთი საიდუმლო საქმე მოიპარა, რომელშიც „ოხრანკის“ საიდუმლო აგენტების სია იყო. ხომიჩი „ოხრანკის“ განყოფილების უფროსი გახლდათ და საიდუმლო საქმის გარდა, ვახომ ძვირფასეულობაც გამოაყოლა ხელს. დამსახურების მიუხედავად, ვახო ფერაძე, არც ახალმა ხელისუფლებამ დაინდო – 1923 წელს 27 წლის ვახო ქურდობისთვის დააპატიმრეს და ხუთი წლით ციხეში ჩასვეს. სწორედ იქ შეხვდნენ ერთმანეთს ძველი ნაცნობები და ექვსი თვე ერთ საკანში გაატარეს.

**„ენაბლუმ“ იატაკქვეშა კომუნისტებს თბილისის რკინიგზის სადგურიდან ავლაბრამდე 40 ცალი შაშხანა და 6 ყუთი ტყვია-წამალი დროგით მიუტანა**

### კოლორიტი ქურდი

„ენაბლუ“ კანონიერ ქურდად 1927 წელს, 31 წლის ასაკში, მოინათლა ორთაჭალის ციხეში და 60 წლის განმავლობაში, სიცოცხლის ბოლომდე, ატარებდა ამ ტიტულს. თავისი კარიერის განმავლობაში არაერთი ისეთი საქმე გაუკეთებია, რომლებიც ერთდროულად აღფრთოვანებასა და ღიმილს იწვევდა კოლეგებსა და სამართალდამცველებში.

1940 წელს, როდესაც „ენაბლუ“ მორიგი პატიმრობიდან გათავისუფლდა, მოსკოვის „ტაგანკის“ ციხიდან, მან ხელს გამოაყოლა ციხის დირექტორისა და რეჟიმის უფროსის საფულეები. მაჯის ოქროს საათი კი ხელიდან მოხსნა ციხის უფროსს და იმავე საღამოს სასტუმრო „მოსკვას“ რესტორანში დილამდე იქეიფა.

1950 წელს ვახტანგ ფერაძემ სახლში დაურეკა საკომისიო მაღაზია „დიადემის“ დირექტორს, ფეოდორ კაცმანს. თაყვანისმცემელ ქალბატონად წარმოუდგინა თავი და პაემანზე გამოიტყუა. თავად კი მის ბინაში შევიდა და იქაურობა პირწმინდად გაასუფთავა.

თავისი ბოლო საქმე „ენაბლუმ“ 1976 წელს, 80 წლის ასაკში, თბილისში შეასრულა. მან მილიციის პოლკოვნიკ არსენ გუმბაროვს მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე უნივერმაღის შენობაში საფულე ამოაცალა და მიმალვა სცადა. თუმცა, მხცოვანი ჯიბგირი მარჯანიშვილის მეტროში დააკავეს და მართალია, საფულე ჩამოართვეს, მაგრამ ასაკოვნობის გამო ციხეში არ ჩაუსვამთ.

„ენაბლუს“ მას მერე აღარაფერი მოუპარავს და ქურდების მიერ დანიშნულ პენსიაზე ცხოვრობდა. ის 1987 წელს მოსკოვის მეორე კლინიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა და მოსკოვშივეა დაკრძალული.

***P.S. ვახტანგ ფერაძის შთამომავლები დღესდღეობით საქართველოში ცხოვრობენ და მისი შვილიშვილი ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირია.***

**ნიკა ლაშაური**

# რატომ გააუპატიურა ფოტოსტუდიის ფოტოგრაფმა ახალგაზრდა გოგონა და როგორ გახსნა ჯგუფური გაუპატიურების საქმე ტაქსის მძღოლმა

დაზარალებულმა ახალგაზრდა გოგონამ, რომელიც მისთვის უცნობი ორი მამაკაცის ძალადობის მსხვერპლი გახდა, სამართალდამცველებს მომხდარი დანაშაულის შესახებ, გაუპატიურების ფაქტიდან ორ-სამ საათში მიმართა. 17 წლის ნუნუკა დ-ძის განცხადებით, ის მოტყუებით შეიყვანეს ფოტოსტუდიაში, რის შემდეგაც მასთან გაუკუღმართებული სექსუალური კავშირი დაამყარა ორმა მამაკაცმა, რომელთაგანაც მას მხოლოდ ერთი ჰყავდა ნანახი. ჯგუფური გაუპატიურების მონაწილე პირების ვინაობა შესაძლოა, გამოძიებისთვის ბოლომდე უცნობი დარჩენილიყო, რომ არა ტაქსის მძღოლი, რომელმაც ინციდენტიდან რამდენიმე საათში მიმართა სამართალდამცველებს და დანაშაულის გახნაში მთავარი როლი შეასრულა. სწორედ მან აღმოუჩინა დახმარება გოგონას, რომელიც რაიონიდან ახალი ჩამოსული იყო და წარმოდგენა არ ჰქონდა, სად და რა ტერიტორიაზე მოხდა გაუპატიურების ფაქტი. შესაბამისად, გამოძიებას ძალიან გაუჭირდებოდა დამნაშავე პირების დადგენა.

საქმის მასალების მიხედვით, 17 წლის ნუნუკა თბილისში სამუშაოდ იყო ჩამოსული. ობოლ გოგონას ხუთი წლიდან მოხუცი ბებია ზრდიდა, რომელსაც გოგონას მარტო გამოშვება არ უნდოდა, მაგრამ გაჭირვებულ ბებიაშვილიშვილს, რომელთა შემოსავალი მხოლოდ ბებიის პენსია იყო, სხვა გზა არ ჰქონდა. გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ გოგონამ ბინა შორეული ნათესავის მეზობლად, ძალიან იაფად იქირავა და სამსახურის ძიებას შეუდგა. ქუჩაში გაიცნო ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც განუცხადა, რომ ფოტოხელოვანი იყო. ამონაწერი დაზარალებულის, ნუნუკა დ-ძის ჩვენებიდან: „დათო ქუჩაში გავიცანი. მითხრა, რომ ფოტოგრაფი იყო. შემომთავაზა, ლამაზ ფოტოებს გადაგიღებ და გავყიდი, ფულს მთლიანად შენ მოგცემო. მომეწონა ეს იდეა და დავთანხმდი. რადგან მობილური ტელეფონი არ მქონდა, დათოს ჩემი სახლი ვასწავლე. სახლთან ტაქსით მივედით და შევთანხმდით, რომ მეორე საღამოს ტაქსითვე მომაკითხავდა და ფოტოების გადასაღებად წამიყვანდა. მართლაც მეორე დღეს, გვიან საღამოს მოვიდა. გარეთ ტაქსი ელოდებოდა, იმ ტაქსით წავედით ჩემთვის უცნობ ადგილზე. მე გზა არ ვიცოდი, არც ის, თუ რომელ უბანში ვიყავი. დათომ მიმიყვანა სტუდიაში, რომელიც საცხოვრებელი კორპუსის ბოლო, მეთხუთმეტე სართულის სხვენში იყო. სტუდიაში თავიდან ჩვენ გარდა არავინ იყო, მაგრამ ცოტა ხანში, სხვა ბიჭიც შემოგვიერთდა, რომელიც დათომ თავის ახლო მეგობრად გამაცნო. ჩვენ ცოტა ხანს ვისაუბრეთ, ბიჭებმა შამპანური შემომთავაზეს, სულ ცოტა დავლიე. თვითონ სხვა სასმელს სვამდნენ. ერთი საათი იქნებოდა გასული, როცა დათომ მოფერება დამიწყო. ძალიან შემეშინდა, მერე ძალადობაზე გადავიდა. ძალით გამხადა ყველაფერი და ორივე მეგობარმა ჩემთან სქესობრივი კავშირი დაამყარა. ტირილი დავიწყე, დათომ დამამშვიდა და მითხრა: ამით არაფერი მომხდარა. ახლა ქვემოთ გამოძახებული ტაქსი დაგხვდება, სახლში წადი და ხვალ აუცილებლად მოგაკითხავო. როცა სტუდიიდან გამოვედი, იქ ორი ახალგაზრდა გოგონა მოვიდა. ბიჭებს ისე შეხვდნენ, ეტყობა, კარგად იცნობდნენ. კორპუსთან ტაქსი გავაჩერე. ფული დათომ მომცა."

მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა პოლიციას დეტალური ჩვენება მისცა, გაუპატიურების მუხლით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. ნუნუკა დ-ძის განცხადებით, მას ტაქსის მძღოლმა ურჩია, მომხდარის შესახებ პოლიციაში განეცხადებინა. დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, ავტომობილში ჩამჯდარმა თავი შეუძლოდ იგრძნო და ტაქსის მძღოლს ემოციურად უამბო მომხადრის შესახებ. ასაკოვანმა მამაკაცმა გოგონა მოასულიერა, შემდეგ კი პოლიციის განყოფილებასთან მიიყვანა და ურჩია, საქმის კურსში ჩაეყენებინა სამართალდამცველები. საქმის მასალების მიხედვით, გოგონას პოლიციაში გამოცხადებიდან 2 საათში, მომხადრის შესახებ თანამშრომლობის მიზნით, პოლიციაში გამოცხადდა ტაქსის მძღოლიც. მისი ჩვენების საფუძველზე, სამართალდამცველებმა აღნიშნულ მისამართზე ორ მოძალადე მამაკაცს მიაგნეს. ისინი კი, იქიდან გამომდინარე, რომ დაზარალებული გოგონა მათ არ იცნობდა და არც მათი ადგილსამყოფელი იცოდა, ჩადენილი დანაშაულის შემდეგ, თავს მშვენივრად გრძნობდნენ. ამონაწერი ტაქსის მძღოლის, ვლადიმერ ს-შვილის ჩვენებიდან: „როდესაც მანქანაში გოგონა ჩამიჯდა, მივხვდი, რომ კარგად არ იყო. ცოტა ხანში ავტომობილის გაჩერება მომთხოვა. ჩემი შვილის ტოლი იყო. მივხვდი, მის თავს კარგი არაფერი ხდებოდა. მანქანა გავაჩერე, წყალი ვუყიდე. მომიყვა, რაც მოხდა. ძალიან ავღელდი, პირველივე პოლიციასთან მივიყვანე და ვუთხარი, იმ ბიჭებს ამ ცუდ საქციელს ნუ შეარჩენ-მეთქი. თავიდან არ დამიჯერა, მერე, როცა ცოტა დაწყნარდა, მანქანიდან გადავიდა და მადლობა გადამიხადა დახმარებისთვის. დავინახე თუ არა, რომ პოლიციის შენობაში შევიდა, იქაურობა დავტოვე. სინდისმა არ მომასვენა, მივხვდი, გოგონა ვერ მიაგნებდა იმ ადგილს, სადაც მასზე ძალადობა მოხდა და ერთ საათში უკან, პოლიციასთან დავბრუნდი. სამი გოგოს მამა ვარ, სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი."

**მოძალადე მამაკაცმა წინასწარ შერჩეული მსხვერპლი ტაქსით დიდხანს ატარა, რომ მისთვის კვალი აერია**

ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით, ინციდენტიდან რამდენიმე საათში, სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილზე დააკავეს 26 წლის დავით მ-ია და 28 წლის კოტე ი-ძე. მოძალადე დავით მ-ია, სამართალდამცველების ინფორმაციით, მსგავს დანაშაულში ადრეც იყო შემჩნეული. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს უარყოფდნენ, მაგრამ, რადგან ძალადობის მსხვერპლმა უტყუარად ამოიცნო ორივე მოძალადე და გამოძიებასაც ხელთ ჰქოდა ტაქსის მძღოლის ჩვენება, სადაც დეტალურად იყო აღწერილი უცნობი მგზავრის მდგომარეობა, ორივე მოძალადე დამნაშავედ ცნეს სისხლის სამართლის კოდექსით. სასამართლო პროცესზე კოტე ი-ძის ადვოკატი ცდილობდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის ჯგუფური გაუპატიურების ბრალდება მოეხსნა და აცხადებდა, რომ კოტე ი-ძე შემთხვევით შეესწრო მეგობრის მიერ გოგონას გაუპატიურების ფაქტს. სასამართლომ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. განსასჯელმა დავით მ-იამ სასამართლო პროცესზე თავი დამნაშავედ ცნო და აღიარა, რომ გოგონას გაუპატიურება წინასწარ დაგეგმა: განზრახვის შესასრულებლად მეგობრის, კოტე ი-ძის კუთვნილი სალონი შეარჩია და მას დანაშაულის დეტალებზე წინასწარ შეუთანხმდა. დავით მ-იას განცხადებით, მან ისარგებლა იმით, რომ გოგონა თბილისს არ იცნობდა და ტაქსით სპეციალურად ბევრი ატარა, გზა-კვალის ასაბნევად. სასამართლომ ორივე მოძალადე მამაკაცი დამნაშავედ ცნო და ნუნუკა დ-ძის გაუპატიურებისთვის, 8-8 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 18 აგვისტო

1786 – დაარსდა ისლანდიის დედაქალაქი რეიკიავიკი.

1859 – ფრანგი ჟან ბლონდენი ბაგირით გადავიდა ნიაგარის ჩანჩქერზე, მას ზურგზე მეორე აკრობატი ედგა.

1868 – ფრანგმა ასტრონომმა პიერ ჟანსენმა ერთი თვით დაასწრო ინგლისელ ჯოზეფ ნორმან ლოკიერს და მზის სპექტრში აღმოაჩინა ახალი ელემენტი – ჰელიუმი. დედამიწაზე ჰელიუმი მხოლოდ 1895 წელს აღმოაჩინეს.

1931 – იაპონიამ დაიწყო ომი ჩინეთის წინააღმდეგ.

1962 – რინგო სტარი პირველად გამოვიდა „ბითლზის" შემადგენლობაში, როგორც დასარტყამ ინსტრუმენტებზე შემსრულებელი.

1977 – მემფისში დაკრძალეს ელვის პრესლი. ცხედარს 75 ათასი თაყვანისმცემელი მიაცილებდა.

### 19 აგვისტო

1936 – ფაშისტებმა მოკლეს ფედერიკო გარსია ლორკა, ესპანელი პოეტი და დრამატურგი.

1970 – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვაშინგტონის შტატში, გზაზე ნახეს უზარმაზარი მაიმუნისმაგვარი არსება.

1991 – პუტჩის მცდელობა საბჭოთა კავშირში.

### 20 აგვისტო

1896 – დააპატენტეს ტელეფონი ნომრის ასაკრეფი დისკით.

1969 – „ბითლზის" წევრებმა ერთობლივად ჩაწერეს ბოლო ალბომი „Abbey Road".

### 21 აგვისტო

1911 – „ლუვრიდან" გაიტაცეს „მონა ლიზა" („ჯოკონდა").

1915 – თურქეთის ტერიტორიაზე, დარდანელთან, ნისლში გაქრა ინგლისის მთელი ბატალიონი 145 ჯარისკაცის შემადგენლობით.

1981 – მეცნიერებმა ოფიციალურად პირველად გამოაცხადეს გლობალური დათბობის საშიშროების შესახებ.

1986 – კამერუნში ბუნებრივი კატასტროფა მოხდა – ტბა ნიოსიდან ამოიფრქვა მხუთავი გაზი, რომლის ღრუბელმა 25 კვადრატულ კილომეტრზე მეტი დაფარა. დაიღუპა 1 746 ადამიანი და 20 ათასი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი.

### 22 აგვისტო

1567 – ჰერცოგი ალბა დაინიშნა ესპანეთის მეფისნაცვლად ნიდერლანდებში. მის სისასტიკეს იქ 8 000 ადამიანი ემსხვერპლა.

1770 – ჯეიმს კუკმა აღმოაჩინა ავსტრალიის აღმოსავლეთი სანაპირო, რომელიც ინგლისის სამეფოს საკუთრებად გამოაცხადა.

1932 – ტელემაუწყებლობა დაიწყო კომპანია „ბი ბი სიმ".

### 23 აგვისტო

1903 – ლონდონში რსდმპ-ის სხდომაზე მოხდა განხეთქილება, რის შედეგადაც წარმოიშვა ორი ფრაქცია – ბოლშევიკების და მენშევიკების.

1913 – კოპენჰაგენში (დანია) გაიხსნა სირინოზის ძეგლი.

1939 – გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერეს, ეგრეთ წოდებულ, „მოლოტოვ-რიბენტროპის" აქტს გავლენის სფეროების განაწილების შესახებ.

### 24 აგვისტო

79 – ვულკან ვეზუვის კატასტროფული ამოფრქვევის შედეგად ფერფლმა დაფარა სამი ქალაქი: პომპეი, ჰარკულანუმი და სტაბიუმი.

1572 – „ბართლომეს ღამე" პარიზში – კათოლიკებმა მოაწყეს პროტესტანტების მასობრივი ჟლეტა.

1853 – ამერიკელმა ჯორჯ კრამმა გამოიგონა კარტოფილის ჩიპსები.

1995 – ოფიციალურად პირველად გაიყიდა ოპერატიული სისტემა „Windows 95".

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ქუდით დაიწყეთ მულტფილმის გმირის ხატვა



2. მიახატეთ თავიც



3. შემდეგ – თვალი, პირი და ყური



4. მიახატეთ თმა



5. თავს მიახატეთ ტანიც



6. დაასხურეთ ნახატი



7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ 10 განსხვავება





## იპოვე მსგავსი სანათი



## დაეხმარე გზის გაკვლევაში



# ძაღლი და მელა

## (იგავ-არაკი)

ერთხელ მაძებარი ძაღლი ლომს გამოუდგა. როცა ლომი მოუბრუნდა და შეუღრინა, ძაღლს შეეშინდა და უკან მოჰკურცხლა. მელამ რომ ეს დაინახა, ძაღლს მიაძახა: აი, შე ბრიყვო, ლომს მისდევდი და მისი ხმისაც კი გშინებიაო.

ეს არაკი იმ ადამიანებზეა ნათქვამი, ვინც თავისზე ძლიერს ზურგს უკან დასცინის, პირში კი სიტყვის თქმასაც ვერ უბედავს.

## რიცხვრებუსი

**7,, ,,0**





ღირებულება / თევზის ქალი

მესამე ნოტი

შეუდარებელი / სურათების წიგნი / მსგავსი

ძველი საბერძნეთის ქალაქი

შემოფარგლული ტერიტორია

ყვავილი

აზიის მოყვარული

თანხმობა

ესპანელ. იოსები / ფრანგი მსახიობი

განთიადი

ქალაქი საფრანგეთში

პერუს დედაქალაქი

არაფრის მქონე / საუნა

რჩეული

შემდეგ გადასახდელი

ავტორბოლა

ჩვენი ძმა ესპანეთში

შავი ზღვის კურორტი

(.......) ცეტკინი

არაბული ქვეყანა

ფუჭი, უშედეგო

არსაკიძის მეტსახელი

თურქეთის ექს-პრეზიდენტი

თავმდები / პატიმრის ბინა

ამერიკელი დრამატურგი

სუფრასთან სიტყვით გამოსვლა

სანქტ-პეტერბურგის მდინარე

თოფის ნაწილი / კლდეა ასეთი

საფრანგეთის მდინარე

ქუთაისის ფეხბურთის გუნდი

არაგველები / იტალ.მეზღაპრე

ჩვენი გმირი

რუსთველის პოემის გმირი

ევროპელი მეკობრე

ბაგირი არაქართულად

მიანმას ძველი სახელი

(......)-ტაფელა / კომში

იმრე კალმანის ოპერეტა

მსახიობის საქმიანობის ნაწილი / სევანური საგამობელი

ნასუფრალი

ჩამოწეული ნიკაპი / გოდერძი

რას შვება ტატოს მერანი?

არაბული ქვეყანა / ლითონი

სარეცხს ალურჯებს

ძველი სომხეთი / არიფი / ქოსი

თანმხლები პირები

ბალერინა ნიორაძე

ჩვენი მდინარე

რამინის სატრფო

პოეტი კარლო...

დამხმარე ნაგებობა სოფლად

რეგიონი

ქათქათა ქალაქი

ძველი ბრაზილიელი ფეხბურთელი

ზღვის ფრინველი / დანელიას ფილმი

სასწავლებლის სახეობა

ინდოეთშია / „გვადი ბიგვაშია“

დომინოს ჩიხი / მაისის ყვავილი

ფრანგი კომპოზიტორი

ალმ.ევროპის რეგიონი / ქალის სახელი

ფრანგი დრამატურგი

ლეგენდარული მძლეოსანი ჯესი...

ელექტრული ნაწილაკი

სამოსის სამშვენისი

კამათლებით სათამაშო

ჯორდანო

ავთანდილმა გადაარჩინა

იტალიაშია (.....)-რომანია

(.......) ელიავა

მესამე პირმა / გამოცდილი

ძველ პურს აქვს

საფრანგეთის ქალაქი

(.......) ალეგროვა

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | 1 | 2 | 1 | 1 | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | 1 | 3 | 1 | 1 | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | 1 | | 3 | 4 | | 1 | 1 | 2 | 2 | 8 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 2 | | | | |
| | | 3 | 4 | 5 | 6 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 12 | 7 | 7 | 16 | 8 | 8 | 8 | 8 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 3 | 2 | 2 | |
| 1 | 12 | 1 | 9 | 9 | 9 | 9 | 9 | 9 | 9 | 9 | 9 | 1 | 1 | 1 | 1 | 9 | 9 | 9 | 9 | 9 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 12 | 1 | 1 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | 3 | 2 |
| | | | 3 | 3 |
| | | | 2 | 5 |
| | | | 2 | 1 |
| | | | 3 | 3 |
| | | | 2 | 4 |
| | | | | 7 |
| | | | | 3 |
| | | | | 6 |
| | | | 1 | 1 |
| | | | 1 | 1 |
| | | | 1 | 1 |
| | | | 12 | 7 |
| | | | | 22 |
| | | | | 24 |
| | | | | 26 |
| | | | | 28 |
| | | | | 30 |
| | | | | 32 |
| | | | | 34 |
| | | | 1 | 1 |
| 1 | 9 | 5 | 6 | 1 |
| 1 | 9 | 5 | 6 | 1 |
| 1 | 9 | 5 | 6 | 1 |
| 1 | 9 | 5 | 6 | 1 |
| 1 | 9 | 5 | 6 | 1 |
| 1 | 9 | 5 | 6 | 1 |
| | 1 | 9 | 5 | 1 |
| | 1 | 9 | 5 | 1 |
| | | | | 32 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 4 | 5 | 2 | | 7 | 1 | 3 |
| | | 3 | | 7 | | | 2 | |
| 7 | | | 3 | | 1 | | | |
| 5 | 1 | 9 | 8 | | 7 | | 6 | |
| | | 2 | | 4 | | | 7 | 1 |
| 4 | | | 9 | | | 3 | | 8 |
| | 5 | | 1 | | | 6 | 4 | 7 |
| 6 | | 1 | | | 4 | | | 2 |
| | 4 | | 2 | | 6 | 1 | 3 | 5 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | 7 | | | 2 | | |
| | | 7 | | | 3 | | | 8 |
| | 3 | | | 2 | | | 7 | |
| | | 3 | | | 9 | 6 | | 7 |
| 7 | | | 3 | | 5 | | | 1 |
| | 5 | 1 | 8 | | | 3 | | |
| 3 | | 6 | | 7 | | 4 | | |
| 4 | | 5 | | 3 | | | 8 | |
| | 7 | | 1 | | 4 | | 6 | |

**ახალგაზრდა მსახიობს, სოფია სებისკვერაძეს საზოგადოება იცნობს ძირითადად, ფილმებიდან – „ჭამა და სექსი“ და „მამაჩემის გერლფრენდი“.**

**ხშირად უსვამენ ხაზს მის მიერ შესრულებულ თამამ როლებს, თუმცა თავად მიიჩნევს, რომ აქ, სითამამე არაფერ შუაშია და ამ მხრივ კინოსივრცეში ისეთი არაფერი გაუკეთებია.**

**ისევე, როგორც ყველა ცნობილი და წარმატებული ადამიანის შემთხვევაში, სოფიას ცხოვრებისადმიც ინტერესი დიდია. ამიტომ, დღეს ის ჩვენი რესპონდენტია და მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დასმულ კითხვებზე გვიპასუხებს.**

# რა ეხმარება სოფია სებისკვერაძეს იმაში, რომ პატარა გოგოსავით გამოიყურებოდეს და რატომ არის მისთვის სიყვარული არცთუ ისე სასიამოვნო

**– დიდი ხნის ურთიერთობა გაკავშირებდათ გიორგი ლიფონავასთან. რა გახდა თქვენი განშორების მიზეზი?**

– ალბათ, დავიღალეთ. მე დავიღალე და, ალბათ, ისიც.

**– ერთად ყოფნისას, ამბობდით, რომ ძალიან ბედნიერი იყავით. რა შეიცვალა შემდეგ?**

– ნებისმიერი ურთიერთობა მოსაბეზრებელია, როცა არ ვითარდება. ალბათ, ეს იყო მიზეზი. აღარ მინდა ამ თემაზე საუბარი.

**– ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

– ჩვეულებრივი.

**– ამჟამად რა ხდება თქვენს პირად ცხოვრებაში?**

– სიმშვიდეა და ძალიან მომწონს. არავიზე არ ვარ დამოკიდებული. სიყვარული სისუსტეა და არც ისე სასიამოვნო, როცა მხოლოდ ერთ ასპექტს მოიცავს. დამღლელიც ყოფილა. თუ ვერ განაზოგადებ და გაშლი, პიროვნულად ვერ განვითარდები.

**– ახალგაზრდა დედა ხართ, როგორ ართმევთ თავს ამ მოვალეობას?**

– მარი უკვე დიდი გოგოა. დედობას მარტო ვართმევ თავს. თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობენ ადამიანები, ვინც მეხმარებიან. თვითონ მარიც მეხმარება.

**– თქვენი თაყვანისმცემლებისადმი როგორი დამოკიდებულება აქვს?**

– ისე იღებს, როგორც საჭიროა. ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. გააჩნია, რას გულისხმობთ? თუ ვინმე მაწუხებს, თვითონვე ვუმკლავდები. ისე კი, სასიამოვნოა, თუ ვინმეს მოსწონხარ. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ხარ ან რა პროფესიის. ზოგადად, ადამიანებს უნდა შეგვეძლოს იმის აღნიშვნა, რაც მოგვწონს.

**– თქვენ მიერ შესრულებულ როლებზე რას ამბობს?**

– შენიშვნებს ვიღებ და ვითვალისწინებ. არა მხოლოდ მარისგან, ზოგადად, მიყვარს გულწრფელი შენიშვნები.

**– შვილი საოჯახო საქმეებში თუ გეხმარებათ?**

– მეხმარება, თუ უნდა.

**– როგორც ვიცი, ახალ სახლში გადახვედით.**

– კი. ერთი კვირაა.

**– ხშირად აღნიშნავენ, რომ ასაკით გაცილებით პატარას ჰგავხართ, ვიდრე ხართ. ამისთვის რაიმე განსაკუთრებულ ხერხებს მიმართავთ?**

– არანაირს. მხოლოდ ვცდილობ, განწყობის თეორია ჩავრთო, რადგან ვფიქრობ, განწყობა უპირველესია, ზოგადად, ყველაფერში. სულ ეს არის. არაა რთული, მაგრამ არც მარტივია.

**– დიდი ხნის განმავლობაში ქერას იმიჯი გქონდათ. ახლა რატომ შეიცვალეთ თმის ფერი?**

– თმის ფერს ხშირად ვიცვლი. ხან – გადაღებების გამოც. მაგრამ, ამჯერად, ჩემი სურვილია. თეატრიდან სექტემბრამდე შვებულება მაქვს და ეს ერთი თვე გამოვიყენე.

**– კარიერაზე გადავიდეთ. საკმაოდ თამამი კინოროლებით გიცნობთ საზოგადოება.**



სიყვარული სისუსტეა და არც ისე სასიამოვნო, როცა მხოლოდ ერთ ასპექტს მოიცავს. დამღლელიც ყოფილა, თუ ვერ განაზოგადებ და გაშლი, პიროვნულად ვერ განვითარდები

**აღნიშნავთ, რომ ცხოვრებაში ასეთი არ ხართ. როგორია სინამდვილეში სოფია სებისკვერაძე?**

> **მხოლოდ ვცდილობ, განწყობის თეორია ჩავრთო, რადგან ვფიქრობ, რომ განწყობა უპირველესია, ზოგადად, ყველაფერში. სულ ეს არის. არაა რთული, მაგრამ არც მარტივია**

– სულ მიკვირს, რა გავაკეთე ასეთი თამამი კინოსივრცეში?! სულ რამდენიმე კინოროლი ვითამაშე – ვფიქრობ, სითამამე აქ არაფერ შუაშია. მე ასე მესმის. ცხოვრებაში, ალბათ, გაცილებით თამამი ვარ, სულ რაღაცეებს ვაპროტესტებ.

**– ერთ-ერთ სპექტაკლში მხოლოდ ტრუსებით გამოხვედით, რასაც უარყოფითი შეფასებები მოჰყვა.**

– სხვათა შორის, არ მოჰყოლია უარყოფითი შეფასება. პირიქით. რატომღაც, ქართველები, ხშირ შემთხვევაში, სწორად იგებენ სცენაზე სიშიშვლის დანიშნულებას. ალბათ იმიტომ, რომ სცენა უფრო აკადემიურია. მათთვის პირველი პრეცედენტი იყო სპექტაკლი „ტრუსები“, სადაც მე გავიხადე. სხვაგან ვერსად იპოვით შიშველ სოფიას.

**– თავს კომფორტულად თეატრში უფრო გრძნობთ თუ კინოში?**

– სულ მეღიმება ამ კითხვაზე. რა თქმა უნდა, ორივე მიყვარს. თან, კამერასთან მუშაობა მომენატრა. ორივე რთული და საინტერესოა. ჩემი გული მხოლოდ მათ ეკუთვნის: კინო და სცენა – აი, ეს არის ჩემთვის ჭეშმარიტი სიყვარული.

**– სიახლეები თუ გაქვთ... კონკრეტული პროექტები?**

– ტელესივრცეში – არაფერი, უფრო – თეატრში. სექტემბერში ახალ პრემიერას ნახავთ და ოქტომბერში ესტონეთში მივდივართ ფესტივალზე სპექტაკლ „ტრუსებით“. ახალ წლამდე კიდევ ორ პრემიერას ვითამაშებ და მიხარია, რომ ახმეტელის თეატრს ახალი, ახალგაზრდა სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს – ირაკლი გოგია და დაეტყო კიდეც თეატრს. ბევრ საინტერესო პროექტს ნახავთ.

**– საოცნებო როლი თუ გაქვთ?**

– ბავშვობაში სონია მარმალადოვა, ანასტასია ფილიპოვნა, რემედიოსი და ლირის მასხარა იყო ჩემი საოცნებო როლები. თამამი ბავშვი ვიყავი. ახლა, ამ მხრივ, თავმდაბლობას ვიჩენ. კლასიკური და არაკლასიკური როლები გაცილებით საინტერესო გახდა ჩემთვის. ალბათ, გავიზარდე, დიდი გოგო ვარ უკვე.

**– სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?**

– სამომავლო გეგმები თეატრს უკავშირდება, რაზეც ზემოთ უკვე გესაუბრეთ. სხვა ჯერ მეც არ ვიცი. ალბათ, კინოსფეროშიც იქნება სიახლეები მომავალში. ვნახოთ.

**ქეთი კაპანაძე**

**ნატალი მაჩიტიძე წლების წინ გაიცნო მაყურებელმა რეალითი შოუდან „მდიდრები და ღარიბები.“ ნატალი რეალური შოუს პირველი გამარჯვებული გოგონა გახდა და მაყურებლის მხრიდან დიდი სიმპათიები დაიმსახურა. იმ პერიოდში ის საკმაოდ პოპულარული იყო, არაერთი საინტერესო შეთავაზება ჰქონდა, მან კი მოულოდნელად გათხოვება და საცხოვრებლად ბათუმში გადასვლა გადაწყვიტა, რის გამოც ყველაფერზე უარის თქმა მოუწია. დღეს ნატალი პატარა, საყვარელი გოგონას დედაა.**

# რა ცდუნებებზე მოუწია უარის თქმა ნატალი მაჩიტიძეს და ვის გამო თქვა უარი ყველაფერზე პოპულარობის ზენიტში ყოფნისას

**ნატალი მაჩიტიძე**: ეს პროექტი ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ სამი თვე ვიტანჯე. ბევრი რამ გამოვიარე, მეგონა, დაბერებული გამოვედი, რადგან, დიდი გამოცდილება მივიღე. თან, ფულზე თამაში რომ იყო, ძალიან ბევრი ინტრიგა იხლართებოდა. რეიტინგული ვიყავი და ყველაფერი ჩემკენ იყო მომართული, ჩემზე ხდებოდა ზეწოლა, ჩემ წინააღმდეგ თამაშობდნენ. თავიდანვე პროტესტის გრძნობით შევედი: მინდოდა, დამერღვია ის სტერეოტიპი, რომ ქალები სუსტები ვართ და დამემტკიცებინა, რომ ჩვენც შეგვიძლია, მოვიგოთ რეალითი შოუ. შოუში უფრო გულჩვილი შევედი, ყველაფერზე მეტირებოდა. მაგრამ მერე, რომ ხედავ, შენ წინააღმდეგ ბინძურ რაღაცეებს აკეთებენ, ხლართავენ ინტრიგებს, კოალიციებს აწყობენ და ცდილობენ გაგაგდონ, უფრო ძლიერდები.

**– უცებ ძალიან პოპულარული გახდი, მაგრამ მერე გაუჩინარდი. რა მოხდა?**

– თეატრალურში გავაგრძელე სწავლა, მაგრამ, იმ დროს გავთხოვდი, როდესაც რეალურად ყველაზე მეტი შემოთავაზება მქონდა და ყველაფერზე უარის თქმა მომიწია. ჩემი შეყვარებული ცოტა აზიატი აღმოჩნდა. მაგრამ იმდენად მიყვარდა და ისე არგუმენტირებულად მიხსნიდა... თან, ჩემთვის პირველი სიყვარული იყო, ისე მიხსნიდა და მაჯერებდა, რომ მეც ვთმობდი ყველაფერს. იმ დროს მართლა ძალიან ბევრი შემოთავაზება მქონდა და მე, ფაქტობრივად, ყველაფერზე უარი ვთქვი. გოგი ქავთარაძემ მომცა კარგი როლი სპექტაკლში; მაშინ იწყებოდა ყველაფერი თეატრში, კინოში, მაგრამ სიყვარული ავირჩიე, რადგან, მეგონა, რომ მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებოდით. გადავსახლდი ბათუმში, სრულიად უცხო ქალაქში, სადაც არავის ვიცნობდი.

რთული იყო ცხოვრების ასე რადიკალურად შეცვლა. თან, ყველაფერი გენატრება – ოჯახი, მეგობრები. რამდენჯერ გამიღვიძია და ნოსტალგიის გამო ღამით მიტირია. სამწუხაროდ, ჩემი ამდენი დათმობის მიუხედავად, ყველაფერი არ დამთავრდა ისე, როგორც მეგონა – გვეყოლებოდა ბევრი შვილი, ცხოვრების ბოლომდე ერთად, ხელჩაკიდებულები ვიქნებოდით... ყველა გოგონას ვურჩევ, რომ არ იყვნენ იმპულსურები და კარგად გაიცნონ საყვარელი ადამიანი, ნახონ, შეუძლიათ თუ არა ერთად ცხოვრება, შეძლებენ თუ არა ერთმანეთის გაგებას და შემდეგ გადადგან ეს ნაბიჯი. ჩვენი ამბავი, უბრალოდ, სიშორემ დააჩქარა და იმან, რომ სამ დღეში ერთხელ ჩამოდიოდა ბათუმში. ერთ დღესაც, მომადგა მანქანით... ნახევარი წელი ვიყავით შეყვარებულები, ბათუმში გავიცანით ერთმანეთი. ერთი ნახვით გაგვიჩნდა ერთმანეთის მიმართ სიმპათია, თუმცა, სიყვარული მერე მოვიდა, როდესაც გავიცანით ერთმანეთი. როგორც აღმოჩნდა, ის კარგად მიცნობდა, რადგან, ძალიან გახსნილი ადამიანი ვარ, არასდროს არაფერს ვმალავ, ყველაფერს პირდაპირ ვყვები. სამაგიეროდ, ცოლქმრობის შემდეგ ჩემთვის ბევრი რამ სიურპრიზი აღმოჩნდა – ხასიათებით ძალიან განსხვავებულები აღმოვჩნდით. ძალიან კარგი პიროვნებაა, ცივილური, ნორმალური ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან, ჩემი შვილის მამაა და დიდ პატივს ვცემ. დღემდე გვაქვს აზრების გაცვლა-გამოცვლა, ერთმანეთს რჩევას ვეკითხებით.

**– რამდენ ხანს იყავით ერთად?**

– ორი წელი ვიცხოვრეთ ერთად, მაგრამ, მერე გადავწყვიტე, წამოვსულიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ცალ-ცალკე კარგი ადამიანები ვართ, ვერ ვთავსდებოდით ხასიათებში. მე მინდოდა, ჩემი შვილი სიმშვიდეში გაზრდილიყო, კონფლიქტისთვის მომეშორებინა. სიმართლე რომ გითხრა, ეს არ იყო ადვილი, ასეთ მდგომარეობაში პირველად ვიყავი. როდესაც ადამიანის გამო ყველაფერს თმობ, მერე მისგან პატარა რამეც კი გწყინს, მით უმეტეს, ეს საყვარელი ადამიანისგან უფრო მეტად გულსატკენია. ზოგადად, ამ თემაზე ბევრს არ ვლაპარაკობ. უბრალოდ, ხდება ზოგჯერ ისე, რომ ადამიანები ვერ ეწყობიან ერთმანეთს, ასე იყო ჩვენს შემთხვევაშიც.

**– ეს შვიდი წელი, ალბათ, დაკარგულად მიგაჩნია.**

– ნამდვილად დაკარგულია. ბავშვის გამოც ბევრ რამეზე ვთქვი უარი, რადგან, მინდოდა, მე გამეზარდა. თეატრი ისეთია, სულ იქ უნდა ვყოფილიყავი, დედაც არ მყავს საქართველოში, რომ მომხმარებოდა, ამიტომ, მარტოს მომიწია ბავშვის გაზრდა. ეს რთულია, მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან დიდ ძალას გმატებს. ბავშვს რომ მოვკიდე ხელი და წამოვედი ბათუმიდან, უკვე ვიცოდი, რომ ყველაფერი უნდა გამეკეთებინა წესიერების ფარგლებში, რათა ჩემი შვილი კარგად ყოფილიყო. მალევე დავიწყე ტელევიზიაში მუშაობა, პირდაპირ ეთერში ვიმუშავე ერთი წლის განმავლობაში. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ კაპიკებს მიხდიდნენ და მე და ჩემს შვილს არ გვეყოფოდა, გადავინაცვლე კარაოკეს სფეროში, წამყვანად. ახლა მაქვს კარგი შემოთავაზებები და რომელიმეს ავირჩევ. გარდა ამისა, პილოტი გადავიღეთ, უკვე დაამტკიცა „იმედმა“ და მალე გავა დეტექტიური ჟანრის სერიალი, სადაც ერთ-ერთი მთავარი როლი მექნება. რაც მეუღლეს გავშორდი, იმის მერე მივედი სხვადასხვა ქასთინგზე, მაგრამ, ძირითადად ისეთი სცენები იყო, რაზეც არასდროს დავთანხმდები. ზოგი იხდის და ამით იკეთებს პიარს, მე მათ არ ვაკრიტიკებ, მაგრამ, ამას არ გავაკეთებ. თან, ჩვენთან ისეთი დამოკიდებულებაა, ერთხელ რომ გაიხდი, მერე სულ ასეთ როლებს გთავაზობენ. მე ასეთი რამ კიდევ არ მინდა – როგორც მსახიობს გაფუჭებს: აღარ გიწევს თამაში, იხდი და ამით ხარ პოპულარული. მე არ ავირჩიე ეს გზა. ვითმენ და, იმედია, ეს საბოლოოდ გამოიღებს შედეგს, ჩემთვისაც გამოჩნდება როლები. მირჩევნია, დამამახინჯონ, სასაცილო როლი მომცენ, ვიდრე გავიხადო და ამით გავხდე ცნობილი. „ფლეიბოიშიც“ მთავაზობდნენ გადაღებას, მაგრამ უარი ვთქვი – არ მინდა, მამაკაცების გასართობი ობიექტი ვიყო-მეთქი, რადგან, ყველამ იცის ამ ჟურნალს რა დატვირთვა აქვს.



**„ფლეიბოიშიც“ მთავაზობდნენ გადაღებას, მაგრამ, უარი ვთქვი – არ მინდა, მამაკაცების გასართობი ობიექტი ვიყო-მეთქი, რადგან, ყველამ იცის, ამ ჟურნალს რა დატვირთვა აქვს**

**– ამ შვიდი წლის განმავლობაში რა იყო შენთვის ყველაზე დიდი სირთულე?**

– წარმოიდგინე, ყველაფრის წინაშე რჩები მარტო, გყავს შვილი, გაქვს პასუხისმგებლობა და, ამ დროს, 100 კაციდან 99 გეპრანჭება. ჩვენთან ძალიან ცუდი დამოკიდებულება აქვთ. ჰგონიათ, ქალი თუ ქმარს გაშორდა, სხვანაირ ცხოვრებას იწყებს, არადა, ადამიანები არ იცვლებიან. მერე ძალიან დიდი პროტესტი მიჩნდებოდა მათ მიმართ. ერთხელ მიყვარდა და ასე დამთავრდა და, როგორ ფიქრობ, ახალი ურთიერთობის დაწყების სურვილი გამიჩნდებოდა?! პირიქით, იმხელა პროტესტის გრძნობა მქონდა, რომ ლამის ფემინისტი გავხდი. ოთხი წელი გავიდა, რაც გაშორებული ვარ და დღემდე არ მიცდია პირადი ცხოვრების აწყობა. ფობიასავით ჩამომიყალიბდა თითქოს. ალბათ, ყველაფერი ღმერთის, დროის ამბავია.

**– ახალი სახელი დაირქვი – „საშიში ნატალი“. ვისთვის ხარ საშიში?**

– გოგოებს ეშინიათ, შეყვარებულები არ წავართვა, არადა, არავის შეყვარებული არ მაინტერესებს. არასდროს არავის შეყვარებული ან ქმარი არ მჭირდება. ზუსტად ვიცი, რომ ურთიერთობაში მესამე არასდროს ვიქნები, მაგრამ, მაინც ეშინიათ გოგოებს. რომ მიცნობდნენ, ყველანაირ შიშს გამორიცხვდნენ, მაგრამ, არ მიცნობენ. ბიგ თიკო, ჩემი დაქალი, სულ აღნიშნავს ჩემზე: ეს არის ადამიანი, რომელსაც აბსოლუტურად განსხვავებული ვიზუალი და შინაგანი სამყარო აქვს, ერთმანეთს საერთოდ არ ემთხვევაო. გარეგნულად თავისუფალი, ლაღი ვჩანვარ, რომ გამიცნობენ, ხვდებიან, რომ სულ სხვანაირი ვარ. ჩემი ვიზუალი იტყუება და არ დაუჯეროთ, ჯერ გამიცანით და მერე გამოიტანეთ დასკვნები.

**– მამაკაცებისთვისაც ხარ საშიში?**

– განქორწინების შემდეგ ერთადერთი მამაკაცი მომეწონა და, აღმოჩნდა, რომ შეყვარებული ჰყავდა. რა თქმა უნდა, არანაირი ნაბიჯი არ გადამიდგამს, მაგრამ, მან მომწერა: შენთან შეხვედრის მეშინია, რომ საყვარელ ადამიანს არ ვაწყენინოო. ეშინიათ, რომ არ შევუყვარდე. არ მინდა და ნამდვილად არ ვაპირებ სხვების ურთიერთობაში შუაში ჩადგომას. კიდევ, იცი, რატომ ვარ საშიში? ბოლო დროს სამსახურიდან უარგუმენტოდ გამომიშვეს. უფროსის ცოლმა, ვინც ცოტა ვიზუალურად ნორმალური ვიყავით ყველა, გამოგვიშვა. არადა, ვის სჭირდებოდა მისი ქმარი?! ასეთი ცხოვრება რომ მდომებოდა, კარაოკეში ღამისთევით მოვიკლავდი თავს?! თან, შემოთავაზება უამრავი იყო, მაგრამ მე ყველას უარი ვუთხარი და, ავირჩიე გზა, რომლითაც ჩემთვის, მარტო, წესიერად ვივლი. გოგო მეზრდება, ამიტომ, ჩემს ყოველ ნაბიჯს ვუფრთხილდები. ძალიან რთული გზა ავირჩიე, მაგრამ, მეამაყება, რომ წესიერი, სუფთა ნაბიჯებით მივდივარ. ჩემ გარშემო ძალიან ბევრი ცდუნება ყოფილა, ისეთი შემოთავაზებები მქონდა, რომ დავთანხმებულიყავი, დღეს ძალიან კარგად ვიქნებოდი, მაგრამ, როგორც კი შემიტყვია, რომ ის, ვინც სამსახურს მთავაზობს, მეპრანჭება, აღარ დამიწყია მუშაობა. არ მინდა, ვინმეს ხარჯზე დავიწყო რამე.

**– ალბათ, მამაკაცების მიმართ უფრო მეტი მოთხოვნები გაქვს, უფრო ბევრ რამეს გაითვალისწინებ მათთან ურთიერთობისას.**

– უნდა ვეწყობოდეთ ერთმანეთს, ურთიერთობებში დათმობები ცალმხრივად არ უნდა ხდებოდეს. რა თქმა უნდა, კომპრომისები აუცილებელია, მაგრამ, ეს დაბალანსებული უნდა იყოს. ვერ მოვიტყუები და ვიტყვი, რომ, უპირველეს ყოვლისა, ვიზუალს ვაქცევ ყურადღებას, პირველად პიროვნების ადამიანობას ვერ დაინახავ. რომ მწერენ, შენთან მეგობრობა მინდაო, სასაცილოა. რამხელა ტყუილია! ფოტოს რომ დაინახავენ, რა მეგობრულად გამოვიყურები, მკერდში დაინახა მეგობრული თვისებები თუ რა?! ამაზე მხოლოდ მეცინება. ძალიან ვაფასებ თავმდაბლობას, ერთი თვისებაც არ გამაჩნია ყალბი და ასეთ ადამიანებს ვცემ პატივს.

**ნათია უტიაშვილი**

**სამწუხაროდ, მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში დღემდე უამრავი თეთრი ლაქაა. საქართველოში, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ უნგრელი ნაცისტების ბელადის, ფერენც სალაშის ბაბუა თბილისელი სომეხი იყო. სალაშიზე და მის ბედზე გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებთა დოქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ნიკა თევზაძე.**

# როგორ გახდა უნგრელი ნაცისტების ფიურერი თბილისელი სომხის შვილიშვილი და რა სადღეგრძელო დაამკვიდრა უნგრეთში მან

**– ბატონო ნიკა, როგორ აღმოჩნდა სალაშის ბაბუა უნგრეთში?**

– სალაშის ნამდვილი გვარია სალაშიანცი. ბაბუამისი აშოტი – თბილისში დაიბადა და გაიზარდა. აქ მას პატარა დუქანი ჰქონდა. აშოტი გაკოტრდა და იძულებული გახდა, თბილისი დაეტოვებინა. კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ, უნგრეთში, ქალაქ სეგედში დასახლდა, სადაც ნაყინით ვაჭრობდა. აშოტი უნგრელ ქალზე დაქორწინდა. ამ ქორწინების შედეგად, ქვეყანას უნგრელი ნაცისტების მომავალი ფიურერის მამა მოევლინა. მან, ისევე როგორც მისმა შვილმა, სამხედრო განათლება მიიღო, თუმცა სომხური წარმოშობის გამო, უამრავი პრობლემა შეხვდათ.

**– თუ შეიძლება, ეს უფრო დაწვრილებით მოგვიყევით.**

– სიამოვნებით. ფერენც სალაში, ანუ სალაშიანცი, კოშიცეში (აჟამად ეს ქალაქი სლოვაკეთს ეკუთვნის) დაიბადა. მამა სომეხი ჰყავდა, დედა – სლოვაკი. ამის გამო, ერთგვარი კომპლექსები გამოუმუშავდა. შესაძლოა, თავისი როლი იმანაც ითამაშა, რომ თანატოლები დაუსრულებლად დასცინოდნენ. ფერენცი კი დაცინვას ნამდვილად არ იმსახურებდა. კარგად სწავლობდა, იყო სპორტსმენი (ბუდაპეშტის ჩემპიონი ცურვაში, უნგრეთის ჩემპიონი კრივში, ამას გარდა ტანვარჯიშსა და ფეხბურთსაც მისდევდა), ამიტომაც დაცინვაზე მტკივნეულად რეაგირებდა. სამხედრო სასწავლებელში სწავლისას, ეს კინაღამ ტრაგედიით დასრულდა. როცა თანაკურსელმა მიაძახა, ქეციანო სომეხოო, ფერენცმა ის დუელში გამოიწვია და მძიმედ დაჭრა. ეს 1916 წელს მოხდა. პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა. კურსანტი სალაშიანციც ციხეს მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ ფრონტზე გაგზავნეს. აქ მან თავი გამოიჩინა რიგორც მამაცმა, ნიჭიერმა მებრძოლმა. თუმცა, მისმა სიმამაცემ უნგრეთი ვერ იხსნა. ომიდან ის ლეიტანანტის სამხრეებით დაბრუნდა, საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ვაჟკაცურად იბრძოდა. 1920 წელს უკვე კაპიტანი გახდა. გამარჯვებულმა ანტანტამ უნგრეთი მკაცრად დასაჯა. ქვეყანას ჩამოაჭრეს ტერიტორიები, მისი არმია კი დაშალეს. ახლა უნგრეთს უფლება ჰქონდა, მხოლოდ 15 000 ჯარისკაცი ჰყოლოდა. კაპიტანი ფერენც სალაშიანცი, როგორც ნიჭიერი ოფიცერი, არმიაში დატოვეს. თუმცა ჰორტიმ ის რაინდების რიგებში არ შეიყვანა.



**სალაშის რადიკალიზმი იმხანად თვით ნაცისტური გერმანიისთვისაც კი მიუღებელი იყო**

**– რაინდები?**

– ეს ორგანიზაცია 1919 წელს შეიქმნა. მასში გაერთიანდა უნგრული არმიის ელიტა, რომელსაც ჰორტი ეყრდნობოდა. სალაშიანცს სულითა და გულით სურდა, რაინდების რიგებში მოხვედრა, გვარიც გადაიკეთა და სალაშად გადაიქცა. მიუხედავად ამისა, რაინდთა ორგანიზაციაში მაინც არ მიიღეს. ეს მთელი ცხოვრება ხინჯად დარჩა. სალაში არმიაში სამსახურს განაგრძობდა. 1929 წლისთვის, უკვე გენშტაბის მაიორი იყო.

**– საბჭოთა ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ ჰორტის რეჟიმი ნაცისტური იყო.**

– ნიურნბერგის პროცესზე ცალსახად ითქვა, რომ ჰორტის რეჟიმი ნაცისტური არ იყო და ადმირალი ჰორტიც სამხედრო დამნაშავე არ გახლდათ. ჰორტი პასუხისმგებლობიდან გაათავისუფლეს. ნაცისტად ან ფაშისტად ის მხოლოდ საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტ ქვეყნებში შერაცხეს.

მიკლოშ ჰორტი (სრული გვარია მიკლოშ ნადიაბანიაი დი ჰორტი) უნგრელი არისტოკრატი გახლდათ. უნგრელთა უმრავლეოსობა კათოლიკეა, ჰორტი კი პროტესტანტულ ეკლესიას მიეკუთვნებოდა. მე-20 საუკუნის 20-40-იანი წლები ევროპისთვის შოვინიზმისა და ავტორიტარიზმის ხანაა: ნაცისტური დიქტატურა გერმანიაში, ფაშიზმი იტალიაში. რა გასაკვირია, რომ უნგრეთში, რომელმაც პირველ მსოფლიო ომში მარცხი განიცადა, შოვინისტურ-ავტორიტარული რეჟიმი ჩამოყალიბებულიყო. მიუხედავად ამისა, ჰორტიმ შეინარჩუნა პარლამენტი, ოპოზიცია, პრესა შედარებით თავისუფლებით სარგებლობდა. უნგრეთში არ იყო ანტისემიტიზმი, პირიქით, ებრაულ კაპიტალს ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი როლი ეკავა. სალაში ამას მწვავედ დაუპირისპირდა. ჰორტის რეჟიმის ალტერნატივად მას ნაციონალ-სოციალიზმი მიაჩნდა.

**– ანუ, ნახევრად სომეხი და ნახევრად სლოვაკი სალაში უფრო შოვინისტი იყო, ვიდრე უნგრელი არისტოკრატი ჰორტი?!**

– დიახ. ჰორტის არ სჭირდებოდა იმისი მტკიცება, რომ უნგრელია. სალაში კი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ამის დამტკიცებას ცდილობდა.

**– თქვენ აღნიშნეთ, რომ სალაში სამხედრო იყო. პოლიტიკოსი როგორ გახდა?**

– სალაში უნგრეთის არმიის გენშტაბის მაიორი იყო, როცა იატაკქვეშა ორგანიზაცია „ერის ნება“ ჩამოაყალიბა და გადატრიალების მომზადებას შეუდგა. კონტრდაზვერვამ სალაში დააპატიმრა. ციხეში მან ექვსი თვე დაჰყო. გამოძიებით მისი ბრალეულობის დამტკიცება ვერ მოხერხდა. სალაში გაათავისუფლეს, თუმცა მისი, როგორც ოფიცრის კარიერა, დამთავრდა. ამის შემდეგ, ის პოლიტიკაში წავიდა. თავის თანამოაზრეებთან ერთად, შექმნა პარტია „ჯვარედინი ისრები“ (უნგრულად „ნილაშპარტ“. აქედანაა ტერმინი ნილაშისტი) და ლეგალური პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო. ჰორტი, თავდაპირველად, ამას ღიმილით შეხვდა, მაგრამ სალაშის ორგანიზაციამ მალე უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. ნილაშისტებმა მიიმხრეს მუშები, ღარიბი გლეხობა, სტუდენტობის ნაწილი. ჰორტიც დარწმუნდა, რომ სალაში და მისი თანამოაზრენი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდნენ და მათ წინააღმდეგ ღონისძიებები განახორციელა. 1938 წელს სალაში დააპატიმრეს. ერთხანს საგიჟეთში ჰყავდათ გამომწყვდეული, შემდეგ ციხეში უკრეს თავი. სასამართლომ მას ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯა, ნილაშისტური პარტია კი აიკრძალა. თუმცა, ამით ულტრა-მემარჯვენეების შეჩერება ვერ მოხერხდა. სალაშის მომხრეებმა სახელწოდება შეიცვალეს, „ჰუნგარისტულ მოძრაობად“ გადაიქცნენ და 1938 წლის არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა. ისინი მეორე ადგილზე გავიდნენ. უნგრელი ისტორიკოსი იშთვან პინტერი წერს: რეპრესიები და გაყალბება რომ არა, ნილაშისტები არჩევნებს მოიგებდნენო.

**– სალაშიმ ციხეში რამდენ ხანს დაჰყო?**

– 1940 წელს ჰორტიმ, მუსოლინის თხოვნით, სალაში გაათავისუფლა. ნილაშისტების ბელადმა უნგრეთი დატოვა და იტალიაში გაემგზავრა.

ნილაშისტები მოითხოვდნენ, მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციას, გლეხებისთვის მიწის უსასყიდლოდ გადაცემას, უფასო ჯანდაცვას, რვასაათიან სამუშაო დღეს, მუშებისათვის უფასო დაზღვევას. ყველაფერმა ამან, პლუს სალაშის ორატორულმა ნიჭმა, სიმამაცემ, ენერგიულობამ, შედეგი გამოიღო. ნილაშისტები მაშინდელ უნგრულ პოლიტიკურ ელიტაში დამკვიდრდნენ.

კომუნისტებისგან ნილაშისტებს მხოლოდ ანტისემიტიზმი და დიდი უნგრეთის შექმნის ლოზუნგი განასხვავებდათ. ამ ეგრეთ წოდებულ „დიდ უნგრეთში“ სალაში მთელს სლოვაკეთს, ნახევარ იუგოლსავიას, ტრანსილვანიასა და მთელ დასავლეთ უკრაინას მოიაზრებდა. ასეთმა ექსტრემიზმმა თვით ფიურერიც კი შეაშფოთა. 1936-1938 წლებში, როცა ჰორტისა და სალაშის დაპირისპირება გამწვავდა, ჰიტლერმა მხარი ადმირალს დაუჭირა. სალაშის რადიკალიზმი იმხანად თვით ნაცისტური გერანიისათვისაც კი მიუღებელი იყო.

**– შემდგომში ჰორტისა და სალაშის დაპირისპირება როგორ წარიმართა?**

– როგორც ცნობილია, უნგრეთი ჰორტის მეთაურობით ღერძის ქვეყნების ბლოკს (გერმანია-იტალია-იაპონია) შეუერთდა. ამის წყალობით, უნგრეთმა დაიპყრო იმიერკარპატისპირეთი, ჩრდილოეთ ტრასილვანია, ვოევოდინა. სტალინგრადის მარცხის შემდეგ, ჰორტი დასავლეთთან სეპარატისტული ზავის დადებას შეეცადა. გერმანელებს ეს არ გამოჰპარვიათ. გერმანულმა დაზვერვამ სალაშისთან კონტაქტი დაამყარა. მალე ნილაშისტების ფიურერი ბერლინში ჩაიყვანეს, სადაც მას პირადად ჰიმლერი შეხვდა. ამ საუბრის შემდეგ, სალაში უნგრეთში ბრუნდება. ჰორტიმ მისი დაპატიმრება ვერ გაბედა, რადგანაც გერმანიასთან აშკარა კონფრონტაციას გაურბოდა. სალაშიც ნილაშისტური პარტიის რეორგანიზაციას შეუდგა. მან მოკლე დროში უდიდესი სამუშაო გასწია და ყველა პროგერმანული ძალა ერთიან ბლოკში გააერთიანა. ამ ბლოკის მიზანი იყო არ დაეშვა დასავლეთთან და რუსეთთან ზავის დადება და ჰიტლერელთა მხარეს ბოლომდე ებრძოლა.

**– მას არ ესმოდა, რომ გერმანია უკვე განწირული იყო?**

– სალაშის სწამდა, რომ კაცობრიობის მხსნელი მხოლოდ ნაციონალ-სოციალიზმია. გამომდინარე აქედან, დარწმუნებული იყო, რომ გერმანელების დამარცხება შეუძლებელია.

1944 წლის 18 მარტს ჰიტლერმა უნგრეთში ჯარი შეიყვანა. ადმირალ ჰორტის წინააღმდეგობის გასაწევად ძალა არ ჰქონდა. ჰორტი, რომელიც ხელისუფლებაში დარჩა, ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც ცდილობდა, უნგრეთი ომიდან გამოეყვანა. გერმანელების რეაქციამაც არ დააყოვნა. 1944 წლის ოქტომბერში ნილაშისტებმა პუტჩი მოაწყვეს. უნგრეთში დისლოცირებულმა გერმანულმა ნაწილებმა მას მხარი დაუჭირეს. სალაშის ცნობილი დივერსანტი, ოტო სკორცენი ეხმარებოდა, რომელიც ჰიტლერმა ბუდაპეშტში სპეციალურად მიავლინა. რაც შეეხება თავად უნგრელებს, მათი ნაწილი სალაშის მიემხრო, ნაწილმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. ეს სტალინის პოლიტიკამაც განაპირობა.

– **რატომ?**

– სტალინი აღმოსავლეთ ევროპას რუსული გავლენის ზონად აღიქვამდა და უკვე მეორე მსოფლიო ომის წლებში, იქ მარიონეტული პრორუსული რეჟიმების შექმნა დაიწყო. თავდაპირველად, ეს რეჟიმები კომუნისტური არ იყო. მეტიც, ეგრეთ წოდებული მთავრობებში არც ერთი კომუნისტი არ ერია. თუმცა, მთლიანად მოსკოვის აგენტებით იყო დაკომპლექტებული და მათი მართვაც კრემლიდან ხდებოდა. ასეთ პირობებში სალაშიმ, გერმანული არმიისა და სპეც-სამსახურების უშუალო დახმარებით, პუტჩი მოაწყო და ხელისუფლებაში მოვიდა.

– **ჰორტის რა ბედი ეწია?**

– ადმირალი გერმანელებმა დააპატიმრეს და ბავარიაში გადაიყვანეს. ჰორტის ვაჟს კი საკონცენტრაციო ბანაკში უკრეს თავი. სალაში უნგრეთის რეგენტად გამოცხადდა. პარლამენტმა ის ამ პოსტზე დაამტკიცა და ერის ბელადის ტიტული მიანიჭა. რაც შეეხება ჰორტის, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ის პორტუგალიაში გაემგზავრა. გარდაიცვალა ლისაბონში. 1957 წელს უნგრეთში, პრორუსული კომუნისტური დიქტატურის დამხობის შემდეგ, ჰორტის ნეშტი უნგრეთში გადაასვენეს და მის საგვარეულო სასაფლაოზე, სამხედრო პატივით დაკრძალეს. თანამედროვე უნგრეთმა ადმირალი გმირად შერაცხა.

– **საოცარია! 1944 წლის შემოდგომაზე თვით ჰიტლერიც კი, მოკავშირეებთან კონტაქტებს ეძებდა, სალაში კი კვლავ ჰიტლერის მომხრედ დარჩა.**

– ის კარგი ტაქტიკოსი, მაგრამ ცუდი სტრატეგი გახლდათ. სალაშიმ იცოდა, რომ ხელისუფლებაში პუტჩის გარეშე ვერ მოვიდოდა. ზუსტად გათვალა მომენტი, როცა ამ პუტჩის წარმატებით დაგვირგვინება შეიძლებოდა, მაგრამ ვერ გაითვალისწინა, თუ უახლოეს პერსპექტივაში ამას რა შედეგები მოჰყვებოდა. სალაშის ხელისუფლებაში მოსვლამ უნგრეთს ომიდან გამოსვლის მინიმალური შანსებიც კი მოუსპო. ქვეყანამ განაგრძო ომი უკვე დასაღუპად განწირული, ჰიტლერული გერმანიის მხარეზე. ამას უზარმაზარი მსხვერპლი მოჰყვა. ბუდაპეშტი მთლიანად დაინგრა. უამრავი უნგრელი ბრძოლის ველზე დაეცა. ამას გარდა, ანტისემიტისტ სალაშის ხელისუფლებაში მოსვლამ ებრაელთა მასიური ჟლეტა განაპირობა. სალაშიმ საგანგებოდ მიიწვია უნგრეთში ცნობილი ჰიტლერელი ჯალათი ეიხმანი. თვითმხილველები ამბობენ, რომ ნილაშისტები სისასტიკეში ეიხმანის ბიჭებს სჯობნიდნენ და უნგრელი ებრაელები დახმარებისთვის ისევ ესესელებს მიმართავდნენო.

– **სალაშის ბედი როგორ წარიმართა?**

– მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სალაში ავსტრიაში გაიქცა. ამერიკელებმა ის დააპატიმრეს და უნგრეთს გადასცეს. 1946 წელს ნილაშისტების ფიურერი და მისი უახლოესი თანამებრძოლები გაასამართლეს. უნგრეთში იმხანად უკვე პრორუსული კომუნისტური დიქტატურა იყო. პროცესი, ისევე როგორც გამოძიება, უხეში დარღვევებით წარიმართა.

– **კონკრეტულად?**

– ლასლო დიურკო წერს, რომ გამომძიებელმა სალაშის განუცხადა, სიცოცხლეს შეგინარჩუნებენ, ოღონდ ერთი პირობით: დანაშაული უნდა მოინანიო და ამხანაგ სტალინს შეწყალების თხოვნით მიმართოო. სტალინი კავკასიელია და დაგეხმარებათ, აკი ეროვნებით სომეხი ბრანდებითო. ამაზე სალაშიმ მიუგო: „სომეხი კი არა, უნგრელი ვარ“. გამომძიებელმა გაიცინა. „მართლა? აკი თქვენი ნამდვილი გვარი სალაშიანცია? სომხურ ოჯახში აღიზარდეთ, უნგრელი როდის აქეთ გახდით?“ პასუხად სალაშიმ გამომძიებელს სახეში შეაფურთხა. ის მუდამ მტკივნეულად რეაგირებდა, როცა თავის სომხურ წარმოშობას შეახსენებდნენ. თვით სიკვდილის წინაშეც კი საკუთარი თავის ერთგული დარჩა.

– **ამისთვის არ დასაჯეს?**

– ამან სალაშის ბედიც განსაზღვრა. სასამართლომ, რომელიც უხეში დარღვევებით წარიმართა, მას ჩამოხრჩობა მიუსაჯა. სალაშის თავი ბოლომდე ღირსეულად ეჭირა, განაჩენს უდრტვინველად შეხვდა. სახრჩობელაზეც ამაყად თავაწეული ავიდა, რაც ფირზეა დაფიქსირებული. ნილაშისტების ფიურერი, თავის რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად, დუნაის სანაპიროზე ჩამოკიდეს. მათი გვამები სახრჩობელაზე რამდენიმე დღის განმავლობაში ქანაობდნენ, სანამ ყვავ-ყორნებმა არ დაფლითეს.

– **რა საშინელი აღსასრულია!**

– ამან ცუდი შედეგი იქონია. ნაცისტი სალაში უნგრელთა თვალში ტრაგიკულ გმირად იქცა. სამწუხაროდ, დამკვიდრდა მოსაზრება, რომ სალაში რუსებისაგან ქვეყნის დაცვას ცდილობდა და ამას შეეწირა. მართალია, ამის ხმამაღლა თქმას გაურბოდნენ, რადგანაც დასავლეთის თვალში სალაში ნაცისტი იყო. ცნობილმა უნგრელმა მწერალმა ლაიოშ მეშტერხაზიმ ერთ-ერთ სუფრაზე, როცა ტრადიციულად, სამშობლოსთვის თავდადებული გმირების სადღეგრძელოს სვამდნენ, თქვა: „მოდი, მას გაუმარჯოს, ვინც რუსებს ბოლომდე შეებრძოლა! მის თავზეხელაღებულ ბიჭებსაც გაუმარჯოს!”

ამის შემდეგ ეს ტრადიციად დამკვიდრდა. სამწუხაროდ, უნგრულ სუფრაზე სალაშის სადღეგრძელოს დღესაც ამ სიტყვებით სვამენ.

– **დღევანდელ უნგრეთში სალაშის მიმდევრები თუ არიან?**

– არიან ნაციონალ-რადიკალები, მათ ჰყავთ მომხრეები, წარმომადგენლობა პარლამენტში. სალაშის ისინი გმირად მიიჩნევენ, თუმცა, ანტისემიტიზმზე უარი თქვეს. დღევანდელი უნგრელი ნაციონალ-რადიკალები ბოშებისა და მიგრანტების წინააღმდეგ გამოდიან. მოგეხსენებათ, უნგრეთში ბოშათა მაფიის პრობლემა ძალზე მწვავედ დგას. უკანასკნელ ხანს შეინიშნება უნგრელი შოვინისტების მჭიდრო კონტაქტები რუსულ სპეცსამსახურებთან. შედეგად, უნგრელმა რადიკალებმა იმიერკარპატისპირეთის კვლავ უნგრეთთან შეერთება მოითხოვეს. ასეთი მოწოდებები პარლამენტშიც გაისმა. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გამძაფრებასთან ერთად გრძელდება იმიერკარპატისპირეთში პროუნგრული სეპარატიზმის აგორების მცდელობები, რასაც რუსეთი ხელს უწყობს. ჯერჯერობით ძლიერი ტალღის აგორება ვერ ხერხდება.

**ჯულია დემეტრაშვილი**

(მე-16 გვერდიდან)

ლბატონის მხრიდან, – დააზუსტა ჩემმა კლიენტმა, – არასწორია, სისხლის სამართლის კოდექსში გაუპატიურების სუბიექტად მხოლოდ კაცი რომ ითვლება. მე ვარ ამ ქალის ძალადობის მსხვერპლი!

– ძალიან საინტერესოა, მოყევი ერთი, თუ კაცი ხარ, – დაინტერესდა კაცი მოსამართლე.

დარბაზში ფხუკუნი ატყდა.

ჩემი კლიენტი დეტალურად მოყვა: როდის, სად, რა ვითარებაში გაიცნო ეს ქალი; რა ურთიერთობა ჰქონდათ შემდეგში; როგორ აღმოჩნდნენ ვიღაც ახლობლის ოჯახში; როგორ დაწვა მთვრალი დასაძინებლად; როგორ დაიძინა...

– და, ამ დროს გამოიღვიძა ყინულივით ცივი სხეულის შეხებამ...

– საკმარისია! – თქვა გაუთხოვარმა მოსამართლე ქალმა.

დარბაზი იცინოდა.

– მერე რა მოხდა? – დაინტერესდა კაცი მოსამართლე.

– მერე მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, იმპოტენტი კი არ ვიყავი, – იუკადრისა ჩემმა კლიენტმა.

დარბაზი უკვე ხარხარებდა.

# სექსუალური ტერორის მსხვერპლი მამაკაცი და ურჩი შვილის მიერ მოყვანილი „ავი ძაღლი“

## შუამდგომლობა ექსპერტიზის შესახებ

ზურაბ როსტიაშვილი წლების წინ იცავდა ჯარისკაცს, რომელსაც წაასწრეს თავის ნაწილთან ახლოს მიტოვებული ფერმის შენობაში „მანაგუას“ ხარშვის დროს. ჯარისკაცმა მისცა ასეთი ჩვენება: თითქოს ის ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შევიდა მიტოვებულ შენობაში. მოილია ეგრეთ წოდებული „ერთი საქმე“ და გამოსვლისას, შემთხვევით, დაინახა, რომ შენობაში ცეცხლი ენთო და ვედროში რაღაც იხარშებოდა. დაინტერესდა, რა იყო ვედროში, მოურია ჯოხით და ამ დროს თავს ნაწილის უფროსი დაადგა.

გამომძიებელმა ბრალდებულის ჩვენება, როგორც წესი, არ გაიზიარა და გააგრძელა გამოძიება. ზურაბ როსტიაშვილმა გამომძიებელს მიმართა შუამდგომლობით, რომელიც ასე მთვარდებოდა:

„...ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვშუამდგომლობ, ადგილზე შეამოწმოთ ბრალდებულ ბარბაქაძის ჩვენება. მოიძიოთ და ამოიღოთ იქ არსებული ექსკრემენტი, ბრალდებულ ბარბაქაძეს ჩამოართვით ექსკრემენტის ნიმუში და დანიშნეთ ექსპერტიზა იმის გასარკვევად, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ექსკრემენტი ეკუთვნის თუ არა ბრალდებულ ბარბაქაძეს“.

კანონის თანახმად, გამომძიებელმა შუამდგომლობას პასუხი სამი დღის ვადაში უნდა გასცეს. გავიდა სამი დღე, ოთხი... არ ჩანს პასუხი. მეხუთე დღეს ზურაბ როსტიაშვილს ურეკავს გამომძიებელი და ყურმილში ღრიალებს:

– ზურა როსტიაშვილო, დიდი ჩათ... რომ იყავი, კი ვიცოდი, მაგრამ მთლად ასეთი გოთ... არ მეგონე! შენს მეტი ვინ დამიწერდა ასეთ შუამდგომლობას, სამი დღე ბიბლიოთეკაში დავრბოდი, რომ გამეგო, რა ჯანდაბა იყო ეს „ექსკრემენტი“. ახლა მთელი სამმართველოს ბიჭები „მეკაიფებიან“ და მეკითხებიან, „გარშოკით” ჩამოვართმევ ბარბაქაძეს ნიმუშს თუ „სუდნოთი“!..

**ქეთი კაპანაძე**

**ტელეწამყვანი, მოდის ბლოგერი, ფორმალურად მოდელი და ბოლოს, მსახიობიც – ეს არის მერსი სულხანიშვილის მოღვაწეობის სფერო, რომელიც, ალბათ, დამეთანხმებით, 21 წლის გოგონასთვის ცოტა არაა. გასულ ზამთარს მერსი ცნობილი გახდა იმით, რომ ერთ-ერთ გადაცემაში, გაშიშვლდა. მას მერე საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. მერსი, ახალგაზრდა, წარმატებულ გოგონათა რიცხვში შესვლას ნამდვილად იმსახურებს. მან „თბილისელებთან“ ისაუბრა თავისი ცხოვრების დეტალებსა და საკუთარ შეხედულებებზე, ქართულ საზოგადოებასთან დაკავშირებით.**

# ადარდებს თუ არა მერსი სულხანიშვილს ქართული საზოგადოების შეხედულებები და კიდევ რა არ იცის ხალხმა მის შესახებ

– გავიზარდე, ტრადიცულ, ქართულ ოჯახში. ჩემს ცხოვრებაში მოხდა ისე, რომ ჩავები ტელევიზიის საქმიანობაში და დღემდე აქ ვარ. მოდის სფერომაც იქონია ჩემს კარიერაზე გავლენა. ტელევიზიამდე ვწერდი ჟურნალში და ძალიან მენატრება ის დრო. ეს იყო დიდი გამოცდილება. მენატრება წერა. მოდის სამყარო ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის. მოდაში ვგულისხმობ, არა მხოლოდ ჩაცმულობას, არამედ ბევრ რამეს, რომელიც აერთიანებს კულტურას, ხელოვნებას... ბავშვობიდანვე მიყვარდა გამორჩეულად ჩაცმა. სკოლის ფორმა ჩემს დროს აღარ იყო. თუმცა, მაინც ეცვათ ბავშვებს თეთრი პერანგი და წინდები. მე დავდიოდი ჩაჩაჩული და ფერადი წინდებით ***(იცინის).*** ისე არ მეცვა, როგორც ჩვეულებრივ ბავშვს, ვცდილობდი, ვყოფილიყავი განსხვავებული. მინდოდა, წესებიდან გადამეხვია და სიახლე შემეტანა ცხოვრებაში. ეს იყო სურვილი, რომელიც ბავშვობიდან დამდევდა. ყოველთვის ბედნიერი ვარ, არ მქონია ცხოვრებაში მომენტი, უბედურად მეგრძნო თავი. ვაკეთებ ჩემს საყვარელ საქმეს. ბედნიერებაა, როდესაც საყვარელი ადამიანები გყავს გვერდით. ამ კუთხითაც განებივრებული ვარ. მეგობრები და ის ხალხი, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ჩემს ცხოვრებაში, სულ ახლოს მყავს. რაც შეეხება მშობლებს, დედამ ყოველთვის იცოდა, რაც მომწონდა. ამიტომ, არ მეწინააღმდეგებოდა.



**იმ ადამიანს, რომელსაც თავისი ცხოვრება არ გააჩნია და მაკრიტიკებს, მისგან რჩევას კი არა, არაფერს არ მივიღებ**

**– როგორც ვიცი, შენს ცხოვრებაში სიახლეა. მოგვიყევი, რა ხდება?**

– ძალიან დიდი სიახლეა. ვემზადები ახალი სატელევიზიო ეთერისთვის. მაყურებელი ნახავს სრულიად განსხვავებულ მერსის. ახალი გადაცემით წარვდგები ხალხის წინაშე. თითქმის ყველაფერი მზადაა, ბოლო დეტალებს ვაგვარებთ. შეიძლება ვთქვათ, რომ გამოვანათებთ ამ გადაცემით.

**– რომელ სატელევიზიო არხზე გავა ახალი პროექტი?**

– ამას ვერ გეტყვით. მოდი, ჯერ სიურპრიზად დავტოვოთ. მეც პრობლემები შემექმნება. ეს ცნობილი იქნება დაახლოებით, 20 აგვისტოდან.

**– რა ტიპის გადაცემა იქნება, რას სთავაზობ მაყურებელს?**

– სატელევიზიო გადაცემები ხალხისათვის განკუთვნილი ბიზნესია. ეს იქნება ჩვენს საზოგადოებაზე მორგებული გადაცემა. ქართველებისთვის მისაღები. იქნება ის, რაც მათ აინტერესებთ და მოსწონთ. რომ ვთქვა, ამ გადაცემით მსოფლიო სატელევიზო სივრცეში სიახლეს შევიტანთ-მეთქი, მოგატყუებთ. ამბობენ ხოლმე, რომ ვიღაც რაღაც პროექტს ბაძავს და ასე შემდეგ. ყველა გადაცემა რაღაცის მსგავსია, რადგან ჩვენთან არ იქმნება ეს პროექტები. მას ქმნიან ისეთი დიდი ქვეყნების წარმომადგენლები, როგორიცაა მაგალითად, ბრიტანეთი. ქართულ სატელევიზიო სივრცეში გვქონია ასეთი გადაცემა, მაგრამ ეს იქნება, რაღაც კუთხით, განსხვავებული. მნახავთ ახალ რაკურსში. ვფიქრობ, რომ ეს გადაცემა ერთ-ერთი რეიტინგული და ძალიან საინტერესო იქნება.

**– კარიერის მიღმა რა ხდება შენს ცხოვრებაში?**

– ყველაფერი ძალიან კარგადაა, როგორც პირადში ასევე კარიერაშიც. ჩემთვის ეს ყველაფერი – სამსახურიც და ასე შემდეგ, არის პირადი ცხოვრება. მშვენივრად და ბედნიერად ვგრძნობ თავს. მიხარია ცხოვრება და ვტკბები მისით ***(იცინის).*** ზოგადად, არ მომწონს, როდესაც პირად ცხოვრებაში, ასე ვთქვათ, იქექებიან. ხალხს უნდა აინტერესებდეს, რას ვთავაზობ მათ და არა ის თუ როგორ ვცხოვრობ. ვარ წამყვანი და ვმუშაობ მათთვის. დღემდე ვერ ვხვდები, რატომ აინტერესებს ქართულ საზოგადოებას: ვარ თუ არა შეყვარებული, მყავს თუ არა ვინმე. ძალიან ბევრი რამეა ჩემთვის გაუგებარი.

**– კონკრეტულად, რას გულისხმობ?**

– ზოგადად, ყველაფერს, რაც ქართველებს ეხება. ქართველების, უპირველესად, არ მესმის ის, რაღაცაზე რომ ამბობენ ცუდიაო, მაგრამ არ აკონკრეტებენ, რა არ მოსწონთ. უნიკალური ერი ვართ მსოფლიოში. ნიკო გომელაურს აქვს ასეთი ლექსი „საქართველოში მანდილოსნები, სახელს ითქვამენ პატიოსნებით“. ზუსტად ეს ლექსია ჩვენი ქვეყნის რეალობაზე მორგებული. მთავარია, საკუთარ თავში იყო დარწმუნებული, სხვისი აზრი კი, მეორეხარისხოვანია. ჩემთვის ასეა, ყოველ შემთხვევაში.

**– საკმაოდ თამამი ნაბიჯები გადადგი. იყო კრიტიკა, შეურაცხყოფაც კი. რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის ხალხის აზრი?**

– არ ვფიქრობ, რომ თამამი ნაბიჯი გადავდგი. ქართველების პრობლემა ისაა, რომ პირველ ეფექტს, რასაც ხედავენ – არაადეკვატურად აღიქვამენ. გავამართლებდი იმას, რომ არ მოსწონდეთ ჩემი გემოვნება. ხალხის პროტესტს, რომ მე გახდილი გამოვედი ტელევიიზით, არ მივიღებ. იმიტომ, რომ არ ვყოფილვარ შიშველი – მეცვა გამჭვირვალე მაისური. გახდილი ხარ, როცა არაფერი გაცვია. შესაბამისად, მე მეცვა. საზოგადოებამ შეაფასა ის, რომ მიჩანდა მკერდი და არა ის, თუ რა მეცვა, როგორი გემოვნებით მქონდა შეხამებული ტანსაცმელი. ვიტყვი, რომ მაშინ, რაღაც ხარვეზები მქონდა გარეგნობასთან დაკავშირებით, მაკიაჟი არ მქონდა სწორად შერჩეული. ამას მივხვდი გადაცემის ნახვის შემდეგ. თორემ, რაც მეცვა იმ დღეს, მშვენივრად ეხამებოდა ერთმანეთს. ამაზე არავინ გაამახვილა ყურადღება და მხოლოდ ჩემს მკერდზე დაიწყეს ლაპარაკი. ცოტა გული დამწყდა ამ მხრივ. კრიტიკა და გარკვეული კომენტარი, ჩემთვის მისაღებია თეა აგლაძისგან, გიორგი კიკალიშვილისგან – იმ ხალხისგან, რომლებმაც ჩემზე მეტი იციან და მეტი გამოცდილება აქვთ. როდესაც მაძლევენ პროფესიულ შენიშვნას, აუცილებლად გავითვალისწინებ, მაგრამ იმ ადამიანს, რომელსაც თავისი ცხოვრება არ გააჩნია და მაკრიტიკებს, მისგან რჩევას კი არა, არაფერს არ მივიღებ. დარწმუნებული ვარ, ასეთები კომენტარს რომ დაწერენ, მერე ამოწმებენ, ვინმე თუ გამოეპასუხა ან თუ დაულაიქეს... ანუ, ამით მინდა ვთქვა, რომ ჩემთვის მნიშვნელოვანია ვინ მომცემს შენიშვნას და არა ის, რას იტყვიან ჩემზე. გულწრფელი ვიქნები და ვიტყვი, მიყვარს ყველა, ვინც ჩემზე ცუდს წერს და ასევე, ის, ვინც ჩემ მიმართ დადებითადაა განწყობილი. მიყვარს ეს ხალხი, იმიტომ რომ, მათ ძვირფასი წუთები დამითმეს და ცუდად თუ კარგად, შემაფასეს.

**თუ პროფესიონალი მსახიობი ხარ და ამაში ხელს გარეგნობაც გიწყობს, რატომაც არ უნდა გაიხადო**

**– განსხვავებული იმიჯი, საზოგადებისთვის მიუღებელი საქციელი – იყო თუ არა ეს ყოველივე პოპულარობის მოსაპოვებლად გამიზნული?**

– არა, პოპულარობა, ჩემი აზრით, უფრო სხვა რამეა. პოპულარული უნდა იყო შენი სფეროდან გამომდინარე, რამდენად პროფესიონალი ხარ. ხალხმა გამიცნო სრულიად სხვა რაკურსში. ის სიკეთე, რაც მიკეთებია, მგონი, ყველამ დაივიწყა და მხოლოდ ჩემს მკერდზე ალაპარაკდა. უბრალოდ, იმ დღეს, როდესაც, მაია ასათიანის, გადაცემაში მივედი, დაემთხვა ჩემი ჩაცმულობა, თორემ სპეციალურად არ ჩამიცვამს. კარიერული თვალსაზრისით, ჩემს ასაკთან შედარებით, საკმაოდ დიდი ნაბიჯები მაქვს გადადგმული. რატომ ამაზე არ საუბრობენ, ვერ ვხვდები?! მე დავწერე ორჯერ ისეთი გამოცემისთვის, რომელსაც სიამაყით ვამბობ, რომ ეს არის კულტურული ენციკლოპედია – „სახელები და სახეები“. ის ერთად აჯამებს შოუ-ბიზნესისა და კულტურის სიახლეებს. ეს გამოდის 2 ტომად და მსოფლიოს 8 ქვეყანაში გადის. ეს არის ჩემთვის საამაყო. 21 წლის ასაკში დავწერე ავთანდილის პარიზულ მოგზაურობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ავთანდილი შევაფასე სხვა კუთხით. როდესაც მსოფლიოს მასშტაბით შენი გვარი ფიგურირებს, ეს იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე ის, თუ რას იტყვიან ჩემს შიშველ მკერდზე.

**– რა მიზანი გაქვს? რისთვის იბრძვი?**

– 15 წლის რომ ვიყავი, მაშინ ვიცოდი, რა მინდოდა ცხოვრებისგან. მე შემეძლო, ჩამებარებინა სხვა ფაკულტეტზე, მაგრამ ჩემში არ იყო სხვა პროფესია. ბედნიერი ვარ იმით, რასაც ვაკეთებ. მივხვდი, რა მინდა ცხოვრებაში.

**– განსხვავებული შეხედულებებისა და ქმედებების გამო, რაიმე სერიოზული პრობლემის წინაშე თუ აღმოჩენილხარ?**

– ასეთი რამ არ ყოფილა, პრობლემა არ შემქმნია. როგორც იცით, ფილმში გავიხადე. ეს იყო ფილმი „ტაქსი“. თუ პროფესიონალი მსახიობი ხარ და ამაში ხელს გარეგნობაც გიწყობს, რატომაც არ უნდა გაიხადო. ეს არის ჩვეულებრივი პროფესია. ერთ დღეს შეიძლება შიშველი იყო კადრში, მეორე დღეს კი მიმტანის როლი მოირგო. ამ ფაქტმაც დიდი აღშფოთება გამოიწვია საზოგადოებაში. ყველას თავისი შეხედულება აქვს. შეიძლება, მათ არ ვითვალისწინებ, მაგრამ თითოეულ მათგანს პატივს ვცემ.

**ეთო ხურციძე**

# როგორ ამშობიარა პატრულ-ინსპექტორმა ქალი და რა ბედი ეწია პატრულის მიერ ნაპოვნ მილიონებს

*გადავწყვიტეთ, მკითხველისთვის რამდენიმე შემთხვევის შესახებ მოგვეთხრო, რომლის მთავარი გმირები საპატრულო პოლიციის თანამშრომლები არიან. ადამიანები, რომლებიც ექსტრემალურ სიტუაციაში საკუთარ სიცოცხლეზე არ ფიქრობენ, მაგრამ სხვის გადარჩენაზე ყოველთვის ზრუნავენ, მართალია, საინტერესო ისტორიები ძალიან ბევრია, თუმცა ამჯერად ხუთ ეპიზოდს წარმოგიდგენთ.*

**ნიკოლოზ ხარშილაძე** *(პატრულ-ინსპექტორი)*: ეს ისტორია 2013 წლის 14 სექტემბერს, მარჯანიშვილის მეტროს ტერიტორიაზე, დაახლოებით 23:30 წუთზე მოხდა. მეტროს გამოსასვლელ კართან ვიდექი, როცა ძირს დადებული საკმაოდ მოზრდილი ხელჩანთა შევნიშნე. თავიდან ყურადღება არ მივაქციე, რადგან იქვე, ორი უცხოელი იდგა და მათი მეგონა. წასვლა რომ დააპირეს, ვუთხარი ხელჩანთა გრჩებათ-მეთქი, მაგრამ ჩვენი არ არისო და წავიდნენ. ავიღე ხელჩანთა და შიგნით შემოვიტანე, შესაბამისი რეაგირება რომ მომეხდინა. გავხსენი და შიგ უამრავი ფული იყო. 2 მილიონ 189 000 აშშ დოლარის საბანკო ჩეკი, 152 720 ერაყული დინარი, 160 ლარი, პასპორტი და სასტუმროს სავიზიტო ბარათი. დავრეკე და ვიკითხე მათი სასტუმროთი ხომ არ სარგებლობდა ეს პიროვნება. ასეც აღმოჩნდა. დამაკავშირეს და ნახევარ საათში უკვე დაბრუნებულიც ჰქონდა კუთვნილი თანხა. გაკვირვებული იყო, ვერ იჯერებდა, რომ დაკარგული ფული დავუბრუნეთ, მაშინვე გადათვალა. გაგიჟდა, ძალიან მაგარი პოლიციელები გყავთ, ერაყში ამას არავინ იზამდაო. იქ აქეთ გართმევენ და უკან ვინ დაგიბრუნებსო. აი, ასეთი ამბავი გადამხდა თავს, რომლის შემდეგაც ცნობილი პიროვნება გავხდი. ჩემი ისტორია კი არის გამორჩეული, მაგრამ ჩვენი ბიჭები ყოველდღიურად უამრავ კარგ საქმეს აკეთებენ. ყველა ძალიან გმირულად იქცევა.



**კახა მამნიაშვილი** *(პატრულ-ინსპექტორი)*:

**– უცნაური ისტორია გადაგხდათ, ქალს მშობიარობაში დაეხმარეთ და თქვენი დახმარებით ოჯახს ახალი წევრი შეემატა.**

– ქალი კი ვამშობიარეთ, მაგრამ ცუდი ის არის, რომ არც სახელი მახსოვს მისი და არც გვარი. ეს ამბავი სანაპიროზე მოხდა. მანქანა მოდიოდა და ფარებით გვანიშნეს, რომ გავჩერებულიყავით. რომ გავჩერდით, გადმოხტა კაცი და მიშველეთ ჩემი ცოლი მშობიარობს, სამშობიაროში მიყვანას ველარ ვასწრებო. რაღას ვიზამდით, მშობიარობა დაწყებული ჰქონდა. სასწრაფო დახმარება რომ მოვიდა, ჩვენ უკვე ნამშობიარები დავახვედრეთ ეს ქალბატონი. ოთხი გოგოს დედას მეხუთე ბიჭი გაუჩნდა.

**– ექიმი არ ხართ და ალბათ, თქვენთვისაც სტრესი იყო ქალის მშობიარობაში მონაწილეობის მიღება. არ შეგეშინდათ?**

– პირველი შემთხვევა კი იყო ჩემთვის ქალის მშობიარობა, მაგრამ რატომ უნდა შემშინებოდა? ადამიანს როცა უჭირს უნდა დაეხმარო. ბავშვი გაჩნდა, დავაწვინეთ დედას მუცელზე, გადავაფარეთ პლედი და სასწრაფოც მოვიდა. გამოცდილება უკვე მაქვს, ასე რომ მეან-გინეკოლოგადაც შემიძლია ვიმუშაო.

**ლაშა ბრეგვაძე** *(პატრულ-ინსპექტორი)*: შეტყობინება მივიღეთ, რომ გაგუას კლინიკის მე-6 სართულზე ხანძარი იყო. დერეფანში არ ჩანდა და რეანიმაციის კარი რომ გაიღო, შავი კვამლი გამოვარდა. ექთნები ყვიროდნენ, შიგნით პაციენტები არიან და გვიშველეთო. რა თქმა უნდა, დავიწყეთ მათი გამოყვანა, მაგრამ ყველაზე რთული ის იყო, რომ საერთოდ არაფრის გარეშე მოგვიწია ხალხის გამოყვანა. ფანჯრებიც ვერ გავაღეთ, ყველა პალატაში შევდიოდით და ისე გამოგვყავდა პაციენტები. ხილვადობა აღარ იყო, ამიტომ ხმაზე მივდიოდით – ზოგი აბრახუნებდა, ზოგი გვეძახდა, ზოგი ყვიროდა. მოკლედ, წვეთოვნებით, ეტლებით, ზოგიც კი ხელით გამოგვყავდა. თან, საავადმყოფოს თანამშრომლებს ვეუბნებოდი, პაციენტები დათვალეთ, ვინმე არ დარჩეს შიგნით-მეთქი. ძალიან შავი კვამლი იყო და ფაქტობრივად, დაბლა ხოხიალი გვიწევდა, ვერაფერს ვერ ვხედავდით. სახანძრო რომ მოვიდა, ჩვენ უკვე 10-11 ადამიანი გამოყვანილი გვყავდა. სანამ მათ გარედან კიბე მოადგეს, ჩვენ გაქაფულ მუშაობაში ვიყავით და დროს არ ვკარგავდით. მეხანძრეები მოგვეშველნენ და აირწინაღებით და სხვა აღჭურვილობით შევიდნენ ჩვენგან განსხვავებით. ჩვენ მართლა შიშველი ხელებით შევვარდით და ვინც გამოგვყავდა, დერეფანში ერთ ადგილზე ვათავსებდით. ჩვენი მიზანი იყო, რაც შეიძლება, მეტი ადამიანი გადაგვერჩინა. ეს ჩვენი ვალი და სამსახურია.



**მიშა პაპუნაშვილი** *(პატრულ-ინსპექტორი)*:

**– მოხუცი მეთევზე სიკვდილს გადაარჩინეთ. როგორ გაიხსენებთ ამ დღეს?**

– გამოძახება იყო, რომ მოქალაქე წყლიდან ვერ გამოდიოდა. რომ მივედით, ჯებირიდან დავინახეთ, რომ მოხუცი მამაკაცი წყალში იდგა. სანამ რეაგირებას მოვახდენდით, ერთი ნაბიჯი გადმოდგა და წყლის სიღრმეში ჩავარდა. მე და ჩემი მეწყვილე ჯებირს იქით გადავხტით და მას დავედევნეთ. დეტალურად მართლა აღარ მახსოვს, რადგან ძალიან ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოვჩნდით. რაღაცნაირად ამოვიყვანეთ და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

**– იმ მომენტში თქვენს სიცოცხლესაც ემუქრებოდა საფრთხე.**

– სიმართლე გითხრათ, იმ მომენტში იმაზე ნამდვილად არ მიფიქრია, ჩავიდე თუ არა წყალში-მეთქი. ჩემთვის და ნებისმიერი ჩემი კოლეგისთვის, მთავარია, საჭირო დროს დახმარება გავუწიოთ ადამიანს. ექსტრემალურ სიტუაციაში, იმაზე არ ვფიქრობ, რამე ხომ არ მომივა. ამისთვის დრო არ გრჩება. ყოველ წამს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

**ლევან კენჭაძე** *(პატრულ-ინსპექტორი)*: 25 იანვარი იყო, ყინავდა. ბათუმის შესასვლელთან ბარცხანის დასახლებაა. ახალგაზრდა ბიჭმა შეყვარებულს დაურეკა, ბარცხანაში გადმოდი უნდა გნახოო. გოგონამ უარი უთხრა. მაშინ თავს მოვიკლავო, მაგრამ ვერც ამით დაითანხმა გამოსვლაზე. ჯანდაბამდე გზა გქონიაო, უპასუხა გოგონამ. ეს ბიჭი მახინჯაურში, რკინიგზის სადგურამდე გამოვიდა და ზღვაში შესვლა გადაწყვიტა თავის დასახრჩობად. მანამდე კი, 112-ზე დარეკა და ოპერატორს უთხრა, მაქვს თავის მოკვლის მიზეზი, ვარ ამა და ამ ადგილასო. ეს შეტყობინება რომ მივიღეთ, წავედით მის გადასარჩენად. უკვე სიბნელე იყო და ზღვის ნაპირზე მდგარი მამაკაცის სილუეტი დავინახეთ, რომელიც არ მოძრაობდა. ვიფიქრეთ, გადაიფიქრა და გადარჩაო. 10-15 მეტრში ფარნებით რომ დაგვინახა, ჩვენკენ წამოვიდა. რომ მოგვიახლოვდა, ისევ მიბრუნდა უკან და სირბილით შევარდა ზღვაში. ჩაყვინთვა რომ დაიწყო, არც დავფიქრებულვარ, ისე შევვარდი ყველაფრიანად გაყინულ წყალში. ვწვდი „კაპიშონში," დავქაჩე ჩემსკენ და ნაპირზე გამოვიყვანე. ძალიან ბევრი წყალი ჰქონდა ნაყლაპი. ჩვენ ყველას გავლილი გვაქვს, პირველადი დახმარება როგორ უნდა გავუწიოთ ნებისმიერ შემთხვევაში ადამიანს და ამიტომ, მისი მოსულიერება არ გაგვჭირვებია. მუხლზე გადავიკიდე, საყლაპავი მილი თითით გავუსინჯეთ და სუნთქვაც გაეხსნა. სასწრაფოს დააგვიანდა, რადგან სხვა გამოძახებაზე იყო გასული. აღმოჩნდა, რომ სადგურზე, ჩამომდგარ მატარებელში ექიმი იჯდა, რომელიც მატარებელს აღარ გაჰყვა და ჩვენთან ერთად წამოვიდა, მას შემდეგ, რაც ნებართვა მივიღეთ, ბიჭი საავადმყოფომდე ჩვენ გადაგვეყვანა.



**– თავის მოკვლას თუ გეგმავდა, შეტყობინება რაღაზე დატოვა?**

– ეს უფრო იმას ჰგავდა, თავის მოკვლას ვაპირებ და გადამარჩინეთო. ალბათ, გოგონასთვის უნდოდა, დაემტკიცებინა, მის გამო რას აკეთებდა და პატრულმა როგორ იხსნა. ყველა ვარიანტში ხალხის უსაფრთხოება ჩვენი სამსახურეობრივი მოვალეობაა.

**მარიკა ხიდურელი**

# რა საოცრება ააშენეს ქართველებმა და რატომ დაანგრიეს ის რუსმა ჯარისკაცებმა

*ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე ტახტზე ავიდა 1027 წელს, როცა ჯერ 10 წლისაც არ იყო. ამ დროს მის მამას, გიორგი პირველს გააფთრებული ომი ჰქონდა ბიზანტიასთან სამხრეთ საქართველოს მიწების გამო. ეს ბრძოლა გააგრძელა ბაგრატმა. ბიზანტიას სურდა, ქართული და სომხური მიწების ოკუპაცია და ანექსია, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, მაგრამ ბაგრატიონები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ბიზანტიის იმპერატორებს და ტოლს არ უდებდნენ, მეტიც, მათზე აღმატებულადაც მიაჩნდათ თავი.*

ბიზანტიელებს მიემხრო მოღალატე არისტოკრატიის ნაწილი, ასევე ეპისკოპოსი იოანე ბანელი. მაგრამ, მოღალატეების გარდა, ერთგულებიც ბევრი ჰყავდა მცირეწლოვან მეფეს და სამშობლოს. ტბეთის ეპისკოპოსი საბა და ანჩის ეპისკოპოსი ეზრა სათავეში ჩაუდგნენ წინააღმდეგობის მოძრაობას და ქართველებმა მტერი შეაჩერეს. ბასილი ბულგართმმუსვრელის ექვიანმა და თავის ძმასავით თვალების დათხრის მოყვარულმა კონსტანტინე მერვემ ვერ შეძლო ტაო-კლარჯეთის დაკავება.



1028 წელს მოკვდა კონსტანტინე მერვე. ბიზანტიის კეისრების ტახტზე ავიდა კონსტანტინეს სიძე, რომანოზ მესამე, რომელსაც თანამმართველად ჰყავდა ცოლი, კონსტანტინე კეისრის ასული ზოია.

ბიზანტია ცდილობდა, გაეუქმებინა სომხური და ქართული სამეფოები და თავის სახელმწიფოსთვის შეეერთებინა მათი ტერიტორიები (სომხური სამეფოების გააუქმება ბიზანტიელებმა შეძლეს, მას შემდეგ, 1918 წლამდე სომხებს სახელმწიფოებრიობა აღარ ჰქონდათ; ბაგრატიონებისა და ქართველი ხალხის სახელმწიფოებრიობამ გაუძლო ბიზანტიის შემოტევას, განსხვავებით სომხებისგან).

ქართველების თავდადებული ბრძოლის გამო, ბიზანტიამ უკან დაიხია. ბაგრატის დედამ, დედოფალმა მარიამმა ზავი ჩამოაგდო ბიზანტიასა და საქართველოს შორის და ბერძენი პრინცესა – რომანოზ კეისრის ძმის, ბასილის შვილი, პრინცესა ელენე მოუყვანა ბაგრატ მეფეს ცოლად.

1030 წელს ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხემ იქორწინა ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ მესამის ძმის შვილზე, ელენეზე.

ქორწილი გადაიხადეს ბანაში...

ისტორიული საქართველოს სამხრეთში, ჭოროხის ხეობაში, მდინარე ბანას მარჯვენა სანაპიროზე დღესაც ჩანს ქართველთა დიდების მაცნე – ბანას ტაძრის ნანგრევი, ძველი სტრატეგიული ქალაქისა და დიდი კულტურის უსიტყვო მოწმე.

სუმბატ დავითის ძის მიხედვით, ბანას ტაძარი ეპისკოპოს კვირიკე ბანელს აუშენებია, ადარნასე მეორეს ბრძანებით. კვირიკე ბანას პირველი ეპისკოპოსი გახდა. სხვა ვარაუდით, ბანა მეშვიდე საუკუნის ნაგებობაა. „ადარნასე ალბათ, ტაძრის ხელმეორედ მაშენებელი იყო," – ვარაუდობს გიორგი ჩუბინაშვილი. ეს ვარაუდი უფრო სწორი უნდა იყოს.

888 წელს ადარნასე მეორე ბაგრატიონმა თავი ქართველთა მეფედ გამოაცხადა. მანამდე, ტაო–კლარჯეთის მმართველი ბაგრატიონები იწოდებოდნენ ხელმწიფეებად, ზოგ წყაროში – მეფეებად, მაგრამ ტიტული „ქართველთა მეფე", სწორედ ადარნასემ მიიღო იმ წელს. „ეს იყო არა მარტო ერთმეფობაზე პრეტენზია, არამედ ბაგრატიონთა სახლის სუვერენობისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია," – წერდა ამ ფაქტზე ისტორიკოსი ალექსანდრე ბენდიანიშვილი.

ამ დროისთვის ბაგრატიონები ძალიან მომძლავრებულნი იყვნენ სამხრეთ საქართველოში.

ბანა (ბანაკი) საკმაოდ დიდი ქალაქი გახლდათ. ის ოლთის-ტაოს და მთელს გარშემო ტერიტორიების სტრატეგიული ცენტრი იყო. ძირძველი ქართული მოსახლეობა, რომელიც არაბების შემოსევების შედეგად შემცირებულიყო, ისევ მომრავლდა (გაჩნდა სომხური ახალშენებიც აქა-იქ). ბანას ტაძრის გარშემო იდგა მეფის, მღვდელმთავრისა და სხვა დიდებულების სასახლეები, სხვადასხვა სიმაგრე-საფორტიფიკაციო ნაგებობები, ვაჭრების, უბრალო ადამიანების სახლები.

აქვე იყო ბაზრები, სასტუმროები.

ბანას ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კლდეებში შემორჩენილი ყოფილა ქვაბულები, ჩაშენებული კედლებით. ერთ-ერთში პატარა დარბაზული ეკლესიაა.

ბანას ტაძრის გარშემო დიდი მინდვრებია, წელიწადის ყოველ დროში სხვადასხვაგვარად აფერადებული. მინდვრებს მთები აკრავს, მთებიც ფერად-ფერადია. მთებს მთაგრეხილები, ქედები შემორტყმია გარს. შორს დაინახავ არსიანის, მესხეთის ქედებს, მცირე კავკასიონს. აქედან მთელი სამხრეთის პერსპექტივა იშლებოდა ბაგრატიონებისთვის – ძველი ქართული მიწები ბასიანისა, სპერისა, უფრო დასავლეთით ლაზეთ-ქალდეასი. თუმცა, ტაოც ქალდეას მიწაა, მისი ნაწილია.

ამ ტერიტორიებზე ჩაისახა პირველი ქართული სახელმწიფოებრიობა დიაოხისა. მანამდე ამ მიწაზე ლითონის წარმოების წინაპრები სახლობდნენ. აქედან ისწავლა კაცობრიობამ რკინის დამუშავება, აქედან დაიწყო რკინის ცივილიზაცია (არ იგულისხმება კაცობრიობის არსებობის დაყოფა ოქროს თუ რკინის პერიოდებად).

**ამ მიდამოებში და მთელ საქართველოში, მთელ მაშინდელ მსოფლიოში გავრცელებული იყო ბაგრატიონების ქრისტესთან ნათესაობის თეორია**

ბაგრატიონებმა ააშენეს (თუ აღადგინეს და განამშვენეს) მონუმენტური, მართლმადიდებლური ტაძარი ბანა, რომელიც დიდი სატახტო ქალაქის მშვენებად იქცა. ის სამსართულიანი შენობა იყო, შიგნიდან ერთიანი. მისი სიმაღლე 32 მეტრი უნდა ყოფილიყო (დაახლოებით თანამედროვე 10-11-სართულიანი კორპუსის სიმაღლე). მრგვალი, ოვალური, ტეტრაქონქი (ასეთი ტაძრები მეშვიდე საუკუნის მერე აღარ შენდებოდაო, ამბობდა გიორგი ჩუბინიშვილი), ცილინდრული გუმბათის ყელით... გარშემოწირულობა 40 მეტრზე მეტი...

როგორც ჩანს, ბანას ტაძარი უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებდა, როგორც გარედან – შორიდანაც და ახლოდანაც, ისე შიგნიდან – სამივე სართულიდან, როგორც მონუმენტურობით, ისე გაფორმებით. შთაბეჭდილებას, ალბათ, ამძაფრებდა ქალაქის ციხე-კოშკები და სასახლეები.

ყველა სტუმარი, რომელიც სავაჭროდ თუ დიპლომატიური მიზნით, ჩამოვიდოდა ბანაში, უდიდესი შთაბეჭდილებით წავიდოდა უკან და გაავრცელებდა ამბავს ქართველთა და ბაგრატიონთა დიდებულებისა და სიძლიერის შესახებ. ბაგრატიონები და ქართველები აცხადებდნენ, როგორც პოლიტიკური და მილიტარისტული ქმედებებით, ისე არქიტექტურითაც, რომ მათი სამეფო არც ერთ სახელმწიფოს არ ჩამოუვარდებოდა. ამ მიდამოებში და მთელ საქართველოში, მთელ მაშინდელ მსოფლიოში, გავრცელებული იყო ბაგრატიონების ქრისტესთან ნათესაობის თეორია. ასეთი იზოთეისტური, ღვთიურობის თეორია არც ერთ ქრისტიანულ დინასტიას არ ჰქონია მთელი ისტორიის განმავლობაში.

ბაგრატიონთა გავლენა ვრცელდებოდა. ბანას (ბანაკის, იქნებ დაბანაკების – სტრატეგიული სახელწოდება) მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო არტანუჯიც და რა თქმა უნდა, სხვა ციხე-ქალაქებიც.

ბაგრატიონთა გავლენის ზრდას ამტკიცებს 1030 წლის სამეფო ქორწილი ბანაში.

ქორწილის გადახდას ბანაში რამდენიმე მიზეზი ჰქონდა:

1. ბაგრატ მეფე და ქართველები ყველას უმტკიცებდნენ, რომ ქალაქი ბანა (ბანაკი) და მისი შემოგარენი ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ტერიტორიაა.

2. აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ ტაო საქართველომ შეინარჩუნა და ბიზანტიას (და სხვებს) ამას ხაზგასმით უმტკიცებდა.

3. მართალია, ბანა აღარ იყო ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი დედაქალაქი (მაშინ ქუთათისი გახლდათ გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი), მეფის ქორწილები კი, როგორც წესი, დედაქალაქებში ეწყობა ხოლმე, მეტი პომპეზურობისთვის. მაგრამ, ბანას არქიტექტურას სტუმრად მოწვეული ბერძენი დიდებულებისთვის უნდა ეჩვენებინა, რომ არქიტექტურული, სტრატეგიული თუ სხვა თვალსაზრისით, ჩვენი მეფის ერთ-ერთი რეზიდენცია (და არა დედაქალაქი), არ ჩამოუვარდებოდა კონსტანტინოპოლს.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ბანა უნახავს გერმანელ მოგზაურს კარლ კოხს, რომელიც წერდა:

„ეს უეჭველად ყველაზე მშვენიერი და დიდებული რამაა, რაც კი მსგავსი რამ მინახავს ოდესმე მთელ აღმოსავლეთში, თუ, რა თქმა უნდა, კონსტანტინოპოლს არ ჩავთვლით".

ბანას ტაძარში ჯვრისწერის ჩატარებას, მართლაც დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ჩვენმა წინაპრებმა, რადგან თუ გავიხსენებთ, მაშინ უკვე აშენებული იყო ბაგრატის დიდებული ტაძარი ქუთათისში, ქვეყნის იმდროინდელ დედაქალაქში, ბაგრატ მეოთხის პაპის, ბაგრატ მესამის მიერ. ბაგრატ მესამემ 1003 წელს დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა მისი კურთხევა.

ბანაში გამართული ბაგრატ მეოთხესა და ბიზანტიელი პრინცესა, ელენეს ქორწინება იმდენად დიდმნიშვნელოვანი იყო, რომ მისი მხატვრული აღწერა მალე მოხდა ოშკის დიდებული ტაძრის კედელზე, ფრესკაზე. ფრესკაზე დღესაც კარგად ჩანს ტაძრის გამოსახულება.

**(გაგრძელება 86-ე გვერდზე)**

**მიუხედავად იმისა, რომ ძველი ბერძნები თავს ჰუმანურებად მიიჩნევდნენ და საკუთარ კულტურას ირგვლივ მყოფი ხალხის „ბარბაროსულ“ წეს-ჩვეულებებს უპირისპირებდნენ, ადამიანთა მსხვერპლშეწირვას სხვადასხვა სახითა და ფრიად მრავალგვარი საბაბით, მათი ხანგრძლივი ისტორიის უმეტეს ნაწილში დიდი ადგილი ეკავა. მაგრამ ისეთი მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, როგორსაც დაკრძალვებზე ეგვიპტელები და მესოპოტამიელები აწყობდნენ, მათთვის მართლაც უცხო იყო.**

# ძველ საბერძნეთში მსხვერპლშეწირვით ცოდვებს ინანიებდნენ

ეგვიპტელებისა და შუმერებისაგან განსხვავებით, ბერძნებმა თითქმის არ იცოდნენ მიცვალებულებისთვის ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა. მათი წარმოდგენა საიქიოზე არ ითვალისწინებდა იმას, რომ მიცვალებულს იმქვეყნად მსახურები დასჭირდებოდა. ერთადერთი, რაც აჩრდილებს სწყუროდათ, იყო ცხვრებისა და თხების სისხლი. ეს მათ მეხსიერებას უბრუნებდა და როგორც ჩანს, შესაძლებელს ხდიდა, ცოტა ხნით სიცოცხლის მსგავსი ყოფა შეეძინათ, თუნდაც უსხეულო.

ელინების წინაპართა მიერ ღმერთებისადმი ადამიანთა მსხვერპლშეწირვის ნაკვალევს შორეულ წარსულში მივყავართ. ასე მაგალითად, კორინთოში არქეოლოგებმა ადრეული ბრინჯაოს ეპოქის ჭა აღმოაჩინეს, რომელიც ოცზე მეტი ადამიანის ნეშტით იყო ამოვსებული. სპეციალისტებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ ეს იყო ქთონიკურ ან მიწისქვეშა ღმერთებისადმი მსხვერპლშეწირვის შედეგი.

მითების მიხედვით, ადამიანთა პირველი მსხვერპლშეწირვები სრულდებოდა ზევსის მამა-კრონოსის პატივსაცემად. კრონოსი იმით იყო ცნობილი, რომ საკუთარ შვილებს ჭამდა, რომლებიც მას ქალღმერთ რეასგან შეეძინა. თუ ღმერთის ქმედებას გამართლება არ ჰქონდა, შესაძლებელი იყო მისი გაგება: ნაწინასწარმეტყველები იყო, რომ მას საკუთარი ვაჟიშვილი დაამხობდა. მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, ღვთაებრივი მამა ქალიშვილებსაც ყლაპავდა. მაგრამ, რადგან კრონოსის შვილები, როგორც ღმერთებისთვის იყო დაშვებული – უკვდავები იყვნენ, როცა მამა მათ ჭამდა, არ შეეძლო მათი განადგურება (მოგვიანებით, ყველანი ამოანთხია და დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ). კრონოსის მეუღლეს არ მოსწონდა ეს ტრადიცია და ერთხელ მორიგი ბავშვის მაგივრად, მეუღლეს გადასაყლაპად ჩვრებში გახვეული ქვა მისცა. ეს შვილი გახლდათ მომავალი უმაღლესი ღმერთი – ზევსი, რომელიც მან კუნძულ კრეტაზე დამალა გამოქვაბულში და ვიღაც „კურეტები“ იცავდნენ.

ამის შესახებ თუ ვინ არიან კურეტები, სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მაგრამ, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი – ადამიანები თუ ღვთაებები, იმაზე ყველა თანხმდება, რომ კრეტაზე ბინადრობდნენ კრონოსის მმართველობის დროს და სწორედ ისინი იცავდნენ ჩვილ ზევსს. მოგვიანებით, ამ სახელით მოიხსენიებდნენ ჭაბუკებს, რომლებიც ბერძნული მითების მიხედვით, ამ ადგილებიდან იყვნენ წარმოშობით, თავიდან დიქტეას გამოქვაბულში, სადაც რეამ შვა ღმრთაებრივი ჩვილი, შემდეგ კი, იდეის გამოქვაბულში, სადაც



მან ჩვილი გადამალა, ეს ჭაბუკები სცენაზე გამოდიოდნენ მაყურებლის წინაშე. მაგრამ, თუ კურეტები მხოლოდ მფარველობის ფუნქციით იყვნენ დაკავებულნი და ჩვილი ზევსის ტირილს შუბებისა და ფარების ხმაურით, ტიმპანებისა და ფლეიტების ჰანგებითა და მხედრული ცეკვებით ახშობდნენ, მოგვიანებით, უკვე კურეტი ქურუმები, თავს დამნაშავედ მიიჩნევდნენ მათ მიერ მოტყუებული კრონოსის წინაშე და ცდილობდნენ, მსხვერპლშეწირვით გამოესყიდათ ეს ცოდვა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნის ისტორიკოსი – ისტრი გვამცნობს, რომ ძველად კურეტები კრონოსს ბავშვებს სწირავდნენ.

მართლაც, კრეტაზე არქეოლოგებმა ადამიანთა მსხვერპლშეწირვის ნაკვალევი აღმოაჩინეს, რომელიც ბრინჯაოს ეპოქაში ხდებოდა. კერძოდ, კრონოსის სასახლის ერთ-ერთ სათავსში, არქეოლოგმა უორენმა აღმოაჩინა ადამიანის ძვლები, რომლებიც კარგად შენახული 28 ჭურჭლის გვერდით ეწყო. ეს ნეშტები 10-15 წლის რამდენიმე მოზარდისა იყო. ფხეკის კვალი ძვლებზე რიტუალურ კაციჭამიობაზე მიანიშნებდა. ის ფაქტი კი, რომ ძვლები თერმულად არ იყო დამუშავებული, შესაძლოა, იმაზე მეტყველებდეს, რომ კრეტელები უმ ხორცს მიირთმევდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული ღმერთების დამოკიდებულება ადამიანთა მსხვერპლშეწირვისადმი იყო ორმხრივი. ერთი მხრივ, ისინი ამას ითხოვდნენ და იღებდნენ, ხოლო მეორე მხრივ – კიცხავდნენ კიდეც ამას, თუ ადამიანები ასეთ მსხვერპლს საკუთარი ინიციატივით, ორაკულის ბრძანების გარეშე სწირავდნენ.

***

ჭაბუკ სპარტელებს ღირსებად ეთვლებოდათ, თუ ხვნეშის გარეშე აიტანდნენ გვემას. ისინი ერთმანეთს გამძლეობაში ეჯიბრებოდნენ, თუ რომელი უფრო მეტ დარტყმას გაუძლებდა და ზოგიერთი სამსხვერპლოზე კვდებოდა კიდეც. თუმცა, ეს უკვე თავისი ნებით ჩადენილი ქმედება იყო – არტემიდა (ბერძნულ მითოლოგიაში: აპოლონის და, ცხოველებისა და ნადირობის შემდეგ კი ქალწულობისა და მშობიარობის მფარველი ქალღმერთი) არ ითხოვდა ვინმეს მოკვდინებას და მზად იყო სისხლით დაკმაყოფილებულიყო. ახალგაზრდებიც, „სიკვდილზე მიდიოდნენ“ არა ქალღმერთის საამებლად, არამედ სახელის მოსაპოვებლად, რასაც აღწევდნენ კიდეც.

პლუტარქე გვიამბობს:

„ბიჭებს სპარტაში არტემიდას სამსხვერპლოზე მთელი დღის განმავლობაში შოლტით ამათრახებდნენ და ისინი, არცთუ იშვიათად იღუპებოდნენ კიდეც დარტყმებისაგან. ბიჭები ამაყად და მხიარულად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, რომელი უფრო დიდხანს და ღირსეულად გაუძლებდა გვემას. გამარჯვებულს ადიდებდნენ და ის ცნობილი ხდებოდა. ამ შეჯიბრებას „დიამასტიგოსისს“ უწოდებდნენ და ის ყოველწლიურად ტარდებოდა.

ადამიანთა მსხვერპლშეწირვას არტემიდასადმი სპარტელთა მეზობლები, პელეპონესის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ პატრის მცხოვრებნიც აწყობდნენ. მაგრამ, მათთან ეს პრაქტიკა მთლიანად შეწყდა ტროას ომის შემდეგ. პავსანია (ძველი ბერძენი მწერალი – მეორე საუკუნე) წერდა: როდესაც ამ ადგილებში იონიელები დასახლდნენ, მათ არტემიდას პატივის მისაგებად ტაძარი ააგეს და ყოველწლიური დღესასწაული დააწესეს ღამისთევით. ქურუმის მოვალეობა უნდა შეესრულებინა ქალიშვილს (ქალწულს) მანამ, სანამ არ გათხოვდებოდა – თვით არტემიდაც ხომ ქალწული ქალღმერთი იყო.

**რევაზ ტომარაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | | ა | | | | | | | | | ხ | ი | დ | ი | |
| რ | ო | მ | ი | | | | | | | ნ | უ | ნ | ი | ს | ი |
| ე | | ა | | | | | | | კ | ა | მ | ო | | ი | ფ |
| მ | ი | ლ | ი | | | | | | | შ | ა | მ | ი | ლ | ი |
| ი | ლ | ა | ვ | | | | | | მ | ა | რ | ი | ლ | ი | |
| | ე | | ი | | | | | | ო | | ა | ლ | ე | ვ | ი |
| ე | ხ | ი | ც | | | | | | ნ | | | | რ | | პ |
| ლ | | რ | | მ | | ი | ს | რ | ა | მ | | შ | ა | ს | ი |
| ი | ნ | ე | დ | ა | ს | | | ა | | ა | | ა | ქ | ი | ს |
| ნ | | ხ | | რ | | ე | ტ | ს | ო | ნ | | გ | | ლ | |
| ი | ვ | ო | ს | ა | ლ | ვ | | ა | | ა | რ | ა | მ | ო | ტ |
| | ე | | ა | დ | ი | რ | ი | | ა | მ | ე | ნ | ი | ს | |
| კ | ლ | ა | ს | ი | კ | ა | | ი | ხ | ა | ნ | ე | ზ | ი | ა |
| | ი | კ | ა | ს | ა | | ს | | მ | | ო | | ე | | მ |
| ჩ | | ი | | ო | | ი | ვ | ხ | ე | ძ | | ა | ზ | ე | რ |
| ი | ტ | რ | ო | ბ | ა | | ა | | ტ | | ვ | | ი | | ბ |
| ა | რ | ა | ვ | ა | | ი | ნ | ო | ა | რ | ა | ფ | | რ | |
| | ო | | ა | | ე | ზ | ი | რ | | ო | ნ | ა | გ | ო | ბ |
| ი | ლ | ა | ლ | ა | | ა | | ა | ტ | ს | ი | ც | | მ | |
| მ | ი | მ | ი | ნ | ო | | ი | ს | ი | ა | | ა | ნ | ა | ლ |
| ო | | ა | | ა | ტ | ო | ნ | | ა | რ | ი | ც | | ნ | |
| ნ | ა | ყ | ი | ნ | ი | | ა | კ | რ | ი | | ი | ი | ს | |
| გ | | ი | | ი | ვ | ი | ტ | | ა | ო | ნ | ა | | ი | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 3 | 7 | 1 | 2 | 5 | 6 | 8 | 4 |
| 4 | 6 | 2 | 3 | 7 | 8 | 9 | 1 | 5 |
| 1 | 5 | 8 | 6 | 4 | 9 | 2 | 3 | 7 |
| 8 | 7 | 3 | 2 | 5 | 4 | 1 | 9 | 6 |
| 6 | 4 | 9 | 7 | 8 | 1 | 5 | 2 | 3 |
| 2 | 1 | 5 | 9 | 3 | 6 | 7 | 4 | 8 |
| 3 | 2 | 6 | 4 | 9 | 7 | 8 | 5 | 1 |
| 7 | 8 | 4 | 5 | 1 | 2 | 3 | 6 | 9 |
| 5 | 9 | 1 | 8 | 6 | 3 | 4 | 7 | 2 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 5 | 6 | 9 | 7 | 1 | 2 | 3 |
| 9 | 1 | 2 | 5 | 3 | 8 | 4 | 6 | 7 |
| 3 | 6 | 7 | 4 | 1 | 2 | 5 | 8 | 9 |
| 2 | 3 | 6 | 8 | 4 | 9 | 7 | 1 | 5 |
| 7 | 5 | 8 | 1 | 2 | 3 | 9 | 4 | 6 |
| 1 | 4 | 9 | 7 | 6 | 5 | 8 | 3 | 2 |
| 6 | 9 | 1 | 3 | 7 | 4 | 2 | 5 | 8 |
| 5 | 2 | 3 | 9 | 8 | 1 | 6 | 7 | 4 |
| 8 | 7 | 4 | 2 | 5 | 6 | 3 | 9 | 1 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ათათურქი – მაშინდელი პრეზიდენტის გვარი. 2. დრაკონი. 3. დავითის ვარსკვლავს. 4. თეატრს. 5. ბრაზილია – ქრისტეს ქანდაკება. („საპნის ოპერები“). 6. საბჭოთა კავშირს. 7. კოლიზეუმს, რომელიც თაღოვანი სისტემისგან შედგება. 8. მოეპარსათ წვერი, რომელსაც ძირითადად მუსლიმანური რელიგიის მიმდევრები ატარებდნენ. 9. უბრალოდ, ნათესავებს. 10. დანტესი.**

**თამრო დუდუნია, 2 წლიდან ოჯახთან ერთად რუსეთში ცხოვრობს. ის მომავალი ექიმია და ძალიან უყვარს სიმღერა. ამჯერად მუშაობს მესამე ალბომზე და ემზადება მორიგი კლიპის გადასაღებად. წელიწადში რამდენჯერმე ახერხებს საქართველოში ჩამოსვლას. ჩვენი რესპონდენტი მამით ქართველი და დედით აფხაზია, საუბრობს რუსულ ენაზე და ამჟამად სწავლობს მშობლიურ ენას. თამრო 22 წლისაა, უყვარს ის საქმე, რასაც აკეთებს და ჯერჯერობით არ ფიქრობს გათხოვებაზე. როგორც თავად საუბრის დროს აღნიშნა, ყველაფერი წინ აქვს. ამ ეტაპზე მისთვის მთავარია, კარიერა და შემდეგ უკვე გათხოვება.**

# ვისგან ელის თამრო დუდუნია ქართული ენის შესწავლისთანავე საჩუქრად ავტომობილს და ვის უმღერის ის აფხაზეთში ქართულად

**– თამრო, ბოლოს, გასულ წელს შევხვდით ერთმანეთს, როცა მამუკა ონაშვილთან დუეტში იმღერე. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. რა სიახლეები გაქვს ჩვენთვის მოსაყოლი?**

– მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა. ვიყავი საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც ყაზანში ჩატარდა და სამედიცინოს სტუდენტები ვიღებდით მონაწილეობას. ჯაზის ნომინაციაში გავიმარჯვე და პირველი ადგილი ავიღე. ამას გარდა, სხვადასხვა კონცერტში ვმონაწილეობდი. ფოტოსესია მქონდა ნაციონალურ სამოსში გამოწყობილს, გონიოს ციხესიმაგრეში. ვმუშაობ მესამე ალბომზე, რომელსაც ერქმევა „თამრო დუდუნიას 13 მეგობარი." საკმაოდ მრავალფეროვანი ალბომი გამოდის, რომელშიც სხვადასხვა ჟანრი იქნება გაერთიანებული – როკი, ჯაზი, ოპერა, პოპ-მუსიკა. სიმღერები იქნება ქართველ მომღერლებთან ერთად შესრულებული, როგორც ქართულ, ასევე რუსულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ სავარაუდოდ, ალბომი ზამთარში უკვე მზად იქნება. რაც შეეხება ზაფხულის სიახლეებს. ჩამოვედი საქართველოში და აჭარაში მიმიწვიეს შუამთობის დღესასწაულზე. ერთი ქართულენოვანი სიმღერა ვიმღერე – „სამშობლო," რომელიც ჩემს პირველ ალბომშია შესული. მეორე კი იყო „ალილუია". ასევე, მიწვეული ვიყავი „ჯიდიესის" დილის ეთერში. ძალიან მომეწონა მათი სტუდია და განსაკუთრებით, სტუდიის უკანა ფონი, საიდანაც არაჩვეულებრივი ხედია.



**იმდენად მიყვარს თბილისი, უკვე ბინას ვეძებთ აქ. სავარაუდოდ, ზამთრისთვის უკვე გვექნება და ახალ წელს საქართველოში, უკვე ჩვენს ბინაში შევხვდებით**

**– თამრო, კლიპის გადაღებას თუ გეგმავ?**

– რა თქმა უნდა, მინდა, კიდევ ერთი ახალი კლიპის გადაღება, თუმცა ჯერ ზუსტად არ ვიცი, რომელ სიმღერაზე გავაკეთებთ არჩევანს. არავის წყენინება არ მინდა, ყველასთან არაჩვეულებრივად ვიმუშავე, მაგრამ ჩემთვის მაინც ყველაზე საუკეთესოა დუეტი აჩიკო გოგიტიძესთან. შეიძლება, სწორედ ამ სიმღერაზე გადავიღოთ კლიპი, თუმცა ჯერ ნამდვილად არ ვიცი. სხვათა შორის, გუშინ კიდევ ერთი მიპატიჟება მივიღე, ამჯერად მოსკოვიდან, სადაც ყოველი ოქტომბრის ბოლოს „თბილისობა" იმართება. მომწერეს, რომ სურვილი აქვთ, მეც ვიმღერო ამ კონცერტზე. „თბილისობის" ორგანიზატორები ზურა დოიჯაშვილის საიუბილეო კონცერტზე გავიცანი, რომელიც მოსკოვში გაიმართა. ძალიან კარგი კონცერტი იყო, რომლის დასასრულს, მე, ზურა დოიჯაშვილმა, გიგა კვენეტაძემ და აჩი ფურცელაძემ ერთად შევასრულეთ სიმღერა „არგო." მთელი დარბაზი ფეხზე იდგა. „თბილისობის" მერე, რამდენიმე კვირაში, საქველმოქმედო კონცერტშიც მივიღებ მონაწილეობას.

**– თამრო, უკვე მე-6 კურსის სტუდენტი და მომავალი ექიმი ხარ.**

– ერთი წელიც და დავამთავრებ. წინ კი, ორდინატურა მელის.

**– მართალია, გვარად დუდუნია ხარ, მაგრამ ქართული ენის შესწავლა სულ ახლახან დაიწყე. რა ეტაპზე ხარ?**

– წერა-კითხვა უკვე ვისწავლე. თუ სწრაფად არ ლაპარაკობენ, ყველაფერი მესმის. სხვა შემთხვევაში, ჯერ მიჭირს. იმედი მაქვს, მალე მეც დავიწყებ ქარულ ენაზე ლაპარაკს. სხვათა შორის, მამა დამპირდა, თუ ქართულს კარგად ისწავლი, მანქანას გიყიდიო.

**– როდის შეძლებ ინტერვიუს ქართულ ენაზე ჩაწერას?**

– ყველაფერი მესმის, მაგრამ ცუდად ვლაპარაკობ.

**– მაშინ ის მითხარი, მანქანის საჭესთან როდის დაგინახავ?**

– ჯერ ველოსიპედის დონეზე ვარ. იმედი

**ქართულ ენაზე თუ სწრაფად არ ლაპარაკობენ, ყველაფერი მესმის, სხვა შემთხვევაში, ჯერ მიჭირს. იმედი მაქვს, მალე მეც შევძლებ ქართულად საუბარს**

მაქვს, მალე საკუთარი მანქანის საჭესთანაც დავჯდები.

**– რა მანქანა გინდა?**

– „მერსედესი".

**– თაყვანისმცემლები ბევრი გეყოლება, ალბათ, მათზე რას მეტყვი?**

– ნაკლებობას არ ვუჩივი. რა შემიძლია მათ შესახებ გითხრათ, კარგი ადამიანები არიან, პატივს მცემენ და ყურადღებას გამოხატავენ ჩემ მიმართ. აქ რომ ჩამოვედი, ავად გავხდი და „ფეისბუქზე" სტატუსი დავდე ამის შესახებ. მართლა არ ველოდი, თუ ამდენ თაიგულს მივიღებდი საჩუქრად.

**– შენ თუ მოგწონს რომელიმე?**

– სასიამოვნოა ამდენი თაყვანისმცემელი რომ მყავს, მაგრამ ვერავის გამოვარჩევ და პრიორიტეტს ვერ მივანიჭებ. საერთოდ, ჯერ სიყვარულსა და გათხოვებაზე არ ვფიქრობ, ჩემი გული თავისუფალია.

**– რამდენი წლის ხარ?**

– 22-ის.

**– რამდენიმე დღეში გაგრაში მიდიხართ. საზღვრის გადალახვის პრობლემა არ გაქვთ, რადგან დედა აფხაზი გყავს.**

– ძალიან მიხარია გაგრაში რომ მივდივარ. ბებიას მოვინახულებ, რომელიც, სამწუხაროდ, ავადმყოფობს. გაგრაში უამრავი ნათესავი და მეგობარი გვყავს. ბიძაშვილი გამითხოვდა და მასაც მოვინახულებ. ქართულ ენაზე ვუმღერებ მათ.

**– ანუ, უპრობლემოდ გადაადგილდები გაგრაში?**

– რა თქმა უნდა. მე იქ ყოველ ზაფხულს ჩავდივარ. მე თბილისში ვარ დაბადებული, ჩემი ძმა კი – სოხუმში, რომელიც ჩემზე 9 წლით უფროსია. ბავშვობიდან ყოველ არდადეგებს იქ ვატარებთ. სახლიც გვაქვს ზღვასთან ძალიან ახლოს.

**– თბილისში თუ გყავს მეგობრები?**

– კი, მყავს, მაგრამ იმდენი ჯერ არა, რამდენიც – აფხაზეთში. სხვათა შორის, ბოლო დროს თბილისშიც და აჭარაშიც ძალიან ბევრი მანქანა შევნიშნე რუსეთის ნომრებით. აჭარაში ბევრი ტურისტი ისვენებს, მათ შორის რუსებიც. შარშან შარდენზე, ერთერთ კაფეში ვისხედით და „ენტევეს" ცნობილი ჟურნალისტი, ლეონიდ პარფეონოვი ვნახეთ. ძალიან ბევრი ვისაუბრეთ, ძალიან აქებდა საქართველოს. იცით რა? რუსეთში ჰგონიათ, რომ აქ, რაღაც ისე ვერ არის. რეალურად, არც კი იციან, რა კარგია საქართველოში. როცა ჩვენი ოჯახის ახლობლები პირველად ჩამოვიდნენ ზღვაზე დასასვენებლად, ისეთი შთაბეჭდილების ქვეშ იყვნენ, მერე, უკვე მომავალ წელს, ბათუმს თავის მეგობრებთან ერთად ესტუმრნენ. ჩვენი ახლობლებიდან კი, უკვე ბათუმში, ახალაშენებულ სახლებში, ბევრმა იყიდა ბინა. ზოგმა ბიზნესიც წამოიწყო თბილისში. მე თვითონ ისე მიყვარს თბილისი, უკვე ბინას ვეძებთ აქ. სავარაუდოდ, ზამთრისთვის უკვე გვექნება და ახალ წელს საქართველოში, ჩვენს ბინაში შევხვდებით.

**მარიკა ხიდურელი**

**ავტორ-შემსრულებელი, გოჩა იაშაღაშვილი, იგივე „ბავარიელი” უკვე 18 წელია, გერმანიაში მოღვაწეობს. მისთვის ბევრს ნიშნავს წელიწადში ორჯერ სამშობლოში ჩამოსვლა, რადგან უკან ენერგიით სავსე და დადებითი ემოციებით დამუხტული ბრუნდება. ამჯერად დიდი კონცერტის მოწყობას გეგმავს, რომელსაც 31 აგვისტოს, მეგობრებთან ერთად გამართავს.**

# სად გეგმავს „ბავარიელი“ 1 000-კაციანი კონცერტის გამართვას და ვისთვის დაწერა მან ბავარიის საქორწილო ვალსი

**– ერთი თვეც არ არის, რაც ჩამოხვედით, როდის გეგმავთ გერმანიაში გამგზავრებას?**

– 4 სექტემბერს უკვე გერმანიაში უნდა ვიყო. 2 კონცერტი მაქვს დაგეგმილი და უნდა მოვემზადო. ერთი სოლო კონცერტია, მეორე კი – სამთავრობო, რომელიც ერთ-ერთი ქალაქის ხელმძღვანელობას ეძღვნება. ზუსტად არც ვიცი, რა ხდება, მე უბრალოდ, მიმიწვიეს.

**– საქართველოში ყოფნის განმავლობაში თუ გაქვთ რამე გეგმები?**

– ჩემი ალბომი ჩამოვიტანე, რომელიც გერმანიაში დაიბეჭდა და პრეზენტაციაც იქ შედგა. 31 აგვისტოს კონცერტი მაქვს დაგეგმილი, რომელშიც ჩემი მეგობრებიც მიიღებენ მონაწილეობას. 1 000 მსმენელზე იქნება გათვლილი და იმედი მაქვს, ძალიან ისიამოვნებს ყველა სტუმარი. ყველა მომღერალი, რომელთა სიმღერებიც ჩემს ალბომშია შესული, აქ იქნება.

**– პარალელურად, თუ იმუშავებთ აქ ყოფნის დროს ახალ სიმღერაზე?**

– ერთი სიმღერა მაქვს დაწერილი, რომელიც შეიძლება დუეტის სახით ჩაიწეროს. შეიძლება, მე და თაკო მელიქიშვილმა ჩავწეროთ. ვნახოთ, თუ მოესწრება, არ ვიცი. თუ ფიზიკურად მოვასწარი, მაშინ ჩავწერთ.

**– უკვე 18 წელია, გერმანიაში ცხოვრობთ. ალბათ, ძალიან რთულია იყო ოჯახისგან ძალიან შორს. შეეჩვიეთ?**

– ის, რომ წელიწადში ორჯერ ჩამოვდივარ საქართველოში, ეს მართლა მშველის. აი, რომ ვერ ვახერხებდე ჩამოსვლას, ალბათ, გავგიჟდებოდი და ძალიან გამიჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც სულ მონატრების შეგრძნება მაქვს. ჩემს ალბომსაც მონატრება დავარქვი. როცა აქედან მივდივარ, სევდა და ნოსტალგია მიმყვება თან. იმდენად ღრმაა ეს ემოცია, რომ ყველა წასვლაზე ახალ მელოდიას ვწერ. ბოლო დროს, ალბათ, ასაკმაც იჩინა თავი და რატომღაც სულ კლასიკას ვწერ. ალბათ, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

**– რა გენატრებათ ყველაზე მეტად, როცა გერმანიაში ხართ?**

– ის ატმოსფერო, რაც აქ მაქვს. ჩემს ოჯახში ისეთი ჰარმონიაა, რომ სტუმარი ნახევარი საათით რომ მოვიდეს, 3 საათი მაინც რჩება.

**– მაშინ ის მითხარით, როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე.**

– მაღალ სართულზე ვცხოვრობ და კარგი ტერასები მაქვს, იქ შემიძლია, დილით ცოტა წავივარჯიშო. მერე უკვე თავს ვიწესრიგებ და რეპეტიციაზე მივდივარ, ან შემოქმედებით გაერთიანებებთან მაქვს კონსულტაციები, მერე შეიძლება, შეხვედრა მქონდეს რომელიმე შემკვეთთან, რომლისთვისაც სიმღერა ან არანჟირება მაქვს დასაწერი. საღამოს უკვე ერთ-ერთ მუსიკალურ გაერთიანებაში მივდივარ, რომლის წევრიც ვარ. მოკლედ, ძირითადად, შემოქმედებითი ცხოვრება მაქვს.



პატრულმა გამაჩერა და მითხრა, ტელეფონზე საუბრის გამო უნდა დაგაჯარიმოთო. რომ ვუთხარი არ ვლაპარაკობდი, ვმღეროდი-მეთქი, გაკვირვებულმა შემომხედა და ჯარიმა გამომიწერა

**– კვირაში რამდენჯერ მღერით?**

– გააჩნია შეკვეთებს. ქართულ რესტორანში ვმღერი პრივატულ კონცერტებზე. ბოლო დროს შემომეჩვივნენ „ესპედეს” პარტიიდან. მათი საარჩევნო კამპანიის დროს მხარდასაჭერ კონცერტში მივიღე მონაწილეობა. მერე „ცედეუს” პარტიამაც მიმიწვია, რომ მათ მხარდასაჭერ კონცერტზე მიმეღო მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, შემიძლია გითხრათ, რომ სრულიად აპოლიტიკური ვარ. მიმიწვიეს და ვიმღერე. ჩემი აზრით, ხელოვანი ნეიტრალური უნდა იყოს და პოლიტიკური ნიშნით არ უნდა საზღვრავდეს რამეს. ხალხს უნდა უმღერო და არა რომელიმე პარტიას. ასე რომ, სადაც მიმიწვევენ, ყველგან მივდივარ. ერთს მივემხრო და მეორეს არა, ასეთი რამ არ ხდება ჩემს ცხოვრებაში.

**„შავი თვალები“ სიყვარულმა დამაწერინა, რომელიც ჩემს მომავალ მეუღლეს მივუძღვენი**

**– მოკლედ, საკმაოდ დაკავებული ხართ.**

– ადრე უფრო ვიყავი დაკავებული. ადრე ფიზიკურად არ მქონდა დრო, ისეთი რაღაცეები ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში.

**– ანუ, მხოლოდ ქართულ შოუ-ბიზნესს არ უდგას მოდუნების ხანა?**

– არა, ეს ყველგან ასეა, მეტ-ნაკლებად. ყველაფერი შედარებითია, თორემ ბედს ნამდვილად არ ვუჩივი. სხვაზე მეტი სამუშაო ყოველთვის მაქვს. ამიტომაც ვარ ამდენი წელი გერმანიაში, თორემ სამშობლოში ყოფნას რა ჯობია.

**– ბოლოს რა დაწერეთ?**

– ბოლოს „სიყვარულის ქარიშხალი” დავწერე და ბავარიის საქორწილო ვალსი.

**– ანუ ბავარიაში ამ მუსიკაზე იცეკვებენ?**

– კი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჯერ დასრულებული სახე არ აქვს. პირველად შენ გითხარი ეს საქართველოში. ეს მუსიკა იქნება, ქორწილში პატარძლისა და მისი მამიკოს საცეკვაო ვალსი. ვინც სამუშაო ვერსია მოისმინა, ყველას მოეწონა და ვნახოთ. ძალიან სასაცილო ისტორია აქვს ამ მუსიკის დაწერას. რესტორანში ვისხედით და უცებ ეს მელოდია მომივიდა თავში. რომ არ დამვიწყებოდა, სასწრაფოდ დავდე დანა-ჩანგალი და მელოდია წავიმღერე. გარშემო ხალხი გაგიჟდა, ვერ მიხვდნენ რატომ დავიწყე ღიღინი. ორიგინალში წამოვიდა ყველაფერი. ეს ყველაფერი ტელეფონში ჩავიწერე, დავამთავრე და ხალხმა ტაში დამიკრა.

**– ანუ, როცა მუზა მოვა, არ აქვს მნიშვნელობა რა სიტუაციაში ხართ, ყველაგან მღერით?**

– ხშირ შემთხვევაში კი, გააჩნია რა სიტუაციაში ვიქნები. ერთხელ მიუნხენიდან ნიურნბერგში მოვდიოდი მანქანით. მთელი გზა რაღაცას ვმღეროდი. მეგონა, დავიმახსოვრებდი, მაგრამ, რომ ჩავედი, სამწუხაროდ, ყველაფერი დამავიწყდა.

**– ამის შემდეგ მობილურს იშველიებთ?**

– კი, მაგრამ ერთხელ დამაჯარიმეს და ამის მერე ვერიდები. პატრულმა გამაჩერა და მითხრა, ტელეფონზე საუბრის გამო უნდა დაგაჯარიმოთო. რომ ვუთხარი, არ ვლაპარაკობდი, ვმღეროდი-მეთქი, გაკვირვებულმა შემომხედა. კომპოზიტორი ვარ და ამიტომ ვიწერდი ტელეფონზე ახალ მელოდიას-მეთქი. გაეცინა და თან, მომიბოდიშა, რა ვქნა, მაინც უნდა დაგაჯარიმოო და ჯარიმა გამომიწერა.

**– რამდენია გერმანიაში საჭის მართვის დროს მობილურზე საუბრისთვის ჯარიმა?**

– 70 ევრო გადავიხადე ამისთვის.

**– საქართველოში 10 ლარია, ასე რომ, შეგიძლიათ მუზა თუ უეცრად გეწვევათ, იმღეროთ. „შავი თვალები” როგორ დაწერეთ?**

– „შავი თვალები” სიყვარულმა დამაწერინა, რომელიც ჩემს მომავალ მეუღლეს მივუძღვენი.

**– გაამართლა?**

– რა თქმა უნდა, გაამართლა. უკვე რამდენი წლის ცოლ-ქმარი ვართ.

**მარიკა ხიდურელი**

**„პატრიოტობა პროფესია არ არის, მაგრამ პროფესიონალიზმი უკვე პატრიოტობაა“, – ამ ფრაზით, რომელიც ერთხელ თავადაც უთხრეს და ძალიან მოსწონს, ნიკა წულუკიძემ თავისი მთავარი სათქმელი მითხრა... იმედი აქვს მომავალი თაობის... დარწმუნებულია, რომ ისინი მაინც შეძლებენ, დაუმტკიცონ ქვეყანას და საკუთარ თავსაც, რას ნიშნავს ცნება: ეროვნება – ქართველი!**

# რას ვუფუჭებთ ქართველი მშობლები შვილებს და რატომ დაღუპავს ეს ერს, ნიკა წულუკიძის აზრით

**ნიკა წულუკიძე**: უარყოფითი თვისებებით დავიწყებ ***(იღიმება)*** – მე მაგიჟებს „დაღლილი“ ქართველის ფენომენი, რომელიც მოდებულია ქვეყანაში: „აუუ, რომში მივდივარ“, – რატომ ესიკვდილება რომში წასვლა, ვერ გაიგებ... „აუ... დენის ქვითარი მაქვს გადასახდელი... აუუ, ბავშვს საჭმელი უნდა გავუკეთო...“ – ესე იგი, ცხოვრების ხალისს არიან მოკლებულები. სიზარმაცე, ინერტულობა, ისეა ჩვენს რეალობაში შემოჭრილი, სულ რომ არაფერი გააკეთონ, დარწმუნებულები არიან, რომ ბევრი იშრომეს და დაიღალნენ – მე ამას პიროვნული სისუსტით ვხსნი, რაც ყველაფერში გვაბრკოლებს. როგორც კი ჩახვალ ევროპის ნებისმიერ ქალაქში და ნახავ, თუნდაც ქალაქში მოსიარულეთა ტემპს, მაშინ მიხვდები, რომ ჩვენ არც დროის ფასი ვიცით. მეც კი, რომელსაც მიმაჩნია, რომ დროს რაციონალურად ვიყენებ, მაოცებს ევროპული ცხოვრების რიტმი. დააკვირდით ჩვენს ქუჩებში მოსიარულე ხალხს. მიზოზინებენ... ცხოვრება არ უხარიათ... ჟესტიკულაცია, მიმიკა – ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ არ არიან ბედნიერები. ეს მთლად მათი ბრალიც არაა, სოციალურმა გარემომ აქცია ისინი ასეთებად. ხალისი აღარ აქვთ ადამიანებს. ესპანეთში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქუჩის თეატრებია. მიდიხარ და მოგდევს ეს ჟრიამული. იქნებ ჩვენთანაც მოეფიქრებინათ რაიმე მსგავსი... ამას წინათ პატრიარქმა ბრძანა ეპისტოლეში – არ შევეგუოთ სიღარიბესო. საუბედუროდ, ქართველი ადამიანები შეეგუენ სიღარიბეს. აკაკი წერეთელს აქვს ნათქვამი: „რთულ ცხოვრების უარმყოფი, მცირედითაც კმაყოფილი...“



**პირველ საათამდე საქართველოში სადმე დარეკვა უხერხულია – სძინავს. პირველ საათამდე ძილი შეიძლება? ღმერთი დაგსჯის, აბა, რა იქნება**

**– ანუ, ადრეც ვყოფილვართ ამ მანკიერებისადმი მიდრეკილი.**

– ეტყობა, ჩანასახში გვედო... ქართველს რომ შეჩვეული ჭირი ურჩევნია რაღაც ახალს, ეს ხომ ფაქტია... „არ მინდა, კაცო, აგერ ჩემთვის ჩუმად ვიქნები, არავის შევაწუხებ...“ და საკუთარ თავსაც არ აწუხებს, არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თავისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს. იმ დღესაც ვამბობდი, ხილი გინდა და ფული არ გაქვს? გადი და ალმაშენებლის ხეივანში გარგარი მოკრიფე, ელბაქიძიდან სანაპიროზე რომ ჩამოდიხარ, თუთის ხეებია... როგორი გაჭირვებულიც უნდა იყოს ადამიანი, თუ მოინდომებს, აუცილებლად შეძლებს, ცხოვრება გაიხალისოს და საინტერესო გახადოს. მაგრამ, არა – ინიციატივის, ახლის ეშინიათ. ვერ წარმომიდგენია, ჭირი როგორ უნდა გერჩივნოს და რატომ უნდა შეეჩვიო... რისკის შიშიც აქვს ქართველს... არ შეუძლია, ჩვეულებრივი არაჩვეულებრივით შეცვალოს. არაჩვეულებრივი – სიტყვა რას ნიშნავს, მართლა რაღაც სასწაულს კი არ უნდა ელოდე მისგან, ჩვეული უნდა შეცვალო „არა-ჩვეულით“ და დღესასწაული მოუწყო საკუთარ თავს. ამით გაიხანგრძლივებ სიცოცხლეს. დრო კი არ უნდა გაიყვანო, სანამ სიკვდილი კარს არ მოგადგება. უნდა ეცადო, ეს პერიოდი, თითოეული დღე, რაღაცით გაალამაზო. ეს ყველაფერი ხდის საინტერესოს ცხოვრებას. ელემენტარული ინიციატივა გვაკლია, ახლის კეთების სურვილი. სიმყაყემდე ჩასულ ტრადიციულობას ვერ ვიტან, თორემ ტრადიციებს მეც ვიცავ. საკუთარი თავისთვის კარგი არ გვემეტება. ნებისმიერ სოფელში ჩადით და ნახავთ – მეორე სართულის ოთახებში გამოსმული აქვთ მასტიკა და ჩაკეტილი აქვთ კარი. დაბლა, ძროხების გვერდით, ნესტში უნდა ჩაწვეს, იქ უნდა ამოიხუთოს და მაღლა არ ავიდეს – სტუმრისთვის არის ის! „ბანბანერკებზე“ ვადას ნახულობენ, რომელსაც დიდი ვადა აქვს, სტუმარს უნახავენ... სამოქალაქო საზოგადოებად ვერ შევდექით. დააკვირდით „მარშრუტკებში“ რა ხდება – ჰორიზონტალურად, ვერტიკალურად, პერპენდიკულარულად არის „ჩაწყობილი“ ხალხი. კონდენციონერზე საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი, მაგრამ არ აპროტესტებენ ამას. ვისაც ცოტა ფული აქვს, „ჯიპს“ ყიდულობს. მაღალი რომ არის და ზემოდან გადმოხედავს ყველას, ეს მოსწონს. ბენზინს ვერ ჩაასხამს, სახლში სადილი არ ექნება, მაგრამ „ჯიპში“ მაინც ჩაჯდება. მთელ მსოფლიოში პატარა მანქანები ფასობს. უცებ რომ გავარდე-გამოვარდე და ეკონომიურიც იყოს. აქ დადიან ამ უზარმაზარი, ვეშაპივით ხომალდებით და ველარ გაგივლია ქუჩაში. კიდევ რას დავაკვირდი, იცით? – ხუთიდან შვიდ საათამდეა თბილისის ქუჩებში საცობები. ზუსტად მაგ დროს გამოდიან ნაგვის მანქანები ურნების დასაცლელად. ხომ მარტივი მოსაგვარებელია ეს „უბედურება“, მაგრამ კაციშვილი ამაზე არ ფიქრობს. პირველ საათამდე სადმე დარეკვა უხერხულია საქართველოში. თუ გიპასუხა, ისეთი ხმით გიპასუხებს, აშკარად ეძინა და გაალვიძე. პირველ საათამდე ძილი როგორ შეიძლება, ღმერთი დაგსჯის, აბა, რა იქნება. ადექი, გაიღვიძე მზესთან ერთად. რატომ იმოკლებ ცხოვრებას?

## დააკვირდით ჩვენი ქალაქის ქუჩებში მოსიარულე ადამიანებს, მიზოზინობენ... ცხოვრება არ უხარიათ

**– თანამედროვე ქართველებს თვითდამკვიდრებაც უჭირთ, არა?**

– უამრავი ადამიანი მირეკავს – ჩემს შვილს სამსახური უნდა და დამეხმარეო. შევეკითხები, სად უნდა-მეთქი და მპასუხობს: რა ვიცი, სადმე! რა იცის-მეთქი და რა ვიცი, რამე რომ აკეთოსო. ეს „სადმე“ და „რამეც“ მაგიჟებს. მითხარი, პურს აცხობს კარგად ან ფანჯრებს წმენდს გენიალურად... ჯობია, ეს საქმე იცოდეს, მაგრამ იცოდეს პროფესიონალურად. დაჰყავთ ეს ბავშვები ცურვიდან ცეკვაზე, ცეკვიდან სიმღერაზე, სიმღერიდან ხტომაზე... ბოლოს არაფერში ვარგა. რატომ აწვალებ შენს შვილს, ხომ ატყობ, რა შეუძლია. შეუწყვე ხელი და აღარ იქნება კიდევ ერთი არშემდგარი ადამიანი. რომ ამბობენ, სამუშაო არ არისო. არის სამუშაო, მაგრამ არ არის კადრები – პროფესიონალიზმი, განათლება გვაკლია.

**– შეიძლება, ვაზის მომყვანი და მეომარი ხალხი ასეთი ყოფილიყო?**

– სადღა არიან ვაზის მომყვანი და მეომარი ქართველები. ცოტაა ძალიან. თან, უკულმართები ვართ. კურკიდან ამოსული ტყემალი და ქლიავი სამი ლარი ღირს კილოგრამი. მთელი წელი მუხლჩაუხრელად უნდა იშრომო ვაზთან და ყურძენი ორმოცი თეთრი ღირს. ეს უნდა დარეგულირდეს და ისევ საზოგადოებამ უნდა დაარეგულიროს. რას მიშველის მთავრობა. ვისთვის უშველია, თუ შენ არ უშველე საკუთარ თავს.

„ეროვნება – ქართველი“... სიამაყის განცდა გაქვს და ქართველი ქართველს რომ შეხვდება საზღვრის იქით, თურქეთსა და სომხეთში, კოცნის, ეფერება, უხარია, უმეგობრდება მაშინვე. მაგრამ ეს ყველაფერი – სხვა მიწაზე. აქ ერთმანეთი უნდა შეჭამონ და მოსპონ. ქართველს ქართველი უყვარს, თუ გარდაცვლილია და ხსოვნის საღამოზე საქები სიტყვა აქვს სათქმელი, ან, თუ კვდება. „კიბოიანები“ გვიყვარს ისე... ზედ გადავყვებით, მოვუვლით, ვაჭმევთ... დალხინებული და ჩემზე კარგად მყოფი ქართველი რატომ მენდომება და მეყვარება. ის პოტენციური კონკურენტია. შეიძლება, ასეთი რამეები სხვა ქვეყნებშიც ხდება, მაგრამ მე ეს არ ვიცი და არც მაწუხებს. მე ვიცი, რა ხდება აქ და ეს მადარდებს. ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი, რომ ცოტა უკეთესობისკენ წავიდეს ჩვენი ცხოვრება, თორემ ისე არაფერი გვეშველება. ახალგაზრდების იმედი მაქვს. ოთხმოცდაათიანმა წლებმა ბევრი რამ მოშალა და დაანგრია. თაობა გაანადგურა და კაცებს ფუნქცია მოუშალა. „ოქროს შუალედი“ დაიკარგა. კაცი რომ თავია და ქალი კისერი, ეს ისევ ასეა, მაგრამ ეს კისერი ისე უნდა ატრიალო, თავი ვერც მიხვდეს და კაციც დარწმუნებული იყოს – თვითონ არის ყველაფრის ინიციატორი! ბევრი უნდა ვიფიქროთ. განათლება გვჭირდება მეტი, ანგარიში და ბიზნესის ცოდნა. ინერციით მივდივართ და ეს არის ყველაზე ცუდი.

რეზო თაბუკაშვილმა თქვა გენიალურად: პატრიოტობა პროფესია არ არის, მაგრამ პროფესიონალიზმი პატრიოტობააო. შენ თუ ხარ პროფესიონალი, უკვე გიყვარს შენი ქვეყანა და სულაც არ არის აუცილებელი, სუფრაზე, ყანწით ხელში ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოები იძახო, გულზე ხელის ბრაგუნით. ყველამ აკეთოს თავისი საქმე კარგად და ეშველება ამ ქვეყანას.

კიდევ, სიკეთის კეთებაზეც უნდა ვთქვა ერთი-ორი სიტყვა. ოც თეთრს უგდებენ მათხოვარს და ზემოთ იხედებიან, – ღმერთო, ხომ ხედავ, რას ვაკეთებ, არიქა, არ გამოგრჩეს, რომ ვეხმარებიო. კამერებით მიდიან ათი გრამი სისხლის გადასასხმელად და უკვე გულისამრევი შესახედია ეს ყველაფერი. თუ სიკეთის კეთება გინდა, აკეთე ჩუმად, თუ არა, არც არავინ გაძალებს. ომი რომ დაიწყო, ანტალიაში ვიყავი დასასვენებლად და ეგრევე გამოვვარდი უკან. ხუთი კაცი მოვდიოდით აქეთ და ნახევარი საქართველო გარბოდა, რიგები იდგა საზღვარზე. ვის უტოვებდნენ ამ ქვეყანას?! კონსტანტინე გამსახურდიას აქვს დაწერილი, რაც კარგი გვაქვს, ან ბერძნულს ვეძახით, ან საუცხოოსო. გესმით? – საუცხოო – ანუ, უცხოსთვის გვინდა ეს ქვეყანა?! შემოგვეცალა ამასობაში ერთმანეთიც და ქვეყანაც.

**ნინო წულუკიძე**

**გარდატეხის ასაკი ეს არის პერიოდი, როცა ბავშვში გარკვეული ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ცვლილებები მიმდინარეობს. ეს პერიოდი, ძირითადად, გოგონებში 9-დან 16 წლამდე გრძელდება, ხოლო ბიჭებში 13-დან 15 წლამდეა მოსალოდნელი. ბავშვის ეს მდგომარეობა, ყველა მშობლისათვის თავსატეხია. რა პრობლემები იჩენს ამ დროს თავს და როგორ უნდა გადავჭრათ ისინი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გავესაუბრეთ, ფსიქოლოგ ზურაბ მხეიძეს.**

# რა უნდა ვიცოდეთ გარდატეხის ასაკზე და რატომ იღებენ თანხას დაუკითხავად ამ დროს ბავშვები

**– რა სირთულეები ახლავს თან გარდატეხის პერიოდს?**

– გარდატეხის ასაკში ბავშვს არ აკმაყოფილებს მხოლოდ მშობლისა და მასწავლებლის აღიარება. მას არ მოსწონს, როცა დედა ან ოჯახის ნებისმიერი წევრი ეტყვის: კარგი ხარო. ამ პერიოდში ბავშვის „მე“ ფორმირდება და არკვევს თავის სტატუსს ცხოვრებაში. ამიტომ ბავშვისთვის საჭირო ხდება, არა მარტო მშობლების შეფასება, არამედ მეგობრების, თანაკლასელების და ასე შემდეგ. მათ შეფასებაზე ბევრი რამეა დამოკიდებული. ბავშვი ამ დროს იწყებს ახალი შეფასებების აკრეფას, საკუთარი თავის შესახებ რომ დაადგინოს, როგორია და ვინ არის. მისთვის საკმარისი აღარაა მხოლოდ ის, რომ კარგად სწავლობს. ამ ყოველივეს ემატება ფიზიოლოგიური ცვლილებები. ეს არის საკმაოდ კრიტიკული პერიოდი. ამ დროს ბავშვი აცხადებს დამოუკიდებლობის პრეტენზიას. ეს დამოუკიდებლობა სჭირდება იმიტომ, რომ საკუთარი სტატუსი განსაზღვროს.



**– რატომ ცრუობენ ბავშვები ამ ასაკში?**

– საერთოდ, ნუ ვიტყვით, რომ სიცრუე მხოლოდ გარდატეხის ასაკთან ასოცირდება. სიცრუე არის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. ამიტომ, მნიშვნელოვანი კომპონენტია იმისთვის, რომ ადამიანმა გარკვეულ გარემოში თავი დაცულად იგრძნოს. ორი ტიპის სიცრუეა: ერთი, როცა ცრუობ იმიტომ, რომ არ მიიღო უარყოფითი შეფასება, იმასთან შედარებით რაც გქონდა. ასეთი ტიპის ტყუილს მხოლოდ ბავშვები არ ამბობენ, ზოგადად, ყველა ცრუობს. მაგალითად: დავაგვიანე იმიტომ, რომ საცობში მოვყევი და ასე შემდეგ. ეს იმით აიხსნება, რომ არ იფიქრო მასზე ცუდად და არ შეგეცვალოს წარმოდგენა. მეორე ტიპის სიცრუეა, როდესაც არ გაურბიან სასჯელის მიღებას და იტყუებიან სტატუსის ასაწევად. ანუ, პიროვნება ამ დროს მოითხოვს მეტი შთაბეჭდილების შექმნას საკუთარ თავზე, იმასთან შედარებით ვიდრე რეალურადაა. ასეთი ტყუილი დიდებში პროცენტულად შედარებით ცოტაა. თუ პირველ შემთხვევაში, 99 პროცენტი ტყუის, მეორე შემთხვევაში, ამის პროცენტული რაოდენობა ნაკლებია. ბავშვები თავად ეძებენ ამ სტატუსს და შესაბამისად, სიცრუე შეიძლება, ხშირი იყოს.

**– მშობლები ხშირად ჩივიან, რომ ბავშვები დაუკითხავად იღებენ თანხას. ეს სიტუაცია რით აიხსნება?**

– დაუკითხავად თახის აღება იმიტომ ხდება, რომ ბავშვი ამ დროს ცდილობს, იყოს დამოუკიდებელი. თანხა მას რისთვის სჭირდება, თუ არა თავისუფლებისთვის?! აქ მნიშვნელოვანი ის კი არაა, რომ დაუკითხავად აიღო თანხა, მნიშვნელოვანია, თუ რისთვის იყენებს მას, რას უშვება მოპოვებულ ფულს. ეს, რა თქმა უნდა, არასწორი საქციელია. ბავშვი არ უნდა დაისაჯოს თანხის დაუკითხავად აღების გამო, საყურადღებოა ის, თუ რატომ შეეხო სხვის საკუთრებას – ეს არის ცუდი. ის თუ დამოუკიდებლად რაღაცას ცდილობს, ეს პირიქით, მისასალმებელია, მაგრამ რა სახით, ეს უკვე საკითხავია. მშობელმა ამ დროს ბავშვი უნდა წაახალისოს, რომ დამოუკიდებლობის ელემენტები შესძინოს მას.

**– მეგობრების წრე როგორ მოქმედებს ბავშვის ჩამოყალიბებაზე ამ პერიოდში?**

– მეგობრების გარემო, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად, განსაზღვრავს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებას. საერთოდ, რამდენიმე ტიპის ურთიერთობაზეა დამყარებული, თუ როგორი ადამიანი გამოხვალ. აქედან, პირველია ოჯახი და მისი ღირ-

**ეს არის ასაკი, როცა ვერ ელაპარაკები ბავშვს, როგორც ძალიან პატარას და ვერც, როგორც ზრდასრულს**

ებულებები, მეორე – გარემო, სადაც ბავშვი ტრიალებს. ამ გარემოს თავისი მოთხოვნილებები და ღირებულებები აქვს, რაც ხშირად, შეიძლება, არ ემთხვეოდეს ოჯახის ფასეულობებს. თითოეული ადამიანი იმ ღირებულებათა სისტემით ხელმძღვანელობს, რომელიც გააჩნია გარკვეულ ჯგუფს. ბავშვს ცხოვრების განმავლობაში ბევრ ადამიანთან, დაჯუფებასთან უწევს ურთიერთობა, მაგალითად: ჩვენ გვყავს თანაკლასელები, თანაკურსელები, ნაცნობები... ამ დროს ადამიანი სხვა ჯგუფებს ადარებს მისთვის ყველაზე მისაღებ და სასურველ გარემოს, რაც ეხმარება შეფასებაში, თუ რამდენად კარგია კონკრეტული დაჯგუფება. ყველაზე მისაღები, რომელი ჯგუფის ღირებულებებიც იქნება, სწორედ ის ახდენს გავლენას ბავშვზე. თუ ოჯახის ფასეულობები მნიშვნელოვანია, ბავშვი ამ დროს გარემოში მათი მითითებებით ხელმძღვანელობს. პიროვნება, სადაც კომფორტულად გრძნობს თავს, იმ ჯგუფში შედის. ეს კი განაპირობებს მის ჩამოყალიბებას. ვიმეორებ, თუ ოჯახი არ წარმოადგენს იმ ფასეულობებს, რაც ბავშვისთვისაა მისაღები, ის ამ დროს იწყებს კონკრეტული ჯგუფისა ძებნას.

**– არის ბავშვების კატეგორია, ამ პერიოდს მარტივად გადალახავს, თუმცა უფრო ხშირია შემთხვევა, როცა ფსიქოლოგიური პრობლემები იჩენს თავს. ეს პერიოდი თითოეული ადამიანისათვის ინდივიდუალურია, თუ რას ნიშნავს აღნიშნული ფაქტი?**

– რთული კითხვაა. გააჩნია, როგორ შევხედავთ ამ საკითხს. ამ ყოველივეს განაპირობებს გარემო, სადაც ბავშვი იზრდება და ყალიბდება. ეს განსაზღვრავს მის ფსიქიკურ მდგომარეობას. გარდატეხის ასაკში, ბავშვი ძალიან მგრძნობიარე ხდება, ისეთი დეტალების მიმართ, რაც ნაკლებად საყურადღებოა. მახსენდება შემთხვევა, როცა სკოლაში ერთმა ბავშვმა საკუთარი ხელით ჩაიწერა ნიშანი. ეს რომ დირექციამ გაიგო, დაიბარა ბავშვი, რომელსაც ჟურნალი ებარა, ბავშვმა სიმართლე თქვა, რამაც გამოიწვია თანაკლასელების მისადმი გულგრილი დამოკიდებულება. შედეგად, ბავშვი მე-7 სართულიდან გადმოხტა. არც ერთი მოზრდილი ჟურნალში ნიშნის ჩაწერის გამო, თავს არ მოიკლავს. ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანია მშობლის ყურადღება. რაც მშობელს ჰგონია, რომ საყურადღებო არ არის, ბავშვისთვის შეიძლება, ღირებული იყოს. ამიტომ, ყურადღება გვამრთებს.

**– როგორი უნდა იყოს მშობლის დამოკიდებულება ამ ასაკის ბავშვთან?**

– ამ დროს აუცილებელია ბავშთან მუდმივი ურთიერთობა. ამ ასაკისთვის, მშობელი უნდა იყოს მზად. ეს პერიოდი მასაც აქვს გავლილი, მაგრამ ავიწყდება. ეს არის ასაკი, როცა ვერ ელაპარაკები ბავშვს, როგორც ძალიან პატარას და როგორც ზრდასრულს. მშობელმა ამ დროს თანაბრად უნდა აკონტროლოს სიტუაცია, მაგრამ ხშირად ეს ყურადღებიდან გამორჩებათ ხოლმე. ბავშვები სწრაფად იზრდებიან და სწრაფად აღწევენ ამ პერიოდსაც. ამიტომ, მშობელს უჭირს. გააცნობიეროს არსებული რეალობა. საერთოდ, მშობელმა ამ ასაკიდან არ უნდა დაიწყოს შვილთან ურთიერთობა. მას, როგორც უკვე აღვნიშნე, მუდმივი კონტაქტი უნდა ჰქონდეს ბავშვთან. ხშირად საუბარია საჭირო. ეს მხოლოდ დედას არ ეხება, ეს ორივე მხრიდან უნდა მოდიოდეს. პასუხისმგებლობას, როგორც დედა, ასევე მამაც უნდა გრძნობდეს. მშობლებმა დრო უნდა დაუთმონ ბავშვს, რომ მის პრობლემებზე ესაუბრონ. ნდობის ფაქტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. უნდა იყოთ სანდო შვილისთვის, მხოლოდ მითითებების მიცემა არაა საკმარისი, მეგობრად უნდა ჩაგთვალოთ ბავშვმა. თუ ბავშვისთვის ვერ იცლით, ამ დანაკილსს ის იღებს ოჯახის გარეთ. მშობელმა არ უნდა დაკარგოს ავტორიტეტი, რომელიც ურჩევს, რა გზას დაადგეს.

**ეთო ხურციძე**

**რეპერი მასტერი, ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევს და რაც შეიძლება, ბევრს მუშაობს. ჩვენს რესპონდენტს უამრავი გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი ჰყავს. ინტერნეტში განთავსებულ მის ვიდეონამუშევარს, დადებიდან სულ რაღაც რამდენიმე საათში, ათასობით ნახვა და მოწონება აქვს. როგორც თავად აღნიშნავს, მსმენელის სიყვარული მას სტიმულს აძლევს და აწერინებს ახალ-ახალ სიმღერებს.**

# რა გაუგებრობაში აღმოაჩინა რეპერი მასტერი საკუთარმა ფსევდონიმმა და რატომ აუტყდა პატრულს სიცილი მის დანახვაზე

**– მგონი, ყველაზე აქტიურად შენ მუშაობ, თვეში ერთხელ კლიპს იღებ.**

– იმდენი კლიპი გადავიღე, „ვიდეოკარტამაც" კი ვერ გაუძლო. ამ წელს უკვე დაახლოებით 10 კლიპი მაქვს გადაღებული და აქედან, 7 „იუთუბიზეა" ატვირთული. ტელევიზიებში აღარც მიმაქვს, ჯერ ერთი ჩარჩოები არ მსიამოვნებს, მეორეც, ბევრი უარი მაქვს მიღებული და გული ამიცრუვდა მართლა.

**– სამაგიეროდ, ინტერნეტში ძალიან ბევრი ნახვა და მოწონება აქვს შენს ნამუშევარს.**

– იმ დღეს „ჩიხურას" თამაშზე ვიყავი და იმდენი ადამიანი მოვიდა ჩემთან, მართლა არ მჯეროდა, ამდენი ხალხის სიყვარული თუ შევძელი. ჩემთვის მთავარი ეს არის.

**– სულ მუშაობ...**

– იცი რა, სულ მეჩქარება, სულ მინდა, რომ ბევრი გავაკეთო. მარტო მატერიალური თემაა, რაც ცოტა მაჩერებს. სულ ვამბობ, კიდევ კარგი ძალიან ბევრი ფული არ მაქვს, თორემ მერე რა მეშველებოდა-მეთქი.



ჩემი რეპერი ძმაკაცები მელადავებიან, მასტერს სიმღერაზე მეტი კლიპი აქვსო

**– ზაფხულია და ამ პერიოდში კონცერტებიც ხშირად იგეგმება. თუ იღებ მონაწილეობას?**

– არ მირეკავენ, არ ვიცი, რატომ ვარ დათარსული? სამ თვეში ერთხელ თუ სადმე გამოვალ, ეს რა არის. ისევ მე თუ გავაკეთებ ტურნეს, რაც, ჩემი აზრით, აუცილებელია. ხალხი ითხოვს და საჭიროც არის. ეს ყველაფერი თანხებთან არის დაკავშირებული და ვნახოთ. უფასო რომ არ იქნება კონცერტი, ეს ნამდვილად ვიცი. სიმბოლურად, 5 ლარი ეღირება და საქართველოს სხვადასხვა ქალაქს ვეწვევით.

**– „კაზანტიპზე" მიდიხარ?**

– არა. იქით რომ იყო მომწონდა, აქეთ კი თითქოს ვერ აღვიქვამ. როგორც მუსიკალურ ფესტივალს არასდროს ვუყურებდი სერიოზულად, რადგან ელექტრონულ მუსიკას საერთოდ არ ვუსმენ, ძალიან შორს ვარ მისგან. ჩემი მეგობრები დადიოდნენ უკრაინაში და კმაყოფილები იყვნენ, კარგად ერთობოდნენ. პრინციპში, ძალიან კარგი, სულ ქართველმა ბიჭებმა ხომ არ უნდა იარონ უკრაინაში? ახლა უკრაინელი გოგონები ჩამოვიდნენ ჩვენთან.

**– ამერიკაში სწავლობდი და რაღაც პერიოდი, იქ ცხოვრობდი. ხომ არ გეგმავ ისევ წასვლას?**

– ვერ დავკონკრეტდები, რადგან ზუსტად არ ვიცი. ერთი პროექტია, რომელშიც, სავარაუდოდ, მონაწილეობას მივიღებ. სექტემბრის ბოლოს წავალ ალბათ, 3-4 თვით.

**– გოგონები თუ გაძლევენ იმის სტიმულს, რომ ახალ-ახალი სიმღერები შექმნა?**

– კი, რა თქმა უნდა. ფიზიკურად ველარ ავუდივარ ყველა წერილის წაკითხვას, „ფეისბუქზე" იმდენი გამოხმაურება მაქვს. საკუთარ თავს ისიც ვუთხარი, თავში ხომ არ აგივარდა ამდენი წერილი რომ მოგდის-მეთქი. ადრე ვახერხებდი ყველასთვის მეპასუხა, მაგრამ ახლა უკვე ფიზიკურად შეუძლებელია. კვირაში დაახლოებით 400-მდე წერილი მომდის. ყველაზე მეტად არ მიყვარს, როცა მწერენ, დაგინახე და ვერ მოვედიო. სულ იმას ვამბობ, მოდით, როცა დამინახავთ, ნუ გრცხვენიათ-მეთქი. ჩემი მეგობრებიც აღნიშნავენ, რომ ძალიან უშუალო ვარ. 8-9 წლის ბავშვები რომ მოდიან, მათაც კი ველაპარაკები. ერთხელ მეთერთმეტეკლასელი ბიჭები მოვიდნენ ჩემთან და გამომელაპარაკნენ. ისე გამოვკითხე ყველაფერი, ბოლოს დაიბნენ, ხომ არ ვიცნობთ ერთმანეთსო. როგორც კი დამიძახებენ, მასტერ, რავა ხარო, უყურადღებოდ არ ვტოვებ მათ. მივალ, გადავკოცნი და მოვიკითხავ. ზრდასრული ტიპი რომ გაგაჩერებს და გეტყვის: რა მაგარი ტიპი ხარო, – მაგის არ დაფასება არ შეიძლება. ერთად ვიღებთ ფოტოებს და ხშირად მიგზავნიან. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, მე გამიგზავნია. ერთხელ, მაგალითად, შუქნიშანთან მანქანა ამომიდგა გვერდით და ბიჭმა დამიძახა: აუ, ფოტო გადავიღოთ რა ერთადო. ამ დროს თურმე ტელეფონი დამჯდარი ჰქონია. რა პრობლემაა, ჩემით გადავიღოთ-მეთქი და მერე გადავუგზავნე. ერთხელ მანქანით ველოდებოდი მეგობარს, ღამის სამი საათი იყო და უკან, პატრულის მანქანა მომადგა. რომ გადმოვიდა, მივხვდი, რომ საბუთები უნდა შეემოწმებინა. დამინახა და სიცილი დაიწყო. ჯერ ვერ მივხვდი, რატომ იცინოდა. მერე ვკითხე, მიცანი-

**სიმღერამ ძალიან ბევრი მეგობარი შემძინა. ერთხელ გოგო მომეწონა, მისი მანქანის ნომერს ფოტო გადავუღე და ჩემს ოფიციალურ გვერდზე ავტვირთე. ვიკითხე, ვინმე ხომ არ იცნობდა ამ მანქანის პატრონს. ვერ წარმოიდგენთ, რა მოხდა. ყველაფერი მომწერეს, ტელეფონის ნომრიდან დაწყებული**

მეთქი? აბა არ გიცანიო? ჩემი სიმღერებიც ჰქონდა. ძალიან მაგარი იყო. მერე ფოტოც გადავიღეთ ერთად.

**– ანუ, პატრულიც გისმენს და მათთანაც მეგობრობ.**

– კი, რა თქმა უნდა. მას რომ უბრალოდ ვეცანი და არაფერი ეთქვა, ის დღეს ჩემი ძმაკაცი არ იქნებოდა. მართლა დავძმაკაცდით. ერთხელ მომწერეს, გუშინ ფეხბურთის მატჩზე ჩემს უკან იჯექი, მაგარი კაცი ხარ, შემოგევლეო. ძალიან გავბრაზდი, აქ რომ მწერ, მაშინ შემოტრიალებულიყავი და ხელი ჩამოგერთმია, ჩაგეხუტებოდი და რა იცი, იქნებ დავძმაკაცებულიყავით კიდეც-მეთქი. ლამის „მაიკაზე" დავიწერო: არ ტეხავს, მოდით. შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ მსმენელთან მთელ ქართულ შოუ-ბიზნესში ყველაზე ახლოს მე ვარ.

**– და შენ ამბობ კიდევ, თავში ამივარდაო?**

– არა, უბრალოდ, პასუხებს რომ ვერ ვწერ ყველას, ეს მიტყდება.

**– ძალიან ბევრი სიმღერა გაქვს დაწერილი, რაც წარმოუდგენელიც კია, რაღაც მომენტში. „გაჭედვის" შეგრძნება არასდროს გქონია?**

– ჯერჯერობით ამის საშიშროება არ მაქვს. ჩემი რეპერი ძმაკაცები მელადავებიან, მასტერს სიმღერაზე მეტი კლიპი აქვსო. ყველა სიმღერა შვილივითაა. უკლიპო სიმღერა კი ჩემთვის იგივეა, შვილი სკოლაში რომ არ შეიყვანო და განვითარების საშუალება არ მისცე.

**– მუსიკას და ტექსტს თავად წერ?**

– არა მხოლოდ მუსიკა და ტექსტია ჩემი, რეჟისორიც მე ვარ, სცენარისტიც, ხმის რეჟისორიც და სხვა დანარჩენიც, რაც ამ ყველაფერს სჭირდება. ჩემი სიმღერები მრავლდებიან და მრავლდებიან და მათ საკვებივით ვაძლევ მსმენელს. ეს ყველაფერი სიყვარულზეა აგებული, არანაირი მატერიალური მოგება არ მაქვს. ჯიბიდან მხოლოდ გადის და არ შემოდის. სიმღერამ ძალიან ბევრი მეგობარი შემძინა. ერთხელ გოგო მომეწონა და მისი მანქანის ნომერს ფოტო გადავუღე. ეს ფოტო ჩემს ოფიციალურ გვერდზე ავტვირთე. ვიკითხე, ვინმე ხომ არ იცნობდა ამ მანქანის პატრონს. ვერ წარმოიდგენ, რა მოხდა. ყველაფერი მომწერეს: ტელეფონის ნომერი, მისამართი, ერთმა მომწერა ჩემი ჯგუფელიაო. ისიც მომწერეს 3 წელია, საქმრო ჰყავს და თავი დაანებე მის ძებნასო.

**– რეპერებს, ზოგადად, ცხოვრების განსხვავებული წესი აქვთ. შენ კი მათ არ ჰგავხარ. არ ეწევი, არ სვამ, ცხოვრობ ჯანსაღად.**

– სიგარეტსაც კი არ ვეწევი და სხვებსაც მოვუწოდებ მომბაძონ. დალევითაც შეიძლება, 3 თვეში ერთხელ დავლიო. არც ნარკოტიკებთან მქონია ახლო დამოკიდებულება, არც ვთამაშობ. უამრავი ადამიანი მწერს: იცი რა, მე რეპს არ ვუსმენ, მაგრამ შენი სიმღერები მომწონსო. რეპს რომ არ უსმენენ, ეგ არ მომწონს, მაგრამ ის რომ, მე მაინც ვაწონებ ამ ჟანრს, ეს მართლა სასიამოვნოა.

**– ალბათ, შენი ფსევდონიმიდან გამომდინარე, გაურკვევლობაშიც აღმოჩენილხარ. როცა ტელევიზორში გამოაცხადეს კანონიერ ქურდთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაცია, რომლის ფსევდონიმიც მასტერაა, შენი მსმენელი, ალბათ, ცოტა ხნით მაინც დაიბნა და შენ ეგონე.**

– კი, ასე იყო. მწერდნენ, რა ხდება, მასტერ, ხომ მშვიდობააო. თან, მგონი, ბევრ თემაშია, ისე ხშირად ლაპარაკობენ მასზე. ჩემსავით აქტიურია, მე ჩემს საქმეში, ის თავის საქმეში.

**მარიკა ხიდურელი**

# ითვალისწინებს თუ არა ქეთი დევდარიანი „ჩემი ცოლის დაქალების" მაყურებლის კრიტიკასა და რჩევებს

*ყველაზე პოპულარული ქართული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები," ეთერში გამოჩენისთანავე შეიყვარა მაყურებელმა და უკვე რამდენიმე წელია, მისი ერთგულია. ჩვენი რესპონდენტია, „ჩემი ცოლის დაქალების" სცენარისტი, ქეთი დევდარიანი, რომელიც ყოველთვის გამოირჩევა საკუთარი ხელწერითა და სტილით. ინტერვიუში არაერთ მსახიობს უთქვამს ხუმრობით, რომ მათი სერიალში დატოვება-არდატოვება, სწორედ სცენარისტზეა დამოკიდებული. „ჩემი ცოლის დაქალებში" გამოჩენა კი ყველა მსახიობისთვის სასურველია.*

*რაც შეეხება ჩვენს ინტერვიუს, მართალია ქეთისგან ვერ მივიღეთ იმის პასუხი, თუ რა მოხდება შემდეგ სეზონში, გაგრძელდება თუ არა „ჩემი ცოლის დაქალები" და რა განვითარება მიეცემა მას, მაგრამ არანაკლე საინტერესო კითხვებს უპასუხა, რაც მკითხველს, ისევე როგორც სერიალის მაყურებელს, აუცილებლად დააინტერესებს.*

**– ყველაზე პოპულარული ქართული სერიალის სცენარისტი ხართ. ეს რას ნიშნავს თქვენთვის?**

– ჩემთვის ეს არის სამსახური, რომელსაც ვეკიდები პასუხისმგებლობითა და სიყვარულით. სხვანაირად ძალიან რთულია 200 და 300 სერიის წერა.

**– მაყურებელი ბევრს ლაპარაკობს „ჩემი ცოლის დაქალებზე," მათ აზრს თუ ითვალისწინებთ?**

– ვითვალისწინებ ტენდენციებს და არა კონკრეტული ადამიანების აზრებს, რადგან ყველას აზრის გათვალისწინება, შეუძლებელია.

**– პროფესიით გერმანისტი ხართ. თუ გიმუშავიათ ამ განხრით?**

– სკოლაში ვმუშაობდი 6 წელი გერმანულის მასწავლებლად. ძალიან მიყვარს გერმანული ენაც და ლიტერატურაც. საერთოდ არ ვიზიარებ გერმანულ ენაზე გავრცელებულ აზრს, რომ უხეში ენაა.

**– სხვა სფეროში როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი?**

– 5 წლის წინ, ამ სფეროშიც ვერ წარმომედგინა, ასე რომ, ალბათ, ნებისმიერ სფეროში შეიძლება, თავის წარმოდგენა თეორიულად.

**– ერთი პერიოდი სიგარეტის პროპაგანდაშიც დებდნენ ბრალს „ჩემი ცოლის დაქალებს," მაგრამ ამით ვერაფერი შეცვალეს. ფიქრობთ, რომ კრიტიკა ყოველთვის არ არის მისაღები?**

– კრიტიკა ყოველთვის მისაღებია და რაც უფრო კომპეტენტურია ეს კრიტიკა, მით უფრო მისაღებია. სიგარეტს კი იმიტომ ეწევიან სერიალის გმირები, რომ ესეც იმ ქართული პრობლემების ნაწილია, რომელიც სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში" ჩანს.

**– მაყურებელი თქვენს მიერ შექმნილ პერსონაჟებს კარგად იცნობს და შეიყვარეს ისინი. თქვენ კი ვიზუალურად არ გიცნობენ. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ მხრივ ჩრდილში ხართ?**

– არა, არ ვფიქრობ, რომ ჩრდილში ვარ. სცენარისტი არ არის მსახიობი, რომელსაც გამვლელ-გამომვლელი უნდა ცნობდეს.



**აბსოლუტურად დისტანცირებული ვარ სერიალში მიმდინარე ამბებისა და პერსონაჟებისგან. თუმცა, ჩემი რაღაც თვისებების აღმოჩენა ნებისმიერში შემიძლია – დაწყებული ტასოდან დამთავრებული ჯემალით**

**– წარმატებული პროდუქტის მისაღებად ბევრი შრომაა საჭირო. თქვენ თითქმის 24-საათიან რეჟიმში მუშაობთ. ამის ფონზე ოჯახს ხომ არ აკლდება თქვენი ყურადღება?**

– რა თქმა უნდა, აკლდება ყურადღება ჩემს ოჯახს, შვილს, მშობლებს, მეგობრებს, რომლებიც გაგებით ეკიდებიან ამ ყველაფერს. ჩვენი ჯგუფის ყველა წევრი თითქმის ასეა.

**– თინეიჯერი შვილის დედა ხართ. მისი შეფასება როგორია სერიალის შესახებ? ითვალისწინებთ მის შენიშვნებსა და რჩევებს?**

– ძალიან ხშირად მოუწოდებია ჩემს შვილს რაღაც იდეა, რომელიც მომწონებია და გამითვალისწინებია. ხანდახან მთხოვს, წინასწარ ვუთხრა, რა მოხდება შემდეგ სერიებში.

**– დედის ნიჭი თუ ერგო მემკვიდრეობით? წერას ვგულისხმობ.**

– ბავშვობაში წერდა ჩანახატებს, ახლა – აღარ.

**– ყველა სეზონს ჰყავს თუნდაც ერთი აღმოჩენა. თქვენი აზრით, ვინ არის ბოლო სეზონის აღმოჩენა?**

– ბოლო სეზონში ყველაზე პოპულარული იყო გიორგი ბახუტაშვილის გმირი – ცოტნე ცოტაშვილი. ძალიან ბევრს მოსწონდა ანკას ოჯახის სცენების ყურება. ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა ნელიკოს ხაზს.

**– როგორ ფიქრობთ, რა არის ამ სერიალის წარმატების მთავარი მიზეზი?**

– ერთი მიზეზი არ აქვს სერიალის წარმატებას. ეს არის სცენარზე, რეჟისურაზე, პროდიუსერებზე, მსახიობების ოსტატობაზე, სერიალზე მომუშავე გუნდზე დამოკიდებული. ყველანაირ საქმეს სჭირდება ამ საქმის სიყვარული და პასუხისმგებლობის გრძნობა.

**– სერიალის პერსონაჟებიდან საკუთარ თავს ყველაზე მეტად ვის ამგავსებთ?**

– აბსოლუტურად დისტანცირებული ვარ სერიალში მიმდინარე ამბებისა და პერსონაჟებისგან. თუმცა, რაღაც ჩემი თვისების აღმოჩენა ნებისმიერში შემიძლია – დაწყებული ტასოდან დამთავრებული ჯემალით.

**– რომელიმე პერსონაჟში საკუთარი ისტორია თუ ჩაგიდევთ?**

– საკუთარიც და სხვისიც. ძალიან ბევრი ადამიანი მწერს, რომ ერთი ერთში ჰგავს მისი ისტორია სერიალის რომელიმე გმირის ისტორიას.

**– რა არის ამ სერიალის მთავარი მიზანი, გარდა იმისა, რომ მაყურებელს გემოვნებიან პროდუქტს სთავაზობთ.**

– სერიალის მიზანია, შესთავაზოს მაყურებელს გემოვნებიანი პროდუქტი, ხალტურისა და მიფუჩეჩების გარეშე, ჩვენი გონებრივი, ფიზიკური და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში.

**მარიკა ხიდურელი**


ჰომეოპათიური საშუალება
სედოსანი SEDOSAN
ბუასილის სამკურნალო ბუნებრივი ეფექტური საშუალება




- მიიღება წვეთების სახით.
- იძლევა სწრაფ შედეგს ბუასილის გამწვავების დროს.

გამოიყენება ჰემოროიდული კვანძებით და თანმხლები ანთებითი პროცესებით გამოწვეული მოვლენების დროს; ტკივილი და წვა სწორი ნაწლავისა და უკანა ტანის არეში, ლორწოვანი გამონადენი და სისხლდენა დეფეკაციის დროს, შესივებისა და დაწოლის შეგრძნება უკანა ტანის არეში.

გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ბრძნული აზრები

**ტოლსტოი**: ძლიერი ადამიანები ყოველთვის უბრალოები არიან.

**ტვენი**: ადამიანი ერთი და იმავე დროს კიდეც, ხედავს და ვერ ხედავს.

**სმაილსი**: ადამიანი თავისი ნებისყოფის მიხედვით, დიდია ან პატარა.

**სპინოზა**: ადამიანის წადილში გამოიხატება მისი არსება.

**სერვანტესი**: შელახული ღირსების აღსადგენად ადამიანს ყოველგვარი უკიდურესობა მიეტევება.

**სავონაროლა**: არ არსებობს უფრო მავნე ცხოველი, ვიდრე ადამიანი, რომელიც არ მისდევს კანონს.

**რუსო**: მეტისმეტი სიხარული და მეტისმეტი მწუხარება არ შეჰფერის გონიერ ადამიანს.

**რიხნერი**: ადამიანი ერთადერთი ცოცხალი არსებაა დედამიწაზე, რომელმაც იცის, რომ უნდა მოკვდეს.

**როზესპიერი**: რაც უფრო მეტია ადამიანში სიმამაცე და პატრიოტიზმი, მით უფრო შეეცდებიან საზოგადოების მტრები მის დაღუპვას.

**რაბლე**: ადამიანის გონება მუშტებზე ძლიერია.

**რადიშჩევი**: მხოლოდ მაშინ გახდები ადამიანი, როცა ისწავლი სხვაში ადამიანის დანახვას.

**ლაბრიუერი**: მთელი ჩვენი უბედურება იქიდან მომდინარეობს, რომ მარტო არსებობა არ შეგვიძლია.

**ტაციტუსი**: მწუხარებას საჩვენებლად ისინი გამოხატავენ, ვინც ნაკლებად სწუხან.

**ლაროშფუკო**: ურთიერთობა დიდხანს არასდროს არ გასტანს, მარტო ერთი მხარე რომ იყოს მტყუანი.

**ციცერონი**: ორატორის უდიდესი ღირსებაა, არა მარტო თქმა იმისა, რაც საჭიროა, არამედ უთქმელობაც იმისა, რაც საჭირო არაა.

**საადი**: მოიფიქრე – ნაჩქარევს უფრო დაგიჯერებენ და შეჩერდი, სადამდეც სხვები შეგაჩერებენ.

**სუვოროვი**: სისწრაფე საჭიროა, სიჩქარე კი არ ვარგა.

**პუბლიუსი**: სმენა უფრო იოლად ითმენს წყენას, ვიდრე მხედველობა.

**შოპენჰაუერი**: ნუ ეტყვი მეგობარს იმას, რაც მტერმა არ უნდა იცოდეს.

**კუნანზაევი**: ადამიანის ღირსება განისაზღვრება იმ გზის მეშვეობით, რომლითაც ის მიზნისკენ მიემართება და არა იმით, მიაღწევს თუ არა მას.

**ჰორაციუსი**: მოსაუბრის ზნეობრიობა უფრო მეტში გვარწმუნებს, ვიდრე თვითონ საუბრის თემაა.

**ჟან პოლი**: სიყვარული ისტორიაა ქალის ცხოვრებაში და ეპიზოდი – კაცის ცხოვრებაში.

**სვიფტი**: ქორწინების უმრავლესობა უიღბლოა იმიტომ, რომ ახალგაზრდა ცოლები იმის მაგივრად, გალიებზე იზრუნონ, ბადეებს ქსოვენ.

**მენკენი**: ყველაზე ცუდი ქორწინებაში ის არის, რომ ის ქალს აიძულებს, იფიქროს, თითქოს ყველა მამაკაცის გაცურება ასე ადვილი იყოს.

# თუ გაიხსენებთ

1. თურქეთში პირველად გვარები 1935 წელს შემოიღეს. **დაასახელეთ პირველი გვარი, რომელიც, სხვათა შორის, მეჯლისის სპეციალური გადაწყვეტილებით დამტკიცდა?**

2. ბევრ კულტურაში არსებობს ტაბუ – არ შეიძლება წმინდა ცხოველთა, მაგალითად, ღორის, ძროხის ხორცის ჭამა. **დაასახელეთ, რა აირჩიეს წმინდა ცხოველად ეშმაკმა ჩინელებმა?**

3. ისრაელში, მკვდარი ზღვის სარეკლამო ბანერზე ასო A სტილიზებული იყო და ებრაელთა დავითის გამოსახულებასთან გახლდათ დაკავშირებული. **დაასახელეთ, რას წარმოადგენდა ის?**

4. მათი სახელების მიხედვით ერთი მათგანი დიდია, მეორე – მცირე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კულტურას ემსახურება, ერთად „მოსკოვის მეორე უნივერსიტეტს" უწოდებენ. **რას?**

5. ერთ-ერთ ახალ, მსოფლიოს საოცრებად მიიჩნევა ქანდაკება, რომელიც აგებულია რკინაბეტონისა და საპნის ქვისგან. ქვეყანა, სადაც ეს ქანდაკება დგას, ცნობილია „ოპერებით". **დაასახელეთ ქვეყანა.**

6. **რას ჩაეყარა** საფუძველი დიდ თეატრში და დამთავრდა პოლონელ მეფეთა ნაკრძალში, ბელორუსიის სამთავრობო აგარაკ ბელოვეჟაში?

7. პროგრამით, რომელიც არქიტექტურას ეძღვნებოდა, ძველი რომის ერთ-ერთ არქიტექტურულ ძეგლს „თაღების (არკების) სიმფონია" ეწოდა. **დაასახელეთ, რომელს?**

8. 2012 წლის თებერვალში გამოიცა ბრძანება, რის მიხედვითაც, რელიგიური მრწამსის მიუხედავად, „ღირსეული სახის მისაღებად" პოლიციელებს აუცილებლად უნდა გაეკეთებინათ ის, რის ბრძანებაც გასცა თავის დროზე რუსეთის ერთ-ერთმა მეფემ. **რა უნდა გაეკეთებინათ მათ?**

9. სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე მიქელანჯელომ დაწერა ლაკონური ანდერძი, რომლის მიხედვითაც, გარდაცვალების შემდეგ, მისი სული ეკუთვნოდა, ღმერთს, ხორცი – მიწას... **ვის მიაკუთვნა ქონება მიქელანჯელომ.**

10. 1833 წელს ეს ადამიანი საფრანგეთიდან რუსეთში გამოიქცა. 1834 წელს ის კავალერიის პოლკის პორუჩიკი გახდა. საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი დუელის შემდეგ კი, უკან, საფრანგეთში გაასახლეს. **ვინ?**

*პასუხები იხილეთ 77-ე გვერდზე*

# რეკორდები მსოფლიო ისტორიაში

* მსოფლიოში უძველესად მიიჩნევა რომის პაპის შვეიცარიული გვარდია ვატიკანში. მასში 80-90 კაცია. რეგულარულ საფუძველზე ის 1506 წლის 21 იანვარს შეიქმნა, ხოლო ჩამოყალიბდა გაცილებით ადრე – 1400 წელს.

* შესაძლებელია, რომ ყველა დროის უხუცესი ჯარისკაცი იყოს ამერიკის კონფედერაციული შტატების არმიის მებრძოლი ჯონ ბ. სალინგი. ბოლო პერიოდში ის გახლდათ ერთადერთი ცოცხალი მოწმე ამერიკის სამოქალაქო ომისა (1861-1865 წლები). გარდაიცვალა ტენესის შტატის ქალაქ კონგსპორტში 1959 წლის 16 მარტს, 113 წლის და 1 დღის ასაკში.

* ყველაზე ახალგაზრდა ჯარისკაცად ითვლება ბრაზილიის სახელმწიფო მოღვაწე, ომის გმირი, მარშალი ჰერცოგ კაშიასი. ის (1803-1880 წლები) სამხედრო სამსახურში ჩარიცხეს 1808 წელს, 5 წლის ასაკში.

* მეოცე საუკუნეში ყველაზე ახალგაზრდა სამხედრო მოსამსახურე გახლდათ უილიამ ფრედერიკ პრაისი, რომელიც სამხედრო სამსახურში შევიდა 1903 წელს ოლდერშოტში. 11 წლისა და 356 დღის ასაკში.

* პირველი ტანკი, ინგლისური „ლინკოლნ 1", რომლის შემდგომ მოდიფიკაციას ერქვა „ლითლ ბილი", გამოუშვა ფირმა „უილიამ ფოსტერ ენდ კომპანიამ" ლინკოლნში. გამოცდები ჩატარდა 1915 წლის 6 სექტემბერს. ტანკები პირველად გამოიყენეს სატყვიამფრქვევო კორპუსის მძიმე ქვეგანაყოფში, რომელიც შემდეგ, 1916 წელს საფრანგეთში ფლერ-კურლეს ბრძოლაში გარდაიქმნა სამეფო სატანკო კორპუსად.

* ვარაუდობენ, რომ პირველი ქვემეხი 1250 წელს გამოჩნდა ჩინეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

* საზენიტო ქვემეხები პირველად გამოიყენეს პრუსიელებმა 1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომში ფრანგების სამხედრო აეროსტატების წინააღმდეგ.

* შვეიცარიელმა ჟან-ჟაკ ბაბელმა გამოთვალა, რომ დაწყებული ქრისტეს წინარე 3500 წლიდან, კაცობრიობამ მხოლოდ 292 წელი გაატარა უომრად.

* ომების ისტორიაში უდიდესი თავდასხმა იყო მოკავშირეთა ოპერაცია მეორე მსოფლიო ომის დროს, რომელიც განხორციელდა ჰაერიდან, ზღვიდან და ხმელეთიდან 1844 წლის 6 ივნისს საფრანგეთში, ნორმანდიის სანაპიროზე. პირველი სამი დღის განმავლობაში სანაპიროს მიუახლოვდა 645 ხომალდი და 4 966 სადესანტო გემი, რომლებზეც იმყოფებოდა 185 ათასი ადამიანი, 20 ათასი სატრანსპორტო საშუალება და 347 სანაღმო ტრაილერი. საჰაერო-სადესანტო ოპერაციებში მონაწილეობა მიიღო 1087-მა თვითმფრინავმა და 18 ათასმა პარაშუტისტმა. 13 175 თვითმფრინავი საჰაერო მხარდაჭერას უწევდა 42 დივიზიას. ერთი თვის განმავლობაში მოკავშირეებმა სულ გადასხეს 1,1 მილიონი მედესანტე, გადაისროლეს 200 ათასი სატრანსპორტო საშუალება და 750 ათასი ტონა ტვირთი.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლb8-b1!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




მივდივართ მეგობრები აგარაკზე. ერთმა პატარა, 5 წლის ძმა წამოიყვანა, რომელსაც წყლის პისტოლეტი ჰქონდა და წავართვით, ყველას გვასველებდა. გზაზე პატრულმა გაგვაჩერა. პატარამ ტირილი დაიწყო:




– ძია, ამათ პისტოლეტი აქვთ!

კარგა ხანს პატრულის შეშინებულ თვალებს ვუყურებდი და ვფიქრობდი, რა საყვარლები არიან ბავშვები.

***

საზოგადოებრივი აზრი – ეს იმათი აზრია, ვისაც არ ეკითხებიან.

***

მახსოვს ბავშვობაში ბევრს ვკითხულობდი, ფანტასტიკა მიყვარდა... შორეული მომავალი იყო აღწერილი, როდესაც საკვებს ქიმიურად ამზადებდნენ... ნამდვილისგან ვერ გაარჩევდი... მაინტერესებდა ეს რა იქნებოდა და ვწუხდი, ვერ მოვესწრები-მეთქი... მოვესწარი...

***

ჩნდება ფული – ჩნდება ქალი, ჩნდება ქალი – ქრება ფული, ქრება ფული – ქრება ქალი, ჩნდება ფული – ჩნდება ქალი... ეს მოჯადოებული წრეა...

***

– რა სახე გაქვს, რა გჭირს? ავარიის შემდეგ არ მომწონხარ... – ეკითხება ერთი დეპუტატი მეორეს.

– უარი უნდა ვთქვა დეპუტატობაზე... ავარია მომივიდა იმ გზაზე, რისი გარემონტების დაპირებაც გავეცი. გადმოვვარდი და ზუსტად იმ საბავშვო ბაღის კედელს დავასკდი, რომლის დამთავრებასაც დავპირდი. მერე მოვხვდი საავადმყოფოში, რომლის აშენებასაც დავპირდი...

– ეს, უბრალოდ, დამთხვევაა...

– დამთხვევაა თუ რა... ახალი მორგის დაპირებაც მოვასწარი...

***

ყველა ქალს ჰყავს ერთი კონკრეტული ვინმე მაინც, ვის გახსენებაზეც სურვილი უჩნდება, დათვრეს და მაგრად აგინოს...

***

მთვრალი ხარ, როდესაც მაცივარში ჯინსს ეძებ, აი „პახმელია" კი – როდესაც მას სწორედ მაცივარში პოულობ.




***

შედის ახალგაზრდა აფთიაქში.

– თუ შეიძლება, ერთი პრეზერვატივი?

– მხოლოდ ერთი, – ეკითხება აფთიაქარი.

ბიჭი ჩაფიქრდა...

– კი, საღამოს გოგოსთან მივდივარ სტუმრად.... თუმცა, იყოს ორი, კარგი და ჰყავს... მესამეც მომეცი, დედაც შესანიშნავად გამოიყურება...

მივიდა საღამოს გოგონასთან... მთელი საღამო ხმა არ ამოუღია, პომიდორივით წითელი იჯდა. წასვლისას გოგონა ეკითხება:

– რა მოხდა, რამ დაგამუნჯა?

– არაფერი, უბრალოდ, არ ვიცოდი, რომ მამაშენი აფთიაქში მუშაობდა...

***

ქურდი კართან მივიდა, გასაღებების შეკვრა ამოიღო და კარის გაღება უნდა. უცბად გაისმა დინამიკის ჩხიკინი და გაისმა ხმა:

– გამარჯობა! მოგესალმებათ სისტემა „ჭკვიანი სახლი". როგორც მივხვდი, თქვენ გასაქურდად მოხვედით. არ ინერვიულოთ, კარს მე გაგიღებთ – პატრონს ვერ ვიტან, სულ მეჩხუბება... კარი მართლაც იღება. ისევ ხმა:

– აიღეთ ტომრები – კართან მომამზადეს, ყველა ფასეულობა ერთადაა ჩაწყობილი, – მომამზადეს – გადადიან... მხოლოდ სწრაფად, ჩიპი თავისთავად ამოქმედდება და ერთ წუთში უკვე მილიციას დაურეკავს.

ქურდმა დაავლო ხელი ტომრებს და გაიქცა.

სამი საათის შემდეგ სახლში პატრონი ბრუნდება.

– გამარჯობა, უფროსო! ნაგავი გატანილია!

# ცნობილი ადამიანების იუმორისტული გამონათქვამები

გურიის ეპისკოპოსს მგალობლად წეროძე ხლებია. ისეთი ტრფიალი ყოფილა თავის გალობისა, რომ, საცა უნდა ყოფილიყო და




რაზედაც უნდა ელაპარაკა, წეროძეს ენაზე სულ მოძახილი, მაღალი და დაბალი ბანი მოადგებოდა ხოლმე. ერთხელ ეს მგალობელი დაიბარეს სასამართლოში, საცა თავის დღეში არ ყოფილიყო. როცა რიგი ამაზეც მიდგა, მოსამართლემ ჰკითხა:

– შენ რას იტყვიო?

– თუ პირველს ხმას თქვენა ბრძანებთ, მე მოძახილს მოგახსენებთ, თუ არა და ბანს ვიტყვიო...

***

გოგი ბერიძემ რაღაც საქმე მოიგო მომრიგებელ მოსამართლესთან. მაგრამ როდესაც მოპასუხემ ხელმეორედ გარჩევა ითხოვა და საქმე ხელახლად დაინიშნა, ბერიძემ მოგებული საქმე წააგო.

– დედავ, ვერა გამიგია-რა! გუშინ მე მოვიგე... დღეს ამან მოიგო... „კონჩინა" ყოფილა ეს თქვენი ახალი სუდი, – თქვა გულჩაწყვეტილმა გოგიმ.

***

ერთხელ აკაკის ახალგაზრდა კაცი ეწვია სხვიტორში. მგოსანი აივანზე იჯდა, წინ ქართული „დაბადება" ჰქონდა გადაშლილი. სტუმარი ათეისტად თვლიდა თავს. გაკადნიერებულმა დამცინავი ღიმილით გადახედა წიგნს:

– რად გინდათ, ბატონო აკაკი, მაგას რომ კითხულობთ, რა სარგებლობა უნდა მოგცეთ მაგ ზღაპარმა?

– ჰო, ჩემო შვილო, – უპასუხა აკაკიმ, – ვისაც სურს ქართული ენა ღრმად შეისწავლოს, ეს წიგნი უნდა იკითხოს ხშირად და ბეჯითად... თუმცა მარტო ეს არ არის საკმარისი, – დასძინა მან მცირე დუმილის შემდეგ, – ამ მიზნით ხალხშიც უნდა იაროს, დააკვირდეს ხალხის ენას, ჩასწვდეს მის ბუნებას.

# როგორ გახდა „მოკლული“ „მკვლელი“ ფილმ „დათა თუთაშხიას“ გადაღებისას

„დათა თუთაშხიას“ ვიღებდით გუდაუთის რაიონში. ქართველ კინომაყურებლებს კარგად ემახსოვრებათ ის ეპიზოდი, ზვამბა რომ კლავს თოდუას და მის ფულებს ითვისებს.

ზვამბას როლს მე ვასრულებდი, თოდუას – ზესტაფონის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელი, გვარად შავგულიძე.

სცენარის მიხედვით, ვკლავ ამ კაცს და მერე წამოსწრებული დათა თუთაშხია მაიძულებს, ცხედარი მდინარის ნაპირიდან ამოვათრიო გზაზე.

საერთოდ, უარყოფითი პერსონაჟების როლების შემსრულებლები ხშირად ვარდებიან უხერხულ მდგომარეობაში და ასე მოხდა ამჯერადაც.




მთავარი ის იყო, რომ შავგულიძე მაშინ 130 კილოგრამს იწონიდა, მე – 70-75-ს. როგორი წამოსაკიდებელია?

წამოვიკიდე ამოდენა დევი ამ ჩია კაცმა (ჩემი ცოდვა მიეცეს ჩვენს რეჟისორს) და მოვათრევ 40-50 მეტრის სიმაღლე აღმართზე – როგორია?

ვის ესმის ჩემი – როლია და უნდა შეასრულო.

დაიწყო ეპიზოდი.

– აიკიდე, ზვამბა ძაღლისშვილო! – მიბრძანა თუთაშხიამ.

– არ შემიძლია... მეშინია მე კვდრის, – ვპასუხობ.

– ტკაც! – გავარდა მაუზერი.

ხვნეშით წამოვიკიდე ცხედარი.

ცოდვას ვერ ვიტყვი, მიცვალებულიც მეხმარება, როგორც შეუძლია – აიმჩატა ტანი, მაგრამ, წონა წონაა...

საერთოდ, გადაღების დროს ყოველთვის იდგა სასწრაფო დახმარების მანქანა მედპერსონალით.

მივათრევ და ვფიქრობ: რა მოხდებოდა, მე ვყოფილიყავი „მკვდარი“ და გავჯგიმულიყავი შავგულიძის ზურგზე? მაგრამ, ბედი უნდა ყველაფერს, ძმაო!

დამასხა ოფლმა შუბლზე, მეკეცება მუხლები... არადა, კამერა მუშაობს (არაფერი „ბლეფი“ ამ სცენაში არ ყოფილა).

როგორც იქნა, ამოვაჯახირე ჩემი „ცხედარი“, დავასვენე მიწაზე და მივუწექი გვერდით გონდაკარგული.

– არიქა, მკვლელი გვიკვდებაო, – მეცა მედპერსონალი. შემასხეს „კაპლი“ ცხვირ-პირში, კინაღამ გამეჩხირა აბი ყელში... ხელოვნურად მკლავდნენ.

გიგა ლორთქიფანიძემ დუბლის გამეორება ითხოვა.

ძლივს მობრუნებულს, ისევ წამივიდა გული, მაგრამ, ვინ გაცლის?! გამიყარეს ანალგინის ნემსი ძვლებში (აბა, ხორცი სად მქონდა) და დამალევინეს რაღაც სტიმულატორი.

– მატოორრრ! – დაიჩხავლა მეგაფონმა.

ისევ დავიკავე საწყისი პოზიცია და ავიკიდე ჩემი „მკვლელი“, არადა, ჩემი „მოკლულია“.

ამოვაბორძიკე მუხლების კანკალით და ისევ წავიქეცი.

მადებენ ცივ ტილოებს მთელ ტანზე, ბული ამდის. ვარაუდით ვიხედები... კინოც მძულს და ამირეჯიბიც...

– ისევ დუბლი! – დაიძახა რეჟისორმა.

გავგიჟდი! მინდა ვიყვირო, მაგრამ, სადღაა ხმა?

მესამე დუბლსაც (რომელიც უკანასკნელი იყო და კინაღამ ჩემთვისაც უკანასკნელი გამოდგა) გავუძელი და დაწოლილმა ავწიე ხელები.

სიკვდილს, ნამდვილ სიკვდილს გადავურჩი.

კურიოზი ის იყო, რომ შეწუხებული შავგულიძე გამემასხრა:

– მრიცხველი რომ გქონდეს, კაი იქნებოდა.

– რატომ? – ვერ მივხვდი.

– კაცო, გავიგებდი მაინც, რამდენი დაწერა ჩემს ტარებაში და გადაგიხდიდი ფულსო.

ზესტაფონელი მაინც ზესტაფონელია.

მე კი მართლა კინაღამ შევეწირე ამ დიდებულ ფილმს, მაგრამ, ახლა ყველაფერს სიამოვნებით ვიხსენებ.

**საქართველოს სახალხო არტისტ, რუსთაველის თეატრისა და კინოს მსახიობ ვიქტორ ნინიძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

**(76-ე გვერდიდან)**

სამწუხაროდ, ბაგრატ მეოთხის პირველი ცოლი, დედოფალი ელენე ძალიან მალე გარდაიცვალა.

ბანას მნიშვნელობაზე მეტყველებს ალექსანდრე პირველი დიდის ვაჟის, ვახტანგ მეოთხის საქციელი. როცა მას გარდაეცვალა მეუღლე, სითი-ხათუნ ფანასკერტელი, დაკრძალა ბანაში. როგორც ჩანს, მეფეს ბანას ტაძარი თავის საძვალედ მიაჩნდა. 1446 წელს გარდაიცვალა თავად მეფეც და ის საყვარელი მეუღლის გვერდით დაკრძალეს.

ბანა ტაოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო. ბანაში დამზადებული წიგნებიდან ჩვენამდე მოაღწია საბაწმინდის ტიპიკონმა, გადაწერილმა მეფის ასულ ქეთევანისთვის 1511 წელს.

როგორც ჩანს, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ის კარლ კოხმა მოინახულა, ბანას საკათედრო ტაძარი დანგრეული არ იყო.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ბანას გრანდიოზული ტაძარი, რომელიც იმ დროისთვის დანგეული არ იყო ოსმანურ იმპერიაში, თითქმის განადგურდა. ოსმანთა არმიამ რუსული ჯარის წინსვლის შესაჩერებლად, ბანაში ციხესიმაგრე მოაწყო. ბანას დიდი თალები ამოაშენეს. იქვე, მოწყობილი იყო იარაღის საწყობიც.

# რა საოცრება ააშენეს ქართველებმა და რატომ დაანგრიეს ის რუსმა ჯარისკაცებმა

როგორც გადმოგვცემენ, რუსულმა ჯარმა ზარბაზნის ჭურვები დაუშინა ქართველთა სათაყვანებელ ტაძარს. რუსებს იმ დროისთვის დიდი ხნის გაუქმებული ჰქონდათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. კარგა ხნის დაწყებული იყო ძარცვა ქართული ეკლესიებისა და ქართულ სიწმინდეს, ერთ-ერთ ქართულ ტაძარს რაღას დაგიდევდნენ რუსები?!

რამდენიმე ხნის ბრძოლის მერე, ოსმან-თურქებმა დატოვეს ბანას მიდამოები. ეს უაღრესად სტრატეგიული და ისტორიული ქართული მიწა, რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა. მაგრამ, რუსეთს არ ადარდებდა ქართული სიწმიდე...

მერეც, გადმოცემის თანახმად, რუსები ბანას ისევე უშენდნენ ჭურვებს და ვარჯიშობდნენ, როგორც ნაპოლეონის ჯარები სფინქსს ესროდნენ, სროლაში დახელოვნების მიზნით.

დღეს დიდებული ტაძრის მხოლოდ და მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი. ოსმალთა იმპერიაში გადარჩენილი ტაძარი რუსების ხელით დაინგრა. ბანას კვლევა დაუწყია ექვთიმე თაყაიშვილს, არქიტექტორ კლდიაშვილთან ერთად. უამრავმა მეცნიერმა აღწერა ბანა, დაწერა მასზე ან შეეცადა, მის სამეცნიერო რეკონსტრუქციას.

სადაც 1030 წელს, ქართველთა დიდებას ხედავდნენ ბერძენი დიდებულები, სადაც ქართველი მეფისა და მღვდელმთავრების საფლავებია, მხოლოდ ბანას პირველი სართულიღაა შემორჩენილი. გარშემო ქართველების ნამოსახლარებსა და საფლავებზე ახლა პურის ყანები და სათიბებია.

სულ სხვა ხალხის ისმის ჟრიამული ახლა ბანაში. ტაძრის შორიახლოს დასახლებაა, სახელწოდებით ფანაკი. სახლები, როგორც ჩანს, ტაძრიდან და სხვა ისტორიული ნაგებობებიდან წამოღებულ ქვებზე დგას. რაც დრო გადის უფრო და უფრო ინგრევა ტაძარი.

ქართულმა სახელმწიფომ (და ეკლესიამ) ყველაფერი უნდა იღონონ, რომ ბანა დაკონსერვდეს მაინც და გაიწმინდოს (მერე იქნებ აღდგეს). საჭიროა, იქ ჩატარდეს არქეოლოგიური კვლევა.

ეს ხელს აძლევს თურქეთის სახელწიფოსაც და თურქ ხალხსაც – ტურიზმი მშვენიერ შემოსავალს იძლევა. გარდა ამისა, ვისაც უმოგზაურია და მოულოცია ტაო-კლარჯეთში, ყველა შეამჩნევდა, რა კეთილგანწყობილნი არიან თურქეთის მოქალაქენი ქართველებისადმი.

**გიორგი მახობეშვილი**

სამედიცინო დანიშნულების საქონელი

## თქვენი თვალების ერთგული მეგობარი

# კათიონორმი

### ნანოტექნოლოგიით დამზადებული კათიონური ემულსია



❀ თუ თქვენ ატარებთ კონტაქტურ ლინზებს კათიონორმი დაიცავს თვალებს მიკროტრავმებისაგან და აღადგენს უკვე დაზიანებულ უჯრედებს. მისი ჩაწვეთება შეიძლება ყველა ტიპის კონტაქტურ ლინზებზე, თვალიდან მათი ამოღების გარეშე. არ იწვევს მხედველობის დაბინდვას;

❀ თუ სიცივეზე ან ქარზე გეწყებათ ცრემლდენა კათიონორმი მნიშვნელოვნად შეგიმცირებთ ამ სახის დისკომფორტს;

❀ თუ სისტემატიურად მუშაობთ დახურულ სივრცეში (მაგ. ოფისებში), ხშირად გიწევთ ყოფნა კონდიცირებულ გარემოში (მაგ.თვითმფრინავის სალონში), თუ თქვენი თვალები მგრძნობიარეა სიგარეტის ბოლის, სინათლის ან მტვერის მიმართ ანდა შეხება გაქვთ არასახარბიელო გარემო პირობებთან (ქლორიანი წყალი, დაბინძურებული ან კვამლიანი ჰაერი, ულტრაიისფერი გამოსხივება) კათიონორმის მიერ წარმოქმნილი დამცავი ფენა დაიცავს თვალებს გამოშრობისა და გაღიზიანებისგან;




❀ თუ გაწუხებთ თვალების დაღლილობა, გაქვთ დისკომფორტი, სიმშრალე, წვა ან გაქვთ "ქვიშის" შეგრძნება თვალებში კათიონორმი აღადგენს თვალის ნორმალურ, ფიზიოლოგიურ გარემოს და სწრაფად მოხსნის ამ სიმპტომებს;

❀ თუ ხანგრძლივად მუშაობთ კომპიუტერის ან სატელევიზიო მონიტორთან დამცავი, დამატენიანებელი, და რეგენერაციული მოქმედების გამო კათიონორმი ამ შემთხვევებშიც მაღალეფექტურია.

კათიონორმი როგორც სამედიცინო დანიშნულების საქონელი მოწოდებულია იაპონურ-ფინური ფარმაცევტული კორპორაცია "სანტენ"-ის მიერ. მისი ჩაწვეთება შეიძლება განუსაზღვრელი დროით. დოზირება: 1-2 წვეთი დღეში 4 ჯერ.

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04

ბილაინი®

# ულიმიტო

ბილაინ მიქსი

ყველაზე დაბალი ფასი!

# 25

ლარი

- ულიმიტო წუთები ადგილობრივ ქსელებზე
- ულიმიტო SMS-ი
- ულიმიტო ინტერნეტი

აქტივაციის კოდი *110*250#

11 01 01

www.beeline.ge